საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი

მ. ლორთქიფანიძე

ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება (IX—X სს.)

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა

თბილისი—1963

9 (С 41)
9 (47. 922)
ლ. 852

წიგნში განხილულია ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საკითხი. წარმოჩენილია ის ძირითადი წანამძღვრები IX—X საუკუნეების ეკონომიურ, სოციალურ, პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში, რომელთაც შექმნეს პირობები, ფეოდალიზმის აღმავალი განვითარების საფეხურზე, საქართველოს გაერთიანებისა და ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნისათვის. შესწავლილია ქართული ადრეფეოდალური სამეფო-სამთავროების (კახეთის, ეგრის-აფხაზეთის, ტაო-კლარჯეთის, ჰერეთის, თბილისის საამიროს) შექმნისა და განვითარების ძირითადი ეტაპები და ნაჩვენებია ამ პოლიტიკურ ერთეულებს შორის წარმოებული ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის.

წინასიტყვაობა

ფეოდალური საქართველოს გაერთიანება ხანგრძლივი და რთული ისტორიული პროცესის შედეგია. ეს პროცესი VIII ს. დასასრულს იწყება, მაგრამ აშკარად IX საუკუნიდან ვლინდება. ფეოდალური საქართველოს გაერთიანების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ზღვარი X ს. 80-იანი წლებია, როდესაც ხდება საქართველოს დიდი ნაწილის გაერთიანება „აფხაზთა და ქართველთა მეფით“ სათავეში. თუ აქამდე საქართველოსთვის დამახასიათებელი იყო პოლიტიკური დაქუცმაცებულობა, ხოლო ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის ცალკეულ სამთავროებს შორის მიმდინარეობდა, ამიერიდან წარმოებს ქართული მიწების შემოკრება „საქართველოს“ გარშემო. ქართული მიწების შემოკრება და საბოლოო გაერთიანება ერთიან ქვეყნად, ქვეყნის პოლიტიკური ცენტრალიზაცია და მმართველობის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, უკვე ქართული ფეოდალური მონარქიის ფარგლებში მიმდინარეობდა.

X ს. 80-იან წლებში გაერთიანდა ორი უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ქართული პოლიტიკური ერთეული—აფხაზეთის სამეფო (დასავლეთ საქართველო) შიდა ქართლთან ერთად და სამხრეთ საქართველოს ნაწილი. ხოლო იმავე საუკუნის მიწურულსა და XI ს. დასაწყისშივე მას შეუერთდა ტაო-კლარჯეთის სამეფოს უდიდესი ნაწილი. ქართული სამეფო-სამთავროების ეს გაერთიანება პრინციპულად განსხვავდებოდა ყველა იმ სამხედრო და პოლიტიკური კავშირებისაგან, რომელთაც ხშირად ვხვდებით VIII—IX საუკუნეების მანძილზე საერთო მტრებისა თუ ურთიერთშორის წარმოებული ბრძოლების დროს.

X ს. 80-იან წლებში შექმნილი გაერთიანება ახალი ეტაპია ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში. ლიკვიდირებულ იქნა რიგი ქართული სამთავროების პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ამ

სამთავროთა გაერთიანება ერთი მეფის ხელში ნიშნავდა ახალი პოლიტიკური სისტემის დამყარებას მთელი საქართველოს მასშტაბით. ეს გაერთიანება ცენტრალიზებული ტიპის მონარქიის წარმოქმნას ნიშნავდა. უკვე მის ფარგლებში მიმდინარეობს ცალკეულ სამთავროთა პოლიტიკური მმართველობის აპარატის გადახალისება. შემდგომი განვითარება ხელისუფლების ცენტრალიზაციის გზით მიიმართება, რაც თავის გამოხატულებას პოულობს ერთიანი მმართველობის (მეფე, დარბაზი, სავაზირო), სამხედრო, სასამართლო თუ სხვა უწყებათა ცენტრალიზაციაში. რაც. როგორც აღვნიშნეთ, უკვე გაერთიანებული საქართველოს მასშტაბით ხორციელდება.

VIII—X საუკუნეების მანძილზე, როგორც წესი, მყარდებოდა სამხედრო-პოლიტიკური კავშირები ცალკეულ ქართულ ფეოდალურ სამეფო-სამთავროებს შორის, მაგრამ მაშინ თითოეული სამთავრო თუ სამეფო გამოდიოდა როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული, დამოუკიდებელი პოლიტიკური სუვერენით სათავეში (აფხაზთა მეფე, ტაო-კლარჯეთის მთავარი, კახეთის მთავარი, ჰერეთის მთავარი, თბილისის ამირა). მთავარ საცილობელ ობიექტს მათ შორის, როგორც ცნობილია, ქართლის საერისმთავრო (ამჯერად შიდა ქართლი) წარმოადგენდა. X ს. 80-იან წლებში განხორციელებული გაერთიანებით, რასაკვირველია, არ მომხდარა წინააღმდეგობის ლიკვიდაცია, მაგრამ, თუ აქამდე გაერთიანებისათვის ბრძოლაში დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულთა დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი, ამიერიდან წინააღმდეგობა ვლინდება ერთი ქვეყნის შიგნით არსებულ ცალკეულ დაჯგუფებებს შორის.

საქართველოს გაერთიანებას და ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნას თავისი ეკონომიური, სოციალური, კლასობრივ-პოლიტიკური და იდეოლოგიური საფუძვლები ჰქონდა.

ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პრობლემა ქართულ ისტორიოგრაფიაში

ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პრობლემა ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს გაერთიანებასთან ერთად დადგა.

თავისებური პასუხი საქართველოს ისტორიის ამ ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხზე უკვე XI ს. ქართულმა ფეოდალურმა ისტორიოგრაფიამ გასცა. ამ ხანის ქართულმა ისტორიოგრაფიამ შეიმუშავა თავისი კონცეფცია საქართველოს პოლიტიკური ერთიანობისა თუ გაერთიანებისა. ეს კონცეფცია, ჩანს, იმდროინდელი გაბატონებული ფეოდალური საზოგადოების იდეოლოგიას გამოხატავდა და თითქმის უცვლელად ბატონობდა მთელი ფეოდალური და, შეიძლება ითქვას, ბურჟუაზიული ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაშიც.

უძველესი ეროვნული წყარო, რომელიც საქართველოს გაერთიანების ისტორიას გადმოგვცემს, არის „მატიანე ქართლისა", XI ს. უცნობი ისტორიკოსის თხზულება.

„მატიანე ქართლისა" საქართველოს გაერთიანების პროცესში ერთ მომენტს ხედავს, სახელდობრ, საქართველოს გაერთიანება მას ესმის, როგორც ქართველ მეფე-მთავართა ბრძოლა სამთავროების ფარგლების გასაფართოებლად და პირველ რიგში ქართლის (საკუთრივ შიდა ქართლის) დასაპყრობად.

ქართველთა მეფენი, აფხაზთა მეფენი, კახეთის ჭორეპისკოპოზნი, თუ კახეთ-ჰერეთის მეფენი, იბრძვიან „ქართლსა ზედა" და ერთმანეთის მიწა-წყლის მისატაცებლად. ამათში ვინც ყველაზე ძლიერი აღმოჩნდება, ის შეიერთებს დანარჩენების სამფლობელოს და ქვეყანაც ერთიანი გახდება. ასეთ ვითარებაში სრულიად კანონზომიერად გამოიყურება იოანე მარუშისძის გეგმითა და დავით კურაპალატის მხარდაჭერით ბაგრატ ბაგრატიონის გამეფება და საფუძველის

ჩაყრა საქართველოს გაერთიანებისათვის. მემატიანეს სიტყვით, დავით კურაპალატმა „შემოკრიბნა ქართველნი აზნაურნი და უბრძანა: ესე არს მკვიდრი ტაოსი, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი და თანაშემწე; ამას დაემორჩილენით ყოველნი“[1].

ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პროცესში თანდათანობით შემუშავდა და XI ს. საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე მიიღო ქართული სახელმწიფოს ერთიანობის იდეამ. გარკვეულ ეტაპზე შემუშავდა ქართველთა სარწმუნოებრივ-კულტურული ერთობის იდეა, რის გამოხატულებასაც X საუკუნეში გიორგი მერჩულეს მიერ წამოყენებული „ქართლის“ განსაზღვრის ფორმულა წარმოადგენს[2]. ხოლო ქართული სამეფო-სამთავროების პოლიტიკური გაერთიანებისა და ერთიანი ხელისუფლების შექმნის შემდეგ საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე მიიღო ქართველთა ნათესავის ერთი ძირიდან წარმოშობისა და ქართველთა ქვეყნის ოდითგანვე ერთიანობის თეორიამ. ეს კონცეფცია, რომელიც წარმოდგენილია ლეონტი მროველის „ვეფხეთა ცხოვრება“-ში და შესულია ოფიციალურ კრებულ-„ქართლის ცხოვრება“-ში, როგორც ჩანს, ძველთაგანვე არსებულ ტრადიციას ემყარებოდა, და იმდროინდელი საქართველოს კულტურულ-პოლიტიკურ ვითარებას პასუხობდა[3].

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართული საისტორიო ტრადიცია „საქართველოს“ იმთავითვე ერთიან ქვეყნად თვლის და ცალკეულ ისტორიულ მონაკვეთებზე ამ „საქართველოს“ სხვადასხვა კუთხეების პოლიტიკურად განცალკევებით არსებობა მისი ერთიანი სხეულის სახით წარმოდგენას ხელს არ უშლის.

„ქართლის ცხოვრების“ კონცეფცია ბატონობს ამ საკითხში ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთი დიდი მოაზროვნისა და ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის საისტორიო თხზულებაში; სა-

---

[1] მატიანე ქართლისა. ქართლის ცხოვრება, 1, ს. ყაუხჩიშვილის გამ., თბ., 1955, გვ. 274.

[2] გ. მ ე რ ჩ უ ლ ე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. პ. ინგოროყვას გამოცემა, თბ., 1949, გვ. 274; იხ. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში ენიმკის მოამბე, X, თბილისი, 1941, გვ. 297—298.

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. თბ., 1945, გვ. 177.

ხელდობრ: რომ ფარნავაზს ემორჩილებიან „ყოველნი საქართველოსანი“[4], ვახუშტი თვლის, რომ ფარნავაზმა „ჰქმნა საქართველო ცხრა საერისთავოდ“[5]. ხოლო შემდეგ, როდესაც პოლიტიკურად დაშლილა საქართველოს ხელახალი გაერთიანების საკითხი დგება, ვახუშტი „მატიანე ქართლისა“-ს მსგავსად გაერთიანების პროცესს მთავარეპისკოპოსი ურთიერთშორის ბრძოლაში ხედავს და ამ საქმის დაგვირგვინებას მხოლოდ დიდ მარუშისძესა და დავით დიდი კურაპალატის ღვაწლად თვლის[6].

საქართველოს გაერთიანების საკითხში ძირითადად ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის თვალსაზრისზე დგას ბურჟუაზიული ხანის ქართული ისტორიოგრაფია.

დ. ბაქრაძე, იხილავს რა „განცალკევებულ საქართველოს ნაწილებს ვიდრე იმათ შემოერთებამდე“[7], აღნიშნავს, რომ „დავით დიდი კურაპალატი ქართლის ერისთავის იოანე მარუშისძის და სხვათა აფხაზთ-ქართლის ერისთავთ თანხმობით თეოდოსეს მაგიერ ადგენს აფხაზეთის მეფედ გურგენის შვილს ბაგრატს“[8], ხოლო დავით დიდი კურაპალატის მოღვაწეობის განხილვასთან დაკავშირებით წერს: „დავითმა თავის შვილობილის ბაგრატ მესამისათვის —თვითონ იყო უშვილო—შეაერთა ერთ სამეფოდ ტაო, აფხაზეთი და ქართლი და, თვით იმის სიცოცხლეშივე ბაგრატი (ეს ბაგრატი იყო დავითის ბიძაშვილის შვილი ძე გურგენისა) დაჯდა მეფედ ჯერ აფხაზეთში და შემდეგ ქართლში“[9].

ასევეა ეს საკითხი წარმოდგენილი მ. ჯანაშვილის „საქართველოს ისტორია“-ში, სახელდობრ, რომ უძველესი დროიდანვე აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო ერთი მთლიანი სხეული იყო, რომელიც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ისტორიულ ვითარებაში ხან მთლიანად იყო წარმოდგენილი და ხან დაყოფილად. ამდენად X ს. დასასრულს მომხდარი ამბავი ერთ-ერთი რიგითი მოვლენაა. როგორც მ. ჯანაშვილი აღნიშნავს, იმ არეულობის შედეგად, რაც გამოიწვია

---

[4] ვახუშტი ბაგრატიონი. საქართველოს ისტორია, დ. ბაქრაძის გამოცემა, თბ., 1885, გვ. 37.

[5] იქვე.

[6] იქვე, გვ. 134—135.

[7] დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, თბ., 1889, გვ. 262—279.

[8] დ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 275.

[9] იქვე, გვ. 240.

აფხაზეთში უსიბათლო თეოდოსის გამეფებამ, „თავადმა იოანე მარუშისძემ მოიწვია დავით კურაპალატი (გამოჩენილი მეომარი მაშინდელი დროისა) ქართლის დასაჭერად. დავითი შემოვიდა ქართლში, განდევნა კვირიკე და გაამეფა თავისი შვილობილი ბაგრატ III, საქართველოს მეფის გურგენის შვილი"[10].

XIX ს. და XX ს. დასაწყისის ყველა გამოკვლევებსა თუ საქართველოს ისტორიის ზოგად კურსებში ასეთი მსჯელობაა განვითარებული საქართველოს გაერთიანების შესახებ. ამგვარად, როგორც ფეოდალური, ასევე ბურჟუაზიული ხანის ქართული ისტორიოგრაფია ძალიან გამარტივებულად წარმოგვიდგენდა საქართველოს გაერთიანებას და ის მხოლოდ სამთავროთა შორის ბრძოლასა და ცალკეულ პირთა ინიციატივამდე დაყავდა. რასაკვირველია, არცერთი ეს მომენტი, როგორც სამთავროთა შორის ბრძოლა, ასევე ცალკეულ პროგრესულ ისტორიულ მოღვაწეთა ინიციატივა გამორიცხული არაა, მაგრამ ფეოდალური საქართველოს გაერთიანება და ერთიანი ფეოდალური მონარქიის შექმნა არც მხოლოდ ასეთი ცალმხრივი პროცესია.

მეცნიერულ საფუძველზე ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საკითხი, ისევე როგორც საქართველოს ისტორიის მრავალი სხვა საკითხი, აკად. ივ. ჯავახიშვილმა დააყენა.

ივ. ჯავახიშვილმა, პირველმა ქართულ ისტორიოგრაფიაში, ფეოდალური საქართველოს გაერთიანება განიხილა არა როგორც ცალმხრივი ისტორიული ფაქტი, არამედ როგორც ვრცელი ისტორიული პროცესი. მან გააფართოვა ამ პროცესის როგორც შინაარსობლივი, ისე ქრონოლოგიური საზღვრები. გაერთიანების ქრონოლოგიურ საზღვრებად ივ. ჯავახიშვილმა IX—XI საუკუნეები დასდო, მაგრამ გაერთიანების პროცესს ის VIII საუკუნიდან, ქართული ადრეფეოდალური სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბების დროიდან, იწყებდა. ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პროცესს ივ. ჯავახიშვილი, ზოგადად მთელი საქართველოს მასშტაბით და ცალკეული სამთავროების ფარგლებშიც, გარეშე მტრის დასწინააღმდეგების მომენტს უკავშირებს, რითაც ხაზს უსვამს ამ მოვლენის პოლიტიკურ ხასიათს[11].

---

[10] მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, ტფილისი, 1895, გვ. 73.
[11] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, ტფ., 1918, გვ. 99.

გაერთიანებისათვის ბრძოლაში ივ. ჯავახიშვილი ორ ეტაპს ხედავს: ერთი—სამთავროების ჩამოყალიბება, მეორე—ამ სამთავროთა შორის ბრძოლა გაერთიანებისათვის[12]. აღსანიშნავია, რომ ივ. ჯავახიშვილმა ამ ბრძოლაში სომხური სამეფო სამთავროებიც შემოიყვანა[13]. ამდენად ივ. ჯავახიშვილმა გაერთიანების პროცესის ფარგლები გააფართოვა და ის ამიერკავკასიის მასშტაბით წარმოადგინა[14]. ივ. ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება ქართულ წყაროებში დაცულ ცნობას ქართლის მნიშვნელობის შესახებ ამ ბრძოლაში და მიუთითა, რომ „ქართლი ქვეყნის შუაგული იყო და თითოეული მთავრის მოსავლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ეს ადგილი იმას შერჩენოდა“[15]. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ქართლი იყო არა მხოლოდ შუაგული ქვეყნის, არამედ აგრეთვე და პირველ რიგში, ეკონომიურად და კულტურულად ყველაზე მეტად დაწინაურებული მხარე. და ამდენად ქართლის საკითხი საქართველოს გაერთიანების საქმეში ერთ-ერთი კარდინალური საკითხთაგანი იყო. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ სამეფო-სამთავროები იბრძვიან „ქართლსა ზედა“ და გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფე, ბაგრატ III-ი თავის უპირველეს ღონისძიებად ქართლში მტკიცედ დამკვიდრებას თვლიდა. ასევე უყურებდა ამ საკითხს საქართველოს გაერთიანების და, ამდენად, ბაგრატის ქართლში დამკვიდრების მოწინააღმდეგე დაჯგუფება დიდ-დიდი აზნაურებისა და ეწინააღმდეგებოდა ბაგრატის მიერ ამ ღონისძიების სისრულეში მოყვანას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ივ. ჯავახიშვილმა გაერთიანებისათვის ბრძოლაში ქართველი დიდ-დიდი აზნაურებიც შეიყვანა და ეს ბრძოლა საკუთრივ მეფე-მთავართა შორის წარმოებული ბრძოლიდან და მხოლოდ მათი ინტერესებიდან, აზნაურთა ინტერესებსაც დაუკავშირა.

ამგვარად, ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნის პრობლემა, ივ. ჯავახიშვილმა, განსხვავებით თავის წინამორბედთაგან, განიხილა როგორც ხანგრძლივი და რთული ისტორიული პროცესი, რომელშიც თავ-თავისი ინტერესები ჰქონდათ მეფე-მთავრებსა და დი-

---

[12] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია. წ. II, გვ. 91.
[13] იქვე.
[14] იქვე, გვ. 98.
[15] იქვე.

დებულ აზნაურებს, ხოლო გაერთიანებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა გარეშე მტრის დასუსტებას დაუკავშირა.

რასაკვირველია, ეს არ იყო ფეოდალური საქართველოს გაერთიანების ყველა ძირითადი მომენტის წარმოჩენა, მაგრამ ეს იყო დიდი ნაბიჯი წინ გადადგმული წინამორბედ მკვლევრებთან შედარებით. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ განსხვავებით თავის წინამორბედთაგან ივ. ჯავახიშვილმა ამ პროცესში პოლიტიკური და სოციალური მხარე წამოსწია წინ.

ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისა და ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნის პრობლემა ახლებურად დაისვა აკად. ს. ჯანაშიას შრომებში. ისევე როგორც საქართველოს ისტორიის რიგი სხვა საკითხები, ეს საკითხიც ს. ჯანაშიამ მარქსისტული მეთოდოლოგიის თვალსაზრისით განიხილა. ს. ჯანაშიამ დააყენა საკითხი ფეოდალური საქართველოს გაერთიანებისათვის ეკონომიური საფუძვლების არსებობის აუცილებლობის შესახებ. „მოსახლეობის გამრავლება და მისი მეურნეობის გაფართოება იწვევდა სხვადასხვა კუთხეების დაახლოების საჭიროებას“[16],—წერს ს. ჯანაშია.

ფეოდალური საქართველოს გაერთიანების ერთ-ერთ უმთავრეს და ძირითად საფუძვლად ს. ჯანაშიას საერთო ეკონომიური აღმავლობა მიაჩნია. „მე-9 ს. მეორე ნახევარი და მე-10 ს. დიდი სამეურნეო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის ხანაა თითქმის მთელ საქართველოში, — წერს ს. ჯანაშია. — განვითარება მარცვლეულ და ტექნიკურ კულტურათა, მებაღეობისა, მევენახეობისა და მეღვინეობისა, მესაქონლეობისა, ხელოსნური წარმოებისა და გლეხური საშინაო მრეწველობისა და წარმოების ცალკეულ დარგთა სპეციალიზაცია ცალკე რაიონების მიხედვით აძლიერებს და აფართოებს სამთავროთა სამეურნეო კავშირებსა და შინაგან გაცვლა-გამოცვლის უწყვეტულ პროცესს“[17]. ს. ჯანაშია გაერთიანების საქმეში მნიშვნელოვან როლს აკისრებს საშინაო და საგარეო ვაჭრობას, ფულის ტრიალის გაცხოველებასა და ქალაქების შექმნა-გაძლიერების პროცესს[18].

---

[16] საქართველოს ისტორია, ნაწ. 1, უძველესი დროიდან XIX ს. დამდეგამდე. თბ., 1946, გვ. 151.

[17] ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 ს-მდე შრ., II, თბ., 1952. გვ. 423.

[18] იქვე.

საქართველოს გაერთიანების პრობლემასთან დაკავშირებით ს. ჯანაშია ხაზს უსვამს სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების, მელიორაციის გაუმჯობესების, მესაქონლეობის განვითარების მნიშვნელობას[19].

გარკვეულ როლს ქვეყნის გაერთიანების საქმეში თამაშობდა ბრძოლა მიწისათვის. „მას შემდეგ,—წერს ს. ჯანაშია,—რაც მე-8 საუკუნის დამლევსა და მე-9 საუკუნის დამდეგს საქართველოში ახალი ფეოდალური სამთავროები აღმოცენდა, ბრძოლა დაუწყეს ერთმანეთს ქართველმა მთავრებმაც, თითოეული მთავარი ცდილობდა საკუთარი ტერიტორიის, სამფლობელოს გაფართოებას მეზობელი მთავრის ხარჯზე. ეს ბრძოლა გაგრძელდა მე-9 საუკუნესა და მე-10 საუკუნის მეტ ხანს და საქართველოს გაერთიანებით დამთავრდა“[20]. ამდენად სამთავროთა შორის ბრძოლა საკუთარ სამფლობელოთა ფარგლების გაფართოებისათვის ერთმანეთის მიწა-წყლის ხარჯზე იყო არა ერთადერთი და მთავარი მომენტი ქვეყნის გაერთიანების საქმეში, არამედ, როგორც სამართლიანადა აქვს წარმოდგენილი ს. ჯანაშიას, ერთ-ერთი მომენტი, რომელიც აპირობებდა ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნას. „საქართველოს გაერთიანება,—როგორც აღნიშნავს ს. ჯანაშია,—უკვე მთელი ქვეყნის განვითარების საჭიროებას უპასუხებდა, და არა მარტო ცალკე მთავრების ინტერესებს“[21]. ამასთანავე, საქართველოს გაერთიანება თუ წარმოადგენდა ქვეყნის საერთო ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული აღმავლობის შედეგს, ამავე დროს გაერთიანების შედეგად შექმნილი ვითარება ქმნიდა პირობას შემდგომი განვითარებისათვის. „აღნიშნული მოვლენები, წერს ს. ჯანაშია, ჰქმნის ფეოდალური დაქსაქსულობის მოსპობისა და უფრო ფართო პოლიტიკური ფორმის დამყარების ობიექტურ აუცილებლობას, რასაც საწარმოო ძალებისათვის უფრო სწრაფი და თავისუფალი განვითარების შესაძლებლობა უნდა შეექმნა“[22].

ამგვარად, ს. ჯანაშია ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პროცესს VIII საუკუნით, ქართული ადრეფეოდალური სამეფო-სა-

---

[19] საქართველოს ისტორია, 1, გვ. 152.

[20] იქვე, გვ. 150.

[21] იქვე.

[22] ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია უძველეს დროიდან მე-13- ს-მდე, გვ. 423.

მთავროების ჩამოყალიბებით იწყებს. საქართველოს გაერთიანების მთავარ პირობად მას ეკონომიური აღმავლობა — სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების, ხელოსნობისა და ვაჭრობა-აღებმიცემობის განვითარება, მელიორაციის გაუმჯობესება, ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების დაწინაურება მიაჩნია.

ქვეყნის ეკონომიური განვითარება ერთ-ერთი მთავარი წინა პირობაა ფეოდალური სახელმწიფოს გაერთიანებისათვის და ს. ჯანაშია მიერ საქართველოს გაერთიანების ძირითად საფუძვლად ეკონომიური ფაქტორის დადება აღნიშნული პრობლემის მეცნიერული მარქსიზმის საფუძველზე დაყენებას ნიშნავდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გაერთიანება და ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა ფეოდალური ურთიერთობის აღმავალი განვითარების პირობებში მიმდინარეობდა და საქართველო ფეოდალურ საფუძველზე გაერთიანდა. ამდენად, მხოლოდ ფეოდალური ეკონომიკა და საერთო ეკონომიური კავშირები ფეოდალიზმის პირობებში, ვერ შექმნიდნენ ერთადერთ საფუძველს საქართველოს გაერთიანებისათვის. საქართველოს გაერთიანების პროცესის გარკვევისათვის აუცილებელია კლასობრივი ბრძოლისა და საგარეო საფრთხის გათვალისწინებაც[23].

ფეოდალური საქართველოს გაერთიანება აყენებს იმ დასაყრდენი ძალის საკითხს, რომლის მეშვეობითაც საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება (მეფის სახით) იბრძოდა ქვეყნის დამშლელი ძალების წინააღმდეგ და, როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავს, საქართველოს მეფე „საშუალო და წვრილ აზნაურობას და საქალაქო საფენელ წრეებს"[24] და, რაც მთავარია, „ამასთან ერთად, მეფე, მსხვილ მემამულეთა ცალკე ჯგუფების ანტაგონიზმსაც იყენებს"[25].

ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პროცესში ეკონომიური და სოციალურ-კლასობრივი რიგის საკითხებისადმი განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება აკად. ნ. ბერძენიშვილმა.

ეხება რა გაერთიანების ხანის საქართველოს სოციალური განვითარების საკითხებს, ნ. ბერძენიშვილი წერს: „სოციალური განვი-

---

[23] ვ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს გაერთიანების საკითხისათვის, ისტორიის ინსტიტუტის შრ., I, 1955 გვ. 431—450.

[24] ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან მე-13 ს-მდე, გვ. 426.

[25] იქვე

თარების მხრივ ეს გარემოება იმაში გამოიხატება, რომ მდაბიორეგის საზოგადოებრივი ფენა დამოკიდებული გახდა აზნაურებზე. აზნაურებმა დაიტაცეს სათემო მიწები, ბარის საქართველოში სასოფლო თემი საბოლოოდ დაიშალა და გაქრა, ყმათა დიდმა უმრავლესობამ თანდათან დაკარგა თავისუფლების ყველა ნიშანი და აზნაურის „გლეხთა“ რიგში ჩადგა. ამ ნიადაგზე კლასობრივი წინააღმდეგობა გაღრმავდა, კლასობრივი ბრძოლა გამწვავდა“[26]. როგორც ვხედავთ, ნ. ბერძენიშვილი უთითებს მიწის ფეოდალიზაციასა, თავისუფალ მწარმოებელთა გაგლეხებაზე და, ამასთან დაკავშირებით, კლასობრივი წინააღმდეგობის გამწვავებაზე.

იმავე ხანის ეკონომიური რიგის მოვლენების განხილვისას ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: „ეკონომიური ურთიერთობის თვალსაზრისით ქართული ფეოდალიზმის ამ ახალ საფეხურს ის ახასიათებდა, რომ ქვეყნის საწარმოო ძალები კიდევ უფრო განვითარდა; ხელოსნობა კიდევ უფრო ჩამოშორდა სასოფლო მეურნეობას და ხელოსნური ნაწარმი სულ უფრო და უფრო ფართო საზოგადოების მოხმარების საგანი გახდა, ინტენსიური გახდა სოფლის მეურნეობა. ამას მოწმობენ დიდი სარწყავი არხები და რთული რუსხმულები, ოსტატურად ნაგები წყალსადენები, დიდი ცოდნა-გამოცდილებით შემუშავებული ზვარ-ვენახები, მრავალგვარი ხორბლეულის ხოდაბუნები, სათიბები, ხეხილისა და თუთის ბაღები, ბოსტან-ბაღები“[27].

ამასთანავე ნ. ბერძენიშვილი უთითებს საქალაქო ცხოვრების და ვაჭრობა-აღებმიცემობის განვითარებაზე. უკანასკნელად ნ. ბერძენიშვილმა, საერთოდ ისტორიული ცხოვრების და კერძოდ საქართველოს გაერთიანების საქმეში, დიდი როლი დააკისრა მორწყვის გაუმჯობესებასა და არხების მშენებლობას[28], რაც თავის მხრივ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გაუმჯობესების საკითხს უკავშირდება.

ფეოდალური საქართველოს გაერთიანების საკითხი რიგ ქართველ ისტორიკოსთა შრომებშია მიმოხილული.

---

[26] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს შექმნა; ნ. ბერძენიშვილი, ვ. დონდუა, მ. დუმბაძე, გ. მელიქიშვილი, შ. მესხია, პ. რატიანი, საქართველოს ისტ. დამხმარე სახელმძღვანელო, 1, თბ., 1958, გვ. 137.

[27] ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 137.

[28] ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიულ დღიურიდან. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, თბ., 1960, გვ. 158—161, 179...

მაგალითად, პროფ. ვ. გაბაშვილი თავის ნაშრომში „ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში“ ფეოდალური მიწისმფლობელობის ფორმების განვითარების განხილვასთან დაკავშირებით, აღნიშნავს, რომ „X—XII საუკუნეებში მიწისმფლობელობის მთავარ წამყვან ფორმას პირობითი მიწისმფლობელობა წარმოადგენდა“[29]. და ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენად ეს პირობითი მიწისმფლობელობა მიაჩნია.

საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში მონაწილეობდნენ ქალაქები, რომელნიც წარმოადგენდნენ ცენტრალური ხელისუფლების ერთ-ერთ დასაყრდენს. სამეფო ხელისუფლებასა და ქალაქებს შორის ურთიერთობის საკითხთან დაკავშირებით პროფ. შ. მესხია წერს:

საქართველოს გაერთიანებისა და უცხო დამპყრობთაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლაში სამეფო ხელისუფლებას წვრილ აზნაურობასა და ეკლესიასთან ერთად ქალაქებიც უჭერდნენ მხარს[30].

ფეოდალური საქართველოს გაერთიანების საკითხი მეტნაკლებად მრავალ სხვა შრომებშიც არის აღძრული, მაგრამ რადგან საკითხის პრინციპულად განსხვავებულ დაყენებას მათში არ ვხვდებით, ამ შრომების განხილვისაგან ამჯერად თავს ვიკავებთ.

ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პრობლემას უკავშირდება პროფ. ივ. სურგულაძის მიერ დასმული საკითხი საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოში გატარებული თვალსაზრისის შესახებ. ივ. სურგულაძე წერს: „ფეოდალიზმისათვის, საერთოდ, დამახასიათებელია საკუთრების დაქუცმაცებულობა, რომელზეც არის აგებული სენიორალურ-ვასალური დამოკიდებულება და პოლიტიკური დაქუცმაცებულობა. ფეოდალიზმის ეს ძირითადი ნიშანი ყველაზე უფრო თავის მკაფიო გამოვლინებას ნახულობს მისი მომწიფების ხანაში. დამხმარე სახელმძღვანელოს მიხედვით კი მომწიფებული, ანუ განვითარებული ფეოდალიზმის დასაწ-

---

[29] ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში, თბ., 1958, გვ. 139.

[30] Ш. А. Месхиа. Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959, стр. 39.

ყისი სწორედ საქართველოს პოლიტიკურად გაერთიანებას ემთხვევა"[31].

ფეოდალიზმისათვის, როგორც წესი, დამახასიათებელია როგორც საკუთრების ფორმების, ასევე მმართველობის პოლიტიკური სისტემის დაქუცმაცება, მაგრამ ამავე დროს გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ გაერთიანებისა და ერთიანი ცენტრალიზებული ხელისუფლების ტენდენციები სწორედ ფეოდალიზმის პირობებში იჩენს თავს[32]. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ეს ტენდენცია განვითარებული ფეოდალიზმის საფეხურზე მჟღავნდება, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში უფრო ადრე; სახელდობრ საქართველოში — ადრეფეოდალურიდან განვითარებული ფეოდალიზმის საფეხურზე გარდამავალ ეტაპზე. აღნიშნული გარემოება საქართველოს განვითარების თავისებურებით უნდა აიხსნას. საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო წყობილების თავისებურება, განვითარებული ფეოდალიზმის საწყის საფეხურზე, სხვა მომენტებთან ერთად, უშუალო საგარეო საფრთხის არსებობითაც უნდა იყოს გაპირობებული.

საქართველოს გაერთიანება, ქართული მიწა-წყლის შემოკრება, ორმხრივი პროცესი იყო. თუ ერთის მხრით ცენტრალურ ხელისუფლებას უხდებოდა ფეოდალური პარტიკულარიზმის საზღვრების გადალახვა, მეორე მხრივ — იმავე ცენტრალურ ხელისუფლებას, ქვეყნის გასაერთიანებლად, უხდებოდა ქართული მიწა-წყლის განთავისუფლება საქართველოს ტერიტორიაზე დამკვიდრებულ უცხოელთაგან (ბიზანტია, სახალიფო), რაც ამ ბრძოლას საერთო სახალხო ბრძოლის ხასიათს აძლევდა, გავლენას ახდენდა საზოგადოების სხვადასხვა ფენების დამოკიდებულებაზე საქართველოს გაერთიანების საქმისადმი და ხელს უწყობდა ამ პროცესის დაჩქარებას.

ივ. სურგულაძე თავის შენიშვნებში სხვასთან ერთად აყენებს საქართველოს გაერთიანებისადმი უმაღლესი ფეოდალური არისტოკრატიის დამოკიდებულების საკითხსაც. როგორც სამართლიანად შენიშნავს ივ. სურგულაძე, „ფეოდალური მონარქიის შექმნა საერთოდ ფეოდალთა ინტერესებს შეესაბამებოდა"[33], ხოლო „ფეოდალურ კლასში შედიოდა პირველ რიგში, მისი ზედა ფენა, მსხვილი ფეო-

---

[31] ი ვ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის, „მნათობი", 1960, № 12, გვ. 150.

[32] Всемирная история, т. III, М., 1957, стр. 16.

[33] დასახ. ნაშრ. გვ. 150.

დალები, რომლებიც მთავარ როლს თამაშობდნენ ამ საქმეში"[34]. საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოში აღნიშნულია,—წერს ივ. სურგულაძე,—რომ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების მოწინააღმდეგენი იყვნენ დიდ-აზნაურები .მათ მხარს უჭერდა საქართველოს ეკლესიის რეაქციული ფრთაც" [35].

საქართველოს გაერთიანებისადმი ფეოდალური არისტოკრატიის დამოკიდებულებას ამ პროცესის კლასობრივ-სოციალური არსი განსაზღვრავს პირველი რიგში. ფეოდალური საქართველოს გაერთიანება და ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა ფეოდალური სახელმწიფოს გაძლიერებას ნიშნავდა და ამდენად ის ფეოდალთა კლასის ინტერესებს გამოხატავდა და ემსახურებოდა. ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ძირითადი ფუნქცია გლეხთა ექსპლოატირებული მასების მორჩილებაში ყოლა იყო. ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად, რაც თავისუფალი მწარმოებლების დაყმევებაში და მათი ექსპლოატაციის გაძლიერებაში გამოიხატებოდა, მწვავდებოდა კლასობრივი ბრძოლა. კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში ფეოდალები ვეღარ ახერხებდნენ გლეხების მორჩილებაში ყოლას და იძულებული ხდებიან ხელი შეუწყონ ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლების დამყარებას, რომელიც საერთო ძალებით უკეთ გაუმკლავდება თავის საერთო კლასობრივ მტერს[36]. ეს კლასობრივი მომენტი იყო ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი ფეოდალური არისტოკრატიის დამოკიდებულებაში საქართველოს გაერთიანების საკითხისადმი. მაგრამ თუ ფეოდალურ არისტოკრატიას ერთი მხრივ სჭირდებოდა ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლება, როგორც კლასობრივი ჩაგვრის იარაღი, მეორე მხრივ—რადგან ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლება ზღუდავდა მის პრივილეგიებსა და დამოუკიდებლობას, იგივე ფეოდალური არისტოკრატია ამ გაერთიანების წინააღმდეგ გამოდიოდა. ამგვარად, ფეოდალური არისტოკრატიის დამოკიდებულება საქართველოს გაერთიანების საქმისადმი ორმხრივია[37].

ფეოდალური არისტოკრატიის ასეთი ორმხრივი პოზიცია ფეოდალიზმის შინაგან წინააღმდეგობათა აშკარა გამოვლინებაა. ცენტ-

[34] დასახ. ნაშ. გვ. 150.

[35] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 138; ივ. სურგულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 150.

[36] მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს გაერთიანების საკითხისათვის, გვ. 446.

[37] მ. ლორთქიფანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 448.

რალური ხელისუფლება სარგებლობს ამ წინააღმდეგობით და კარგადაც იყენებს მას თავისი მიზნებისათვის[38]. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ფეოდალურ არისტოკრატიაში წარმოდგენილია როგორც პროგრესული, ასევე რეაქციული ფრთაც და სწორედ ასეთი პროგრესული ფრთის წარმომადგენელთა მედროშენი არიან დავით კურაპალატი, იოანე მარუშისძე და მისთანანი, რომელნიც გარკვეულ ეტაპზე გადამწყვეტ ნაბიჯებს დგამენ ამ დიდი საქმის სისრულეში მოსაყვანად.

ასევე თავისებურია ქართული ეკლესიის დამოკიდებულებაც ქვეყნის გაერთიანების საკითხისადმი. ქართული ეკლესია, კათალიკოსის სახით, ძირითადად საქართველოს გაერთიანების ერთ-ერთ აქტიურ მებრძოლ მხარედ გამოდის. ქართული ეკლესია ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების მომხრეა, რადგან ასეთი გაერთიანება აფართოებს და აძლიერებს მცხეთის ტახტის ხელისუფლებას. მაგრამ იგივე ეკლესია, გაერთიანების შემდეგ, მეფის ოპოზიციაში დგება, იღწვის რა იმუნიტეტისათვის.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პრობლემის განხილვასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია შევაჩეროთ ყურადღება ერთ საკითხზე, სახელდობრ, ამ გაერთიანების ორ მთავარ ეტაპზე. ამ საკითხის ერთი მხარეა ძირითადი ქართული მიწების გაერთიანება ერთი მეფის ხელქვეით, და საფუძველის ჩაყრა „საქართველოსთვის“, როგორც ერთიანი სახელმწიფოსთვის, რაც X ს. 80-იან წლებში განხორციელდა (ბაგრატ III). ხოლო ამავე საკითხის მეორე მხარეა „საქართველოს“ გარეთ დარჩენილი ქართული მიწების შემდგომი შემოერთება და სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაცია, რაც ბაგრატ III-დან მოყოლებულმა, საბოლოოდ დავით აღმაშენებლის ხანაში სრულდება.

ამდენად, ფეოდალური საქართველოს გაერთიანება ქართული ფეოდალური ცენტრალიზებული მონარქიის შექმნის პირველი ეტაპია, ხოლო აქედან გამომდინარე, როდესაც ლაპარაკია საქართველოს გაერთიანებასა და ქართული მონარქიის შექმნაზე აუცილებელია ამ ეტაპების თავისებურებათა გათვალისწინება. გათვალისწინება, პირველ რიგში, იმ გარემოებისა, რომ ქვეყნის გაერთიანებამ საგრძნობლად შეუწყო ხელი საქართველოს შემდგომ ეკონომიურ დაწინაურებას, სოფლის მეურნეობის, ხელოსნობის, საშინაო და საგარეო ვაჭ-

---

[38] ვ. ლორთქიფანიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 448—449.

რობის გაცხოველებასა და ქალაქებისა და მისი მოსახლეობის მნიშვნელობის გაზრდას სახელმწიფოს ცხოვრებაში, რაც, თავის მხრივ, იწვევს ძალთა თანაფარდობის შეცვლას, და თუ საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში ქალაქები შედარებით მეორეხარისხოვან ძალას წარმოადგენენ, დავით აღმაშენებლის პოლიტიკაში ქალაქებს დიდი როლი ეკისრებათ, „დავითის ახალი სახელმწიფო მნიშვნელოვანწილად ემყარებოდა ამ ახალ ძალას“[39].

ამგვარად, ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პრობლემა თავის შესაფერ გადაწყვეტას პოულობს ქართულ ფეოდალურ და ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაში. ამ პრობლემის მარქსისტული მეთოდოლოგიის საფუძველზე დაყენება ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიას ეკუთვნის.

როგორც აღვნიშნეთ, ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პრობლემის შესწავლის ხაზით ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ბევრი რამ გაკეთდა, განსაკუთრებით საკითხის დაყენების თვალსაზრისით, მაგრამ ეს პრობლემა სპეციალური მონოგრაფიული შესწავლის საგანი არ ყოფილა. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორები არც არის მთლიანობაში განხილული და შესწავლილი. ჩვენი შრომა ამ ხარვეზის შევსების ცდაა.

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია IX—X სს. საქართველოს ეკონომიური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული განვითარება. მაგრამ, რასაკვირველია, არა მთლიანად, არამედ ის მხარეები ამ განვითარებისა, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ქვეყნის გაერთიანების პროცესთან. განსაკუთრებით გამახვილებულია ყურადღება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განვითარებაზე და ამასთან დაკავშირებით სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგების შემდგომ დაწინაურებაზე, ახალი მიწების ათვისებასა და ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების შემოსვლაზე. ქვეყნის გაერთიანების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ დიდ სოციალურ ძვრებს, რომელთაც აქვთ ადგილი აღნიშნულ საუკუნეებში.

ამ პერიოდში შეინიშნება საგლეხო ვალდებულებათა დამძიმება, მწარმოებელი საზოგადოების ექსპლოატაციის ფორმების გარ-

---

[39] ნ. ბერძენიშვილი, დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 175.

თულება, ყალიბდება ფეოდალური საზოგადოების ძირითადი კლასები, რაც, თავის მხრივ, ამძაფრებს კლასობრივ ბრძოლას. აღნიშნული გარემოება ქმნის საფუძველს, რათა IX—X სს. მივიჩნიოთ ადრეფეოდალურიდან განვითარებული ფეოდალიზმის ხანაზე გარდამავალ ეტაპად.

ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ საქართველო ფეოდალურ ურთიერთობათა აღმავალი განვითარების საფეხურზე გაერთიანდა. ამავე დროს საქართველოს გაერთიანება მიმდინარეობდა გარეშე მტრების წინააღმდეგ დაძაბული ბრძოლის ვითარებაში, რაც აპირობებდა ძირითადი საზოგადოებრივი კლასებისა და ფენების მონაწილეობას ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლაში. აღნიშნულის საფუძველზე ჩვენ ვაყენებთ საკითხს საგარეო ფაქტორის, როგორც გაერთიანების დამაჩქარებელი მომენტის შესახებ და ამასთან დაკავშირებით მივუთითებთ გაერთიანებისათვის ბრძოლის სახალხო-განმათავისუფლებელ ხასიათსა და გაერთიანების პროგრესულ მნიშვნელობაზე.

წარმოდგენილი ნაშრომი არის ცდა მთლიანობაში იქნეს განხილული ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პრობლემა, შესწავლილ იქნეს ყველა ის ფაქტორი, რომელიც ამუხრუჭებდა ან ხელს უწყობდა ამ მნიშვნელოვან პროცესს ფეოდალური საქართველოს ისტორიაში. რამდენადაც ეს პირველი ცდაა, ავტორი თვლის, რომ ის არც შეიძლება იყოს დაზღვეული ხარვეზებისაგან და ყოველგვარ შენიშვნებს სიამოვნებითა და მადლობით მიიღებს.

ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პრობლემა წლების მანძილზე მუშავდებოდა სსსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის განყოფილების კვლევითი გეგმით. წიგნის ცალკეული თავები იკითხებოდა განყოფილების სხდომებსა და საინსტიტუტო სამეცნიერო სესიებზე, სადაც ავტორმა მრავალი საგულისხმო შენიშვნა მიიღო, რისთვისაც დიდ მადლობას მოახსენებს ინსტიტუტის კოლექტივს.

I

ფეოდალური საქართველოს გაერთიანების წინამძღვრები IX – X სს. ეკონომიურ და სოციალურ განვითარებაში

IX—X საუკუნეები ფეოდალური საქართველოს ისტორიაში ადრეფეოდალურიდან განვითარებული ფეოდალიზმის საფეხურზე გარდამავალი ეტაპია.

ადრეფეოდალური ხანისათვის, როგორც წესი, დამახასიათებელია მრავალწყობიანობა.

ადრეფეოდალური ხანის საქართველოში წამყვანი და განვითარებადი ფეოდალური ურთიერთობაა, მაგრამ, ამავე დროს, არსებობენ თემობრივობისა და მონათმფლობელური წყობილების მსხვილი გადმონაშთები. მთელი ადრეფოდალური ხანის მანძილზე მიმდინარეობს ამ გადმონაშთების ლიკვიდაციის პროცესი.

საქართველოს პოლიტიკურ წყობაში მონათმფლობელობის საბოლოო ლიკვიდაციას და ქვეყნის პოლიტიკური ორგანიზაციის ფეოდალურ ურდიერთობის საფუძველზე მოწყობას აკად. ნ. ბერძენიშვილი VIII ს., სახელდობრ არჩილ მეფის ხანასა და მის რეფორმებს უკავშირებს[1].

VIII ს. მთავრდება ერთი დიდი ეტაპი ადრეფეოდალური ხანის და დგება მეორე ეტაპი, როდესაც სრულდება უკვე ეკონომიური და სოციალური სტრუქტურის საბოლოო მოწყობა ფეოდალურ ურთიერთობათა საფუძველზე. სწორედ ამიტომ ვუწოდებთ ჩვენ ამ საფეხურს გარდამავალს ადრედან განვითარებულ ფეოდალიზმზე.

დიდი ძვრები და ცვლილებები ხდება სოფლის მეურნეობაში; წარმოიშობიან ახალი ქალაქები, ქრება მრავალწყობიანობა და მრავალფენიანობა მიწისმფლობელობის ფორმებსა და სოციალურ სტრუქტურაში.

---

[1] საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 120—121

ამჟამად ჩვენ მიზანს სცილდება ყველა ამ საკითხის მთელი სიგრძე-სიგანით შესწავლა. ჩვენ ამ ხანის როგორც ეკონომიური, ასევე სოციალური კატეგორიები გვაინტერესებს საქართველოს გაერთიანების საკითხთან დაკავშირებით. სახელდობრ: ეკონომიური განვითარების მნიშვნელობა ქვეყნის გაერთიანებისათვის, ქალაქების როლი და ადგილი ამ პროცესში, მიწათმფლობელობის ისეთი ფორმების განვითარება, რომელნიც აპირობებენ პოლიტიკურ ცენტრალიზაციას, ძირითადი საზოგადოებრივი კლასების ფორმირება, ამ პროცესის გავლენა გაერთიანებაზე და საზოგადოებრივი კლასების დამოკიდებულება გაერთიანების პროცესისადმი.

IX—X საუკუნეები მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის მასშტაბით დიდი ეკონომიური აღმავლობით აღინიშნება.

სახალიფოს პოლიტიკური დაშლა არ ნიშნავდა მასში შემავალი პოლიტიკური ერთეულების ეკონომიურ დაცემას[2].

IX—X საუკუნეების მახლობელ აღმოსავლეთის ქვეყნებში (ხმელთაშუა ზღვის აუზი, წინა და შუა აზია), ადგილობრივი დამოუკიდებელი სახალმწიფოების შექმნის შედეგად, იწყება ამ ქვეყნების ეკონომიკისა და კულტურის სწრაფი განვითარება[3].

საქართველო, რომელიც პოლიტიკურად და ეკონომიურად მჭიდროდ იყო დაკავშირებული მახლობელი აღმოსავლეთის როგორც მაჰმადიანურ, ასევე ქრისტიანულ ქვეყნებთან, ამ საერთო ეკონომიური აღმავლობის სფეროში მოექცა.

სოფლის მეურნეობა

IX—X საუკუნეები საქართველოს სოფლის მეურნეობაში დიდი ძვრებით აღინიშნება. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გაუმჯობესებასა და დაწინაურებას.

IX—X საუკუნეების საქართველო განვითარებული სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. განვითარების მაღალ დონეზეა მემინდვრეობა. მებაღეობა-მებოსტნეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა.

IX—X საუკუნეები ამ მხრივ გარკვეული აღმავლობის ხანაა. VIII ს. II ნახევრიდან საქართველოს ცალკეულმა კუთხეებმა დაიწყეს თანდათან განთავისუფლება არაბთა მფლობელობისაგან.

---

[2] Всемирная история, т. III, М., 1957, стр. 119.

[3] იქვე, გვ. 120.

ამ პერიოდში მიმდინარეობდა საქართველოში მთელი რიგი დაუსახლებელი ადგილების დასახლება, ტყეების გაკაფვა, აოხრებული ადგილების ხელახლა დასახლება, მოშენება[4].

საკუთრივ ქართლი, არაბთა შემდეგ XI ს. თურქ-სელჯუკთა ლაშქრობა-თარეშების ასპარეზად იქცა. ქართლი ტყეებით იყო დაფარული და სანადირო ადგილად ქცეული[5]. დავით აღმაშენებლის ერთ-ერთი პირველი ღონისძიება საქართველოს ამ ნაწილის მოშენება-დასახლებაა. ამ მხრივ ის დიდ სამუშაოს ატარებს და „სოფლებთავეცა იწყეს შთამოსვლად და დასხდომად"[6].

ამგვარად, IX საუკუნიდან მოყოლებული საქართველოს ცალკეულ კუთხეებში დაუსახლებელი ადგილების დასახლება, ტყეების გაკაფვა და სამიწათმოქმედოდ გამოყენება მიმდინარეობს; აოხრებულ-აყრილ სოფლებში მოსახლეობის აღდგენა და ხელახლა დასახლება ხდება. ხალხი სახლდება მამა-პაპათა ნასახლარებზე, სამიწათმოქმედოდ იყენებს აქამდე გამოუყენებელ ადგილებს.

სამიწათმოქმედოდ გამოყენებული ფართობის გაზრდა, დაუმუშავებელი მიწების ათვისება, ტყეების გაკაფვა, კორდების გატეხვა, მშვიდობის დამყარებასა და მოსახლეობის რიცხობრივ ზრდასთან ერთად აუცილებლად და პირველ რიგში ახალი სასოფლო-სამეურნეო იარაღების გამოყენებასა და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გაუმჯობესებაზე უნდა იყოს დამყარებული.

ახლადშემოსულ სასოფლო-სამეურნეო იარაღთაგან დაახლოებით ამ დროს ხმარებაში შემოსულად შეიძლება დავასახელოთ ცელი. ყოველ შემთხვევაში ქართულ წყაროებში ის ამაზე უწინარეს არ იხმარება და თიბვის აღსანიშნავად ჩვეულებრივ მკაა აღნიშნული. დაბადების ქართულ თარგმანში თიბვის მაგიერ მკა იხმარება[7]. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან კი აშკარად ჩანს, რომ ამ დროს ცელიც არის და თიბვაც არსებობს[8]. მერჩულე წერს, რომ შავშეთ-კლა-

---

[4] ბასილ ზარზმელი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება,, კ. კეკელიძის გამოცემა. თბილისი, 1935. გვ. 153; სუმბატ დავითის-ძე. ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა, ე. თაყაიშვილის გამოცემა. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისთვის ნ. 27 თბილისი, 1949, გვ. 61—62.

[5] ქართლის ცხოვრება, 1, 1955, გვ. 329.

[6] იქვე.

[7] იხ. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. 11, თბ. 1935. გვ. 89.

[8] იქვე, გვ. 90.

ჯუეთის მონასტრების მიდამოებში „სათესავი ყანა და სათიბელი ქუეყანაი რაითურთი არა არს“[9]. ე. ი. ამ დროს თიბვა ცელით ჩვენში დამკვიდრებული ჩანს.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გაუმჯობესების თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მიწის დასამუშავებელ ძირითად იარაღს—გუთანს.

მიწის დასამუშავებელი ძირითადი იარაღი, ის რასაც გუთანს ვუწოდებთ, საქართველოს გაერთიანების ხანაში ძირეულ ცვლილებას განიცდის და მნიშვნელოვან ტექნიკურ გაუმჯობესებას აღწევს.

სახვნელი იარაღის სახელად ტერმინი „გუთანი“ ქართული წყაროებით პირველად XIII ს. შუა წლებშია დადასტურებული. მან შეცვალა ამ იარაღის ძველი სახელი „ერქუანი“. „პირველად როდის შემოდის „გუთანი“ ქართულ მწერლობასა და ცხოვრებაში — წერს აკად. ივ. ჯავახიშვილი—ჯერ კიდევ გამოსარკვევია, მაგრამ მე-XIII ს. შუა წლებში ეს ტერმინი იმდენად ჩვეულებრივი სიტყვაა, რომ მიწის ერთეულის საზომადაც კი არის ქცეული (იხ. ჩემი „ქართულ საფას-საზომთა მცოდნეობა, ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია“). ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ „გუთანი“ ამაზე კარგა ხნით უწინარეს უნდა იყოს შემოსული, XII ს-ში მაინც“[10]. იბადება კითხვა, თუ რას უნდა გამოეწვია სახვნელი იარაღის სახელის ასეთი ცვლილება? „გუთანი“ უცხოურიდან შემოსული ტერმინი არ არის; როგორც დადასტურებულია, ეს ქართული ტერმინია. გუთანი სხვადასხვა ფორმით (გუთა, გოთან, გუთონ, ჭათან, გუთა და სხვა) დადასტურებულია თითქმის ყველა კავკასიელი ხალხის ენებში. სომხურში, ინგუშურში, ჩაჩნურში, თუშურში (ბაცბურში), უდურში, ავარულში, ოსურში და სხვა. როგორც აკად. აჭარიანი ვარაუდობს, ეს სიტყვა ქართულიდან უნდა იყოს შესული და გავრცელებული კავკასიის სხვა ხალხების ენებში[11].

---

[9] გიორგი მერჩულე, ნ. მარის გამოცემა. გვ. ზ. შდრ. ივ. ჯავახიშვილი იქვე, გვ. 90.

[10] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. I, 1930, გვ. 159.

[11] აჭარიანი, სომხური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონი, ტ. II. ერევანი, 1927, გ. ჩიტაია, ქსნური მთის-გუთანი. ენიმკის „მოამბე“ V—VI. თბილისი, 1940, გვ. 496.

საფიქრებელია, რომ „ერქუანის“ „გუთნით“ შეცვლა ამ სახვნელი იარაღის თვისობრივ ცვლილებასთან იყო დაკავშირებული. „ძნელი დასაჯერებელია — წერს აკად. ივ. ჯავახიშვილი — რომ ამის (ერქუანის,—მ. ლ.) შემდგომ შემოსულ ტერმინს, „გუთანს“, ისეთ ხანაში, როდესაც ქართული სახელმწიფოებრიობაც, ეროვნული თვითშემეცნებაცა და კულტურაც სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, ისე განედევნა საუკუნეთა განმავლობაში გაბატონებული ტერმინი „ერქუანი“, რომ სახნავი იარაღის აგებულების რაიმე ახალი, თვალსაჩინო გაუმჯობესება არ შემოეტანა.

საფიქრებელია, რომ ცხოვრებასა და ენაში „გუთანმა“ სწორედ იმიტომაც გაიმარჯვა „ერქვანზე“ და სასაუბრო ენის სალაროთგან იმის წყალობით განდევნა, რომ სახნავი იარაღის ისეთი გაუმჯობესების გამომსახველი იყო, რომელიც ამ იარაღის განვითარების უკანასკნელ საფეხურს წარმოადგენს“[12].

ეს გუთანი ე. წ. ქართული „დიდი გუთანია“, რომელიც, როგორც ცნობილია, დიდხანს იხმარებოდა ჩვენში.

დიდი გუთანი ერქუანთან შედარებით, მიწის უფრო ღრმად დამუშავების შესაძლებლობას იძლეოდა და ამავე დროს უფრო მაგარ ნიადაგსაც ამუშავებდა. ეს გუთანი შესაძლებელს ხდიდა სამიწათმოქმედოდ გამოყენებული ფართობის გადიდებას დამუშავებული მიწების ათვისებით. ამავე დროს დიდი გუთანი შრომის ნაყოფიერებასაც ზრდიდა.

თვით ისეთი სახვნელი იარაღის არსებობა, როგორიც დიდი გუთანია, თავის მხრივ ქვეყნის მნიშვნელოვან ეკონომიურ დაწინაურებაზე მიუთითებს. როგორც გ. ჩიტაია ალნიშნავს: „საშუალო ზომა გუთნეულისა ჩვეულებრივ უდრის 15,8 მ. მისი სახნის-საკვეთელი 20 კილოგრამს იწონის. იგი საჭიროებს 16—24 ხარ-კამეჩს, 4—6 მუშახელს, ჯამბარას, ღვედს, სამატებს, უღლებს 8—12 ცალს და აბეურებს 16—24 ცალს. სხვა ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ოთხი უღლისათვის საჭირო ერთ ღვედს ორი კამეჩის ტყავი უნდება. რვა უღლიანი გუთნეულისათვის ოთხი კამეჩის ტყავისაგან დამზადებული ღვედია საჭირო, ხოლო თორმეტ უღლიანისთვის—ექვსი. ერთი კამე-

---

[12] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 191. შდრ. გ ჩიტაია, დასახ. ნაშრ. გვ. 496.

ჩის ტყავი საჭიროა ჯამბარას დასაგრეხად. ამით შედგა 7 კამეჩის ტყავი. ნედლეულის გარდა ხარჯები ახლდა ღვედის დაწვნასაც...“[13].

ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ეს „დიდი გუთანი“ სწორედ IX—X სს. უნდა იყოს ჩვენში შემოსული. ამ მხრივ უაღრესად საინტერესო გარემოებაა ჩვენთვის ის ფაქტი, რომ VIII ს. შუიდან მოყოლებული ხალიფოში ვრცელდება მძიმე რკინის სახნისიანი გუთანი, რომელშიც 8 უღელი იყო შებმული[14]. ასე რომ ეს მოვლენა ჩვენში იმ ეკონომიურ აღმავლობასთანაა დაკავშირებული, რაც VIII—IX—X სს-ში მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში საერთოდ საგრძნობია, და გარკვეულად უკავშირდება მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის დამახასიათებელ იმ მოვლენებს, რომელთა შესახებ ჩვენ მოკლედ შესავალში აღვნიშნეთ.

საქართველოში უძველესი დროიდან გავრცელებული იყო სოფლის მეურნეობის მრავალრიცხოვანი კულტურები. სოფლის მეურნეობის მრავალრიცხოვანი კულტურების ადრიდანვე გავრცელებას დიდად უწყობდა ხელს ჩვენი ქვეყნის მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობები. ივ. ჯავახიშვილი „საქართველოს ეკონომიურ ისტორია“-ში გვაძლევს საქართველოს ბუნებისა და მიწა-წყლის თვისებათა ზოგად დახასიათებას ძველი წყაროების მიხედვით[15].

როგორც სამართლიანად ასკვნის ივ. ჯავახიშვილი, „საქართველოს მიწა-წყალი უაღრესად მრავალფეროვანი და მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის უაღრესად გამოსადეგი იყო. ნოტიობის სიჭარბის გამო სარწყავი მიწები დასავლეთ საქართველოში არ იყო, ან ცოტა მოიპოვებოდა. პირიქით, აღმ. საქართველოს ნიადაგისა და ჰავის შედარებითი სიმშრალის გამოისობით ბევრგან მიწის მორწყვა აუცილებელი იყო და სასოფლო მეურნეობაშიც სარწყავ-

---

[13] გ. ჩიტაია, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წ. მიმომხილველი, 1, 1949, გვ. 372. ამ საკითხზე იხ. მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქ. გაერთიანების საკითხისათვის. „შრომები“, 1, 1955, გვ. 433—434.

[14] Б. Заходер, История Восточного средневековья. Халифат и Ближний Восток, М., 1945 შდრ. С. Н. Какабадзе, Краткий обзор истории Грузии. Сухуми, 1941, გვ. 19.

[15] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. 1. გვ. 141—148.

-ურწყავ მიწებსა და სარწყავ რუებს აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული"[16].

მემიწდვრეობა ჩვენში უძველესი დროიდანვე არსებობდა. საქართველოში დადასტურებულია პურის მრავალი ჯიშის არსებობა, და როგორც ცნობილია, საქართველო პურის მთელი რიგი ჯიშების სამშობლოდაა მიჩნეული.

IX—X საუკუნეებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დაწინაურებას, კერძოდ, მიწის „დიდი გუთნით" დამუშავებაზე გადასვლას ხელი უნდა შეეწყო სახნავ-სათესი ფართობის (კერძოდ ხორბლეულის) გაზრდისა და ხორბლის უკეთესი მოსავლის მიღებისათვის.

ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ დაახლოებით ამ ხანაში უნდა იყოს შემოსული და დამკვიდრებული ჩვენში ერთ-ერთი მარცვლეული კულტურა, სახელდობრ ბრინჯი. ბრინჯის ჩვენში შემოსვლის გზებისა და გავრცელების საკითხისადმი ივ. ჯავახიშვილს „ეკონომიურ ისტორიაში" ერთი თავი აქვს მიძღვნილი. ივ. ჯავახიშვილის თანახმად, ჩვენში ბრინჯი აღმ. საქართველოში სპარსეთიდან, ხოლო დასავლეთ საქართველოში საბერძნეთ-რომიდან შეიძლება იყოს შემოსული. დასავლეთ საქართველოში საბერძნეთ-რომიდან შემოსვლის შესაძლებლობაზე მიუთითებს ბრინჯის მეგრული სახელი „ორჯზა", რაც ბერძნულ „ორჯძა"-ს შეესატყვისება[17]. აღმოსავლეთ საქართველოში ბრინჯი სპარსულ სამყაროდან უნდა იყოს შემოსული. ქართულ წყაროში ის პირველად X ს. დამოწმებული[18]. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ი. პეტრუშევსკი ირანის სასოფლო-სამეურნეო კულტურების განხილვისას სპეციალურად ჩერდება ბრინჯის საკითხზე და აღნიშნავს, რომ ირანში ის დაახლოებით X საუკუნიდან იპოვება ფართო გავრცელებას[19]. ბრინჯი ირანში მაინცდამაინც ძველი კულტურა არ ჩანს, ყოველ შემთხვევაში, ფართო მნიშვნელობა იქ IX—X სს. უნდა ჭონდეს მიღებული.

ჩვენშიც ის პირველად X საუკუნის ძეგლშია დადასტურე-

---

[16] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. 1, გვ. 113.

[17] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ. გვ. 360—361.

[18] წ ძ ი ნ დ ა ნინოს ცხოვრება, შატბერდული. Описание рукописей II, თბ, 1912. გვ. 755 (შდრ. ივ. ჯავახიშვილის დასახ. ნაშრ.).

[19] И. П. П е т р у ш е в с к и й, Полевые и огородные культуры в Иране в XIII—XV вв. Византийский временник, 1956, IX, стр. 237,

ბული. ვფიქრობთ, მართალი ვიქნებით, თუ ვივარაუდებთ, რომ ბრინჯის კულტურა ფართო მნიშვნელობით ჩვენში სპარსეთიდან შემოდის, საიდანაც მოდის მისი ქართული სახელიც. დასავლეთ საქართველოში (სამეგრელოში) ბერძნული სახელი მას შემდეგაც შეეძლო მიეღო, ან თუ იყო უფრო ადრე, იყო ორჯზას სახელით. ბრინჯი კი IX—X ს. უწინარეს ფართოდ გავრცელებული ჩვენში არ უნდა იყოს.

ამავე ხანებში საქართველოში შემოდის და ვრცელდება სოფლის მეურნეობის რიგი ახალი დარგებისა, ვრცელდება ახალი კულტურები. მაგალითად, „ერევინდი" ბიზანტიიდან უნდა იყოს შეთვისებული მესხეთში ან დასავლეთ საქართველოში დაახლოებით IX—XI სს.[20]. ასევე მუხუდო X ს. ადრე ვერ შემოვიდა ჩვენში. ის სპარსეთიდან შემოდის აღმ. საქართველოში[21].

საქართველოში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ უძველეს და უმნიშვნელოვანეს დარგთაგანს მევენახეობა და მეღვინეობა წარმოადგენდა. IX—X საუკუნეებში ჩვენში მევენახეობის განვითარებაზე მიუთითებენ იმდროინდელი წერილობითი წყაროები. ამ მხრივ საინტერესო მითითებებია გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში". საინტერესოა ის გარემოება, რომ ტაო-კლარჯეთის სავანეებს, როგორც წესი, ყველას აქვს თავისი ვენახები[22]. ვენახი, როგორც ჩანს, აუცილებელი ელემენტია ამ დროის ქართველი კაცის მეურნეობაში. ქართველი კაცი ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ ვენახი გაიშენოს. გრიგოლ ხანძთელი, უყვება რა აფხაზთა მეფე დემეტრეს კლარჯეთის უდაბნოთა შესახებ, ამბობს: „მცირედ ვენაჯნი ჰპირით და ურვით დაუნერგვიან და ეგრეთვე მტილები"[23].

---

[20] ივ. ჯავახიშვილი, ეკონ. ისტ. წ. II, გვ. 29.

[21] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 29.

[22] გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. ოდ.,გვ. ჲე. მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიასა და მნიშვნელობაზე იხ. ივ ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. II; К. Модебадзе, Истоки виноградарства и виноделия в Грузии. „Виноделие и виноградарство в СССР" М., 1948 № 6; П. М. Жуковский, Культурные растения и их сородичи, М., 1950; გ. ცქიტიშვილი, მევენახეობის ისტორიისათვის საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ისტორიის ინსტიტუტის შრომები. IV, 1959.

[23] გ. მერჩულე, გვ. კდ.

ე. ი. რაც არ უნდა ძნელი იყოს, ვენახი მაინც როგორმე უნდა გააშენოს ქართველმა კაცმა[24].

რომ საქართველოში ვენახი ყოველთვის იყო და ის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი კულტურა იყო, ამის მტკიცება ეხლა სრულიად ზედმეტია. ჩვენ ამჟამად გვაინტერესებს ის გარემოება, რომ IX—X საუკუნეებში მევენახეობა ჩვენში განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა და რომ მევენახეობამ ამ დროს საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა. ამ მხრივ ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ წერილობით წყაროებში XI ს-მდე და ნაწილობრივ X—XI სს. სიტყვა „ვენაჯი" ქართულში იხმარებოდა თანამედროვე ვაზის აღსანიშნავად. ამასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი წერს: „სიტყვა ვენაჯს ქართულში ვაზის მნიშვნელობა დიდხანს შეჰრჩა. ეკონომიური ისტორიის თვალსაზრისითაც და კულტურული ისტორიისათვისაც აუცილებლად საჭიროა ზედმიწევნით ვიცოდეთ ხანა, როდესაც ვენახს თავდაპირველი მნიშვნელობა შეეცვალა და ერთი ძირი ვაზის მაგიერ, ვაზებით დარგული ბაღის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა"[25]. ეხება რა ამ ტერმინის დამკვიდრების საკითხს, ივ. ჯავახიშვილი წერს: „ვაზი ძველ ხანაში ქართულ მწერლობაში გაბატონებული ვენაჯი-ს გვერდითა და პარალელურად, თუ ამაზე ადრე არა, მაინც-და-მაინც IX ს. დამლევს, სამწერლობო ენაში უკვე შემოსული ყოფილა"[26]. ხოლო რაც შეეხება ტერმინ „ვენახი"-ს ვაზებით დარგულ ბაღის აღსანიშნავად ხმარებას, ეს გარემოება XI—XII სს. ძეგლებშია დადასტურებული[27]. ე. ი. IX—XI სს. ის ხანაა, როდესაც ერთი ძირისათვის ვაზი ბატონდება როგორც ტერმინი, ხოლო ვაზის ბაღისათვის—ვენახი. ეს მოვლენა მევენახეობის შემდგომ განვითარებას უკავშირდება. ეს ის ხანაა, როდესაც მევენახეობა ქართველი გლეხის მეურნეობაში სრულიად გარკვეულ ადგილს იჭერს, და როდესაც მევენახეობას უკვე ფართე სამეურნეო მნიშვნელობა ენიჭება. „რა თქმა უნდა—წერს ივ. ჯავახიშვილი—რომ ძველი ვენახის მაგიერ სამწერლობო ენაში და ქართულ მევენახეობაში ტერ-

---

[24] ამ მხრივ ნიშანდობლივია მოგვიანო ხანაში დადასტურებული „ბოგანო", რაც უვენახო გლეხს უნდა ნიშნავდეს.

[25] ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკ. ისტ., წ. 1, გვ. 296.

[26] იქვე, გვ. 292.

[27] იქვე, გვ. 291.

რმინად ვაზი-ს საბოლოოდ გაბატონებასაც თვალსაჩინო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა... ამას გარდა ტერმინი ვენახოვანი და მისი უკვე მერმინდელი ვენახ-ად შენაცვლებაც ისევე, როგორც გარკვეული ხანითგან დიდი ვენახის აღსანიშნავად ზუარი-ს გაჩენაც, მევენახეობის ინტენსიობის ძველ საქართველოში თანდათანი ზრდის მაუწყებელია"[28].

შემთხვევითი არ შეიძლება იყოს ის გარემოება, რომ ქართულ მხატვრობასა და ქანდაკებაში სწორედ X საუკუნიდან ხშირდება ვაზის ფოთლისა და ყურძნის მტევნების გამოსახულებები[29]. აკად. ნ. ბერძენიშვილმა მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ IX—X სს. ქართულ წმინდათა ცხოვრების გადამკაზმველებმა წმინდა ნინოს ხელში მყოფი ხასხლევისაგან გაკეთებული ჯვარი ვაზის რტოდ გადააკეთეს. აღნიშნული გარემოება, აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი, ამ ხანაში ვაზის მნიშვნელობის ერთ-ერთი მაუწყებელი გარემოებაა[30].

IX—X სს. ტერმინ „ვენახის" მნიშვნელობის შეცვლა, ყურძნის ხატვა და გამოქანდაკება, აგრეთვე ამ ხანის ნარატიულ წყაროებში მევენახეობის შესახებ არსებული მითითებები და სხვა გარემოებანი, ვფიქრობთ, უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ მევენახეობა IX—X საუკუნეებში განვითარების ახალ საფეხურზე ადის ჩვენში და იქნებ სწორედ ამ ხანიდან მოყოლებული იკავებს ის საქართველოს სამეურნეო ცხოვრებაში ერთ-ერთი წამყვანი კულტურის ადგილს. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყურძენი (ან უკეთ რომ ვთქვათ, მისი ნაწარმი—ღვინო) გასატან საქონელსაც წარმოადგენდა ამ დროს.

საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ამ დროის საქართველოს სამეურნეო ცხოვრებაში მებაღეობა-მებოსტნეობას.

საქართველოში, კერძოდ მესხეთში, მებაღეობა-მებოსტნეობის ფართო გავრცელებაზე საინტერესო მითითება აქვს VI ს. ბიზანტიელ ისტორიკოსს. პროკოპი კესარიელის სიტყვით, მესხეთში, ამ თემის მთაგორიანობისდა მიუხედავად, იქაურ მკვიდრთ თავიანთი შრომითა

---

28 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ეკონომიური ისტორია, გვ. 603 (იხ. მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს გაერთიანების საკითხისათვის, გვ. 434—435).

29 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. II, გვ. 523.

30 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი — ს. ჯანაშია. „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე", „ცნობის ცისერი", III, 1958, გვ. 302.

და ცოდნით, ვითარცა დახელოვნებულ მიწისმოქმედთ, ხეხილიცა და ვენახებიც გაუშენებიათ და ხილნაყოფიც საკმაოდ ჰქონიათ[31].

მებაღეობა-მებოსტნეობის გავრცელებაზე საინტერესო ცნობა აქვს X ს. არაბ გეოგრაფს ისტაჰრის (930 წ.). ისტაჰრი აღნიშნავს, რომ თბილისი მეტად აყვავებული ქალაქი იყო, ხილ-ბოსტნეულისა და ნათესების უხვად მქონებელი[32].

ისტაჰრის ეს ცნობა იმ მხრივაც არის საინტერესო, რომ აქ დაცულია მითითება იმის შესახებ, რომ ქალაქს საკუთარი მეურნეობა აქვს, და რომ, კერძოდ, ხილ-ბოსტნეულით ქალაქი თვითონ იმარაგებს თავის თავს.

IX—X საუკუნეებში საერთო ეკონომიური აღმავლობა მებაღეობა-მებოსტნეობის განვითარებაშიც იჩენს თავს. ამ მხრივ საინტერესო დასკვნის საშუალებას იძლევა ტერმინოლოგიური ხასიათის დაკვირვება. ძველი ქართული სიტყვა „წალკოტი" ძალიან ფართე ცნება იყო. წალკოტში დეკორატიული ხეები და ყვავილებიც იყო, ვაზიც, საჩრდილობელი ხეები, ხილის ხეებიც, ბოსტნეულიც. ე. ი. წალკოტში იყო ვენახიც, ბაღიც, ბოსტანიც. დაახლოებით X საუკუნიდან, ე. ი. იმ დროიდან, როდესაც ვენახოვანი, ვენახი და შემდეგ ზვარი შეიქმნა, უკვე სპარსეთიდან შემოსული ბოსტანი და ბაღიც ჩნდება. ბოსტანიც და ბაღიც სპარსული სიტყვებია, მაგრამ მათი შემოსვლა ქართულ ენის სალაროში იმ მხრივაა საინტერესო, რომ ე. ი. დაახლოებით ამ დროისათვის (ბოსტანი მოხსენებულია გიორგი მთაწმინდელთან, ბაღი— XII ს. მხატვრულ ძეგლებში)[33] ჩვენში წალკოტი დაშლილია. ბაღისა და ბოსტნის დამოუკიდებელ არსებობას უნდა განეპირობებინა მათ აღსანიშნავად სპარსულში არსებული სიტყვების ჩვენს სინამდვილეში შემოსვლა (საინტერესოა, რომ დაახლოებით ამ დროს უნდა იყოს ჩვენში შემოსული ისპანახი, ბადრიჯანი და სხვ.)[34].

---

[31] პროკოპი კესარიელი, De bello Gothico, cap. 2. § 25—26. შდრ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ 110.

[32] В. Карaулов, Сведения арабских писателей... СМОМПК, вып. XXIX, გვ. 10—13. შდრ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 111.

[33] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. II, გვ. 104.

[34] ამ მხრივ საინტერესოა ივ. ჯავახიშვილის (ეკონომიური ისტორია) და პეტრუშევსკის (Византийский Вр. 1956, XI, გვ 150) ცნობების გათვალისწინება. პეტრუშევსკით ეს ბოსტნეული X ს. ძეგლში უკვე არის მოხსენიებული.

სოფლის მეურნეობის მეორე ძირითადი დარგი, მიწათმოქმედების შემდეგ, ფეოდალურ მიწისმოქმედ სახელმწიფოებში, მესაქონლეობაა.

საქართველოში მესაქონლეობა უძველესი დროიდანვე იყო განვითარებული. უძველესი დროიდანვე იყო განვითარებული ჩვენში როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა მესაქონლეობა. ქართული ცხენის, ძროხის, ცხვარის და თხის ჯიშები საყოველთაოდ ცნობილი იყო და არის.

IX—X საუკუნეების საქართველოში, როგორც ჩანს, მესაქონლეობას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

დაწინაურებული უნდა ყოფილიყო მესაქონლეობა IX—X საუკუნეების კახეთის სამთავროში. შეიძლება ვიფიქროთ, რომ იმდროინდელი კახეთის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი სწორედ მესაქონლეობას უკავია, რასაკვირველია განვითარებული მიწათმოქმედების არსებობის პირობებში. მეურნეობის ამ დარგისათვის კახეთის სამთავროში, განსაკუთრებით მის ჩრდილო ზოლში, შესანიშნავი ბუნებრივი პირობები არსებობდა. კახეთის სამთავრო მდიდარია როგორც საზაფხულო, ისე საზამთრო საძოვრებითაც. მსხვილფეხა და წვრილფეხა მესაქონლეობის არსებობაზე პირდაპირი მითითებაც გვაქვს ერთ არაბულ წყაროში[35].

მესაქონლეობა განვითარებული იყო აგრეთვე სამხრ. დას. საქართველოში. საქონლის ჯოგი, როგორც ჩანს, აუცილებელი ნაწილია ქართველი ფეოდალის (კერძოდ მესხეთელის) მეურნეობაში. ამ მხრივ ნიშანდობლივია ბასილ ზარზმელის ცნობა გიორგი ჩორჩანელის მეურნეობის შესახებ. გიორგი ჩორჩანელმა თავის დისწულებს მემკვიდრეობით დაუტოვა „აგარაკნი თავისუფლობით და საქონელი მრავალფერი და სიმრავლე საკედართა და მროწეულთა[36]. საინტერესოა, რომ ამ დროის წყაროებში ხშირადაა მოხსენებული სახედარი, არის ცხენიც და კარაულიც.

საბა კარაულს მარტავს ასე — „საკედარი ვირი“ და უთითებს — ნ. ცხენი. ცხენთან წერია—აღსაჯდომელსა ცხენსა—საკედარი. ხოლო საკედარი ასეა განმარტებული — „ცხენი ნიადაგ საჯდომელი, ვირი,

---

[35] იაკუბი, ისტორია, II, გვ. 567.

[36] ბასილ ზარზმელი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, გვ. 179. ეს მროწეული შესაძლებელია ძროხების და ხარების ჯოგი იყოს. ნ. საბასთან.

აქლემი, თუ რაც". ვფიქრობთ, გიორგი ჩორჩანელის ანდერძში „სიმრავლე საკედართა და მროწეულთა" იმას უნდა მიუთითებდეს, რომ გიორგიმ თავის მემკვიდრეებს დაუტოვა როგორც ძროხა-ხარები, ისე ცხენები და სახედრები.

აღსაჯდომელი ცხოველი—კარაული, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაშიც არის მოხსენებული. ჯავახეთის საეკლესიო კრებაზე მომავალი გრიგოლ ხანძთელი შეკრებილებმა „მეყსეულად იხილეს წმინდა იგი მომავალი კარაულითა"[37]. აქ კარაული სახედრის მნიშვნელობით იხმარება. ასევე თარგმნის მას ნ. მარი «Он ехал верхом на осле».[38] სხვა შემთხვევაში, მერჩულე ცხენს ხმარობს, როდესაც ზენონი მისდევს თავისი ოჯახის შეურაცხმყოფელს, მერჩულე წერს: „შეიჭურა საჭურველითა მარტოდ და ამჯედრდა ცხენსა და დევნა უყო"[39].

მესაქონლეობის განვითარების თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა წმინდა ნინოს ცხოვრებაში დაცული ცნობა ქართლელი მწყემსების მიერ საზაფხულო საძოვრებზე ჯავახეთში საქონლის მორეკვის შესახებ. ეს, ერთი მხრივ, მიუთითებს თავისთავად მესაქონლეობის ფართო მასშტაბით განვითარებაზე და, მეორე მხრივ, სამთავროთა შორის ეკონომიური კავშირების გაძლიერებაზე[40].

ამგვარად, გაერთიანების ხანის საქართველო თავისი დროისათვის დაწინაურებული სოფლის მეურნეობის ქვეყანაა. გაერთიანების ხანაში აქ თავს იჩენს ეკონომიური აღმავლობა და მეურნეობის ცალკეულ დარგებზე დასპეციალება, რაც ხელსაყრელ პირობას ქმნის ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანებისათვის.

ქალაქები და მათი როლი საქართველოს გაერთიანებაში

ფეოდალურ ურთიერთობათა გამარჯვება ხელს უწყობდა საწარმოო ძალთა შემდგომ განვითარებას, სოფლის მეურნეობისა და ხელოსნობის შემდგომ დაწინაურებას, რაც თავის მხრივ აჩქარებდა ხე-

---

37 გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. 179.

38 იქვე, გვ. 120

39 იქვე, გვ. 10

40 ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, 1, 1946, გვ. 152.

ლოსნობის სოფლის მეურნეობიდან გამოყოფის პროცესს, აღრმავებდა წინააღმდეგობას ქალაქსა და სოფელს შორის, აძლიერებდა სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო ნაწარმის გატანას საშინაო და საგარეო ბაზარზე.

აღნიშნული გარემოება ხელს უწყობდა ახალი ქალაქების შექმნას და საქალაქო ცხოვრების შემდგომ განვითარებას.

ფეოდალურ ურთიერთობათა გამარჯვების დროისათვის საქართველოში რიგი ახალი ქალაქები წარმოიშვა. რომელთა შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქ. თბილისი, ქ. ქუთაისი, ქ. უჯარმა, ვაშნარი და სხვ.[41].

ქალაქების რიცხვის ზრდა და საქალაქო ცხოვრების აღმავლობა საწარმოო ძალების განვითარების იმ საფეხურს უკავშირდება, როდესაც ფეოდალიზმის პირობებში ხდება შრომის სპეციალური განაწილება ცალკეულ დარგთა შორის და სასაქონლო მეურნეობის შემდგომი განვითარება.

საქართველოში ამ მოვლენის საერთო საფუძველია საწარმოო ძალების პროგრესული ზრდა IX—X საუკუნეებში. ფეოდალური მეურნეობის განვითარებამ შესაძლებელი გახადა ტექნიკის განვითარება, ტყეების გაკაფვა, სათესი ფართობის ზრდა. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიმრავლე და ზედმეტი პროდუქტების წარმოება შესაძლებელს ხდის ხელოსნობის შემდგომ სპეციალიზაციას, ახალი ფეოდალური ქალაქების წარმოშობას.

საქალაქო ცხოვრების განვითარებისა და ახალი ქალაქების შექმნისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ამიერ-კავკასიაში არაბთა მიერ დაარსებულ სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტებს, რომელნიც თანდათან სავაჭრო-სახელოსნო ცენტრებად იქცნენ[42].

VIII—X საუკუნეებში საქართველოში საქალაქო ცხოვრების შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე საერთაშორისო სავაჭრო გზის გადანაცვლებას სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ მდ. მტკვრის აუზში, რაც გამოწვეული იყო ბიზანტიასთან ვაჭრობის შეზღუდვით და სავაჭრო ურთიერთობის გაცხოველებით ჩრდილოეთის ხალხებთან, კერძოდ სლავებთან, ხაზა-

[41] Ш. Месхия, Города и городской строй феодальной Грузии, Тб., 1959 გვ. 26, 32.

[42] Я. А. Манандян, О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен. Ереван, 1954, стр. 193. Ш. А. Месхия, Города и городской строй..., стр. 34.

რებთან[43]. როგორც ჩრდილო რუსეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ტაო-კლარჯეთში მოჭრილი ქართული ფულები მოწმობენ სამხრეთ საქართველოს ქალაქებს უკვე X ს. დაუმყარებიათ ჩრდ. რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობა[44]. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ სავაჭრო ურთიერთობა სახალიფოს ქალაქებსა და სამხრეთ რუსეთს შორის საქართველოს მეშვეობით ხორციელდებოდა. ქართული სამეფო-სამთავროები წარმოადგენდნენ არა მხოლოდ ხიდს ამ ვაჭრობაში, არამედ თვითონაც აქტიურად მონაწილეობდნენ მასში[45].

ამავე დროს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს და განსაკუთრებით დას. საქართველოს (აფხაზთა-სამეფოს) და ტაო-კლარჯეთის სამეფოს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ ბიზანტიის იმპერიასთან[46].

ვაჭრობის გარეშე ფეოდალის მეურნეობა თანდათან უმიზნო ხდებოდა, და სწორედ ამიტომაა. რომ საქართველოში, ისევე როგორც ევროპის ქვეყნებშიც ფეოდალიზმის ეპოქაში ახალი ქალაქების წარმოშობა და საქალაქო ცხოვრების გაცხოველება სწორედ ქვეყნის საბოლოო ფეოდალიზაციის ხანას ემთხვევა.

VIII—X საუკუნეებში წარმოქმნილ ახალ ქალაქთა შორის პირველ რიგში უნდა დავასახელოთ: დმანისი, არტანუჯი, ახალქალაქი, ოლთისი, თმოგვი, ახალციხე, თელავი და სხვა[47]. როგორც სამართლიანად შენიშნავს პროფ. შ. მესხია, ქალაქების ეს სია, რასაკვირველია, სრული არაა[48].

როგორც აღვნიშნეთ, IX—X საუკუნეები ჩვენში ახალი ფეოდალური ქალაქების წარმოშობის ხანაა. ისევე როგორც ევროპაში და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში, ახალი ფეოდალური ქალაქების წარმოქმნის ინტენსიური პროცესი ჩვენშიც ფეოდალურ ურთიერთობათა განმტკიცების — ადრეფეოდალურიდან განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში გარდამავალ ეპოქას უკავშირდება.

მაგრამ ამდროინდელი ქალაქები ჯერ კიდევ არ თამაშობენ წამ-

---

[43] იქვე,
[44] Ш. Месхиа, იქვე.
[45] იქვე.
[46] იქვე, გვ. 34.
[47] იქვე, გვ. 38.
[48] იქვე.

ყვან როლს ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში. ამ დროის ეკონომიკაში წამყვანი როლი სოფლის მეურნეობას უკავია და ქალაქები ჯერჯერობით მხოლოდ მის დანამატს წარმოადგენენ.

IX—X საუკუნეების საქართველო აგრარულ ქვეყანას წარმოადგენდა, სადაც მიმდინარეობდა ფეოდალიზმის შემდგომი განვითარება, განვითარებულ ფეოდალურ ურთიერთობათა დამყარების მიმართულებით.

ამჟამად ჩვენთვის საინტერესოა ქართული ქალაქების როლი საქართველოს გაერთიანების პროცესში.

ამ ხანის ქართული ქალაქები უდავოდ მხარს უჭერდნენ ქვეყნის გამაერთიანებელ ძალებს. ქალაქების მოსახლეობა, ბუნებრივია, დაინტერესებული უნდა ყოფილიყო ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების შექმნით. მაგრამ გამაერთიანებელი ძალების ძირითად დასაყრდენს ამდროინდელი ქალაქები და ქალაქის მოსახლეობა არ წარმოადგენდა. ქალაქი არ წარმოადგენდა ამ დროს საქართველოში გაერთიანების პროცესის მამოძრავებელ ძალას, მსგავსად დასავლეთ ევროპის ქალაქებისა, სადაც, კ. მარქსის სიტყვით, ქალაქები აბსოლუტური მონარქიის სიძლიერის „აკვანს" წარმოადგენდნენ[49].

საგრძნობლად იცვლება ვითარება გაერთიანების შემდეგ, გაერთიანებამ შექმნა მყარი საფუძველი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი სწრაფი წინსვლისა და საქალაქო ცხოვრების სწრაფი განვითარებისათვის, XI—XII საუკუნეები საქართველოს სინამდვილეში ხასიათდება არა იმდენად ქალაქების რიცხვის ზრდით (თუმცა ამ მიმართულებითაც დიდი ძვრებია), როგორც ქალაქების მნიშვნელობის გაზრდით ქვეყნის ცხოვრებაში[50].

განსხვავებულად გამოიყურება საქართველოს ქალაქების როლი ქვეყნის ცენტრალიზაციისათვის ბრძოლაში.

ძირითადი ქართული მიწების გაერთიანების შემდეგ ფეოდალური საქართველოს განვითარება ქვეყნის ცენტრალიზაციის ხაზით მიმდინარეობდა, გამაერთიანებელი ძალები მეფის ცენტრალისტური ხელისუფლების გარშემო ჯგუფდებიან. საქართველოს ქალაქების ვაჭარ-ხელოსნური მოსახლეობა წარმოადგენდა მეფის ერთ-ერთ

---

[49] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 4, изд. 2-ое, стр. 308.

[50] Ш. Месхиа, დასახ. ნაშრ., გვ. 46.

მთავარ დასაყრდენს ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის ბრძოლაში.

საქართველოს გაერთიანების შემდეგ, განსაკუთრებით XI—XII საუკუნეებში, საქართველო წინა აზიის ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა. მნიშვნელოვანი ცვლილებები გატარებული სახელმწიფოს ორგანიზაციაში, შექმნილი მშვიდობიანი მდგომარეობა და სხვა პირობები ქმნიდნენ ხელსაყრელ ვითარებას ვაჭრის პიროვნებისა და მისი ქონების უზრუნველყოფისათვის, რაც თავის მხრივ ხელს უწყობდა ქალაქების რიცხვის ზრდას და განსაკუთრებით ქალაქებისა და მათი მოსახლეობის მნიშვნელობის ამაღლებას ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ასეთ ვითარებაში კანონზომიერი ჩანს მეფისა და მოქალაქეების კავშირი, რაც აშკარად დასტურდება XI—XII სს. საქართველოს ისტორიის ფაქტიური ვითარებით. XI ს. 60-იან წლებში მეფე ბაგრატ IV აარსებებს ქ. ატენს და როგორც ატენის სიონის წარწერა გვაუწყებს, მნიშვნელოვან შეღავათებს ანიჭებს ქალაქის ახალმოსახლეებს[51].

იგივე ბაგრატ IV ენერგიულად იბრძვის ქ. თბილისისათვის. მეფის მოკავშირე ამ ბრძოლაში არიან „თბილელნი ბერნი". როგორც ცნობილია, „თბილელმა ბერებმა" ორჯერ გადასცეს ბაგრატს თბილისი.

XII ს. დასაწყისში დავით აღმაშენებლის მიერ ჩატარებულ ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვან სავაჭრო-სახელოსნო ცენტრად გადაიქცა ქ. გორი[52].

სომხეთის ქალაქ ანისისათვის ბრძოლაში ანისის მოთავენი „ანელნი ბერნი" დავით აღმაშენებელს უჭერენ მხარს. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის სიტყვით 1123 წ. „აგუისტოსა ოცსა მოვიდეს მწიგნობარნი ანელთა თავადთანი და მოაკსენეს მოცემა ქალაქისა"[53] დავითს. როგორც ცნობილია, ქართული წყაროს ამ ცნობას ერთხმად ადასტურებენ სომეხი ისტორიკოსები ვარდანი და მათე ურჰაელი[54]. ეს „თბილელი ბერები" და ანისის „თავადნი" ქალაქის

---

[51] ივ. ჯავახიშვილი, К вопросу о времени построения грузинского храма в Атене. „ХВ", 1912, т. I, вып. III, 291, т; Ш. Месхиа, დასახ. ნაშრ. გვ. 43.

[52] Ш. Месхиа, დასახ. ნაშრ., გვ. 43—44.

[53] ქართლის ცხოვრება, 1. გვ. 344.

[54] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია წ. II, გვ. 207—208.

მოთავენი არიან და მათი საქმიანობისათვის მიზანშეწონილია ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში შესვლა.

ამ მოვლენასთან დაკავშირებით დგება დავით აღმაშენებლის დროს თბილისისათვის ბრძოლის და თბილისის მცხოვრებლების მიერ დავითისათვის წინააღმდეგობის გაწევის საკითხი. როგორც ცნობილია, ქ. თბილისმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია დავითის ჯარს. ეს ფაქტი თითქოს ეჭვის ქვეშ აყენებს დებულებას ცენტრალურ ხელისუფლებასა და ქალაქებს შორის კავშირის შესახებ ამდროინდელ საქართველოში, მაგრამ ძომხდარი ფაქტი, ვფიქრობთ, მაინც ვერ არყევს ამ დებულებას. ბაგრატ IV დროს, როდესაც „თბილელი ბერები" მეფეს სთავაზობენ ქალაქს, აქ მოქალაქეებისათვის არჩევანი დგას ამირასა და საქართველოს მეფეს შორის, და მოქალაქეებს ამირას ქვეშევრდომობას და საქართველოსგან განცალკევებით ყოფნას საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა ურჩევნიათ. დავით აღმაშენებლის დროს თბილისი უკვე დამოუკიდებელი ქალაქია, მას მოქალაქეთა ჯარკვეული წრე მართავს, და მოქალაქეთა ამ „თავებს" მეფის ქვეშევრდომობაში შესვლას, დამოუკიდებლობა ურჩევნიათ. აგრეთვე, დავით აღმაშენებლის მიერ გაერთიანებული საქართველოსათვის ზოგი ქალაქის შემოერთების შემდეგ ნათელი უნდა გამხდარიყო, რომ მეფე ზღუდავდა ქალაქების თვითმმართველობას. ესეც იწვევდა თბილისის ბრძოლას დავითის წინააღმდეგ. ასე რომ, ვფიქრობთ, დავითის დროის თბილისის მაგალითი მაინც კერძო შემთხვევაა და ვერ ცვლის საერთოდ საქართველოს ქალაქებსა და მეფეს შორის ურთიერთდამოკიდებულების პრინციპს. საკითხი დგას არჩევანზე მეფესა და ფეოდალებს შორის, არჩევანზე გაერთიანებასა და ფეოდალურ დაქსაქსულობას შორის, და ასეთ ვითარებაში, გასაგებია, ქალაქები ცენტრალური ხელისუფლების მომხრეებად გამოდიან. თბილისი კი, ამ შემთხვევაში, გამონაკლისია, რადგან აქ არჩევანია დამოუკიდებლობასა და მეფის ქვეშევრდომობას შორის და ქალაქი იცავს თავის თვითმმართველობას[55]. გარკვეულ როლს თბილისის პოზიციაში დავითის მიმართ ქალაქის მრავალრიცხოვანი მაჰმადიანური მოსახლეობაც ასრულებდა ალბათ.

---

[56] ვ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს გაერთიანების საკითხისათვის..., გვ. 440, შენ. 1.

საერთოდ კი. ქვეყნის ცენტრალიზაციისათვის ბრძოლაში მეფის ხელისუფლების კავშირი მოქალაქეებთან და ქალაქებისა და მოქალაქეების როლი, როგორც ერთ-ერთი დასაყრდენი ძალისა, ეჭვს არ უნდა ბადებდეს.

ამგვარად, ქალაქების ადგილი საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში საქართველოს სინამდვილეში თავისებურ ასპექტს პოულობს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს გაერთიანება და ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნა ორ ეტაპად გვესახება. პირველი ეტაპი ქართული მიწების დიდი ნაწილის პოლიტიკური გაერთიანებით სრულდება. ამ ეტაპზე პოლიტიკური გაერთიანება წინ უსწრებს ეკონომიურ გაერთიანებას და ამ პერიოდში საქართველოს ქალაქები არ წარმოადგენენ გადამწყვეტ ძალას. ხოლო ამ გაერთიანების შემდეგ, იქმნება რა ხელსაყრელი პირობები შემდგომი ეკონომიური წინსვლისა და კერძოდ საქალაქო ცხოვრების დაწინაურებისათვის, იზრდება ქალაქების მნიშვნელობა ქვეყნის ცხოვრებაში და ქალაქები და მოქალაქეები ცენტრალური ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენ ძალად იქცევიან.

ფულადი შემოსავლის უზრუნველყოფა, სავაჭრო-სახელოსნო ცენტრების, ე. ი. ქალაქების შექმნა, ფეოდალთა ეკონომიური პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქცევა. ქალაქები და საქალაქო ცხოვრების განვითარება თანდათან ამზადებენ ნიადაგს ფეოდალიზმის რღვევისათვის, მაგრამ, როგორც ცნობილია, ასეთ როლში ქალაქები ძალიან გვიან გამოდიან[56].

ადრეფეოდალურ ხანაში ქალაქები ანელებენ იმ შინაგან წინააღმდეგობებს, რომელნიც ფეოდალიზმის განმტკიცებას სდევენ თან. ერთი მხრით, ქალაქი აკმაყოფილებს ფეოდალის გაზრდილ მოთხოვნილებას, მეორე მხრივ, ქალაქში თავშესაფარს პოულობს გამოქცეული გლეხობა, რომელიც შემდეგ აქ ახალ ფეოდალურ კაბალაში ექცევა. როგორც ცნობილია, XII—XIII სს. ჩვენში თითქმის ყველა ქალაქი მეფის ან მსხვილი ფეოდალების საკუთრებას წარმოადგენდა და

---

[56] დასავლეთ ევროპაში, მაგალითად, ქალაქების გამოსვლა ასეთ როლში XIV—XV სს. მოვლენაა, ხოლო XI—XIII სს. ისინი ხელსაც უწყობენ ფეოდალიზმის განმტკიცებას.

ისეთივე ფეოდალური ექსპლოატაციის ობიექტი იყო, როგორც სხვა საფეოდალო ერთეულები.

ქალაქები სასაქონლო წარმოების ცენტრებად იქცევიან, მაგრამ, რასაკვირველია, ეს სასაქონლო წარმოება არ წარმოშობს კაპიტალიზმს. როგორც ცნობილია, სასაქონლო წარმოება არსებობდა მონათმფლობელობის დროს და ფეოდალიზმის დროსაც, ის მომსახურეობას უწევდა ორივე ამ ფორმაციას, მან მართალია გარკვეულად შეუწყო ხელი კაპიტალისტური წარმოების წარმოშობას, მაგრამ მას კაპიტალიზმი არ წარმოუშვია.

გაერთიანების ხანის საქართველოს ფეოდალური მეურნეობის სასაქონლო წარმოება სამომხმარებლო მიზნებს ემსახურებოდა და ამიტომ მას არ შეეძლო შეერყია ფეოდალიზმის საფუძვლები. სასაქონლო წარმოება ხელოსნური წარმოების საგნებით ამოიწურებოდა.

ქალაქებმა პოვეს თავისი ადგილი ფეოდალიზმის პირობებში, ისინი მის დანამატად იქცნენ.

როგორც ცენტრალური ხელისუფლება, ასევე ქართველი ფეოდალებიც იყენებდნენ ქალაქებს თავის დასაყრდენად. საქართველოს მეფეები აარსებდნენ ახალ ქალაქებს, მფარველობდნენ ქალაქის მოსახლეობას, ცდილობდნენ შემოერთებული ქალაქების უშუალო სამეფო ხელისუფლებისათვის დაქვემდებარებას. მომძლავრებული ფეოდალებიც ცდილობენ ქალაქები დასაყრდენად გაიხადონ თავის ბრძოლაში ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ.

ფეოდალიზმის დროს სასაქონლო წარმოება თავისებურად მოქმედებდა. მას დაღს ასვამდა ფეოდალური მეურნეობის ბატონობა. ფეოდალიზმის დროს ფეოდალური მეურნეობის ბატონობა იმდენად ძლიერი იყო, რომ ის დიდი ხნის მანძილზე ამუხრუჭებდა სასაქონლო მეურნეობის განვითარებას.

ამგვარად, ფეოდალური საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში, ამ პროცესის პირველ ეტაპზე ქალაქების მნიშვნელობა შედარებით მცირეა, ხოლო ამ პროცესის მეორე ეტაპზე, ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის ბრძოლაში, ქალაქები და ქალაქების ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობა ცენტრალური ხელისუფლების ძირითად დასაყრდენ ძალას წარმოადგენს.

იმ მრავალ ფაქტორთა შორის, რომელთაც შექმნეს პირობები ფეოდალური საქართველოს გაერთიანებისათვის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ფეოდალურ მიწისმფლობელობას ეჭირა. ჩვენ ყურადღებას ამჯერად იპყრობს მიწისმფლობელობის ის ფორმა, რომელმაც ხელი შეუწყო სახელმწიფო ხელისუფლების ცენტრალიზაციას და, ამდენად, ფეოდალური საქართველოს გაერთიანებას.

ფეოდალური მიწისმფლობელობისათვის, ერთი მხრივ, დამახასიათებელია საკუთრების მონოპოლიური ხასიათი, ხოლო მფლობელობის — იერარქიულობა. ამავე დროს ფეოდალური მიწისმფლობელობისათვის დამახასიათებელია, აგრეთვე, პირობითობაც.

მიწისმფლობელობის სწორედ ასეთი პირობითი და იერარქიული ფორმა ჩაისახა და განვითარდა ფეოდალურ საქართველოში.

ადრეფეოდალური ხანისათვის სოციალური ურთიერთობის თვალსაზრისით დამახასიათებელია მრავალწყობიანობა. წამყვანი და განვითარებადი ფეოდალური ურთიერთობაა, მისთვის დამახასიათებელი მიწისმფლობელობის ფორმებით, მაგრამ, ამავე დროს, არსებობენ წინამორბედი ფორმაციების მსხვილი გადმონაშთები.

მონათმფლობელობისა და თემური წყობილების გადმონაშთების ლიკვიდაცია მთელი ადრეფეოდალური ხანის მანძილზე მიმდინარეობდა. როგორც ცნობილია, თემური მიწისმფლობელობა გამძლე აღმოჩნდა და მან მთელი ფეოდალიზმის მანძილზე შემოირჩინა თავი. ეს გარემოება იმით უნდა აიხსნას, რომ თემი ადრევე იქცა ექსპლოატაციის ობიექტად, ხოლო ადრეფეოდალურ ხანაში სასოფლო თემის ექსპლოატაცია ფეოდალურ ხასიათს ატარებდა უკვე. სასოფლო თემი ფეოდალურ ექსპლოატაციის ერთეულად, ფისკალურ ერთეულად იქცა და თემობრივობის პრინციპი, მიწების პერიოდული გადანაწილების პრინციპი, თემის ცალკეულ წევრებს შორის, თემის შიგნით მოქმედებდა და შეიძლება ითქვას, არ ცვლიდა ფეოდალური ექსპლოატაციის ხასიათს საერთოდ. ამით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ თემურმა მიწისმფლობელობამ რიგ ფეოდალურ ქვეყნებში და საკუთრივ საქართველოში, დიდხანს შეინარჩუნა არსებობა. ესა თუ ის ფეოდალი ხელს სდებდა თემს საექსპლოატაციოდ, ითვისებდა

თემის მიწებს (ძალით, შეწყალებით და სხვა გზებით) და მის წინაშე პასუხისმგებელი მთელი თემი ხდებოდა. გადასახადი მთელ თემს (სოფელს) მართებდა. სოფლის შიგნით მიმდინარე გადაჯგუფებანი სოფლისა და ფეოდალის ეკონომიურ ურთიერთობაზე არ მოქმედებდნენ. ამ თვალსაზრისით ადრეფეოდალურ ხანისათვის უაღრესად საინტერესო ცნობაა დაცული ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში". ავტორის ცნობით, ძარღველი „კაცი" ბერად აღკვეცას ლამობს, მაგრამ მის ამ სურვილს მათი „უფალი" და თანასოფლელები აღუდგებიან წინ. როგორც სამართლიანად შენიშნავს აკად. კ. კეკელიძე, „ალბათ იმიტომ, რომ მისი მონასტერში წასვლით სოფლებს აკლდებოდა აქტიური წევრი, რაც უმნიშვნელო არ იყო მათ მიერ სახელმწიფო თუ საბატონო ვალდებულებათა სიმძიმის დაძლევისათვის, ხოლო ბატონს მუშახელი და გამოცდილი მოსამსახურე"[56]. ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა ის მხარე საკითხისა, რომ სოფელი აღუდგა წინ ამ „კაცის" ბერად აღკვეცას, ეს ფაქტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ვალდებულებადადებული მთელი სოფელია.

მონათმფლობელობის დროინდელი მიწისმფლობელობის ფორმების არსებობა ადრეფეოდალური ხანის საქართველოში დადასტურებულია ისეთი უპირობო მიწისმფლობელობით, როგორიცაა „ნასყიდი" მიწის კატეგორია[58].

ვფიქრობთ, „აგარაკის" სახითაც ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში წარმოდგენილი უნდა იყოს ფეოდალიზმამდე არსებული მიწისმფლობელობის ფორმა.

„აგარაკი"-ს საკითხს ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადო ყურადღება მიაქცია აკად. ს. ჯანაშიამ. ს. ჯანაშია „აგარაკს", როგორც მიწისმფლობელობის ფორმას, ასახელებს IV—V საუკუნეების ქართლის საადგილმამულო ურთიერთობის განხილვის დროს[59]. სრულიად

---

[57]. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, თბ., 1935, გვ. 127.

[58] ი ვ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალურ საქართველოში. თსუ შრომები, XXXVII, 1949, გვ. 21;

მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ადრეფეოდალური ხანის ისტორიის ზოგიერთი საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში; ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, გვ. 197, 1959 წ.

[59] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე. შრომები, I, 1949, გვ. 282—283.

მართებულად, ამ ხანის საადგილმამულო ურთიერთობაში ს. ჯანაშია პირველ სურათს ხედავს. მონათმფლობელური საადგილმამულო ურთიერთობის გვერდით დადასტურებულია, როგორც თემური საადგილმამულო ურთიერთობის გადმონაშთები, ასევე ჩანასახის მდგომარეობაში მყოფი ფეოდალური საადგილმამულო ურთიერთობის ფორმებიც.

მიწისმფლობელობის თემური და მონათმფლობელური ფორმების განხილვასთან დაკავშირებით ს. ჯანაშია წერს: „ამასთან ერთად, როგორც ჩანს, საკმაოდ ადრე ჩნდება, სუსტად გამოხატული, ინდივიდუალური კერძო საკუთრება მიწაზე. მისი ობიექტია წვრილი მიწის ნაჭრები, რომელნიც, ახოს აღებისა თუ სხვა გზით, თავისუფალი განკარგულებისა და, მაშასადამე, ყიდვა-გაყიდვის საგნად არიან გადაქცეულნი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ასეთი მიწის ნაკვეთები იწოდება „აგარაკებად“[60].

როგორც ვხედავთ, „აგარაკი“ ს. ჯანაშიას ინდივიდუალური კერძო საკუთრების ობიექტად მიაჩნია, ამავე დროს „აგარაკი“ მას განხილული აქვს, როგორც ფეოდალური საადგილმამულო საკუთრების ობეიქტი[61].

„აგარაკის“ საკითხს, სომხეთის ისტორიის მაგალითზე, სპეციალურად იხილავს პროფ. ს. ერემიანი[62]. სომხურ წყაროებში დაცული ცნობების საფუძველზე ს. ერემიანი ადასტურებს „აგარაკის“ როგორც კერძო საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთის არსებობას ელინისტური ხანის სომხეთში.

ადრინდელი და განვითარებული ფეოდალიზმის ხანის ქართული წყაროების მონაცემები სრულიად აშკარად ასაბუთებენ ს. ჯანაშიას დებულებას „აგარაკის“, როგორც ინდივიდუალურ კერძო საკუთრებაში მყოფი მიწის ნაკვეთის განსაზღვრას.

პირადი კუთვნილების მნიშვნელობით ესმის „აგარაკი“ აკად. ივ. ჯავახიშვილს[63].

---

[60] ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, გვ. 282.

[61] ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრ., გვ. 282.

[62] С. Т. Еремян, О рабстве и рабовладении в древней Армении ВДИ, 1950, № 1.

[63] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. 2, ნაკვეთი მეორე, თბილისი, 1929, გვ. 392.

VIII საუკუნის ქართული წყაროს, იოანე საბანიძის „აბო თბილელის მარტვილობის“ მიხედვით „აგარაკი“ სრულიად გარკვეული, კერძო, ინდივიდუალური საკუთრებაა. არაბეთიდან წამოსულ აბოს შესახებ ავტორი ამბობს: „დაუტევა მამა და დედა და ძმანი და დაჲნი და ნათესავნი და მონაგებნი და აგარაკები“[64]. „აგარაკის“ ასეთი გაგება მოცემულია ოთხთავის ქართულ რედაქციაში, საიდანაცაა შესული ის ქართულ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში[65].

„აგარაკი“, როგორც კერძო საკუთრების ობიექტი, რომლის გასხვისების, მემკვიდრეობით გადაცემის, შეწირვის უფლება აქვს მის მფლობელს, დადასტურებულია ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“-ში და გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“-ში. ბასილ ზარზმელის ცნობის თანახმად, დიდი მთავარი გიორგი ჩორჩანელი „ყოველთა ჰმატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთაითა“[66], და რომ გიორგიმ თავის დისწულებს მემკვიდრეობით დაუტოვა ეს „აგარაკნი თავისუფლებით“[67]. აქ სწორედ ისაა მითითებული, რომ მემკვიდრეები ამ აგარაკებს საკუთრებაში იღებენ ყოველგვარი უფლებებით (თავისუფლებით).

მერჩულეს თხზულებიდან აშკარად ჩანს, რომ ტაო-კლარჯეთის კურაპალატები (აშოტი, ბაგრატი) მონასტრებს, როგორც წესი, სწირავენ აგარაკებს[68]. „აგარაკი“ აქაც გაგებულია როგორც კერძო საკუთრება, რომლით განკარგულების უფლებაცა აქვს მის მფლობელს.

XI საუკუნის ქართული საბუთების მიხედვითაც „აგარაკი“ („აგარა“) ისეთი მიწაა, რომელსაც ყიდიან და ყიდულობენ[69], სწირავენ[70], და სხვა.

როგორც აღვნიშნეთ, „აგარაკი“, როგორც მიწისმფლობელობის ობიექტი დადასტურებულია მონათმფლობელობის ხანის სომხეთში

---

[64] იოანე საბანისძე, აბო თბილელის მარტვილობა, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა. თბ., 1935, გვ. 64.

[65] იხ. მრ. 10. 29; მ. 13. 44 და სხვ. (ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია. გამოსცა ა. შანიძემ. თბილისი, 1945).

[66] ბასილ ზარზმელი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, კვ. 154.

[67] იქვე. გვ. 173.

[68] გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ინგოროყვას გამ., გვ. 41, 63, 64.

[69] მცხეთის საბუთი XI ს. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა II, გამოცემული თ. ჟორდანიას მიერ, თბილისი, 1897, გვ. 33.

[70] იქვე

და ს. ერემიანს ის კერძო საკუთრებაში მყოფ მიწად მიაჩნია. აღსანიშნავია, რომ ს. ერემიანი „აგარაკის“ განვითარებაში გარკვეულ ევოლუციას ხედავს და აღნიშნავს, რომ «агарак эволюционировал от понятия поля, посева, пахотного поля к имению, усадьбе поместью и сельскому поселению»[71]. იქვე ს. ერემიანი შენიშნავს, რომ «По настоящее время в Армении (как и в Грузии) можно встретить селения с названием. „Агарак». ამ საკითხთან დაკავშირებით უაღრესად მნიშვნელოვანია ნ. ბერძენიშვილის გამოკვლევა „აგარანი“, საიდანაც ჩანს „აგარა“-„აგარაკების“ სიმრავლე საქართველოში[72].

ს. ერემიანის თვალსაზრისით, აგარაკების მესაკუთრენი ძველ სომხეთში სამხედრო მონათმფლობელური არისტოკრატია და ქურუმები იყვნენ და ამ აგარაკებზე „Основными производителями являлись рабы“.[73]

როგორც ვხედავთ, „აგარაკი“ სომხეთის სინამდვილეში, ს. ერემიანს ფეოდალიზმამდელ კატეგორიად მიაჩნია. სახელდობრ, ის მას მონათმფლობელობის დროინდელ კატეგორიად თვლის. ჩვენთვის უაღრესად საინტერესოა „აგარაკის“ დადასტურება ელინისტური ხანის სომხეთში. ეს გარემოება, ვფიქრობთ, უფლებას გვაძლევს „აგარაკი“, როგორც კატეგორია, ვივარაუდოთ ფეოდალიზმამდელი ხანის საქართველოში. მით უმეტეს, რომ, როგორც ჩანს, ფეოდალიზმის ხანაში „აგარაკი“ ქართულ და სომხურ სინამდვილეში ერთნაირადაა წარმოდგენილი[74].

როგორც აღვნიშნეთ, ადრეფეოდალურ ხანაში „აგარაკი-აგარა“ კერძო, ინდივიდუალურ მფლობელობაში მყოფი მიწაა. ამავე დროს საინტერესოა, რომ ის აგრეთვე სოფელთანაცაა დაკავშირებული (სასოფლო თემთან). XI საუკუნის საბუთში „აგარა“ სოფელს უკავშირდება. როგორც ჩანს, გვხვდება ფორმა „ვიყიდე სოფელი „აგარაითა“. აგარა ამ შემთხვევაში სასოფლო თემის წევრების ინდივიდუა-

---

[71] ს. ერემიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 14.

[72] ნ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (აგარანი) ისტორიის ინსტიტუტის „მიმომხილველი“, 11, 1951, გვ. 37—60.

[73] ს. ერემიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 21.

[74] იქვე.

ლურ მფლობელობაში მყოფ ალოდს გვაგონებს. ისევე როგორც დასავლეთ ევროპის სინამდვილეში ალოდი მეთემეთა კერძო მფლობელობიდან ფეოდალური მიწისმფლობელობის ბირთვად იქცა, ჩვენშიც, შესაძლებელია, აგარა, როგორც უძველესი ფორმა მეთემეთა ინდივიდუალური მფლობელობისა, ფეოდალურ ხანაში გეევლინებოდა, ერთი მხრით, როგორც მეთემეთა კერძო მფლობელობაში მყოფი მიწის ნაკვეთი, ხოლო, მეორე მხრით, როგორც ფეოდალის კერძო საკუთრება. ჩვენ გვერდს ვუვლით საკითხს აგარაკის რაობის შესახებ მონათმფლობელობის ხანაში, მაგრამ სასოფლო თემებსა და ფეოდალურ საზოგადოებაში, ვფიქრობთ, ჩვენმა „აგარაკმა" ალოდის მსგავსი ევოლუციის გზა განვლო. თუ ეს ასეა, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფეოდალიზმის ხანაში „აგარაკი" გლეხის ფუძის შემადგენელ ნაწილად და აგრეთვე ფეოდალის „მამულის" შემადგენელ ნაწილად იქცა, ფეოდალის მამულში მას გლეხები ამუშავებენ. იმ მხრივაც საინტერესოა მცხეთისა და ნიკორწმინდის საბუთების მონაცემები, რომ ამ ცნობების თანახმად „აგარები" ფეოდალური სამფლობელოების შემადგენლობაში შედიან [75].

პროფ. ს. ერემიანის თვალსაზრისი, აგარაკების, როგორც ლატიფუნდიების შესახებ, რომელთაც მონები ამუშავებდნენ, არაა ყველას მიერ გაზიარებული სომხურ ისტორიოგრაფიაში[76].

აკად. მანანდიანი თვლის, რომ „Термин „агарак" в армянских источниках означает „поле, пахотная земля, усадьба и поселок[77]".

ჩვენ, ამ შემთხვევაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არ ვეხებით ქართული აგარაკების რაობის საკითხს მონათმფლობელობის ხანაში, მაგრამ ჩვენთვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, რომ, როგორც ჩანს, ქართული და სომხური წყაროებიდან „აგარები"

---

[75] ქრონიკები, II,

[76] Я. Манандян, Проблема общественного строя доаршакидской Армении, Исторические записки АН СССР, № 15, М., 1945, стр. 3—4;
С. Акопян, История армянскова крестьянства, т. I, Ереван, 1957, стр. 227—244.

[77] Я. Манандян, Указ. соч., стр. 3.

გარკვეულ ევოლუციას განიცდიან[78] და ზოგადად საყანე და საენახე ადგილებიდან თანდათან კერძო საკუთრების ობიექტებად იქცევიან.

როგორც აღნიშნულია, ფეოდალური მიწისმფლობელობა არსებითად განსხვავდება მისი წინარე ხანის მიწისმფლობელობის ფორმებისაგან. მისთვის დამახასიათებელია მფლობელობის კოლექტიურობა, საკუთრების პირობითობა და იერარქიულობა. ამავე დროს მიწის საკუთრების მონოპოლიზაცია ერთი პიროვნების (მეფის) ან ფეოდალთა კლასის ხელში.

IX—X სს. საქართველოში დადასტურებულია ფეოდალური მიწისმფლობელობის ორი ძირითადი ფორმა, პირობითი მიწისმფლობელობა, სამსახურის (ძირითადად სამხედრო) სანაცვლოდ მიღებული წყალობა, ე. წ. „საკარგავი" და „მამული" (ფეოდალური სახლის საკუთრება).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადრეფეოდალურ ხანაში უნდა განვითარებულიყო მიწის ფეოდალური საკუთრების ის ფორმა, რომელიც ძველი დროიდან მომდინარე ფორმებიდან (მონათმფლობელური და სათემო) არსებითად განსხვავდებოდა და თანდათან, ხანგრძლივი პროცესის შედეგად, ქმნიდა იმას, რასაც ჩვენ მიწის ფეოდალურ მფლობელობას ვუწოდებთ. თავისთავად ცხადია, რომ ეს მფლობელობა პირობითი უნდა ყოფილიყო. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ მიწის ფეოდალური საკუთრების ფორმების განვითარება ფეოდალურ საქართველოში ორი გზით მიმდინარეობს: ერთი მხრივ, ვითარდება სამამულო სისტემა, როდესაც ფეოდალი გვევლინება მიწის მესაკუთრედ, ხოლო, მეორეს მხრივ,—მიწის მფლობელობის პირობითობაში გამოხატული ე. წ. საკარგავების სისტემა. საკარგავების შემთხვევაში ფეოდალი გვევლინება, როგორც მფლობელი.

შეიძლება ითქვას, რომ ფეოდალურ საქართველოში VI—XIII საუკუნეებში მიწისმფლობელობის ეს ფორმები ერთმანეთის პარალელურად ვითარდება და უშუალოდ უკავშირდება ბრძოლას მწარმოებელი საზოგადოებისათვის.

ფეოდალურ საქართველოში თავიდანვე ძლიერი ჩანს მსხვილი მემამულეობის ტენდენციები. VI საუკუნიდან საქართველოში თან-

---

[78] ა. ბოგვერაძე. ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან. თბილისი, 1962, გვ. 60—62.

დათან მტკიცდება ფეოდალური „მიწისმფლობელობა მემკვიდრეობითი მყარი მემამულეობის სახით“[79].

ფეოდალურ საქართველოში როგორც მსხვილი, ისევე წვრილი და საშუალო მიწისმფლობელობის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი იყო „მამული“.

ქართული წერილობითი წყაროების შესწავლის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა ტერმინ „მამული“-ს შინაარსობრივი მნიშვნელობა.

„მამულის“ შესახებ ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „ჯერ კიდევ VIII საუკუნეში „მამული“ და „დედული“ წინანდებურად მამისეულსა და დედისეულს, მამაპაპეულს ჰნიშნავდა“[80], მაგრამ IX X სს. ძეგლებში კი „მამული“ უკვე საგვარეულო, მემკვიდრეობით მიღებული საკუთრების აღმნიშვნელი ტერმინია“[81]. აღსანიშნავია, რომ გიორგი მერჩულე ზოგ შემთხვევაში „მამულს“ ისევ მამისეულის მნიშვნელობით ხმარობს (იხ. მაგ., ნ. მარის გამოცემის გვ. ოზ—ჲჱ, როდესაც ზენონი გადაწყვეტს „რაჲთამცა მამული და დედული და მონაგები დასა თვისსა დაუტევა ნებისაებრ მისისა“). მავრამ. როგორც წესი, IX—X საუკუნეებიდან „მამული“ უკვე სახლის მიერ მემკვიდრეობით მიღებულ საკუთრებას ნიშნავს. მაგალითად, როდესაც ბასილ ზარზმელი მოგვითხრობს სერაპიონისა და მისი ძმების შესახებ, წერს: „ხოლო უხუცესი ძმაი იგი წესითა მსოფლიოითა დამპყრობელ ექმნა მამულსა სამკვიდრებელსა“[82]. ე. ი. როდესაც სერაპიონი და მისი უმცროსი ძმა ბერად აღიკვეცენ, უფროსმა ძმამ მემკვიდროებით მიიღო მშობლების მთელი სამფლობელო—“მამული“. აქ დენად „მამული“ აქ არა მარტო მამისეულია, არამედ ის—რაც სახლს ჰქონდა როგორც მამისეული, დედისეული, ნამზითვი და შეძენილი. ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო საინტერესოა ამავე ავტორის მეორე ცნობა. როდესაც სამცხის დიდი მთავრის მირიან, ბაჰლაუნდელის მემკვიდრეებს შორის დავა ატყდება მათი ბიძის, გიორგი ჩორჩანელის

---

[79] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე. შრომები, ტ. I, გვ. 289.

[80] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. 1, ნ. II გვ. 388.

[81] იქვე, გვ. 389.

[82] ბ ა ს ი ლ ზ ა რ ზ მ ე ლ ი,, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, გვ. 151.

მემკვიდრეობის გამო, ლაკლაკი თავის ცოლისძმებს ეუბნება: „ნაწილსაც მამულსა თანა თქუენსა დასა ამას თქუენსა, ვინაითგან თქუენცა დედისა მიერ გაქუს“[83]. როგორც ამ კონტექსიდან ჩანს, ბიძის (დედის ძმის) მიერ დატოვებული მემკვიდრეობაც „მამულია“.

ივ. ჯავახიშვილმა გამოარკვია, რომ „მამულის“ მნიშვნელობა მომდევნო საუკუნეებში კიდევ უფრო გაფართოვდა და „მამული“ უკვე ეწოდებოდა მკვიდრ, ნაწყალობევ, შეწირულ, ნამზითვ, ნასყიდ, ნასისხლ, სამსახურის სანაცვლოდ მიღებულ და ყოველგვარ უძრავ-მოძრავ ქონებას. მამულის მნიშვნელობის ასეთი გაფართოების შემდეგ, აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი, წყაროებში ყოველთვის არის აღნიშნული თუ როგორი მამული იგულისხმება: მკვიდრი, ნაწყალობევი, მონაგები თუ სამსახურის პირობით მიღებული.

ამგვარად, IX—X სს. საქართველოში შექმნილია და არსებობს მიწის საკუთრების ფორმა „მამულის“ სახით. „მამული“ ამ დროს ფეოდალური სახლის საკუთრებაა და მემკვიდრეობით გადადის.

„მამულის“, როგორც მიწის ფეოდალური საკუთრების გვერდით, აღებული ხანის საქართველოში, არსებობს მიწის ფეოდალური მფლობელობაც.

მიწის ფეოდალური მფლობელობის აღმნიშვნელი ტერმინი IX-X სს. ქართულ წყაროებში სამწუხაროდ დადასტურებული არ არის.

ფეოდალური მიწისმფლობელობის დამახასიათებელი ფორმა არის პირობითი მიწისმფლობელობა. პირობითი მიწისმფლობელობა ქმნის იმ მოვლენის საფუძველს, რასაც ქართულ ისტორიოგრაფიაში „პატრონყმობა“ ეწოდება (ევროპული ვასალიტეტი). ივ. ჯავახიშვილი ახასიათებს რა ქართულ პატრონყმობას, წერს: „პატრონყმობა მაშინდელ საქართველოს ცხოვრების როგორც სოციალურს, ისე ეკონომიურ მოვლენას ახასიათებდა და გამომხატველი იყო.

მაგრამ ამასთანავე „პატრონყმობას“ სახელმწიფო წესწყობილებაზედაც დიდი გავლენა ჰქონდა. ამაზე მეტიც ითქმის, საქართველოს წესწყობილების ერთი ფრიად დამახასიათებელი მოვლენის გამომხატველიც იყო. ეს იმითაც მტკიცდება, რომ „პატრონი“ მარტო კერძო მესაკუთრესა და მფარველს კი არ ეწოდებოდა, ე. ი. მარტო საზოგადოებრივ და უფლებრივ დამოკიდებულებათა დამახასიათებლად კი.

---

[83] იქვე, გვ. 173.

არ ჩანს, არამედ მეფესა და ხელმწიფესაც ჰნიშნავდა"[84]. ე. ი. ქართული „პატრონყმობა" ქვეყნის პოლიტიკური წყობილების დამახასიათებელი მოვლენაა. ამავე საკითხთან დაკავშირებით ს. ჯანაშია წერს: „პატრონყმობა, განხილული იმ სახით, როგორც ის წარმოდგენილია თავისი განვითარების კლასიკურ ხანაში (უპირატესად—X—XII სს.), არის (აღწერილობითი თვალსაზრისით) ისეთი ურთიერთობა, რომელიც დამყარებულია საადგილმამულო დამოკიდებულებაზე, სამხედრო სამსახურის პირობით"[85].

ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუში ასეთი საადგილმამულო ურთიერთობის დამყარებისა მოცემულია ქართულ წყაროში მერვე საუკუნის მოვლენებთან დაკავშირებით. არჩილ მეფემ, წერს ქართული წყარო, „ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყუნა იგინი"[86]. და ამ მოვლენასთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: „ასე რომ ტაძრეულთა სამხედრო სამსახურიც უკვე სამამულო ურთიერთობის საფუძველზე ეწყობოდა"[87].

პირობითი მიწისმფლობელობა საქართველოში, ისევე როგორც ყველა ფეოდალურ ქვეყანაში, სამსახურთან (უპირატესად სამხედრო სთან) არის დაკავშირებული. მიწების პირობით გაცემა სამსახურის სანაცვლოდ ქმნის საფუძველს ფეოდალური იერარქიისათვის.

ასეთი სამსახურისათვის გაცემული მიწის აღსანიშნავად ქართულ ისტორიოგრაფიაში იხმარება ტერმინი „საკარგავი". ამ ტერმინის უადრესი ხმარება XI ს. მეფე გიორგი II სიგელშია დადასტურებული. მეფე გიორგი ბრძანებს: „აწ ვინცა ნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი შემდგომად ჩუენთა მომავალთა მეფეთა, ერისთავთ ერისთავთა, აზნაურთა მემამულეთა და მოსაკარგავეთა და ყოველთა საქმის მოქმედთა დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშალავთ"[88].

„მოსაკარგავე" აზნაურის და ამასთან დაკავშირებით „საკარგავ-ს" ცნების მნიშვნელობის დადგენა ერთ-ერთი უმნიშვნელო-

---

[84] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, ნ. II, გვ. 67.

[85] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ქართული პატრონყმობის ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის, შრ., II , გვ. 434.

[86] ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ქცა, II, გვ. 143.

[87] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო I, 1958, გვ. 121.

[88] ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, 12.

ვანესი პირობაა ამ კატეგორიის მიწისმფლობელობის არსის გარკვევისათვის.

„საკარგავ-მოსაკარგავის“ მნიშვნელობის გარკვევა სცადა ივ. ჯავახიშვილმა თავის 1907 წ. გამოცემულ „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“. თავდაპირველად „საკარგავს“ ივ. ჯავახიშვილი თითქოს საკუთრივ გადასახადის აკრეფას უკავშირებდა და წერდა, რომ მოსაკარგავე „საგადასახადო დაწესებულებათა მოხელე უნდა ყოფილიყო, ხოლო ამისდა მიხედვით „აზნაური მოსაკარგავე“ მოხელე აზნაურს ანუ მეფის მსახურ აზნაურს ნიშნავს“[89]. ჩვენთვის უაღრესად საინტერესოა ის გარემოება, რომ ამ თავის ერთ-ერთ უადრეს ნაშრომში ივ. ჯავახიშვილი „საკარგავის“ ცნებას თითქოს ავიწროვებს და მას საკუთრივ გადასახადის აკრეფას უკავშირებს, მაგრამ ზოგადად მას მოსაკარგავე მაინც მოხელე აზნაურად მიაჩნია. საკარგავ-მოსაკარგავეს საკითხს ივ. ჯავახიშვილი შემდეგაც უბრუნდება, სახელდობრ „ქართული სამართლის ისტორიაში“. ივ. ჯავახიშვილი ძალიან ფრთხილობს დასკვნებში. ის წერს: „რომ„ აზნაურნი მოსაკარგავენი“ მაინცდამაინც „მემამულეთა“, ანუ ჩამომავლობით აზნაურთა ჯგუფს არ ეკუთვნოდენ“, რომ „ვისრამიანის“ ქართულ თარგმანშიც გვხვდება ეს სიტყვა და იქ ნათქვამია: „რამინმა ხელმწიფეთა და დიდებულთა საკარგავი მოუმატა და მათგან სათავისო ერთგულება და სამსახური მოიმატაო“. ამ წინადადების მიხედვით, ასკვნის, ივ. ჯავახიშვილი, „საკარგავი“ თითქოს მოხელეთა სარგოს უნდა უდრიდეს“, და ბოლოს „აზნაურნი მოსაკარგავენი“ მაშასადამე მოხელე აზნაურთა ჯგუფის შემადგენელნი უნდა ყოფილიყვნენ“[90].

ქართულ ისტორიოგრაფიაში „საკარგავი“ სამსახურის სანაცვლოდ მიღებული სამფლობელოს, ხოლო „მოსაკარგავე“ მსახურეული აზნაურის მნიშვნელობით იხმარება. „აზნაურნი იყვნენ ან მემამულენი, ესე იგი მემკვიდრეობით მქონებელნი, ანდა მოსაკარგავენი, რომელთაც ეს წოდება სამსახურით ქონდათ მოპოვებული“[91], ვკითხულობთ საქართველოს ისტორიის ს. ჯანაშიას რედაქტორობით

---

[89] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1907, გვ. 7.

[90] ივ ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, I, გვ. 32—33.

[91] საქართველოს ისტორია, I, თბილისი, 1946, გვ. 178. შდრ. ს. კაკაბაძე, Краткий обзор истории Грузии, Сухуми. 1941. გვ. 23—24. და აგრეთვე ს. კაკაბაძე,ვახტანგ გორგასალი. თბილისი, 1959. გვ. 44.

შედგენილ სახელმძღვანელოში. არჩილის მიერ გატარებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი წერს: „გაჩნდნენ „ტაძრეული აზნაურები", „მოსაკარგავე" აზნაურები, რომელნიც სამხედრო სამსახურის პირობით ფლობდნენ „საკარგავებს", ე. ი. მიწა-აღგილს, დაბა-სოფლებს"[92]. ამავე საკითხთან დაკავშირებით ვ. გაბაშვილი წერს: „სამსახურის (უპირატესად სამხედრო) პირობით მიღებულ ქვეყანას (მოსახლეობითურთ) „საკარგავი" ეწოდებოდა"[93].

„საკარგავისა" და „მოსაკარგავის" საკითხს, შოთა რუსთაველის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებების განხილვასთან დაკავშირებით, ეხება პროფ. ალ. ბარამიძე ნაშრომში „შოთა რუსთაველი"[94]. ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, ალ. ბარამიძე იხილავს შოთა რუსთაველის პოემის ცნობებს „საკარგავის" შესახებ და აღნიშნავს, რომ „საკარგავი ეწოდებოდა ისეთ სამფლობელო მიწა-წყალს, რომელსაც მეფე უბოძებდა ხოლმე მის სამსახურში (უპირატესად სამხედრო სამსახურში) ერთგულსა და მისანდო პირს. მოსაკარგავე თავის საკარგავს ფლობდა მანამდის, სანამ მეფის სამსახურში იმყოფებოდა და მისი ნდობით სარგებლობდა"[95].

რომ „საკარგავი" ერთგულების სანაცვლოდ მიღებული სამაგიეროა, ეს კარგად ჩანს XI ს. ძეგლის „მატიანე ქართლისას" ერთი ცნობიდან. მეფე ბაგრატ IV მიერ დამარცხებულ და გაქცეულ განძის ამირა ფადლონს ქართველი კაცი შეიპყრობს. ფადლონი ეუბნება მას: „მიიღე ჩემგან ოქრო და ვერცხლი დიდძალი და საკარგავნი მრავალნი, და ნუ შემიწამებ: გარდამიყვანე მინდორად და წამომყევ თანა"[96]. არა აქვს მნიშვნელობა, სახელდობრ, რა უთხრა ფალდონმა ამ ქართველ კაცს, მნიშვნელობა აქვს იმას, რომ XI ს. ავტორისათვის საკარგავი სამსახურის სანაცვლოდ მიცემული სამაგიეროა.

როგორც აღვნიშნეთ, მიწების პირობით (სამსახურის სანაცვლოდ) მფლობელობის სისტემა დამახასიათებელია ფეოდალური ხა-

---

[92] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, თბილისი, 1958, გვ. 121.

[93] ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება, 1958, გვ. 138,

[94] ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, 1958.

[95] იქვე, გვ. 122.

[96] ქართლის ცხოვრება, 1955, გვ. 311.

ნისათვის. სახელდობრ, როდის გვხვდება ის პირველად ქართულ სინამდვილეში ვერ ვიტყვით, მაგრამ როგორც წესი, უკვე არსებობს ადრეფეოდალური ხანის მეორე საფეხურზე. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ისევ ზემომოტანილ არჩილის შესახებ არსებულ ცნობას ვუბრუნდებით ,სახელდობრ, რომ „მოვიდა არჩილ კახეთად, და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი, და აზნაურ ყუნა იგინი“[97], რის საფუძველზეც ნ. ბერძენიშვილი ასკვნის: „ასე რომ ტაძრეულთა სამხედრო სამსახურიც უკვე სამამულო ურთიერთობის საფუძველზე ეწყობოდა: გაჩნდნენ „ტაძრეული აზნაურები, მოსაკარგავე“ აზნაურები, რომელნიც სამხედრო სამსახურის პირობით ფლობდნენ „საკარგავებს“, ე. ი. მიწა-ადგილს, დაბა-სოფლებს“[98].

უაღრესად ნიშანდობლივია, რომ სწორედ პირობითი მიწისმფლობელობის სისტემის დამკვიდრებას უკავშირებს ნ. ბერძენიშვილი საზოგადოებრივ წყობილებაში მონათმფლობელობის ნაშთების საბოლოო ლიკვიდაციას საქართველოში. „ასე გაქრა უკანასკნელი ნაშთი მონათმფლობელური სამეფოს ორგანიზაციისა და ქვეყანა საბოლოოდ მოეწყო ფეოდალური ურთიერთობის საფუძველზე“, წერს ნ. ბერძენიშვილი[99].

შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ მონათმფლობელობის ნაშთების ლიკვიდაციას და ფეოდალური ურთიერთობის საბოლოო დამკვიდრებას ნ. ბერძენიშვილი პირობითი მიწისმფლობელობის დამყარებას უკავშირებს, რადგან ფეოდალიზმის საფუძველი არის ფეოდალური საკუთრება მიწაზე, ხოლო ფეოდალური მიწისმფლობელობის ძირითადი ფორმა პირობითი მიწისმფლობელობაა.

ალ. ბარამიძე ძირითადად იზიარებს ივ. ჯავახიშვილის დებულებას მოსაკარგავეთა მსახურეულობის შესახებ, მაგრამ არ ეთანხმება ივ. ჯავახიშვილს მოსაკარგავეთა დახასიათებასთან დაკავშირებით. სახელდობრ: „ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, წერს ალ. ბარამიძე, მოსაკარგავე დიდი მამულის პატრონი ვერ იქნებოდა და დაშორებული უნდა ყოფილიყო გვარიან აზნაურთა წრეს. ამ დასკვნას აბსოლუტური მნიშვნელობით ვერ მივიღებთ“[100]. შოთა რუსთაველის პოემის

---

[97] ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ვახტანგ გორგასალის ისტორია, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 243.

[98] საქართველოს ისტორია, მაკეტი, თბილისი, 1956, გვ. 114.

[99] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, 1958, გვ. 121.

[100] ა ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთაველი, გვ. 121.

ტექსტში დამოწმებული გაგება „საკარგავისა“ და „მოსაკარგავისა“ ალ. ბარამიძეს უფლებას აძლევს „მოსაკარგავედ“ სწორედ რომ დიდგვარიანი და დიდებული აზნაურები მიიჩნიოს. ალ. ბარამიძე წერს: „რა თქმა უნდა, სარიდანსა და ტარიელს ვერ დავაშორებთ ვერც დიდგვარიან „აზნაურთა“ წრეს (სარიდანი ინდოეთის მეშვიდე ნაწილის მეფე იყო, სანამ ფარსადანს შეეწყნარებოდა). ინდოეთის მეფის ამირბარს საკარგავად ერგო დიდი და საუკეთესო სამფლობელო. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ საკარგავი (და შესაფერისად მოსაკარგავე) პატარაც შეიძლებოდა ყოფილიყო და დიდიც. ზოგი მოსაკარგავე ალბათ. ნაწილობრივ სარგებლობდა საკარგავით, ზოგიც სრულად (ტარიელს ებოძა სრული საკარგავი), ზოგი კატეგორიის აზნაურს შეიძლება მართლაც გადასახადების აკრეფა ჰქონდა დაკისრებული“[101]. ვფიქრობთ, რომ „საკარგავი“ და „მოსაკარგავე“, როგორც ისტორიული კატეგორია, განვითარებაში უნდა განვიხილოთ და ამდენად ანგარიში გაუწიოთ მის ცვალებადობას დროში. სამწუხაროდ, წყაროთა სიმცირის გამო, ჩვენ არ გვაქვს საშუალება თვალი გავადევნოთ საქართველოს ფეოდალურ სინამდვილეში „საკარგავ-მოსაკარგავეთა“ ევოლუციას, მაგრამ ის კი უდავოდ ჩანს, რომ თავდაპირველად მოსაკარგავე აზნაურები ჩამომავლობით აზნაურნი არ იყვნენ და არც დიდმამულიანი აზნაურები იყვნენ. მაგრამ დროთა ვითარებაში მოსაკარგავე აზნაური „ნათესავით“ — „მემამულე“ აზნაურად იქცევა, მისი მემკვიდრენიც ახალ-ახალ საკარგავებს იღებენ, დიდმამულიანები ხდებიან. აგრეთვე საკარგავები, იმავე სამსახურის პირობით, ნათესავით აზნაურებსაც ეძლევათ, რაც ქმნის იმ გარემოების საფუძველს, რომ აზნაურები, როგორც წესი, X—XII საუკუნეებში ფლობენ როგორც „მამულს“, ასევე „საკარგავს“. ე. ი. აზნაურის სამფლობელო შედგება როგორც საკუთრების— „მამულისაგან“. ისე პირობითი მფლობელობის—„საკარგავისაგან“. ესაა ფეოდალური მიწისმფლობელობის ორი ძირითადი ფორმა, რომელთა წარმოშობა უკავშირდება ფეოდალიზმის ჩასახვას.

მიწისმფლობელობის საკარგავების სისტემა ქმნის საფუძველს პატრონყმობისათვის. ს. ჯანაშია წერს: „პატრონყმობის“ (ასე ერქვა სენიორის და ვასალის დამოკიდებულებას) საფუძველი იყო მიწა:

---

[101] ა ლ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, შოთა რუსთაველი. გვ. 122.

„ყმა“ იღებდა მიწას „პატრონისაგან“ პირობითი მფლობელობისათვის, და სამაგიეროდ ვალად იდებდა „პატრონის“ ერთგულ სამხედრო სამსახურს“[102]. ეს პატრონისაგან პირობით სარგებლობასა და მფლობელობაში მიღებული მიწა არის „საკარგავი“. როგორც აღვნიშნეთ, მიწისმფლობელობის ეს ორი ფორმა ფეოდალიზმის ჩასახვასთან ერთად ისახება. „მიწის ფეოდალური საკუთრების ფორმები, წერს ვ. გაბაშვილი, ადრეფეოდალურ ხანაში ყალიბდება, მაგრამ მიწის ფეოდალიზაციის პროცესი მთავრდება XII—XIII ს-ში. IX—X საუკუნიდან საკარგავების სისტემამ (ლენურმა მიწისმფლობელობამ) პატრონყმობის არსებობა გააპირობა, ხოლო სამამულო სისტემის (მემკვიდრეობითი მფლობელობის) გამარჯვებამ XII—XIII სს. ბატონყმობის არსებობა“[103]. ვ. გაბაშვილის ეს დებულება უკავშირდება იმ ბრძოლას მსხვილი მემამულეობისათვის, რომლის საწყისებს ს. ჯანაშია ფეოდალიზმის გარიჟრაჟზე უთითებს. უკვე IV—V საუკუნეების ქართლის სინამდვილეში ს. ჯანაშია ხედავს „მისწრაფებას ადრინდელ-ფეოდალურ ძალთა მხრივ (აქ ფეოდალურ ურთიერთობათა ჩასახვა და ამასთან დაკავშირებით ახალგაზრდა ფეოდალური კლასი იგულისხმება), განმტკიცებულ იქნას ფაქტიურად არსებული მიწისმფლობელობა მემკვიდრეობითი მყარი მემამულეების სახით“[104]. ახალგაზრდა ფეოდალური ძალების საქმიანობის მთავარ სტიმულად ს. ჯანაშიას მსხვილი მიწისმფლობელობის განმტკიცების სურვილი მიაჩნია[105]

ფეოდალურ საქართველოში იმთავითვე ისახება ბრძოლა მიწისმფლობელობის ამ ორ ფორმას—ხაკარგავებსა და მემამულეობას შორის. ივ. ჯავახიშვილმა აღნიშნა ის გარემოება, რომ ასეთი სამსახურის ან დამსახურების სანაცვლოდ მიღებული მიწა „დროთა განმავლობაში „სამკვიდროდ“ და „სამამულოდ“. ე. ი. თითქმის მემკვიდრეობით საკუთრებად ხდებოდა[106]. აქ ივ. ჯავახიშვილი „თითქოს“-ო იმიტომ ამბობს, რომ ასეთი მიწის გაყიდვის, გაჩუქების თუ სხვა

---

[102] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია, უძველესი დროიდან მე-13 ს-მდე, შრ., II, გვ. 429.

[103] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 137.

[104] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრ., I, გვ. 288.

[105] იქვე, გვ. 289.

[106] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. გვ. 88—89.

გზით გასხვისებისათვის მაინც პატრონის ნებართვა იყო საჭირო, მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს მომენტიც გარკვეულ დრომდე მოქმედებდა და, ყოველ შემთხვევაში, XIII საუკუნიდან ასეთ ნებართვას ქართველი ფეოდალები, შეიძლება ითქვას, მაინცდამაინც აღარ საჭიროებდნენ. როგორც სამართლიანად შენიშნავს ვ. გაბაშვილი. მიწისმფლობელობის სამამულო სისტემის გაბატონებამ ბატონყმობა გააპირობა, რადგან ბრძოლა მიწისათვის თავისთავად უკავშირდება ბრძოლას მწარმოებელი საზოგადოებისათვის. მიწისმფლობელობის სამამულო სისტემის გაბატონება ქმნის საფუძველს ფეოდალთა მიერ ამ მიწაზე მსხდომი გლეხობის საბოლოოდ მიწაზე მიმაგრებისათვის. ამგვარად, თუ მიწისმფლობელობის სამამულო სისტემა ბატონყმობას აპირობებს, მიწისმფლობელობის საკარგავების სისტემა აპირობებს მიწების პირობით გაცემას, რაც ქმნის საფუძველს ფეოდალური საქართველოს გაერთიანებისათვის.

მიწების პირობით გაცემა თავის მხრივ უკავშირდება ფეოდალური წყალობის ინსტიტუტს.

წყალობა-შეწყალება, როგორც ფეოდალური ინსტიტუტი, რომელიც ევროპული ფეოდალური სინამდვილის კომენდაციასა და ბენეფიციუმს უკავშირდება, საქართველოში ფეოდალური ურთიერთობის ადრეულ საფეხურზევე იჩენს თავს.

კომენდაციის ყველა სახე, როგორც წესი, ფეოდალური იერარქიის შექმნის პროცესს ემსახურება. ფეოდალური კომენდაციის მრავალი სხვადასხვა მიზეზი არსებობს, მაგალითად, სუსტის შესვლა ძლიერის მფარველობაში, ან საერთო საქმისათვის გაერთიანება და სხვა. ამ მხრივ უაღრესად ნიშანდობლივია ქართველი ისტორიკოსის ცნობა აფხაზთა ერისათვის ლეონის შესვლის შესახებ არჩილის ყმობაში. ჯუანშერის ცნობით, „ლეონ რქუა (არჩილს.—მ. ლ.); „მომცა მე კეისარმან ქვეყანა ესე მკვიდრობით კეთილად სიმხნითა თქუენითა. ხოლო ამიერითგან არს ესე მამულობით სამკვიდრებელ ჩემდა კლისურითგან ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთად, სადაც დასწუდების წუერი კავკასიისა ამის. შემრთე მეცა მონათ შენთა თანა, რომელნი ესე დღეს ღირს იყვნენ შვილად და ძმად შენდა. არა მინდა ნაწილი შენგან, არამედ ჩემიცა ესე შენდავე იყოს“[107]. ვფიქრობთ,

---

[107] ქართლის ცხოვრება, I, ჯ უ ა ნ შ ე რ ი, გვ. 242.

შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ ლეონ აფხაზთა ერისთავი, რომელიც გამოდის დასავლეთ საქართველოში არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის მოთავედ, არჩილს უკავშირდება, მის ყმობაში შედის, მის „შვილად“ აღიარებს თავს. იმავე არჩილს მიუვა არაბთაგან შევიწროებული ადარნასე ბაგრატიონი და არჩილი შეიწყალებს მას შულავერ-არტაანით. ჯუანშერის ცნობით, ადარნასე ბაგრატიონი „ტყვეობასა მას ყრუისასა შთასრულ იყო შვილთა თანა გურამ კურაპალატისათა. კლარჯეთს, და მუნ დარჩომილ იყო. ითხოვა არჩილისაგან და რქუა: „უკეთუ ინებო და მყო ვითარცა მკვიდრი შენი, მომეც ქვეყანა. და მისცა შულავერი და არტანი“[108] და სხვა.

ფეოდალური კომენდაციის უაღრესად საინტერესო ფორმა ვლინდება IX ს. 60-იან წლებში ლიპარიტ ბაღვაშის მაგალითზე. ქართული წყაროს ცნობით, ლიპარიტ ბაღვაშმა „შეიპყრნა ...ქუეყანანი თრიალეთისანი, აღაგო ციხე კლდეკართა და იპატრონა დავით ბაგრატის ძე“[109]. ამიერიდან ლიპარიტი თავისი ყმებით დავითის მოკავშირეა დავითის მტრების წინააღმდეგ, ლიპარიტ ბაღვაში დავით ბაგრატიონის ყმაა.

ჩანს, IX—X საუკუნეებში შეწყალება და წყალობა ჩვეულებრივი მოვლენაა საქართველოში. წყალობა-შეწყალების ინსტიტუტი უშუალოდ უკავშირდება აზნაურთა ახალი ფენის, მოსაკარგავე აზნაურობის შექმნას ამ დროის საქართველოში.

ჩვენ ამჯერად გვაინტერესებს, რამდენად უკავშირდება შეწყალება-წყალობის ინსტიტუტი და მასთან დაკავშირებული მოსაკარგავეობა ფეოდალური საქართველოს გაერთიანების საკითხს.

„შეწყალების“ ინსტიტუტის შეფასებისას ივ. ჯავახიშვილი წერს: „საქართველოს მეფეთა ხელში „შეწყალების“ წესი დიადი და ძლიერი იარაღი იყო მათი პოლიტიკის განსახორციელებლად. ვინც მათი „ერთგული მსახური“, მათ წადიერებათა და ბრძანებათა „მოსწრაფედ“ აღმასრულებელი გამოდგებოდა, უფრო შეწყალებულიც იქნებოდა. „შეწყალებით“ მეფე თავის ერთგულთ ზურგს უმაგრებდა, ეკონომიურად აღორძინებდა, „ყმათა“ რიცხვს უმრავლებდა“[110]. ე. ი. „შეწყალება“ მეფის მომხრეთა, ცენტრალური ხელისუფლების დასის

---

[108] ქართლის ცხოვრება, I, ჯ უ ა ნ შ ე რ ი, გვ. 243.

[109] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 258.

[110] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ ნაშრ., გვ. 93.

გაძლიერება-გამრავლების ერთ-ერთი საშუალება იყო. „შეწყალება“ იყო მსახურეული აზნაურების ჩამოყალიბების ერთ-ერთი გზა. „ამნაირად — წერს ივ. ჯავახიშვილი, — დიდგვარიან მოხელეთა გვერდით მსახურეულ „შეწყალებულთა“- ჯგუფი უნდა გაჩენილიყო, რომელიც მარტო დიდგვარიანობას და „მემამულე“ აზნაურობას იყო მოკლებული, მაგრამ რომელთა წევრნი ქონებრივად ძლიერნი იყვნენ და მრავალ ნაწყალობევ ციხე-ქალაქ-სოფლების „პატრონებად“ იყვნენ „აღზევებულნი“[111]. როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილი სწორედ იმ გარემოებას უსვამს ხაზს, რომ „შეწყალება“ ფაქტიურად „მოსაკარგავე-მსახურეული“ აზნაურობის გაძლიერებას უქმნიდა საფუძველს.

ძირითადად XII—XIII საუკუნეების წყაროების განხილვის საფუძველზე, ივ. ჯავახიშვილმა სრულიად მართებულად შენიშნა ის გარემოება, რომ „შეწყალება“ ამასთანავე ძირს უთხრიდა თვით იმ საქმეს, რომლის განხორციელებასაც მეფეებმა ეგოდენი ძალა შეალიეს. „შეწყნარება“, წერს ივ. ჯავახიშვილი, მოხელეს თუნდაც „უგვაროს“ და „უაზნოს“ ისევ თანდათანობით ქონებრივად ძლიერ და მრავალ „ყმათა“ პატრონად ხდიდა. მის ხელში დიდძალი სიმდიდრე გროვდებოდა. ამასთანავე, ხელისუფლების წყალობით, მას დიდი პოლიტიკური გავლენა ჰქონდა. მის მემკვიდრეებს თავიანთი „უაზნობა“ ადვილად ავიწყდებოდათ და ისინიც მსხვილ მემამულეებად ხდებოდნენ“[112]. როგორც ვხედავთ, საკითხი ისევ ჩვენ მიერ ზემოთ აღნიშნული მსხვილი მემამულეობის შექმნის პროცესს უბრუნდება. ნაწყალობევი სამფლობელოები თანდათან, დროთა ვითარებაში, „პირობითიდან“ „სამკვიდროდ“ იქცეოდა და იმარჯვებდა მიწისმფლობელობის სამამულო სისტემა.

როგორც აღვნიშნეთ, შეწყალება-წყალობის საკითხს ივ. ჯავახიშვილი ძირითადად XII—XIII სს. ქართული წყაროების მონაცემებით იხილავს. ამ დროს ეს ინსტიტუტი ძალიან განვითარებული და გავრცელებულია. სამწუხაროდ ადრეფეოდალური ხანის ქართულ წყაროებში, კერძოდ IX—X სს. წყაროებში, შეწყალების ფაქტები მაინცდამაინც უხვად არ არის წარმოდგენილი. მაგრამ მიუხედავად ამი-

---

[111] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 93.

[112] ი ქ ვ ე

სა ჩვენ ვფიქრობთ, რომ კომენდაცია მასთან დაკავშირებული ბენეფეციუმით, სწორედ ამ ხანაში უნდა გავრცელებულიყო ჩვენში ინტენსიურად და ფეოდალური საქართველოს გაერთიანებისათვის, სხვა ფაქტორებთან ერთად, ამ მოვლენასაც უნდა შეეწყო ხელი.

თუ კომენდაცია და მასთან დაკავშირებული ბენეფიციუმი (დასავლეთ ევროპის ფეოდალურ სინამდვილეში) ერთი მხრით გულისხმობს მწარმოებლების შესვლას ფეოდალების ყმობაში, ამავე დროს ის გულისხმობს ფეოდალური იერარქიის შექმნას, ერთი ფეოდალის შესვლას მეორე ფეოდალის ვასალობაში.

„მცირე „მთავარი", წერს ნ. ბერძენიშვილი, თავისი სასახლით, ციხით და მიტაცებულ-მითვისებული მიწებითა და დაბა-სოფლებითურთ უფრო ძლიერი მფლობელის, „დიდი მთავრის" მფარველობაში შედიოდა. ეს მცირე მთავრები ამიერიდან „დიდ მთავარს" „ახლდნენ", მის ამალას შეადგენდნენ. იქმნებოდა სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლის დანიშნულება ის იყო, რომ გამკლავებოდა როგორც მდაბიორებს და გლეხობას კლასობრივ ბრძოლაში, ისე მეზობელი მთავრის მტაცებლურ ზრახვებს"[113]. როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, მერვე საუკუნის შუა წლებში გატარებული რეფორმით დაკანონდა ერისთავთა „ხელმწიფობა" საქართველოში[114], მაგრამ იმავე დროს გატარდა ღონისძიება საშუალო მიწისმფლობელთა ფენის ე. წ. მოსაკარგავეთა გასაძლიერებლად, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენი უნდა ყოფილიყო მის საქმიანობაში.

გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს იმ საკითხს, ეს ე. წ. „რეფორმა" მართლაც არჩილმა გაატარა თუ ვინმე სხვამ, ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ქართული წყაროები გარკვეულ სახელმწიფოებრივ საქმიანობას, ღონისძიებას, მიმართულს საშუალო მიწისმფლობელთა ფენის გასაძლიერებლად, მერვე საუკუნეს უკავშირებს.

წყაროს ცნობით, არჩილმა ქვეყნის ნაწილი ერისთავებს მისცა. ხოლო ნაწილი სამეფოდ დაიტოვა. საიდანაც მიუბოძა მიწები თავის ტაძრეულებს და აზნაურ-ყვნა იგინი.

„ამ ახალი ვითარების შესაბამისი იყო ლაშქრის ორგანიზაციაც— წერს ნ. ბერძენიშვილი, — თითოეულ მთავარს, თითოეულ ერისთავს

---

[113] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, 1958, გვ. 120.

[114] იქვე.

თავისი „ერი“. თავისი ლაშქარი ჰყავდა. მთავრები თუ ერისთავები საჭიროებისამებრ მოვალენი იყვნენ თავიანთი რაზმებით მეფეს მისვლოდნენ. ლაშქრის მეორე ნახევარი საკუთრივ სამეფო ქვეყნებიდან გამოდიოდა“[115]. ეს ღონისძიება, თუ შეიძლება ასე ითქვას—„აგრარული რეფორმა“ უაღრესად მჭიდროდ უკავშირდება ლაშქრის ორგანიზაციის საკითხს. სანამ ჩვენში „ერი“ არსებობდა, ქვეყნის ხელისუფლება უზრუნველყოფილი იყო თავისუფალი ქვეითი ლაშქრით, მაგრამ „ერის“ შემცირება მწვავედ აყენებდა ლაშქრის ორგანიზაციის საკითხს. ამავე დროს მეშვიდე-მერვე საუკუნეებიდან ევროპასა და მახლობელ აღმოსავლეთში აშკარა ხდება ცხენოსანი ლაშქრის უპირატესობა ქვეითი ჯარის წინაშე, რაც აუცილებელს ხდის სათანადო ღონისძიებებს.

ერთის მხრით მსხვილი მიწისმფლობელების ასალაგმავად, ხოლო მეორეს მხრივ, ლაშქრის ახალი სახეობით ქვეყნის უზრუნველყოფის აუცილებლობით იყო ნაკარნახევი ის აგრარული რეფორმა ფრანკთა სახელმწიფოში, რომელიც კარლ მარტელის ბენეფიციური რეფორმის სახელწოდებით არის ცნობილი.

მეროვინგების დროს არსებული წესის ნაცვლად, რომელიც გულისხმობდა მიწების სამემკვიდრეოდ ბოძებას კერძო საკუთრებაში, კარლ მარტელმა (715—741) წესად შემოიღო პირობითი მიწისმფლობელობის ახალი ფორმა „ბენეფიციუმი“ (beneficium)[116].

ახასიათებს რა ამ სისტემას, ფ. ენგელსი შენიშნავს, რომ ეს რეფორმა კაროლინგების მიერ გატარებული იყო «как способ объединить государство, навсегда привязать магнатов к трону и усилить таким путем королевскую власть»[117]. ჩვენ, რასაკვირველია, არ ვხედავთ სრულ ანალოგიას კაროლინგების ხანის ფრანკთა მონარქიასა და ქართულ ფეოდალურ მონარქიას შორის, ეს ორი გაერთიანება პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვერ შევამჩნიოთ პირობითი მიწისმფლობელობის ფორმების გავრცელების გავლენა ფეოდალური სახელმწიფოს ცენტრალიზაციაზე.

---

[115] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო. გვ. 121.

[116] История средних веков. Госполитиздат, 1955, стр. 115.

[117] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. VXI, ч. I, стр. 394.

მეშვიდე-მერვე საუკუნეებში ერთიანი ქართული ადრეფეოდალური სახელმწიფოს შექმნა მიუხედავად საამისო გარკვეული ტენდენციებისა, ვერ განხორციელდა. მაგრამ, როგორც სამართლიანად შენიშნავს ნ. ბერძენიშვილი, მერვე საუკუნე, ასე ვთქვათ, „არჩილის რეფორმების ხანა“, იყო გარკვეული ტეხილი ფეოდალური ურთიერთობის განვითარების თვალსაზრისით.

მერვე საუკუნის მოვლენებთან დაკავშირებით ნ. ბერძენიშვილი წერს „ასე მოეწყო საბოლოოდ ფეოდალური ურთიერთობის საფუძველზე ქვეყნის პოლიტიკური ორგანიზაცია“[118]. ე. ი. ქვეყნის პოლიტიკური ორგანიზაცია ფეოდალური ურთიერთობის საფუძველზე საბოლოოდ მოეწყო, ერთი მხრივ, მიწისმფლობელობის სამამულო სისტემის კანონიზირებით, ხოლო, მეორე მხრივ, მიწისმფლობელობის საკარგავების სისტემის განმტკიცებით. ამდენად, მერვე საუკუნეში დასრულდა ჩვენში ადრეფეოდალური ურთიერთობის ერთი, პირველი საფეხური და სწორედ ამიტომ აღვნიშნავთ, რომ IX—X სს. ესაა, ადრეფეოდალური ხანიდან განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში გარდამავალი საფეხური.

IX—X საუკუნეებში ხდება წინარე ფორმაციების გადანაშთების ლიკვიდაცია. საბოლოოდ ყალიბდება მიწისმფლობელობის „სამამულო“ და „საკარგავების“ სისტემა. თავისუფალი მწარმოებელი საზოგადოება ძირითადად ქრება. მწარმოებელი ან ფეოდალის მიწაზე ზის და მისი ყმაა, ან მეფის მიწაზე ზის და მეფის ყმაა. მაგრამ ამ დროს ჯერ კიდევ ვრცელია სახელმწიფო მიწების ფონდი, რაც ქმნის ცენტრალური ხელისუფლების სიძლიერის წყაროს.

IX—X საუკუნეებში საქართველო, როგორც ცნობილია, რამდენიმე პოლიტიკური ერთეულითაა წარმოდგენილი. ბრძოლა გაერთიანებისათვის სწარმოებს ამ პოლიტიკურ ერთეულებს შორის და თითოეული პოლიტიკური ერთეულის უზენაესი ხელისუფალი (აფხაზთა მეფე, ქართველთა მეფე, კახეთის მთავარი) თავის ბრძოლაში სახელმწიფოს ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის, ეყრდნობა გარკვეულ საზოგადოებრივ ფენებს. წყაროთა სიმცირის გამო ძნელია კატეგორიულად რაიმეს მტკიცება, მაგრამ ზოგიერთი ვარაუდის გამოთქმა მაინც შესაძლებლად გვეჩვენება. სახელმწიფოს ძირითად დასაყრდენ ძალას უნდა ქმნიდნენ სახელმწიფო გლეხები ანუ

[118] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 121.

ე. წ. „მდაბიორ-მოლაშქრენი, როგორც მათ ნ. ბერძენიშვილი უწოდებს, და წვრილი და საშუალო ე. ი. მოსაკარგავე აზნაურები.

მოსაკარგავე აზნაურების სახით ჩამოყალიბდა ფეოდალ-მიწის მფლობელთა ისეთი ახალი ფენა, რომელიც დაინტერესებული იყო სახელმწიფო ხელისუფლების სიძლიერით, რათა ამ ხელისუფლებას დაეცვა მისი მიწისმფლობელური უფლებები, უზრუნველეყო მისთვის გლეხთა შრომის ექსპლოატაციის საშუალება და დაეცვა ისინი მსხვილ აზნაურთაგან. ცენტრალურ ხელისუფლებას „მოსაკარგავე“ (საშუალო და წვრილი) აზნაურობის სახით ჰყავდა ბუნებრივი მოკავშირე მის ბრძოლაში არისტოკრატიის სეპარატისტული ტენდენციების წინააღმდეგ.

მაგრამ საკითხის ამგვარი დაყენება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, თითქოს პირობითი მიწისმფლობელობა სახელმწიფოებრივი მოთხოვნილების შედეგად გატარებული ღონისძიება იყო. ეხება რა რუსეთის ცენტრალიზებული სახელმწიფოს ბუნების საკითხს და ამასთან დაკავშირებით პირობითი მიწისმფლობელობის განვითარებას, ვ. ლენინი პირობითი მიწისმფლობელობის შექმნას ფეოდალური საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას უკავშირებდა და აღნიშნავდა, რომ პირობითი მიწისმფლობელობის „ახსნა იმდროინდელი საზოგადოებრივი ორგანიზაციის თავისებურებაში უნდა ვეძიოთ“[119].

როგორც აღვნიშნეთ, X—XI სს. სახელმწიფო მიწების ფონდი შედარებით ვრცელი უნდა ყოფილიყო საქართველოში. ფეოდალური საქართველოს გაერთიანებასთან ერთად სამეფო დინასტიის (ბაგრატ III სახით) ხელთ აღმოჩნდა აფხაზთა სამეფოსა და ქართველთა სამეფოს სახელმწიფო მიწების ფონდი, რაც ბაგრატ III წყალობის ფართო შესაძლებლობებს აძლევდა. განსაკუთრებით გაფართოვდა სახელმწიფო მიწების ფონდი დავით აღმაშენებლის დროს. „დავითის დროს, წერს ნ. ბერძენიშვილი, დიდად გაიზარდა სახელმწიფო მიწების ფონდი. მეფემ მოწინააღმდეგე დიდ აზნაურებს ჩამოართვა

---

[119] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი. ტ. I, 1948, გვ. 167.

მამულები და ისინი სამეფოდ (სახასოდ) აქცია. ასევე სამეფოდ იქნა ჩარიცხული ჰერეთ-კახეთის და თბილისის ამირას ყოფილი ქვეყნები, აგრეთვე თურქთა მიერ დატოვებული ქართული მიწა-წყალი ქართლსა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ასეთივე იყო დავითის პოლიტიკა ახლადშემოერთებული ქვეყნების—სომხეთისა და შირვანის მიმართ. ამრიგად, საქართველოს მეფის განკარგულებაში აღმოჩნდა უზარმაზარი ფონდი, რომელსაც დავით მეფე სამემკვიდრეოდ კი არა, არამედ საკარგავად (ე. ი. სამოხელეოდ, დროებით) უწყალობებდა ხოლმე თავის ერთგულსა და მორჩილ მოხელე-მოლაშქრეებს"[120]. მაგრამ XII—XIII სს. საქართველოში „შეწყალების" ფართო გავრცელებამ საბოლოო ჯამში იმის საწინააღმდეგო შედეგი გამოიღო, რისთვისაც იყენებდა მას თავდაპირველად ცენტრალური ხელისუფლება[121].

ჩვენში „შეწყალების" ფართოდ გავრცელებამ თანდათან წვრილი და საშუალო აზნაურების ნაწილიც მსხვილ მიწისმფლობელებად აქცია. წყალობა-პირობად და დროებით მიღებული მიწები თანდათან სამამულო საკუთრებად იქცა და XII—XIII სს. შეიქმნა მსხვილ მემამულე აზნაურთა ძლიერი რაზმი. XIII საუკუნისათვის საბოლოოდ ჩაიმარჯვა მიწისმფლობელობის სამამულო სისტემამ და „ნაწყალობევმა" თავისი თავდაპირველი დანიშნულება დაკარგა. ჩვენ თავს ვიკავებთ XIII საუკუნეში შექმნილ ვითარებაზე მსჯელობისაგან, რადგან ეს სცილდება ჩვენი კვლევის საგანს. ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ IX—X სს. კომენდაცია-წყალობის ინსტიტუტს საგრძნობლად უნდა განემტკიცებინა ცენტრალური ხელისუფლების პოზიციები საშუალო და წვრილმფლობელ ფეოდალთა გამრავლება-გაძლიერებით. ამავე დროს აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ დროისათვის მიწისმფლობელობაში ძირითადად ლიკვიდირებული უნდა იყოს წინარე ფორმაციების გადმონაშთები. თუ არსებობს კიდეც, და როგორც ცნობილია დიდხანს არსებობს, თემური მიწისმფლობელობა, ან „აგარაკები" და სხვა ასეთი კატეგორიები, ესენი

---

[120] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, 163.

[121] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ.

ახლა უკვე მხოლოდ ფორმალურად რჩებიან ძველ „სათემოდ“ ან ძველ „აგარაკებად“, ახლა ესენი უკვე შესული არიან ფეოდალურ მიწისმფლობელობაში. „აგარაკმა“ სახე იცვალა და ის ფეოდალურ „მამულში“ შევიდა, ხოლო სათემო მიწის პატრონი ეხლა უკვე მეფე ან კერძო ფეოდალია. მიწა უკვე ან სახელმწიფოსია ან ფეოდალების (საერო თუ სასულიეროსი), ხოლო ფეოდალის სამფლობელო მიწა შედგება „მამულის“, მემკვიდრეობითი საკუთრებისა და „საკარგავის“, სამსახურის სანაცვლოდ მიღებული პირობითი მფლობელობისაგან. მიწისმფლობელობის ამ ფორმების საბოლოოდ ჩამოყალიბება და მისი თანმხლები სხვა პროცესების ძირითად ჩარჩოებში დამთავრება, აპირობებს ადრეფეოდალური ხანის დასრულებას და ქვეყნის გადასვლას განვითარების უფრო მაღალ, განვითარებული ფეოდალიზმის საფეხურზე.

ფეოდალის მფლობელობასა თუ საკუთრებაში მყოფი მიწა პირობითად ფეოდალის „მამული“ იყო.

ჩვენ შესაძლებლობა გვაქვს დაახლოებით მაინც წარმოვიდგინოთ. თუ რას წარმოადგენდა ადრეფეოდალურ ხანაში ქართველი ფეოდალის, მთავრის მამული.

ისტორიკოსი ბასილ ზარზმელი გვაძლევს ცნობებს სამცხის დიდი მთავრის გიორგი ჩორჩანელის მამულის შესახებ. ზარზმელის ცნობით, გიორგი დიდი მიწაწყლისა და მრავალ ყმათა მფლობელი იყო. „ყოველთა ჰმატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთაითა, რომელთა სივრცე საზღვართვრცელ და მრავალ იქო“[122]. გიორგი ჩორჩანელს, ჩანს, რამდენიმე სასახლე აქვს, „რომელსა ტაძარნი შენიყვნეს სანახებსა ჩორჩანისა და ზანავისასა“[123]. მას ტყეში საგანგებო სანადირო დანიშნულების სახლიცა აქვს—„ოდესმე ეწიის ღამე, სადგურ-ყვიან მას შინა სიძნელისათვის ღამისა და უვალობისა და სიხშოისა ტყეთაისა“[124].

როგორც ჩანს, სასახლე (ტაძარი) მთავრის მამულის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტია. ასევე სასახლის მფლობელია IX საუკუნის დიდი მთავარი მირიანი, რომელმაც მასთან მისული გრიგოლ ხანძთე-

---

[122] ბ ა ს ი ლ ზ ა რ ზ მ ე ლ ი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, გვ. 154.

[123] იქვე.

[124] იქვე.

ლის მოწაფეები თეოდორე და ქრისტეფორე მიიწვია „ტაძრად თვისად“[125].

სახნავ-სათესი მიწების, ბაღ-ვენახებისა და ტყის გარდა ფეოდალები საქონლის ჯოგებსაც ფლობენ. სამცხის დიდმა მთავარმა გიორგი ჩორჩანელმა თავის დისწულებს მიწის გარდა მემკვიდრეობით დაუტოვა „სიმრავლე სახედართა და მროწეულთაი“[126].

ფეოდალის სამფლობელოში მეურნეობას გლეხები ეწევიან.

IX—X საუკუნეებში ქართველი გლეხის ვალდებულება ფეოდალის მიმართ ძირითადად ბეგარით განისაზღვრებოდა. ბეგარა გულისხმობდა როგორც ნატურალურ გადასახადს, ისე შრომით ვალდებულებას. შრომით ვალდებულებას ფეოდალი იყენებდა საბატონო მეურნეობასა და საამშენებლო სამუშაოებზე, ხოლო ნატურალური გადასახადი საგლეხო მეურნეობაზე იყო გადაკვეთილი.

ფეოდალის სამფლობელოში მის მიერ დაპყრობილ-შემოერთებული თემებიც შედიან. როგორც აღვნიშნეთ, ასეთ შემთხვევებში მებეგრეებად თემები გამოდიოდნენ. მაგრამ ინდივიდუალური მეურნეობის შემთხვევებში, ბეგარა გლეხის ძირითად სამეურნეო ერთეულს ედო. გლეხის ეს ძირითადი სამეურნეო ერთეული კი იყო „ფუძე“. ადრინდელი ფეოდალიზმის ხანის ქართულ წყაროებში საგლეხო ფუძის შესახებ ჩვენ თითქმის არავითარი ცნობები არ მოგვეპოება. განვითარებული ფეოდალიზმის ხანის საბუთების განხილვის საფუძველზე ამ ხანის „ფუძის“ შესახებ გარკვეული მოსაზრებები აქვს ივ. ჯავახიშვილს, რომელიც წერს: „იმ მიწას, რომელიც გლეხს ჩვეულებრივ ეჭირა ხოლმე და რომელზედაც იგი იჯდა, „ფუძე“-ს ეძახოდნენ“[127]. იქვე ივ. ჯავახიშვილი განაგრძობს: „განსაზღვრულს რაოდენობის მიწას, რომელზედაც გლეხი იჯდა ხოლმე, „ფუძეს“ ეძახოდნენ. რაკი ეს მასალები სასეფო გლეხებსაც შეეხება და საეკლესიოსაც, ეტყობა „ფუძე“ და „ყომლი“ გლეხების საერთო ტერმინად უნდა ჩაითვალოს. რამოდენა იყო ეს ფუძე? ზემომოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ფუძის რაოდენობა კომლის რაოდენობაზე არ იყო

---

[125] გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ნ. მარის გამ., გვ. კე.

[126] სეპაპიონ ზარხმელის ცხოვრება, გვ. 173.

[127] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1907, გვ. 16.

დამოკიდებული, შეიძლება ერთ ფუძეზე ორი კომლი მჯდარიყო ერთის მაგიერ. ფუძე არ იცვლებოდა, ოჯახი კი, შეიძლება, კომლობრივ გამრავლებულიყო"[128].

ამგვარად, გლეხის ძირითადი სამეურნეო ერთეული ფუძეა. ფუძე იყო, ამავე დროს, ძირითადი ფისკალური ერთეული. ივ. ჯავახიშვილი წერს: „რაკი ფუძე გლეხის განსაზღვრულ მიწის რაოდენობას შეადგენდა, ამიტომ ფუძეზევე იყო დადებული გადასახადი"[129] „ყველა უმთავრესი გადასახადები და ხარკი მიწას—განაგრძობს ივ. ჯავახიშვილი, უძრავ საკუთრებას აწვა"[130].

ჩვენ გვაინტერესებს საკითხი „ფუძისა" და „კომლის" ურთიერთობის შესახებ ადრეფეოდალურ ხანაში.

როგორც XII—XIII ს. საბუთების განხილვიდან ჩანს, ამ დროს „ფუძისა" და „კომლის" ურთიერთდამთხვევა დარღვეულია. ეხლა უკვე ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთ ფუძეზე ორი და სამი კომლი ზის. მაგრამ ამავე დროს ივ. ჯავახიშვილს, ჩვენ მიერ ზემომოყვანილ ამონაწერში ერთი ჩვენთვის საინტერესო ფრაზა აქვს, რომ „ფუძე" და „კომლი" გლეხის საერთო ტერმინად უნდა ჩაითვალოს". ივ. ჯავახიშვილს თვითონ მოაქვს საბუთები, საიდანაც ჩანს, რომ ერთ ფუძეზე ორი და სამი კომლი გლეხიც ზის, მაგრამ ამავე დროს თვითონვე წერს, რომ „ფუძე" და „კომლი" გლეხების საერთო ტერმინია. ამ „საერთო ტერმინში" ივ. ჯავახიშვილი იმას უნდა გულისხმობდეს, რომ „ფუძე" უღრის „კომლს", რომ ეს ორი ტერმინი ფარავს ერთმანეთს. მაგრამ როდის? როგორც ვხედავთ, განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში ეს ერთიანობა დარღვეულია. ვფიქრობთ „ფუძისა" და „კომლის" ერთიანობა ადრეფეოდალურ ხანაში უნდა იყოს დაცული. ამ ერთიანობის დარღვევა გლეხთა ექსპლოატაციის გაძლიერების ერთ-ერთი ძირითადი შედეგი იყო.

რომ „კომლი" და „ფუძე" გარკვეულ დროს ერთმანეთს ემთხვევა. ჩვენში ამის მოწმობა უნდა იყოს ის გარემოება, რომ არაბთა მიერ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობაზე გაწერილი „ჯიზია" კომლობრივ იყო გადაკვეთილი. არაბ-ქართველთა ხელშეკრულება, „დაცვის სიგელით" გაფორმებული, კრძალავდა კომლების შეერთებას ან დაყოფას გადასახადის ოდენობის შეცვლის მიზნით. ე. ი.

---

[128] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1907, გვ. 16.

[129] იქვე.

[130] იქვე.

საგადასახადო ერთეული ამ დროს კომლია, მაგრამ კომლი იმდენადაა საგადასახადო ერთეული, რამდენადაც ის სამეურნეო ერთეულია, ე. ი. ფუძეა.

ძნელია თქმა, IX—X სს. დაარღვეული იყო თუ არა ჩვენში ფუძისა და კომლის ერთიანობა, მაგრამ ვფიქრობთ, ადრეფეოდალურ ხანაში ეს ერთიანობა ძირითადად დაცული უნდა იყოს. ეს პროცესი განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში იჩენს თავს და განსაკუთრებით ინტენსიურად გვიანი ფეოდალიზმის ხანაში ვითარდება.

გლეხის ფუძე შედგება საყანე მიწის, ვენახის, ბაღის, ბოსტნის, საცხოვრებელი სახლისა და აუცილებელ სათავსოთაგან. როგორც წესი, საგლეხო ფუძის მესაკუთრე ფეოდალია, გლეხი ფლობს მას ბეგარის გადახდის პირობით.

ამგვარად, X ს. ძირითადად სრულდება მიწისმფლობელობის ფეოდალიზაციის პროცესი. მიწის საკუთრება მონოპოლიზებულია, მიწის მესაკუთრეა სახელმწიფო ფეოდალთა კლასთან ერთად. მიწისმფლობელობა—იერარქიულია. მიწისმფლობელობის იერარქიულობა, რომლის საფუძველი პირობითი მიწისმფლობელობაა, აპირობებს ფეოდალური იერარქიის არსებობას. ხოლო როდესაც პირობით გაცემული მიწების უდიდესი უმრავლესობის მესაკუთრე სახელმწიფოა, ასეთი ხასიათის პირობითი მიწისმფლობელობა ქმნის საფუძველს ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის.

ძირითადი საზოგადოებრივი კლასები და კლასობრივი ბრძოლა IX—X საუკუნეების საქართველოში

ადრეფეოდალურ ხანაში ერთმანეთის პარალელურად არსებობენ როგორც თავისუფალი მწარმოებლები, გაერთიანებული სასოფლო თემებში და წვრილი კერძო მესაკუთრენი, ასევე დაუმეგებულ მწარმოებლები (გლეხობა) და მონებიც. ამავე პერიოდში, მსხვილი ფეოდალური მიწისმფლობელობის განვითარებასთან დაკავშირებით, ყალიბდება ფეოდალთა კლასი (აზნაურობა) და მიმდინარეობს თავისუფალ მწარმოებელთა გაგლეხება.

საქართველოში X საუკუნის დასასრულისათვის ფეოდალური საზოგადოების ორი ანტაგონისტური კლასი—გლეხობა და აზნაურობა ძირითადად ჩამოყალიბებულია.

IX—X საუკუნეებში სასოფლო თემებისა და წვრილ კერძო მესაკუთრეთა მიწების მსხვილ მფლობელთა მიერ მიტაცების პროცესი გადამწყვეტ ფაზაში შედის; ამასთან დაკავშირებით მწვავდება კლასობრივი ბრძოლა, მწვავდება თავისუფალ მწარმოებელთა ბრძოლა ფეოდალიზმის უღელში შებმის წინააღმდეგ.

გლეხობის, როგორც ფეოდალური საზოგადოების მწარმოებელი კლასის, ჩამოყალიბება ადრეფეოდალურ ხანაში იწყება[131] და ძირითადად ადრეფეოდალურ ხანაშივე მთავრდება.

ადრეფეოდალურ ხანაში, როგორც აღვნიშნეთ, მწარმოებელი საზოგადოება შედგება როგორც დამოკიდებულ გლეხთაგან, ისე თავისუფალ მწარმოებელთაგან და მონებისაგან. მთელი ადრეფეოდალური ხანის მანძილზე მიმდინარეობს მონათა დარჩენილი ნაწილის მიწაზე დასმა და თავისუფალ მწარმოებელთა თანდათანობითი გაგლეხება. ეს პროცესი სხვადასხვა ქვეყნებში თანაბარი სისწრაფით არ მიმდინარეობს და დამოკიდებულია კონკრეტულ-ისტორიულ პირობებზე.

ასევე ხანგრძლივი პროცესია ფეოდალთა (აზნაურთა) კლასის ჩამოყალიბება.

ამჟამად ჩვენ მიზანს არ შეადგენს ფეოდალური საზოგადოების ორი ანტაგონისტური კლასის, გლეხობისა და აზნაურობის, კლასებად ჩამოყალიბების პროცესის წარმოჩენა. ეს საკმაოდ რთული და ფართო ამოცანაა და ცალკე კვლევის საგანია. ჩვენი მიზანია ვუჩვენოთ IX—X საუკუნეების საქართველოში საზოგადოებრივი კლასების განლაგება, ამ საზოგადოებრივი კლასების ურთიერთდამოკიდებულება და დამოკიდებულება საქართველოს ფეოდალურ გაერთიანებისადმი.

ღრმა სოციალური და ეკონომიური პროცესის შედეგად წვრილი თავისუფალი მესაკუთრე დამოკიდებულ მწარმოებლად იქცა. წვრილი მესაკუთრე კარგავს მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლებას და მიწა მსხვილი მიწისმფლობელების საკუთრებად იქცევა. ამიერიდან ყოფილი მესაკუთრეები (უშუალო მწარმოებლები) მხოლოდ სარგებლობის უფლებით იღებენ მიწის ნაკვეთებს ფეოდალებისაგან და ამდენად ვალდებულნი არიან თავისი შრომის ნაწილი, ამა თუ იმ სა-

---

[131] თუმც მისი საწყისები მონათმფლობელობის ხანაშია საძიებელი.

ხით, მისცენ მიწის მესაკუთრეს—მემამულეს. თავისუფალი მწარმოებლის ცხოვრებაში მოსაბრუნი მომენტი მის მიერ ალოდის საკუთრებიდან მფლობელობად გადაქცევის დროს დგება. მსხვილი მესაკუთრის მფარველობაში შესვლისას წვრილი თავისუფალი მესაკუთრე გადასცემდა მებატონეს საკუთრების უფლებას, ხოლო მიწის ამ ნაკვეთს შემდეგ უკან იღებდა „როგორც სხვადასხვა ცვალებადი ფორმის ვალდებულებით დატვირთულ ქონებას, ბეგარის სახისა იქნებოდა ეს ვალდებულება თუ გადასახადის, რაკი გლეხი ერთხელ ამგვარად დამოკიდებული ხდებოდა იგი პირად თავისუფლებასაც კარგავდა, ორიოდე თაობის შემდეგ იგი უკვე ყმა იყო“[132].

მაგრამ, სანამ თავისუფალ მწარმოებელთა ძირითადი მასა დაკარგავდა თავის მიწის ნაკვეთებს და პირად თავისუფლებას, დიდმა ხანმა განვლო. ეს ძირითადი პროცესია, რომელიც ადრეფეოდალურ ხანაში მიმდინარეობს. სანამ ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარება არ ჩააგდებს თავისუფალ მწარმოებელთა ძირითად მასას მემამულეთა ხელში, მანამ ისინი იურიდიულად ჯერ კიდევ არ ქმნიან გლეხთა კლასს, თუმცა გლეხურ ცხოვრებას ეწევიან და, კ. მარქსის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, ესენი არიან „მშრომელი ინდივიდები“[133], რადგან ჯერ კიდევ არ ხდება მათი მასის ექსპლოატაცია, მათ საპირისპიროდ მდგომი მსხვილი მიწისმფლობელების მიერ, რომელნიც აგრეთვე კლასად ჩამოყალიბების პროცესში იმყოფებიან.

საბჭოურ ისტორიოგრაფიაში საკითხი სოფლის მოსახლეობის ორი ფენის ისტორიის გამიჯვნის შესახებ (ფ. ენგელსის დებულებაზე დაყრდნობით), სრული გარკვეულობით პირველად დააყენა აკად. ბ. გრეკოვმა. როგორც ბ. გრეკოვი აღნიშნავს, აუცილებელია გამოვყოთ სოფლის თავისუფალი მოსახლეობის ისტორია გლეხობის, როგორც კლასის, ისტორიისაგან[134]. ამით ბ. გრეკოვმა, რუსეთის ისტორიის მაგალითზე, პირველად მარქსისტულად დააყენა გლეხობის როგორც კლასის წარმოშობის საკითხი.

---

[132] ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, გვ. 152.

[133] კ. მარქსი, კაპიტალისტური წარმოების წინამორბედი ფორმები, 1962, გვ 16.

[134] Б. Д. Греков, Крестьяне на Руси. кн. II. изд. П, М., 1954, стр. 22, 63—64.

საბჭოურ ისტორიოგრაფიაში შესწავლილია გლეხობის როგორც კლასის წარმოშობის და მისი შემდგომი განვითარების საკითხი რუსეთის [135], სომხეთის [136] და ევროპის [137] ისტორიის მაგალითებზე.

ქართულ ისტორიოგრაფიაში გლეხობის კლასად ჩამოყალიბების საკითხი ჯერჯერობით მონოგრაფიულად შესწავლილი არ არის.

საქართველოს სინამდვილეში ე. წ. „მდაბიორთა" საკითხი ერცლად აქვს განხილული ივ. ჯავახიშვილს „ქართული სამართლის ისტორიაში" და „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში". ხოლო „ერის" დაშლისა და გლეხობის წარმოშობის საკითხს სპეციალურად იხილავს ს. ჯანაშია შრომაში „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე". ადრეფეოდალური ხანის საქართველოს მწარმოებელი საზოგადოების ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი დებულებები აქვს გამოთქმული ნ. ბერძენიშვილს[138].

გლეხი—ესაა პირადად არათავისუფალი, ბეგარავალდებული მწარმოებელი[139].

ჩვენში, როგორც აღნიშნულია, ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარება მიმდინარეობდა ერთი მხრივ, მონათმფლობელობის დაშლისა და მეორე მხრივ—სასოფლო თემის დაშლის სინთეზის საფუძველზე. ამდენად, გლეხობის ძირითად ფონდს ქმნიდნენ ყოფილი მონები და განსაკუთრებით თავისუფალი მეთემეები. სამწუხაროდ, ჩვენ ხელთ არა გვაქვს ადრეფეოდალური ხანის ქართული სამართალის ძეგლები, რათა მათი საშუალებით ვიკვლიოთ ადრეფეოდალურ ხანაში სასოფლო თემის დაშლისა და თავისუფალი მეთემეების გლეხებად ქცევის პროცესი. ამ საკითხში ჩვენ ძირითადად ნარატიული წყაროების მწირ ჩვენებებსა და მერმინდელ ეთნოგრაფიულ პარალელებზე ვართ დამოკიდებულნი. ეთნოგრაფიული მასალის საფუძ-

---

[135] Б. Д. Греков, Крестьяне на Руси, кн. I и II.

[136] С. Е. Акопян, История армянского крестьянства. т. I. Ереван, 1957 (на арм. языке).

[137] Неусыхин, Возникновение зависимого крестьянства в Западной Европе VI—VIII в. в. М., 1956; А. В. Разумовская, Очерки по истории польских крестьян. М.—Л., 1958.

[138] საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958.

[139] მდაბიორთა საკითხი განხილულია აგრეთვე ა. ბოგვერაძის შრომაში „ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან". თბ., 1961.

ველზე ნაჩვენებია ჩვენში თემის დაშლის შინაგანი მიზეზები და ქონებრივი და სოციალური დიფერენციაციის შედეგად თემის დაყოფა ორ ნაწილად[140]. მაგრამ კონკრეტულად როგორ მიმდინარეობს სათემო და კერძო „აგარაკების“ მსხვილი მიწათმფლობელების მიერ მითვისება და ამ „აგარაკების“ მფლობელების გაგლეხება, ეს საკითხი ჯერჯერობით ღიად რჩება. ამავე დროს ქართულ ისტორიოგრაფიაში გარკვევით არის მითითებული, რომ ყმა-გლეხობა, როგორც პირადთავისუფლებადაკარგული მწარმოებელი საზოგადოება, ჩვენში ფეოდალური ურთიერთობის დამყარების დროიდანვე უნდა არსებულიყო „წვრილი ერის“ გვერდით, მაგრამ, რასაკვირველია, მასზე ბევრად უფრო მცირე რაოდენობით[141]. ფეოდალურ ურთიერთობათა შემდგომი განვითარება „წვრილი ერის“ გაგლეხების ხარჯზე მიმდინარეობდა[142]. „X საუკუნის მიწურულისათვის, აღნიშნავს ნ. ბერძენიშვილი, საქართველოში ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობა დამთავრდა და ქვეყანა ფეოდალური განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე შედგა.

სოციალური განვითარების მხრივ ეს გარემოება იმაში გამოიხატა, რომ მდაბიორების საზოგადოებრივი ფენა დამოკიდებული გახდა აზნაურებზე. აზნაურებმა დაიტაცეს სათემო მიწები. ბარის საქართველოში სასოფლო თემი საბოლოოდ დაიშალა და გაქრა. ყმათა დიდმა უმრავლესობამ თანდათან დაკარგა თავისუფლების ყველა ნიშანი და აზნაურის „გლეხთა“ რიგში ჩადგა“[143].

ქართულ საისტორიო წყაროებში მწარმოებელი საზოგადოებისათვის დადასტურებულია სახელწოდებანი „წვრილი ერი“ („მატიანე ქართლისა“), „მსოფლიონი ერის კაცნი“ (გიორგი მერჩულე,—„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“), „ერნი მსოფლიონი“ („სუმბატ დავითის ძის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“). „მდაბიო“ (ფორმით „მდაბიური“ „ევსტათე მცხეთელის მარტვილობაში“ და „მდაბიო“ მერჩულესთან). „მსოფლიო“ და „მდაბიო“ სოფლისა და დაბის მცხოვრებს ნიშნავდა,—წერს ივ. ჯავახიშვილი,—მაგრამ ამ ტერ-

---

[140] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ხევსურული თემის მმართველობის სისტემა, ს.ჭ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XIII, 10, 1952, გვ. 623.

[141] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, 1, გვ. 273.

[142] ი ქ ვ ე.

[143] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 137.

ხებში მხოლოდ თავდაპირველად თუ იგულისხმებოდხეხ დაბის ან სოფლის ყველა მცხოვრებნი და მკვიდრნი საზოგადოებრივ მდგომარეობისდა მიუხედავად. თორემ, შემდეგში და უკვე გიორგი შერჩულის თხზულებაშიაც კი —ამ სიტყვას და ტერმინებს აზრი და მნიშვნელობა შეეცვალა და როდესაც ამ სიტყვებს ხმარობდნენ ხოლმე, მარტო დაბის ან სოფლის მოსახლეს კი არა ჰგულისხმობდნენ, არამედ ისეთ პირთ, რომელნიც ცხოვრებაში დაბლა იდგნენ, დაბალ წოდებრივ ან საზოგადოებრივ წრეს ეკუთვნოდნენ"[144].

„მდაბიო"-ს მნიშვნელობის განმარტებისათვის საინტერესო ცნობას გვაძლევს რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერა. ძეგლისწერაში ვკითხულობთ: „ვამცნებთ ყოველსა დიდსა და მცირესა, მდიდარსა და გლახაკსა, მეფესა და მთავარსა, აზნაურსა და მდაბიორსა, მღვდელთა და უმღვდელოთა, მოწესეთა და ერისკაცთა"...[145]

როგორც სამართლიანად შენიშნავს ივ. ჯავახიშვილი, დადგენილების ამ წინადადებაში „აზნაურს ვითარცა წოდებათა შორის პირველს დაპირისპირებული ჰყავს „მდაბიორი", რომელიც, მაშასადამე, აქ უკვე წოდებრიობის ან საზოგადოებრივ წყობილების დაბალ საფეხურზე მდგომარედ არის ნაგულისხმევი[146]. ივ. ჯავახიშვილმა ქართული წყაროების ანალიზის საფუძველზე დაადასტურა, რომ ამ წყაროებში მოხსენებული „ერნი მსოფლიონი" და „მდაბიონი" საზოგადოებრივი წყობილების უმდაბლეს საფეხურზე იმყოფებიან. ივ. ჯავახიშვილმა დააყენა აგრეთვე საკითხი ამ უმდაბლესი საზოგადოებრივი ფენის სოციალური მდგომარეობის შესახებ—„თავისუფალი იყო ეს „მსოფლიო" და „მდაბიო" ხალხი თუ არა?"—და თვითონვე უპასუხა: „ზოგი თავისუფალი იყო, ზოგი კიდევ ყმებად ითვლებოდა"[147].

ამგვარად, ივ. ჯავახიშვილმა დააყენა საკითხი „მდაბიოთა" სოციალური მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ ეს „მდაბიონი"

---

144 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. I, გვ. 27.

145 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები II, გვ. 68; ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II. ნ. I, გვ. 27—28.

146 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. 1, გვ. 28.

147 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, 1907, გვ. 10.

ორ ფენად განიყოფებიან, მათგან ნაწილი იურიდიულად თავისუფალია, ნაწილი კი არათავისუფალია[148].

ასეთია ვითარება ზოგად ხაზებში მთელი ადრეფეოდალური ხანის მანძილზე. მაგრამ ძალიან ძნელია ზღვარის გადება, მაგალითად, ადრეფეოდალური ხანის დასასრულისათვის, სად მთავრდება „მდაბიო“, როგორც იურიდიულად პირადად თავისუფალი მწარმოებელი და იწყება „მდაბიო“—პირად თავისუფლება დაკარგული მწარმოებელი. ამ გარემოებასთან დაკავშირებით აღნიშნავდა ს. ჯანაშია, რომ „მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ სოფლელი მიწის მუშები, რომელთაც ჩვეულებრივად მდაბიურებს (მდაბიორებს) უწოდებდნენ. ისინი ამა თუ იმ მთავარსა და დიდ აზნაურს ემორჩილებოდნენ. ასეთი მთავარი და დიდი აზნაური მდაბიორების „უფალი“ იყო. ამ უფალს ეკუთვნოდა დაბა. ე. ი. სოფელი, მთელი თავისი მიწა-წყლით“[149]. და შემდეგ დასძენს: „მდაბიორებზე უფრო დაბლა იდგნენ გლეხები“[150], როგორც ჩანს, ქართული მდაბიორი დაახლოებით იგივეა, რაც სომხური „შინაკანი“ ან რუსული „სმერდი“. სომხური „შინაკანი“ მოიცავს კერძო მფლობელთაგან დამოუკიდებელ მწარმოებლებსა და კერძო მფლობელებზე დამოკიდებულ მწარმოებლებსაც, რომელნიც X საუკუნისათვის ძირითადად მთლიანად დამოკიდებულ მწარმოებლებად იქცევიან და ქმნიან გლეხთა ერთიან კლასს[151], ასევე „სმერდიც“, როგორც ცნობილია, აერთიანებს თავისუფალ და არათავისუფალ მწარმოებლებსაც, რომელნიც შემდეგ სხვა მწარმოებლებთან ერთად ქმნიან „крестьяне“-ს[152].

ამგვარად სავარაუდებელია, რომ ქართული „მდაბიორი“ შედარებით ფართო ცნებაა, რომელისაგანაც ხდება გლეხობის გამოყოფა,

---

[148] როგორც ა. ბოგვერაძის შრომიდან ჩანს, „მდაბიო“ და „მსოფლიო“ მთლად არ შეესატყვისება ერთმანეთს. „მდაბიო“ ბოლოდ მწარმოებელთა მიმართ იხმარება, „მსოფლიო“ კი ფეოდალთა კლასის წარმომადგენელსაც შეიძლება ეწოდოს. დასახ. ნაშრ., გვ. 111—113.

[149] საქართველოს ისტორია, ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, თბ., 1946, გვ. 149.

[150] იქვე.

[151] იხ. С. Е. Акопян, История армянского крестьянства (IV—XIII вв), Автореферат, Ереван, 1952.

[152] იხ. Б. Д. Греков, Крестьяне на Руси, т. I, II.

უკეთ რომ ვთქვათ, ხდება მდაბიორთა გაგლეხება და ამდენად განვითარების გარკვეულ ეტაპზე „გლეხი“ მდაბიორში შეიძლება იგულისხმებოდეს. (როდესაც „გლეხზე“ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს „გლეხი“, როგორც სოციალური კატეგორია, პირადთავისუფლება დაკარგული მწარმოებელი).

„გლეხი“, წერს ნ. ბერძენიშვილი, თავდაპირველად ეწოდებოდა მიწის მუშას, რომელიც პირად თავისუფლებას მოკლებული იყო. მას ჰყავდა „უფალი“, რომელსაც ეს გლეხი ეკუთვნოდა. უფალსავე ეკუთვნოდა ის მიწა, რომელზედაც გლეხი, უფლისავე ნებით, მეურნეობდა“[153].

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში გლეხობა ფეოდალური ურთიერთობის არსებობის დროიდანვე იყო წარმოდგენილი, ტერმინი „გლეხი“ ჩვენამდე მიღწეულ ქართულ წყაროებში გვიან ჩნდება.

ივ. ჯავახიშვილი ქართულ წყაროებში ტერმინ „გლეხის“ გაჩენას XI საუკუნეს უკავშირებს. „საყურადღებოა,—წერს ის, რომ თუ არ ვცდებით, ტერმინი გლეხი არც გ. მერჩულის, არც ბ. ზარზმელის, არც სხვა ძველი ავტორების თხზულებაში, არც „მტ˘ნე ქა˘მი“ არ გვხვდება“...[154] და მიუთითებს, რომ „გლეხი“ თავდაპირველად მცხეთისა და ნიკორწმინდის XI ს. საბუთებშია მოხსენებული[155].

ეხება რა „გლეხის“ საკითხს ს. ჯანაშია წერს: „რიფსიმეანთა ეპიზოდის ძველქართულ თარგმანში, რომელიც ამ ძეგლზე მომუშავის დოც. ილ. აბულაძის აზრით VIII—X სს. უნდა იყოს შესრულებული, არის ასეთი ადგილი: „და ხილვასა მას კეთილისასა მიკრბებოდა სიმრავლე დიდი, და მთავართა მათგანნი იგიცა ერთი ერთსა ჰხდებოდა და სრბით მივიდოდეს ხილვად სიკვეთისა მასსა და აზნაურნი იგი აღრეულად გლეხითურთ ეტენებოდეს და დასდებდეს ურთიერთსა“. ილ. აბულაძის აზრით, აქ „გლეხი“ ჯერ კიდევ არ ნიშნავს მიწისმოქმედს. ყოველ შემთხვევაში, „გლეხს“ აქ „მდაბიო ხალხის“ ზოგადი ძნიშვნელობაც აქვს. მაგრამ მისი „აზნაურისადმი“ დაპირისპირება ტერმინს აშკარად აძლევს უკვე წოდებრივ მნიშვნელობა-

---

[153] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 117.

[154] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. 1, ნ. 1, გვ. 38.

[155] იქვე.

საც"[156]. აქ ჩვენთვის საინტერესოა ის გარემოება, რომ ტერმინი „გლეხი" XI ს. უწინარეს დამოწმებულია წყაროში.

სომხურიდან ნათარგმნი ძეგლების განხილვის საფუძველზე პროფ. ილ. აბულაძე აღნიშნავს, რომ ქართულში ტერმინ „გლეხს" თავდაპირველად ზოგადი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა საერთოდ დაბალი კლასის აღსანიშნავად. „მაგრამ ამ ზოგად მნიშვნელობასთან ერთად ძველად, X ს-ის გასულისათვის, ეს ტერმინი („გლეხი") კერძოობითსაც არ იყო მოკლებული, სახელდობრ სოფლელს, მიწის მოქმედს ანუ გლეხს ნიშნავდა ჩვეულებრივი გაგებით"[157].

ქართულ წყაროებში ტერმინ „გლეხის" დადასტურების თვალსაზრისით ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ „გლეხი" დამოწმებულია IX ს. ე. წ. „ფავნელთა საბუთში"[158]. აღნიშნულ საბუთში ვკითხულობთ: „ვთხოუვენ ოთხნი სოფელნი: ცხევერეი, გუელ-დესი-თურთ: გავაზელნი კოტმი-თურთ, ქვემო გულდეს ორი გლეხი შულლიას ძე და ტარიკას ძე"[159]. როგორც საბუთის მოტანილი ადგილიდან ჩანს, „გლეხი" პირადად არათავისუფალი მწარმოებელია.

ნიშანდობლივია, რომ IX—X ს. ნარატიული წყაროები წოდებრიობის უმდაბლეს საფეხურზე მდგომთა აღსანიშნავად განურჩევლად ხმარობენ „მდაბიოს" თავისი შესატყვისებით. ფავნელთა საბუთი კი „გლეხს" ხმარობს. ორიგინალურ ნარატიულ წყაროებში „გლეხი" XII საუკუნამდე არ გვხვდება. ძნელი დასაშვებია, რომ „გლეხი"-ს მოუხსენებლობა ამ წყაროებში მოთხრობილ ამბებში მა-

---

[156] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრ. I, გვ. 162.

[157] ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ლექსიკიდან. ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, I, 1959, გვ. 173.

[158] ამ საბუთთან დაკავშირებით უნდა შევნიშნოთ, რომ ის გამომცემლის, თ. ჟორდანიას მიერ დათარიღებულია 890—913 წლებით, როგორც ჩანს, მერმინდელი გადაწერლების წყალობით ეს საბუთი ენობრივად შერყვნილია, მაგრამ შემოვიდროინდელი საბუთები, რომელთა შინაარსი ფავნელებს ეხება, (იხ. ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, გვ. 11, 53, 57—58.) ადასტურებენ ასეთი საბუთის არსებობას XI ს-ზე უწინარეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს საბუთი ამ დათარიღებითაა შესული.

[159] ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, გამ. თ. ჟორდანიას შიერ. თბ., 1896, გვ. 2.

თი მონაწილეობის მიუღებლობით აიხსნას. მაგრამ ნარატიული წყაროს ავტორებს არ აინტერესებთ მწარმოებელთა სოციალური და უფლებრივი მდგომარეობა ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით და, როდესაც რომელიმე ბასილ ზარზმელი ან გიორგი მერჩულე წერს საზოგადოების უმდაბლეს საფეხურზე მდგომთა შესახებ, მისთვის პირადად თავისუფალი და პირადად არათავისუფალი ყველა დაახლოებით ერთია, რადგან მათი ეპოქისათვის მათ შორის ზღვარი უკვე ძნელი გასავლებია (ყოველ შემთხვევაში ასე უყურებს მათ ფეოდალური საზოგადოება). ამიტომ ისინი მიმართავენ ხმარებაში ჯერ-ჯერობით უფრო მეტად გავრცელებულ ტერმინებს („მდაბიო", „მსოფლიო"). მაგრამ საბუთის გამცემი კი საბუთის შინაარსის გამო იძულებულია გაითვალისწინოს მწარმოებლის უფლებრივი მდგომარეობა და თავის ტერმინოლოგიაში უფრო კონკრეტული უნდა იყოს რადგან, თუ „მდაბიო" „გლეხი" არ არის, მაშინ მისი პიროვნებით განკარგულების უფლება არ შეიძლება ჰქონდეს საბუთის გამცემს. აქ იგულისხმება, რომ ფავნელთა საბუთის შულიას და ტარიკას ან მათ წინაპრებს (რომელიმე თაობას), რომელნიც შესაძლებელია ოდესღაც მდაბიორნი იყვნენ, დაუკარგავთ პირადი თავისუფლება და ვიღაცის „გლეხები" გამხდარან.

XI ს. საბუთებში „გლეხი" სრულიად გარკვევით ნიშნავს პირადთავისუფლებადაკარგულ მიწის მუშას. მელქისედეკ კათალიკოსი წერს: „...მივსცენ თეძს გლეხნი სამნი ფოძითა სრულითა... ოტათლოანს გლეხი, ა. ციხე-დიდს გლეხი ა, ორნივე ფოძითა სრულთა..." (გვ. 34). როგორც ვხედავთ, მელქისედეკს ამ „გლეხების" პიროვნებით განკარგულების სრული უფლება აქვს, მას შეუძლია ეს გლეხები მისცეს თავის ჟამის მწირველს... იმავე XI ს. ნიკორწმინდის სიგელში „გლეხს" სააღაპედ სწირავენ და გლეხი ყიდვა-გაყიდვის საგანიც არის. „და რომელ მე მიყიდიან გლეხნი და მიწანი და მათთჳს გამიცემია ეკლესიისაგან განძად და პირუტყვად..." ან „მეტახარას დებორნიას ძისაგან ვიყიდე გლეხი და მისთჳს მივეც ძულოი ახალი ერ...." და სხვ.

XII საუკუნის ნარატიულ წყაროებში „გლეხი" იხმარება როგორც საზოგადოების ყველაზე დაბალ საფეხურზე მდგომი პირი[160]

სამწუხაროდ, ამ ხანის ნარატიულ წყაროებში კონკრეტულად არაფერია ნათქვამი ამ გლეხთა უფლებრივ და ეკონომიურ მდგომა-

---

[160] იხ. კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 24—25.

რეობაზე, მაგრამ IX—XII საუკუნის საბუთებში „გლეხის“ სრულიად გარკვევით სოციალური მნიშვნელობით ხმარება უფლებას იძლევა „გლეხი“ X—XI საუკუნეებისათვის ვივარაუდოთ, როგორც ხმარებაში გაბატონებული ტერმინი. XI—XII საუკუნეებიდან „მდაბიო“ თითქმის აღარ იხმარება ქართულ წყაროებში და მიწისმომქმედ მწარმოებელთა ერთადერთ სახელად „გლეხი“ რჩება[161]. ეს კი, თავის მხრივ, იმის ერთ-ერთი მოწმობაა, რომ „გლეხობა“ აქ დროს, როგორც სოციალური ფენა ძირითადად მოიცავს უკვე მიწისმოქმედ მწარმოებელ საზოგადოებას. „გლეხი“ წყაროებში გაბატონებულ ტერმინად იქცევა და „მდაბიოს“ სდევნის იმ დროიდან, რა დროიდანაც ის ცხოვრებაში იმარჯვებს მასზე, ე. ი. იმ დროიდან, რა დროიდანაც გლეხობა იქცევა ძირითად მწარმოებლად—ყალიბდება კლასად.

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ წყაროთა მდგომარეობის გამო იძულებული ვართ ძირითადად დავეყრდნოთ XI—XII საუკუნეების მონაცემებს, მაგრამ ის, რაც XI—XII საუკუნეების წყაროებით უცილობლად გაბატონებულ მდგომარეობაზე მეტყველებს და ამავე დროს დადასტურებას ჰპოულობს IX—X საუკუნეების მწირ ცნობებში, უფლებას გვაძლევს IX—X საუკუნეებში არსებულ ვითარებად ვიგულვოთ.

გლეხი ესაა პირადთავისუფლებადაკარგული მწარმოებელი, რომელიც ზის სხვის მიწაზე, ამუშავებს მას და იხდის ბეგარას. ბატონყმობა კი, როგორც ცნობილია, საბოლოო ჯამში უშუალოდ ბეგარისაგან წარმოიშვა[162].

IX—X საუკუნეებში ქართველი გლეხობა საბატონო ვალდებულებას იხდის ბეგარის სახით. ბეგარა ამ დროს მოიცავს შრომით ვალდებულებას (რუსული барщина) და ნატურალურ გადასახადსაც (რუს. оброк)[163].

---

[161] ამ მხრივ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ მთამდიდბანს შემოინახა „მდაბიორ“-„მსოფლიოთა“ ერთ-ერთი შესატყვისი „ჰერო-ვანნი“.

[162] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 300.

[163] ბეგარის საკითხთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებით იხ. მ. ლორთქიფანიძე, ადრეფეოდალური ხანის ისტორიის ზოგიერთი საკითხი ქართულ საბეჭდო ისტორიოგრაფიაში, ისტორიის ინსტიტუტის „შრომები“, ტ. IV, ნაკვ. 2, თბილისი, 1959.

ბეგარის ინსტიტუტის საკითხს ქართულ ისტორიოგრაფიაში თავდაპირველად ყურადღება მიაქცია ს. ჯანაშიამ. ბეგარის საკითხთან დაკავშირებით ს. ჯანაშია წერს, რომ „თავდაპირველად „ბეგარა“ ქართლში შეიძლებოდა შემოსულიყო, როგორც ირანული ხარკის ერთერთი სახეთაგანი, მოსახლეობის ნატურალური შრომითი გამოსაღები დამპყრობელების სასარგებლოდ“[164]. ხოლო შემდეგ, „ბეგარა“ ერთი ძირითადი ტერმინთაგანია ყმის ფეოდალურ გამოსაღების აღსანიშნავად“[165].

ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩვეულებრივ ბეგარას იმოწმებენ XI—XIII საუკუნეებისათვის, განსაკუთრებით XII საუკუნის დამლევისათვის, როდესაც ბეგარა უკვე გამოიყენება მწარმოებელი საზოგადოების ყველა კატეგორიის მიმართ და როდესაც მიწის პირობით მფლობელობაზე იმარჯვებს სამამულო სისტემა. ამ შემთხვევაში ფეოდალებსა და ყმა გლეხებს, მფლობელებსა და მწარმოებლებს შორის აღარ არის ჩამდგარი სახელმწიფო, როგორც მიწის უზენაესი შესაკუთრე.

მართალია, ქართულ წყაროებში ბეგარა XII საუკუნემდე თითქმის არ გვხვდება, მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ VI—IX სს. საქართველოში არსებობს არათავისუფალი მწარმოებელი საზოგადოება, რაც ფეოდალიზმის პირობებში საეჭვოდ არ შეიძლება ჩაითვალოს, ბეგარის არსებობა აუცილებლივ სავარაუდებელია. გამოთქმულ მოსაზრებას მხარს უჭერს ე. წ. „ფავნელთა საბუთი“, რომელშიც მოხსენებულია „ბეგარა“, როგორც საგლეხო ვალდებულება[166].

ამიერკავკასიის სინამდვილეში, კერძოდ, მეზობელ სომხეთში, „ბეგარა“ დამოწმებულია დოკუმენტურად უკვე VII საუკუნისათვის, ხოლო ჩვენთან—IX ს. ფავნელთა საბუთში. „ბეგარა“ საარაბო ხარკის მნიშვნელობით დამოწმებულია, ავრეთვე, X ს. ქართულ წყარო-

---

[164] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები. I, გვ. 102—103.

[165] იქვე, გვ. 102.

[166] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, გვ. 1—3.

ებში[167]. სომხეთში VII საუკუნეში ბეგარის არსებობის საკითხს ყურადღება მიაქცია პროფ. ადონცმა[168]. ბეგარა, როგორც პროფ. ადონცი მიუთითებს, დადასტურებულია 641 წ. დვინის საეკლესიო კრების დადგენილებაში[169].

ის გარემოება, რომ ბეგარა VI ს. სომხეთში დოკუმენტურად არის დამოწმებული, საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ბეგარა VI—X საუკუნეებში საქართველოშიც არსებობდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ს. ჯანაშია წერდა, რომ „საქართველოშიც, აღებულ პერიოდის დამლევისათვის, „ბეგარა" თავისუფლად შეგვიძლია ვიგულისხმოთ, როგორც ერთი საშუალებათაგანი „წვრილი ერის" ზედმეტი შრომის მითვისებისა ფეოდალების მიერ"[170].

„ბეგარა" სპარსული წარმოშობის სიტყვაა და სპარსულში ის გამოითქმის როგორც „ბიგარ", ჩვენში კი „ბეგარის" სახითაა გავრცელებული. ამგვარად გამოითქმის ის ფავნელთა საბუთში და 1072 წ. დათარიღებულ სიგელშიც. აღმოსავლეთის სინამდვილეში „ბეგარ" ბიგარ" დამოწმებულია VII საუკუნისათვის. აღნიშნული გარემოება ფიქსირებული და სათანადოდ შეფასებული აქვთ საბჭოთა ორიენტალისტებს (ნ. პიგულევსკაია, ი. პეტრუშევსკი, ა. იაკუბოვსკი). სპარსული ბეგარის სინონიმურ შესატყვისს არაბულში „სუხრა" წარმოადგენდა. აღმოსავლურ წყაროებში „სუხრა"—ყველგან „ბეგარის" (შრომითი ვალდებულება) მნიშვნელობითაა ნახმარი[171]. „სუხრა" დამოწმებულია VII—X საუკუნეების არაბ ისტორიკოსთა და გეოგრაფოსთა ნაწარმოებებში. არ შეიძლება ყურადღება არ მიიქციოს იმ მნიშვნელოვანმა გარემოებამ, რომ ქართულ ფეოდალურ სინამდვილეშიც „სუხრა" ბეგარის სინონიმური მნიშვნელობით იხმარება. „სუხრა"-სთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი წერს: „გამოსავალს" გარდა სახელმწიფო „ბეგარა" ანუ „დაჭირებითი სამსახური"-ც იყო დაწესებული. ბეგარა სავალდებულო „სამსახურს", „სა-

---

[167] სტეფანე მტბევარი. გობაროვნის მარტვილობა, საბინინი, საქართველოს სამოთხე, СПБ. 1882, გვ. 395 და აგრეთვე X ს. წარწერაში, იხ. ვ. ცისკარიშვილი. ჯავახეთის ეპიგრაფიკა, გვ. 70.

[168] Адонц, Армения в эпоху Юстиниана, Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии. кн. XI, СПБ, 1908, стр. 484.

[169] იქვე.

[170] ს. ჯანაშია, ტ. 2, გვ. 103.

[171] ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური ყუობილება XVI—XVII სს., თბ., 1958, გვ. 169.

მუშაო“, ანუ „სუხრა“ ერქვა. სუხრა არაბული სიტყვაა سخرة „სუხრაჰ“. ამგვარად იგი ქართულ „დაჭირებითს სამსახურს“ და „ბეგარას“ ეთანასწორება და მხოლოდ არაბების ბატონობის წყალობით შემოხიზნულა ქართულში“[172]. სუხრა დამოწმებულია XI ს. ზემოთ დასახელებულ სიგელში, სადაც ნათქვამია „... რაიცა ბეგარი დაუც და რაიცა დაჭირებითი სამსახური უქნევია ანუ სამუშაოი ანუ სუხრაი“[173]... რიგორც ვხედავთ, XI ს. ii ნახევრისათვის სუხრა დამკვიდრებული ტერმინია. მაგრამ ეს ტერმინი, რომელიც სამუშაოსთან ანუ ბეგარასთანაა დაკავშირებული, უფრო ადრინდელი წარმოშობის უნდა იყოს, ვიდრე XI ს. არაბული ტერმინი „სუხრა“ ფეოდალური საქართველოს სხვადასხვა კუთხეში თბილისის საამიროდან უნდა გავრცელებულიყო ისევე, როგორც მრავალი სხვა ტერმინი გავრცელდა ფეოდალურ საქართველოში თბილისის საამიროდან[174]. როგორც ცნობილია, თბილისის საამირო წარმოადგენდა არაბთა პოლიტიკურ ორგანიზაციას ქართლში. არაბული წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ თბილისის საამიროში ქართულ მიწისმფლობელობასთან ერთად გავრცელებული იყო არაბული მიწისმფლობელობისა და მიწითსარგებლობის წესიც. თბილისის საამიროს სახით ჩვენ საქმე გვაქვს არა მარტო არაბულ პოლიტიკურ ორგანიზაციასთან. არამედ აგრეთვე, შეიძლება ითქვას, ახლო აღმოსავლეთისათვის დამახასიათებელ ფეოდალურ ურთიერთობასთანაც. ამის თქმის შესაძლებლობას იძლევა ხარაჯა, რომელიც საქართველოშიც საადგილმამულო, მიწაზე დაწესებულ გადასახადს ეწოდება. „სუხრაც“ თბილისის საამიროში უეჭველია იმავე მნიშვნელობით იხმარებოდა, რა მნიშვნელობითაც იხმარებოდა ეს ტერმინი სახალიფოში შემავალ სხვა ქვეყნებში. „სუხრა“ ყველგან სამუშაო ვალდებულებას ნიშნავდა და ფეოდალურ საქართველოშიც ეს ტერმინი აღნიშნული შინაარსით უნდა გავრცელებუ-

---

[172] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1907, გვ. 48.

[173] ო. ჟორდანია, ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, გვ. 11.

[174] მ. ლორთქიფანიძე, ჭალაჭის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბილისი, 1954, გვ. 143—147.

ლიყო და დამკვიდრებულიყო. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ XI—XIII ს. ქართულ საბუთებში დამოწმებული „სუხრა“ ქართული შინაარსის მატარებელი უნდა იყოს და აღმოსავლური სამყაროდან აღებული მხოლოდ ტერმინი ჩანს. თბილისის საამიროდან ნასესხები ტერმინი „სუხრა“ უნდა შერქმეოდა იმ შრომით ვალდებულებას, რომელიც საქართველოში ფეოდალიზმის გამარჯვების დღიდან არსებობდა და თანდათან ვითარდებოდა. ტერმინი VIII—IX სს. უნდა შემოსულიყო (მხედველობაში გვაქვს თბილისის საამირო), მისი შინაარსი კი VI ს-დან არსებობდა. ადვილად საფიქრებელია, რომ შრომითი ვალდებულების აღსანიშნავად იხმარებოდა ქართული ტერმინიც. ასეთი ტერმინის არ არსებობა ადრეფეოდალური ხანის დოკუმენტური მასალის ჩვენამდე მოუღწევლობით უნდა აიხსნას. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ XII ს. გიორგი III საბუთში შრომითი ვალდებულების აღსანიშნავად იხმარება ტერმინი „სამუშაო“, ისევე როგორც ნაგვიანევი ხანის ქართულ საბუთებში სპარსული წარმოშობის „ბეგარის“ გვერდით იხმარება „მუშაობა“. გიორგი III სიგელში ვკითხულობთ: „მამისა ჩემისა მუხნარს შენებასა შიგა თუის თავსა ერთსა დღესა სამუშაოი აქნევინა მათთა სოფელთა და რუეთისა და სხალტბისა და ზედა დასდებოდა ჭელისუფალთა ჩუენთაგან და იგიც გაგუიშუია, ნუცა რუეთსა და სხალტბასა და ნუ რომელსა სოფელსა მათსა რაი ექნევის, ნურაი სამუშაო ჩუენი სასეფიო...“[175]. როგორც ვხედავთ, ამ საბუთში შრომითი ვალდებულების, ბეგარის აღსანიშნავად ნახმარია ქართული ტერმინი „სამუშაო“. ხოლო XI ს. საბუთში პირდაპირაა მითითებული შრომითი ვალდებულების აღმნიშვნელი ქართული და არაბული ტერმინების სინონიმური მნიშვნელობა. „...რაიცა ბეგარი დაუც და რაიცა დაჭირებითი სამსახური ჭნევია ანუ სამუშაო ანუ სუხრაი...“ ვკითხულობთ საბუთში[176]. შრომითი ვალდებულების ქართული შინაარსის არსებობის დამტკიცება შესაძლებელი ხდება შემოვლილი გზით, მაგრამ რათა აღმოსავლური წარმოშობის ბეგარასა და სუხრას ქვეშ აღმოსავლური შინაარსი არ დავინახოთ, გათვალისწინებული გვაქვს

---

[175] საქართველოს სიძველენი, ტ. III, დამატება, გამოცემული ე. თაყაიშვილის მიერ, თბილისი, 1929, გვ. 5.

[176] ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, გვ. 11.

აღმოსავლური ფეოდალური სინამდვილე. მიუხედავად იმისა, რომ სუხრა, ისევე როგორც ბეგარა ფეოდალურ აღმოსავლეთშიც და ფეოდალურ საქართველოშიც გლეხთა სამუშაო ვალდებულებას აღნიშნავს, ქართულ ფეოდალურ სინამდვილეში ერთიცა და მეორეც განსხვავდებოდა აღმოსავლური ბეგარისა და სუხრისაგან. საქმე ისაა, რომ ფეოდალურ აღმოსავლეთში ბეგარა და სუხრა, მართალია, გულისხმობდა გლეხთა შრომით ვალდებულებას, მაგრამ იქ ეს ვალდებულება გამოისატებოდა იმაში, რომ გლეხები მუშაობდნენ არა ფეოდალის მეურნეობაში, რამდენადაც ასეთი მეურნეობები აღმოსავლეთში ან არ არსებობდა, ან მეტად იშვიათი იყო, არამედ ციხეების, სასახლეების ასაგებად, გზების გასაყვანად და მოსაელელად, სარწყავი არხების მშენებლობაზე და სხვ. ფეოდალურ საქართველოში კი, ბეგარა, როგორც ეს XI—XIII სს. საბუთებიდან ჩანს, გამოიყენებოდა ფეოდალების პირად მეურნეობაში, რამდენადაც ასეთი მეურნეობა ფეოდალურად, შედარებით უფრო მეტად, განვითარებულ საქართველოში არსებობდა. ბეგარის ქართული მნიშვნელობა მკაფიოდ არის მითითებული XII—XIII სს. დოკუმენტურ წყაროებში, სადაც არც თუ ისე იშვიათად არის ჩამოთვლილი გლეხთა სამუშაო ვალდებულებებიც. ბეგარა და სუხრა უეჭველია XI საუკუნემდეც იმავე მნიშვნელობით იხმარებოდა, რა მნიშვნელობითაც იხმარება ის ჩვენთვის ცნობილი და სრულიად გარკვეული ხანის საბუთებში. ოღონდ ბეგარა ადრეფეოდალურ ხანაში ეკისრებოდა მწარმოებელი საზოგადოების გარკვეულ ნაწილს და არა მთლიანად მწარმოებელ საზოგადოებას, როგორადაც გვაქვს ჩვენ საქმე განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ფავნელთა საბუთი, სადაც სრულიად მკაფიოდ და ნათლად არის ლაპარაკი ბეგარის ნამდვილ მნიშვნელობაზე.

ეს საბუთი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განეკუთვნება IX—X სს. დასახელებულ საბუთში ვკითხულობთ: „დავიდევ ერთი დღე ანეული ციხის ბეგარი. ერთი დღე სამკალი, ერთი დღე სალეწავი“[177]. ამ საბუთში აშკარად გლეხთა ფეოდალურ ვალდებულებაზეა ლაპარაკი და იქვე გარკვევით აღნიშნულია, რომ გლეხს მართებს ერთი დღე სამკალი, ერთი დღე სალეწავი და სხვა. იმავე საბუთში ბეგარას

[177] ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, გვ. 2.

სხვა მნიშვნელობაც აქვს. თავისი შინაარსით ყურადღებას იქცევს შემდეგი წინადადება: „ბეგარა ჩუენი მოსაცემელი: კაცისა თავსა ორ-ორი ჯამი შეჭამადი, ორ-ორი პური, ორ-ორი პირი ღუინო (sic). თუ რამე ცხირელსა (ცხეველსა?) ჯელოსანსა გურდსა (sic) შესაპოვარი გედვას, აქმევდე რასა, ბეგრობისათვის ღალისა ნუ გაავლებინებ; სიარული არა შეუძლოს, აიკიდე ზურგსა, მათსა სამზღვარსა შიგან გაიყვანე...“[178]. ამ წინადადებაში ბეგარა იხმარება ნატურალური გადასახადის და არა გლეხის სამუშაო ვალდებულების მნიშვნელობით. დამახასიათებელია, რომ XI საუკუნიდან მოყოლებული, ჩვენთვის ცნობილი საბუთების მიხედვით, ბეგარა იხმარება ამ ორი მნიშვნელობით, როგორც სამუშაო ვალდებულება და როგორც გადასახადი. ამ მხრივ საინტერესოა XI ს. ცნობილი ნიკორწმინდის სიგელი, რომელშიც ბეგარა რამდენჯერმე სწორედ გადასახადის მნიშვნელობით იხმარება. საბუთის გამცემი წერს: „...გლეხი დავასახლე აგარასა შინა და ბეგარასა გარდაიკდიდეს“[179]... იმავე საბუთში სხვა შემთხვევაში ვკითხულობთ: „...ვიყიდე ვენაჯი... და მივეც გლეხსა საბეგროდ...“[180] როგორც მოტანილ, ისე სხვა მრავალ შემთხვევაშიც ბეგარა იხმარება გადასახადის მნიშვნელობით, მაგრამ იმავე XI საუკუნის სხვა საბუთებში არის შემთხვევა, როდესაც ბეგარა იხმარება შრომითი ვალდებულების მნიშვნელობით და უპირისპირდება სხვა სახის გამოსავალს, ანუ გადასახადს. 1058 წ. საბუთში ერთმანეთს უპირისპირდება „ბეგარა და გამოსავალი“, შრომითი ვალდებულება და გადასახადი. ასევე უპირისპირდება „გამოსავალი და ბეგარი“ ერთმანეთს XIII ს. ერთ საბუთში[181].

ამრიგად, უმთავრესად არაპირდაპირი ჩვენების მიხედვით ირკვევა და დასტურდება ჩვენში ადრეფეოდალურ ხანაში ბეგარის და სუხრას არსებობა. ბეგარა ამ დროს, როგორც აღნიშნულიც გვაქვს,

---

[178] ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის ღონასტრის, გვ. 2.

[179] თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, თბ., 1893, 11, გვ. 47. მ. ბერძნიშვილი, ნიკორწმინდის „დაწერილი“. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ნ. 34. თბ. 1962. გვ. 35.

[180] თ. ჟორდანია, ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, თბ., 1893, გვ. 48. მამისა ბერძნიშვილი, დასახ. ნაშრ., იქვე.

[181] ქრონიკები, II, 147. შდრ. მ. ბერძნიშვილი, ჯვლისთა კატეგორიები XI—XII ს-ში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, VI, 1960, გვ. 141—142.

უნდა ვრცელდებოდეს არათავისუფალ მწარმოებელ საზოგადოებაზე—გლეხებზე, და მას ორი მნიშვნელობა აქვს—როგორც შრომითი ვალდებულების (ქართული სამუშაო), ასევე ნატურალური გადასახადის.

ბეგარა წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ისეთ მიწებზე, რომლებიც ფეოდალების მიერ უკვე გასაკუთრებული იყო. მაგრამ ფეოდალური დამოკიდებულების განსხვავებული ფორმა არსებობდა ალბათ ისეთ მიწებზე, რომლებიც მთავრის ან მეფის ხელისუფლების მიერ გაცემული იყო დროებითი სარგებლობისათვის, რადგან ასეთ მიწებზე წარმოდგენილი მწარმოებლები არ იმყოფებოდნენ უშუალო დამოკიდებულებაში მიწის დროებითი მფლობელების მიმართ.

„ფავნელთა საბუთში“ საბუთის გამცემი პირი ჩამოთვლის მის მიერ ს. ცხევერის გლეხთა მიმართ დაკისრებულ როგორც ნატურალურ გადასახადს, ისე შრომით ვალდებულებას. ფავნელი წერს: „დავიდევ ერთი დღე ანეული ციხისა ბეგარი. ერთი დღე სამკალი, ერთი დღე სალეწავი. თუ (ი)[182] გრივი გამოვიდეს ცხრა გრივი პატრონსა (sic) და მეათე. ცხეველელთა წელიწადსა შიგან ერთი დღე ნადირობა არის. ბეგარა ჩუენი მოსაცემელი: კაცისა თავსა ორ-ორი ჯამი შეჭამადი, ორ-ორი პური, ორ-ორი პირი ღუნო (sic) თუ რამე ცხირელსა (ცხეველელსა?) ჭელოსანსა გურდსა (sic) შესაპოვარი გედვას, აჭმევდე რასა, ბეგრობისათუის ღალისა ნუ გაავლებინებ: სიარული არა შეუძლოს აიკიდე ზურგსა, მათსა სამზღვარსა შიგან გაიყვანე“[183]. საბუთში სრულიად გარკვევით არის გამიჯნული ერთმანეთისაგან „ბეგარა“ შრომითი ვალდებულება და „ბეგარა“ ნატურალური გადასახადი. როგორც საბუთიდან ჩანს, გლეხს ევალებოდა ბატონის მამულში ერთი დღე ანეულზე ემუშავა, ერთი დღე მკაზე, ერთი დღე ლეწვაზე. აღსანიშნავია, რომ მებატონის მეურნეობაში მუშაობის დროს მოწეული მოსავალის მეათედი გლეხებს ეძლევათ („თუ ი გრივი გამოვიდეს ცხრა გრივი პატრონსა (sic) და მეათე ცხეველელთა“). ამავე დროს გლეხს ევალებოდა მშენებლობაზე მუშაობაც „ერთი დღე ციხის ბეგარი...“ ვკითხულობთ იმავე საბუთში. შემდეგ ჩამოთვლილია ნატურალური გადასახადი „კაცისა თავსა ორ-ორი ჯამი შეჭამადი,

---

[182] თ. ჟორდანიას გამოცემაში ეს „ი“ არ არის, მაგრამ ივ. ჯავახიშვილი უმატებს ლოგიკური თანმიმდევრობის გამო.

[183] შიო-მღვიმის ისტორიული საბუთები, გვ. 2.

ორ-ორი ჯამი პური, ორ-ორი პირი ღუნო“[184]. ჩანს ეს ის ვალდებულებაა, რაც მომდევნო ხანებში „სამასპინძლოს“ სახითაა ცნობილი. ეს რომ ასეა, მომდევნო თხრობით დასტურდება: „თუ რამე ცხირელს (ცხვეერელსა?) ჯელოსანსა გურდსა (sic) შესაპოვარი გედვას. აჭმევდე რასა. ბეგრობისათუის ღალისა ნუ გაავლებინებ: სიარული არა შეუძლოს, აიკიდე ზურგსა, მათსა სამზღვარსა შიგან გაიყვანე“[185]. ე. ი. თუ სოფელში მებატონე ან მოხელეა—მას უნდა აჭამონ, თუ საჭიროება მოითხოვს უნდა გადაიყვანონ. უაღრესად საინტერესოა ის გარემოება, რომ ამ საბუთში ცალკე და სპეციალურადაა მითითებული ნადირობა („ერთი დღე ნადირობა“)[186], როგორც საგლეხო ვალდებულება.

ადრეფეოდალურ ხანაში საგლეხო ვალდებულებანი შედარებით მსუბუქი იყო. როგორც აღვნიშნეთ, საბატონო მამულში მუშაობის დროს გლეხებს მოსავლის, მართალია, მცირედი (მეათედი), მაგრამ მაინც რაღაც ნაწილიც კი ეძლევათ. უეჭველია, რომ საგლეხო ვალდებულებები და გადასახადები თანდათან მძიმდება. როგორც ცნობილია, ფეოდალურ ურთიერთობათა შემდგომი განვითარება საგლეხო ვალდებულებების გართულება-დამძიმების ხაზით მიმდინარეობს[187].

როდესაც აღვნიშნავთ, რომ IX—X საუკუნეებში ჩვენში საბატონო ვალდებულება (ბეგარა)წარმოდგენილია შრომითი ვალდებულებისა და ნატურალური გადასახადის სახით, საჭიროა შევნიშნოთ, რომ ამ დებულებას ერთნაირი მნიშვნელობით ვერ გავავრცელებთ მთელი ადრეფეოდალური ხანის მანძილზე.

როგორც ცნობილია, ფეოდალიზმის ეპოქაში ფეოდალური რენტის სამი ფორმა არსებობს: შრომითი, ნატურალური და ფულადი. აქედან შრომითი რენტა დამახასიათებელია ადრეფეოდალური ხანისათვის, ნატურალური — განვითარებული ფეოდალიზმის ხანისათვის, ხოლო ფულადი—ფეოდალურ ურთიერთობათა რღვევის ხანისათვის, მაგრამ როგორც შენიშნავს კ. მარქსი თავის „კაპიტალში“, წმინდა ფორმით რენტის ეს სამი სახე მხოლოდ ეკონომიურ თეო-

---

[184] შიო-მღვიმის ისტორიული საბუთები, გვ. 2.

[185] იქვე.

[186] იქვე.

[187] ამ თვალსაზრისით უაღრესად საინტერესოა მ. ბერძნიშვილის დაკვირვება „მეორშაფათე“ და „საკვირაო“ გლეხებზე. დასახ. ნაშრ., გვ. 155 — 157.

რიაში არსებობს. სინამდვილეში რენტის ეს სახეები მეტნაკლებად წარმოდგენილია ყველა ეპოქაში ოღონდ იმ განსხვავებით, რომ დომინირებული მდგომარეობა უკავია ერთ-ერთს. ადრეფეოდალურ ხანაში, როგორც წესი, გაბატონებულია შრომითი რენტა, ნატურალური რენტის გაძლიერება ფეოდალური ურთიერთობის განვითარებულ სტადიაში შესვლას ნიშნავს, ხოლო ფულადი რენტა ფეოდალიზმის რღვევის პერიოდში ძლიერდება. კ. მარქსი იმ ქვეყნების მაგალითის საფუძველზე მსჯელობს, სადაც მონათმფლობელობა კლასიკური სახით იყო წარმოდგენილი, ჩვენ კი კონკრეტული მასალა არ გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, კ. მარქსის ეს დებულება რამდენად ზუსტად ვრცელდება საკუთრივ ადრეფეოდალურ ხანის საქართველოზე. ვერ ვიტყვით, ადრეფეოდალური ხანაში რომელი იყო ჩვენში წამყვანი სახე რენტისა—შრომითი თუ ნატურალური, მაგრამ, როგორც ვხედავთ, „ფავნელთა საბუთი“[188] ადასტურებს IX—X სს. რენტის იმ ორივე სახეობის არსებობას და სწორედ IX—X სს, როგორც ადრეფეოდალური ხანიდან განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში გარდამავალ პერიოდში, გასაგები უნდა იყოს საქართველოში ნატურალური რენტის ძლიერად არსებობა შრომითი ვალდებულების გვერდით.

IX—X სს. საქართველოში სავარაუდებელია ფულადი რენტის არსებობაც. თუმცა ამ დროის წყაროებში პირდაპირი მითითება ფულად რენტაზე არ მოიპოვება, ამ ვარაუდის უფლებას გვაძლევს ადრეფეოდალური ხანის და განსაკუთრებით IX—X სს. საქართველოში ფულის შედარებით ფართო გავრცელება და აგრეთვე XII—XIII ს. ფულადი რენტის არსებობა

როგორც ცნობილია, VII ს. 50-იან წლებში ქართლის მოსახლეობას არაბებმა ფულადი გადასახადი დააკისრეს (თითო დინარი კომლის თავზე). ეს გარემოება უფლებას იძლევა ვივარაუდოთ ამ დროს ჩვენში ფულადი გადასახადის არსებობა, წინააღმდეგ შემთხვევაში არაბებს გაუძნელდებოდათ მოსახლეობაზე ერთბაშად ფულადი გადასახადის გაწერა (როგორც ცნობილია, ქართველები სპარსელებსაც ხარკს ფულით უხდიდნენ, იხ. ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი

---

[188] ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, თ. ჟორდანიას გამოცემა.

ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები. I). ფულის ფართო ტრიალზე მიუთითებს VIII—X სს. საქართველოში არაბების მიერ ადგილობრივი ფულის მოჭრა, ხოლო ფულადი მეურნეობის ზრდაზე—X ს. საკუთრივ ქართული ფულის მოჭრა ჯერ ტაოს მეფე დავით კურაპალატის, ხოლო შემდეგ გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის, ბაგრატ III მიერ.

როგორც ჩანს, IX—XIII სს. ქართველი გლეხი საბატონო გადასახადის გარკვეულ ნაწილს ფულით იხდის[189]. რასაკვირველია, XII—XIII სს. ფულადმა გადასახადმა მეურნეობის დაწინაურებასთან და ბაზრის გაფართოებასთან დაკავშირებით იმატა, მაგრამ XII—XIII ს. ფულადი რენტის არსებობა უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ IX—X სს. საბატონო-გადასახადის გარკვეული ნაწილის ფულით გადახდა.

ამგვარად, X საუკუნისათვის, ე. ი. ადრეფეოდალური ხანის დასასრულისა და განვითარებული ფეოდალიზმის ხანის დასაწყისისათვის, ქართველი მწარმოებელი საზოგადოება ძირითადად გაგლეხებულია, გლეხობა კლასის სახითაა წარმოდგენილი, და ეს გლეხობა თავის საბატონო ვალდებულებას იხდის შრომით, ნატურით და, შესაძლებელია, ნაწილობრივ ფულითაც.

* * *

IX—X საუკუნეების საქართველოში სოციალურად გაბატონებულ კლასს აზნაურობა წარმოადგენდა. IX—X სს. საქართველოში აზნაურობა არ იყო ერთფეროვანი და ერთგვაროვანი. ის სხვადასხვა ფენებისაგან შედგებოდა. აზნაურთა ეს ფენები განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან როგორც ეკონომიური მდგომარეობით და სოციალური წარმოშობით, ასევე უფლებრივი მდგომარეობითაც.

ადრეფეოდალური ხანის საქართველოში არსებობენ „მემამულე აზნაურები", „დიდებული აზნაურები" და აგრეთვე, შემდეგდროინდელი წყაროების გამოთქმით, ე. წ. „მოსაკარგავე", მსახურეული აზნაურები.

„აზნაურნი მემამულენი"—წერს ივ. ჯავახიშვილი, მაშინ ისეთ აზნაურებს შეიძლება რქმეოდათ სახელად, რომელთა აზნაურობა

---

189 ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა, თ. ჟორდანიას გამოცემა.

შემკვიდრეობით ეკუთვნოდათ და წინაპართაგან დამკვიდრებული ჰქონდათ , ანუ რომელნიც „ნათესავით“ აზნაურნი იყვნენ“[190], ხოლო „აზნაურნი მოსაკარგავენი“, მაშასადამე, მოხელე აზნაურთა ჯგუფის შემადგენელნი უნდა ყოფილიყვნენ“[191]. რაც შეეხება „დიდებულ აზნაურებს“, ისინი აზნაურთა აღზევებულ, დიდი თანამდებობის მქონე ჯგუფს შეადგენდნენ. მაგალითად, IX ს. დიდებული აზნაურის გაბრიელ დაფანჩულის შესახებ X ს. ქართველი მწერალი გიორგი მერჩულე წერს: „იყო ვინმე აზნაური დიდებული წინაშე აშოტ კურაპალატისა და ერქუა მას სახელი გაბრიელ დაფანჩული....ეს აზნაური შემკული იყო ყოვლითა სისრულითა და სიმდიდრითა, სიბრძნითა, ჰასაკითა და ახოვნებითა“[192]. როგორც ვხედავთ, მერჩულე აღნიშნავს, რომ გაბრიელ დაფანჩული „აზნაურია“, ამავე დროს „დიდებული აზნაურია“ და რომ მისი ეს „დიდებულება“ გაპირობებულია დიდი მთავრის, აშოტ ბაგრატიონის „წინაშეობით“ (გაბრიელს აშოტის კარზე ალბათ რაიმე მაღალი თანამდებობა ეკავა).

ადრეფეოდალური ხანის ქართულ ნარატიულ წყაროებში გაბატონებული კლასის წარმომადგენელთა მიმართ ზოგადად იხმარება ტერმინი „აზნაური“, მაგრამ ამასთანავე ხშირად გვხვდება „მთავარი“, „დიდებული“, „უფალი“.

აკად. ივ. ჯავახიშვილი „დიდებულის“ მნიშვნელობის განსაზღვრისას ამბობს, რომ „დიდებული“ დიდი ხელისუფლებით დაჯილდოებული და აღჭურვილი პირი უნდა ყოფილიყო, ე. ი. „დიდებული“ იმავე დროს დიდი მოხელე იქნებოდა“[193]. მაგრამ ამავე დროს ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „დიდებულებისათვის“ მარტო მოხელეობა არ კმაროდა, „რომ დიდებულება აზნაურობასთან ყოფილა დაკავშირებული, მაგრამ მაინც ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ თითოეული აზნაური „დიდებულ“-ად არ ითვლებოდა.· სიტყვები „დიდებული“ და „აზნაური“ ერთისა-და-იმავე შესატყვის ცნებათა გამომხატველი

---

[190] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნ. I, გვ. 23.

[191] იქვე, გვ. 33.

[192] გ ი ო რ გ ი მ ე რ ჩ უ ლ ე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, თბილისი, 1949, გვ. 32.

[193] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II. ნ. I, გვ. 41.

არ ყოფილა, არამედ „დიდებული“ განსაკუთრებული აზნაურობისაგან განსხვავებული ჯგუფის წევრის აღმნიშვნელი ტერმინი იყო“[194].

XI და მომდევნო საუკუნეების ქართული წყაროების განხილვის საფუძველზე „დიდებულთან“ დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი ასკვნის: „დიდებულნი აზნაურთა საზოგადო ჯგუფს და წოდებას არ ეკუთვნოდნენ. დიდებულნი აზნაურებზე მაღლა იდგნენ. საქართველოს სახელმწიფო წესწყობილებაში და თვით ცხოვრებაშიაც იმათ, მაინცდამაინც XI საუკუნიდან მოყოლებული, უმაღლესი საფეხური ეკავათ: მეფისშემდგომ პირველი ადგილი მათ ეკუთვნოდათ: აზნაურებს კი დიდებულებთან შედარებით მეორეხარისხოვანი ადგილი ეპირათ“[195].

XI საუკუნიდან, როგორც ჩანს, „დიდებულება“-ს „აზნაურობისაგან“ ცალკე ფენის სახით გამოყოფის ტენდენცია ემჩნევა. ხოლო მიწისმფლობელობის სამამულო სისტემის გამარჯვება ქმნის პირობებს დიდებულ აზნაურთა ცალკე სოციალურ ფენად ჩამოყალიბებისათვის[196].

ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ IX—X სს. X ს. ქართულ წყაროებში, კერძოდ, გიორგი მერჩულეს თხზულებაში, ტერმინი „დიდებული“ რამდენჯერმე გვხვდება. აღსანიშნავია, რომ ამ წყაროს მიხედვით „დიდებული“ აზნაურთა უმაღლეს ფენას ეკუთვნის, მაგალითად, გაბრიელ დაფანჩულზე მერჩულე წერს: „ხოლო იყო ვინმე აზნაური დიდებული წინაშე აშოტ კურაპალატისა და ერქუა მას სახელი გაბრიელ დაფანჩული“[197]. იმავე გაბრიელს ავტორი სხვა შემთხვევაშიაც ასევე „დიდებულ აზნაურად“ იხსენიებს[198]. იგივე ავტორი სხვა შემთხვევაში წერს: „მას ჟამსა იყვნეს ვინ-მე იერესალჱმს მოწაფენი ნეტარისა გრიგოლისნი. კაცნი შუენიერნი... შვილნი დიდებულთა აზნაურთანი“[199]. ცნება „დიდებულის“ განსაზღვრისათვის ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის

---

[194] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, სამართლის ისტორია, წ. II, ნ. I, გვ. 41.

[195] იქვე, გვ. 43.

[196] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, მე-13—14 სს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. 1937. ტ. VI. გვ. 286.

[197] გ ი ო რ გ ი მ ე რ ჩ უ ლ ე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, თბ., 1949, გვ. 32.

[198] იქვე, გვ. 33.

[199] იქვე, გვ. 111.

ფაქტი, რომ მერჩულე აშოტ კურაპალატის შვილებს, ისევე როგორც გაბრიელ დაფანჩულს, „დიდებულობით“ იხსენიებს[200].

X ს. როდესაც ეს თხზულება იწერება, „დიდებულება“ ჯერ კიდევ არ არის გამოყოფილი „აზნაურობისაგან“. მაგრამ „დიდებული აზნაურნი“ ამ დროს უკვე აზნაურთა უმაღლეს ფენას შეადგენენ.

ამგვარად, ფეოდალური ურთიერთობის განვითარების შესაბამისად „აზნაურობაში“ იქმნება სხვადასხვა ჯგუფები, რომელთაგან ყველაზე მაღალ საფეხურზე X ს. „დიდებული აზნაურები“ იმყოფებიან; ეს დიდი თანამდებობის მქონე ნათესავით აზნაურები არიან.

ადრეფეოდალური ხანის ნარატიულ წყაროებში ტერმინი „აზნაური“ დადასტურებულია იაკობ ცურტაველის „შუშანიკის მარტვილობა“-ში და „ქართლის მოქცევის“ ქრონიკაში, ხოლო X საუკუნიდან (სტეფანე მტბევარი „გობრონის მარტვილობა“, გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ და სხვა) „აზნაური“ ქართულ მწერლობაში საყოველთაოდ გავრცელებული ტერმინია. მთელი ადრეფეოდალური ხანის მანძილზე „აზნაური“ გაბატონებული სოციალური ფენის წარმომადგენელთა ზოგადი სახელწოდებაა.

უცხოური წარმოშობის „აზნაურის“ გვერდით, როგორც აღვნიშნეთ, იხმარება ქართული „უფალიც“ (მაგ., ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, სადაც მოხსენებულია „დაბის უფალი“). „უფალი“-ს შესახებ ს. ჯანაშია წერს: „უფალს ეკუთვნოდა დაბა, ე. ი. სოფელი, მთელი თავისი მიწა-წყლით“[201]. აღმოსავლური ქართული „უფალის“ შესატყვისად ჯანაშიას დასავლეთ საქართველოს გზით შემოსული უცხოური ტერმინი „პატრონი“ მიაჩნია[202].

როგორც აღვნიშნეთ ადრეფეოდალური ხანის ნარატიულ წყაროებში ხშირად გვხვდება ტერმინი „მთავარი“-ც. როგორც ცნობილია, „მთავარი“ გვხვდება აგრეთვე ნაგვიანევი ხანის ძეგლებშიაც. ნაგვიანევი ხანის „მთავრის“ მნიშვნელობა გარკვეულია ქართულ ისტორიოგრაფიაში[203].

---

200 გ ი ო რ გ ი მ ე რ ჩ უ ლ ე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, თბ., 1949, გვ. 67.

201 საქართველოს ისტორია, ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, თბ., 1946, გვ. 149.

202 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ქართული ბატრონყმობის ბუნებისა და წარმოშობის საკითხისათვის. შრ., II, თბ., 1952, გვ. 436.

203 ო. ს ო ს ე ლ ი ა, სამეგრელოს სამთავროს წარმოშობის თარიღისათვის, მიმომხილველი, II, 1951, თბ., გვ. 171.

განვითარებული ფეოდალიზმის ხანის ძეგლების „მთავრის“ ცნების განსაზღვრასთან დაკავშირებით ო. სოსელია სამართლიანად შენიშნავს, რომ ლეონტი მროველის, „მატიანე ქართლისა“-ს ავტორის, დავითისა და თამარის ისტორიკოსების, ჟამთააღმწერლის გაგებით „მთავარი“ ხან პოლიტიკური ხელისუფლების წარმომადგენელი და ამა თუ იმ ქვეყნის სათავეში მდგომი დამოუკიდებელი ან დამოკიდებული მფლობელია, ხან უბრალოდ წარჩინებული პირია[204]. როგორც ო. სოსელია შენიშნავს, არც „ვახუშტი ბაგრატიონს მოეპოვება სიტყვა „მთავრის“ ზუსტი გაგება. მისი „მთავარიც“ ხან დამოუკიდებელი თუ დამოკიდებული მფლობელია, ხან კიდევ ადმინისტრაციული მოხელე ან თავადი“[205].

ადრეფეოდალური ხანის ძეგლებში „მთავარი“ საკმაოდ ხშირად იხსენიება. ამავე ხანის ძეგლებში „მთავართან“ ერთად დამოწმებულია „დიდი მთავარიც“[206].

VI ს. ქართული წყარო „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ „მთავარს“ საზოგადოების გაბატონებული წრის წარმომადგენლების ზოგადი ცნების მნიშვნელობით ხმარობს. ევსტატეს განთავისუფლების სათხოვნელად „შეკრბეს ქართლისა მთავარნი, მარზპანისა მის ჯმნად მოვიდეს[207]. ასევე შემდეგ—„აღდგეს მთავარნი ქართლისანი და სამოელ ქართლისა კათალიკოზი და გაბრიელ ქართლისა მამასახლისი და არშუშა ქართლისა პატიახში და სხუანი სეფეწულნი და მარზპანსა რქუეს[208].

VIII ს. ქართული წყარო, იოანე საბანისძის „აბო თბილელის მარტვილობა“ „მთავრობით“ აფხაზეთის ხელისუფალს იხსენიებს:

---

[204] ო. სოსელია, დასახ. ნაშრ., გვ. 173.

[205] იქვე.

[206] ბასილ ზარზმელი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება გვ. 153, 156, 157... და გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. 15, 18, 33, 67... (ს. ინგოროყვას გამოცემით).

[207] მარტვილობაი ევსტათი მცხეთელისაი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომატია, 1, შედ. ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1946, გვ. 46.

[208] იქვე, გვ. 47.

„ვითარცა მიიწინეს იგინი ქვეყნად აფხაზეთისა, მთავარმან მის ქუეანისამან შეიწყნარა ნერსჱ ყოვლით ერით მისითურთ“[209], „ვითარცა ეუწყა მთავარს მას აფხაზეთისა...[210] და სხვა.

„სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“-ში გვხვდება როგორც „მთავარი“ ასევე „დიდი მთავარი“. მაგალითად: გიორგი ჩორჩანელი „მთავარია“ მაგრამ ამავე დროს ის „დიდი მთავარიცაა“, ბასილ ზარზმელი წერს გიორგი ჩორჩანელზე: „იყო ვინმე მთავარი დიდი წარჩინებული“[211]. „დიდი მთავარი“, ავტორის დახასიათებით, „ყოველთა ჰმატდა სიმდიდრითა და სიმრავლითა ერთა და აგარაკთაითა, რომელთა სივრცე საზღვარვრცელ და მრავალ იყო“[212]. ეს „დიდი მთავარი“ „მრავალთა ტაძართა და კარავთა იქცეოდა, რომელსაც ეწოდა სახელი გიორგი, მეორედ ჩორჩანელი, რომელისა ტაძარნი მენ იყვნეს ხანახებსა ჩორჩანისა და ზანავისასა“[213]. „დიდ მთავარს“ საზღვართვრცელი სამფლობელოები აქვს სასახლეებით, სამეურნეო და სპეციალური დანიშნულების ნაგებობებით. დიდ მთავარს ყავს წინაშეჳდგომელნი („ყოველი მიუთხრა დიდსა მას მთავარსა და ყოველთა წინაშემდგომთა“)[214]. და საკუთარნი („უბრძანა მთავარმან ორთა საკუკურათა თჳსთა“)[215]. ამგვარად, დიდ მთავარს ვრცელ მამულთან ერთად ქვეშევრდომნიც მრავლად ყავს, და კერძოდ, მას „მთავრებიც“ ექვემდებარებიან, მას „მთავრები“ საკუთრებად“ ყავს „რამეთუ—წერს ზარზმელი—მთავარნი არიან და საკუთარნი დიდისა მის მთავრისანი“[216]. ამავე დროს ავტორი გიორგი ჩორჩანელს მრავალ შემთხვევაში მხოლოდ „მთავრობითაც“ იხსენიებს. მაგალითად, „კუალად უბრძანა მთავარმან ორთა საკუთართა თჳსთა“[217], ან „განკჳრდა მთავარი იგი და ყოველნი წინაშე მდგომნი“[218]. ისევე „მთავრობით“ იხსენიებს ბასილი ზარზმელი გიორგი ჩორჩანელს მრავალ სხვა შემთხვევაშიც[219]

---

209 იოანე საბანისძე, აბო თბილელის მარტვილობა, 1935. გვ. 65.
210 იქვე.
211 სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, გვ. 157.
212 იქვე, გვ. 154.
213 იქვე.
214 იქვე, გვ. 155.
215 იქვე.
216 იქვე.
217 იქვე.
218 იქვე, გვ. 156.
219 იქვე, გვ. 157, 158, 164.

დიდი მთავარია აგრეთვე ამავე თხზულებაში მოხსენებული „მირიანი, ძე ბეშქენ ბაჰლაუნდისა“[220].

ამ ხანის ტერმინ „მთავრის“მნიშვნელობის გარკვევისათვის უაღრესად საინტერესო ცნობებს იძლევა გიორგი მერჩულე. მერჩულე აშოტ ბაგრატიონის შესახებ წერს: „და მათ ჟამთა მფლობელი იყო ამათ ქუეყანათა ღმრთის-მსახური კელმწიფე დიდი ბაგრატიონიანი აშოტ კურაპალატი. კეთილად მორწმუნე, რომლისა გამო დაემტკიცა ქართველთა ზედა მთავრობა მისი და შვილთა მისთა ვიდრე უკუნისამდე ჟამისა“[221]. მერჩულე თვლის, რომ აშოტ ბაგრატიონის დროიდან დაემკვიდრა აშოტის და მისი შთამომავლობის „მთავრობა“ ქართველთა ზედა. იგივე მერჩულე გრიგოლ ხანძთელის პირით ეუბნება აშოტ ბაგრატიონს: „დავით წინაასწარმეტყუელისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებული კელმწიფეო, მეფობა და სათნოებანიცა მისნი დაგიმკჳდრენ ქრისტემან ღმერთმან, რომლისათჳსცა ამას მოგაკსენებ: არაი მოაკლდეს მთავრობა შვილთა შენთა და ნათესავთა მათთა ქუეყანათა ამათ უკუნისამდე ჟამთა, არამედ იყვნენ იგინი მტკიცედ უფროჲს კლდეთა მყართა და მთათა საუკუნეთა, და დიდებულ იყვნენ უკუნისამდე[222]. მერჩულე, რომელიც აშოტს „კელმწიფობითა“ და „მეფობით“ იხსენიებს მის შვილებს, მათ ჩამომავლობას და ნათესავებს უსურვებს, რომ მათ არ მოაკლდეთ „მთავრობა“ და „დიდებულება“. როდესაც გრიგოლ ხანძთელი ბაგრატ კურაპალატს და მის ძმებს შატბერდს მოიყვანს „მათ (აშოტის შვილებმა) ისმინეს მოკსენება წმიდისა მის, რომელიცა წინა წარმოუძღუა მთავართა მათ, და პირველად მოიყვანა შატბერდს“[223]. აქ მერჩულე ბაგრატ კურაპალატს და მის ძმებს „მთავრებს“ უწოდებს, ხოლო შემდეგ განაგრძობს: „და შეწირნეს მრავალი შესაწირავი კელმწიფეთა და აზნაურთა და ყოველმან ერმან“[224], ე. ი. პირველ შემთხვევაში მოხსენებული „მთავრები “იგივე „კელმწიფენი“ არიან.

იგივე მერჩულე გვარამ მამფალს, რომელსაც როგორც წესი ყოველთვის „კელმწიფობით“ იხსენიებს, ერთ შემთხვევაში „დიდ მთავარს“ უწოდებს[225].

---

220 სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, გვ. 172.

221 გიორგი მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 32.

222 იქვე. გვ. 40.

223 იქვე, გვ. 67.

224 იქვე.

225 იქვე, გვ. 96.

X ს. ისტორიკოსის სტეფანე მტბევარის ცნობით, მაგალითად, არაბი ამირა „კაეტის მთავრობას“ სთავაზობს ქართველ აზნაურს მიხეილ-გობრონს, „რაისაცა კაეტისა ინებო მთავრობა მოგვცე შენ“, ვკითხულობთ „გობრონის მარტვილობა“-ში.

XI ს. ქართული წყარო („მატიანე ქართლისა“) IX—X სს. მოვლენების თხრობისას „მთავრობით“ პოლიტიკური ხელისუფლების მქონე პირებს იხსენიებს. მაგალითად, „მთავარი გარდაბანელი“[226]. „გრიგოლ კახეთის მთავარი...“[227] როგორც მოტანილი ამონაწერებიდან ჩანს, „მთავარი“, როგორც წესი ხელისუფლების მქონე პირია.

„მთავრის“ ცნების გარკვევისათვის საინტერესო ცნობებს გვაძლევს „ქართლის მოქცევის“ ქრონიკაც. „მაშინ შეკრბეს მეფენი ქ˘ყნისანი და მთავარნი დედებითურთ და სიმრავლ˘ ერთა ძლიერთა“[228], ვკითხულობთ შატბერდულ ნუსხაში. მრავალ სხვა შემთხვევაში როგორც შატბერდულ, ასევე ჭელიშურ ვარიანტებში ასეთი დაპირისპირებაა: მეფე, მთავარნი და ყოველი ერი. მაგალითად, „მაშინ იყო შფოთი დიდი მცხეთასა შინა მეფეთა და მთავართა და ყ˘ლისა ერისა“[229], ან „დამოსდიოდეს მდინარენი ცრემლთანი მეფეს და მთავართა და ყ˘ლისა ერსა“[230] და სხვა. როგორც ვხედავთ, „ქართლის მოქცევის“ ქრონიკის ავტორის წარმოდგენით ქართლში არის მეფე, მთავარნი და ყოველი ერი.

მოტანილი მასალის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ადრეფეოდალური ხანის და კერძოდ IX—X სს. ქართული „მთავარი“ საზოგადოების უმაღლესი ფენის წარმომადგენელია. მაგრამ უპირატესად ისეთი წარმომადგენელი, რომელსაც რაიმე ხელისუფლება აქვს, ესენი არიან: „აფხაზეთის მთავარნი“, „სამცხის მთავარნი“, „ხელმწიფე მთავრები“ და სხვ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აკად. ს. ჯანაშია შენიშნავდა: რომ მთავარი «обозначает династа, владетельную особу, небольшого суверена, местного „князя“[231].

---

[226] ქ˘ცა ანასეული. გვ. 158.

[227] იქვე, გვ. 162.

[228] ქართლის მოქცევის მატიანე Е. Таканшвили, Описание рукописей, т. II, вып. 1—4, Тифлис, 1906—1912, стр. 733.

[229] იქვე, გვ. 766.

[230] იქვე, გვ. 781.

[231] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, О времени и условиях возникновения Абхазского царства, შრომები, II, თბილისი, 1952, გვ. 337.

ამ ხანის წყაროებში იხსენიებიან აგრეთვე „საკუთარნი“ და „წინაშემდგომელნი“. ბასილ ზარზმელი, მაგალითად, ასახელებს „მთავარსა და ყოველთა წინაშემდგომელთა“[232]. ეს „მთავარი“ გიორგი ჩორჩანელია, რომელსაც „წინაშემდგომელთ“ გარდა ყავს აგრეთვე „საკუთარნი“, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში გიორგი ჩორჩანელი დაასაქმებს კიდეც. მაგალითად, გიორგიმ უბრძანა „ორთა საკუთართა ძმათა“[233]. ხოლო, რომ ეს „საკუთარნი“ აზნაურნი არიან, და არა რომელიმე სხვა დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენელნი, ეს ბასილ ზარზმელის მომდევნო თხრობიდან ჩანს, „რამეთუ—წერს ავტორი—მთავარნი არიან და საკუთარნი დიდისა მის მთავრისანი[234]. როგორც ვხედავთ, ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ესა თუ ის პიროვნება შეიძლება იყოს „მთავარი“ და ამავე დროს, რომელიმე სხვა დიდი მთავრის „საკუთარი“.

როგორც ცნობილია, ნაგვიანევ ხანაში აზნაურობა სოციალურად დამოკიდებულ ფენად იქცა. აზნაურობისაგან თავადთა წოდების გამოყოფა და აზნაურობის დამოკიდებულ სოციალურ ფენად გადაქცევა საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიული პროცესის შედეგად მოხდა. პირველ რიგში ხდება „დიდი“, „დიდებული“ აზნაურობის წარმოშობა-აღზევება და მათ ცალკე ფენად ჩამოყალიბება; ამის შესაბამისად ჩნდებიან „დიდებულ“ აზნაურებზე დამოკიდებული აზნაურები.

აზნაურობა ჩვენში ერთფეროვან მასას უკვე V საუკუნეში არ წარმოადგენდა. „შუშანიკის მარტვილობაში“ იხსენიებიან “აზნაურნი დიდ-დიდნი“, მაგრამ საეჭვოა, რომ V და ან VI—VII სს. ყოფილიყვნენ „დიდ-დიდ აზნაურებზე“ სოციალურად დამოკიდებული აზნაურები. ადრეფეოდალურიდან განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში გარდამავალ პერიოდში კი (IX—X სს.) ჩნდებიან „დიდებულ აზნაურებზე“ დამოკიდებული აზნაურები „წინაშემდგომელების“ თუ „საკუთარნი“-ს სახით.

ამგვარად, უკვე ადრეფეოდალურ ხანაში ყალიბდება ჩვენში აზნაურთა სხვადასხვა ჯგუფები, რომელთა შორის უმაღლეს საფეხურზე „დიდებული აზნაურები“ იმყოფებიან. IX—X სს. „დიდებულნი“

---

[232] ბასილ ზარზმელი, სეოაპიონ ზარზმელის ცხოვრება, გვ. 155.
[233] იქვე.
[234] იქვე.

აზნაურობას ეკუთვნიან, და არ არიან გამოყოფილნი აზნაურობისაგან, ასე რომ მათ შეიძლება ვუწოდოთ „დიდებული აზნაურნი“.

აზნაურებზე დაბლა, როგორც ცნობილია, „მსახურნი“ დგანან. ესენი მეფის ან დიდებული აზნაურის სამსახურში მყოფნი პირადად თავისუფალნი არიან[235]. „მსახურების“ მცირე ნაწილი, ზედა ფენა, აზნაურდება, ხოლო უდიდესი ნაწილი კი, თანდათან მწარმოებელი საზოგადოების დონემდე ეცემა. ეს პროცესი ხანგრძლივია და მთელ ადრეფეოდალური ხანის მანძილზე მიმდინარეობს.

ამგვარად, IX—X სს. ჩვენში ძირითადად სრულდება ფეოდალური საზოგადოების ორი ანტაგონისტური კლასის, გლეხობისა და აზნაურობის, კლასებად ჩამოყალიბების პროცესი. ამასთან დაკავშირებით მწვავდება კლასობრივი ბრძოლა.

აღნიშნული გარემოება არ გამორიცხავს XI—XII სს. საქართველოში თავისუფალ მწარმოებელთა არსებობას[236].

X—XIII სს. დიდ მშენებლობებზე დაქირავებული მუშა-ხელი გამოიყენება[237]. დაქირავებული შრომის გამოყენების ფაქტები XIII ს. შემდეგაც ხშირია საქართველოში[238]. ამავე დროს, როგორც ჩანს, ძირითადად ხელოსნების დაქირავება ხდებოდა[239].

დაქირავებული შრომა ამ დროს, რა თქმა უნდა, ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის მაჩვენებელი არ ყოფილა. ასეთი შრომა არსებითად ფეოდალთა სამომხმარებლო მიზნებს ემსახურებოდა. ქირავდებოდნენ არა მარტო თავისუფალი გლეხები, არამედ ყმა-მწარმოებლებიც.

---

[235] ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე. შრ., I, გვ. 278—279.

[236] იხ. ნ. შოშიაშვილი, რკონის დაწერილი როგორც საისტორიო წყარო (საკანდიდატო დისერტაცია), 1952 წ., გვ. 124.

[237] ა. ბაქრაძე. ქართული ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო (საკანდიდატო დისერტაცია), 1954 წ., გვ. 48; ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. 1959 წ., გვ. 64—65.

[238] ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 65.

[239] იქვე.

XI ს. უკვე განვითარებული ფეოდალიზმის ხანაა საქართველოს ისტორიაში.

ადრინდელი ფეოდალიზმის პერიოდის ეტაპის დამთავრება და განვითარებულ ფეოდალიზმზე გადასვლა პირველ რიგში გულისხმობს მიწის ფეოდალიზაციას. ე. ი. მთელი მიწა ფეოდალების (მეფე, აზნაურობა, ეკლესია ხელთაა. მწარმოებლებს მიწა მიცემული აქვთ ფეოდალებისაგან სხვადასხვა პირობებით. ამ პერიოდში თუ არსებობს თავისუფალი მწარმოებელი („უპატრონო“ კაცი), ის იძულებულია ეძიოს პატრონი[240].

ადრეფეოდალური ხანისათვის ნ. ბერძენიშვილი უთითებს ე. წ. მდაბიორ-მოლაშქრეთა გარდამავალი სოციალური ფენის არსებობას, ეს მდაბიორ-მოლაშქრენი სხვის მიწაზე სხედან, ისინი მწარმოებლები არიან და მათი ყმური ვალდებულება ძირითადად სამხედრო სამსახურში გამოიხატება. ეს მდაბიორ-მოლაშქრენი, როგორც ნ. ბერძენიშვილი ვარაუდობს, განვითარებული ფეოდალიზმის ხანაშიც არიან საქართველოში (ყოველ შემთხვევაში XII ს. დასასრულამდე)[241]. მაგრამ ეს მდაბიორ-მოლაშქრენი (რომელნიც სამეფო მიწებზე სხედან) ამ დროს უკვე ფაქტიურად გლეხები არიან. ნაწილი მათგან აზნაურობაშია აღზევებული.

ამ მოვლენას უკავშირდება აზნაურობის კლასად ჩამოყალიბების საკითხიც. როგორც მართებულად აღნიშნავს ა. ბოგვერაძე, „ადრეფეოდალური საზოგადოების დასასრულისათვის შეიძლება გარკვევით ვთქვათ, რომ აზნაურობამ მოიცვა საზოგადოების ფეოდალური ნაწილი“[242]. მაგრამ შემდეგ ა. ბოგვერაძე წერს: „IX—X სს აზნაურობა, როგორც გაბატონებული წოდება, ფეოდალურ-კლასობრივი მოწიფულობის გზაზეა შემდგარი, მაგრამ აზნაურთა ფეოდალური კლასის ჩამოყალიბების პროცესი მხოლოდ განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში სრულდება“[243]. ვფიქრობთ, ა. ბოგვერაძის ეს განცხადება წინააღმდეგობაშია მის მიერვე გამოთქმულ მოსაზ-

---

240 იხ. მ. ბერძენიშვილი, გლეხთა კატეგორიები XI—XII სს. საქართველოში. ისტორიის ინსტ. შრომები. VI, 1960, გვ. 140—141.

241 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 154.

242 ა. ბოგვერაძე. ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან. თბილისი, 1961, გვ. 97.

243 იქვე.

რებასთან, რომ „ადრეფეოდალური საზოგადოების დასასრულისათვის შეიძლება გარკვევით ვთქვათ, რომ აზნაურობამ მოიცვა საზოგადოების ფეოდალური ნაწილი“[244]. თუ აზნაურობამ მოიცვა საზოგადოების ფეოდალური ნაწილი, მაშინ ის უკვე კლასადაა ჩამოყალიბებული.

ა. ბოგვერაძე სრულიად მართებულად იზიარებს ქართულ ისტორიოგრაფიაში დასაბუთებულ და განმტკიცებულ დებულებას X ს. ადრეფეოდალური ურთიერთობის დამთავრების შესახებ. ადრეფეოდალური ურთიერთობის დასრულება და განვითარებული ფეოდალიზმის საფეხურის დაწყება სწორედ იმას გულისხმობს, რომ მიწისმფლობელობა ფეოდალიზებულია და ჩამოყალიბებულია ფეოდალური საზოგადოების ორი ანტაგონისტური კლასი ფეოდალებისა და გლეხების სახით. უდავოა, რომ განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში, როგორც ფეოდალთა, ისე გლეხთა კლასიც გარკვეულ ევოლუციას განიცდის, და უამისოდ არც წარმოიდგინება ფეოდალური ურთიერთობის განვითარება. მაგრამ ევოლუცია მათი კლასებად ჩამოყალიბების პროცესის გაგრძელებას არ ნიშნავს,

* * *

როგორც აღნიშნულია, საქართველოში ფეოდალთა მიერ მიწების მითვისებისა და თავისუფალ მწარმოებელთა მასებზე განსაკუთრებით ინტენსიური შეტევის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი IX-X საუკუნეებია, რაც კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას იწვევს.

ადრეფეოდალურ ხანაში კლასობრივი ბრძოლა უმთავრესად წარმოებს თავისუფალ მწარმოებლებსა და აზნაურებს შორის. ეროვან-მდაბიორნი იბრძვიან მიწისა და პირადი დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის.

ადრეფეოდალური ხანის საქართველოში კლასობრივი ბრძოლა გარეშე მტრებთან ბრძოლის ფორმებშიც უნდა გამოვლინებულიყო.

ჩვენ ხელთ არსებული წყაროები ძალიან მცირე ცნობებს იძლევიან IX—X ს. საქართველოში კლასობრივი ბრძოლის შესახებ, რაც ამ ეპოქის საისტორიო წყაროების თავისებურებით შეიძლება აიხსნას.

---

[244] ი ქ ვ ა.

ქართულ ისტორიო წყაროებში კლასობრივი ბრძოლის ფაქტები, გამოვლენილი მიწისათვის ბრძოლაში, ძირითადად დადასტურებულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ სამცხეში და შავშეთ-კლარჯეთში. რაც შეეხება გარეშე მტრებთან ბრძოლაში გამოვლინებულ კლასობრივი ბრძოლის ფორმას, იგი ჩვენში არაბთა ბატონობის ხანაში მოჩანს.

ქართველი ხალხი, ისე როგორც სახალიფოს მიერ დაპყრობილი სხვა ხალხები, იბრძოდა დამპყრობელი არაბების წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, აბასელთა სახალიფოს დაშლაში უდიდესი როლი შეასრულა დაპყრობილ ხალხთა განმათავისუფლებელმა ბრძოლამ. დაპყრობილ ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლა სახალიფოში დიდი სახალხო მოძრაობის ხასიათს ატარებდა. ამ სახალხო მოძრაობების წამყვან ძალას შეადგენდნენ გლეხები, მასში აქტიურად მონაწილეობდნენ ხელოსნები და ქალაქის მოსახლეობის ქვედა ფენები. განსაკუთრებით მძიმე იყო აბასელთა სახალიფოში გლეხთა ფართო მასების მდგომარეობა. კერძოდ საქართველოში არაბთა მფლობელობის დროს, გლეხთა მდგომარეობას ადგილობრივ ვალდებულებებთან ერთად ამძიმებდა არაბული ხარკი („ხარაჯა", „ჯიზია"). აბასელთა სახალიფოში, წერს ვ. გაბაშვილი, „მსხვილმა მიწათმფლობელებმა ხელი დასდეს სათემო მიწებს. განახლდა არაბთა შემოსევამდე დაწყებული სათემო მიწების დატაცების პროცესი. გლეხთა მიერ თავისუფლების დაკარგვამ უკიდურესად გაამწვავა კლასობრივი ბრძოლა"[245]. ამ ხანის სახალხო მოძრაობებს შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობა ენიჭება გლეხთა დიდ აჯანყებას აზერბაიჯანში (816—837 წწ.). გლეხთა ომი სწრაფად გავრცელდა ალბანეთში, ირანში, აჯანყებას მეთაურობდა ხურამიტი ბაბეკი[246]. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პირველ ხანებში, ბაბეკს შეუერთდნენ ადგილობრივი ფეოდალებიც, რომელთაც გლეხთა აჯანყების წარმატებები გამოიყენეს ხალიფას მოხელეების თავიანთი ტერიტორიიდან გასადევნად. ამის შემდეგ ისინი გადაუდგნენ აჯანყებულთ[247]. ქართველი

---

[245] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, სახალიფოს ფეოდალური დაშლა, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 113—114.

[246] იქვე. გვ. 114.

[247] იქვე.

მთავრებიც, კახეთისა თუ ტაო-კლარჯეთის მფლობელები, იყენებდნენ ქართველი გლეხობის კლასობრივ ბრძოლას არაბთა საქართველოდან განსადევნად. და ამდენად იმ ბრძოლაში, რომელიც VIII—X სს. საქართველოში მიმდინარეობდა არაბთა წინააღმდეგ, შეიძლება კლასობრივი ბრძოლის ელემენტებიც დავინახოთ.

როგორც აღვნიშნეთ, ადრეფეოდალური ხანის საქართველოში კლასობრივი ბრძოლა განსაკუთრებით გამძაფრდა აზნაურთა მიერ სათემო მფლობელობაში დარჩენილი მიწების მიტაცების ხარჯზე მსხვილი მემამულეობის შექმნის ტენდენციის გააქტიურებისა და ამის შესაბამისად თავისუფალ მწარმოებელთა ინტენსიური დაყმევების გამო.

დაძაბული კლასობრივი ბრძოლა მიმდინარეობს VIII—IX სს. მიჯნაზე ტაო-კლარჯეთის სამთავროში. აქ ხდება ახალი სამთავრო სახლის დამკვიდრება. მოსული ახალი მთავრის, მისი ოჯახის თუ ამალის წევრების, და აგრეთვე ადგილობრივი მთავრების მიერ, მსხვილი მემამულეობის შექმნა ხდება როგორც სათემო საკუთრებაში მყოფი მიწების მითვისების, ისე ადგილობრივი წვრილი მფლობელების შევიწროების ხარჯზე. ამის პარალელურად მიმდინარეობს თავისუფალ მწარმოებელთა დაყმევება. აგრეთვე, ფეოდალური ურთიერთობის განვითარების შესაბამისად, მძიმდება მწარმოებელი საზოგადოების მდგომარეობა. აღნიშნული გარემოება იწვევს თავისუფალი მწარმოებელი საზოგადოების პროტესტს, რაც ვლინდება კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა ფორმებში.

მაგალითად, ძარღუელი გლეხი გაურბის თავის მებატონეს და მონასტერში მიდის ბერად. როგორც „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ ავტორი წერს— „კაცმან მან, ვითარცა აგრძნა, ვითარმედ არა უტევებენ ნებისმიერ მისისა, მაშინ აღიღო ევლოგიაჲ ივი და, რაჲ ოდენი რაჲ ეძლო, სახლით თჳსით, სივლტოლაჲ იჴუმიაი, ვინაჲცა დევნა უყვეს უკუანა მისსა და შეწივნითა წმინდისაჲთა ვერ ეწინეს“[248]. ეს ეპიზოდი ძარღუელი გლეხის ცხოვრებისა ასახავს კლასობრივი ბრძოლის პასიურ ფორმას, როდესაც გლეხი პროტესტს აცხადებს თავისი ვალდებულების შესრულებაზე და გაურბის მებატონეს. მებატონე მას მდევრებს დაადევნებს, ეძებს, მაგრამ რადგან ხელი

---

[248] ბასილ ზარზმელი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, გვ. 178.

არ მიუწვდა (ამ შემთხვევაში მონასტერს შეაფარა თავი და ბერად აღიკვეცა), იძულებულია თავიც დაანებოს.

ტაო-კლარჯეთის სამთავროში ბრძოლის პასიურ ფორმებთან ერთად გვხვდება კლასობრივი ბრძოლის შედარებით აქტიური ფორმებიც. აღნიშნული წყარო საკმაოდ ვრცლად აღწერს მთავრებსა და თავისუფალ მეთემეებს შორის მიწისათვის ბრძოლის ფაქტებს. ქართულ ისტორიოგრაფიაში ბასილ ზარზმელის ეს ცნობები საკმაოდ და საფუძვლიანადაა გაანალიზებული ს. ჯანაშიას მიერ[249]. აღნიშნული წყაროს ანალიზის საფუძველზე ს. ჯანაშია მართებულად ასკვნის, რომ ეს არის ბრძოლა მიწისათვის. სახნავ-სათესი და საბაღ-ბოსტნე მიწები უკვე მითვისებულია ფეოდალების მიერ. ახლა ბრძოლა წარმოებს სათემო საკუთრებაში მყოფი ტყისა და ველისათვის.

როგორც აღვნიშნეთ, ტაო-კლარჯეთის სამთავროში კლასობრივმა ბრძოლამ განსაკუთრებით მძაფრი ხასიათი მიიღო; მართალია აქ არა აქვს ადგილი ორგანიზებულ აჯანყებებს, მაგრამ მწარმოებელი საზოგადოება როგორც ეხერხება ისე უწევს წინააღმდეგობას მიწის მიმტაცებელს. ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ორივე მებრძოლი მხარე (ფეოდალები და მწარმოებლები) საცილობელ მიწას, ამ შემთხვევაში ტყეს, თავის საკუთრებად თვლიან, როდესაც სამცხის დიდი მთავარი გიორგი ჩორჩანელი ბერებს სამონასტრედ აძლევს ტყეს, რომელიც მას თავის საკუთრებად მიაჩნია, ახლომახლო სოფლების მცხოვრებნი, რომელნიც იმავე ტყეს თავის საკუთრებად თვლიან, ეწინააღმდეგებიან იქ ბერების დამკვიდრებას და მონასტრის გაშენებას. როგორც ბასილ ზარზმელი გადმოგვცემს: „ხოლო ეუწყა რა უფალთა მის დაბისათა, ვითარმედ უცხოთა ვიეთმე მონაზონთა ჰნებავს ადგილსა მას აღშენებად მონასტერი, მათ არა ინებეს, რამეთუ იყვნეს ყოვლითებრ მხეცებრივ, უწირავ და ბოროტ; რამეთუ არა ინებეს კურთხევა წმინდათა მათგან. ამისთჳს ზედამიეტევნეს მათ და, ვითარცა იგი წერილ არს კაცთა მათთჳს ნაზარეველთა, ვითარმედ „მოიყვანეს ქრისტე წუერამდე მის მთისა, რომელს ზედა ქალაქი მათი დაშენებულ იყო“, ეგრეთვე წმინდანი ესე (მოიყვანნეს) პირამდე მის მდინარისა, რომელ არს აღმოსავლით ადგილსა მას“[250].

---

[249] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. II, გვ. 438—448.

[250] ეფთჳმი ზარზმელის ცხოვრება, გვ. 153.

ასევე იბრძვიან მიწის მიმტაცებლების წინააღმდეგ საძმოელებიც. ავტორი ამ შემთხვევაში თვითონ ბერებს ალაპარაკებს—„ხოლო გვხილნეს რა კაცთა მის დაბა-წისქვლისათა იწყეს ყენებად ჩუენდა და, ვითარცა ცოფნი, წინარბიოდეს“[251].

ასეთივე ბრძოლა უხდებათ სამონასტრე ადგილის მაძიებელ ბერებს სათაკვის ტბის სანაპიროზეც[252].

როგორც ვხედავთ, ჩვენ ხელთ ძირითადად სამონასტრო მშენებლობისა და მიწის გამო მონასტრებსა და თავისუფალ მწარმოებლებს შორის ბრძოლის ფაქტებია. მაგრამ ამას არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა, რადგან, მონასტერიც ისეთივე ფეოდალური ორგანიზაციაა, როგორიც, ვთქვათ, რომელიმე გიორგი ჩორჩანელის სახლი. საძმოს ან. სათაკვის ტბის მიდამოების მაცხოვრებლები იმიტომ ეწინააღმდეგებოდნენ მათ მახლობელ ტყეში მონასტრის დაარსებას, რომ ჯერ ერთი ეს მათ ტყეს უკარგავს და მეორე, რაც მეტად მნიშვნელოვანია, მათ იციან რომ ეს ახლად დაარსებული მონასტერი ნელნელა დაადებს ხელს მის გარშემო მდებარე მიწებს მასზე მსხდომი მწარმოებლებითურთ. ამავე დროს გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ამ ეტაპზე საძმოელები და სათაკველები გიორგი ჩორჩანელს ებრძვიან, რადგან გიორგიმ დაადო ხელი მათ ტყესა და ველს და მისცა ბერებს სამონასტრედ.

მიწების მიტაცება-მითვისების გამო წინააღმდეგობა უფრო მწვავე ხასიათსაც იღებს. როგორც ცნობილია, ტაო-კლარჯეთის პირველი მთავარი ბაგრატიონთა გვარიდან, აშოტი, მოკლულ იქნა. სადღეისოდ ჩვენ ისტორიოგრაფიაში სადავო აღარაა ის საკითხი, რომ აშოტ ბაგრატიონი მოკლეს მისმავე ქვეშევრდომებმა. აქაც ისევ მიწისა და უფლების საკითხი იდგა. აშოტი შავშეთ-კლარჯეთში გარედან მოსული კაცია. მოსვლისას მას აქ არაფერი აქვს. თავისი მსხვილი მამული მან უნდა შეიქმნას და აშოტი იქმნის მამულს: ნაწილს იპყრობს, ნაწილს ყიდულობს... აშოტი ითვისებს მიწებს. ვის ხარჯზე? ძირითადად წვრილი თავისუფალი მფლობელების, მეთემეების და ადგილობრივი წვრილი ფეოდალების ხარჯზე. აშოტი იჩენს ყმებს. ვის ხარჯზე? ადგილობრივ თავისუფალ მწარმოებლებს აბამს ფეოდალიზმის უღელში. რასაკვირველია, ასეთი პროცესი წინააღმდეგო-

[251] იქვე, გვ. 159.
[252] იქვე, გვ. 161.

ბის გარეშე არ შეიძლება მიმდინარეობდეს. ჩვენამდე ალბათ არ მოუღწევია ცნობებს, თორემ ეჭვი არაა, რომ ყველაფერი ისე უმტკივნეულოდ არ შეიძლება მომხდარიყო, როგორც ამას სუმბატ დავითისძე გვამცნობს. მოვიდა, დაესახლა, შეიძინა, იყიდა, დაიპყრო... თითქოს არავის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია. თითქოს აშოტის მოსვლა და დამკვიდრება სამხრ.-დასავლეთ საქართველოში არავის ინტერესებს არ ლახავდა და არავის ხარჯზე არ ხდებოდა. მართალია, აშოტ ბაგრატიონმა ბევრი „ოჯერი აღაშენა“ და „უშენი გააშენა“, მაგრამ აშოტის „მამული“ მარტო ამის ხარჯზე არ შექმნილა. მან ბევრი იყმო, იყიდა, დაიპყრო და საქმე იქამდე მივიდა, რომ ის მისმა ქვეშევრდომებმა მოკლეს[253]. შეიძლება ვიფიქროთ, რომ აშოტ ბაგრატიონი დაძაბული კლასობრივი ბრძოლის მსხვერპლი გახდა. იმ კლასობრივი ბრძოლის მსხვერპლი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ფეოდალურ ურთიერთობის დანერგვას—მიწების მიტაცებას, თავისუფალ მწარმოებელთა გლეხად ქცევას.

IX ს. საქართველოში წინააღმდეგობა მწარმოებლებსა და ეკლესიას შორის მიწის საკითხის გამო იმდენად გამწვავდა, რომ „ანჩის ერი“, ანჩის ეკლესიის გარშემო მდებარე სოფლის მცხოვრებნი, ხანძთის მონასტრის დასანგრევადაც კი აღსდგა. აკად. ივ. ჯავახიშვილი, იხილავს რა გიორგი მერჩულეს ცნობას ცქირის მიერ ანჩის ერის ხანძთის ეკლესიის წინააღმდეგ ამხედრების შესახებ, სრულიად მართებულად ასკვნის: „ანჩელთა ასეთი იმ დროისათვის სრულებით გაუგებარი, განზრახვა და გადაწყვეტილება მათ უკიდურეს გულისწყრომასა და მღელვარებას ამჟღავნებს. ცქირს ხალხის მონასტრისადმი სამტროდ ასე სწრაფად აყოლიება არ შეეძლო, როცა ამისათვის ნიადაგი უკვე მომზადებული არ ყოფილიყო. ანჩელთა გადაწყვეტილების დაუნდობელი სიმკაცრე გვაფიქრებინებს, რომ აქაც მტრობა ავრარულ ნიადაგზე უნდა ყოფილიყო აღმოცენებული“[254].

---

[253] თ. ლომური, სუმბატ დავითისძისა და გიორგი მერჩულის ცნობები მე-IX-X სს. ქართველ ბაგრატიონთა შესახებ „არილი“, 1925, გვ. 48—49; С. Н. Какабадзе, Краткий обзор истории Грузии, გვ. 22; ე. თაყაიშვილი, სუმბატ დავითის-ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“. ნ. 27. თბ., 1949. გვ. 74—75.

[254] ივ. ჯავახიშვილი, სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში, IX—XIII სს. თბ., 1934, გვ. 5.

ამგვარად, ხანძთის მონასტერსა და სამცხის ერს. ე. ი. ფეოდალურ სახლსა და მწარმოებლებს შორის არსებული უთანხმოებით. რაც მიწისა და უფლების ნიადაგზე უნდა იყოს აღმოცენებული, სარგებლობს შემოხვევითი პიროვნება, ანჩის საყდრის მაძიებელი ცქირი, და ამხედრებს „ერს“ ხანძთის დასანგრევად.

ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ჩვენ მეზობელ სომხეთში, სადაც იმავე პერიოდში ფეოდალური ურთიერთობის განვითარების თვალსაზრისით დაახლოებით ისეთივე ხასიათის პროცესი მიმდინარეობდა როგორც ჩვენში, ბრძოლა ფეოდალებსა (განსაკუთრებით ეკლესიასა) და მწარმოებლებს შორის უაღრესად გამწვავებულ ხასიათს იღებს. ამ მხრივ ნიშანდობლივია აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ განხილული სტეფანოს ორბელიანის და სივნიეთის საეპისკოპოსოს სიგელების ცნობები სივნიეთის საეპისკოპოსოსა და მის გარშემო მდებარე სოფლების მცხოვრებლებს შორის მომხდარი ინციდენტის შესახებ[255]. სივნიეთის ეპისკოპოსმა მოინდომა საეპისკოპოსოს გარშემო მდებარე სოფლებიდან მოსახლეობის აყრა და ამ სოფლების მიწაწყლის მითვისება და დასაკუთრება. ამან გამოიწვია სასტიკი წინააღმდეგობა. სტეფანოს ორბელიანის ცნობის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს. რომ, „მოთმინებითგან გამოსული სოფელ ცურის მცხოვრებნი, როგორც ეტყობა. წინასწარ შეზრახებისა და შეთქმულების შემდგომ ერთ ღამეს მოულოდნელად მონასტერს თავს დასხმიან. ზოგი ბერთაგანი მოუკლავთ, მონასტერი კი სულ მთლად გაუცარცვიათ“[256]. ამ თავდასხმასთან დაკავშირებით სივნიეთის ეპისკოპოსი ჰოჰანესი თავის 915 წ. სიგელში წერს: „მოიწია ჩვენზე ტანჯვა-მწუხარება ბოროტ და უღმრთო ავაზაკთაგან, რომელნიც ცურაბერდად წოდებულ კლდეზე იყვნენ დაშენებულნი და რომელთაც უეცრათ ღამით სულიერ ძმათა წინააღმდეგ ამხედრებულთ წარტყვევნეს მთელი შენობა და ზოგი მოხუცებულთაგანი მოკლეს კიდეც...“[257].

აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი სრულიად მართებულად ასკვნის: „საბუთებზე დამყარებული ზემომოყვა-

---

[255] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, გლეხთა მოძრაობის ისტორიის ერთი ფურცელი ძველ სომხეთში. უნივერსიტეტის მოამბე, 1922-1923, ტ. II, გვ. 247—261.

[256] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 253.

[257] იქვე.

ნილი საქმის ნამდვილი ვითარების ანალიზი, ეგონებ, უნდა ცხადჰყოფდეს, რომ აქ ჩვენ ავაზაკებთან და გაუსწორებელ ბოროტმოქმედებთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ ბატონთაგან ყმათა საკუთრების ხელში ჩაგდების საწინააღმდეგოდ მოწყობილ გლეხთა მოძრაობასთან. პატარაა ეს სურათი, წერს ივ. ჯავახიშვილი, რომელიც ჩვენ მე-X ს. დამდეგის სომხეთის სოციალური ცხოვრებიდან გვეშლება, მაგრამ ამით მას თავისი დიდი მნიშვნელობა, რასაკვირველია, ოდნავადაც არ ეკარგება"[258].

ამგვარად IX—X ს. საქართველოში, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობს ქვეყნის ფეოდალიზაციის პროცესი, ხდება მსხვილი მიწისმფლობელობის გაძლიერება-განმტკიცება ფეოდალთა მიერ ახალი მიწების მიტაცების გზით და თავისუფალ მწარმოებელთა გაგლეხება. იმავე დროს მაჰმადიანთა ბატონობა და ხარკი კიდევ უფრო ამძიმებდა მწარმოებელი საზოგადოების მდგომარეობას. აღნიშნული გარემოებები აღრმავებდა კლასობრივ ბრძოლას, რომელიც ვლინდებოდა როგორც გარეშე მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში, ისევე ქვეყნის შიგნით წარმოებულ პასიურ ბრძოლებშიც (გაქცევა, თავის არიდება) და ბრძოლის აქტიურ ფორმებშიც (შეიარაღებული წინააღმდეგობა, ფეოდალის მოკვლა, ეკლესიის დანგრევა...).

ადრეფეოდალური ხანის საქართველოს გლეხთა მოძრაობების განხილვისას უნებლიედ ისმის საკითხი ამ მოძრაობათა ხასიათის შესახებ. რამდენადაც ცნობილია, ადრეფეოდალურ ხანაში მახლობელ აღმოსავლეთში (არაბთა სახალიფო), კიევის რუსეთში, ფრანკთა სახელმწიფოში გლეხთა გამოსვლები ძლიერი, მასიური მოძრაობების ხასიათს ატარებდნენ. ამ მხრივ ნიშანდობლივია, მაგალითად, 816—837 წწ. ბაბეკის აჯანყება სახალიფოში. ბაბეკის აჯანყებამ, რომელიც აზერბაიჯანში დაიწყო, მალე სახალიფოს ჩრდილო ოლქების უმრავლესობა მოიცვა და დიდ სახალხო აჯანყებად გადაიქცა[259]. დიდი სახალხო აჯანყების ხასიათი ჰქონდა გლეხთა მოძრაობას კიევის რუსეთში[260], ფრანკთა სახელმწიფოში, სადაც განსაკუთრებით აღსანიშნავია 841—843 წწ. ე. წ. „სტელინგის" აჯანყება საქსონიაში[261].

---

[258] ივ. ჯავახიშვილი დასახ. ნაშრ., გვ. 261.

[259] ვ. გაბაშვილი, სახალიფოს ფეოდალური დაშლა. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957, გვ. 114.

[260] Б. Д. Греков, Киевская Русь. М., 1953, გვ. 262—272.

[261] История средних веков. Госполитиздат, 1952, გვ. 138—139.

რამდენადაც ცნობილია, IX—X სს. საქართველოში გლეხთა მოძრაობებს ასეთი ფართო ხასიათი არ მიუღიათ. ჩვენ თავიდანვე შევნიშნეთ, რომ ადრეფეოდალური ხანის ჩვენამდე მოღწეულ წყაროთა თავისებურებათა გამო (ძირითადად ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა), მათში ნაკლებადაა ასახული კლასობრივი ბრძოლა, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ასეთი ფართო სახალხო მოძრაობა ადრეფეოდალური ხანის, კერძოდ IX—X სს. საქართველოში გამორიცხული უნდა იყოს. მახლობელი აღმოსავლეთისა და დასავლეთის ადრეფეოდალური სახელმწიფოები, სადაც ასეთი დიდი სახალხო მოძრაობებია დადასტურებული, ერთიან სახელმწიფოებს წარმოადგენენ.

ერთიანი, დიდი სახელმწიფოა სახალიფო, სადაც ადგილი ჰქონდა ბაბეკის აჯანყებას, ერთიანი სახელმწიფოა კიევის რუსეთი, ავრეთვე ერთიანი სახელმწიფოა ფრანკთა იმპერია. IX—X სს. საქართველო კი წარმოდგენილია რამდენიმე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულით. აფხაზთა და ტაო-კლარჯეთის სამეფოს, კახეთის სამთავროსა და თბილისის საამიროს გლეხობა გამიჯნულია ერთმანეთისაგან და ამდენად გლეხთა მოძრაობები ადგილობრივ ხასიათს ატარებენ. ასე რომ მათ შეიძლება არც ეპოვათ ასახვა იმდროინდელ ქართულ თუ უცხოურ წყაროებში.

ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება ძირითადად X საუკუნის დასასრულს განხორციელდა.

IX—X ს. საქართველოს საზოგადოებრივი კლასების დამოკიდებულება გაერთიანების საკითხისადმი გარკვეულად განსაზღვრავდა ამ პროცესს.

გაერთიანების ხანისათვის ქართული აზნაურობა უკვე აღარ წარმოადგენდა ერთფეროვან სოციალურ ფენას და ამდენად აზნაურთა ცალკეულ კატეგორიათა ინტერესები და დამოკიდებულება აღნიშნული პროცესისადმი ყოველთვის ერთნაირი არ იყო.

ძირითადად, აზნაურობისათვის, როგორც კლასისათვის, ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების არსებობა საჭირო იყო თავისი კლასობრივი ბატონობის განმტკიცებისათვის.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, IX—X სს. მიმდინარეობს თავისუფალ მწარმოებელთა ძირითადი მასის დაყმევების პროცესი, რაც იწვევს კლასობრივი ბრძოლის გამძაფრებას. ასეთ ვითარებაში აზნაურობისათვის ძნელდება თავისი აზნაურული უფლებების დაცვა-განმტკი-

ცება და ამისათვის მას ესაჭიროება ძლიერი მხარდამჭერი და დასაყრდენი ცენტრალური ხელისუფლების სახით. აღნიშნული კლასობრივი ინტერესი ფეოდალთა კლასს რაზმავს გამაერთიანებელი ძალის ირგვლივ და ქმნის გაერთიანებისათვის მებრძოლ ძლიერ არმიას.

გაერთიანებისათვის მებრძოლი ცენტრალური ხელისუფლების ერთ-ერთ უდიდეს და უძლიერეს ძალას საქართველოს მწარმოებელი საზოგადოება წარმოადგენს. მართალია, ამ ხანაში მწარმოებელი საზოგადოება მძიმედ განიცდის ფეოდალური უღლის დადების სიმძიმეს და იბრძვის კიდეც ამ უღლის წინააღმდეგ, მაგრამ ქართველი მწარმოებელი საზოგადოებისათვის, როგორც ჯერ კიდევ თავისუფალი, ისე დაყმევებული, ან დაყმევების პროცესში მყოფისთვის, ყველაზე მძიმე გარეშე ძალის უღელია (სახალიფო, ბიზანტია). ის დიდი გადასახადები, რაც განსაკუთრებით საარაბო ხარკის სახით აწვებოდა მოსახლეობას და გარეშე მტრების ხშირი შემოსევების სიმძიმე, რაც აგრეთვე ყველაზე მძიმედ მწარმოებელი საზოგადოების მხრებზე გადადიოდა, აერთიანებდა ამ ძალას ცენტრალური ხელისუფლების გარშემო გარეშე მტრის განსადევნად. და როგორც უკვე აღვნიშნეთ, გარკვეული თვალსაზრისით, მწარმოებელი საზოგადოების კლასობრივი ბრძოლის ერთ-ერთი გამოვლინება სწორედ ამ მეხარკე და დამრბევი გარეშე მტრის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლაა. საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში ქართველი მწარმოებელი საზოგადოება ძალიან აქტიურ ძალას წარმოადგენდა, და ეს აქტიურობა მისი რეალური მდგომარეობით იყო გაპირობებული.

ამდენად, როგორც ვხედავთ, საკუთარი მისწრაფებები აერთიანებენ ამ ეტაპზე ძირითადი საზოგადოებრივი ფენების ინტერესებს და მათ ერთი საერთო მიზნისაკენ, სახელდობრ, ქვეყნის გაერთიანებისაკენ მიმართავენ. აღნიშნული გარემოება, რასაკვირველია, არ გამორიცხავს ცალკეულ წინააღმდეგობათა არსებობას საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის და აგრეთვე ამა თუ იმ ანტაგონისტური და ქვეყნის გაერთიანებისადმი მტრულად განწყობილი დაჯგუფებების არსებობას.

ფეოდალთა კლასი, მეფით სათავეში, ძლიერი ფეოდალური სახელმწიფოს შექმნისათვის იბრძვის. ამას მისი კლასობრივი

და სახელმწიფოებრივი ინტერესი განსაზღვრავს, მაგრამ იგივე ფეოდალთა კლასი, განსაკუთრებით და უპირატესად მისი ზედაფენა დიდებული აზნაურების სახით, მძიმედ განიცდის საკუთარი უფლებებისა და დამოუკიდებლობის შეზღუდვას, რაც ძლიერი ცენტრალისტური ხელისუფლების დამყარებას ერთვის თან, და ამდენად, დიდებულ აზნაურთა გარკვეული დაჯგუფებები, თუ ცალკეული დიდებული აზნაურები პიროვნულად, გაერთიანების წინააღმდეგ გამოდიან. იმავე დიდებულ აზნაურებში წარმოდგენილია როგორც პროგრესული, ასევე რეაქციული ფრთაც, რომლის პოზიცია საზოგადო და პირადული ინტერესებითაა გაპირობებული. ყოველივე აღნიშნული არის ფეოდალიზმის შინაგან წინააღმდეგობათა გამოვლინება.

ფეოდალიზმის შინაგანი წინააღმდეგობანი გარკვეულად აფერხებენ საქართველოს გაერთიანების საქმეს, ხელს უშლიან მას, მაგრამ რადგან საერთო ინტერესი უფრო ძლიერი და დიდია, ამდენად ეს საერთო ინტერესი აერთიანებს საზოგადოებრივ ფენებს და მათ შესაძლებლობას ერთი მიზნისაკენ მიმართავს. ეს გარემოება შეპირობებული საქართველოს ფეოდალური ეკონომიკის მძლავრი აღმავლობით, წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს პირობას ქვეყნის გაერთიანებისათვის.

* * *

გარკვეულ როლს საქართველოს გაერთიანების საქმეში ეროვნული ერთიანობის შეგნებაც ასრულებდა.

ეროვნული და კულტურული კონცენტრაცია შეპირობებულია ეკონომიური და პოლიტიკური კონცენტრაციით.

ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი, რომლის საწყისები უკლასო საზოგადოების რღვევისა და კლასობრივი საზოგადოების ჩასახვის საფეხურს უკავშირდება, თავის საბოლოო, ფორმირებას სწორედ ადრეფეოდალურ ხანაში ამთავრებს.

საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პროცესს თან ერთვოდა საქართველოს ფეოდალურ-კულტურული გაერთიანების პროცესი[262] და ერთიანი ქართველი ხალხის საბოლოო ფორმირება.

---

[262] Н. Бердзенишвили, В. Дондуа, Феодальные княжества в грузинских землях... Очерки истории СССР (III—IX вв). Москва, 1958, გვ. 523.

ქართველი ტომების კონსოლიდაციის პროცესი უძველესი დროიდანვე აღმოსავლურ-ქართული, ქართის ტომის ირგვლივ და ამ ტომის ჰეგემონობით მიმდინარეობდა [263].

აღნიშნული გარემოება გაპირობებული უნდა იყოს იმ თავისებური ისტორიული ვითარებით, რომელიც უძველესი დროიდანვე შეიქმნა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში. დასავლურ-ქართული მონათმფლობელური სახელმწიფო, კოლხეთის სამეფო, ყოველი მხრიდან გარშემორტყმული იყო პირველყოფილ-თემური წყობილების საფეხურზე მდგომი ტომებით. ამ სახელმწიფოს პოლიტიკური სისუსტე ვერ ქმნიდა სათანადო პირობებს დასავლურ-ქართული ტომების ეთნიკური კონსოლიდაციისათვის. აღნიშნულ პროცესს აფერხებდა აგრეთვე ძლიერი უცხოური გავლენა [264].

აღმოსავლეთ საქართველოს პოლიტიკური ჰეგემონობა ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიდა აღმოსავლური და დასავლურ-ქართული ტომების კონსოლიდაციისა და ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბებისათვის, მაგრამ ის საერთაშორისო ვითარება, რომელიც მონათმფლობელობისა და ადრეფეოდალურ ხანაში იქმნება საქართველოში, დიდად აბრკოლებდა ამ პროცესის საბოლოო დასრულებას [265].

ერთიანი ქართველი ხალხი სამი ძირითადი ქართული ტომისაგან, ქართების, მეგრელ-ჭანების (ზანების) და სვანებისაგან შეიქმნა, მაგრამ, რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საუკუნეთა მანძილზე მხოლოდ ამ სამი სუფთა ქართული ელემენტის კონსოლიდაცია ხდებოდა. ქართველი ხალხის ჩამოყალიბებაში გარკვეული ადგილი უჭირავს ქართველთა მონათესავე კავკასიის მთიანეთის ტომებს, რომელნიც უძველესი დროიდანვე, საუკუნეთა მანძილზე, მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ქართველ ტომებთან, სხვადასხვა დროს პოლიტიკურად და კულტურულად იყვნენ დამოკიდებულნი საქართველოზე. აღნიშნული გარემოება ქმნიდა ხელსაყრელ პირობებს ქართველების მიერ ამ მეზობელი მონათესავე ტომების ელემენტების შერწყმისათვის.

---

[263] Г. Меликишвили, К истории древней Грузии. § 5. Материалы к вопросу об этногенезе грузинского народа, გვ. 62—140.

[264] დასახ. ნაშრ., გვ. 116.

[265] დასახ. ნაშრ., გვ. 98.

თუ არახელსაყრელი საგარეო პირობები, რაც ხელს უწყობდა ქვეყნის დაშლა-დაქუცმაცებას, აბრკოლებდა ქართველი ხალხის კონსოლიდაციის პროცესს, საქართველოს ცალკეული კუთხეების პოლიტიკური გაერთიანება-შეერთება თავის მხრივ ხელსაყრელ გარემოებას წარმოადგენდა ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბებისათვის.

ქართველი ხალხის კონსოლიდაციის პროცესში დიდი როლი ენიჭება ქრისტიანულ რელიგიას.

თუ ადრეულ საფეხურზე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ქრისტიანობის გავრცელება წელს უწყობდა აღმოსავლურ-ქართული ტომების გაერთიანებას, შემდგომ ეტაპზე, დასავლურ-ქართული ქრისტიანობის, თუ შეიძლება ასე ითქვას, „გაქართულება“ წარმოადგენდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პროცესში.

როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოში თავიდანვე ბერძნული ეკლესია გაბატონდა საეკლესიო მღვდელმსახურებაში ბერძნული ენით. მაგრამ იმავე დასავლეთ საქართველოში ბერძნულ ეკლესიასა და ბერძნულ ენას იმთავითვე უპირისპირდებოდა ქართული ეკლესია მცხეთის ტახტის სახით[266].

მცხეთის ტახტს „ძველიდანვე შეუდგამს ფეხი ეგრისში და აქ თანდათანობით განმტკიცებულა“[267]. მცხეთის საკათალიკოზოს პოზიციების განმტკიცებას დასავლეთ საქართველოში ხელს უწყობდა როგორც პოლიტიკური მდგომარეობა (გარკვეულ პერიოდებში), ისე დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობა და აღმოსავლურ-ქართული ეკლესიის მიერ მღვდელმსახურების ქართულ ენაზე წარმოება.

აფხაზთა მეფეების თავიდანვე აშკარად გამიზნული ზოგადქართული პოლიტიკა მხარს უჭერდა აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) ეკლესიის ბიზანტიიდან გამოყოფას და ამ ეკლესიის მცხეთის ტახტისათვის დაქვემდებარებას. როგორც უკვე აღნიშნულია, X ს. დასავლეთ საქართველოს ეკლესია მცხეთას დაექვემდებარა და დასავლეთ საქართველოში ქართული ეკლესია გაბატონდა, მღვდელმსახურებით ქართულ ენაზე.

---

[266] ნ. ბერძენიშვილი, საყაზირო ფეოდალურ საქართველოში. ენიმკის შრომები, X, გვ. 291—299.

[267] იქვე, გვ. 291.

საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას წინ უსწრებდა საეკლესიო გაერთიანება. იმ დროს, როდესაც ტაო-კლარჯეთი, კახეთი, ჰერეთი, ჯერ კიდევ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ, ეკლესიურად იმთავითვე ყველა ესენი მცხეთის ტახტს ექვემდებარებოდნენ, ხოლო დასავლეთ საქართველოს ეკლესია, თუ უფრო ადრე არა, X ს. შუა წლებში უკვე გაერთიანებულია სრულიად საქართველოს ეკლესიასთან.

ასეთ რეალურ პირობებში შემუშავდა ქართლის ერისთავის იოანე მარუშისძის და მისი მომხრე მოწინავე ქართველების გეგმა, რომელიც „ყოველი საქართველოსთვის" ერთი ხელისუფლის, მეფის ყოლას თვლიდა საჭიროდ და აუცილებლად. შემთხვევითი გარემოება არაა, რომ მათი არჩევანი სწორედ ბაგრატ ბაგრატიონზე შეჩერდა. გარდა საკუთარი ინტერესებისა აუცილებელი იყო მეფობის კანდიდატისათვის გამეფების კანონიერი საფუძვლის არსებობა. ბაგრატ ბაგრატიონის გენეალოგია კი ასეთ კანონიერ საფუძველს შეიცავდა.

როგორც ცნობილია, დედის ხაზით მას „აფხაზთა მეფობა" მოსდგამდა, მამის ხაზით—„ქართველთა მეფობა", ხოლო დავით კურაპალატის შვილობილობით მისი (ე. ი. დავითის)—მემკვიდრეობა. ასე რომ, ბაგრატ ბაგრატიონი მემკვიდრეობით იღებდა საქართველოს დიდ ნაწილს. ბაგრატი, თვითონ, თავის პიროვნებაში საქართველოს ცალკეული კუთხეების ერთიანობის იდეას ახორციელებდა.

აღნიშნული გარემოება არ გამორიცხავდა ბაგრატის გამეფების ჟამს, თუ შემდეგ, სხვადასხვა ხელსაყრელ მომენტებში მის წინააღმდეგ სხვადასხვა კოალიციების არსებობას.

ბაგრატს, გაერთიანებული საქართველოს პირველ მეფეს, განსაკუთრებით მძიმე პირობებში უხდებოდა მოღვაწეობის დაწყება. ის იბრძოდა ქართლის შემომტკიცებისათვის, კახეთისათვის და აფხაზეთისათვის, სადაც მას, ჩანს, თავისი მფლობელობის კანონიერების დასაბუთებაც ესაჭიროებოდა, რისი მაუწყებელიცაა ე. წ. აფხაზეთის „მეფეთა დივანი", რომელიც უნდა იყოს ისტორიული მემორანდუმი, რომლითაც ბაგრატ III ხაზს უსვამს თავის მემკვიდრეობით უფლებებს და კავშირს აფხაზურ დინასტიასთან[268].

---

[268] С. Джанашиа, О времени и условиях возникновения Абхазского царства. შრ. II, გვ. 325.

II

საქართველოს გაერთიანება და ბრძოლა უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ

ფეოდალური საქართველოს გაერთიანება და ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბება ხანგრძლივი ისტორიული პროცესის შედეგია. გაერთიანებისათვის ბრძოლის საწყისებს VIII ს. დასასრულისა და IX ს. დასაწყისის მოვლენებში ხედავენ. მართლაც, IX—X სს. დაძაბული ბრძოლისა და განვითარების ხანაა, და ამ განვითარების საბოლოო შედეგი—ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს შექმნა X ს. დასასრულს, თავის ძირითად ფარგლებში, წარმატებით გვირგვინდება. მაგრამ, ვფიქრობთ, ფეოდალური საქართველოს გაერთიანების და ქართული ადრეფეოდალური სახელმწიფოს შექმნის ტენდენციები უფრო ადრეულ, სახელდობრ VII—VIII სს. მოვლენებში შეიძლება დავინახოთ.

ფეოდალური ურთიერთობა საქართველოში VI ს. იმარჯვებს ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვებასა და მის შემდგომ განვითარებას თან სდევს დასავლური და აღმოსავლური ქართული სახელმწიფოების გაერთიანება-შერწყმის ტენდენცია. განსაკუთრებით გაძლიერდა დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს დაახლოება VII ს., როდესაც ქართული დამწერლობა შემდგომ გავრცელებას პოულობს დასავლეთ საქართველოში[1].

ამ ტენდენციის თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს ქართულ ნარატიულ წყაროებში არსებული ცნობა ე. წ. „მეფე არჩილის“ შე-

---

[1]. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო მე-7 საუკუნის პირველ ნახევარში, ხაქართველოს ისტორია. 1, თბ., 1946, გვ. 138 ; Н. Бердзенишвили, В. Д о н д у а, Грузинские земли в VII—IX вв. Очерки истории СССР III—IX вв. М., 1958, გვ. 503.

სახებ. ქართული წყაროს ეს ცნობა ჩვენს ისტორიოგრაფიაში VIII ს. 40-იანი 50-იანი წლებით თარიღდება[2].

VIII ს. შუა წლებში, არაბთა ბატონობის პირობებში, ქართლის ერისმთავარი არჩილი ქართულ წყაროებში იხსენიება როგორც „ქართლის მეფე“ ან „ქართველთა მეფე“[3]. VIII ს. 40-იან წლებში არჩილის ხელთ გაერთიანებულია კახეთ-ჰერეთი, ქართლი, მესხეთი, ლაზიკის ნაწილი და დაღისტნის ნაწილიც[4].

არჩილი ფართო საქმიანობას ეწევა, გარკვეულ რეფორმებს ატარებს. მართალია, მისი ღონისძიებები ძირითადად დასავლეთ საქართველოსა და კახეთს ეხება, საქართველოს იმ კუთხეებს, რომლებზედაც ყველაზე ნაკლებად ვრცელდებოდა არაბთა მფლობელობა, მაგრამ არჩილის ღონისძიებები მაინც უაღრესად ნიშანდობლივი ფაქტია. VIII საუკუნის 40-იან 50-იან წლებში სახალიფოში დიდი სამოქალაქო ომის არსებობის პირობებში, ჩვენში ვლინდება არაბთა წინააღმდეგ მოქმედი ძალები და არჩილი ამ დიდი განმათავისუფლებელ-გამაერთიანებელი ბრძოლის მედროშედ ჩანს. მაგრამ არჩილის საქმიანობას ბოლო მოუღო არაბთა ახალმა ექსპანსიამ და მათი მფლობელობის რეჟიმის განსაკუთრებით დამძიმებამ აბასიანთა დინასტიის ხელქვეშ.

საქართველოს გაერთიანება-შერწყმის პროცესი, თავის პირველსავე ეტაპზე ეჯახება არაბთა უზარმაზარ ძალას, რომელმაც ჯერ VII ს. 50-იან წლებში, ხოლო შემდეგ VIII ს. 50-იან წლებში შეაფერხა ამ მხრივ მიმართული განვითარება. ახალგაზრდა ფეოდალურმა ძალებმა ვერ გაუძლეს არაბთა შემოტევას და VIII ს. 50-იან წლებში შედარებით ხანგრძლივი დროით დამყარდა არაბთა მფლობელობა მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მასშტაბით. თუ აქამდე საქართველოს შერწყმა-გაერთიანების ცენტრი ქართლი-იყო, VIII ს. დასასრულიდან და IX ს. დასაწყისიდან უცხო მოძალადეთა უღლისაგან განთავისუფლების და ამის პარალელურად გაერთიანების ტენდენცია სულ სხვა ისტორიულ ვითარებაში და სხვა მიმართულე-

---

[2] ნ. ბერძენიშვილი, აღრეფეოდალური ქართული სახელმწიფო VIII ს. შუა წლებში, საქართველოს ისტორია. 1, დამპმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 120 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე. გვ. 32.

[3] ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ვახტანგ გორგასალის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 245.

[4] Н. Бердзенишвили, В. Дундуа, Очерки... გვ. 506, პ ინგოროყვა, გიორგი მერჩულე. თბ., 1954, გვ. 36.

ბით ხორციელდება. საქართველოს გაერთიანების ერთ-ერთ თავისებურებად ჩვენ სწორედ ის გარემოება მიგვაჩნია, რომ აქ ქვეყნის დაქსაქსული ნაწილების მობილიზაცია ერთი ცენტრის გარშემო კი არ ხდება, არამედ გაერთიანების პროცესი ცალკეული დამოუკიდებელი ფეოდალური სამეფო-სამთავროების ჩამოყალიბებით იწყება, გაერთიანება ცალკეულ სამთავროთა ფარგლებში ხორციელდება თავდაპირველად, ხოლო გაერთიანებისათვის ბრძოლა უცხო დამპყრობთა უღლისაგან თავდახსნისათვის ბრძოლასაც წარმოადგენს იმავე დროს. ამ პროცესის ასეთი თავისებური განვითარება განაპირობა საქართველოში არსებულმა რეალურმა ვითარებამ.

აღმოსავლეთ საქართველო არაბთა უღელქვეშ, ხოლო დასავლეთ საქართველო, ბიზანტიის უღელქვეშ იმყოფებოდა. დასავლეთ საქართველოს ბრძოლა ბიზანტიის წინააღმდეგ იყო მიმართული, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოსი—არაბთა წინააღმდეგ. ამდენად ეს ორი მხარე გათიშული იყო ერთმანეთისაგან. არაბთა მძლავრება ყველაზე მეტად აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ რაიონებზე ვრცელდებოდა. თბილისის ამირა არაბთა გარნიზონებითა და მოხელეთა მრავალრიცხოვანი შტატით თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოს რიგ ქალაქებში (დმანისი, რუისი, ...) აძნელებდა განმათავისუფლებელი ბრძოლის ქართლში დაწყებას.

არაბთა მრავალრიცხოვან შემოსევა-თარეშთაგან ყველაზე მეტად მაინც ქართლის ეს ცენტრალური რაიონები ზარალდებოდა, ხოლო განაპირა კუთხეები შედარებით დაცული იყო. აღნიშნული გარემოება უნდა შეჭმნილიყო ერთ-ერთ მიზეზად იმ თავისებური განვითარების ხაზისა, რომელსაც VIII საუკუნიდან ვხედავთ ჩვენში, სახელდობრ, მსხვილი პოლიტიკური გაერთიანებების შექმნა, რომელთა ორგანიზაცია განაპირა რაიონებში იწყება.

VIII—IX სს. მიჯნაზე საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე დამოუკიდებელი ადრეფეოდალური სამეფო-სამთავრო ჩამოყალიბდა.

VII—VIII სს. მანძილზე საქართველო არაბთა ძლიერ შემოტევებს განიცდის. როგორც აღვნიშნეთ, გაერთიანების ტენდენცია, რაც ფეოდალური ურთიერთობის განვითარების შესაბამისად ვლინდება, ვერ უძლებს არაბთა მძლავრებას და ქვეყანა მთლიანად არაბთა

მფლობელობაში ექცევა. არაბთა მფლობელობა ჩვენში ძალიან თავისებურ სახეს ატარებდა.

საქართველო არაბთა სახალიფოში შემავალ ტერიტორიად ითვლებოდა.

არაბთა სახალიფოში მრავალი, განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი ქვეყანა და სხვადასხვა სტრუქტურის ხალხი იყო გაერთიანებული.

არაბთა სახალიფო ტიპიური შუასაუკუნოვანი „იმპერია" იყო. მისთვის დამახასიათებელი მრავალწყობიანი საზოგადოებრივი ურთიერთობით.

არაბთა მიერ დაპყრობილი ქვეყნების უმრავლესობა, საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით, დამპყრობელ არაბებზე მაღლა იდგა და, ამდენად, დამპყრობელი არაბები თანდათან მათ მიერ დაპყრობილ კულტურულ ხალხთა გავლენაში მოექცნენ.

არაბთა სახალიფომ ფაქტიურად იარსება X ს. შუა წლებამდე. ამ ხნის განმავლობაში სახალიფომ განვითარების რთული გზა განვლო თავდაპირველი სამხედრო ძლიერებიდან და აღმავლობიდან, თანდათან დასუსტებასა და დაცემამდე, რასაც დაპყრობილი ქვეყნების ნელნელა ჩამოშორება და სახალიფოს პოლიტიკური დაშლა მოჰყვა შედეგად[5].

ამდენად, განვითარების სხვადასხვა ეტაპზე საგრძნობლად განსხვავდებოდა არაბთა სახალიფოს ურთიერთობის ფორმა მის მიერ დაპყრობილ ქვეყნებთან. ამ ურთიერთობას განსაზღვრავდა, ერთი მხრით, სახალიფოს პოლიტიკური და ეკონომიური მდგომარეობა და, მეორე მხრით—დაპყრობილი ხალხებისა და ქვეყნების მდგომარეობა.

თავდაპირველად, როგორც წესი, დამპყრობელი არაბები არ ერეოდნენ მათ მიერ დაპყრობილ კულტურულ ხალხთა საშინაო საქმეებში. ომაიანთა სახალიფოს შემოსავალს ძირითადად დიდი დაპყრობითი ომების გზით შემოსული სიმდიდრე შეადგენდა და, აგრეთვე, დაპყრობილი ქვეყნების ხარკიც[6].

---

[5] ვ. გაბაშვილი, არაბთა სახალიფოს დაშლა. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957.

[6] იქვე, გვ. 66.

VIII ს. შუა წლებიდან ვითარება საგრძნობლად შეიცვალა. დიდი დაპყრობითი ომების ეპოქა დამთავრდა და სახალიფოს ძირითად შემოსავლად ხარკი იქცა. ხარკი განუხრელად მატულობდა. „არაბულმა ხარკმა გამოჰფიტა დაპყრობილი ქვეყნების კულტურული მეურნეობა—ხარაჯას ოდენობის განუწყვეტელი ზრდის შედეგი იყო სოფლის მეურნეობის დაცემა, გლეხთა გაღატაკება“[7].

არაბული გადასახადების განუხრელი ზრდა და დამპყრობელ არაბთა თანდათანი ჩარევა დაპყრობილ ხალხთა საშინაო საქმეებში, იწვევდა დაპყრობილი ხალხის ბრძოლის გააქტივებას, ამწვავებდა კლასობრივ ბრძოლას. არაბთა სახალიფოს დაშლასა და დამხობაში გადამწყვეტი როლი დაპყრობილ ხალხთა განმათავისუფლებელმა ბრძოლამ შეასრულა[8].

საქართველოში არაბთა მფლობელობამ მეშვიდედან მეათე საუკუნემდე გასტანა. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში საგრძნობლად იცვლებოდა არაბ-ქართველთა ურთიერთობის ფორმები და მფლობელობისა თუ ბატონობის ხასიათი საქართველოში.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ დასავლეთ საქართველო ამ არაბთა „მფლობელობის“ გარეშე იმყოფებოდა. VIII ს. დასაწყისში არაბთა მიერ დასავლეთ საქართველოს რიგი ციხეების დაჭერა და მურვან ყრუს მიერ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ბრძოლით გავლა, ამ მხრივ მდგომარეობას არ ცვლის. არაბთა მფლობელობას დასავლეთ საქართველოსათვის მაინც ეპიზოდური მნიშვნელობა ჰქონდა. არაბთა მფლობელობის ორბიტაში აღმოსავლეთ საქართველო მოექცა.

აღმოსავლეთ საქართველოში, არაბთა მფლობელობის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, დამპყრობელთა და დაპყრობილთა ურთიერთდამოკიდებულების გათვალისწინებით, არაბთა მფლობელობის ხანა ძირითადად სამ პერიოდად შეიძლება დაიყოს.

პირველი პერიოდი მოიცავს დროის მონაკვეთს არაბთა საქართველოში შემოსვლიდან—თბილისის საამიროს დაარსებამდე (VII ს. 50-იანი წლები, VIII ს. 30-იანი წლები). ამ ხნის განმავლობაში მიმდინარეობს ბრძოლა არაბთა მფლობელობის დასამყარებლად საქართველოში.

---

[7] ვ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 65.

[8] იქვე.

მეორე პერიოდი გრძელდება თბილისის საამიროს დაარსებიდან ვიდრე თბილისის ამირების მიერ სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებამდე (IX ს. 1 ნახ.). ამ ხნის განმავლობაში ხალიფას ადგილობრივ მოხელეს საქართველოში თბილისის ამირა წარმოადგენდა, რომლის მეშვეობით მართავდა სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლება საქართველოს არაბთა მიერ დაპყრობილ ტერიტორიას.

ხოლო მესამე პერიოდი უკვე ის ხანაა, როდესაც თბილისის საამირო სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელ ფეოდალურ სამთავროს წარმოადგენს და თავის საკუთარ პოლიტიკას აწარმოებს.

თავდაპირველად არაბთა ხელისუფლება მთელ აღმოსავლეთ საქართველოზე ვრცელდებოდა. VIII ს. 30-იანი წლებიდან თბილისის ამირას განმგებლობაში მთლიანად მთელი აღმოსავლეთი საქართველო იგულისხმებოდა[9]. მაგრამ უკვე VIII ს. მეორე ნახევრიდან იწყება აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეული კუთხეების ბრძოლა თბილისის საამიროსაგან გამოყოფისა და არაბთა ბატონობისაგან გასანთავისუფლებლად. არაბთა მფლობელობაში მყოფი საქართველოს ტერიტორია თანდათან მცირდებოდა და IX ს. დასაწყისში საკუთრივ ქართლით შემოიფარგლა[10]. IX ს. დასაწყისშივე უქმდება ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება. „ამირას ტერიტორიის შევიწროვება—წერს აკად. ს. ჯანაშია, იმავე დროს ქართლის ერისმთავრის პოლიტიკური იურისდიქციის ფარგლების დაკნინებასაც ემთხვევა ქრონოლოგიურად“ [11].

ქართლის ერისმთავრები, რომელნიც იურიდიულად ამირას ადგილობრივ მოხელეებს წარმოადგენდნენ, ამავე დროს ქართული ფეოდალური არისტოკრატიის უმაღლესი წრისა და ფეოდალური კლასის წარმომადგენლები იყვნენ. ქართლის ერისმთავრების მოქმედება, როგორც ჩანს, ყოველთვის არ პასუხობდა სახალიფოს ხელისუფლების მოთხოვნილებებს. ამ მხრივ ნიშანდობლივია VIII ს. 70-იან წლებში ქართლის ერისმთავრის ნერსეს ისტორია, რომლის მოქმედება უკავშირდება ამიერკავკასიის მასშტაბით არაბთა წინააღმდეგ

---

[9] ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 391

[10] იქვე.

[11] იქვე. გვ. 391—392.

ბრძოლის გააქტივების ხანას[12]. ხოლო თბილისის ამირას და ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება აშკარად უპირისპირდება ერთმანეთს IX ს. დასაწყისში და ამავე საუკუნის 20-იან წლებში ქართლის ერისმთავრის აშოტის ქართლიდან გაქცევით და არაბთა მიერ ერისმთავრის ხელისუფლების გაუქმებით მთავრდება[13]. ამდენად, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ქართლის ერისმთავრის ხელისუფლების გაუქმება საამიროს ფარგლების შეზღუდვასთან ერთად, ქართლის ერისმთავრის ძალა-უფლების გაზრდასთანაც იყოს დაკავშირებული, რაც თავის მხრივ, IX ს. დასაწყისში საქართველოში ანტიარაბული ფრონტის გაძლიერებას უნდა უკავშირდებოდეს.

არაბთა შემოსევებმა და მათი მფლობელობის დამყარებამ საკმაოდ დაამუხრუჭა საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება. მაგრამ აღმავალი ფეოდალური განვითარების გზით მიმავალი საქართველო ვრაბებმა საბოლოოდ მაინც ვერ დაუმორჩილეს თავის სოციალურ-ეკონომიურ სტრუქტურას და, როგორც ცნობილია, დამპყრობელი არაბები თანდათან, თვითონ მოექცნენ მათ მიერ დაპყრობილი მრავალი, მათზე მეტად განვითარებული, ხალხების გავლენაში. დროებით შეფერხებული საზოგადოებრივი და სამეურნეო განვითარება თანდათან იწყებს გამოცოცხლებას და განვითარებას არაბებთან ინტენსიური ბრძოლის პირობებში.

არაბთა წინააღმდეგ ბრძოლა პერიფერიებში იწყება. ამის მიზეზი, ერთი მხრით, აღმოსავლეთ საქართველოს ცენტრალურ რაიონებში არაბთა ხელისუფლების შედარებით სიძლიერე უნდა იყოს და ავრეთვე „აქ მნიშვნელობა ჰქონდა ქართლის რელიეფს, რომელიც ზოგიერთ რაიონებს საკმაოდ კარგად იცავდა არაბების მოუძლურებული ხელისაგან“[14].

VIII ს. დასასრულსა და IX ს. დასაწყისში საქართველოს ტერიტორიაზე რიგი ფეოდალური სამთავროებია შექმნილი, რომელთა წარმოშობა უკავშირდება ცალკეული პერიფერიების საზოგადოებ-

---

[12] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 37—38.

[13] J. Marquart, Osteuropäische und Ostasiatische Streifrüge. Lepzrig, 1903, გვ. 404—409; კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, თბ. 1935, გვ. 109; Н. Бердзенишвили, В. Дондуа, Очерки... стр. 513.

[14] ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, გვ. 391.

რივ და სამეურნეო აღმავლობას არაბთა მფლობელობის წინააღმდეგ დაძაბული ბრძოლის პირობებში[15].

ცალკეულ, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სამეფო-სამთავროების წარმოშობა საქართველოს ტერიტორიაზე VIII—IX სს. მიჯნაზე, გაპირობებული იყო როგორც ნატურალური მეურნეობის ბატონობით, ისე არაბთა მფლობელობის ხასიათით. არაბები ხელს უშლიდნენ და აბრკოლებდნენ ძლიერი ადგილობრივი ხელისუფლების შექმნას[16]. აღნიშნულ გარემოებას ასახავს ქართული წყარო როდესაც აღნიშნავს: „და უკეთუ ვინმე გამოჩნდის შვილთა შორის ვახტანგისთა, რომელიმცა ღირს იყო მეფედ, იქმნის შემცირებულ სარკინოზთაგან"[17]. ასევე იქმნა „შემცირებულ სარკინოზთაგან" ქართლის ერისმთავარი აშოტ ბაგრატიონი, რომელმაც მიაღწია რა დიდ ძალაუფლებას და ხელისუფლებას, არაბთა მძლავრებით იძულებული შეიქმნა გაცლოდა ქართლსა და თავისი სამფლობელოს სამხრეთ პროვინციაში დამკვიდრებულიყო.

საზოგადოებრივ და სამეურნეო აღმავლობასთან ერთად არაბების წინააღმდეგ ბრძოლის გააქტიურებას ხელს უწყობს თვით სახალიფოს დაცემისა და დაშლის პროცესის დასაწყისი, რაც სახალიფოს საშინაო განვითარებიდან გამომდინარეობს.

არაბთა სახალიფოს ფეოდალიზაციის პროცესის შედეგად VIII—IX საუკუნეებიდან იწყება სახალიფოს დაშლა.

არაბთა მიერ დაპყრობილი ხალხების ეკონომიური და კულტურული აღმავლობა სწორედ სახალიფოს დაშლის პერიოდზე მოდის. „მაინც რა ძლიერი აღმავლობის ეპოქა იყო არაბთა ერთიანი სახელმწიფოს ფეოდალური დაშლისა და საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ხანა, არაბთა ერთიანი სახელმწიფოს ფეოდალური საზოგადოებრივი ვითარებისათვის შეუფერებელის და ამდენად ქვეყნია წინსვლის შემაფერხებელი ორგანიზაციის დამსხვრევა და კულტურულ ხალხთა შემოქმედებითი ძალების განთავისუფლება"[18].

საქართველოს ცალკეული კუთხეების განთავისუფლება არაბთა მფლობელობისაგან სხვადასხვა დროსა და განსხვავებულ ისტორიულ ვითარებაში ხდება.

---

[15] Н. Бердзенишвили, В. Дондуа, Очерки.., გვ. 509.

[16] იქვე

[17] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 250.

[18] ნ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმიდან. „მიმომხილველი", II, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 1951, გვ. 40.

VIII ს. 30-იან წლებში შექმნილი თბილისის საამირო თავდაპირველად მთელ აღმოსავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსაც მოიცავდა. არაბული ხარკი (ხარაჯა და ჯიზია) მთელ ამ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა, და მთლიანად ეს „ქართლი“ თბილისის ამირას ხელისუფლებას ემორჩილებოდა.

მაგრამ არაბთა მფლობელობა ქართველ ხალხს მშვიდობიანად არასოდეს არ მიუღია. მურვან ყრუს ექსპედიციის შემდეგ ქვეყანამ ნელ-ნელა მობრუნება დაიწყო. აბასიანთა ხელისუფლების დამყარებას, როგორც ცნობილია, შედეგად მოყვა არაბთა უღლის დამძიმება, ხარკის გაზრდა, ადგილობრივ წარჩინებულთა პრივილეგიების შეკვეცა. ყოველივე ამან, თავის მხრივ, გამოიწვია წინააღმდეგობის მძლავრი აღმავლობა.

საქართველოში არაბთა ბატონობით უკმაყოფილო იყო, ერთი მხრით, მწარმოებელი საზოგადოების ფართო მასა, რომელიც იხდიდა მძიმე საარაბო გადასახადს, და აგრეთვე, ფეოდალთა კლასი, რომელიც არაბთა მფლობელობის პირობებში ვერ სარგებლობდა თავისი სოციალური და პოლიტიკური პრივილეგიებით. ასე რომ, არაბთა წინააღმდეგ ბრძოლა ატარებდა კლასობრივი და სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ხასიათს.

VIII ს. დასასრულს, ქართველი ხალხის მძიმე ბრძოლების შედეგად „თბილისის საამიროს“ თანდათან გამოეყო, ერთი მხრით, კახეთი და, მეორე მხრით, ტაო-კლარჯეთი და ჩამოყალიბდა კახეთისა და ტაო-კლარჯეთის ქართული ადრეფეოდალური სამთავროები. ამდენად თბილისის საამიროს საზღვრად ჩრდილოეთით მდინარე არაგვი იქცა, ხოლო დასავლეთით—ტაშისკარი.

კახეთისა და ტაო-კლარჯეთის სამთავროების წარმოქმნის შემდეგ თბილისის საამირო შიდა და ქვემო ქართლით შემოიფარგლა. მაგრამ მალე მან შიდა ქართლიც დაკარგა.

თბილისის საამიროს დაარსებიდან ვიდრე IX ს. დასაწყისამდე აღმოსავლეთ საქართველო შედარებით მშვიდობიანობით სარგებლობდა, ყოველ შემთხვევაში არაბთა მსხვილ ექსპედიციებსა და საომარ ოპერაციებს ადგილი არ უნდა ჰქონოდა. მთელი ამ ხნის განმავლობაში თბილისის ამირა ხალიფას ადგილობრივი მოხელე იყო, რომელიც, როგორც ჩანს, აქ აკრეფილ საარაბო ხარკს, მეტნაკლები სიზუსტით, გზავნიდა ხალიფას სალაროში.

VIII ს. მეორე ნახევარში თბილისის ამირას მძიმე მდგომარეობა შეექმნა: ადგილობრივი მთავრების პარტიკულარიზმი, ქართველი ხალხის წინააღმდეგობა, რაც VIII ს. დასასრულსა და IX ს. დასაწყისში ორი სამთავროს წარმოქმნით დასრულდა, ამირასაგან გარკვეული ზომების მიღებას მოითხოვდა. მაგრამ ცენტრალური ხელისუფლება ამირას დიდ დახმარებას ვერ უწევდა, ამირას საკუთარი შესაძლებლობები კი საკმარისი არ იყო ამ დიდი მოძრაობის შესაფერხებლად. აბასიანი ხალიფები იძულებული იყვნენ დაკმაყოფილებულიყვნენ იმით, რომ ქართლში მათ თავისი მოხელე ყავდათ, რომელიც ხალიფას ხარკს აბარებდა და, ასე თუ ისე, იცავდა სახალიფოს ხაზართა შემოტევებისაგან.

მაგრამ მთლიანად უმტკივნეულოდ მაინც არ ჩაუვლია ამ მოვლენას. საქართველოს ცალკეული კუთხეების პარტიკულარიზმის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის გამოძახილი უნდა იყოს არაბი ისტორიკოსის ბალაძორის ცნობა მანსორის ხალიფობაში (754—775) ქართლში მომხდარი დიდი ბრძოლის შესახებ. ბალაძორის თანახმად ალ-მანსორის მიერ არმენიის ვალიდ დანიშნულმა იაზიდ იბნ უსეიდმა ამიერკავკასიაში დიდი სამხედრო ოპერაციები ჩაატარა გამდგარი მმართველების წინააღმდეგ. მათ შორის გაილაშქრა კახეთის მიმართულებითაც, „დაიმორჩილა წანარები და დააკისრა მათ ხარაჯა“[10]. ამასვე უნდა უკავშირდებოდეს ხალიფების გულისწყრომა ქართლის ერისმთავრის ნერსეს მიმართ, რასაც შედეგად ნერსეს სამწლიანი პატიმრობა (772—775), ხოლო შემდეგ აფხაზეთში გახიზვნა მოყვა.

ქართლს არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში რეალურად თუ არა, მორალურად მაინც, მხარს უჭერდა ბიზანტიის იმპერია. ქართლის უკანასკნელი ერისმთავარი აშოტ ბაგრატიონი, არაბებთან კონფლიქტის შედეგად სამხრეთ საქართველოში გადავიდა. ამ მოვლენასთან დაკავშირებით ქართველი მემატიანე წერს: „იწყეს ძიება აშოტ კურაპალატისა (არაბებმა. — მ. ლ.) და ვერ უძლო წინააღდგომად მათდა აშოტ და ივლტოდა მათგან. და წარემართა, რათა წარვიდეს

---

[10] البلاذوري كتاب فتوح البلدان Expugnationis Regiorum, ed de Goeje, 1866, გვ. 212, Баладзори, Книга завоевания стран. Текст и перевод П. К. Жузе, Баку, 1927, გვ. 20.

საბერძნეთად"[20]. აშოტი არტანუჯში დასახლდა, „მისცა ღმერთმან გამარჯვება და ახელმწიფა იგი შავშეთ-კლარჯეთსა ზედა"[21]. და იმავე მემატიანეს ცნობით, „განემტკიცა ხელმწიფება მისი ნებითა ბერძენთა მეფისათა"[22]. ხოლო მეორე ქართველი ისტორიკოსი კი დასძენს, რომ „ბერძენთა მეფემან მიუბოძა კურაპალატობა აშოტს"[23]. ამ ცნობებში ამჟამად ჩვენს ყურადღებას ერთი საკითხი იქცევს, სახელდობრ, რომ შავთეშ-კლარჯეთი „საბერძნეთია", ეხლა უკვე ბიზანტიის საკასალო ქვეყანაა, და რომ არაბთაგან ლტოლვილ აშოტს კეისარი კურაპალატობას აძლევს.

არაბთა ხელისუფლების დამყარებისას საქართველოში, ჰაბიბიბნ-მასლამასადმი დამორჩილებულ ოლქებს შორის სამხრეთ დასავლეთი საქართველო და, კერძოდ, შავშეთ-კლარჯეთიც იყო მოქცეული. ცნობილია, რომ მურვან-ყრუმ ეს მხარეებიც დალაშქრა თავისი ექსპედიციის დროს. სამხრეთ საქართველოზე რომ არაბთა ხელისუფლება და გავლენა ვრცელდებოდა, ამას შემდგომი ხანის მოვლენებიც ადასტურებენ. ამ პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე მოვლენის გამოძახილი უნდა იყოს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში" დადასტურებული ფაქტი თბილისის ამირას ჩარევისა ტაო-კლარჯეთის სამთავაროში ანჩის ეპისკოპოსის დადგენის დროს. მიუხედავად იმისა, რომ აშოტ ბაგრატიონი ბიზანტიის ვასალი და არაბთაგან დამოუკიდებელი სამთავროს ხელისუფალია, ის მაინც იძულებულია ანგარიში გაუწიოს თბილისის ამირას და მხარი დაუჭიროს ცქიერის კანდიდატურას ანჩის ეპისკოპოსის თანამდებობაზე. ნიშანდობლივია თვით ამირას მისწრაფება სამთავაროს ერთ-ერთი უდიდესი სამწყსოს ეპისკოპოსად თავის კარზე აღზრდილი და მისი ნებასურვილის შემსრულებელი ცქიერი გაიყვანოს.

უფრო აქტიურად თავის პრეტენზიებს ტაო-კლარჯეთის სამთავროს მიმართ არაბები აშოტ ბაგრატიონის გარდაცვალების შემდეგ აცხადებენ და, როგორც ქართველი მემატიანე წერს. „იყვნეს ხარკის

---

[20] სუმბატი, ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა, ქართლის ცხოვრება. I, გვ. 376.

[21] იქვე.

[22] იქვე.

[23] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება. 1, გვ. 252.

მიმცემელ სარკინოზთა ყოველნივე ხევნი შავშეთ-კლარჯეთნიგალისანი“[24].

როგორც ცნობილია, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არაბთაგან გამოყოფისათვის ბრძოლაში, ბიზანტია უჭერდა მხარს.

არაბთა სახალიფო თავისი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას თბილისის საამიროს მეშვეობით ცდილობდა. მაგრამ ამ მხრივ ვერავითარ წარმატებებს ვერ აღწევდა, ვერც კახეთში, და ვერც ტაო-კლარჯეთში. მიუხედავად იმისა, რომ VIII ს. მეორე ნახევარში კახეთს აკისრებინეს საარაბო ხარკი, VIII ს. დასასრულს ისტორიულმა კახეთმა მაინც შესძლო არაბთა ბატონობისაგან განთავისუფლება და დამოუკიდებელ სამთავროდ მოწყობა. დაახლოებით ამავე ხანებში ყალიბდება დასავლურ-ქართული ადრეფეოდალური სამეფო (აფხაზთა სამეფო) და ცოტა უფრო მოგვიანებით ტაო-კლარჯეთისა და ჰერეთის სამთავროები.

ქართული საისტორიო ტრადიცია თავისებურად გადმოგვცემს VIII ს. დასასრულს საქართველოს ტერიტორიაზე რამდენიმე დამოუკიდებელი სამთავროს აღმოცენების ისტორიას. ამ საკითხთან დაკავშირებით ვახუშტი ბაგრატიონს გამომუშავებული აქვს თავისი კონცეფცია. ვახუშტი ბაგრატიონის კონცეფციის თანახმად, VIII ს. საქართველო გაერთიანებულია არჩილისა და მისი შვილების ხელთ, რომელთა გარდაცვალების შემდეგ ეს ერთიანი ქვეყანა იშლება და წარმოიშობა რამდენიმე სამთავრო.

ვახუშტის ეს კონცეფცია დამყარებული უნდა იყოს X-I ს. ქართველი ისტორიკოსების ჩვენებებზე[25]. ამ კონცეფციის თანახმად მწყობრი სურათი გამოდის. მთელი დასავლეთ-აღმოსავლეთ საქართველო ერთიანია, მაგრამ არჩილი გარდაიცვალა, მის შემდეგ მისმა შვილებმა ეს ერთიანი ქვეყანა ვერ შეინარჩუნეს და საქართველო დაიყო ცალკეულ სამეფო-სამთავროებად.

ქართული წყაროს ცნობით, არჩილი ქართლის ერისმთავრის სტეფანოზის (სტეფანოზ I-I) მემკვიდრეა, არჩილი ქართლის ერისმთავარია. ქართული წყარო მას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „მეფობით“ იხსენიებს. არჩილი ქართლის ერისმთავარია და მთელი ქარ-

---

[24] სუმბატი, გვ. 378.

[25] მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან. მასალები... 31, 1954, გვ. 26.

თლის (ამ ტერმინის ფართო პოლიტიკური მნიშვნელობით) განმგებელია. მას მეტნაკლებად მიუწვდება ხელი როგორც საკუთრივ ქართლზე, ასევე კახეთზე, დასავლეთ საქართველოზე, სამხრეთ საქართველოზე. უაღრესად ნიშანდობლივია და ეს მისი კონკრეტული საქმიანობიდან ჩანს, რომ ყველაზე ნაკლებად მას საკუთრივ ქართლზე მიუწვდება ხელი. არჩილის მიერ გატარებული ე. წ. „რეფორმა“, რომელიც აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, VIII ს. 40—50-იან წლებში გატარდა, უშუალოდ მურვან-ყრუს ლაშქრობასა და თბილისში ამირას დანიშვნას მოსდევს. ასეთ ვითარებაში საგულისხმოა ის გარემოება, რომ ქვეყანა, მიუხედავად აქ არაბთა მფლობელობისა, განვითარების თავისი საკუთარი გზით მიდის. არჩილმა, როგორც ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს, ქვეყნის პოლიტიკურ ორგანიზაციაში ცვლილებები შეიტანა. „ქვეყნის ნახევარი არჩილმა სამეფო საკუთრებად დაიტოვა, ხოლო მეორე ნახევარი ერისთავებს გადასცა, მაგრამ არა დროებით, არამედ მკვიდრად და სამამულოდ. ამის შემდეგ ერისთავი თავის საერისთაო ქვეყანაში ხელმწიფე იყო და მისი მორჩილება ქართლის ერისმთავრისადმი სუსტი მთავრის მორჩილებას ძლიერი მთავრისადმი (ანუ, როგორც მაშინ ეტყოდნენ „შვილის“ მორჩილებას „მამაუფლისადმი“) უფრო ჰგავდა, ვიდრე მოხელის მორჩილებას თავისი ხელმწიფისადმი“[26]. და, დასძენს ნ. ბერძენიშვილი, „ასე და ამრიგად მთელი ქართლი აურაცხელი სამთავროების კრებულს წარმოადგენდა და თვით ქართლის ერისმთავარიც ერთ-ერთი ასეთი „მამაუფალი“ იყო, თუმცა პირველი და უძლიერესი სხვა „მამაუფალთა“ შორის[27]. აქვე უნდა დავუმატოთ, რომ შესაძლებელია ამ დროს ურთიერთობაზე არჩილსა და მის ერისთავებს შორის გარკვეულ გავლენას ახდენს ქართლში არაბთა მფლობელობა. არჩილი იძულებული იყო დაეთმო ერისთავებისათვის და მიეცა მათთვის მამულები სამკვიდროდ. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ არჩილის კონკრეტული საქმიანობა ძირითადად დასავლეთ საქართველოში, სამხრეთ საქართველოში და აღმოსავლეთ საქართველოს უკიდურეს აღმოსავლეთ რაიონებში ხორციელდება. ამ განაპირა კუთხეებზე ყოველთვის შედარებით ნაკლებად ვრცელდებოდა არაბთა გავლენა, ისინი უფრო მტკიცედ ქართლის ცენტრალურ

---

[26] საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელო, 1, გვ. 120.

[27] იქვე, გვ. 121.

რაიონებში იყვნენ დამკვიდრებულნი. არაბთა შემოსევებითა და დარბევებითაც ყველაზე მეტად ქართლის შიდა რაიონები ზარალდებოდა და ამიტომაა, რომ არაბთა მფლობელობისაგან ყველაზე ადრე საქართველოს ეს განაპირა კუთხეები განთავისუფლდნენ.

IX ს. დასაწყისისათვის კახეთის, ჰერეთის და ტაო-კლარჯეთის სამთავროები უკვე ფაქტიურად დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ, თბილისის საამიროც საკუთრივ ქართლით შემოიფარგლა და ქართლის ერისმთავრის ხელისუფლებაც ამ დროს გაუქმდა.

იმ დროს, როდესაც კახეთისა და ტაო-კლარჯეთის ქართული ადრეფეოდალური სამთავროების ორგანიზაცია ძირითადად არაბთა წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში მიმდინარეობდა, დასავლეთ საქართველოს ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, უპირატესად ბიზანტიის წინააღმდეგ უხდებოდა.

ბიზანტიის იმპერიისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბრძოლის პარალელურად ხორციელდება დასავლეთ საქართველოს (ეგრის-აფხაზეთის) გაერთიანება და დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ქართული ადრეფეოდალური სახელმწიფოს, აფხაზთა სამეფოს, ჩამოყალიბება.

მართალია, დასავლეთ საქართველოს დაპყრობა არაბებმა ვერ მოახერხეს, მაგრამ ისინი ცდილობდნენ დასავლეთ საქართველოზე თავისი ბატონობის გავრცელებას.

VIIIს. დასაწყისში არაბული გარნიზონები იდგა ლაზიკის დედაქალაქ ციხე-გოჯში (არქეოპოლისი) და კოდორის ხეობის რამდენიმე ციხეში. ბიზანტიელი ისტორიკოსის ცნობით, 717 წ. „სარკინოზებს ეპყრათ აბაზგიაცა, ლაზიკაც და იბერიაც“[28]. მაგრამ აბაზგიასა და ლაზიკაში არაბთა მდგომარეობა ძალიან მერყეევი იყო, რადგან შავიზღვისპირეთი ბიზანტიელებს ეპყრათ.

ამ რთულ ვითარებაში აფხაზთა სამთავრო ორმხრივ პოლიტიკას აწარმოებდა სახალიფოსა და ბიზანტიას შორის. არ ჰქონდა რა შესაძლებლობა ერთდროულად ებრძოლა ორივე მტრის წინააღმდეგ, აფხაზთა მთავარმა ლეონმა VIII ს. 30-იან წლებში ბიზანტიის ვასა-

---

[28] თეოფანე ჭამთააღმწერელი, გეორგიკა IV ნაკვ. I, ბერძენი მწერლობის ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტი და თარგმანი ს. ყაუხჩიშვილის. თბ., 1941, გვ. 107

ლობა მიიღო და ბიზანტიელთა და ხაზართა დახმარებით გაშალა ბრძოლა არაბების წინააღმდეგ[29].

აფხაზეთი, რომელიც კარგად იყო დაცული ციხე-სიმაგრეებით და არაბთა აგრესიის ცენტრიდან მოშორებით იმყოფებოდა, საქართველოს სხვა მხარეებთან შედარებით, ნაკლებად განიცდიდა არაბთა თავდასხმებს. ამით უნდა აიხსნებოდეს მურვან ყრუს მიერ ქართლის დარბევის შემდეგ არჩილ ერისმთავრის აფხაზეთში გადასვლა და ანაკოფიაში გამაგრება[30].

VIII ს. 30-იან წლებში არაბებმა აფშილეთის ტერიტორიაზე დაიკავეს ე. წ. „რკინის ციხე"[31], მაგრამ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ანაკოფიასთან ბრძოლას. ქართველი მემატიანის სიტყვით, მურვან ყრუმ „შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ეგრისის ქვეყანისანი. და ციხე იგი სამზღუდე, რომელ არს ციხე-გოჯი, შემუსრა, და შევლო ზღუდე იგი საზღვარი კლისურისა... და მოადგა ცხესა ანაკოფისასა"[32].

ანაკოფიის ბრძოლა არაბების დამარცხებით დამთავრდა. არაბებმა საბოლოოდ დაკარგეს აფხაზეთი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დასავლეთ საქართველოსთვის არაბთა ლაშქრობებს ეპიზოდური ხასიათი ჰქონდათ.

ლეონ აფხაზთა ერისთავი არჩილ ქართლის ერისმთავრის ვასალი იყო: მათი კავშირი, პირველ რიგში, გარეშე საფრთხის წინააღმდეგ იყო მიმართული.

VIII ს. 80-იან წლებში ხაზართა დახმარებით (რომელთაც დასავლეთ საქართველოში თავისი საკუთარი ინტერესები ჰქონდათ) ლეონ აფხაზთა ერისთავმა თავი ბიზანტიელთაგან დამოუკიდებლად გამოაცხადა და მეფის ტიტული მიიღო[33]. ამიერიდან, ბიზანტიის ყოველგვარი ცდა დასავლეთ საქართველოში თავის ხელისუფლების

---

[29] М. Лордкипанидзе, Абхазия в период раннего феодализма. Очерки истории Абхазской ССР, 1, Сухуми, 1960, стр. 60—61.

[30] იქვე.

[31] თეოფანე ჭამთააღმწერელი, გვ. 15.

[32] ჯუანშერი, ვახტანგ გორგასალის ისტორია. ქართლის ცხოვრება, 1. გვ. 235.

[33] С. Джанашиа, О времени и условиях возникновения Абхазского царства. Труды, II. გვ. 326.

აღდგენისა, მარცხით მთავრდება და აფხაზთა სამეფო დამოუკიდებელ ქართულ ადრეფეოდალურ სახელმწიფოდ ყალიბდება.

IX—X სს. მანძილზე ბიზანტიის იმპერია ტახტის მაძიებელი უფლისწულების მხარდაჭერით, თუ სამეფო დინასტიის შიგნით არსებული უთანხმოებების გაღვივებით, ცდილობს აფხაზეთისა და ტაო-კლარჯეთის სამეფოების პოლიტიკური ძალის დასუსტებას. რიგ შემთხვევაში ის ამ მხრივ გარკვეულ წარმატებებს აღწევს.

მაგალითად, IX ს. II ნახევარში ბიზანტიაში იმყოფებოდა როგორც აფხაზეთის ტახტის მაძიებელი ბაგრატ უფლისწული, ასევე გვარამ მამფალის ძე ნასრი. ბაგრატი ბიზანტიის მხარდაჭერით გამეფდა აფხაზეთში, ხოლო ბაგრატისა და ბიზანტიის მხარდაჭერით ნასრი გადმოვიდა სამშობლოში და ატყდა საშინელი სისხლისღვრა IX ს. 80-იან წლებში[34].

ასეთი ფაქტები ხელს უწყობენ შინაური უთანხმოების გამწვავებას და აფერხებენ საქართველოს გაერთიანების პროცესს.

როგორც ზემოთაც გვაქვს აღნიშნული, საქართველო ფეოდალურ ურთიერთობათა აღმავალი განვითარების ეტაპზე გაერთიანდა, როდესაც გადამწყვეტი და წარმმართველი მნიშვნელობა ქვეყნის ცხოვრებაში ფეოდალურ ეკონომიკასა აქვს.

ამ ეპოქის საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში უკვე მიმდინარეობდა ის პროცესები, რომელთაც საბოლოო ჯამში უნდა მიეყვანათ ქვეყანა პოლიტიკური დაქსაქსულობის ლიკვიდაციამდე და ერთიანი სახელმწიფოს შექმნამდე.

პოლიტიკური დაქსაქსულობის დროისათვის დამახასიათებელი მმართველობის სისტემა (ცალკე სამეფო-სამთავროები) ამუხრუჭებდა საწარმოო ძალთა შემდგომ განვითარებას. არსებული ფორმა სახელმწიფოს მმართველობისა წინააღმდეგობაში ვარდებოდა საწარმოო ძალთა განვითარებასთან, რაც ამზადებდა ნიადაგს ამ პოლიტიკური ფორმის ლიკვიდაციისათვის[35].

მაგრამ განვითარების ამ ეტაპზე, ფეოდალური ეკონომიკის განუსაზღვრელი ბატონობის პირობებში, ქვეყნის გაერთიანებისა და ერთიანი ცენტრალიზებული მონარქიის შექმნისათვის აუცილებელი

---

[34] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 99.

[35] მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს გაერთიანების საკითხისათვის. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 1, 1955, გვ. 440.

იყო ისეთი დამაჩქარებელი ფაქტორის არსებობა, რომელიც შესძლებდა ყველა საზოგადოებრივი ფენების ინტერესების ერთი მიზნისაკენ მიმართვას. ასეთი ფაქტორის როლში ამ დროის საქართველოს ისტორიაში, საგარეო საფრთხე გამოდიოდა.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ცენტრალიზებული მონარქიების შექმნის პროცესი, გაპირობებული იყო პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური მიზეზებით და ამ პროცესის სათავეში მეფე იდგა. „უფრო დიდი ოლქების გაერთიანება ფეოდალურ სამეფოებად რაც გორც სამიწათმოქმედო თავადაზნაურობის, ისე ქალაქების მოთხოვნილება იყო. ამიტომ ყველგან გაბატონებული კლასის—თავადაზნაურობის—ორგანიზაციას სათავეში მონარქი ედგა“ [36]. ამავე დროს მარქსიზმის კლასიკოსები მიუთითებენ, რომ დასავლეთ ევროპის სინამდვილეში ცენტრალიზებული ნაციონალური მონარქიები ამკვიდრებდნენ აბსოლუტურ მონარქიაში გადაზრდის ტენდენციას[37].

IX—X საუკუნეების საქართველოს სინამდვილეში შეუძლებელია ბურჟუაზიის ჩასახვაზე ლაპარაკი. IX—X საუკუნეები საქართველოს ისტორიაში ადრეფეოდალურიდან განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში გარდამავალი საფეხურია და, ამდენად, ამ პერიოდში ფეოდალური ურთიერთობა ჩვენში აღმავალი გზით მიიმართება. ფეოდალური საქართველოს გაერთიანების ერთ-ერთი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ განსხვავებით დასავლეთ ევროპის ქვეყნებისაგან, სადაც ცენტრალიზებული სახელმწიფოების შექმნის პროცესი ფეოდალიზმის რღვევისა და ნაციონალური სახელმწიფოების წარმოქმნის ხანას ემთხვევა, საქართველოში ცენტრალიზებული მონარქია ფეოდალური ურთიერთობის აღმავალი განვითარების პერიოდში შეიქმნა და ის მრავალხალხიანი სახელმწიფოს სახით ჩამოყალიბდა[38].

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს გაერთიანება ფეოდალიზმის პირობებში და ფეოდალურ საფუძველზე განხორციელდა. ამ მხრივ

---

[36] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, გერმანული იდეოლოგიიდან, 1948 გვ. 23.

[37] К. Маркс и Ф. Энгельс, Соч. т. 4, стр. 306.

[38] მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს გაერთიანების საკითხისათვის. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, 1. 1955. გვ. 442, 452.

საქართველო გამონაკლისს და რაიმე განსაკუთრებულ მოვლენას არ წარმოადგენს. შრომაში „ფეოდალიზმის დაშლისა და ეროვნულ სახელმწიფოთა წარმოშობის შესახებ“[39] ფ. ენგელსი პირდაპირ უთითებს, რომ სახელმწიფოებრივი გაერთიანებები ფეოდალიზმის პირობებშიც ხდებოდა. ამავე დროს ენგელსი აყენებს საკითხს პოლიტიკური ზედნაშენის როლის შესახებ დაქუცმაცებულობის ლიკვიდაციისა და სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაციის საქმეში. მაგალითად, ის აღნიშნავს, რომ „საფრანგეთსა და ესპანეთშიც ჰქონდა ადგილი ეკონომიურ დაქსაქსულობას, მაგრამ აქ იგი ძალდატანების მეშვეობით დასძლიეს“[40]. საფრანგეთი ნაციონალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდა „დინასტიური ძალაუფლების წყალობით, რომელმაც თანდათან თავის გავლენის სფეროში მოაქცია მთელი ერი“. ინგლისის, „კონსოლიდაცია მოხდა „ვარდების“ ომის დროს, რომელმაც კარის არისტოკრატიას მუსრი გაავლო“ და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ფ. ენგელსს მიაჩნია, რომ „გერმანია მიუხედავად ეკონომიური კავშირის უქონლობისა მაინც მიაღწევდა ცენტრალიზაციას“ ხელისუფლების სხვაგვარი პოლიტიკის შემთხვევაში[41]. აქედან კარგად ჩანს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ენგელსი დაქსაქსულობის ლიკვიდაციაში პოლიტიკურ მომენტს.

მარქსიზმის კლასიკოსების შრომებში გარკვეულია აგრეთვე ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის სპეციფიკური პირობები ევროპის რიგ ქვეყნებში. სტატიაში „Начало конца Австрии“ ფ. ენგელსი მიუთითებს ავსტრიისა და აგრეთვე ცენტრალური ევროპის რიგი ქვეყნების ჩამორჩენილობაზე, მაგრამ იქაც აგრეთვე დადგა დღის წესრიგში მონარქიული ცენტრალიზებული სახელმწიფოების შექმნის საკითხი, რაც თავდაცვის ინტერესებით იყო გაპირობებული. ასეთ სახელმწიფოს წარმოადგენდა ჰაბსბურგების მონარქია, მრავალერიანი სახელმწიფო, რომელშიც გაერთიანებული იყო „дюжина народностей“, ამრიგად, ფ. ენგელსმა დააყენა საკითხი ცენტრალი-

---

[39] ფ. ენგელსი, ფეოდალიზმის დაშლისა და ეროვნულ სახელმწიფოთა წარმოშობის შესახებ (წიგნში: „გლეხთა ომი გერმანიაში“. თბ. 1956), გვ. 183—196.

[40] ფ. ენგელსი, შენიშვნები გერმანიის შესახებ, იქვე, გვ. 209.

[41] იქვე, 199.

ზებული სახელმწიფოების წარმოქმნის თავისებურებათა შესახებ აღმოსავლეთ ევროპაში და გარეპოლიტიკური ფაქტორის მნიშვნელობის შესახებ ამ პროცესში.

ასე რომ, საქართველო აქ რაიმე განსაკუთრებულ გამონაკლისს არ წარმოადგენს და გაერთიანება აქაც, რიგი სხვა ქვეყნებისდაგვარად, ფეოდალიზმის პირობებში განხორციელდა და გაერთიანებას, სხვასთან ერთად, თავდაცვის აუცილებლობის ფაქტორიც აპირობებდა.

დასავლეთ ევროპაში ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა წარმოშობის პროცესი, როგორც წესი, ერების წარმოშობის პროცესს დაემთხვა და აქ ერების წარმოშობა ნიშნავდა იმავე დროს მათ გადაქცევას დამოუკიდებელ ნაციონალურ სახელმწიფოებად. ინგლისელი, ფრანგი და სხვა ერები ამავე დროს ინგლისისა და სხვა სახელმწიფოებს წარმოადგენდნენ.

მაგრამ სხვა გზით წავიდა განვითარება აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, სადაც თავდაცვის ინტერესებმა დააჩქარეს ცენტრალიზებული სახელმწიფოების შექმნის პროცესი და სადაც ცენტრალიზებული სახელმწიფოები ჯერ კიდევ ფეოდალიზმის პირობებში ჩამოყალიბდნენ და ჩამოყალიბდნენ მრავალერიანი სახელმწიფოების სახით.

ამგვარად, განსხვავებით დასავლეთისაგან, სადაც ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა შექმნა ფეოდალიზმის ლიკვიდაციის, კაპიტალიზმის განვითარების და ხალხების ერებად ჩამოყალიბებასთან ერთად მიმდინარეობს და სადაც ერების წარმოშობა და მათი ნაციონალური ცენტრალიზებული სახელმწიფოების შექმნა თანადროულად ხდება, აღმოსავლეთ ევროპაში ცენტრალიზებული სახელმწიფოების შექმნა წინ უსწრებს ფეოდალიზმის ლიკვიდაციას და ერების ჩამოყალიბებას. აღმოსავლეთში ცენტრალიზებული სახელმწიფოები ფეოდალიზმის საფეხურებზეც ყალიბდებიან.

ასეთი ტიპის სახელმწიფოა ქართული ფეოდალური მონარქია.

ეს არის სახელმწიფო, რომელსაც XI საუკუნიდან უკვე ეწოდება „საქართველო". XI საუკუნიდან ეს „საქართველო" თანდათან მრავალხალხიანი სახელმწიფოს სახით ჩამოყალიბდა. მრავალხალხიანი სახელმწიფოს სახით ჩამოყალიბების ტენდენციები საქართველოს გაერთიანების პროცესს IX—X საუკუნეებშივე ჰქონდა, რაც გაერთიანებისათვის ბრძოლაში სომხური სამეფო-სამთავროების მონაწი-

ლეობაში ვლინდებოდა. საკუთრივ ქართულ მიწების გაერთიანების შემდეგ საქართველოს XI-I ს. მანძილზე შემოუერთდა სომხეთი, შირვანი და ჩრდილო კავკასიის რიგი ოლქები. ეს „საქართველო" არის საკუთრივ ქართველი ტომებით დასახლებული ქართლი, კახეთი, იმერეთი... საქართველოა აფხაზებით დასახლებული მიწა-წყალი, საქართველოა ჰერეთი, სომხეთი... ამ სახელმწიფოს ორგანიზაცია ქართველების შემოქმედებაა. ეს „საქართველო" არ არის ნაციონალური ერთობა, მაგრამ ის სახელმწიფოებრივი ერთობაა.

გაერთიანებულ საქართველოს სამეფოში კულტურისა და სახელმწიფოს ოფიციალური ენა ქართულია.

ამ სახელმწიფოს ჰქონდა თავისი ტერიტორია, სავალდებულო-ოფიციალური ენა, იდეოლოგია, კულტურა.

როგორც ცნობილია, საქართველო გამუდმებულ შემოტევებს განიცდიდა დასავლეთიდან, სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან მომავალი ბიზანტიის, არაბების, თურქეთ-სელჯუკებისა თუ სხვა თათარ-თურქებისაგან. უაღრესად მძიმე საგარეო ვითარება საქართველოს წინაშე გაერთიანების და მტრის წინააღმდეგ საერთო ძალით ბრძოლის საკითხს აყენებდა.

საქართველოს გაერთიანებისთვის ბრძოლა საქართველოს არაბთა და ბიზანტიელთა უღლისაგან განთავისუფლების პარალელურად მიმდინარეობდა. ჯერ კიდევ საბოლოოდ გაუერთიანებელ საქართველოს თურქი-სელჯუკებისა და ბიზანტიის წინააღმდეგ უხდება ბრძოლა და საქართველოს საბოლოო გაერთიანება თურქ-სელჯუკთაგან საქართველოს გაწმენდას გულისხმობს. ამდენად საგარეო საშიშროების ფაქტორი, უცხოელ დამპყრობთაგან თავდაცვის აუცილებლობა, აჩქარებს ქვეყნის გამაერთიანებელი ძალების მოქმედებას და ხელს უწყობს საქართველოს გაერთიანებას.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ გარეშე მტრების წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლა საგრძნობლადაა გაადვილებული აგრეთვე ხელსაყრელი საგარეო ვითარებით, სახელდობრ, არაბებისა და ბიზანტიის შედარებითი დასუსტებით.

თუ გავადევნებთ თვალს მთელ პროცესს, რომლის ობიექტური შედეგი საქართველოს გაერთიანებაა, დავინახავთ, რომ ეს პროცესი ჯერ ცალკეულ კუთხეებში იწყება. არაბთა და ბიზანტიელთა უღელქვეშ მოქცეული საქართველოს სხვადასხვა ნაწილები იწყებენ

ბრძოლას მათ წინააღმდეგ და დამოუკიდებელ ფეოდალურ სამთავროებად ეწყობიან. ასეთებია: კახეთის, აფხაზეთის, ტაო-კლარჯეთის, ჰერეთის სამთავროები. ბიზანტია-არაბებთან ბრძოლის პარალელურად ეს სამთავროები ერთმანეთს ებრძვიან პირველობისთვის, ტერიტორიებისათვის...

არაბებთან და ბიზანტიასთან ბრძოლის პარალელურად მოხერხდა საქართველოს დიდი ნაწილის გაერთიანება (X ს. 80-იანი წლები). ეს გაერთიანებული საქართველო შემოტევებს განიცდის ბიზანტიის მხრიდან, ხოლო XI ს. 60-იანი წლებიდან მას თურქ-სელჯუკები უტევენ. სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო თურქ-სელჯუკთა თარეშების ასპარეზად იქცევა. XII ს. პირველ მეოთხედში ხერხდება მთელი ქართული მიწა-წყლის საბოლოო გაერთიანება.

ვლაპარაკობთ რა გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლისათვის ძალთა მობილიზაციაზე, და ამდენად ამ მომენტს ვახასიათებთ, როგორც ერთ-ერთ ხელშემწყობ გარემოებას ფეოდალური ქვეყნის გაერთიანების საქმეში, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის ვითარება, რომ მხოლოდ მტრის წინაშე შიში ქვეყანას ვერ გააერთიანებს. საქართველოს ადრეც და გვიანაც ბევრი მტერი ყოლია, მაგრამ ამან ის ვერ გააერთიანა, რადგან საამისოდ სხვა პირობები არ იყო ხელსაყრელი.

იმავე საქართველომ ყიზილბაშებსა და თურქ-ოსმალებს ვეღარ გაუწია ჯეროვანი წინააღმდეგობა, ვეღარ მოახერხა მათ წინააღმდეგ საბრძოლველად გაერთიანება, თუმც ამის აუცილებლობის შეგნება იმდროინდელ ქართველ მოღვაწეებსაც ჰქონდათ. ამ დროს საქართველო უკვე თვითონაა მოქცეული დრომოჭმული ფეოდალიზმის კლანჭებში და, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაღმავლობის გზაზეა დამდგარი.

IX—X საუკუნეების მანძილზე ქართული ადრეფეოდალური სამეფო-სამთავროები იბრძვიან ურთიერთშორის საქართველოს გაერთიანებისათვის და ამავე დროს იბრძვიან ბიზანტიის, არაბების და ხაზარების წინააღმდეგაც. მართალია, ბრძოლა ცვალებადი შედეგებით მიმდინარეობს, მაგრამ საბოლოოდ გამარჯვება თანდათან ადგილობრივ ძალებს რჩებათ. მომხდური მტრის წინააღმდეგ თანდათან

მთელი ქართული სამყარო ერთიანდება გარეშე მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამდენად, X ს. საქართველოს გაერთიანებას აპირობებს პირველ რიგში ფეოდალური ეკონომიკის მძლავრი აღმავლობა, ძირითადი საზოგადოებრივი კლასების დარაზმვა ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლაში, რაც კლასობრივი და ეროვნული მომენტითაა შეპირობებული. ქვეყნის გაერთიანების პროცესს აჩქარებს. უშუალო საგარეო საფრთხის არსებობა.

III

ბრძოლა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის

ფეოდალური ქვეყნების გაერთიანებისა და ერთიანი ცენტრალიზებული ფეოდალური მონარქიების შექმნის პროცესი, მსოფლიო ისტორიული მასშტაბით, ძირითად ხაზებში საერთო მოვლენებით ხასიათდება. მაგრამ ამავე დროს ყველა ქვეყანას თავისი საკუთარი თავისებურებანი გააჩნია, რაც კონკრეტულ-ისტორიული მოვლენებითაა გაპირობებული.

ფეოდალური საქართველოს გაერთიანების და ცენტრალიზებული მონარქიის შექმნის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ თუ გაერთიანება მსგავსად დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა აქ განვითარებული ფეოდალიზმის დასაწყის ხანას ემთხვევა, ქვეყნის შემდგომი ცენტრალიზაცია და ცენტრალიზებული მონარქიის შექმნა ჩვენში ჩქარდება. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ცენტრალიზებული მონარქიები ძირითადად გვიანდელი ფეოდალიზმის საფეხურზე ყალიბდებიან საბოლოოდ, ჩვენში ასეთი ტიპის მონარქია განვითარებული ფეოდალიზმის საფეხურზე შეიქმნა და შეიქმნა მრავალხალხიანი სახელმწიფოს სახით.

ქართული ფეოდალური მონარქია შეიქმნა ჩვენში ფეოდალურ ურთიერთობათა აღმავალი განვითარებისა და მისი განმტკიცების საფეხურზე. ამავე დროს ჯერ ქვეყნის გაერთიანება, ხოლო შებდეგ ხელისუფლების ცენტრალიზაცია ქვეყნის ფეოდალურ ძალებსა და სისტემას ემყარება, რაც საქართველოს გაერთიანების ერთ-ერთ თავისებურ მხარეს წარმოადგენს.

აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს გაერთიანების ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს გაერთიანებისათვის ბრძოლის პერიოდში ქალაქებისა და მოქალაქეთა ფენის შედარებით სუსტად განვითარება, რაც აპირობებს ქალაქების არა წამყვან როლს გაერთიანებისათვის ბრძოლის პროცესში.

ფეოდალური საქართველოს გაერთიანების თავისებურებად მიგვაჩნია ჩვენ აგრეთვე ის გარემოება, რომ განსხვავებით აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნების დიდი უმრავლესობისაგან, სადაც ქვეყნის დანაწევრებული ნაწილების გაერთიანება ერთი ცენტრის გარშემო ხდება და გარეშე მტრის წინააღმდეგ ბრძოლასაც მეტნაკლებად პოლიტიკური ცენტრი ხელმძღვანელობს, ქართველი ხალხის ბრძოლა არაბი და ბიზანტიელი დამპყრობელების წინააღმდეგ პერიფერიებში იწყება და ამავე პერიფერიებში იწყება დამოუკიდებელ სამეფო-სამთავროთა ჩამოყალიბებისა და საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის პროცესი. შექმნილი სამეფო-სამთავროები აწარმოებენ ბრძოლას ქვეყნის ცენტრალური რაიონისათვის და მთელი ქვეყნის მასშტაბით „მეფის“ ხელისუფლებაც ძირითადი რაიონების გაერთიანების შემდეგ იქმნება.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების ტენდენცია, რაც მეტნაკლებად დამახასიათებელია, განვითარების გარკვეულ საფეხურზე აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფეოდალური ქვეყნების დიდი უმრავლესობისათვის, ყოველთვის არ მთავრდება ცენტრალიზებული სახელმწიფოების შექმნით. მთელ რიგ ქვეყნებში გაერთიანებას და ფეოდალური მონარქიების შექმნას ხელს უშლიდა საშინაო და საგარეო ხასიათის მოვლენები. მაგ., ვერ მოხერხდა X—XI სს. სომხეთის გაერთიანება ასევე ბალკანეთის რიგი სლავური ქვეყნების გაერთიანება და სხვა. ამიერკავკასიაში, კერძოდ სომხეთში, გაერთიანების პროცესს წინ გადაეღობა თურქ-სელჯუკთა აგრესია.

პოლიტიკური დაქსაქსულობის ლიკვიდაცია და ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფოების ჩამოყალიბება, ისტორიული პროცესის განვითარების თვალსაზრისით, პროგრესული მოვლენა იყო. ხელისუფლების ცენტრალიზაცია ქმნიდა პირობებს შემდგომი ეკონომიური განვითარებისა და კულტურული აღმავლობისათვის. „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება საზოგადოებ-

რივი ურთიერთობის დაწინაურების შედეგიც იყო და თან იყო პირობა ამ საზოგადოების შემდგომი წინსვლისა“ [1].

ზოგ ქვეყანაში პოლიტიკური გაერთიანება სახალხო-განმათავისუფლებელი დროშის ქვეშ მიმდინარეობდა. ასე იყო, მაგ., რუსეთში, ასე იყო საქართველოში. საქართველოს გაერთიანების ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება სწორედ ისიცაა, რომ ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისათვის სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ხასიათს ატარებდა, რაც აპირობებდა საზოგადოების ძირითადი ფენების მონაწილეობას ამ ბრძოლაში. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებით მკაფიოდაა წარმოჩენილი ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პროგრესული მნიშვნელობა.

ამგვარად, საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის პროცესი თავდაპირველად ქართულ ადრეფეოდალურ სამეფო-სამთავროებში იწყება.

ყველაზე ადრე მათ შორის კახეთის სამთავრო ყალიბდება.

კახეთ-ჰერეთის სამეფო

ისტორიული კახეთი ქართლის სამეფოს, ხოლო შემდეგ ქართლის საერისმთავროს ფარგლებშია მოქცეული.

VII ს. და VIII ს. პირველ ნახევარში არაბებთან წარმოებული ბრძოლის დროს ქართლი (იგულისხმება ამ ტერმინის პოლიტიკური მნიშვნელობა — მთელი აღმ. საქართველო) მოქმედებს როგორც ერთიანი პოლიტიკური ერთეული. „არაბეთში შინაური შფოთის დროს [2] — წერს VIII ს. სომეხი ისტორიკოსი ლევონდი — სომხებმა, ქართველებმა და ალბანელებმა 30 წლის მორჩილების შემდეგ უარი განაცხადეს ხარკის ძლევაზე. მათი ურჩობა გრძელდებოდა სამი წელი“[3]. „ქართველები“ აქ საერთოდ აღმ. საქართველოს გულისხმობს. ამის საბუთად ის შეიძლება მოვიყვანოთ, რომ 30 წლის წინ, ჰაბიბის ოპერაციების შედეგად, სწორედ მთელი აღმ. საქართველო დამორჩილდა არაბებს, არაბი ისტორიკოსი დამორჩილებულ ოლქებს

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს წარმოქმნა. დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 139.

[2] იგულისხმება II სამოქალაქო ომის სახალიფოში VII ს. 80-იან წლებში.

[3] Вардапет Гевонд, История Халифов. Перевод К. Паканяна, СПБ, 1862. стр. 9—10.

შორის მთელი აღმ. საქართველოს (ქართლისა და კახეთის) ოლქებს ჩამოთვლის. ამ ფაქტს გულისხმობს სომეხი მემატიანე, როდესაც წერს, რომ მათ 30 წლის მორჩილების შემდეგ განაცხადეს უარი ხარკის ძლევაზეო. ასეთივე სურათია ქართული წყაროებითაც: VII ს. მანძილზე, და შემდეგაც, „ქართლი" მთელ აღმ. საქართველოს მოიცავს, კახეთი ცალკე გამოთიშული არაა.

686 წ., როგორც ცნობილია, კეისარსა და ხალიფას შორის ზავი დაიდო, რომლითაც სომხეთიდან და ქართლიდან შემოსულ ხარკს ეს ორი ქვეყანა შუაში იყოფდა. ამავე წელს იუსტინიანე კეისრის სარდალი ლეონტი იპყრობს ქართლს, სომხეთსა და ალბანეთს და კეისარს უმორჩილებს. როგორც ვხედავთ, აქ ქართლი ერთი მთლიანი პოლიტიკური ერთეულია და არაბთა მიერ დაპყრობილ საქართველოს გულისხმობს. მურვან ყრუს ლაშქრობის დროინდელი (VIII ს. 30—40-იანი წლები) ამბების აღწერისას ქართული წყარო ერთმანეთს უპირისპირებს ქართლსა და ეგრისს. ქართლი მისთვის მთელი აღმოსავლეთ საქართველოა, ეგრისი — დასავლეთი. „შუმუსრნა (მურვანმა) ყოველნი ქალაქნი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა და ვითარ ცნა, რამეთუ მეფენი ქართლისანი და ყოველნი ნათესავნი მათნი წარვიდეს ეგრისად და მუნით კუალად მიიცვალნეს აფხაზეთად, შეუდგა კუალსა მათსა და შეშუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი ჭუეყანისა ეგრისისანიცა"[4]. ცნობილია, რომ მურვან-ყრუს ლაშქრობამ გარკვეული დროით მეტ-ნაკლებად სტაბილური მდგომარეობა შეუქმნა არაბებს აქ. მართალია, მთელი VIII ს. მანძილზე არაბებს მწვავე ბრძოლები აქვთ ხაზარებთან ამიერკავკასიაში ბატონობისათვის, მაგრამ ხაზარ-არაბთა ამ ბრძოლებში აღმოსავლეთ საქართველო არაბების ქვეშევრდომი ჩანს მაინც.

როგორც ქართველი მემატიანე წერს, VIII ს. 80-იან წლებამდე ქართველები არაბებს ხარკს უხდიან. „ეცადნეს სარკინოზნი შემოსვლად ქართლად ყრუსა წარსვლითგან წელიწადსა ორმოცდამეათესა. აქა ჟამამდე არა შემოვიდოდეს, არამედ მიიღებდეს ხარკსა ერისთავთაგან"[5]. ეს, ეტყობა, საერთო მდგომარეობაა მთელი აღმოსავ-

[4] ჯუანშერი, ვახტანგ გორგასალის ცხოვრება, ანასეული ქართლის ცხოვრება გვ. 138; ქართლის ცხოვრება, I, გვ. 149.

[5] არჩილის წამება, ანასეული ქართლის ცხოვრება, 15!

ლეთ საქართველოსათვის, მაგრამ უკვე ამავე ხანაში არაბულ წყაროებში ჩნდებიან სანარები (წანარები), რომელთანაც არაბებს ბრძოლა უხდებათ[6].

ჰაბიბ იბნ-მასლამას სამხედრო ოპერაციების შედეგად წანარები, აღმოსავლეთ საქართველოს სხვა მცხოვრებლებთან ერთად, არაბების მოხარკეებად ხდებიან, მაგრამ VIII ს. შუა წლებში არაბებს უხდებათ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რაიონების, კერძოდ წანარეთის, დამორჩილება და მათი ხელახლა დახარკვა. (ეტყობა, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მცხოვრებლებმა შეუწყვიტეს არაბებს ხარკი). სახელდობრ, 754 წ. ახლო ხანებში ხალიფა აბუჯაფარ ალ-მანსორის მიერ არმენიის ვალიდ დანიშნული იაზიდ იბნ-უსეიდი იმორჩილებს და ხარკავს წანარებს.

როგორც ვხედავთ, არაბები კვლავ იბრძვიან საქართველოს მთიანეთის ხელახალი დამორჩილებისა და დახარკვისათვის. ეტყობა, სწორედ ამ დროიდან იწყება წანართა ტომის აქტივობა-გაძლიერება. ამავე საუკუნის 70-იან წლებში წანარები ისევ აჯანყებული არიან. მათ წინააღმდეგ იბრძვის ხალიფა მანსორის ვალი არმენიაში ჰუსეინ იბნ კაჰტაბა[7].

როგორც არაბული წყაროდან ჩანს, წანარები ამ დროს საკმაოდ დიდ ძალას წარმოადგენენ. ჰუსეინს მათთან ბრძოლა გასჭირვებია, შესაძლებელია, არაბული წყარო აზვიადებს წანართა ძალას თავისი სარდლის დამარცხების გასამართლებლად (ჰუსეინი პირველად და-

---

[6] არაბული წყაროების სანარია—სანარების პოლიტიკური მნიშვნელობა კახეთს გულისხმობს. საკუთრივ სანარია (ქართული წყაროების წანარეთი) დარიალის კარის მიდამოებში, ისტორიული კევის ტერიტორიაზე, ლოკალიზდება დაახლოებით.

[7] ეს ბრძოლა ჰიჯრის 154—8, ე. ი. 770-1—774-5 წწ. უნდა მომხდარიყო, რადგან ჰუსეინი არმენიაში ორჯერ იყო: პირველად 136, ე. ი. 753-4 წ., ხოლო მეორედ 154—8. ე. ი. 770-—774-5 წწ. იაკუბის ცნობით კი წანართა ამ აჯანყებას ადგილი ჰქონდა 764 წ., ხაზართა მიერ თბილისის დარბევის შემდეგ. ამდენად შეუძლებელია, რომ მას ადგილი ჰქონოდა ჰუსეინის არმენიის ვალიდ პირველად ყოფნის დროს. ეს კი უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს აჯანყება მისი აქ მეორედ ყოფნისას მოხდა, ე. ი. 154—8, ჰიჯრ. ჩვენი წ. ა. 770—1—774—56. წ.

მარცხდა წანარებთან ბრძოლაში), მაგრამ მაინც ნიშანდობლივია, რომ წანარებთან ბრძოლა არაბებს უჭირთ[8].

ჩვენ გაგვიძნელდება თქმა იმ დროის არაბული წყაროების სანარია საკუთრივ წანარეთია, თუ ეს უკვე გაერთიანებული კახეთის სამთავროა. ქართულ წყაროებში ამ დროს ქართლი და კახეთი ცალ-ცალკე არაა წარმოდგენილი, უკეთ რომ ვთქვათ, ქართულ წყაროებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. ვახუშტი ბაგრატიონი კახეთის დამოუკიდებლად გამოყოფას 787 წ. უკავშირებს[9], მაგრამ ეს თარიღი, რასაკვირველია, ზუსტი არ შეიძლება იყოს. ჩვენ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ VIII ს. 60-იანი წლების ამ ამბებში წანარები ცალკე ჰოქმედებენ, კახეთის სხვა ოლქებისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ ამაში გვაეჭვებს მათი სიძლიერე. ამიერკავკასიის (არმენიის) ვალის (ე. ი. არაბ მოხელეს, რომელსაც აქ მდგომი მთელი არაბული ჯარი ემორჩილება) არ ყავს საკმაო ძალა იმისათვის, რომ აჯანყებულ წანარებს ებრძოლოს და მათთან საბრძოლველად დამხმარე ჯარს მოითხოვს ხალიფასაგან. არმენიის ვალი 20. 000-იან ლაშქარს იღებს (არაბთა ისტორიკოსმა შეიძლება მტრის ძალა გააზვიადოს, მაგრამ საეჭვოა რომ ასეთ ვითარებაში იგი მაშველი ჯარის რიცხვს აზვიადებდეს), ებრძვის წანარებს და დიდის გაჭირვებით ამარცხებს მათ. თვითონ წანარებს ერთ დღეს 16. 000 მეომარი მოუკლეს და ამის შემდეგაც ისინი იმდენი დარჩენილან, რომ მათ მდევრებს უყენებენ. ამდენად საეჭვოა, რომ ამოდენა ძალა მარტო წანარებს ჰყავდეთ და, ამიტომ, ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ახლა უკვე მთელი კახეთი იბრძვის, წანარების მოთავეობით, არაბების წინააღმდეგ.

შესაძლებელია ვივარაუდოთ, და ვიფიქროთ ასე უფრო მართებული იქნება, რომ ეს ჯერ კიდევ არ არის გაერთიანებული კახეთის სამთავრო; ესაა კახეთის ოლქთა კავშირი საერთო მტრის წინააღმდეგ წანარების მოთავეობით, კავშირი, რომელიც თანდათან, იმავე წანარების მოთავეობით, სამთავროდ გადაიზარდა.

დამოუკიდებელი პოლიტიკური ფეოდალური სამთავროს ჩამოყალიბება არაა ისეთი მოვლენა, რომ ის ერთბაშად განხორციელდეს, ეს ხანგრძლივი პროცესია, რომელიც წლების მანძილზე მიმდინარე-

---

[8] ბალაძური ed. M. Houtsma, გვ. 446.

[9] ვახუშტი, საქართველოს ისტორია, ბროსეს გამ., გვ. 96.

ობს. IX ს. დასაწყისში კახეთი ნამდვილად ცალკე გამოყოფილი ფეოდალური სამთავროა, საკუთარი მთავრით სათავეში და ის უკვე როგორც ერთიანი ისე მოქმედებს. უნდა ვიფიქროთ, რომ უკვე VIII ს. 50-იანი წლებიდანვე წანარები იწყებენ ბრძოლას არაბთაგან გასანთავისუფლებლად; მათ ამ ბრძოლას თანდათან უერთდებიან აღმ. საქართველოს სხვა უკიდურესი ოლქებიც.

არაბთა წინააღმდეგ ამ ბრძოლის პარალელურად იგივე წანარები თავისი მეზობელი მხარეების შემომტკიცება-გაერთიანებას ცდილობენ. ისინი დროდადრო ახერხებენ თავისი ზრახვების განხორციელებას, არაბები კი საწინააღმდეგო ზომებს მიმართავენ, მაგრამ ეს ზომები არაბთა მდგომარეობის განმტკიცებისათვის, უკეთ რომ ვთქვათ, ძველი მდგომარეობის აღდგენისათვის ვეღარ იძლევა შედეგს და ისინი (წანარები) სარგებლობენ ფაქტიური დამოუკიდებლობით. როგორც აღვნიშნეთ, ამავე დროს, წანარები კახეთის გაერთიანება-შემომტკიცებისათვისაც იღწვიან, რის შედეგად VIII ს. დასასრულსა და IX ს. დასაწყისში კახეთის გაერთიანება წანართა მოთავეობით და არაბთა უღლისაგან განთავისუფლება მომხდარი ფაქტია.

ისმის საკითხი იმის შესახებ, თუ რა პირობები ქმნიან შესაძლებლად ამ ფაქტს?

VIII ს. დასასრული და IX ს. დასაწყისი უკვე ის ხანაა, როდესაც საკმაოდ აშკარად იგრძნობა არაბთა სახალიფოს დასუსტებისა და მისი დაშლის ნიშნები. მაგრამ აღსანიშნავია, რომ წანართა პირველი (ყოველ შემთხვევაში ჩვენთვის ცნობილი პირველი) ურჩობა ემთხვევა სახალიფოში დიდი სამოქალაქო ომისა და დინასტიების შეცვლის ეპოქას. წანარები პირველ რიგში სარგებლობენ სახალიფოს დასუსტებით. ნიშანდობლივია, რომ წანარები ჰაბიბის მიერ მათი დახარკვის შემდეგ, აჯანყებულან. არაბი ისტორიკოსის ცნობით, 754 წ. ახლო ხანებში მეორე აბასიანი ხალიფას, მანსორის, სარდალს ისევ უხდება წანარების დამორჩილება და დახარკვა. ირკვევა, რომ მათ სწორედ ამ ხანებში ძველი მდგომარეობიდან გამოსვლა სცადეს. ეს უაღრესად ნიშანდობლივი ფაქტია. სახალიფოს დასუსტება-დაშლის პირველი ნიშნები, შეიძლება ითქვას, ყველაზე ადრე შეინიშნება პროვინციებში იჩენს თავს. ერთ-ერთი ასეთი პროვინციათაგანია საქართველო და, კერძოდ, წანარეთი. საგარეო ვითარების თვალ-**საზრისით, მებრძოლი** წანარებისათვის VIII ს. დასასრულს უფრო

ხელსაყრელი დრო დგება. სწორედ VIII ს. დასასრულს და IX ს. დასაწყისში (ჰარუნ არ-რაშიდის და შემდეგ მისი მემკვიდრეების დროს) იწყება აბასიანთა სახალიფოს დაშლა-დაქუცმაცება. ამიერიდან სახალიფოს უკვე თანდათან ნაკლებად სცალია საქართველოსთვის, რაც ხელსაყრელ პირობებს უქმნის არაბთა წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს.

მართალია, არაბები შედარებით დასუსტებულნი არიან და ეს წანარებს ხელს უწყობს, მაგრამ რატომ და როგორ მოახერხა კახეთმა ქართლიდან (ამ ტერმინის პოლიტიკური მნიშვნელობა გვაქვს მხედველობაში) გამოყოფა?

თავდაპირველად, როგორც ცნობილია, არაბებთან ურთიერთობაში ქართლი გამოდის (არაბული წყაროების „ჯურზან“) ქართლის ერისმთავრებით სათავეში (არაბული წყაროების „ბატრიკ“ ე. ი. პატრიკიოზი). არაბებთან ხანგრძლივი და შეუნელებელი ბრძოლა VII ს. II ნახ. და მთელი VIII ს. მანძილზე თანდათან ჰფიტავს ქართლის ძალებს და დიდ ზიანს აყენებს ერისმთავრების მმართველ საგვარეულოს, რადგან გაბოროტებული არაბების რისხვა მათ ხვდებოდათ პირველ რიგში, ისინი მათ აწამებდნენ და ფიზიკურად ანადგურებდნენ. მაგალითად, სომეხი მემატიანის ლევონდის ცნობით, ჰარუნ არ-რაშიდის მიერ არმენიის ვალიდ დანიშნულმა ხუზაიმა იბნ ხაზიმმა იმ აჯანყების საპასუხოდ, რომელსაც მაშინ ჩვენში ადგილი ჰქონდა, სხვა სასტიკ რეპრესიებთან ერთად, აწამა და სიკვდილით დასაჯა ქართველი ერისმთავარი. „ხოლო მუსეს ეპყრა ხელისუფლება (იგულისხმება ხალიფა მუსა) ერთ წელიწადს და აღესრულა, ამისავე დღეებში მოიკლა (მოჰკლა) ქართველთა ერისთავიც მწარე სიკვდილით, ვინაიდან ხელითა და ფეხით ასწიეს ზევით და შუაში გასჭრეს მისი სხეულის სიყმაწვილე. და ამრიგად, როგორც სამსხვერპლოდ განკუთვნილი კრავი, განეშორა ამ ცხოვრებას“[10].

როგორც ლევონდის ამ ცნობიდან ჩანს, არაბ სარდალს ხუზაიმა იბნ ხაზიმს ქართველი ერისთავი უწამებია. აკად. ს. ჯანაშიას აზრით, აქ უნდა იყოს არა „ერისთავი“, არამედ „ერისმთავრის მსახური“, და აქ აბოს წამება იგულისხმება[11]. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ლევონ-

[10] Вардапет Гевонд, დასახ. ნაშრ., გვ. 165—166.

[11] ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, შრომები, 11, გვ. 398—399.

დი აქ შეიძლება არჩილის წამებას გულისხმობდეს, რადგან არჩილის წამება დროით სწორედ მუსას ხალიფობას ან ჰარუნ არ-რაშიდის ხალიფობის პირველ წლებს ემთხვევა. როგორც ცნობილია, არჩილის წამებას ადგილი ჰქონდა მურვან ყრუს შემოსევიდან 50 წლის შემდეგ „და ვითარცა გადაჰქდა წელიწადი ორმოცდა ათი (მურვანის ლაშქრობის შემდეგ. — მ. ლ.), წერს ქართველი მემატიანე, კუალად მოვიდა ჭინჭობ, ძე მოჰმადისი, მოაოხრა და შემუსრა ყოველი შენებული ქართლისა, და მიმართა შესვლად კახეთად, რათამცა მოაოჯრა და ყოვლითურთ უმკვიდრო ყო... ხოლო წმიდამან არჩილ განიზრახა გონებასა თუისსა, სიმჭნითა გონებისათა, რათა მოვიდეს და ნახოს“ [12]. მურვან ყრუს ლაშქრობიდან 50 წ. სწორედ ამ დროზე მოდის, ხოლო არაბი სარდლის სახელი ასიმი, როგორც მას ქართველი მემატიანე უწოდებს, შეიძლება იყოს ხუზაიმა იბნ ხაზიმის დამახინჯება. იმავე ხუზიამა იბნ ხაზიმს, არაბი ისტორიკოსის იაკუბის ცნობით, ამავე ხანებში მრავალი ქართველი მთავარი დაუსჯია სიკვდილით [13].

ჩანს, ეს ერთგვარი ზომა იყო მეამბოხეთა წინააღმდეგ მიღებული. ამავე დროს გასათვალისწინებელია, რომ არაბთა ლაშქრობები პირველ რიგში და ყველაზე მეტად ქართლს ხვდებოდა. აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთი, კერძოდ, კახეთი და, მით უმეტეს, კახეთის მთიანეთი ნაკლებად ირბეოდა. არაბთა თავდასხმები საგრძნობლად ასუსტებდა და აუძლურებდა ქართლს. არაბ-ქართველთა ბრძოლამ ყველაზე უფრო მძიმე შედეგები საკუთრივ ქართლს, მის მეურნეობას მოუტანა. არაბთა რეპრესიების შედეგად თანდათან გადაშენდა ქართლის სეფეწულთა გვარეულობა [14].

ამგვარად, ერთის მხრივ, არაბთა დასუსტება—სახალიფოს დაშლა. მეორეს მხრივ, ქართლის საერისმთავროს მოუძლურება და მისი მთავრების მოსპობა-გადაშენება ხელსაყრელ პირობას ქმნის ქართლის უკიდურესი ჩრდილო-აღმოსავლეთი პროვინციის — კახეთის ქართლისაგან დამოუკიდებლად გამოყოფისათვის.

მაგრამ მხოლოდ ხელსაყრელ საგარეო პირობებს, რასაკვირველია, არ შეუძლია განაპირობოს სამთავროს ჩამოყალიბება და მისი დამო-

---

[12] არჩილის წამება, ანას ქ-ცა, 157.

[13] ი ა კ უ ბ ი, II, 519.

[14] С. Джанашиа, К критике Моисея Хоренского, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1937, ნ. 6, გვ. 500.

უკიდებლად არსებობა. საამისო ნიადაგი პირველ რიგში ქვეყნის საშინაო ვითარებაში უნდა ვეძიოთ.

VIII—IX სს. ჩვენში ფეოდალიზმის განმტკიცების ხანაა. ცალკეულ პოლიტიკურ ერთეულებში ერთმანეთს პირველობას ცალკეული ფეოდალური სახლები ეცილებიან, ძირითადად ყოფილი საერისთავო ერთეულების სათავეში მდგომი სახლები, ისინი, ვინც არაბთა მძლავრობას გადაურჩა. კახეთში (კახეთ-კუხეთ-გარდაბან-წანარეთი) პირველობისათვის ბრძოლიდან, გარდაბანულ-წანარებს შორის რომ მიმდინარეობს, ჯერ წანარები გამოდიან გამარჯვებულნი (VIII ს. II ნახ.), IX ს. დასაწყისში გარდაბანელნი, ხოლო იმავე IX ს. დასასრულიდან მთავრობას ახალი დინასტია იგდებს ხელთ.

კახეთის დაწინაურება ქართული ფეოდალიზმის გარიჟრაჟზევე იგრძნობა, რისი ფესვებიც უფრო ადრინდელ ხანაშია საძიებელი. წერილობითი წყაროები ამ მხრივ ხელშესახებ მასალას ვერ იძლევიან და ამიტომ უპირატესად მატერიალური კულტურის ძეგლების მიმოხილვით ვკმაყოფილდებით. ამასთან აუცილებლივ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ VI ს. მატერიალური კულტურის ძეგლების დიდი რაოდენობა მოდის აღმოსავლეთ საქართველოზე, სახელდობრ, კახეთ-ჰერეთზე [15].

ნიშანდობლივია, რომ VII—VIII სს. საკმაოდ დიდი საამშენებლო მუშაობა წარმოებს მომავალი კახეთის სამთავროს ტერიტორიაზე. არჩილ მეფის სახელს უკავშირებს ქართული წყარო აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთში მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ცენტრის შექმნას და იქ დიდი მშენებლობის ჩატარებას. როგორც ჯუანშერი წერს: „დაჯდა არჩილ წუქეთს და აღაშენა კასრი და ჰევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე“ [16]. ეს წუქეთი, ვახუშტის აღწერით, თრუსოს ხეობაში ლოკალიზდება [17].

---

[15] იყალთოს სამება, დავითიანის უბანი, ვაჩნაძიანი, საგურამოს ქასურის წმ. გიორგი, ნინოწმინდა, რუისპირი, ბაიხო—ალავერდთან და სხვ. (იხ. გ. ჩუბინაშვილი, რამდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან, თბ., 1926, გვ.91, 93, 99, 107 და სხვ. და Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии. Т6., 1959, стр. 321—363.

[16] ჯუანშერი, ანასეული კრება, 155.

[17] ვახუშტი, გეოგრაფია, ნ. ბერძენიშვილის და თ. ლომოურის გამ., გვ. 113.

საინტერესოა, რომ არჩილი აშენებს აგრეთვე მონასტერს კახეთის მომავალი სამთავროს ცენტრის მახლობლად: „ვითარცა აღესრულა წმინდა მოწამე არჩილ — წერს ჯუანშერი — მოვიდეს ღამესა მას გოდერძიანნი და ტბიელნი და მათ თანა სხუანიცა აზნაურნი მამეანნი, და მოიპარეს გუამი წმიდისა მოწამისა არჩილისი, წარმოიღეს და შემურეს პატივითა დიდითა, დამარხეს ნოკტორას, მის მიერვე აღშენებულსა ეკლესიასა“ [18]. როგორც ვხედავთ, არჩილს ნიკტორას ეკლესია აუშენებია [19].

იმავე VIII—X სს. ძეგლები სხვაც მრავალია კახეთ-კუხეთწანარეთში; უჯარმა (რომლის გარკვეული ფენა სწორედ ამ დროით თარიღდება), ბოჭორმა, ვერონას ციხე, ჟალეთი, სიონი (ივრის ხეობის), სიონი (ყაზბეგის რაიონის), გარბნის ეკლესია [20], ახალციხე (ხევში) და ბევრი სხვ.

ამავე ხანებშია აშენებული კვეტერაც [21].

მატერიალური კულტურის ძეგლების სიმრავლე ამ მხარის ეკონომიურ სიმძლავრეზე მიუთითებს.

კახეთის სამთავროს მეურნეობის შესახებ ბევრი არაფრის თქმა შეგვიძლია, მაგრამ რადგან მომდევნო ხანის კახეთი დაწინაურებული მიწათმოქმედების ქვეყანაა, შეგვიძლია იმდროინდელი კახეთის სამთავროში განვითარებული პურეულისა და ვენახის კულტურის არსებობა ვივარაუდოთ; თუმცა ისტორიული კახეთის სამთავროს ბუნებრივი მონაცემები ყველგან არ ქმნიან ხელსაყრელ პირობებს მეურნეობის ამ დარგების გავრცელებისათვის. მიწათმოქმედება განვითარებული უნდა ყოფილიყო კახეთის სამთავროს სამხრეთ ნაწილში. უაღრესად დაწინაურებული უნდა ყოფილიყო აქ მესაქონლეობა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ იმდროინდელი კახეთის ეკონომიკაში წამყვანი ადგილი სწორედ მესაქონლეობას უკავია, რასაკვირველია განვითარებული მიწათმოქმედების არსებობის პირობებში. მეურნეობის ამ დარგისათვის კახეთის სამთავროში, და განსაკუთრებით მის ჩრდილო ზოლში, შესანიშნავი ბუნებრივი პირობებია. კახეთის სამთავრო მდიდარია როგორც საზაფხულო, ისე საზამთრო საძოვრები-

[18] ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ანასეული ქ'ცა, 195.
[19] ვ ა ხ უ შ ტ ი, გეოგრაფია, გვ. 93.
[20] ვ. დ ო ლ ი ძ ე, გარბანი, თბ., 1960, გვ. 91.
[21] ვახუშტი, გეოგრაფია, გვ. 101.

თაც. მსხვილფეხა და წვრილფეხა მესაქონლეობის არსებობაზე პირდაპირი მითითებაც გვაქვს ერთ არაბულ წყაროში. IX ს. დასაწყისში(829/30 წ. არაბი სარდლის ხალიდ იბნ იაზადის პირველი ლაშქრობა) არაბებთან ბრძოლაში დამარცხებული წანარები (კახეთის სამთავრო) კონტრიბუციას ცხენებითა და ცხვრებით იხდიან.

ნიშანდობლივია, რომ ხალიდი კახელების ჯოგებს იგდებს ხელთ და ისინიც ცხენებისა და ცხვრების გადახდით უთანხმდებიან მათ. ჩანს, ესაა მათი მეურნეობის ძირითადი და საუკეთესო ნაყოფი. აღსანიშნავია არაბთათვის მიცემული საქონლის რაოდენობაც: 3. 000 ცხენი და 20. 000 ცხვარი[22].

კახეთის სამთავროს ეკონომიური სიძლიერე, აღნიშნულ ხელშემწყობ გარემოებასთან ერთად (სახალიფოს დაშლა, ქართლის დასუსტება), ქმნის საფუძველს კახეთის სამთავროს გაერთიანებისა და დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბებისათვის. ეს პროცესი VIII ს. შუა წლებში იწყება, ხოლო VIII ს. დასასრულისათვის კახეთის სამთავრო უკვე დამოუკიდებელი ფეოდალური ერთეულია ადგილობრივ მთავართა დინასტიით სათავეში.

* * *

ტერიტორიულად კახეთის სამთავრო არ მოიცავს იმავე მიწა-წყალს რაც გვიანფეოდალურ ხანაში კახეთის სამეფოს სახით არსებობდა და რასაც ჩვენ დღეს კახეთს ვუწოდებთ. კახეთის სამთავრო (კახეთი და კუხეთი) დღევანდელი შიდა კახეთის ჩრდ. დასავლეთით ლოკალიზდება, ჩვენი შიდა კახეთი კი (მისი დიდი ნაწილი), ისტორიული ჰერეთის სამთავროა.

XI საუკუნისათვის კახეთის მთავრების მიერ ჰერეთის სამთავროს დაპყრობასა და შემოერთებას სამთავროს პოლიტიკური და კულტურული ცენტრის ჰერეთში გადანაცვლება მოყვა (თუ რატომ და რა პირობებში, ამაზე თავის ადგილას ვეცდებით პასუხის გაცემას), რის გამოც ყოფილი ცენტრი თანდათან პროვინციად იქცა[23].

---

[22] იაკუბი, II, 567.

[23] კახეთის სამთავროს საზღვრების საკითხზე დაწვრილებით იხ. მ. ლორთქიფანიძე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან, მასალები. 31, 1954, გვ. 19—26.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ ტერმინ „კახეთის“ საკითხზე. ისევე როგორც ზოგი სხვა ქვეყნის სახელებს (მაგ. „ქართლი“, „აფხაზეთი“...). „კახეთსაც“ რამდენიმე სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, ვიწრო და ფართე.

„კახეთი“ თავისი ვიწრო მნიშვნელობით მოიცავს საკუთრივ კახეთს, უკეთ რომ ვთქვათ, კახეთის საერისთაოს. VIII ს. დასასრულიდან, დაახლოებით მას შემდეგ, რაც იქმნება კახეთის სამთავრო, ტერმინ კახეთის მნიშვნელობა ფართოვდება და ამიერიდან ის უკვე კახეთ-კუხეთ-გარდაბანის, ანუ ამ ახალი ფეოდალური სამთავროს აღმნიშვნელ სახელად იქცევა. ესაა ტერმინ „კახეთის“ პოლიტიკური მნიშვნელობა, მაგრამ „კახეთის“ ეს პოლიტიკური მნიშვნელობაც შემდგომ გაფართოებას განიცდის. სახელდობრ, მას შემდეგ, რაც კახეთის მთავრები ჰერეთს იპყრობენ და კახეთის სამთავროს უერთებენ, ტერმინი კახეთი ჰერეთსაც მოიცავს (ყოფილ ჰერეთის სამთავროს სულ თუ არა, მის უდიდეს ჩრდ. ნაწილს მაინც). კახეთის „გავრცელება“ ჩრდილოეთიდან სამხრეთ — აღმოსავლეთისაკენ ხდება.

თავდაპირველად კახეთის სამთავროს ორგანიზაცია ჩრდილო რაიონებში ხდება. მოუძლურებული ბარი (ბრძოლა არაბებთან) ჩამოდის ისტორიული ამბების სცენიდან. მთა, რომელმაც უკეთ შეინახა თავი, იწყებს ბრძოლას არაბთა უღლის გადაგდებისა და სამთავროს ორგანიზაციისათვის. თუ მივიღებთ, რომ წანართა ცენტრი, დაახლოებით, დღევანდელი ყაზბეგის რაიონია, მაშინ უნდა დავუშვათ, რომ სწორედ აქედან იწყება წანართა შეტევა კახეთის ბარზე. ჩრდილოეთი თანდათან უტევს ბარს და იმორჩილებს კიდეც მას. ეს მთისა და ბარის ურთიერთობის ერთ-ერთი სახეა. ბარის დასუსტებასთან ერთად მოსახლეობა მთიდან ბარში ჩამოდის, მთა უტევს ბარს და მთის მოსახლეობა ბარში მკვიდრდება. თუ VIII ს. დასასრულს კახეთის სამთავროს პოლიტიკური ცენტრი ასეთ უკიდურეს ჩრდილოეთშია, მომდევნო საუკუნეებისათვის იმავე სამთავროს ცენტრი დღევანდელი თიანეთის რაიონში და მის სამხრეთითაა საძიებელი, ივრის ჩამოყოლებით, და თიანეთის აღმოსავლეთით ალაზნისაკენ. ამას მოწმობს ამ მხარის სიმდიდრე აღნიშნული ხანის ძეგლებით (ბოჭორმა, უჯარმა, ვერონა, კვეტერა და სხვ.).

ივრის ხეობის მატერიალური ნაშთები უაღრესად მჭიდროდ დასახლებული რაიონის შთაბეჭდილებას ტოვებს. უჯარმიდან ზევით,

დაახლოებით იმ რაიონამდე, სადაც ივრის ხეობა არაგვის ხეობას ემიჯნება, ივრის ორივე ნაპირას დიდი რაოდენობითაა პატარა ეკლესიები, რომლებიც სოფლის ეკლესიების შთაბეჭდილებას ტოვებენ („კვირიები", როგორც ზოგ მათგანს ადგილობრივ უწოდებენ). ამავე დროს აღსანიშნავია, რომ როდესაც გაერთიანებული საქართველოს მეფე ბაგრატ III კახეთის მთავრის წინააღმდეგ იწყებს ბრძოლას, იგი თიანეთიდან უტევს კახეთის მთავარს. „და თუით (ბაგრატ III) წარემართა ზემოთა ლაშქრითა, გაიარა თრიალეთი, გავლო ჯიდი მცხეთისა, და მოერთნეს თანა აფხაზნი და ქართველნი. დადგა თრიალეთს (თიანეთს) და იწყო შემუსრა კახეთისა[24]. ჩვენ აქ მართებულად მიგვაჩნია ბროსესეული ტექსტის თიანეთი და არა თრიალეთი[25], რადგან ბაგრატი თრიალეთიდან მოდის, გადავა მცხეთის ხიდზე (ე. წ. პომპეუსის ხიდი), აქედან კი გზა თიანეთში რამდენიმეა, თრიალეთიდან მისული და მცხეთის ხიდზე გასული ბაგრატი ისევ თრიალეთს ვერ დადგებოდა[26]. თიანეთის სანახებში დგება ბაგრატი და იწყებს კახეთის შემუსვრას. თიანეთის სანახებიდანვე ებრძვის ბაგრატ IV-ც კვირიკე კახთა და რანთა მეფეს. „გარდაადგა (XI ს. 40-იან წ.) თიანეთსა და დაწვა დარბაზი ბოდოჯისა, სახლი სახელოვანი, დიდის კუირიკე მეფისაგან აგებული" [27]. ვფიქრობთ, რომ ეს ბოდოჯი შეიძლება იყოს კახთა მეფეების საჯდომი (თელავში გადასვლამდე). ბოდოჯში მათი სასახლე ყოფილა, ბოდოჯის სასახლე, კვირიკე მეფის აგებული, ბაგრატ IV დაუწვია (მატ. 185). თიანეთის რაიონში ბოდოჯად, ვფიქრობთ, შეიძლება მივიჩნიოთ სასახლის ნანგრევები, რომელიც დღეს „ცხრაკარას" სახელწოდებითაა ცნობილი. სახელწოდება „ბოდოჯი" დღეს იქ არსად არაა შენახული. როგორც ჩანს, ეს სახელი ადრევე გაქრა, რადგან ის არც ვახუშტიმ იცის. უკვე XI ს-ში სამეფოს ცენტრი თელავშია. შესაძლებელია, რომ თელავში ცენტრი სწორედ ამ კვირიკემ გადაიტანა. ვახუშტი წერს: „არს თელავი, რომელი ჰყო კვირიკემ, პირველ გამეფებულმან კახეთს და ჰერეთს, სასახლე დიდი, ვითარცა ქალაქი"[28]. რომ ცენ-

---

[24] მატიანე ქართლისა, ანასეული ქ-ცა, 176.

[25] იხ. ქ-ცა. 1, 1955, გვ. 279.

[26] როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, თიანეთი მაშინ მთელი სანახების სახელი უნდა ყოფილიყო, ქართველი ერის ისტორია, წ. II. გვ. 38.

[27] მტნე, ანასეული ქ-ცა, 185; 1. 1955, გვ. 298.

[28] გახუშტი, გეოგრაფია, 106.

ტრის გადატანა კვირიკე III ან მისი მემკვიდრეების დროს უნდა მომხდარიყო, ამის საბუთად ის გამოდგება, რომ აღსართანის დროს (1058—1084), ე. ი. იმავე XI ს., სამეფოს ცენტრი უკვე თელავია. აღსართანი თელავში ზის. შეპყრობილი განძის ამირა ფადლონი ისაკ თოლობელისძემ „წარიყვანა და მიგუარა ახსართანს თელავს“ ბოდოჯის სასახლე დაიწვა-დაინგრა, ცენტრი თელავში გადავიდა. ბოდოჯის სახელი გაქრა, ყოფილმა ცენტრმა კი მთელი სანახების — თიანეთის სახელი დაიმკვიდრა [29].

XI ს. სამეფოს ცენტრის თიანეთიდან თელავში გადატანა გასაგები მიზეზების გამო ხდება. იმ დროს, როდესაც თიანეთის რაიონი შედარებით უფრო მწირი და მთიანი ზოლია, თელავი ნაყოფიერი და ნოყიერი მიწის ზოლში იმყოფება. მიწათმოქმედება და, განსაკუთრებით, მიწათმოქმედების ყველაზე უფრო ინტენსიური დარგი, მევენახეობა აქ ყველაზე უფრო მეტად უნდა ყოფილიყო იმთავითვე განვითარებული. ამას გარდა, იმ დროს, როდესაც საკუთრივ კახეთის სამთავრო ხანგრძლივ ბრძოლას ეწეოდა არაბებთან, ჰერეთის სამთავროს მათთან მშვიდობიანი ურთიერთობა ჰქონდა, რამაც ხელი შეუწყო ფართე აღებმიცემობის გაშლა-გაცხოველებას არაბებთან და, ამის შესაბამისად, ამ მხარის (ე. ი. ჰერეთის სამთავროს) ეკონომიურ დაწინაურებას. ამდენად ბუნებრივია, რომ ამ რაიონის შემოსვლას კახეთის სამთავროს ფარგლებში უნდა მოყოლოდა კიდეც შედეგად ცენტრის აქეთ გადმონაცვლება. ამავე დროს აქ ნაწილობრივ ალბათ სამეფოს ცენტრის დაცულობის საკითხიც

---

[29] „ცხრაკარას“ ნანგრევები (რომელიც ჩვენ ბოდოჯის სასახლედ მიგვაჩნია) დღევანდელი თიანეთის ჩრდ. დასავლეთითაა 1,5 კმ-ზე, დაახლოებით. ეს დიდი ნაგებობაა 44×26 მ, რომელსაც სამხრ.-აღმ. კიდეე ცალკე მინაშენი აქვს 21×9 მ. მთავარ (ძირითად) კედლებს შიგნით (კედლის სისქე დაახლ. 1 მ) რამდენიმე ცალკე დანაყოფია საინტერესო თაღიანი კარებით (ასეთი თაღიანი კარი რამდენიმეა, ორი მათგანი საკმაოდ კარგად ჩანს). სააშენებლო ტექნიკა და არქიტექტურული ტიპი (შერჩენილი კედლების წყობა და თაღები) მისი დაახლოებით IX—XI სს. დათარიღების საშუალებას იძლევიან. სახელწოდება ბოდოჯი არც ხალხშია შერჩენილი, რადგან, როგორც ცნობილია, აქ ეხლა მთიდან ჩამოსახლებული მოსახლეობაა, რომელმაც ძველი ადგილობრივი სახელები ცუდათ შემოინახა. აქვე, ჩვენდა სასიამოვნოდ, უნდა შევნიშნოთ, რომ ბოდოჯის შესახებ ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრება (იხ. მ. ლორთქიფანიძე. ფეოდალური საქართველოს გაერთიანების ისტორიიდან. მასალები... 31. თბ., 1954, გვ 24—25) ძირითადად ემთხვევა აკად, გ. ჩუბინაშვილის მოსაზრებას აღნიშნულ საკითხზე. (იხ. Г. Чубинашвили, Архитектура Кахетии, Тбилиси, 1959, стр. 563).

მოქმედებდა. სამხრეთი ეხლა ისე საშიში არაა(არაბები დაეცენ, ოურქ-სულჯუკები ჯერ არ მოსულან). კახეთის სამთავრო საქართველოს მეფისგან განიცდის შევიწროებას. თიანეთი შედარებით უფრო ადვილად მისადგომია საქართველოს მეფისათვის, ვიდრე ასვ. შორს მყოფი თელავი.

საერთოდ ცნობილია კახეთის მთიანეთის მოსახლეობის ხელსაყრელ დროს მთიდან ბარში ჩამოსვლა. ეს მოვლენა საუკუნეთა მანძილზე გრძელდება. ამ ფაქტის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიტანოთ სოფ. ყვარას (ივრის ზემო წელზე, არტანის ჩრდილოეთით) მცხოვრებლების ჩამოსახლება შიდა კახეთში, ყვარელში. რომ ყვარელი ყვარ-ელების ახალი საცხოვრისია, ეს ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მონაცემებით დასტურდება[30]. დღემდე დაცულია გადმოცემა მთიდან ჩამოსახლების შესახებ და დღემდე ყვარლის მცხოვრებლებში დაცულია ყვარას ხატის თაყვანისცემის ტრადიცია (იქ მიდიან ხატის დღეობაზე).

ამგვარად, სახელწოდება კახეთი, კახეთის საერისთაოდან, თავდაპირველად კახეთის სამთავროზე გადადის, ხოლო შემდეგ კახეთის მთავრების მიერ დაპყრობილ და თავის სამთავროსთან შემოერთებულ ჰერეთის სამთავროზეც. ამიერიდან ეს გაერთიანებული კახეთ-ჰერეთის სამეფო კახეთად იწოდება. ეხლა გასაგებია, თუ რითაა გამოწვეული ის გარემოება, რომ გაერთიანების ხანის ქართულ წყაროებში ტერმინები „კახეთი“ „კუხეთი“ და „ჰერეთი“ ხშირად ერთმანეთს ენაცვლება. ამ გარემოებას პირველად ყურადღება მიაქცია ივ. ჯავახიშვილმა და აღნიშნა, რომ ეს სამი სახელი „არეულია“ ერთმანეთში და ძნელია გაგება იმისა, თუ რომელი პუნქტი სადაა, კახეთში, კუხეთში თუ ჰერეთში. ვფიქრობთ, რომ ქართლი წყაროების ეს „არეულობა“ სრულიად კანონზომიერი და გასაგებია. ქართველი ისტორიკოსი წერს, რომ ბაგრატ III კახეთში შესვლისას „აღიღო ქვეყანა ჰერეთისა“, იგივე ქართველი ისტორიკოსი საკუთრივ ჰერეთის ციხეს, მაგ., ვეჟინს ხან ჰერეთის ციხედ აცხადებს, ხან კახეთისად[31]. ვეჟინი საკუთრივ ჰერეთშია, მაგრამ როდესაც, „ჰერეთი“ „კახეთად“ იქცევა, ვეჟინიც კახეთის ციხედ ხდება. ბაგრატ III კახეთში შევიდა და აიღო ამ კახეთში შემავალი საკუთრივ ჰერე-

---

[30] Г. С. Читая, Грузинская Советская этнография за годы послевоенной пятилетки „Советская этнография“. 1952, № 3, стр. 182.

[31] მატიანე ქართლისა. ქ-ცა. 1, გვ. 264, 321 და სხვ.

თი: ე. ი. მთელი კახეთ-კუხეთ-ჰერეთის მნიშვნელობით იხმარება ტერმინი კახეთი, მაგრამ „ჰერეთი“ მთელი კახეთის მნიშვნელობით არასოდეს არ იხმარება.

* * *

კახეთის სამთავროში რეალური ხელისუფლების მეტარებლად მთავრები გვევლინებიან [32].

როგორც ცნობილია, კახეთის მთავრები IX ს. 30-იან წლებში ქართულ წყაროებში ქორეპისკოპოსის ტიტულით არიან მოხსენებულნი.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ადრევე არსებობდა და ახლაც არსებობს ტენდენცია კახეთის ქორეპისკოპოსის ქორიკოზით შეცვლისა. ამ ტერმინის (ქორეპისკოპოზის) მართებულობის ასეთი გადასინჯვა თავდაპირველად სულხან-საბა ორბელიანთან გვხვდება. ის წერს: „ქორეპისკოპოსი უმეცარსა მწერალსა ქართლის ცხოვრებაში გაურყუნია ქორიკოზი ქარაგმით ქორეპისკოპოსი ჰგონებია.

ქორეპისკოპოზი — უსამწყსო ეპისკოპოზს ეწოდების ბერძნულად და ქორიკოზი მეფის მონაცვლეს ჰქვიან“ (სიტყვის კონა). როგორც ვხედავთ, საბა თვლიდა, რომ კახეთის მთავარი ქორიკოზის (მეფის მონაცვლის) ტიტულს ატარებდა. ამ აზრს იზიარებს ვახუშტი ბაგრატიონი, რითაც აიხსნება მის „ისტორიაში“ ქორეპისკოპოსის მაგიერ ყველგან ქორიკოზის ხმარება.

ქორეპისკოპოსის ქორიკოზით შეცვლა მართებულად მიაჩნია პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს. თავისი შრომის („ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი და მათი ვინაობა“) ერთ-ერთ სქოლიოში პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი კატეგორიულად აცხადებს, რომ „ქორიკოზ“-ის წაკითხვა „ქორებისკოპოზ“-ად, როგორც „მატიანე ქართლისა“-შია იგი მოყვანილი (მარიამ დედოფლის ვარიანტში) ქ. ც., თაყ., 220, 222, 224, 225, 228, 231, 242.. (გადამახინჯებულია „ქორაფის კოვზ“-ად) და რომელსაც, სხვათა შორის, ივ. ჯავახიშვილი (ქართველი ერის ისტორია, I—II, 885, 396, 420) ეყრდნობა, გაუგებრობის შედეგი უნდა იყოს ძველს ხელნაწერებში ნახმარი სიტყვის „ქორიკოზ“-ის ქარაგმიან სიტყვად მიღებისა და მის უმართებულოდ გახსნის გა-

---

[32] მთავარია გენეოლოგიის საკითხზე იხ. მ. ლორთკიფანიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 26—30.

მო"[33]. ამ კატეგორიული განცხადების საბუთად პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგს მოყავს: საბა, ვახუშტი (მის მიერ ქორეპისკოპოზის მაგიერ უველგან ქორიკოზის ხმარება) და პროფ. ს. კაკაბაძის აზრი, რომ „ქორიკოზი... არის... საგვარო წყობილების ტერმინი, მამფალის და მამასახლისის არა თუ მნიშვნელობით, არამედ სოციალური წარმოშობითაც — სრული ექვივალენტი"[34]. ქორეპისკოპოზ-ქორიკოზის საკითხში პროფ. ს. კაკაბაძეც იმავე აზრისაა[35].

ვფიქრობთ, რომ ქორეპისკოპოსი არაა შერყვნილი ქორიკოზი. „ქართლის ცხოვრების" არც ერთი ნუსხის არც ერთ შემთხვევაში ქორიკოზი არაა ხმარებული. არის ქორებისკოპოსი, ქორეპისკოვზი. ქორაფისკოვზი. ეპისკოპოსის ელემენტი „ეპის", „ების" თუ „აფის" სახით უველგანაა შემორჩენილი. ვფიქრობთ, საბა შეცდა, როდესაც „ქართლის ცხოვრების" ქორეპისკოპოსი ქორიკოზის დამახინჯებად მიიღო, ხოლო ეს მისი შეცდომა სხვებმა გაიმეორეს (ვახუშტი, ლ. მელიქსეთბეგი, ს. კაკაბაძე). კახეთის მთავარი რომ ნამდვილად ქორეპისკოპოსია და არა ქორიკოზი, ამის საბუთად X ს. სომეხი ისტორიკოსის იოანე კათალიკოსის ცნობაც შეიძლება მოვიყვანოთ. იოანე კათალიკოსი კახეთის მთავარს კვირიკეს, კახეთის „დიდ ქორეპისკოპოსს" („*Բրսպիսկոպոս*") უწოდებს[36]. იოანე კათალიკოსი აქ არ შეიძლება ცდებოდეს. აღნიშნულ მოსაზრებას უნდა უჭერდეს მხარს უკანასკნელ ხანს თ. ბარნაველის მიერ გამოცემული ზედაწნის და თოლას წარწერები[37].

* * *

კახეთის ისტორიის საკითხს მჭიდროდ უკავშირდება ე. წ. ვარდაბანელთა და წანართა საკითხი.

---

[33] ლ. მელიქსეთ-ბეგი, ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი და მათი ვინაობა, თბილისი 1928 გვ. 26.

[34] ს. კაკაბაძე, ქართული სახელწიფოებრიობის გენეზისი, საისტორიო მოამბე, 1, 1924, გვ. 106—107.

[35] ს. კაკაბაძე, О племени цанар საისტორიო კრებული, III, გვ. 109.

[36] იოანე დრასხანაკერტელი, ცნობები საქართველოს შესახებ. გამოცემა ი. აბულაძის. თბ. 1937. გვ. 59.

[37] თ. ბარნაველი, კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები. თბ., 1962. გვ. 74 და 94.

გარდაბანელთა საკითხის გარკვევისათვის მნიშვნელობა ენიჭება ვახუშტის შემდეგ ცნობას:

„ხოლო წელს ქს. ღპზ. ქრ. 8, მოკუდა ჯუანშერ ერისთავთ-ერისთავი და შემდგომად მისსა განდგა გრიგორი მთავარი და ამან დაიპყრა კახეთი, კუხეთი და გარდაბანი. ამანვე მოსპო სახელი კუხეთისა და იწოდა კახთა მთავრად ანუ ქორიკოზად“ [38].

გარდაბანი და გარდაბანელნი მნიშვნელოვან როლს თამაშობენ კახეთის სამთავროს ისტორიაში. VIII ს. დასასრულს გრიგოლ კახეთის მთავარი იპყრობს გარდაბანს; აერთიანებს კახეთს, კუხეთს და გარდაბანს და კახთა მთავრად იწოდება; მაგრამ უკვე IX ს-ში, სახელდობრ, დაახლ. 827 წ. (გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ) დამორჩილებული გარდაბნელები (შესაძლებელია გარდაბნელთა სამთავრო სახლი) ახერხებენ კახეთ-გარდაბანის მთავრის ხელისუფლების ხელში ჩაგდებას. „მას ჟამსა შეითქუნეს გარდაბანელნი და გახადჩინეს ქორებისკოპოზად დაჩი, ძე იოვანე, ქობულის ძისა“ — წერს XI ს. ქართველი მემატიანე [39].

ვახუშტი ბაგრატიონი ავრცელებს და აზუსტებს მემატიანეს ამ ცნობას და წერს: „და შემდგომად გრიგორისა შეითქვნენ გარდაბანელნი და განაჩინეს ვაჩე ქობულის ძე და უწოდეს ქორიკოზად კახეთისად და ესე ვაჩე ქორიკოზობდა კეთილად კახეთს. შემდგომად მოკუდა ქს. ყლთ (839), ქრ. ნთ“[40]. უპირატესობას კახეთის სამთავროში გარდაბანელთა ტომი მოიპოვებს და მთავრადაც გარდაბანელი ვაჩეა. გარდაბანელნი კარგა ხნით ახერხებენ ხელისუფლების შენარჩუნებას. საინტერესოა, რომ მთავრის ხელისუფლება არჩევითი, მაგრამ ირჩევენ გარდაბანელნი, უკეთ რომ ვთქვათ, გარკვეული ფენა გარდაბანელებისა ირჩევს თავის წრეში მთავარს. „მას ჟამსა შეითქუნეს გარდაბანელნი და განაჩინეს ქორებისკოპოზად დაჩი, ძე იოვანე ქობულის ძისა“[41]. ეს „განაჩინეს“ დაახლოებით ისეთივე ხასიათის მოვლენაა, როგორც ქართლის ფეოდალებმა „განაჩინეს ერისმთავრად გუარამ“. მაგრამ ეს არჩევითი წესი იმავე IX ს-ში მემკვიდრეობითი წესით იცვლება, დაჩის შემდეგ „განაჩინეს ქორე-

---

[38] ვახუშტი, ისტორია, 96.
[39] მატიანე ქართლისა, 254.
[40] ვახუშტი ისტორია, 96.
[41] მატიანე ქართლისა, 254.

პისკოპოსად სამოელ დონაური"[42]. ხოლო სამოელის შემდეგ „ქორეპისკოპოსი გაბრიელ იყო დონაური, ძმა სამოელ ქორეპისკოპოსისა"[43]. (ვახუშტი გაბრიელს სამოელის ძმისწულად თვლის. ისტ., 96). როგორც ჩანს, გარდაბნელ მთავრებს, დონაურთა გვარეულობიდან, ტენდენცია აქვთ კახეთის (კახეთ-კუხეთ-გარდაბანის) მთავრობა მემკვიდრეობით კელად აქციონ თავის საგვარეულოში. მართალია, საბოლოოდ ეს მათ ვერ უხერხდებათ და იმავე IX ს-ის 80-იან წლებში კარგავენ მთავრობას, მაგრამ 827 წ-დან 881 წ-დე მაინც უპყრიათ ხელისუფლება. გარდაბნელთა მთავრობის დროს (ვაჩე-დიჩი 827—839; სამოელი 839—861; გაბრიელ 861—881), ქართველი მემატიანეს თხზულებაში მთლიანად კახეთის სამთავრო (კახეთ-კუხეთ-გარდაბანი) გარდაბანთანაა გაიგივებული. საიდანაცაა გამოსული მთავართა დინასტია, იმ სახელწოდებით იხსენიება მატიანეში მთელი სამთავრო (ეს, საერთოდ, ჩვეულებრივი მოვლენაა. მაგ., ლაზთა სამეფო, აფხაზთა სამეფო და სხვა). არაბი სარდლის ხალიდ იეზიდის ძის წინააღმდეგ მებრძოლ კახეთის სამთავროზე მემატიანე წერს: „კუალად მეორედ მოვიდა იგივე ხალილ არაბი. შეებნეს გარდაბანელნი" [44]. თბილისის ამირა საჰაკს კახეთის მთავარი რომ ეხმარება მუჰამედ ხალიდის ძის წინააღმდეგ, მემატიანე წერს: „მოვიდეს კახნი გარდაბანელნი შუელად სააკისსა". ბუღა თურქის წინააღმდეგ მებრძოლადაც მემატინე გარდაბნელებს აცხადებს: „კუალად უკუმოქცეულთა დაუდგეს გარდაბანელნი ჯუარის-გუერდსა, და ავნეს დიდად ლაშქარსა" [45].

გაბრიელის შემდეგ გარდაბანელი დონაურები კარგავენ მთავრობას. რა ვითარებაში უნდა მომხდარიყო ეს, მატიანედან არ ჩანს. მატიანეში ნათქვამია: „და ვითარ მოკუდა კახთა ქორეპისკოპოსი გაბრიელ დონაური, დაჯდა ქორეპისკოპოსად ფადლაი არევმანელი, კაცი ბრძენი და საქმის მეცნიერი". აქ ისეთი სურათია, თითქოს ყველაფერი რიგზეა, თითქოს გაბრიელის შემდეგ ფადლას გამთავრება ბუნებრივი ამბავია. მაგრამ ჩანს ფადლამ მთავრობა ბრძოლით მოიპოვა. ფადლა (რომლის მემკვიდრეებიც არიან კახეთის შემდეგი

---

[42] მატიანე ქართლისა, 254.
[43] იქვე, 257.
[44] იქვე, 254.
[45] იქვე, 256

მთავრები) გარდაბანელი აღარაა—ის, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, კახურ დინასტიას უდებს საფუძველს. გარდაბანელებმა რომ ნამდვილად დაკარგეს ხელისუფლება, ეს მომდევნო ხანის ამბებიდან ჩანს კარგად. ამიერიდან ქართულ წყაროში კახეთის სამთავრო და კახეთის მთავრები გარდაბანელობით აღარ იხსენიებიან. გარდაბანელები კარგავენ პირველობას. ეტყობა ფადლას გამთავრებას გარდაბანელთა განდგომა მოყვა, რადგან ფადლას მათი დამორჩილება უხდება. „ხოლო ფადლა ქორებისკოპოსი განძლიერდა, და დაიმორჩილა გარდაბანელნი“—წერს ქართველი მემატიანე[46]. შეიძლება ვიფიქროთ, რომ დონაურებსა და არევმანელებს შორის ბრძოლა მთავრობისათვის არევმანელების გამარჯვებით დამთავრდა. დონაურებმა დაკარგეს კახეთის მთავრობა და გარდაბანი გადაუდგა ფადლას, ჩამოცილდა გარდაბანი კახეთს. ფადლა მხოლოდ ხელისუფლების შემომტკიცებისა და გაძლიერების შემდეგ ახერხებს გარდაბანის შემოერთებას. მაგრამ ნიშანდობლივია, რომ გარდაბანელნი ამის შემდეგაც ოპოზიციაში უდგანან კახეთის მთავრებს. „გარდიცვალა ფადლა ქორეპისკოპოსი, და დაჯდა კჳრიკე ქორეპისკოპოსად. ამისა შემდგომად გადგეს აზნაურნი გარდაბანელნი, იწყეს ზრახვად გიორგი მეფისა“—წერს ქართველი მემატიანე[47]. ე. ი. ღოდესაც განაწყენებულმა გარდაბანელმა აზნაურებმა დრო იხელთეს (ფადლას გარდაცვალება, გიორგი აფხაზთა მეფის გამოლაშქრება ახლად გამთავრებული კვირიკეს წინააღმდეგ), მაშინვე გადგნენ და კარზე მომდგარი აფხაზების მხარე დაიჭირეს. ამ ამბების შემდეგ ჩვენს მატიანეში საერთოდ ქრება გარდაბანელთა ხსენება.

ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ყველა ამ მოვლენებში, რომლებშიაც ქართველი მემატიანე გარდაბნელებს ახახელებს მომქმედებად, არაბი ისტორიკოსები წანარებს (სანარებს, როგორც ისინი უწოდებენ) ასახელებენ. რით აიხსნება ეს?

კახეთის ისტორიაში წანარებს უაღრესად საინტერესო და თავისებური ადგილი უკავიათ. აკად. ს. ჯანაშია წერდა: „წანარებს ბედი, ამ დროს მჭიდროდ არის დაკავშირებული კახეთთან“[48]. ხოლო

---

[46] მატიანე, 262.

[47] მატიანე, 268.

[48] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. არაბობა საქართველოში, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 378.

შემდეგ კი პირდაპირ აცხადებს, რომ პოლიტიკური აზრით „წანარები“ კახეთის სამთავროს გულისხმობს.

როგორც წყაროების ჩვენებიდან ჩანს, წანარები დარიალის კარის რაიონში მოსახლეობდნენ[49]. მათ ეთნიკურ წარმოშობას ს. კაკაბაძე სვანებთან აკავშირებს და წანარ (სვანთა) სახელწოდების გადმონაშთად მიაჩნია XVI—XVII სს. რუსულ წყაროებში არაგვის საერისთაოს სახელად მოხსენიებული სონის ერისთავი[50].

ს. კაკაბაძის მიერ წინარების სვანებთან დაკავშირების შესახებ რაიმეს თქმა ძნელია.

რაც შეეხება სონის საკითხს—ეს იგივე სიონია და სონთა ერისთავი, როგორც ცნობილია, სიონის ერისთავია (სიონი—სოფელი დ. ტაძარი ყაზბეგის რაიონში). როგორც ჩანს, ეს ჯერ, სიონის საერისთავო უნდა ყოფილიყო, ხოლო მას შემდეგ, რაც არაგვის ერისთავმა ჯერ შეიერთა, სიონის ერისთავის სახელი შეიძლება არაგვის ერისთავზეც გადასულიყო[51].

ამჟამად ჩვენ სიონის საერისთაოს—ამ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულის—საკითხი გვაინტერესებს. რა ერთეულია ეს და ხომ არ შეიძლება ის წანართა სამთავროსთან დავაკავშიროთ? როგორც ცნობილია, წანარების მოსახლეობის ადგილი ყველა ავტორის მიერ არაგვის ხეობაში, უფრო სწორად, მის სათავეებშია მითითებული, ხოლო დარიალის კარი წანართა სამთავროს ფარგლებშია მოთავსებული (იხ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II. გვ. 39). ბუნებრივად ისმის კითხვა, თუ სად შეიძლებოდა ყოფილიყო ამ სამთავროს ცენტრი. რადგან ჩვენთვის ცნობილ წერილობით წყაროებში ამ საკითხზე მითითება არ გვეგულება, უნდა ისევ მხარის მატერიალური კულტურის ძეგლებს მივმართოთ.

IX—XI სს. ძეგლებით, ე. ი. სწორედ წანართა ძლიერებისა და შემდევნო ხანის ძეგლებით, მეტ-ნაკლებად მდიდარია ყაზბეგის რაიონი. კერძოდ შეგვიძლია დავასახელოთ სიონის IX ს. სამნავიანი ეკლესია. იქვე, სიონის ჩრდილოეთით 1,5 კმ გარბნის ეკლესია X ს., სიონიდან 5—6 კმ. სამხრეთ აღმოსავლეთით, შავ არაგვზე, ახალ-

---

[49] Minorsky, Hudud al'Alam, 1937, გვ. 144.

[50] Бюллетень КИАИ; 1923, 1—3, გვ. 6.

[51] დ. გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან. თბ. 1955. გვ. 93.

ცისე X ს. ძეგლი. ბუნებრივად იბადება მთავართა რეზიდენციის (თუ სამთავროს ცენტრი აქაა საგულებელი) საკითხი.

ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს აგრეთვე ის გარემოება, რომ ეს რაიონი ძველადაც, ამ ეკლესიების აგებამდეც, მნიშვნელოვანი ცენტრი ყოფილა. ვფიქრობთ, წანარეთის ცენტრიც სიონ-გარბნის რაიონშია საძიებელი.

აქვე შეიძლება მოვიტანოთ ქართლის მოქცევის მატიანის ცნობა, რომ როდესაც ქართლს „მეფობაჲ დაესროლა, ქართლს შინა სპარსნი ვაძლიერდეს, და ერეთი და სომხეთი დაიპყრეს ხოლო ქართლი უმეტესად დაიპყრეს, და კავკასიანთა შევიდეს და კარნი ოვსეთისანი აიგნეს, და ერთი დიდი კარი ოვსეთისაჲ და ორნი დვალეთს, და ერთი პარჭუანს დურძუკეთისსა და იგი მთიულხი გომარდად დაადგინნეს, და სხუა ვინმე კაცი დაიდგინეს მთავრად წანარეთისა ჴევსა და მორჩილებაი დასდვეს მისი“[52]. როგორც ვხედავთ, ეს ქართველი მემატიანეც წანარებს იმავე დარიალის ხეობის რაიონში ათავსებს და „წანარეთს ჴევს“ და ამ ჴევის მთავარს ასახელებს. წანარეთის „ჴევის“ გადმონაშთი ხომ არ შეიძლება იყოს შემდეგდროინდელი „ჴევი“[53].

ნიშანდობლივია და არა შემთხვევითი, რომ ქართულ წყაროებში „წანარები“ ადრე ქრებიან და თამარის ისტორიკოსი, რომელიც ყველა მთიელს ჩამოთვლის, წანარებს არ ასახელებს, „ჴევი“ კი მოხსენებული აქვს.

წანარები განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობენ VIII—IX სს. ამბებში. ნიშანდობლივია, რომ ქართულ წყაროებში წანარები აქტიურად ჩანან გრიგოლ კახეთის მთავრის და აშოტ კურაპალატის ქართლისათვის ბრძოლის დროს (IX ს. დასაწყისი). შემდეგ კი ქართულ წყაროში (მატიანე) კახეთის მხრიდან სულ გარდაბანელები ჩანან. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მთავრობა წანარებს ჰქონდათ და მათ წაართვეს ეს ხელისუფლება გარდაბანელებმა. გარდაბანელ და წანარ მთავრებს შორის რომ ადრევე იყო შუღლი (ბრძოლა კახეთის სამთავროში პირველობისათვის), ამის გამოძახილი ხომ არ არის ჯუანშერის ერთი ცნობა, რომ გარდაბანელი მთავრის

---

[52] ქართლის მოქცევის მატიანე, Описание рукописей ე. თაყაიშვილის გამ., II, გვ. 723—724.

[53] შდრ. ს. კაკაბაძე, О племени цанар.

მამის ძმა მოეკლათ წანართა („...მთავარი ერთი გარდაბანელი, მიქცეული სარკინოზად, რომლის მამის ძმა მოეკლა წანართა...". ანას. 158).

ჩვენ ისევ ძველ საკითხს უნდა დავუბრუნდეთ, თუ რითი აიხსნება, რომ არაბულ წყაროებში კახეთი წანარეთთანაა გაიგივებული და იქ, სადაც ქართული წყარო გარდაბანელებზე ლაპარაკობს, არაბული წანარებს ასახელებს.

როგორც ცნობილია, VIII ს, განსაკუთრებით ამ საუკუნის დასასრულს, და IX ს. დასაწყისის მანძილზე ჩვენში მიმდინარეობს ბრძოლა ცალკეული ქართული პროვინციების არაბთა უღლისაგან გასანთავისუფლებლად. არაბთა წინააღმდეგ წარმოებულ ამ ბრძოლაში ყველაზე მეტად თავი ისახელეს კახელებმა, რომლებმაც მიაღწიეს იმას, რომ VIII ს. დასასრულისათვის დამოუკიდებელი სამთავრო შექმნეს. არაბები არ ეშვებიან დაკარგულ კახეთს. არაბ-კახელთა ამ დაძაბული ბრძოლის დროს, როგორც ჩანს, ყველაზე ძლიერი და გაბატონებული კახეთში წანარები არიან. შეიძლება ვიფიქროთ, რომ სამთავრო სახლიც წანარებიდანაა გამოსული. ამდენად არაბებისათვის კახეთი სანარიაა (წანარეთი), კახელები კი სანარიელები (წანარები).

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ საქართველოს დამრბევი არაბი სარდლის კარზე იმყოფება „მთავარი ერთი გარდაბანელი, მიქცეული სარკინოზად". ეს არაბი სარდალი ხუზაიმა იბნ ხაზიმია, რომელიც VIII ს. 80-იან წლებში ლაშქრობს აქ და არბევს საქართველოს; კერძოდ, მწვავე ბრძოლა აქვს წანარებთან. „მოვიდა ჰიჭნაუმ, ძე მოჰამედისი—წერს ქართველი მემატიანე—მოაოჯრა და შემუსრა ყოველი შენებული ქართლისა, და მიმართა შესვლად კახეთად, რათამცა მოაოჯრა და ყოველითურთ უმკუიდრო ყო"[54]. არაბი ისტორიკოსის იაკუბის ცნობითაც ის კეხეთის (წინარეთის) წინააღმდეგ იბრძვის[55]. ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ წანარების წინააღმდეგ მებრძოლ არაბებს მიუვიდა გარდაბანელი მთავარი და მიიღო ისლამი. ხომ არ არის ეს ძლიერი მეტოქე წანარების დამარცხების ერთ-ერთი საშუალება?

---

[54] ჯუანშერი, ქ'ცა, 1, 245.
[55] იაკუბი, II, 519.

როგორც ჩანს, გარდაბანელები ახერხებენ კიდევაც წანარების დამარცხებას და მთავრობის ხელში ჩაგდებას.

IX ს-თვის მთავრობას გარდაბანელები იგდებენ ხელთ, მაგრამ არაბულ წყაროებში ძველი ტრადიცია განაგრძობს ბატონობას. ვფიქრობთ, ამით შეიძლება აიხსნას ის გარემოება, რომ ერთსა და იმავე ამბებთან დაკავშირებით არაბული წყაროები წანარებს ასახელებენ, ქართველი მემატიანე—გარდაბანელებს.

VIII ს. შუა წლებში (მანსური ტახტზე ადის 754 წ.) არაბები ცდილობენ დარიალის ხეობას, იქ თავის გარნიზონს აყენებენ და წანარებს ხარკს აკისრებენ[56]. (არაბული წყაროების სანარია-სანარები იგივე ქართული წყაროების წანარეთი-წანარებია). მაგრამ წანარები ენერგიულად იბრძვიან არაბების წინააღმდეგ და აქტიურ მონაწილეობას იღებენ იმ ბრძოლებში, რომელსაც ამიერკავკასიის ხალხი არაბთა წინააღმდეგ ეწევა. 770/74 წელს, როგორც ზემოთ მივუთითეთ, წანარები აჯანყებულნი არიან სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ.

საინტერესოა, რომ ამ დროს არაბი ისტორიკოსები სახარიას (წანარეთს) არმენიის ოლქად, ე. ი. არაბთა მიერ დაპყრობილი ამიერკავკასიის, ანუ არაბული ადმინისტრაციული დაყოფით „არმენიის“, ერთ-ერთ ოლქად აცხადებენ.

ნიშანდობლივია, რომ უკვე VIII ს. დასასრულისა და IX ს. დასაწყისის ამბებში არაბი ავტორები ერთმანეთს უპირისპირებენ ჯურზანსა და სანარიას. ეს, რასაკვირველია, უკვე კახეთის სამთავროა, წანარები აქ კახეთის სამთავროში წამყვან ძალას წარმოადგენენ და პირველი მთავრებიც მათგანვე არიან. IX ს. დასაწყისში არაბები დიდ ბრძოლებს აწარმოებდნენ კახეთის სამთავროსთან. იაკუბი წერს: შემდეგ დანიშნა არ-რაშიდმა ხუზაიმა იბნ ხაზიმ ათ-თამიმი (არმენიის) ვალიდ. დაიჭირა პატრიკები და მეფისწულები და დასჭრა მათ თავები და ექცეოდა საშინლად, რამაც გამოიწვია ჯურზანის და წანარეთის აჯანყება. გაგზავნა (ხუზაიმამ) მათ წინააღმდეგ ჯარი, მაგრამ მათ ის გაჟლიტეს. შემდეგ გაგზავნა მან მათ (წანარების) წინააღმდეგ საიდ იბნ ალ-ჰაისამ იბნ შუცბა იბნ ზაჰით ათ-თამიმი დიდი ჯარითა შეებრძოლა ის ჯურზანისა და წანარეთის მოსახლეობას[57].

---

[56] ბალაძური, 211.

[57] იაკუბი. II, 519.

როგორც ვხედავთ, აქ უკვე ქართლი ერთი მთლიანი პოლიტიკური ერთეული არაა, აქ უკვე ქართლი და კახეთი უპირისპირდება ერთმანეთს. ამიერიდან კახეთი არაბი ავტორებისათვის სანარია.

თბილისის ამირას მოკავშირე პირველი კახელი მთავრებიც სანარიელები არიან. ხალიფას წინააღმდეგ ბრძოლაში თბილისის ამირა მუჰამედ იბნ-ათაბს სანარიელები ეხმარებიან[58].

IX ს. 40-იან წლებში, როდესაც ბრძოლა თბილისის ამირასა და ხალიფას ცენტრალურ ხელისუფლებას შორის განსაკუთრებით მწვავე და დაძაბული ხდება და ხალიფა დამსჯელ რაზმებს გზავნის გამდგარ ამირასა და მისი მოკავშირე კახელების წინააღმდეგ, არაბული წყაროების ცნობით, თბილისის ამირას სანარები ეხმარებიან.

იმავე თბილისის ამირას მოკავშირე წანარებს ებრძვის სარდალი ხალიდ იბნ-იაზიდი[59]. ქართული წყარო კი ხალიდის წინააღმდეგ მებრძოლებად გარდაბნელებს ასახელებს: „კუალად მეორედ მოვიდა იგივე ხალილ არაბი. შეებნეს გარდაბანელნი, გავაზს“[60].

ასევე, როდესაც ხალიდის გარდაცვალების შემდეგ ჩვენში მისი შვილი მუჰამედ იბნ-ხალიდი მოდის (842 წ. ახლო ხანა), არაბული წყაროს ცნობით მუჰამედი თბილისის ამირას და მის მოკავშირე წანარებს შეებრძოლა[61]. ქართული წყაროს ცნობით კი „გამოვიდა საჰაკ, ამირა ტფილელი, ლაშქრითა და დადგა რეკს; ხოლო მოჰამედ (მუჰამედ ხალიდის ძე) და ბაგრატ წარიღეს უფლისციხე; და მოვიდეს კახნი გარდაბანელნი შუელედ საჰაკისა“ (მტ-ნე, 255).

853 წელს, როდესაც ბუღა თურქი ლაშქრობს საქართველოში, არაბული წყაროს ცნობით, თბილისის ამირას მოკავშირეებად წინანარნი არიან. ბუღა თურქი მათ ებრძვის და წანარები ამარცხებენ მას[62]. ქართული წყაროს ცნობით კი „დაუდგეს გარდაბანელნი (ბუღას) ჯუარის გვერდსა და აენეს ლაშქარსა დიადი“[63].

როგორც ვხედავთ, ყველა შემთხვევაში ქართული წყაროების გარდაბანელები და არაბული წყაროების წანარები გაიგივებულნი არიან. ამავე დროს ქართული წყარო VIII ს. კახეთის ამბებში წანა-

---

[58] იქვე,
[59] იქვე.
[60] ნათლიანე ქართლისა, 254.
[61] იაკუბი, II, 519.
[62] იქვე, 256.
[63] მატიანე, 256.

რებს ასახელებს, IX ს-დან კი გარდაბანელებს; ხოლო იმავე IX ს. დასასრულიდან ქართულ წყაროებში გარდაბანელებიც ქრებიან და ამიერიდან სულ კახეთსა და კახეთის მთავრობაზეა ლაპარაკი, ე. ი. არაბული წყაროების სანარია-წანარეთი უდრის ქართულ წყაროს წანარეთს, გარდაბანს და კახეთს.

ამგვარად კახეთის დამოუკიდებელ სამთავროდ ჩამოყალიბების დროისთვის წამყვან როლში წანარნი გამოდიან. თავდაპირველად მათ აქვთ არაბებთან ურთიერთობა და, აქედან გამომდინარე, ჩამოყალიბებულ, მთლიან კახეთის სამთავროს, რომელიც თავიდანვე მოიცავს კახეთ-კუხეთ-წანარეთ-გარდაბანს — არაბი ავტორები სანარიას უწოდებენ. შემდეგ, IX ს-ის დასაწყისში, მთავრობას და პირველობას კახეთის სამთავროში გარდაბანელნი იგდებენ ხელთ, რისი ვამოძახილიცაა, როგორც პირდაპირი მითითება ქართულ წყაროებში ამ ფაქტზე[64], ისე შემდეგ კახეთის გარდაბნის და გარდაბანელთა სახელით მოხსენიება. მაგრამ არაბულ წყაროებში ეს ადგილი, ძველი ტრადიციით, სანარებს (წანარებს) უკავიათ. ამით უნდა იყოს გამოწვეული, როგორც აღვნიშნეთ, ქართული წყაროს გარდაბანის და კახეთის—სანარიით მონაცვლეობა არაბულ წყაროებში. ნიშანდობლივია, რომ როგორც კი კახეთში „გარდაბანელთა დინასტიას“ „არევმანელთა დინასტია“ ცვლის, ქართულ წყაროში გარდაბანელნი აღარ იხსენიებიან (კახელებისა და კახეთის მნიშვნელობით), თუ არ იქ შემთხვევაში, როდესაც საკუთრივ გარდაბანელებს ეხება საკითხი.

* * *

კახეთის სამთავროს თავისი დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის და შემდეგ მისი შენარჩუნებისათვის გამუდმებული ბრძოლა ჰქონდა სახალიფოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან[65].

ამავე დროს კახეთის სამთავრო, სხვა ქართველ სამეფო-სამთავროებთან ერთად, აქტიურად მონაწილეობს ქართლისათვის ბრძოლაში.

---

[64] მატიანე, 254—„მას ჟამსა შეითქუნეს გარდაბანელნი და განიჩინეს ჰორეპისკობოსად დაჩი“.

[65] ამ ბრძოლებზე დაწვრილებით იხ. მ. ლორთქიფანიძე. დასახ. ნაშრ., გვ. 38—50.

კახეთის სამთავრო საზღვრების გაფართოებას თავისი სამხრეთ-აღმოსავლეთის მეზობლის—ჰერეთის სამთავროს ხარჯზეც ცდილობს. X ს. ამისათვის თითქოს ხელსაყრელი დროა, რადგან აბასიანი ხალიფები ვეღარ დაუჭერენ მხარს ჰერეთის მთავრებს. მიუხედავად ამისა, კახეთის მთავარი ვერც აქეთ ბედავს დამოუკიდებლად გალაშქრებას, ეტყობა გაძლიერებული აფხაზეთისა ეშინია. ამიტომაა, რომ კახთა მთავარი აფხაზთა მეფეს უხმობს, „მაშინ უხმო კუირიკე ქორეპისკოპოსმან (893—918) კონსტანტი აფხაზთა მეფესა, ჩავიდეს ჰერეთად, მოადგეს ციხესა ვეჟინსა[66]. ჰერეთის მთავარი ადარნასე პატრიკი დაზავებას ირჩევს და „მოსცა აფხაზთა მეფესა არიში, გავაზნი, ჭოლო კუირიკეს ორჭობი“[67].

მიუხედავად ფრთხილი პოლიტიკისა, 936 წ. კახეთის სამთავროს საჯი ამირების შემოსევა განიცადა, მაგრამ, როგორც ცნობილია, ესაა მუსლიმანთა უკანასკნელი ცდები, რომელნიც რეალურ შედეგს ვერ აღწევენ.

კახეთის მთავრები აფხაზთა მეფეებთან მჭიდრო კავშირის გზას ადგანან. ფადლა ეხმარება გიორგი აფხაზთა მეფეს გამდგარი შვილის წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ აფხაზთა მეფეები თავის მხრივ, როგორც კი ხელსაყრელ დროს შეარჩევენ, ცდილობენ კახეთის ხელში ჩაგდებას. აფხაზთა მეფეები სარგებლობენ იმ შინა უთანხმოებით, რომელსაც კახეთის სამთავროში აქვს ადგილი (დინასტიების შეცვლა, გარდაბანელთა განდგომა...), უკმაყოფილო გარდაბანელნი სწორედ აფხაზთა მეფეების მხარდამჭერებად გამოდიან. „გარდაიცვალა ფადლა ქორეპისკოპოსი (918—929), დაჯდა კვრიკე ქორეპისკოპოსად (929—976). ამისა შემდგომად გადგეს აზნაურნი გარდაბანელნი, იწყეს ზრახვად გიორგი მეფისა“[68]. აფხაზთა მეფეებისავე მხარეს იჭერს კვირიკე მთავრის ძმა შტორა (ალბათ ძმებს შორის ტახტისათვის ცილობაა). „მოერთო შურტა, ძმა კვირიკე ქორეპისკოპოსისა, გიორგი მეფესა“[68]. როგორც ჩანს, აფხაზთა მეფემ კახეთის სამთავროს უდიდესი ნაწილის ხელში ჩაგდება მოახერხა. „მოუტანა (შტორამ გიორგის) თანა ციხე მისი უჯარმა და ეუფლნეს სხუათაცა ციხეთა კახეთისათა თუინიერ სამთა ციხეთა: ნახჭოვნისა, ბოჭორმისა და ლოწობანთა“[69]. თუ ნახჭოვნის და ლოწობნის ციხეების ვა-

---

[66] მატიანე, 264.
[67] იქვე.
[68] იქვე გვ. 268.
[69] იქვე, გვ. 268.

ზუშტისეულ განსაზღვრას მივიღებთ, ეს სამი ციხე სრულიად გარკვეულ შთაბეჭდილებას ქმნის კახთა მთავრის ხელში დარჩენილ სამფლობელოს ფარგლებზე.

ვახუშტი წერს: „სად მიერთვის ეს ჯევი (შტორის—ჯევი) ალაზანს, მუნ არს ლალის-ყურის ციხე (ვგონებ ნახჭევნად)“[70]. ხოლო ლოწობანის შესახებ იგივე ვახუშტი წერს: „ხოლო უტოსჯევის შესართავის პირდაპირ ალაზნის აღმოსავლეთის კიდესა ზედა, არს ციხე ბახტრიონი ანუ მაღრანისა, რომელმან მოიგო სახელი დაბნებთაგან მის გარემოსთა მყოფთა (ვგონებთ ლოწობანსაც ამას, ანუ ამას ზეით შინა)“[71]. ძნელია ვახუშტის ამ ცნობის უყოყმანოდ გაზიარება, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ ამ ციხეების ადგილმდებარეობის ასეთი განსაზღვრისას გასაგები ხდება, თუ რას წარმოადგენს ის ტერიტორია, სადაც კვირიკე კახთა მთავარი მაგრდება. ესაა საკუთრივ კახეთი. ბოჭორმა კუხეთიდან იცავს კახეთს, ნახჭოვანი (თუ ეს ლალისყურია)—ჰერეთიდან, ლოწობანი კი, თუის (ბახტრიონია), იცავს პანკისის ხეობაში შესასვლელს. საფიქრებელია, რომ ვახუშტის რაღაც საფუძველი აქვს ასეთი განსაზღვრისათვის. ადგილზე შემოწმება შესწავლა ლალისყურში, ვფიქრობთ, არ იძლევა ცუდ შედეგს. სადღეისოდ დაცული ლალისყურისციხე—ჩოლოყაშვილების სადგომი—ამ მხრივ ვერაფერს იძლევა საინტერესოს. ეს ჩვეულებრივი გვიანი ხანის ციხეა გალავნით და კოშკებით გამაგრებული. მაგრამ ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ციხის ზევით, მთაზე დაცული ეკლესია, რომელიც ხალხში დღეს წყაროსთავის ეკლესიის სახელწოდებითაა ცნობილი (სახელწოდება ნახჭოვნის—ისევე როგორც ბახტრიონის რაიონში—ლოწობნის, ძიებამ ვერავითარი შედეგი ვერ მოგვცა, რაც აქ ახალი, მთიდან ჩამოსახლებული მოსახლეობის არსებობითაა ალბათ გამოწვეული).

ამ ეკლესიაზე დაკვირვება უეჭველს ხდის მისი პირვანდელი აშენების სიძველეს, ამ მხრივ განსაკუთრებით ნიშანდობლივია დასავლეთის კედელი ფრიზით და ჯვრით. საფიქრებელია, რომ საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის ხანაში აქ ეკლესია იყო, და ამდენად, შესაძლებელია, ციხეც (უკეთ რომ ვთქვათ, იყო ციხე ეკლესიითურთ). ციხის კვალი გაქრა. ეკლესია გვიანდელი გადაკეთებით შემორჩა. აღ-

[70] ვახუშტი, გეოგრ., გვ. 101.
[71] იქვე, 101.

სანიშნაკია ისიც, რომ ეკლესიის გარშემო გალავნისა და რაღაც ნაგებობათა ნაშთები ჩანს. ეს იქნებ ამართლებს (ყოველ შემთხვევაში მხარს უჭერს) ვახუშტის თვალსაზრისს, რომ ლალისყური ძველი წყაროების ნახჭოვანია. ნიშანდობლივია ისიც, რომ „მატიანე ქართლისა“ ლოწობნის ციხის აგებას კვირიკეს მიაწერს—„აღაშენა ციხე ლოწობანთა“ (167). ნახჭოვანი და ლოწობანი ერთდროულად მოქმედი ციხეებია, რაც, აგრეთვე, შესაძლებელს ხდის ნახჭოვნის (ლალისყურის) X ს. აშენების ვარაუდს.

თუ ყოველივე ეს მისაღებია, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ კვირიკე კახთა მთავარს ამჯერად ხელთ შერჩენია მხოლოდ საკუთრივ კახეთი. დანარჩენი ტერიტორია კი აფხაზთა მეფეს უკავია. კახეთის სამთავრო მარცხს განიცდის, მაგრამ ქართლის აზნაურობის მხარდაჭერით კახეთის სამთავრო ახერხებს, მართალია დროებით, მაგრამ მაინც, თავისი მდგომარეობის გამოსწორებას. „წარვიდა მეფე აფხაზეთად, და შევიდა კვრიკე ბოჭორმას, ეკაზმოდა და ლამოდა შემდგომად აღვსებისა წარსვლასა. მაშინ შეეზრახნეს აზნაურნი ქართველნი და მათ თანა კახნი: გოდერძი მგდეური, მამა ყანჩაელი, დაჩი ჯორინთელი, დაჩი და ივანე სხუილოსელნი. სარ და გრიგოლ ძმანი ფხუნელნი, და მათ თანა ორმოცდაათი აზნაური სხუა, და მიერთნეს კვრიკეს დაუწყეს ბრძოლაჲ ციხეთა და მცირედთა დღეთა წარიხუნეს ციხენი ყოველნი, დაარღვივნეს შურის-ციხენი და ლოწობანი, და კუალად ეუფლა კუირიკე მამულსა თუისსა“[72]. გიორგი აფხაზთა მეფე არ ეშვება კახეთს, მაგრამ გიორგის გარდაცვალება აიძულებს მის შვილს ლეონს, რომელიც აწარმოებს საომარ ოპერაციებს კახეთში, შეწყვიტოს კახეთში მოქმედება. ლეონი ზავს კრავს კვირიკესთან (ასე სჭირია მას აფხაზეთის ტახტზე მომაგრებამდე), მაგრამ, როდესაც განიმტკიცებს მდგომარეობას, „კუალად იწყო მტერობად კუირიკესა (ლეონ) და ძებნად კახეთისა“[73]. კვირიკემ, ეტყობა, მართლაც მთლიანად აღიდგინა თავისი სამფლობელო და თავისი სამთავროს საზღვარი არაგვს დასავლეთითაც კი გადაიტანა. ამიტომაა, რომ ლეონ აფხაზთა მეფე „ჩადგა არაგუის პირსა, ასწყუიდა ხერკი, მუხრანი და ბაზალეთი“, მაგრამ ლეონი „მასვე ლაშქრობასა დასნეულდა, შეიქცა

[72] მ-ტნე, გვ. 269.
[73] იქვე, გვ. 270.

გარე და მოკუდა“[74]. ეს ამბები, როგორც ვნახეთ, ლეონის აფხაზეთს მეფობის ჟამს, ე. ი. 957—967 წლებს შორის ხდება. თავის მხრივ კახეთის მთავრებიც სარგებლობენ აფხაზეთის სამეფოს საშინაო მდგომარეობის გართულებით. კახეთის მთავარი ექომაგება დემეტრე აფხაზთა მეფის წინააღმდეგ მებრძოლ მის ძმას თეოდოსის[75]. კახეთის მთავრების ეს პოლიტიკა სრულიად გასაგებია და გამართლებულიცაა მათი თვალსაზრისით და საკუთრივ კახეთის სამთავროს ინტერესების თვალსაზრისით.

ნიშანდობლივია, რომ, როგორც კი აფხაზეთის სამეფო ანარქიამ მოიცვა, კახეთის სამთავრო იწყებს ბრძოლას ქართლისათვის (საშიში მეტოქე აღარ ეგულება). „მაშინ მოვიდეს კახნი და მოადგეს უფლისციხესა“[76]. მაგრამ არც ამჯერად უმართლებს კახეთს. ეხლა უკვე ის დროა (X ს. 70-იანი წლები), როდესაც საქართველოს გაერთიანების საკითხი რეალურ საფუძველზე დგება და კახთა მთავრის მიერ ქართლის დაპყრობის ცდას დავით კურაპალატი აღუდგება წინ თავისი მოკავშირეებით[77]. „და რაჟამს ცნეს მოსულა მისი (დავით კურაპალატის) კახთა, წარვიდეს ვითარცა მეოტნი და დაუტევეს ქართლი“[78].

კახეთის სამთავრო გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის წინააღმდეგაც გამოდის, ისევ ქართლის აზნაურებთან კავშირში. ქართლის აზნაურებმა „მოიყუანეს ლაშქარნი კახეთით, და გასცეს უფლის-ციხე, და შეიპყრნეს გურგენ და ძე მისი ბაგრატ და დედოფალი გუარანდუხტ, წარიყვანეს კახეთად“[79]. კახეთის მთავარი დავით კურაპალატთან შებმას ვერ ბედავს, მაგრამ ქართლში ციხეებს მაინც იტოვებს თავისთვის: „რაჟამს ცნა ესე დავით კურაპალატმან, დაუმძიმდა ფრიად, გამოილაშქრა ყოვლითა ძალითა მისითა. მოვიდა თრიალეთს, შთასვლად კახეთად. და რაჟამს ცნეს კახთა. მოუგზავნეს მოციქული, და მოუპყრეს პირი ზავისა და განუტევნეს გურგენ და ბაგრატ და დედოფალი გუარანდუხტ. შეუქციეს ქართლი და უფლის-

---

[74] იქვე
[75] იქვე. გვ. 271.
[76] იქვე, გვ. 272.
[77] იქვე.
[78] იქვე.
[79] იქვე გვ. 274.

ციხე, ხოლო წირქუალის ციხე და გრუი თუით დაიმჭირეს“[80] (წირქუალის და გრუას ციხეები ქართლშია იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, 41). ბაგრატ III ქართლის ამ ნაწილისათვის ბრძოლით იწყებს თავის შეტევას კახეთის სამთავროზე: „გამოილაშქრა (ბაგრატ III, — მ. ლ.) ყოველთა სპითა თუისითა, გარდამოვიდა ქართლს, წარგზავნა მოციქული კახეთს, ითხოვნა ციხენი ქართლისანი, რომელნი მათ ჰქონდეს“[81]. ბაგრატის შეტევამ შედეგიც გამოიღო. „ვერ წინააღუდგა დავით (კახთა მთავარი), რამეთუ იყო ძალი მისი ურიცხუი (ბაგრატის)“; ბაგრატ III ჰერეთსაც უტევს. ესაა კახეთის სამთავროს უფრო სუსტი ადგილი „და მას ჟამსა აღიღო (ბაგრატმა) ქვეყანა ჰერეთისა, და განაჩინა მთავრად აბულალ“[82]. მართალია, დავით კახეთის მთავარმა მოახერხა დროებით ჰერეთის სამთავროს უკან დაბრუნება, მაგრამ დავითის გარდაცვალების შემდეგ (1010 წ.) „იწყო (ბაგრატ) ძებნად კახეთისა, და ძალითა მისითა მიუწდომელითა ორ წელ წარიხუნა ყოველნი ციხენი კახეთისანი. შეაწუხუდია კუირიკე ბოჭორმას, დაუყენა ციხეს გარეშემო მცველნი წელიწდამდი, და წარიღო ბოჭორმაცა. და დაიპყრა სრულიად ჰერეთი და კახეთი, წამოიყუანა კუირიკე და დაიჭირა კარსა ზედა თუისსა“[83].

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს გაერთიანების საკითხი უკვე სრულიად რეალურადაა დამდგარი დღის წესრიგში (თუ რა აპირობებს ამ ფაქტს, ეს სხვა საკითხია და ამაზე ამჯერად სიტყვას არ გავაგრძელებთ) და ამდენად ცალკეულ სამთავროთა დამოუკიდებლად არსებობის დღენი დათვლილია, მაგრამ ზოგიერთი მეტ-ნაკლებად იღბლიანი მთავარი, სარგებლობს რა ხელსაყრელი პირობებით, ახერხებს თავისი სამთავროს დამოუკიდებლად არსებობის ვადის გახანგრძლივებას. ასეთ „იღბლიან“ მთავართა რიგს შეიძლება განეკუთვნოს კვირიკე III კახეთის მეფე (1010—37). კვირიკე III, კახეთის მთავარი, მეფის ტიტულს იღებს და ამიერიდან „კახეთის სამთავრო“ — „კახეთის სამეფოდ“ იქცევა.

XI ს I მეოთხედში გიორგი I (1014—27) დროს ბიზანტიის იმპერიასთან წარმოებულმა ხანგრძლივმა ომმა მძიმე მდგომარეობა

---

[80] იქვე, გვ. 274—275.
[81] იქვე, გვ. 278
[82] იქვე, გვ. 279.
[83] იქვე.

შეუქმნა ახლად გაერთიანებულ საქართველოს. ამით კარგად სარგებლობს კვირიკე. „ხოლო დაჯდა (რა) ესე გიორგი მეფედ, გან/უ/დგა ამას ქუეყანა ჰერეთ-კახეთისა, და ღადრობითა აზნაურთათა შეპყრობილ იქმნეს ერისთავნი, მათ ქუეყნად კუალადვე ეუფლნეს მათნი უფალნი, რომელთა პირველ აქუნდა იგი“ [84]. ამგვარად, კვირიკემ კახეთ-ჰერეთი დაიბრუნა. „დაიპყრა (კვირიკემ) კახეთი და ჰერეთიცა და იწოდა მეფედ კახთა“—წერს ვახუშტი[85]. XI ს. ქართული წყარო, თანამედროვე, მას „დიდს“ უწოდებს, „მოვიდა დიდი კუირიკე, რანთა და კახთა მეფე„ [86]. ეს კახეთის სამეფო (კახეთ-ჰერეთი) გაერთიანებული საქართველოს მეფეების მოკავშირედ გამოდის როგორც ბიზანტიასთან („დაეახლნეს ურთიერთას გიორგი და ბასილი, რამეთუ განძლიერდა გიორგი მეფე და მოირთო ძალი კახეთისა და ერეთის“[87]), ისე თბილისის ამირასა[88] და განძის ამირა ფადლონთან წარმოებულ ბრძოლებში [89]. ეს მანამ, სანამ საქართველოს მეფე კახეთზე ხელს ვერ გამოიღებს, მაგრამ როგორც კი ბაგრატ IV კახეთისათვის იწყებს ბრძოლას (ჰერეთიდან უტევს კახეთს), კახეთის მეფე ბაგრატის მოწინააღმდეგე ლიპარიტის მოკავშირედ ხდება. ბაგრატი კი მომხრეებს კახეთის აზნაურებში იჩენს. ნიშანდობლივია, როგორც კი კახეთის მეფე ძლიერდება და ამიტ შესაბამისად იწყებს თავისი აზნაურების შევიწროვებას, ეს აზნაურები უფრო შორეული პატრონის — ბაგრატის მხარეს იჭერენ — კვირიკეს დასუსტების მიზნით. „და იბირნა აფხაზთა მეფემან, (ბაგრატ IV) კახნი, აწოტ მთავარი მარილელი, დისი ძე კუირიკე მეფისა, და ხახუილა გურთა ჯუარისციხითა“ [90]. როგორც ჩანს, ბაგრატ-კახთა აშლა ამ დროს, ისევე როგორც ბაგრატ-ლიპარიტის აშლაც, თბილისის საკითხთანაა დაკავშირებული, მაგრამ საქმის ნამდვილი ვითარება წყაროს უაღრესი სიტყვაძუნწობის გამო, ჯერჯერობით მაინც, გაურკვეველი რჩება.

---

[84] სუმბატ დავითის-ძე, ცხოვრება და უწყება. ე. თაყაიშვილის გამ., 1942 გვ. 69.

[85] ვ ა ხ უ შ ტ ი, ისტორია, გვ. 99.

[86] მ ო ც ე, გვ. 296.

[87] იქვე გვ. 285.

[88] იქვე, გვ. 297.

[89] იქვე, გვ. 296.

[90] იქვე, გვ. 298.

ბაგრატ-ლიპარიტის ბრძოლაში, სანამ წარმატება ლიპარიტის მხარეზეა—კახეთის მეფე ლიპარიტის მოკავშირეა—„და ჰყვეს ლიპარიტს კახნი“[91], მაგრამ როდესაც ბაგრატ მეფის სიძლიერე საგრძნობი ხდება, ბაგრატი თბილისს თითქმის იღებს, ისნის ველსა მოვიდეს კახთ მეფე გაგიკ, და ერისთავთ-ერისთავი გოდერძი, და ყოველნი დიდებულნი კახეთისანი დარბაზობად ბაგრატ მეფისა წინაშე და მშვიდობისა ძებნად. მაშინ განვიდა ბაგრატ ველსა ისნისასა, მოიყუანნა კახნი და ითაყვანნა, მისცა მშუიდობა და განუტევნა“[92].

შექმნილი ვითარებაც ხელს უწყობს კახეთის სამეფოს. XI ს. 60-იანი წლებისათვის (ალფ-არსლან სულთანის შემოსევის წინ) ბაგრატს თითქმის მთელი კახეთი (ე. ი. კახეთ-ჰერეთი) აქვს ხელში ჩაგდებული. „მოირჭუნა ბაგრატ და განძლიერდა უფროს ყოველთა მეფეთა მის ქუეყანისათა: და ამან წარიხუნა ყოველნი ციხენი ჰერეთისა და კახეთისანი თუინიერ კუეტარისა და ნახჭევანისა“[93]. ბაგრატი ეტყობა, იპყრობს ჰერეთს და კახეთის უდიდეს ნაწილს; კახეთის მეფე კი მხოლოდ ჩრდილო პროვინციებში, ალაზნის ზემო წელზე, ილტო-პანკისის და შტორის ხეობებში მაგრდება. ბაგრატს რომ ჰერეთი და კახეთის უდიდესი ნაწილი დაუპყრია, ეს მომდევნო ამბებიდანაც ჩანს. როდესაც სულთანი ალფ-არსლანი შემოიჭრა (1065 წ.), „უგრძნაულად შევიდა ერეთად. და მის ქუეყანისა დიდებულნი იყუნეს მორთულ და ერთგულ ბაგრატისსა“[94]. ხოლო იმავე დროს კახთა მეფე აღსართანი (1058—84) ცალკე მოქმედებს, „მას ჟამსა იყო მცირედითა საქონლითა მეფე კახეთისა აღსართან“[95]. სწორედ ამ დროს (ალფ-არსლანის შემოსევის წინ) „იყო ბაგრატ გალაშქრებული აღებად კახეთისა, და ლაშქარი მისი წინა გაგზავნილ იყო ვეჟინის ერისთავთანა წირქუალელს(ა), შემოიქცეს მშუიდობით, და უამბეს შემოსულა სულტანისა და დაყრა ციხეთა. შემოიქცა სწრაფით და მოვიდა ქუეყნად თუისად ქართლად“[96].

როგორც ვხედავთ, ბაგრატს კახეთის მეფის ხელში დარჩენილი ტერიტორიის დაპყრობაც განუზრახავს და წინასწარ თავისი ლაშქა-

---

[91] მატ-ნე, გვ. 293.
[92] იქვე, გვ. 300.
[93] იქვე, გვ. 306.
[94] იქვე, გვ. 308.
[95] იქვე, გვ. 308.
[96] იქვე.

რი ვეჟინის (პერეთში) ერისთავთან გაუგზავნია. მაგრამ სწორედ ამ დროს თურქი-სელჯუკები მოდიან და ბაგრატი იძულებულია დაიხიოს ქართლში. ამდენად კახეთის სამთავროს შემოერთების ეს ცდაც მარცხით დამთავრდა. აღსართან კახთა მეფე კი სულთანს ეახლა ქართლის მეფისგან თავდაცვის მიზნით და ხარაჯაც იკისრა, სამაგიეროდ „მისცნა ყოველნი ციხენი დაყრილნი სულტანმან მასვეე: (აღსართანს) და რომელნი აფხაზთა მეფისა კაცთა დაეყარნეს“[97]. აღსართან სულთანის მხარეზე იბრძვის ბაგრატის წინააღმდეგ, რადგან მას კიდევ ბევრის დაბრუნება ჭირდება, რომ თავისი სამეფოს მთლიანობა აღიდგინოს. საკუთრივ კახეთი (ვიწრო გაგებით), ეტყობა, ისევ ბაგრატის ხელშია (ნაწილი მაინც), რადგან მასა აქვს ციხეები ბოჭორმა და უჯარმა. მალე აღსართანი ამ ციხეებსაც იგდებს ხელთ. ბაგრატი იძულებულია მისცეს მას ბოჭორმა და უჯარმა ფადლონ ვეხძის ამირას საფასურად—„ხოლო ბაგრატ შეშინდა გაშუებასა ფადლონისსა, მისცა ბოჭორმა და უჯარმო კახთა“[98].

მართალია, კახეთის სამეფოს წემოერთება გაერთიანებულ საქართველოსათვის უაღრესად საშური საქმე იყო, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად არჩეული ის გზა, რომელსაც გიორგი II დაადგა, სრულიად მიუღებელი იყო. თურქ-სულჯუკები საქართველოს გამაერთიანებლების როლში არ შეიძლება გამოსულიყვნენ და არც გამოსულან; მათი როლი სწორედ რომ ამის სრულიად საწინააღმდეგო იყო. თუ გიორგის თურქ-სელჩუკთა სულთანმა მალიქ-შაჰმა „მისცა კახეთი და ჰერეთი“, იმავე მალიქ-შაჰმა იგივე ქვეყანა „უკეთ ნამსახურ“ აღსართანსაც მისცა.

კახეთის სამეფოს საბოლოო შემოერთება გაერთიანებულ საქართველოსთან, როგორც ცნობილია, დავით აღმაშენებლის დროს ხდება. დავით აღმაშენებელმა შესძლო გაეჩინა საქართველოში ძლიერი დასაყრდენი ძალა ქვეყნის საბოლოო ცენტრალიზაციისთვის. ამავე დროს ის მოხერხებულად სარგებლობს იმ შინაგანი წინააღმდეგობებით, რაც კახეთის მეფესა და ჰერეთის აზნაურებს შორისაა და სწორედ ჰერ აზნაურებზე დაყრდნობით ახერხებს კახეთის მეფის ხელში ჩაგდებას და ამ სამეფოს დამოუკიდებლობის გაუქმებას.

კახეთის სამთავრო, როგორც უკვე აღნიშნული იყო, თავის გავლენას კახეთის ფარგლებს გარეთაც ავრცელებდა. VIII ს. დასას-

---

[97] მ-ტნე, გვ. 309.
[98] იქვე, გვ. 312.

რულს შიდა ქართლის დაპყრობა შესაძლებლობას უქმნიდა კახეთის მთავარს თავისი კონტროლის ქვეშ მოექცია ამიერკავკასიის სავაჭრო გზის ის მონაკვეთები, რომელნიც არაზნის, ივრისა და არაგვის ხეობებს მიყვებოდნენ. ამავე დროს, შიდა ქართლის დაპყრობით კახეთის სამთავროს გზა ეხსნებოდა ჩრდილოეთისაკენ, მის ხელში გადადიოდა დარიალის ხეობა[99]. ჰერეთის დაპყრობითა და შემოერთებით კახეთის მთავრები (ამიერიდან მეფეები), ამ მდიდარ და ვრცელ პროვინციასთან ერთად, თავის კონტროლის ქვეშ აყენებდნენ ბარდავიდან ჩრდილოეთისაკენ მიმავალი, მახლობელი აღმოსავლეთის ერთერთი უმნიშვნელოვანესი გზის დიდ მონაკვეთს (არაზანს რომ მოყვებოდა).

* * *

კახეთის სამთავროსთან მჭიდროდაა დაკავშირებული ჰერეთის სამთავროს ისტორია.

ჰერეთის სამთავრო არაბთა ბატონობის პერიოდში წარმოიქმნა სხვა ქართულ სამეფო-სამთავროთა გვერდით. კახეთის სამთავრო თავიდანვე ამჟღავნებდა ჰერეთის სამთავროს დაპყრობის ტენდენციას. ასეთ ვითარებაში ჰერეთის სამთავროს გარკვეულ დახმარებას უწევენ არაბები. მაგრამ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ XI ს. კახეთის მთავარი კვირიკე, როგორც უკვე აღნიშნული იყო, იპყრობს ჰერეთს, აერთიანებს კახეთ-ჰერეთს, მიიღებს „მეფის“ ტიტულს და სამეფოს ცენტრს თელავში გადაიტანს. ჰერეთის სამთავროს ორგანიზაციაც დაახლოებით VIII—IX საუკუნეთა მიჯნაზე უნდა მოდიოდეს, ვახუშტი ბაგრატიონი თავის კონცეფციას სამთავროთა ჩამოყალიბების საკითხზე ჰერეთზეც ავრცელებს და აღნიშნავს, რომ არჩილის შვილების იოანეს და ჯუანშერის გარდაცვალების შემდეგ: „ერეთი დაიპყრეს ძმისწულთა ადარნასე ბრმისათა, რომელთა დასწვნეს მამისძმისა და არჩილ მოწამე-მან მიუბოძა ამას შაკიხიდამ გულგულამდე და შემდგომ ჯუანშერის სიკვდილისა დაიპყრეს სრულიად ერეთი და იწოდეს და დასხნეს ერისთავნი“[100].

---

[99] Н. Бердзенишвили, В. Дондуа, указ. Очерки... стр. 510—511.

[100] ვახუშტ ბაგრატიონი, საქართველოს ისტორია, ზ. ჯიჯინაძის გამ. გვ. 147.

ვახუშტის ამ კონცეფციაზე ჩვენ ჩვენი შეხედულება გვაქვს, რომელსაც აქ აღარ გავიმეორებთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ჰერეთის ფეოდალური სამთავროს შექმნა საქართველოს ადრინდელი ფეოდალიზმის იმ ეტაპს უკავშირდება, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე იქმნება მთელი რიგი ასეთი ფეოდალური პოლიტიკური ერთეულები. ჰერეთის გამოყოფას ქართლის საერისმთავროდან დაახლოებით იმავე პირობებმა შეუწყვეს ხელი, რომელთაც შესაძლებელი გახადეს კახეთის გამოყოფა იმავე ქართლის საერისმთავროდან. არაბებთან ურთიერთობის თვალსაზრისით, როგორც ჩანს, ჰერეთის სამთავრო, ძირითადად, კახეთის სამთავროს საწინააღმდეგო ხაზს ატარებს, რაც უწყობს კიდეც ხელს მის მომძლავრებას.

ჰერეთის ქართული სამთავროს ტერიტორიას ლეონტი მროველი ასე განსაზღვრავს: „ხოლო ჰეროსს მისცა ქუეყანა მტკურისა ჩრდილოთ, მცირისა ალაზნისა შესართავიდგან ვიდრე ტყე-ტბამდე. რომელსა-წ ჰქუიან გულგულა, და ამან ჰეროს აღაშენა პირველად ქალაქი შესაკრებელთა შორის ორთავე ალაზანთასა და უწოდა სახელი თუისი ჰერეთი, და მის გამო ჰქვიან ჰერეთსა ჰერეთი, და აწ მას ადგილსა ჰქვიან ხორანთა“[101]. ეს ტერიტორია დაახლოებით ასე იფარგლება: ლეონტი მროველის მტკვრის ჩრდილოთ—მტკვრის მარცხენა ნაპირია, მცირე ალაზნის შესართავი, მდინარე ივრის შესართავია, ტყე-ტბა—თელავთანაა. ე. ი. იორ-ალაზნის შესართავიდან—თელავამდე. ამგვარად, ამ სამთავროს საზღვრავს სამხრეთ-დასავლეთიდან მტკვარი, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან კავკასიონი, უკიდურესი სამხრეთი პუნქტია იორ-ალაზნის შესაკრებელი, ხოლო ჩრდილო ზღვარი თელავთანაა. ლეონტი მროველის ეს ცნობა მეტნაკლებად სანდოდ მიგვაჩნია ჰერეთის სამთავროსათვის, რადგან ლეონტი მროველი XI ს. წერს, როდესაც ჰერეთის სამთავრო, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ არსებობს ცალკე ერთეულის სახით. ვახუშტი ბაგრატიონი აზუსტებს ლეონტი მროველის ცნობებს. საზღვარი ჰერეთსა და კახეთს შორის მას გაუყავს შტორის, თურდოს და სამების ხეებზე.

ცნობები ჰერეთის სამთავროს შესახებ ჩვენ წყაროებში ძალიან მწირადაა წარმოდგენილი, რითაც უნდა აიხსნებოდეს, ალბათ ის გა-

[101] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 5.

რემოება, რომ ვახუშტი ბაგრატიონიც ასე ძუნწად მოგვითხობს ჰერეთზე.

ჰერეთის სამთავროს სათავეში მთავარი დგას. ჰერეთის ერთ-ერთ მთავარს ქართული წყარო ახსენებს X ს. დასაწყისში, როდესაც აფხაზთა მეფე კონსტანტინე და კახეთის ქორეპისკოპოსი კვირიკე ჰერეთს ილაშქრებენ. „მოადგეს ციხესა ვეჟინისასა... და ვითარ მისწურეს წაღებად, მაშინ ადარნასე პატრიკი მოვიდა, პარასკევის ჯუარსა მიუპყრა ზავის პირი, მოსცა აფხაზთა მეფესა არიში, გავაზნი, და კუირიკეს ორჯობი“[102]. გარდა ამ ადარნასესი იგივე წყარო იხსენიებს ჰერეთის მეფეს იშხანიკს, გურგენ ერისთავთა ერისთავის (941) დისწულს. „და ჰერეთსავე, მეფობამდე იშხანიკისსა, პირველნი იყვნეს მწვალებელნი: ხოლო იშხანიკ დისწული იყო გურგენ ერისთავთ-ერისთავისა, და დედამან მისმან მოაქცივნა მართლმადიდებულად, დინარ დედოფალმან“[103]. ვახუშტი თვლის, რომ დინარ დედოფალი ამ ადარნასე მთავრის მეუღლეა. „ხოლო წელსა ქს შიზ, ჭრ რლზ მოიხსენიების სახელი ადარნასე პატრიკისა და ძისა მისისა დინარ დედოფლის ქრმისა და ძისა მათისა იშხანიკისა, რომელიცა აღვსწერეთ რიგოვანად თვის რიგსა ზედა“[104]. მატიანე ქართლისას თხრობის თანამიმდევრობიდან ჩანს, რომ იშხანიკის მეფობა უშუალოდ მისდევს ადარნასეს. კონსტანტინეს და კვირიკეს კახეთს ლაშქრობა X ს. დასაწყისით თარიღდება. იშხანიკი კი იმავე X ს. 20-იან წლებში იხსენიება[105]. ასე რომ დრო ძალიან მცირეა და ადგილი ერთი ან ორი მთავრისთვის თუ რჩება.

ადმინისტრაციულად ჰერეთი საერისთავოებადაა დაყოფილი. ვახუშტი ასახელებს ოთხ საერისთაოს: „შემდგომად ჯუანშერისა სიკუდილისა დაიპყრეს სრულიად ერეთი და იწოდეს მეფედ და დასხნეს ერისთავნი, ვითარცა იწერვის. ერისთავი შტორისა, ერისთავი ხორნაბუჯისა, ერისთავი ვეჯინისა, ერისთავი მაჭისა“[106]. ვახუშტი ბაგრატიონის ამ ცნობის წყაროს „მატიანე ქართლისა“ უნდა წარმოადგენდეს. ამ მემატიანეს ცნობით, XI ს. 40-იან წლებში, როდესაც მე-

---

[102] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 264.

[103] იქვე, გვ. 266.

[104] ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ისტორია, II, ს. ჯიჯიწაძის გამ., გვ. 147.

[105] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 266.

[106] ვახუშტი, გვ. 147.

ფე ბაგრატ IV კახეთს ლაშქრობს (კახეთ-ჰერეთს) — „გაილაშქრა აფხაზთა მეფემან კახეთს. შეება და შეუკდა მთასა ზედა მიქელგაბრიელთასა. და წყობასა შინა შეიპყრნა სტეფანოს ვარჯანის-ძე, პანკისისა ერისთავი; და ვაჩე, ძე გურგენ ბერისა, ხორნაბუჯის ერისთავი; და ჯედი, დისწული გოდერძისა, შტორის ერისთავი და ცაჭელისა“ [107]. პანკისის ერისთავს ვახუშტი მართებულად გამორიცხავს ჰერეთიდან და რჩება ხორნაბუჯის, შტორის და მაჭელის ერისთავები. ვახუშტის მიერ დასახელებულ ამ საერისთაოთა არსებობა სრულიად რეალური ჩანს. ცოტა უფრო გვიან (სულთან ალფ-არსლანის შემოსევის დროს) მოხსენიებულია „ვეჟინის ერისთავი წირქუალელი“ [108]. ვახუშტი მხოლოდ ამ საერისთაოებს ასახელებს. ეს ერისთავები ბაგრატ მეფემ იგდო ხელთ, მაგრამ არაა სავალდებულო, რომ ყველა ერისთავები ჩავარდნოდნენ ბაგრატს ტყვედ. სავარაუდებელია, რომ ჰერეთში ამათ გარდა სხვა საერისთაოებიც იყოს. მაგალითად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იყო არიშის ერისთავი (დავით აღმაშენებლის დროს ბარამ არიშიანი), ასევე გიშის ერისთავი და სხვა. აღსანიშნავია, რომ საერისთაოებს საეპისკოპოსებიც ერთვის. მაგ., ხორნაბუჯი. ვეჟინი, გიში ამავე დროს საეპისკოპოსოებიცაა. ასე რომ, ასეთი ადმინისტრაციული დაყოფა სრულიად დასაშვებად მიგვაჩნია, მით უმეტეს რომ ვითვალისწინებთ ამ ხანის სხვა ქართულ-ფეოდალურ სამთავროთა ადმინისტრაციულ დაყოფას (მაგ., საერისთაოები აფხაზთა სამეფოში).

საინტერესო ფაქტია ქართულ წყაროში დადასტურებული „ჰერეთის მოქცევა“ დინარ დედოფლის დროს. რომ IV—V საუკუნეებიდან ჰერეთი ქრისტიანული ქვეყანაა, ეს თითქოს ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს [109]. ქართული წყაროების თანახმად, აქ ვახტანგ გორგასლის დროიდან საეპისკოპოსო კათედრები არსებობს და მატიანე ქართლისას ავტორიც არ უარყოფს ჰერეთის ქრისტიანობას, ის მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ ჰერეთის მეფეები მწვალებლები იყვნენ. „და ჰერეთსავე,—წერს ვემატიანე,—მეფობამდე იშხანიკისსა, პირკელნი ყოველნი იყვნეს მწუალებელნი, ხოლო იშხანიკ დისწული

---

[107] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება I, გვ. 298.

[108] იქვე, გვ. 308.

[109] იხ. ნ. ბერძენიშვილი, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან. „მიცემა-მხილველი“. 111, 1953, გვ. 67—68.

იყო გურგენ ერისთავთ-ერისთავისა, და დედამან მისმან მოაქცივნა მარ.თლმადიდებელად, დინარ დედოფალმან"[110]. აქ სრულიად გარკვევით მწვალებლობიდან მართლმადიდებლობაზე მოქცევაზეა ლაპარაკი. საფიქრებელია, რომ ჰერეთში, ისევე როგორც აღმოსავლეთ ამიერკავკასიის სხვა კუთხეებშიც გარკვეულ დროს (განსაკუთრებით სპარსთა მძლავრების ხანაში) მონოფაზიტობას ან ქრისტიანობის რომელიმე აღმოსავლურ მიმართულებას უნდა მოეკიდა ფეხი. X—XI საუკუნეები ის ხანაა საქართველოში, როდესაც ხდება ქრისტიანობის საბოლოო განწმენდა მწვალებლობისაგან ყველა დარგში (საეკლესიო მწერლობა, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება და სხვა). ამ საერთო პროცესს უნდა უკავშირდებოდეს ჰერეთის „მოქცევაც". ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ამ მოქცევას დინარ დედოფალი ახორციელებს, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელი. ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ რაიმე სახის ურთიერთობა ამ დროს ჰერეთის სამთავროსა და ბიზანტიის იმპერიას შორის (შესაძლებელია ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა მეშვეობით). ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ ადარნასე ჰერეთის მთავარი პატრიკის ტიტულს ატარებს, დედოფალი დინარი ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელია. ამჟამად გაგვიძნელდება რაიმე სახის მოსაზრების გამოთქმა ამ საკითხზე, მაგრამ მაინც ყურადსაღებად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ადარნასეს გარდა ბიზანტურ საკარისკაცო ტიტულს ატარებს კახეთის მეფე კვირიკეც[111]. ამჯერად, სხვა საბუთების უქონლობის გამო გაგვიძნელდება გადაჭრით ვთქვათ, თუ რომელია ეს, ხახულის სატის ქართული წარწერის კვირიკე „მეფე" და ბერძნული წარწერის „მაგისტროსი". მაგრამ უფრო იმ აზრისა ვართ, რომ ეს XI ს. „კვირიკე დიდი" უნდა იყოს, რასაც უჭერს მხარს მინანქრის ხელოვნებათმცოდნეობითი ანალიზი[112]. ჩვენი მხრით კი დავუმატებთ, რომ კვირიკე დიდზე ადრე, ჩვენთვის ცნობილ წყაროებში, კახეთის არცერთი კვირიკე მეფობით არ იხსენიება.

---

110 მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 266.

111 თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ.,1951, გვ. 148—150.

112 Ш. Амиранашвили, История Грузинского искусства. Тбилиси, 1950, გვ. 229.

თითქოს უფრო გარკვევით შეიძლება ლაპარაკი ჰერეთის ურთიერთობაზე სახალიფოსთან.

- ჰერეთზე გადიოდა ერთ-ერთი მთავარი გზა, ამიერკავკასიის ხალიფას მოხელის რეზიდენციას ბარდავს საქართველოსთან რომ აკავშირებდა. ეს გზა მტკვარსა და ალაზანს მიჰყვებოდა. ნიშანდობლივია, რომ ჩვენთვის ცნობილი ქართული, სომხური და არაბული წყაროები ძალიან მცირე ცნობებს იძლევიან ჰერეთ-სახალიფოს შორის წარმოებულ ბრძოლებზე. დასაწყისში არაბები ჰერეთს იპყრობენ დანარჩენ აღმოსავლეთ ამიერკავკასიასთან ერთად, მაგრამ იმ დროს, როდესაც (განსაკუთრებით VIII—IX სს. მიჯნა) კახეთი (წანარები) და ტაო-კლარჯეთი სახალიფოს ებრძვის, ჰერეთის ბრძოლა თითქოს არ ჩანს.

შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ჰერეთის სამთავროს ორგანიზაცია ცოტა განსხვავებულად მიმდინარეობდა და თავისებურია სხვა ქართულ სამთავროებთან შედარებით. თუ კახეთი და ტაო-კლარჯეთი ბრძოლით იპოვებენ თვითმყოფობას, ჰერეთში ასეთი ვითარება არ ჩანს. შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ კახეთსა და ტაო-კლარჯეთში მდგომარეობის გამწვავება უკარნახებს არაბებს ჰერეთის მიმართ უფრო მოქნილი დიპლომატიის წარმოებას. შესაძლებელია, იმ დროს, როდესაც საქართველოს ყველა კუთხე ებრძვის არაბებს, ჰერეთის ძველი სამთავრო სახლის წარმომადგენლები გარკვეულ უფლებებს იღებენ არაბთაგან და შედარებით მშვიდობიანი გზით აღწევენ მეტნაკლებად დამოუკიდებელი სამთავროს ორგანიზაციას. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ თბილისის ამირასთან და კახეთის სამთავროსთან ბრძოლებში ჰერეთი სახალიფოს მოკავშირე ჩანს. საჰაკ ამირას წინააღმდეგ მიმავალი არაბი სარდალი ხალიდ იაზიდის ძე ჰერეთზე მოდის, სადაც გავაზს მას კახელები ამარცხებენ. თუმცა უკვე ბუღა თურქის ლაშქრობის დროს ალბანეთის მთავარი, ბუღას მოწინააღმდეგედ გამოდის [113].

ნუმიზმატიკური მასალაც უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობის არსებობა სახალიფოსა დ ჰერეთს შორის. ჰერეთის სამთავროს ტერიტორიაზე მრავლადაა ნაპოვნი ამ

---

[113] ტაბარი, تاريخ الرسل والملوك الطبرى ed M. J. de goeje. III. ١٤١٠

ხანის არაბული მონეტები. მაგალითად, ლაგოდეხის რაიონის სოფ. კალინოვკაში ნაპოვნია ჰიჯრის 84 წ. (703 წ.) ოქროს დინარი — ჰიჯრ. 100 წლის (718—719) ომაიანთა დრამა (ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში), თელავის რაიონის სოფ. ფშავლებში VII—IX სს. არაბული ვერცხლის ფულების განძია ნაპოვნი, აქედან 96 ცალი VIII საუკუნისაა, ხოლო 46 ცალი IX ს. (ინახება თელავის მუზეუმში). კახეთის (ჰერეთის) აღმოსავლეთ ნაწილში (აღმოჩენის ადგილი და პირობები ზუსტად არაა ცნობილი) ნაპოვნია დაახლოებით 20 არაბული დრამა. თელავის რაიონის სოფ. ჭყონთში ნაპოვნია VIII და IX საუკუნეების არაბული დრამები. სოფ. აფენში (ლაგოდეხის რაიონი), ნაპოვნია IX ს. არაბული ვერცხლის ფულების განძი, სოფ. ლელიანში (ლაგოდეხის რაიონი) ნაპოვნია 1924 წ. ვერცხლის ფულის განძი, რომელშიც 163 არაბული დრამაა (საქართველოს სახ. მუზეუმის ფონდში)[114]. ასეთი ფაქტების დადასტურება, მაშინ როდესაც საკუთრივ კახეთის ტერიტორიაზე არ უნდა ჩანდეს არაბული მონეტები, გარკვეულ დაეჭვებას იწვევს. შესაძლებელია, რომ კახეთის სამთავროსაგან თავდაცვის მიზნით, ჰერეთის მთავრები ცდილობდნენ მშვიდობიანი ურთიერთობა დაემყარებინათ სახალიფოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან. ხოლო სახალიფოს ხელისუფლება ამ კავშირს კახეთის მთავრებისა და თბილისის ამირას წინააღმდეგ იყენებდა.

ეგრის-აფხაზეთის სამეფო

აღმოსავლეთ საქართველოს პარალელურად ფეოდალური სამეფოს ჩამოყალიბება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზეც მიმდინარეობდა. დასავლეთ საქართველოში შეიქმნა ქართული ადრეფეოდალური პოლიტიკური ერთეული, რომელიც ისტორიაში „აფხაზთა სამეფოს“ სახელწოდებითაა ცნობილი.

VI ს. დასასრულს ეგრისის (ლაზთა) სამეფოს გამოეყო აბაზგიის სამთავრო და ის უშუალოდ ბიზანტიას დაუქვემდებარდა VI—VII საუკუნეების მანძილზე. აბაზგიის სამთავრო აწარმოებდა ბრძოლას ბიზანტიის ხელისუფლების წინააღმდეგ. VII ს. დასასრულსა და VIII

---

[114] ნუმიზმატიკური ფაქტების მოწოდებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებთ პროფ. დ. კაპანაძეს.

ს. დასაწყისში აბაზგიაში ბიზანტიელები იჭრებიან და ბრძოლა ორი მიმართულებით წარმოებს. VIII ს. დასასრულს აბაზგიის სამთავრო სარგებლობს იმ შინა უთანხმოებით, რომელსაც ადგილი აქვს ბიზანტიის იმპერიაში და თავისუფლდება ბიზანტიელთა ვასალობისაგან[115]. აფხაზთა ერისთავმა ლეონმა, რომელმაც გაანთავისუფლა აფხაზეთი და ეგრისი ბიზანტიელთა ბატონობისაგან („დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე", როგორც გვამცნებს X-I ს. ქართველი მემატიანე)[116], მიიღო „აფხაზთა მეფის" ტიტული და სატახტო ქალაქად ქუთაისი გამოაცხადა[117]. ლეონი, თავის ბრძოლაში ბიზანტიელთა წინააღმდეგ ემყარებოდა ძირითადად აფხაზებსა და დასავლეთ საქართველოს ქართულ მოსახლეობას. მას დახმარებას უწევდნენ აგრეთვე ხაზარები. „ლეონ,—წერს ქართული წყარო,—ასულს წული იყო ხაზართა მეფისა და ძალითა მათითა გაადგა პერძენთა"[118].

ნათესაურ ურთიერთობასთან ერთად აფხაზეთსა და ხაზარეთს შორის მჭიდრო პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობაც უნდა ყოფილიყო. როგორც ცნობილია, ამ დროს ხაზარები აქტიურად ერევიან ამიერკავკასიის, კერძოდ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ცხოვრებაში. უაღრესად ნიშანდობლივია ამ მხრივ VIII ს. 80-იან წლებში არაბთაგან დევნილი ქართლის ერისმთავრის ნერსეს კავშირი ხაზართა ხაკანთან და ხაზართა ხაკანის დახმარება აფხაზთა მთავრისადმი ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლაში, რაც ნათესაურ კავშირთან ერთად პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობითაც უნდა ყოფილიყო გაპირობებული; სახელდობრ, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ხაზარეთი აფხაზეთის ტერიტორიაზე გამავალი ზეკარებით უკავშირდებოდა, ამდენად, გასაგები უნდა იყოს ხაზარების დახმარება ლეონისათვის[119].

დასავლეთ საქართველოს ქართული ფეოდალური სამთავროს ორგანიზაცია კახეთის სამთავროსაგან განსხვავებულ პირობებში მიმდინარეობდა. აქ მთავარ გარეშე ძალას ბიზანტია წარმოადგენდა,

---

[115] С. Джанашиа, О времени и условиях возникновения Абхазского царства, Трудов, II, 1952, გვ 333

[116] იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე. თბ., 1951, გვ. 217.

[117] ნ. ბერძენიშვილი, ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის. საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელძღვანელო, 1, გვ. 124.

[118] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 251.

[119] Н. Бердзенишвили, В. Дондуа, Очерки... стр, 519.

რომელიც ძალიან ღრმად იყო შეჭრილი დასავლეთ საქართველოს პოლიტიკასა და იდეოლოგიაში. აღნიშნული გარემოება საკმაოდ აფერხებდა დასავლეთ საქართველოს გაერთიანების პროცესს.

VI ს. ბიზანტია-ირანს შორის ეგრისის (ლაზიკის) ტერიტორიაზე წარმოებულმა ომებმა საგრძნობლად დაასუსტა დასავლეთ საქართველოს ეკონომიურად და კულტურულად წამყვანი რაიონები, რამაც გარკვეულად შეუწყო ხელი ბიზანტიის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრის ჩრდილოეთისაკენ გადანაცვლებას.

VII საუკუნის I ნახევარში აფხაზთა სამთავროს უხდება ბრძოლა, ერთის მხრივ, ბიზანტიისა და, მეორეს მხრივ, არაბების წინააღმდეგ. ლეონ I, აფხაზთა მთავარი, ფრთხილ პოლიტიკას აწარმოებს. ის ხელმძღვანელობს ანტიარაბულ ფრონტს დასავლეთ საქართველოში, იღებს ბიზანტიის ვასალობას, და ამავე დროს თავს ქართლის მფლობელის არჩილის ვასალად აცხადებს [120].

ამ დროს უკვე აფხაზთა სამთავრო, გარდა საკუთრივ აფხაზეთისა (ბერძნული წყაროების „აბაზგია“) მოიცავს აგრეთვე აფშილეთისა და მისიმიანეთის ტერიტორიასაც, და სახელწოდება „აფხაზეთი“ საკუთრივ აფხაზთა საერისთაოდან ეხლა უკვე. აფშილეთსა და მისიმიანეთზედაცაა გავრცელებული. „აფხაზეთიც“ „კახეთის“ მსგავსად თავის სახელწოდებას ავრცელებს შემოერთებულ სამთავროებზე.

VII ს. დასასრულისა და VIII ს. დასაწყისის ქართულ და ბიზანტიურ წყაროებში კიდევ არის აფშილეთისა და აფშილების ხსენება, მაგალითად, მოხსენებულია აფსილთა მთავარი მარინე [121], აგრეთვე ქალაქი (აფხაზეთისა და) აფსილეთისა ცხუმი [122] და სხვა, შემდეგ კი აფშილეთის, როგორც დამოუკიდებელი ერთეულის ხსენება ქრებ. წყაროებში და მასზე ვრცელდება სახელწოდება „აფხაზეთი“.

აფხაზეთის მთავარი ლეონ I, გარკვეული თვალსაზრისით, სუვერენული ხელისუფალი იყო და ატარებდა თავის საკუთარ ხაზს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში. ამის არაპირდაპირ მოწმობას უნდა

---

[120] ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 292.

[121] თეოფანე ჭამთაძმწერელი, გეორგიკა IV, ს. ყაუხჩიშვილის გამ., თბ., 1941, გვ. 112; იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. 11, 1949, გვ. 45.

[122] ჯუანშერი, ქართლის ცხოვრება, 1, გვ 235.

წარმოადგენდეს VIII ს. აფხაზეთის მთავრის კონსტანტინეს შეკიდული ბეჭედი, ბერძნული წარწერით: „კონსტანტინე აბასგი“ [123]. ჩანს, აფხაზთა მთავარს უფლება ჰქონდა დაემტკიცებინა თავისი ბრძანებები და სიგელები და წერილები გაეგზავნა შეკიდული ბეჭდით, რომელზედაც მისი სახელი იყო ამოჭრილი.

VIII ს. I-I ნახევარში აფხაზთა სამთავრო პოლიტიკურად შედარებით ძლიერი და ეკონომიურად განვითარებული ქვეყანა იყო. „დიდმა ომმა“ (542—562) საგრძნობლად დაასუსტა ეგრისის სამეფო. ამას გარდა VII—VIII სს. ეგრისმა არაბთა არაერთი თავდასხმა გადაიტანა. თუმცა, როგორც უკვე იყო აღნიშნული, არაბებმა აქ ფეხი ვერ მოიკიდეს, მაგრამ მათთან ბრძოლამ დიდი მსხვერპლი მოიტანა. აფხაზეთის მდგომარეობა ამ ხნის განმავლობაში შედარებით უკეთესი იყო. აღნიშნული ომი შედარებით ნაკლებად შეეხო საკუთრივ აფხაზეთს, ხოლო არაბთა შემოსევები, გარდა მურვან ყრუს ხანმოკლე შემოჭრისა, მას თითქმის არ განუცდია[124].

VIII ს. ისტორიკოსის იოანე საბანისძის ცნობათა თანახმად აფხაზეთის სათავეში „მთავარი“ დგას. აღნიშნული ავტორი აფხაზეთს ახასიათებს როგორც ძლიერ და მდიდარ ქვეყანას [125].

VIII ს. დასასრულს დასავლეთ საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის სათავეში აფხაზთა მთავარი ლეონ II დგას. ლეონის დასაყრდენ ძალას ამ ბრძოლაში აფხაზეთთან ერთად წარმოადგენს ეგრისის ქართული მოსახლეობა. ლეონი (VIII ს. 80-იან წლებისთვის) აერთიანებს მთელ დასავლეთ საქართველოს, შემდეგ (დაახლოებით VIII ს. დასასრ.) ანთავისუფლებს მას ბიზანტიის ვასალობისაგან და იღებს „მეფის“ ტიტულს [126]. ახალი სახელმწიფოს, რომელიც მმართველი დინასტიიდან „აფხაზთა სამეფოს“ სახელწო-

---

[123] ვ. ლ ე ქ ვ ი ნ ი ძ ე, კონსტანტინე აბასგის შეკიდული ბეჭედი. სსსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. XVI, № 5, 1955, გვ. 403—406.

[124] З. А н ч а б а д з е, Из истории средневековой Абхазии, Сухум, 1958, стр. 97.

[125] ი ო ა ნ ე ს ა ბ ა ნ ი ს ძ ე, აბო თბილელის მარტვილობა. თბ., 1935, გვ. 65—66.

[126] С. Д ж а н а ш и а, О времени и условиях возникновения Абхазского царства; З. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии Сухуми, 1959, стр. 96.

დებას აღუბს, დედაქალაქია ქ. ქუთაისი. ვახუშტი ბაგრატიონი ამ სამეფოს ეგრის-აფხაზეთს უწოდებს. „მატიანე ქართლისა“ ასე გადმოგვცემს ამ პროცესს: „ხოლო რაჟამს მოუძლურდეს ბერძენნი, გადგა მათგან ერისთავი აფხაზთა, სახელით ლეონ, ძმისწული ლეონ ერისთავისა, რომლისად მიეცა სამკვიდროდ აფხაზეთი. ესე მეორე ლეონ ასულის წული იყო ხაზართა მეფისა, და ძალითა მათითა გაადგა ბერძენთა, დაიპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე, სახელ-იდვა მეფე აფხაზთა“ [127].

ამგვარად, „აფხაზთა სამეფოს“ შექმნა ორ ეტაპად სწარმოებდა. VIII ს. 80-იანი წლებისათვის აფხაზეთის მთავარმა ლეონ II გააერთიანა აფხაზეთი და ეგრისი და VIII ს. დასასრულისათვის ეს გაერთიანებული ქვეყანა გაანთავისუფლა ბიზანტიელთა ბატონობისაგან. ლეონი თავის ბრძოლაში დასავლეთ საქართველოს გასაერთიანებლად ეყრდნობოდა ეგრისის მოსახლეობას და ბიზანტიის მხარდაჭერას [128], ხოლო ბიზანტიელთა წინააღმდეგ უკვე ხაზართა მხარდაჭერა გამოიყენა [129].

VIII ს. ქართველი ისტორიკოსი იოანე საბანისძე ასე განსაზღვრავს აფხაზეთის სამთავროს ტერიტორიას: „რამეთუ საზღვარ მათდა არს ზღუად იგი პონტოისად, სამკჳდრებელი ყოვლადვე ქრისტიანეთად. მისაზღვრადმდე ქალდიადსა, ტრაპეზუნტიად მუნ არს, საყოფელი იგი აფსარეადსად და ნაფსად ნავთსადგური“ [130]. აქვე იოანე საბანისძე განაგრძობს: „და არს ქალაქები იგი და ადგილები საბრძანებელად ქრისტჱს მსახურისა იონთა მეფისა, რომელი მოსაყდრე არს დიდსა მას ქალაქსა კონსტანტინეპოვლისასა“ [131]. ე. ი. VIII ს. 80-იანი წლებისათვის აფხაზეთის სამთავრო მოიცავს შავი ზღვის სანაპიროს და ის ბიზანტიის იმპერიის საბრძანებელს წარმოადგენს.

ამ აფხაზეთის სამეფოს დასავლეთი საზღვარი შავი ზღვაა. დასადგენია სამხრეთი, ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი საზღვარი.

აფხაზეთის სამეფოს სამხრეთი საზღვრის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა.

---

[127] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 251.

[128] З. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, стр. 100—101.

[129] იქვე.

[130] იოანე საბანისძე, აბო თბილელის მარტვილობა, გვ. 66.

[131] იქვე.

აკად. კ. კეკელიძის აზრით, პოლიტიკურად აფხაზეთის ფარგლებში შედის ქ. ტრაპეზუნტი. „აფხაზეთის საზღვარი არის „ზღვაჲ იგი პონტოჲ“, ესე იგი „შავი ზღვა, „მისაზღურამდე ქალდიაჲსა“,—ქალდიის პროვინციის საზღვრებამდე. ამ საზღვრებში, ავტორის ცნობით, იმყოფება („მუნ არს“) „ტრაპეზუნიაჲ, საყოფელი აფსარეაჲსაჲ და ნაფსაის ნავთსაყუდგური“. ამრიგად, ტრაპიზონი იმ ხანებში აფხაზეთის საზღვრებში შედიოდა, და ეს რომ სწორია, ჩანს 787 წლის საეკლესიო კრების აქტებიდან; ამ აქტებს ტრაპეზუნდის ეპისკოპოზი ასე აწერს ხელს:—ქრისტეფორე, ეპისკოპოსი ფაზისისა ანუ ტრაპიზონისა“[132]. აფხაზეთის სამხრეთის საზღვრის საკითხს ეხება ს. ჯანაშიაც და მისი შეხედულებით ტრაპეზუნტი არ შედის აფხაზეთის საზღვრებში[133]. ხოლო საბანისძის გამოთქმა „მისაზღვრამდე ქალდიაჲსა“ მას ესმის, როგორც ქალდიის თემის საზღვრამდე.

უკანასკნელად ამავე საკითხს შეეხო პ. ინგოროყვა. პ. ინგოროყვა არ იზიარებს ს. ჯანაშიას შეხედულებას ამ საკითხთან დაკავშირებით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ტრაპეზუნტის საკითხში პ. ინგოროყვა ორიგინალური არ არის, რადგან იმეორებს ამ საკითხზე კ. კეკელიძის მიერ უკვე გამოთქმულ მოსაზრებას.

თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად პ. ინგოროყვას რამდენიმე არგუმენტი მოყავს, პირველ რიგში საბანისძის ტექსტის ჩვენება, რომ აფხაზეთის საზღვარი არის „მისაზღვრამდე ქალდიაჲსა“; რაც მას ესმის, როგორც „ქალდიის ჩათვლით“. შემდეგ, 787 წ. საეკლესიო კრების აქტები, სადაც არის ფასისის და ტრაპეზუნტის ეპისკოპოსის ხელრთვა (იხ. კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 28). ამავე მოსაზრებას ასაბუთებს, პ. ინგოროყვას თვალსაზრისით, VIII ს. II ნახ. ბიზანტიელი მწერლის ეპიფანე კონსტანტინეპოლელის თხზულებაში დადასტურებული გამოთქმა „ლაზეთის ქალაქი ტრაპეზუნტი“ და სომხური უსახელო გეოგრაფია, რომლის ჩვენებით „დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში შედიოდა პროვინცია ჭანივი, იგივე ხალდია, და ქალაქები: ათინა, რიზე და ტრაპეზუნტი“[134].

---

[132] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა. თბ., 1935, გვ. 28.

[133] С. Джанашиа, О времени и условиях возникновения Абхазского царства. Труды, II, თბ., 1959, გვ. 338.

[134] პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გ. მერჩულე, თბ., 1954. გვ. 213.

რაც შეეხება იოანე საბანის-ძის ცნობას „მისაზღვრამდე ქალდიაისა“, აქ ტექსტის გაგების ამბავია და, როგორც ვხედავთ, ს. ჯანაშიას და პ. ინგოროყვას ეს ტექსტი ერთმანეთის სრულიად საწინააღმდეგოდ ესმით.

გავყვეთ სხვა წყაროების ჩვენებებს.

მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრების აქტები 787 წლისა, რომელსაც სხვა მონაწილეებთან ერთად, ხელს აწერს: „ქრისტეფორე, ეპისკოპოსი ფასისისა ანუ ტრაპეზუნტისა“, ვერ გამოდგება საბუთად იმის დასადასტურებლად, რომ აფხაზეთის სამეფოში შედიოდა ტრაპეზუნტი და აი რატომ. ეს აქტები 787 წლის მდგომარეობას გვაუწყებენ, ე. ი. იმ ხანისას, როდესაც აფხაზეთი არც პოლიტიკურად, და მითუმეტეს, არც ეკლესიურად ბიზანტიის იმპერიისაგან გამოყოფილი არაა. ასე რომ 787 წ. სრულიად დასაშვებია ტრაპეზუნტის და ფასიდის გაერთიანება ერთ ეპარქიაში.

ამ საკითხის გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვთ ე. წ. ექთეზისებს, კონსტანტინეპოლის სამწყსოში შემავალი კათედრების ნუსხებს. ეს საკითხი აგრეთვე უკავშირდება დას. საქართველოს ეკლესიის ბიზანტიიდან გამოყოფის საკითხს[135]. ექთეზისების ზუსტი დათარიღება, ჯერ-ჯერობით ყოველ შემთხვევაში, არაისა აქვს მოცემული. მაგრამ ზოგი მათგანი დაახლოებით დათარიღებულია. პართეის მიერ გამოცემულ ექთეზისებით (რომელსაც პ. ინგოროყვა უთითებს)[136] ასეთი სურათია. ბასილი სოფენელის ნოტიციით კონსტანტინეპოლის სამწყსოში შედის ლაზიკის ეპარქია ფასიდის მიტროპოლიტით. ამავე ნოტიციით ტრაპეზუნტი პოლემონის პონტში შედის. ყველა გამომცემელის (პართეი, გელცერი, ყაუხჩიშვილი...) და აგრეთვე კულაკოვსკის აზრითაც[137], ბასილი სოფენელის ნოტიცია შედგენილია მეცხრე საუკუნის პირველ მესამედში. დათარიღებული ნოტიცია გვაქვს კიდევ ერთი, შედგენილი ლეონ ბრძენის მიერ (886—911), ნოტიცია II [138]. ამ ნოტიციით ტრაპეზუნტი პოლემონის

---

[135] ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალური საქართველოში. ენიმკის მოამბე, X, თბ., 1941, გვ, 291—293.

[136] Parthey, Hieroclus Synekdemus et Notitiae graece episcopatum Berolini 1866.

[137] Ю. Кулаковский, Христианство у Алан. Византийский Временник, 1898, V.

[138] Parthey, გვ. 101—131.

პონტოში კი არ შედის, არამედ ის ლაზიკის ეპარქიის სამიტროპოლიტო ქალაქია. ლეონ ბრძენის მიერ შედგენილ კონსტანტინეპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ ეკლესიათა კათედრების ნუსხაში დასავლეთ საქართველოს სხვა პუნქტები მოხსენებული არაა[139]. ამ ორი დათარიღებული ნოტიციით შეიძლება ვივარაუდოთ: IX ს. დასაწყისში ტრაპეზუნტი პოლემონის პონტოშია, ლაზიკეს მიტროპოლიტი—ფასიდში. IX ს. დასასრულს კი ლაზიკის ეპარქიის სამიტროპოლიტო კათედრა ტრაპეზუნტშია. სხვა ნოტიციები, ზოგადად VII—IX სს. დათარიღებულნი— ასეთ სურათს გვაძლევენ: ნოტიცია VI— მოსაყდრე მიტროპოლიტთა სიაში არის ლაზიკის ეპარქიის ფასიდის მიტროპოლიტი, ტრაპეზუნტი კი—პოლომონის პონტოშია[140]; ნოტიცია VII—მოსაყდრე მიტროპოლიტთა სიაში ისეთივე მდგომარეობაა, როგორც VI ნოტ., ე. ი. ლაზიკის ეპარქია ფასიდის მიტროპოლიტითაა წარმოდგენილი, ტრაპეზუნტი კი ისევ პოლემონის პონტოს შემადგენლობაშია[141]; ნოტიცია VIII[142] ლაზიკის ეპარქია ფასიდის მიტროპოლიტითაა წარმოდგენილი, IX-ში ლაზიკის ეპარქიის მიტროპოლიტი ფასიდშია, ტრაპეზუნტი—ისევ პოლემონის პონტოშია[143]. ნოტიცია X კონსტანტინეპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ მიტროპოლიტთა სიაში წარმოდგენილია ლაზიკის ეპარქიის ტრაპიზონის მიტროპოლიტი. ასევე X-ა ნოტიციითაც (გელცერი— 550—559) კონსტანტინეპოლის პატრიარქს ექვემდებარება ლაზიკის ეპარქიის ტრაპეზუნტის მიტროპოლიტი[144]. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა იმ ნოტიციებით, რომლებშიაც ტრაპეზუნტი პოლემონის პონტოში შედის, ხოლო ლაზიკის ეპარქიის მიტროპოლიტი ფასიდშია, კონსტანტინეპოლის პატრიარქის სამწყოსოში შედის აგრეთვე დას. საქართველოს სხვა საეკლესიო ცენტრები, ასახელდობრ: ავტოკეფალი აბასგიის სებასტოპოლის არქიეპისკოპოსი და ავტოკეფალი ჯიქეთის ქერსონის, ბოსფორის და ნიკოფსიის არქიეპისკოპოსი;

---

139 ს. ყაუხჩიშვილი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. IV, ბასილი სოფენელი, თბ., 1959, გვ, 131.

140 იქვე, გვ. 138—139; პართეი, გვ. 145—149.

141 იქვე, გვ. 139—140, პართეი, გვ. 151—161.

142 იქვე, გვ. 141.

143 იქვე, გვ. 143—144; პართეი, გვ. 181—196.

144 გეორგიკა, გვ. 147—148.

ჩოლო იმ ნოტიციებით, რომლებითაც ლაზიკის ეპარქია ტრაპეზუნტის სამიტროპოლიტოთია წარმოდგენილი, აბასგია საერთოდ აღარ შედის კონსტანტინეპოლის სამწყსოში, ჯიქეთი კი მხოლოდ ქერსონითა და ბოსტფორითაა წარმოდგენილი (ნიკოფსია აღარ არის). ვფიქრობთ, ის გარემოება, რომ გარკვეული დროიდან ნოტიციებში ტრაპეზუნტი ლაზეთის ეპარქიის სამიტროპოლიტოა და არა პოლემონის პონტოსი, ლაპარაკობს სწორედ პ. ინგოროყვას საწინააღმდეგოდ. როგორც აღვნიშნეთ, ბასილი სოფენელის ნოტიციით, IX ს. პირველ მესამედში ტრაპეზუნტი პოლემონის პონტოშია. ლაზიკის ეპარქია კი ფასიდის მიტროპოლიტითაა წარმოდგენილი. IX ს. ბოლოს, ლეონ ბრძენის ნოტიციაში, დასავლეთ საქართველო უკვე აღარაა წარმოდგენილი, ტრაპეზუნტი კი ლაზიკის ეპარქიაშია. თუ პ. ინგოროყვას დასკვნას დავადგებით, მაშინ უნდა მივიღოთ, რომ IX ს. ბოლოს დასავლეთ საქართველოს ეკლესია არაა გამოყოფილი ბიზანტიიდან და რომ მთელი დასავლეთ საქართველოს ეკლესია კონსტანტინეპოლის სამწყსოში წარმოდგენილია ლაზიკის ეპარქიის ტრაპეზუნტის მიტროპოლიტით, რაც ეწინააღმდეგება ფაქტიურ მდგომარეობას და თვით პ. ინგოროყვას მიერ გამოთქმულ მოსაზრებას აღნიშნულ საკითხზე. (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი). განხილული ნოტიციების საფუძველზე, ტრაპეზუნტის საკითხთან დაკავშირებით, შესაძლებელია დავასკვნათ: IX ს. პირველ მესამედში და მანამდეც, სანამ დასავლეთ საქართველოს ეკლესია კონსტანტინეპოლის სამწყსოს ექვემდებარება, ტრაპეზუნტი, როგორც აფხაზეთის სამთავროში პოლიტიკურად არ შემავალი, ეკლესიურად პოლემონის პონტოთანაა დაკავშირებული. დასავლეთ საქართველო კი წარმოდგენილია კონსტანტინეპოლის სამწყსოს ლაზიკის ეპარქიის ფასიდის მიტროპოლიტით, აბასგიის სებასტუპოლის არქიეპისკოპოსით და ჯიქეთის ნიკოფსიის არქიეპისკოპოსით. IX ს. ბოლოს, როდესაც დასავლეთ საქართველოს ეკლესია უკვე გამოყოფილია კონსტანტინეპოლისაგან, აფხაზეთის სამეფოს გარეთ დარჩენილი ბიზანტიის იმპერიაში შემავალი ეთნოგრაფიული ლაზიკა, ცალკე ეპარქიად გამოიყო ტრაპეზუნტის მიტროპოლიტით. ე. ი. IX ს. ბოლოს დასავლეთი საქართველო (აფხაზეთის სამეფო) გამოყოფილია ბიზანტიიდან, მაგრამ ეთნოგრაფიული ლაზიკა, ქალდია, ტრაპეზუნტის ოლქი ბიზანტიისაა, იქ შექმნილია ლაზიკის ეპარქია და მისი მიტროპოლიტი ტრაპეზუნტში ზის. ამ დასკვნას თუ დავადგებით იქნებ ის გამოვიყენოთ ნოტიციების

დათარიღების ერთ-ერთ ნიშნად. ნოტიციები V, VI, VII, VIII, IX, სადაც დასავლეთი საქართველო წარმოდგენილია ლაზიკის ეპარქიის ფასიდის მიტროპოლიტით, აბასგიის სებასტუპოლის არქიეპისკოპოსით და ჯიქეთის ქერსონის, ბოსფორის და ნიკოფსიის არქიეპისკოპოსით, მივიჩნიოთ დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ბიზანტიის ეკლესიიდან გამოყოფამდე შედგენილებად, ხოლო ნოტიციები X და Xa, სადაც დასავლეთ საქართველოს არც ერთი სამწყსო აღარაა წარმოდგენილი და კონსტანტინეპოლის სამწყსოსში შედის ლაზიკის ეპარქიის ტრაპეზუნტის მიტროპოლიტი და ჯიქეთის ეპარქიის ქერსონის და ბოსფორის არქიეპისკოპოსი, მივიჩნიოთ დასავლეთ საქართველოს ეკლესიური გამოყოფის შემდეგ შედგენილად.

ე. ი. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საწინააღმდეგოდ პ. ინგოროყვას განცხადებისა, ექთეზისები სწორედ იმას ამბობენ, რომ ტრაპეზუნტი აფხაზეთის სამეფოს საზღვრებში არ შედის.

რაც შეეხება VIII ს. ბიზანტიელი მწერლის ეპიფანე კონსტანტინეპოლელის ცნობას, რომელიც ტრაპეზუნტს ლაზეთის ქალაქად თვლის, რასაკვირველია, ვერ გავიგებთ ისე, როგორც ეს პ. ინგოროყვას ესმის. როგორც თვით ეპიფანე კონსტანტინეპოლელი აღნიშნავს, ანდრიას ცხოვრების და მოღვაწეობის აღწერისას ის იყენებს ძველ წერილობით წყაროებს, ასე რომ მისი გამოთქმა „ლაზეთის ქალაქი ტრაპეზუნტი" სავალდებულო არაა გადმოსცემდეს VIII ს. 80-იანი წლების პოლიტიკურ ვითარებას; ეს გამოთქმა შეიძლება რომელიმე მისი წყაროდან მოდიოდეს. აგრეთვე, არც ისაა სავალდებულო, რომ ეპიფანე კონსტანტინეპოლელი ლაზეთს აფხაზეთის სამეფოს პოლიტიკური ცნების მნიშვნელობით ხმარობდეს. მისთვის ეს ლაზეთი ეთნოგრაფიული ლაზეთია. ასე რომ, მისი დამოწმება, როგორც VIII ს. 80-იანი წლების პოლიტიკური მდგომარეობის აღმნუსხველისა, არ უნდა იყოს მართებული.

ასევე ვერ დავეყრდნობით სომხურ უსახელო გეოგრაფიას. აქ კოლხეთის სამეფოზეა ლაპარაკი და არც IX ს. ამბებია ზუსტად გადმოცემული.

ამგვარად, პ. ინგოროყვას მიერ მოტანილი საბუთები ან მის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობენ (ექთეზისები) ან არ უპერენ მას მხარს. ასე რომ ექთეზისების ჩვენებათა თანახმად ტრაპეზუნტი სწორედ არ შედის აფხაზეთში, რაც თავის მხრივ მხარს უპერს იოანე საბანისძის ტექსტის ჯანაშიასეულ ინტერპრეტაციას.

რაც შეეხება აფხაზეთის ჩრდილო საზღვრის საკითხს, აქ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ სამხრეთ ჯიქეთი ნიკოფსიითურთ აფხაზეთში შედის. როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „აფსაზთა მეფის სამფლობელო ჩრდილოეთისაკენაც გადაფენილი ყოფილა; ჯიქეთიც, მაგალითად, უეჭველია აფხაზთა მეფესა სჭერია, ეს იქითგანა ჩანს, რომ გიორგი მეფემ კახეთის ერთ-ერთ ციხეში შეპყრობილი ხახუა „წარსცა პყრობილად ჯიქეთს“-ო[145]. ამასვე ადასტურებენ ექთეზისებიც. VI, VII, VIII, და IX ნოტიციები, სადაც დასავლეთ საქართველო ლაზიკის ეპარქიის ფასიდის მიტროპოლიტითა და აბასგიის ავტოკეფალი სებასტოპოლის არქიეპისკოპოსითაა წარმოდგენილი, ჯიქეთი სამი კათედრითაა წარმოდგენილი: ქერსონის, ბოსფორის, ნიკოფსიის. ეს ის დროა, როდესაც ყველა ეს კათედრა კონსტანტინეპოლის სამწყსოს ექვემდებარება. მაგრამ X და Xa ნოტიციებში იქ, სადაც ლაზიკა ტრაპიზონის მიტროპოლიტითაა მხოლოდ წარმოდგენილი და, სადაც დასავლეთ საქართველოს აფხაზეთის სამეფოს არცერთი სხვა კათედრა არაა, ე.ი. იმ დროის ნოტიციებში როდესაც დასავლეთ საქართველო ეკლესიურად გამოყოფილია ბიზანტიისაგან, ჯიქეთი ორი კათედრითაა წარმოდგენილი, სახელდობრ: ქერსონის და ბოსფორის. ამ ნოტიციებით ჯიქეთის მესამე კათედრა ბიზანტიის სამწყსოში აღარ შედის იმ დროიდან, როდიდანაც აღარ შედის ფასიდის და სებასტუპოლის კათედრები. იგულისხმება, რომ ნიკოფსია (ე. ი. სამხრ. ჯიქეთი) აფხაზეთის სამეფოს შემადგენლობაშია.

რაც შეეხება აფხაზეთის სამეფოს აღმოსავლეთ საზღვარს, „მატიანე ქართლისა“-ს ავტორი წერს: „დაიპყრა (ლეონ აფხაზეთის პირველმა მეფემ) აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე“[146]. არგვეთი აფხაზეთის სამეფოში შევიდა..

აფხაზეთის სამეფოს ტერიტორიას ვახუშტი ასე განსაზღვრავს: „ხოლო დაჯდა რა ესე ლეონ მეფედ და დაიპყრა ყოველი ეგრისი არღარა უწოდა ეგრისი არამედ აფხაზეთი და განყო ესე ეგრისი და აწ აფხაზეთი რვა საერისთაოდ: ა (1) დასვა აფხაზთა და მისცა აფხაზეთი და ჯიქეთი ვიდრე ზღვამდე და ხაზართა მდინარემდე. ბ (2) დასვა ცხომს და მისცა ეგრისის იქით აწაკოფია ალანითურთ. გ (3) დასვა ბედიას და მისცა ეგრისის აღმოსავლეთი ცხენის წყლამდე.

---

[145] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია. წ. II, 1948, გვ. 91.
[146] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 251.

დ (4) ვინაითგან ამასვე ლეონს მოერთნენ ოძრახოს წილნი ჭოროხის სამხრეთისანი, და განუდგნენ ოძრახოს ერისთავსა უწოდა გურია და დასვა მუნ ერისთავი თჳსი ე (5) დასვა რაჭა-ლეჩხუმისა. ე (6), დასვა სვანეთისა. ზ (7) შორაპნისაჲ რიონისა და ხანის წყლის აღმოსავლეთისა ლიხამდე სრულიად არგუეთისა. (8) დასვა ქუთათის ვაკისა ოკრიბისა და ხანის წყლის დასავლეთისა გურიამდე და რიონის დასავლეთით ცხენის წყლამდე".

ვახუშტის ეს ცნობა უაღრესად საინტერესოა აფხაზთა სამეფოს ადმინისტრაციული ორგანიზაციის საკითხისათვის. თუ ვახუშტის თვალსაზრისს გავიზიარებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ აფხაზთა სამეფო რვა ადმინისტრაციულ ერთეულად, საერისთავოდ ყოფილა დაყოფილი. თითოეული საერისთაოს სათავეში ერისთავი იყო, ლეონის მიერ დანიშნული. ჩვენ ამჟამად არ შეგვიძლია რაიმეს თქმა იმის შესახებ, არსებობდა თუ არა სინამდვილეში ასეთი რვა საერისთავო: აფხაზეთის, ცხომის, ეგრისის ცენტრით ბედიაში, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთის, არგვეთის ცენტრით შორაპანში, ვაკე იმერეთის ცენტრით ქუთაისში. ამის დასადასტურებლად საჭიროა შემდგომი ანალოგიები. მაგრამ ვფიქრობთ, მოგვიანო ხანის წყაროები მსარს უჭერენ მოსაზრებას აფხაზთა სამეფოში ერისთავებისა და საერისთავოების არსებობის შესახებ. ქართლის მატიანეში, IX ს. 80-იანი წლების ამბებთან დაკავშირებით, მოხსენებულია აფხაზთა ერისთავი: „და იძლინეს აფხაზნი, ხოლო მოკლეს ნასრა და ბაყათარ, მთავარი ოვსი და ერისთავი აფხაზთა" (261). ეს „აფხაზთა ერისთავი" ადასტურებს ვახუშტის „აფხაზთა ერისთავი"-ს არსებობას, რაც იქნებ გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ ადმინისტრაციული თვალსაზრისით აფხაზეთის სამეფოს დაყოფა საერისთავოებად. ამავე საკითხთან დაკავშირებით, ნიშანდობლივია XIII ს. ქართველი ისტორიკოსის ცნობა თამარის დროინდელი საქართველოს საერისთავოების შესახებ, სადაც დასახელებულია: „ლიხთ-იმერით ბარამ ვარდანისძე—სვანთა ერისთავი, კახაბერი—რაჭისა და თაკუერის ერისთავი, დოთაღოღ შარვაშისძე—ცხუმის ერისთავი, ამანელისძე—არგუეთის ერისთავი და ბედიანი— ოდიშის ერისთავი[147]. ყოველ შემთხვევაში საქარ-

[147] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი. კ. კეკელიძის გამ., თბ., 1941, გვ. 79.

თეელოს შემდგომი ჰერიოდის ისტორია არ გამორიცხავს ამ შესაძლებლობას. ვფიქრობთ, ამ დებულების (აფხაზეთის სამეფოს ადმინისტრატიული თვალსაზრისით საერისთავოებად დაყოფის) დასასაბუთებლად შეიძლება გამოგვადგეს ის ფაქტიც, რომ თვით აფხაზთა მეფეები ქართლში, როდესაც ისინი მის დამორჩილებას ახერხებდნენ, ერისთავებს ნიშნავდნენ.

აფხაზეთის სამეფოს მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად დგება საეკლესიო დამოუკიდებლობის საკითხი.

სრულიად მართებულად ვახუშტი ბაგრატიონი აფხაზეთის ეკლესიის გამოყოფას ბიზანტიის ეკლესიისაგან ლეონს, აფხაზთა პირველ მეფეს, უკავშირებს. „ამისგანვე (ე. ი. ლეონის) საგონებელ არს განთავისუფლება აფხაზთა კოზისა“. ეხება რა აფხაზეთის კათალიკოზის საკითხს, ვახუშტი წერს: „გარნა უზისთ კათალიკოზი თჳსი და არა საჩინოთ უწყებული ცხორებიდამ, თუ როდის განთავისუფლდა, არამედ მწერალი იტყვის ცხორებისაგანვე: ოდეს განდგა ლეონ და იწოდა აფხაზთა მეფედ, მაშინ მოუძლურებულ იყუნენ ბერძენიცა, და ამ ლევანის მიერ, ანუ შემდგომთა მისთაგან, განთავისუფლდა თხოვნითა ბერძენთაგანვე, ვინაიდგან სახელიცა მისი ესრეთვე წარმოაჩინებს, რამეთუ უწოდებენ კათალიკოზსა აფხაზეთისასა, და არა ეგრისისა და იმერეთისასა“[148]. ე. ი. ვახუშტისთან კონკრეტულად ლეონის საკითხი კი არ დგას, აქ ისმის საკითხი იმის შესახებ, რომ აფხაზეთის ეკლესიის გამოყოფა ბიზანტიის ეკლესიისაგან აფხაზეთის სამეფოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას უნდა დავუკავშიროთ (საინტერესოა, რომ ვახუშტის ერთ-ერთ საბუთად იმისა, რომ ეს კათალიკოსი სწორედ აფხაზეთის სამეფოს უკავშირდება და არა ეგრისის ან იმერეთისას, მოყავს ის ფაქტი, რომ დასავლეთ საქართველოს კათალიკოზი აფხაზეთის კათალიკოზად იწოდება).

აკად. ივ. ჯავახიშვილი აფხაზეთის ეკლესიის გამოყოფას ბიზანტიის ეკლესიისაგან და აღმოსავლეთ საქართველოს (მცხეთის) ეკლესიასთან გაერთიანებას VIII—IX სს. ბიზანტიაში ხატმებრძოლეობასთან და ბიზანტიის დასუსტებასთან, ე. ი. აფხაზეთის მიერ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვებასთან, აკავშირებს[149].

---

[148] ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ნ. ბერძენიშვილის და თ. ლომოურის რედ., თბ., 1941, გვ. 147.

[149] ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 119—120.

ეხება რა აფხაზეთის ეკლესიის საკითხს, აკად. ს. ჯანაშია წერს: „უკვე მეცხრე საუკუნის დამდეგიდანვე (თუ უფრო ადრე არა) აფხაზთა სამეფოში მწიგნობრობის, სამეფო კანცელარიისა და ეკლესიის ენა არის ქართული [150].

აფხაზეთის სამეფოს ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხს სპეციალურად იხილავს აკად. ნ. ბერძენიშვილი თავის შრომაში „სავაზირო ფეოდალურ საქართველოში". ბერძნული ტაქტიკონებისა და ქართული წყაროების ცნობების განხილვის საფუძველზე, ნ. ბერძენიშვილი დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გამოყოფას ბიზანტიისაგან ბაგრატ აფხაზთა მეფის 861—873 (906?) ხანას უკავშირებს[151]. ხოლო პ. ინგოროყვა აფხაზეთის ეკლესიის გამოყოფას ბიზანტიისაგან IX საუკუნის 1 ნახ. ათარიღებს[152].

აფხაზეთის ეკლესიის საკითხთან დაკავშირებით, ბერძნულ ტაქტიკონებში ერთი დეტალი იჩენს თავს. ნოტიციებში ლაზიკის ეპარქია სამიტროპოლიტოა ე. ი. ეგრისის ეკლესიის უზენაესი ხელისუფალი მიტროპოლიტია. საკუთრივ აფხაზეთი ჯიქეთითურთ ავტოკეფალური არქიეპისკოპოსებითაა წარმოდგენილი. ნოტიციების მიხედვით არაფრის თქმა არ შეიძლება იმის შესახებ, თუ როდის მიიღო, დაახლოებით მაინც, სებასტუპოლის და ნიკოფსიის საარქიეპისკოპოსომ ავტოკეფალობა. ისმის კითხვა, როდის შეიძლებოდა მომხდარიყო ეს? ცნობილია, რომ VI ს. აბაზგები გამოეყვენ ლაზეთის მეფეს და ბიზანტიის იმპერიის უშუალო ქვეშევრდომნი გახდნენ და ქრისტიანობაც იუსტინიანეს მოთხოვნით მიიღეს. შეიძლება ვიფიქროთ, რომ აბაზგიაში თავიდანვე ავტოკეფალი საარქიეპისკოპოსო დაარსდა, მაგრამ ეს მოსაზრება ეჭვს ბადებს, რადგან VI ს. ხუსტინიანეს აბაზგების შემომტკიცება და ქრისტიანობის მეშვეობით მათი ბიზანტიასთან დაკავშირება სურდა და ასეთ ვითარებაში მისთვის არ იქნებოდა ხელსაყრელი აბაზგიის ავტოკეფალი არქიეპისკოპოსის არსე-

---

[150] ს. ჯანაშია, აფხაზთა სამეფოს ისტორიიდან. თეზისები, შრომები, II, გვ. 306.

[151] ნ. ბერძენიშვილი. სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, ენიმკის მოამბე, X, თბ., 1941, გვ. 291—293.

[152] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ 244.

ბა (აქ ავტოკეფალობა, რასაკვირველია, დამოუკიდებლობას არ გულისხმობს, მაგრამ მაინც გარკვეულ ავტონომიას იძლევა). თუ უარვყოფთ თავიდანვე აბასგიის ავტოკეფალი არქიეპისკოპოსის არსებობას, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ აფხაზეთის (საკუთრივ აფხაზეთის) ეკლესიამ ამ შუალედში (VI ს.-დან IX ს.-მდე) მიიღო ავტოკეფალობა. ასეთ ვითარებაში აფხაზეთის ეკლესიის მიერ ავტოკეფალობის მოპოვება შეიძლება იმ ლეონ აფხაზთა ერისთავს დავუკავშიროთ, რომელმაც „გაიმკვიდრა საერისთაო თჳსი“ და ვივარაუდოთ, რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობისა არ იყოს, საეკლესიო დამოუკიდებლობის საკითხშიც აფხაზეთის ეკლესიამ ორი ეტაპი განვლო. ერთი, როდესაც ავტოკეფალობა მოიპოვა, და მეორე, როდესაც სრულიად გამოეყო კონსტანტინეპოლის სამწყსოს.

აფხაზეთის ეკლესიის ბიზანტიიდან გამოყოფას მჭიდროდ უკავშირდება ამ ეკლესიაში გაბატონებული ენის საკითხი. როგორც აღნიშნულიც გვქონდა, აკად. ს. ჯანაშია აფხაზეთში ქართული ენის გაბატონებას IX საუკუნით ათარიღებს. „უკვე IX ს. დამდეგიდანვე (თუ უფრო ადრე არა) აფხაზთა სამეფოში მწიგნობრობის, სამეფო კანცელარიისა და ეკლესიის ენა არის ქართული“. აღსანიშნავია, რომ პ. ინგოროყვა უფრო შორსაც მიდის და აღნიშნავს, რომ X ს. აფხაზეთი ქართული მწერლობის ცენტრიცაა, რის დასადასტურებლად მოყავს იოანე მინჩხისა და მიქელ საბაწმინდელის მოღვაწეობა. ეჭვი არაა, რომ აფხაზეთის სამეფოში უნდა ყოფილიყო ქართული მწიგნობრობის ცენტრები. აფხაზთა მეფეები, რომელნიც ქართლისა და კახეთის დაპყრობისათვის, და ამდენად საქართველოს გაერთიანებისათვის იბრძოდნენ, აფხაზთა მეფეები, რომლებმაც გამოყვეს აფხაზეთის ეკლესია კონსტანტინეპოლიდან და ის მცხეთის ტახტს დაუკავშირეს, აუცილებლად იზრუნებდნენ აფხაზეთში ქართული ენის განმტკიცებისათვის. დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთის სამეფოში, ქართული ენის გაბატონება დიდ სიძნელეებს არ წააწყდებოდა. დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობისათვის ქართული ენა მშობლიური იყო და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ამ ღონისძიების მხარდამჭერის როლში უნდა გამოსულიყო. მაგრამ მიუხედავად ამისა, ბერძნული ენის, ისევე როგორც ეკლესიიდან ბერძნული გავლენის, საბოლო განდევნა ერთბაშად ვერ განხორციელდებოდა.

დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ბიზანტიისაგან გამოყოფის პროცესს აკად. ნ. ბერძენიშვილი ორ ეტაპად ყოფს. „პირველ ხანებში,—წერს ნ. ბერძენიშვილი,—საფიქრებელია, პოლიტიკურად ჯერ წელმოუმაგრებელი აფხაზეთის მეფეები მოერიდებოდნენ საეკლესიო საკითხის გამწვავებას და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მხოლოდ საეკლესიო გაერთიანების დასტურს მოსთხოვდნენ“[153]. ამ საეკლესიო გაერთიანების სათავეში უნდა მდგარიყო აფხაზეთის ავტოკეფალური არქიეპისკოპოსი. „ამას გვაფიქრებინებს: 1. აფხაზეთის პოლიტიკური ძლიერება და მისი მოთავეობა ლიხთიმერეთის გაერთიანების საქმეში, 2. სამეფო დინასტიის აფხაზეთიდან გამოსულობა და 3. ლაზიკის პოლიტიკური სისუსტე[154]. ამავე დროიდან ეწოდა აფხაზეთის არქიეპისკოპოსს „აფხაზთა კათალიკოზი“[155], რაც მთელი დასავლეთი საქართველოს გაერთიანებული ეკლესიის მეთაურის ცნების გამომხატველია („აფხაზთა მეფის“ პარალელურად).

ამიერიდან „აფხაზთა კათალიკოზი“ ბერძნული ეკლეიის წარმომადგენელია დასავლეთ საქართველოში, ხოლო აფხაზთა მეფეები, რომელნიც საქართველოს გაერთიანების საქმის მოთავეებად გამოდიან, მხარს უჭერენ მცხეთის ტახტის შეჭრას დასავლეთ საქართველოში და სრულიად საქართველოს კათალიკოსთან კავშირში ებრძვიან ბერძნულ ეკლესიას დასავლეთ საქართველოში[156]. ამასვე უკავშირდება ის დიდი საეკლესიო მშენებლობა და ახალი, ქართული საეკლესიო კათედრების დაარსება. ძველის, ბერძნულის საპირისპიროდ, რაც ასე ინტენსიურად მიმდინარეობს დასავლეთ საქართველოში IX—X სს. მანძილზე[157].

აფხაზეთის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას, და განსაკუთრებით საეკლესიო გამოყოფას, დიდი საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობა მოყვა დასავლეთ საქართველოში.

საფიქრებელია, რომ აფხაზთა სამეფოში შექმნილი ყველა ახალი საეკლესიო ცენტრები ქართული მწიგნობრობისა და კულტურის

---

153 ნ. ბერძენიშვილი, სავაჭირო ფეოდალურ საქართველოში ენიმკის მოამბე X, გვ. 296.

154 იქვე

155 იქვე

156 იქვე

157 იქვე

კერებად უნდა ქცეულიყო. ამ მხრივ საინტერესოა ჭყონდიდელი სტეფანე სანანოძის ძის, პიმნოგრაფისა და მთარგმნელის მოღვაწეობა[158]. მართალია, ის X ს. უკანასკნელ მეოთხედში მოღვაწეობს, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, ჭყონდიდში კულტურის ცენტრი იყო და რომ ამ საქმის სათავეში ჭყონდიდელები იდგნენ.

ნიშანდობლივია, რომ ჭყონდიდელები სწორედ აფხაზთა სამეფოს გაძლიერების ხანაში ჩნდებიან. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: „ცნობილია, რომ ჭყონდიდის საეპისკოპოზო კათედრა დაარსა გიორგი აფხაზთა მეფემ X ს-ის პირველ ნახევარში. საფიქრებელია, რომ მანვე შეუწყო ხელი ამ კათედრის აღზევებას სხვა კათედრათა შორის. ყოველ შემთხვევაში ბაგრატ IV დროს ის უწარჩინებულეს კათედრად ჩანს დასავლეთ საქართველოში[159]. ჭყონდიდის საკითხი აფხაზთა მეფეების პოლიტიკას უკავშირდება უშუალოდ. მცხეთის ტახტი აფხაზთა მეფეებს უჭერდა მხარს მათ მცდელობაში, რათა აფხაზეთის ეკლესია ბიზანტიიდან გამოეყოთ. მცხეთის ტახტი საერთოდ აფხაზეთის მხარდამჭერი უნდა ყოფილიყო არა მარტო საეკლესიო საკითხში, არამედ ქართლისათვის ბრძოლის საკითხშიც, რადგან ერთადერთ რეალურ ძალას, რომელსაც საქართველოს გაერთიანება შეეძლო, ამ დროს აფხაზთა სამეფო წარმოადგენდა. ბიზანტიასთან შებმა კი ადვილი საქმე არ იყო. კონსტანტინეპოლი ეკლესიაში ჯერ კიდევ ძალიან ძლიერი იყო, ავტორიტეტიც დიდი ჰქონდა. მაგრამ აფხაზთა მეფეების ხაზი მომგებიანი იყო; დასავლეთ საქართველოს ქართულ მოსახლეობას მისთვის უნდა დაეჭირა მხარი. მაგრამ დასავლეთ საქართველოში კონსტანტინეპოლის გავლენის აღმოფხვრა ძალიან ძნელი იყო პირველი რიგში იმიტომ, რომ საუკუნეთა მანძილზე გაბატონებული ტრადიცია კონსტანტინეპოლს უჭერდა მხარს და კონსტანტინეპოლს ყავდა დასავლეთ საქართველოში ისეთი დიდი დასაყრდენი ძალა, როგორიც იყო ბიზანტიის მიერ დასავლეთ საქართველოში დაარსებული მრავალრიცხოვანი სა-

---

[158] ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში. ენიმკის მოამბე, V—VI, გვ. 395; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. გვ. 176—180; პ. ინგოროყვა, ძველი ჭაოსიული სასულიერო პოეზია, გვ. რნა.

[159] ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, 395.

ეკლესიო ცენტრები და საეპისკოპოსო კათედრები. ბიზანტიის ეკლესიის ამ დასაყრდენის წინააღმდეგ ბრძოლით აიხსნება აფხაზთა მეფეების მიერ ახალი საეპისკოპოსო კათედრების დაარსება. მეორე მხრივ ეს ახალი, აფხაზთა მეფეების მიერ დაარსებული, საეპისკოპოსო კათედრები გადაიქცეოდნენ აფხაზთა მეფეების დასაყრდენად მათ ბრძოლაში სამეფოს ცენტრალიზაციისათვის. დასავლეთ საქართველოში ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცების მიზნით აფხაზთა მეფეებს რომ ახალი საეპისკოპოსოები შეექმნათ, ეს სრულიად გასაგები გარემოებაა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ აფხაზთა სამეფოში მარტო ახალი კათედრების დაარსების საკითხი არ დგას, აქ ძველი კათედრების გაშლის და მათ საპირისპიროდ ახლების შექმნის საკითხია დაყენებული[160].

ამგვარად, აფხაზეთის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას უშუალოდ უკავშირდება აფხაზეთის ეკლესიის გამოყოფა ბიზანტიის ეკლესიიდან. ეს საეკლესიო გამოყოფა ერთბაშად არ ხდება. ჯერ საკუთრივ აფხაზეთის ეკლესია მოიპოვებს ავტოკეფალობას (VII ს. ბოლო). შემდეგ ხდება დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გაერთიანება (VIII ს. ბოლო ან IX ს. დასაწყისი), ხოლო ბოლოს (IX ს. II ნახევარი) აფხაზთა სამეფოს ეკლესია გამოეყოფა კონსტანტინეპოლის სამწყსოს და მცხეთის ტახტს უერთდება, ხოლო აფხაზთა კათალიკოსი სრულიად საქართველოს კათალიკოსს ემორჩილება. საეკლესიო რეფორმა აფხაზეთში საბოლოოდ X საუკუნეში სრულდება[161].

როგორც აღვნიშნეთ, ეს საკითხი დიდ სიძნელეებს წააწყდებოდა, რადგან კონსტანტინეპოლის ავტორიტეტი ეკლესიაში დიდი იყო. აფხაზთა მეფეებს გაუძნელდებოდათ ამ ღონისძიების გატარება, მაგრამ მას ამ საქმეში მხარს დაუჭერდა მცხეთის ტახტი. კახეთის და ტაო-კლარჯეთის ქრისტიანული ეკლესია მცხეთის ტახტს ემორჩილებოდა; მცხეთის ტახტისათვის ყოველმხრივ ხელსაყრელი იყო აფხაზთა მეფეებისათვის მხარის დაჭერა. აფხაზთა მეფეები ამ დროს გამოდიოდნენ საქართველოს გაერთიანების იდეის გამტარებელ ერთერთ წამყვან ძალად. კონსტანტინეპოლიდან გამოყოფა და მცხეთას-

---

[160] ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში.

[161] იქვე, ენიმკის მოამბე. X, გვ. 299.

თან შეერთება აფხაზთა მეფეების ინტერესების შესაბამისია, რადგან ისინი შიდა ქართლის დაპყრობისა და საქართველოს გაერთიანებისათვის იბრძვიან.

ამგვარად, „ეგრის-აფხაზეთის სამეფო" დიდი და ძლიერი სახელმწიფოა, დედაქალაქით ქ. ქუთაისში, რომლის ტერიტორიის უდიდეს ნაწილს ქართული მიწები შეადგენდნენ, ხოლო მოსახლეობის უმრავლესობას—ქართველები.

ბიზანტიის გავლენა დასავლეთ საქართველოზე, მიუხედავად პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღიარებისა, მაინც დიდხანს ვრცელდებოდა, და მისი აღმოფხვრა როგორც ეკლესიაში, ისე სხვა სფეროებშიც თანდათან ხდებოდა. ამ მხრივ ნიშანდობლივია აფხაზებისა და ლაზების მონაწილეობა ბიზანტიის წინააღმდეგ მიმართულ თომა სლავის აჯანყებაში 821—823 წწ. აფხაზთა სამეფოს მმართველი წრეები აჯანყებაში მონაწილეობის მისაღებად ბიზანტიის გავლენისაგან ქვეყნის საბოლოო განთავისუფლების სურვილსაც უნდა მიეყვანა.

* * *

აფხაზეთის სამეფო განვითარებული მიწათმოქმედების ქვეყანას წარმოადგენდა. ძირითადი სამიწათმოქმედო კულტურა ადგილობრივი ჯიშის მარცვლეული (ღომი) იყო. ამავე დროს დიდად იყო განვითარებული მიწათმოქმედების ისეთი ინტენსიური დარგები, როგორიცაა მებაღეობა და მევენახეობა. მნიშვნელოვან ტექნიკურ კულტურას წარმოადგენდა სელი. სოფლის მეურნეობის მეორე მნიშვნელოვანი დარგი იყო მესაქონლეობა. უძველესი დროიდანვე იყო ცნობილი საუკეთესო მატყლის ჯიშის აფხაზური თხა. მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მეფუტკრეობას. ფართოდ იყო გავრცელებული საგარეო ვაჭრობა. გაჰქონდათ საამშენებლო ხე-ტყის მასალა, სელი და სელის ნაწარმი, ბეწვეული, ცვილი, თაფლი და სხვა. შემოჰქონდათ, ძირითადად, მარილი, მარცვლეული, ფუფუნების საგნები...

იმდროინდელი დასავლეთ საქართველო შედარებით მჭიდროდ დასახლებული ქვეყანა იყო, რამდენიმე ქალაქითა და მრავალრიცხოვანი ტაძრებითა და ციხეებით. ქალაქების უმრავლესობა შავი ზღვის სანაპიროზე იყო. აღსანიშნავია სამეფოს დედაქალაქი ქუთა-

ისი, რომელიც დაწინაურებული რაიონის (ძველი წყაროების სამოქალაქოს) ცენტრში და მნიშვნელოვანი სავაჭრო გზების გზაჯვარედინზე მდებარეობდა. მნიშვნელოვანი ქალაქები იყო ფაზისი, ცხუმი, ანაკოფია, ვარციხე, ციხე-გოჯი და სხვა. აღსანიშნავია, რომ ზღვისპირა ქალაქები, ბიზანტიის განდევნასთან დაკავშირებით, თანდათან სულ უფრო და უფრო მჭიდროდ უკავშირდებიან ადგილობრივ ეკონომიკას.

დასავლეთ საქართველოს ფართე ეკონომიური კავშირები აქვს გარე სამყაროსთან (ბიზანტია, სახალიფო), რაზეც აქ აღმოჩენილი უცხოური მონეტებიც მეტყველებენ[162]. აფხაზეთის სამეფოდან საქონელი არტანუჯშიც გადიოდა[163].

ქალაქებთან ერთად აღსანიშნავია მრავალრიცხოვანი ციხე-სიმაგრეების არსებობა როგორც ზღვის სანაპიროზე, ასევე ქვეყნის შიგნით, ჩრდილოეთ კავკასიისაკენ მიმავალ გზებზე, ჩრდილოეთ კავკასიიდან მომთაბარე ტომების თავდასხმებისაგან დასაცავად, მაგალითად: ციხე მდ. ბზიფის ხეობაში, სობღისის ციხე, ალანებისაკენ მიმავალ გზაზე, ციხე წიბილი აფშილეთში და სხვა, სიმაგრეები კოდორის ხეობაში.

ადრეფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში მრავალრიცხოვანი ტაძრები იქნა აგებული: ცანდრიფშის, გაგრის, ამბარის, ანაკოფიის, დრანდის, ლაშქენდარის, მოქვის, ჭყონდიდის, ხობის და სხვა. განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ანაკოფიის ციხე-ქალაქი.

ანაკოფიის ციხე-ქალაქი მნიშვნელოვან საფორტიფიკაციო ნაგებობას წარმოადგენდა. ანაკოფია აფხაზთა სამთავროს დედაქალაქი იყო.

ცალკესად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ VIII-X საუკუნეებში დასავლურ ქართულ საამშენებლო ხელოვნებაშიც ხდება თანდათან ბიზანტიური გავლენის აღმოფხვრა და, თუ ადრინდელი

---

[162] არაბული მონეტები ნაპოვნია გელათში, მახარაძის რაიონში (IX ს.), საჩხერის რაიონში (VIII ს. დასასრული). ბიზანტიური მონეტები ნაპოვნია ციხის ძირში (X ს.), საქარაში, კლდეეთში (X ს.). ცნობები მოგვაწოდა პროფ. დ. კაპანაძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

[163] კონსტანტინე პორფიროგენეტი, გეორგიკა IV₂ ს. ყაუხჩიშვილის გამ., თბ., 1952, გვ. 278—279.

ძეგლები უპირატესად ბიზანტიური სტილისა არიან, VIII—X სს. ხელოვნებაში უკვე ქართული სტილი ჭარბობს[164].

* * *

აფხაზთა სამეფოს საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში თავიდანვე მწვავედ იდგა ქართლის საკითხი. ჯერ კიდევ VIII ს. 80-იან წლებში აფხაზთა მთავარი ლეონი არაბთაგან ლტოლვილი ქართლის ერისმთავრის ნერსეს მოკავშირე ჩანს და შეიკედლებს ნერსესა და მის ოჯახს. აფხაზთა სამეფოს ჩარევა შიდა ქართლის საქმეებში უკვე IX საუკუნიდან სრულიად რეალურ სახეს იღებს.

შიდა ქართლთან ერთად აფხაზთა მეფეები ჰერეთის დაპყრობასაც ცდილობენ.

კახეთის მთავარი კვირიკე აფხაზთა მეფე კონსტანტინეს ჰერეთს იწვევს[165]. აფხაზთა მეფე კონსტანტინე ჰერეთში ხელთ იგდებს არიშსა და გავაზს[166].

ნიშანდობლივია, რომ აფხაზთა მეფე, რომელიც იბრძვის შიდა ქართლზე გამავალი გზისთვის, იბრძვის დარიალის გზისათვის, ამავე დროს ცდილობს ხელი დასდოს ბარდავიდან საქართველოსაკენ მიმავალი გზის იმ მონაკვეთს, რომელიც ალაზნის აყოლებით გავაზზე გადის.

აფხაზთა მეფეები თავის ექსპანსიას სამხრეთის მიმართულებითაც ავრცელებენ. როგორც კუმურდოს 964 წ. წარწერა გვაუწყებს, X ს. შუა წლებში ჯავახეთზე აფხაზთა მეფის ლეონის (957—967) ხელისუფლება ვრცელდება[167], რომელსაც აქ თავისი მოხელე ჰყავს ერისთავი ზვიადი, როგორც ვარაუდობენ, გვარად მარუშიანი[168].

აფხაზეთს ჩრდილო აღმოსავლეთით ალანთა ქვეყანა ესაზღვრებოდა. სადღეისოდ ცნობილია ის გარემოება, რომ იმდროინდელი ალანების სამფლობელო დასავლეთით მოიცავდა დღევანდელი ჩერქეზეთის ტერიტორიას ზელენჩუკის რაიონის ჩათვლით.

[164] მოსაზრების გაზიარებისათვის დასავლეთ საქართველოს სამშენებლო ხელოვნების ძეგლების შესახებ დიდ მადლობას მოვახსენებთ დოც. ლ. რჩეულიშვილს.

[165] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I, გვ. 264.

[166] იქვე.

[167] ა. ბაქრაძე, ქართული ეპიგრაფიკა როგორც ისტორიული წყარო (საკანდიდატო დისერტაცია), 1954, გვ. 48.

[168] ვ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. თბ., 1959, გვ. 13—14.

ალანები, ისევე როგორც აფხაზები, თავის დროზე ბიზანტიელთა ვასალები იყვნენ, მაგრამ, როგორც ცნობილია, ბიზანტიელებმა აფხაზეთში მალე დაკარგეს ხელისუფლება, ალანებში კი ის შედარებით დიდხანს შეინარჩუნეს. ცნობილია, რომ აფხაზებმა დამოუკიდებლობა ბიზანტიელთაგან VIII ს. ბოლოს მოიპოვეს, მაგრამ ბრძოლა დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის ბევრად უფრო ადრეა დაწყებული. ნიშანდობლივია, რომ გამდგარი აფხაზეთის წინააღმდეგ ბიზანტიელები ალანების დახმარებას და მოკავშირეობას იყენებენ (თეოფანე ჟამთააღმწერლის ცნობები VIII ს. დასაწყისში ლეონ ისავრიელის ლაშქრობის შესახებ)[169]. ჩრდილოეთიდან ალანების შემოტევასთან უნდა იყოს დაკავშირებული მდინარეების ბზიფის და კოდორის ხეობებში ციხეთა ნანგრევების არსებობა. 8 კმ ბზიფის ხიდიდან, რიცის გზაზე, ამართულია კოშკი, რომელსაც გარშემო კედელი აქვს შემოვლებული. ვარაუდობენ, რომ ეს არის ციხე, რომელიც კეტავს ჩრდილო კავკასიიდან აფხაზეთში შემოსასვლელ გზას. ასეთივე დანიშნულებისაა ციხე კოდორის ხეობაში. ეს ციხეები VIII ს. უნდა იყოს აგებული; ისტორიული ვითარებაც არქიტექტურული ანალიზის შედეგად მიღებულ მოსაზრებას უჭერს მხარს [170]. სწორედ VIII ს. სჭირია აფხაზეთს ჩრდილოეთიდან შემავალი გზების გამაგრება, იმ დროს, როდესაც ბიზანტია ჯერ კიდევ აწარმოებს ალანების მეშვეობით აფხაზებზე შეტევას, ხოლო IX—X სს., როდესაც არსებობს ძლიერი აფხაზთა სამეფო, ის თითონ უტევს ჩრდილოეთს.

წყაროების სიმცირის გამო ჩვენ ვერაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ როდის იცვლება მდგომარეობა, ე. ი. როდის გადაიქცევა აფხაზეთი შემტევ მხარედ, მაგრამ, რასაკვირველია, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს აფხაზთა სამეფოს გაძლიერების ხანას ემთხვევა. ამ მხრივ ნიშანდობლივია ქართლის მატიანეს ერთი ცნობა, „მოვიდეს გურგენ და ადარნასე, ძე დავითისი; უშუელეს სომეხთა, შეიბნეს მტკუარსა ზედა; იძლივნეს აფხაზნი, მოკლეს ნასრა და ბაყათარ, მთავარი ოვსი, და ერისთავი აფხაზთა“ [171]. მატიანეს ამ

---

[169] გეორგიკა, IV$_2$, 1941, გვ. 106—107.

[170] როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღნიშნული მოსაზრება დოც. ლ. რჩეულიშვილს ეკუთვნის, და გაზიარებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებთ.

[171] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 261.

ცნობაში ლაპარაკია სომეხ-აფხაზთა ბრძოლაზე ქართლისათვის IX ს. 80-იან წლებში (ნასრა 888 წ. მოკლეს). ოვსი მთავრის მოხსენიება აფხაზთა მხარეზე პირველ რიგში მიუთითებს იმას, რომ აფხაზებმა ოვსები გაიმოკავშირეს. ე. ი. განვლილია ის ეტაპი, როდესაც ბიზანტია იყენებდა ოვსებს აფხაზების წინააღმდეგ. ეხლა აფხაზები იყენებენ ოვსებს თავისი მიზნებისათვის. მაგრამ ხომ არ ვვაძლევს ეს ადგილი უფლებას, რომ ოსები აფხაზთა მხოლოდ მოკავშირეებად კი არა, ქვეშევრდომებად ჩავთვალოთ. მემატიანე განსხვავებულად მოიხსენიებს მებრძოლი მხარეების (სომეხ-აფხაზთა) მოკავშირეებს და ქვეშევრდომებს. „მოვიდა გურგენ და ადარნასე, ძე დავითისი; უშუელეს სომეხთა“[172]. გურგენი და ადარნასე სომეხთა მოკავშირეები არიან. ნასრა, ბაყათარ ოვსი მთავარი და აფხაზთა ერისთავი კი სხვა კონტექსტში არიან მოხსენებულნი: „იძლინეს აფხაზნი, მოკლეს ნასრა და ბაყათარი, მთავარი ოვსი, და ერისთავი აფხაზთა“. აქ ბაყათარ ოვსი მთავარი აფხაზთა ერისთავის გვერდით და მის მსგავსადაა მოხსენებული. აფხაზთა ერისთავი აფხაზთა მეფის ქვეშევრდომია (მოხელეა?), ნასრ გურამის ძე, აფხაზთა მეფის მიერ გამოყვანილია ბიზანტიიდან და მისი შეწევნითაა გამოსული ბრძოლის ველზე. ეს გვაძლევს ჩვენ უფლებას დავსვათ საკითხი ოსთა ქვეშევრდომობის შესახებ.

აფხაზ-ალანთა ურთიერთობისათვის უაღრესად საინტერესოა ალანებში ქრისტიანობის გავრცელების საკითხი.

როგორ ჩანს, ალანთა დასამორჩილებლად აფხაზებს მათში ქრისტიანობა შეაქვთ.

ეჭვი არაა, რომ ქრისტიანობა ალანებში აფხაზებს შეაქვთ გიორგი აფხაზთა მეფის დროს. და რომ ბიზანტია აქ ამ საქმის მფარველისა და ხელისშემწყობის როლში გამოდის ეს კარგად ჩანს კონსტანტინეპოლის პატრიარქის ნიკოლოზ მისტიკოსის წერილებიდან, როგორც აფხაზთა მეფე გიორგისადმი, ისე ალანთა არქიეპისკოპოს პეტრესადმი[173].

---

[172] იქვე.

[173] Ю. Кулаковский, Христианство у Алан, В. Вр. т. V, стр. 3; ს ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე. შრ. 1, გვ. 246—247.

ამავე დროს ამის უდავო მოწმობად გამოგვადგება, ერთი მხრით, ქართული ქრისტიანული ტერმინოლოგია დასავლეთ კავკასიის მთიანეთში (მაგ., ჯვარი—ოსებში ჩერქეზებში, ყაბარდოელებში, ქისტებში და სხვა)[174], მეორე მხრით, აფხაზთა სამეფოდან ალანებში გადასასვლელებზე ქრისტიანული ტაძრები. როგორც აკად. ს. ჯანაშია წერს: „აღნიშნული პროცესის (ქრისტიანობის აქედან გავრცელების) ნივთიერი ნაკვალევია სპეციალურ ლიტერატურაში აღწერილი ფაქტი, რომ მდ. ყუბანის სათავეებში, კერძოდ, მდ. ტებერდას ხეობაში, დღემდე შენახულია ქართული ხუროთმოძღვრების საყურადღებო ძეგლები. ეს ძეგლები მისდევს სწორედ იმ აფხაზეთ-ოსეთის გზას,—რომლის შესახებაც ზემოთაც იყო საუბარი,—და ამ გზის არსებობის უტყუარ საბუთსაც წარმოადგენს"[175]. სადღეისოდ ჩვენი ხელოვნებისმცოდნეების მიერ ბევრად უფრო მეტი ძეგლებია დადასტურებული სწორედ IX—X სს. და, რაც მთავარია, ყველა ეს ძეგლი ხეობების დასაწყისშია. როგორც ჩანს, მაინცდამაინც ღრმად შეჭრა გაძნელდა (ან შესაძლებელია ეს მდგომარეობა გამოწვეული იყო უფრო იქითა ძეგლების შეუსწავლელობით). უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი ხელოვნებათმცოდნეების დასკვნები იმ მხრივ, რომ ისინი ამ ძეგლებს სტილისტური თვალსაზრისით სწორედ IX, X სს. ქართულ ძეგლებს უკავშირებენ.

ჩანს, აფხაზთა მეფეებს, ჩრდილოეთში გაბატონებისათვის, სომხეთის გაძლიერებულ სამეფოსთანაც უხდებათ ბრძოლა.

ჩრდილოეთის გამო ბრძოლა განსაკუთრებით მწვავდება აფხაზთა მეფის კონსტანტინეს და სომეხთა მეფის სუმბატ ბაგრატუნის დროს.

ამ დროს, აფხაზ-სომეხთა აშლის ერთ-ერთი მიზეზი, ქართლთან ერთად, ალანთა კარის მახლობლად მდებარე ტერიტორიაც იყო[176]. აქაც ისევ გზების საკითხი დგება მწვავედ. IX ს. დასასრულიდან ამ ბრძოლაში სომეხი მეფე-მთავრებიც ერევიან და ცდილობენ ალანთა კარის ახლო მდებარე ქვეყნის ხელში ჩაგდებას. ჩვენ არ გვაქვს პირდაპირი ცნობა იმის შესახებ, თუ ვის დარჩა გამარჯვება, მაგრამ

---

[174] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე. გვ. 251—252.

[175] იქვე, გვ. 248.

[176] ი ო ა ნ ე დ რ ა ს ხ ა ნ ა კ ე რ ტ ე ლ ი, ცნობები საქართველოს შესახებ. თარგმანი ი. აბულაძის, თბ., 1937, გვ. 32—33.

საფიქრებელია, რომ ის აფხაზთა მეფეებს დარჩათ. სომხეთის მეფე იძულებულია ქართლი უფლისციხითურთ კონსტანტინეს დაუთმოს[177]. ასეთ ვითარებაში ის აღბათ ჩრდილოეთ კავკასიას უნდა შეშვებოდა.

მართალია საბოლოოდ ალანთა შემომტკიცება აფხაზთა მეფეებმა ვერ შესძლეს, ამას თვით აფხაზეთში მომხდარი ამბები გამორიცხავენ, მაგრამ მაინც ნიშანდობლივია IX-X სს. აფხაზთა სამეფოს სიძლიერის ხანაში, აფხაზთა დამოკიდებულება ალანებისადმი. როგორც ჩანს, აფხაზთა სამეფოში ეყრება საფუძველი იმ ფართე გეგმებს, რომლებიც საქართველოს გაერთიანებისა და ძლიერი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნის შემდეგ, სისრულეში მოყავთ გაერთიანებული საქართველოს მეფეებს.

ტაო-კლარჯეთის სამთავრო

IX ს. დასაწყისში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მიმდინარეობს ტაო-კლარჯეთის სამთავროს ორგანიზაცია და ჩამოყალიბება. ამ სამთავროს ჩამოყალიბებას საფუძველი ჩაუყარა ქართლის ერისმთავარმა აშოტ ბაგრატიონმა.

VIII ს. დასასრულსა და IX ს. დასაწყისში აშოტ ბაგრატიონი არაბების სამსახურში იმყოფებოდა ჭართლში[178].

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, აშოტ ქართლის ერისმთავრისა და არაბების ხელისუფლება ქართლში აშკარად დაუპირისპირდა ერთმანეთს და IX ს. დასაწყისში აშოტი დიდი ამალით სამხრეთის სამფლობელოში გადავიდა. აშოტი არტანუჯს დამკვიდრდა და აქედან დაიწყო ახალი სამთავროს ორგანიზაცია. აშოტ ბაგრატიონი თავის საქმიანობას ძალიან ენერგიულად იწყებს.

სამხრეთ-დასავლეთი საქართველო აშოტ ბაგრატიონის აქ დამკვიდრების დროისთვის, ქართული წყაროების ცნობით, არაბთა შემოსევების შედეგად, საკმაოდ დაზარალებული იყო. „ხოლო კევი შავშეთისა,—წერს სუმბატ დავითის ძე,—უშენებელი იყო მაშინ გარეშე მცირედთა სოფელთასა, რამეთუ ჟამთა სპარსთა უფლებისასა აოჭრ-

---

[177]. მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, I გვ. 262.

[178] თ. ლომოური, სუმბატ დავითის ძისა და გიორგი მერჩულის ცნობები მე-IX—X სს. ქართველ ბაგრატიონთა შესახებ. „არილი", თბ., 1925, გვ. 48—49; ქ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, თბ., 1935, გვ. 109.

და. ოდეს იგი ყრუმან ბაღდადელმან შემუსრნა ციხენი ყოველნი და მოვლო შავშეთიცა და ღადონი, და კუალად შემდგომად მისსა სრვა მან სატლობისამან მოაოჯრა შავშეთი, კლარჯეთი და მცირედღა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ“ [179]. ნიშანდობლივია, რომ სუმბატის ამ ცნობას თითქმის მთლიანად უჭერს მხარს გიორგი მერჩულე. მერჩულე წერს „რამეთუ მას ჟამსა (ხანძთის ეკლესიის მშენებლობის დაწყებისას) სხუა მონასტერი არა შჱნ იყო მათ ქუეყანათა თჳნიერ ოპიზისა. და არცა მსოფლიონი ერის-კაცნი ახლვიდეს ახლად შჱნებისათჳს მათ ქუეყანათასა. რამეთუ კლარჯეთს და ტაოთა შინა და შავშეთს და ყოველთა მათ მახლობელთა ქუეყანათა მცირენი იპოვებოდეს დაშენებული ტყეთა შინა ადგილ-ადგილ“ [180].

არაბთა შემოსევებმა და მფლობელობამ მძიმე შედეგები მოიტანა მთელი საქართველოსათვის და განსაკუთრებით მისი ცენტრალური რაიონებისთვის, საკმაოდ დაზარალდა არაბთა ლაშქრობებისა და დარბევების შედეგად სამხრეთ-დასავლეთი საქართველოც. როგორც აღნიშნულია, გარკვეულ დროს საქართველოს ამ კუთხეზე სრულიად რეალურად ვრცელდებოდა არაბთა ხელისუფლება. ასე რომ ქართული წყაროების ერთმხრივი მოწმობა, არაბთა შემოსევების შედეგად აქ მოსახლეობის შემცირებისა და ქალაქთა და სოფელთა მოშლის შესახებ, მთლად საფუძველს მოკლებული არ ჩანს [181]. მაგრამ ამავე დროს გასათვალისწინებელია ამ წყაროთა გარკვეული ტენდენციურობაც. სუმბატ დავითის ძე, ბაგრატიონთა გვარის მემატიანე, აშოტ ბაგრატიონის დამსახურების უკეთ წარმოჩენის მიზნით, აზვიადებს იმ მხარეთა გავერანების აღწერილობას, სადაც შემდეგ იშლება აშოტის მოღვაწეობა. ასევე გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეების მოღვაწეობის განდიდების მიზნით, ქმნის ისეთ ჩათაბეჭდილებას, რომ თითქოს სამონასტრო კოლონიზაციის დაწყების დროისთვის ეს მხარე მთლიანად გაპარტახებული იყო. როგორც აღვნიშნეთ, ორივე ავტორის მსჯელობას გარკვეული რეალური საფუძველი აქვს, მაგრამ იმავე ავტორების თხზულებები-

---

[179] სუმბატ დავითის-ძე ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა. ე. თაყაიშვილის გამ. გვ. 61-62.

[180] გ ი ო რ გ ი მ ე რ ჩ უ ლ ე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ნ. მარის გამ., გვ. ია.

[181] იხ. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, გვ. 45—46.

დანვე ჩანს, რომ ცარიელ ადგილზე აქ არც სამინისტრო კოლონიზაცია დაწყებულა და არც აშოტ ბაგრატიონის საქმიანობა. სუმბატის სიტყვებით რომ ვთქვათ, აქ „მცირედღა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ“ და იმ „დაშთომილთა მათ მკჳდრთა შავშეთისა შეიწყნარეს იგი (აშოტ ბაგრატიონი—მ. ლ.“)[182], ხოლო გიორგი მერჩულეს თანახმად „კლარჯეთს და ტაოთა შინა და შავშეთს და ყოველთა მათ მახლობელთა ქუეყანათა მცირედნი იპოვებოდეს დაშენებული ტყეთა შინა ადგილ-ადგილ“ [183]. ასე რომ ეს „მცირედი“ მოსახლეობა მაინც არსებობდა, რომელიც ქმნიდა საფუძველს აქ ცხოვრების აღორძინებისათვის.

ქართლიდან ტაო-კლარჯეთში მოსახლეობის იმიგრაციის ერთ-ერთი ტალღა VIII ს. II ნახევრიდანაა საგულვებელი, იმ დროიდან, როდესაც აბასიანთა ხელისუფლების დამყარებასა და თბილისის საამიროს, როგორც პოლიტიკური ერთეულის, შექმნას არაბთა ხელისუფლების შედარებითი დამძიმება მოყვა შედეგად. უშუალოდ არაბთა უღელქვეშ მოქცეული ქართლის ცენტრალური რაიონებიდან მოსახლეობა გარბის და თავს აფარებს არაბებისაგან შედარებით უფრო მოშორებულ რაიონებში. წყაროებში ეს პროცესი ნაკლებადაა ასახული, მაგრამ სავარაუდებელია. სუმბატ დავითის ძის თხზულებაში დადასტურებულია აშოტის გადასვლა. ქართული წყარო აშოტ ბაგრატიონის გადასვლას არაბთა გაძლიერებას უკავშირებს. „და მაშინ განძლიერდა კელმწიფე სჳრიანთა — წერს მემატიანე — და იწყეს ძიება აშოტ კურატპალატისა, და ვერ უძლო წინააღდგომად მათდა აშოტ, და ივლტოდა მათგან“[184]. ასე ალბად მრავალი სხვაც ივლტოდა არაბთაგან (მაგ. VIII ს. II ნახ. ადარნასე ბაგრატიონი).

ის დიდი სამონასტრო კოლონიზაცია, რომელიც გაიშალა ტაო-კლარჯეთის სამთავროს ტერიტორიაზე საერო ხელისუფლების მხარდაჭერითა და მატერიალური შეწევნით ხორციელდება. ეკლესია-მონასტრების მშენებლობის ინიციატივა და ხელმძღვანელობა სასულიერო პირებისაა, ხოლო მატერიალური დახმარება-შეწევნა, როგორც წესი, საერო ხელისუფლებისაა. მაგალითად, ზარზმის შენების დროს, როგორც მემატიანე წერს: „ღმრთისმსახურმან გიორგი

---

182 სუმბატ დავითისძე, გვ. 62.

183 მერჩულე, გვ. ია.

184 სუმბატ დავითის-ძე, ბაგრატიონთა ცხოვრება, გვ. 61.

(ჩორჩანელმა.—მ. ლ.) მისცნა ყოველნი საკმარნი: ჯორები და კარაულები და რაიოდენი უკმდა სიმრავლესა ძმათასა[185]. ხანძთის შენების დროს, გრიგოლ ხანძთელს მატერიალურ დახმარებას უწევს გაბრიელ დაფანჩული. „გაბრიელ დიდებულმან აზნაურმან ფრიადითა კეთილითა წარმოგზავნა მამა გრიგოლ და მოსცნა კირით ხურონი და ნივთი ყოველი ქვითკირისა ეკლესიისა საშჳნებელად“[186]. შატბერდის შენების დროს გრიგოლ ხანძთელს ბაგრატ კურაპალატი შეეწევა: „მაშინ სიხარულით უბრძანა ბაგრატ კურაპალატმან შჳნება მისი და მისცა ყოველივე საკმარი საშენებელად“[187]. ხანძთის ახალი ეკლესიის მშენებლობა აშოტ კუხის (ერისთავთ-ერისთავი, გარდ. 918 წ.) შეწევნით ხორციელდება. „არამედ შემდგომად გურგენ კურაპალატისა ძემან მისმან აშოტ ერისთავთ ერისთავმან ხანძთას ახალი ეკლესია დაიწყო წადიერად და ურიცხჳ შესაწირავი გარდაჰმატა მას“[188].

ამგვარად, ეკლესია-მონასტრების მშენებლობის საქმეში იდეური ხელმძღვანელობა, თაოსნობა და განხორციელება ბერ-მონაზნებისაა, ხოლო მატერიალური შეწევნა—საერო ფეოდალების. ეს გარემოება იმდროინდელ მოღვაწეებსაც კარგად ესმოდათ. დიდებული აზნაური გაბრიელ დაფანჩული გრიგოლ ხანძთელს ეუბნება: „აწ ჩუენ თანა არს ხორციელი კეთილი და თქუენ თანა არს სულიერი კეთილი. და ესე შევზავნეთ ურთიერთას: თქუენ მონაწილე გუყვენით წმინდათა ლოცვათა თქუენთა ცხოვრებასა ამას და შემდგომად სიკუდილისა და ძუალნი ჩუენნი ყვენით დასხმად წმიდათა თანა ძუალთა თქუენთა. და ლოცვა ჩუენ თჳს უკუნისამდე განაწესეთ მონასტერსა და ჩუენ აღგითქუამთ ცხორებასა ჩუენსა და ცხოვრებასა შვილთა ჩუენთასა“[189]. ე. ი. ჩვენ შეგეწევით მატერიალურად მონასტრის მშენებლობაში, და თქვენ იზრუნეთ ჩვენი სულის საცხონებელად.

როგორც ცნობილია, ტაო-კლარჯეთის სამთავროში სასულიერო ხელისუფლება დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და დიდ ძალას წარმოადგენს ქვეყნის ცხოვრებაში. სასულიერო ხელისუფლება ცდილობს კიდეც უპირატესობის მოპოვებას საეროზე. ყოველ შემ-

---

185 ბასილ ზარზმელი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, გვ. 167.

186 მ ე რ ჩ უ ლ ე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. იდ.

187 იქვე, გვ. კთ.

188 იქვე, გვ. ლგ.

189 იქვე, გვ. იდ.

თხვევაში საერო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობის მისწრაფებას სასულიერო ხელისუფლება აშკარად ავლენს.

IX-X სს. ტაო-კლარჯეთის სამთავროში მიმდინარე საეკლესიო-სამონასტრო მოძრაობა ისეთ ვითარებაში, როდესაც ქართლის ცენტრალური რაიონები არაბთა მფლობელობაშია მოქცეული, დიდ მნიშვნელობას იღებს არა მარტო ტაო-კლარჯეთის სამთავროს, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით.

ეკლესია დიდ ძალად იქცევა. ის საერთოდ ქვეყნის მმართველობის ხელში ჩაგდებას ლამობს. ჭიდილი საეკლესიო და საერო-სამოქალაქო ხელისუფლებას შორის, საბოლოოდ უკანასკნელის გამარჯვებით მთავრდება.

* * *

როგორც აღვნიშნეთ, აშოტ კურაპალატი ენერგიულად იწყებს თავის საქმიანობას. თავდაპირველად, როგორც ქართლის ერისმთავარი ის საქართველოს ცენტრალურ რაიონებზე ავრცელებს თავის ხელისუფლებას და ცდილობს არაბთაგან დამოუკიდებლობის მოპოვებას. როგორც აღნიშნულიც გვქონდა, ქართლის ერისმთავრის ამირასთან დაპირისპირება უნდა ყოფილიყო ერთი მიზეზთაგანი ამ ინსტიტუტის გაუქმებისა არაბთა მიერ. პ. ინგოროყვას ვარაუდით, აშოტ ბაგრატიონი ამ თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში დიდ ბრძოლებს აწარმოებს არაბთა წინააღმდეგ. მას „უცქეროდნენ, როგორც ერთგვარ საერთო ხელმძღვანელსა და მეთაურს ქრისტიან ხალხთა ანტიარაბული ფრონტისა კავკასიაში“[190]. მაგრამ აშოტი დამარცხდა არაბებთან ბრძოლაში და განშორდა ქართლს. „და დაემკვიდრა მუნ, (არტანუჯს,—მ. ლ.) და მისცა ღმერთმან გამარჯვება, და აკელმწიფა იგი შავშეთ-კლარჯეთსა:.. ზედა... და მისცა ღმერთმან და განამტკიცა კელმწიფება მისი ნებითა ბერძენთა მეფისათა“[191]. ამგვარად, აშოტი გაემართა „საბერძნეთად“ და შავშეთ-კლარჯეთში დამკვიდრებულმა, კელმწიფობის იურიდიული დადასტურება მიიღო „ნებითა ბერძენთა მეფისათა“.

---

[190] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 42.

[191] სუმბატ დავითისძე, ცხოვრება..., გვ. 61—62.

იურიდიული დასტური რეალურ ხელისუფლებას მაინც არ ნიშნავს. რეალური ხელისუფლების მოპოვებისათვის აშოტი თვით იღწვის [192].

აქ დამკვიდრებისათვის აშოტს არაბებთანაც უხდება ბრძოლა. იქნებ არაბებს შავშეთ-კლარჯეთზე რეალურად ხელი აღარ მიუწვდებათ, მაგრამ ისინი საქართველოს ამ კუთხეს მაინც არ ელევიან და ყოველთვის ცდილობენ მის შემომტკიცებას. ქართლიდან ლტოლვილ აშოტს არაბები დაეწევიან და ებრძვიან.

თავდაპირველად აშოტი შავშეთსა და კლარჯეთში მკვიდრდება. იქმნის რეზიდენციას არტანუჯში „და პოვა კლარჯეთს ტყეთა შინა კლდე ერთი, რომელი პირველ გორგასალს ვახტანგს ციხეთ აღეშენა, სახელად არტანუჯი, და აოკრებულ იყო ბაღდადელისა მის ყრუობითგან. იგი განაახლა აშოტ და აღაშენა ეგრეთვე ციხედ, და წინა კერძო მისსა, ჭუეშეთ, აღაშენა ქალაქი და აღაშენა ციხესა მას შინა ეკლესია მოციქულთა პეტრესი და პავლესი, და შექმნა მას შინა საფლავი თჳსი, და დაემკჳდრა ციხესა მას შინა ცხოვრებად“ [193].

ე. ი. აშოტ ბაგრატიონი ანახლებს არტანუჯს, ციხეს და ქალაქს, იქმნის საჯდომს, სასაფლაოს, კარის ეკლესიას.

როგორც ჩანს, აშოტი აქედან განავრცობს თავის ხელისუფლებას მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს იმ პოზიციებზე, რომელნიც შემდეგ ტაო-კლარჯეთის სამთავროს შემადგენლობაში შევიდნენ. აშოტი აფართოვებს სამთავროს საზღვრებს [194].

აშოტი, როგორც ჩანს, მთელი სამთავროს ერთადერთი უზენაესი სუვერენული ხელისუფალი იყო. მისი სიკვდილის შემდეგ, სამთავროს ხელისუფლება თანდათან ნაწილდება მის მემკვიდრეებს შორის და შეიქმნება ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლის ორი მმართველი შტო: ტაოსი და კლარჯეთისა. ტაოს შტოც, თავის მხრივ, ორ შტოდ იყოფა [195]. ტაოს შტოში მკვიდრდება 888 წლიდან (ადარნასე

---

192 სუმბატ დავითის-ძე, ცხოვრება., გვ. 62.

193 იქვე, გვ. 62.

194 იქვე; მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 253.

195 ბაგრატიონთა გენეალოგიის საკითხებზე იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II. გენეალოგიური ტაბულა; ე. თაყაიშვილი, სუმბატ დავითის-ძის ქრონიკა... (გენეალოგიური ტაბულა).

II) „ქართველთა მეფობა“[196]. ადარნასე II შემდეგ „ქართველთა მეფობა“ მის შვილზე, დავით II, გადადის (923—937), 937—945 წწ. მეფობა მის ძმას, ბაგრატსა აქვს, რომლისგანაც ეს პატივი მისი ძმის, სუმბატის, შვილზე ბაგრატზე გადადის, და ამ ბაგრატის შტოში დამკვიდრდება საბოლოოდ „ქართველთა მეფობა“ (ბაგრატ III). ამავე ტაოს შტოს განაყოფია ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი და დავით ერისთავთ-ერისთავი, რომელსაც ტაოს მეფესაც უწოდებენ.

„ქართველთა მეფეებში“ პირველად ბაგრატ III მამის გურგენის ტიტულატურაში ჩნდება „მეფეთ-მეფე“, რაც, სუმბატის თქმით, მისი შვილის, ბაგრატის მეფობითაა გაპირობებული („ესე ბაგრატ მეფე იქმნა აფხაზეთს და ამისთჳს გურგენს მეფეთ მეფობა ეწოდა“)[197].

როგორც აღვნიშნეთ, აშოტ კურაპალატი მთელი სამთავროს ხელისუფალია. დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა უნდა ჰქონდეს ბაგრატ კურაპალატსაც (აშოტის შუათანა შვილს). ნიშანდობლივია, რომ ბაგრატი ერთნაირად მონაწილეობს როგორც შატბერდის მშენებლობაში (კლარჯეთი), ისე იშხანის მშენებლობაში (ტაო). ის ფაქტი, რომ ბაგრატი შატბერდის მაშენებელია, იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ კლარჯეთის შტო ჯერ საბოლოოდ არაა გამოყოფილი, თუმცა საამისო მიკერძოებანი უკვე აშოტის მეორე თაობაში იწყება. გვარამმა (აშოტის უმცროსმა ძემ) დაიპყრო „ჯავახეთი, ტაშირი, აბოცი და არტანი“. ამავე დროს ჩანს, რომ სამფლობელოების საზღვრები ჯერ კიდევ არ იყო დაზუსტებული. IX ს. 80-იან წლებში თრიალეთს ჩამოსახლებულმა ლიპარიტ ბაღვაშმა თავის პატრონად დავით I კურაპალატი გამოაცხადა (ბაგრატ I ვაჟი)—დავითმა მიიღო მისი ყმობა. ე. ი. დავითი თვლიდა, რომ თრიალეთი მის სამფლობელოს შეადგენდა, ხოლო გუარამ მამფალი და მისი ვაჟი — თრიალეთს თავის მამულად თვლიდნენ. ამ ნიადაგზე, როგორც ცნობილია, ამ ერთი სახლის ორი შტოს წარმომადგენლებს შორის სისხლისმღვრელი ბრძოლა გაიმართა. როგორც ვხედავთ, უკვე მეორე თაობაში მიმდინარეობს დაძაბული ბრძოლა სამფლობელოთა გამიჯვნისათვის. ამ ნიადაგზევე უნდა მომხდარიყო აშოტის უფროსი ვაჟის ადარნასეს შვილის, გურგენის დამკვიდრება შავშეთსა და არტანს „ხოლო გურ-

---

[196] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 111; ე. თაყაიშვილით „ქართველთა მეფობა“ 899 წ. აღსდგა. იხ. სუმბატის „ქრონიკა“, გვ. 83.

[197] ს უ მ ბ ა ტ ი..., გვ. 68.

გენ კურაპალატი წარმოვიდა ტაოთ-კალმახით, მამულით თჳსით, ცხოვრებად შავშეთს და არტანს“ [198]. ეს “წამოსვლა“, ჩანს, მიწის-მფლობელობის საკითხთან იყო დაკავშირებული, რადგან ის მარტივად არ დამთავრდა. გურგენი და ადარნასე ქართველთა მეფე აიშალნენ. ადარნასე ქართველთა მეფეს მიემხრო გურგენის ძმის, სუმბატ მამფალის, არტანუჯელის, შვილი ბაგრატ I მამფალი. ეტყობა აქ, ამ გამოყოფილ შტოში, არტანუჯელებისათივს (სახლის უფროსობისათვის) იყო ჭიშპი. „და ამისა შემდგომად შეიმტერნენ ურთიერთას და შეკრიბეს ლაშქარი ერთმანეთსა ზედა, ერთ კერძ გურგენ კურატპალატმან და ერთა მისთა, მეორე კერძ ადარნასე, ქართველთა მეფემან, და ბაგრატ არტანუჯელმან. მოვიდეს ესენი კევსა არტანისასა, სოფელსა მგლინავს და ბრძოდეს ერთმანეთსა“ [199]. გურგენი დამარცხდა „და მეოტ იქმნა გურგენ კურაპალატი. (წყლეს და შეიპყრეს, და მოკუდა) წყლულებითა მისთა (გურგენ კურაპალატი). ძე ადარნასესი ძისი აშოტ დიდისა, ჭორნიკონსა რია (111, ე. ი. 891 წ).“ [200]. ხოლო არტანუჯელობა ამიერიდან ბაგრატის ძმის, დავითის სახლმა დაიმკვიდრა. (სუმბატ III, ბაგრატ II, სუმბატ IV—1011 წ. შოკვდა თმოგვის ციხეში).

როგორც ჩანს, აშოტ კურაპალატის მეორე-მესამე თაობაში მიმდინარეობს ბრძოლა ტაო-კლარჯეთის სამთავროს ფარგლებში ორ ძირითად სამთავრო სახლს შორის საზღვრების დადგენისათვის. მესამე თაობის შემდეგ კი — ამ ორი ძირითადი შტოს სამფლობელოს საზღვრები მეტნაკლებად დადგენილია [201].

---

198 ს უ მ ბ ა ტ ი, ცხოვრება..., გვ. 65.

199 იქვე.

200 იქვე.

201 პ. ი ნ გ ო რ ო უ ა ს აზრით, ამ პოლიტიკური ერთეულისათვის ტაო-კლარჯეთის სამთავროს წოდება არ არის სწორი, მას „ქართველთა სამეფო“ უნდა ეწოდებოდეს. მართალია, ამ სამთავროს მფლობელებმა მიიღეს „ქართველთა მეფის“ ტიტული, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ სახელწოდება „ტაო-კლარჯეთის“ სამთავრო ამ პოლიტიკური ერთეულის შინაარსს გადმოსცემს. ეს სამთავრო სწორედ ორი, ფაქტიურად ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამთავროსაგან შედგებოდა — რომელთაგან ერთის ცენტრი კლარჯეთი იყო, მეორესი — ტაო. ტაოს სახლი აცხადებდა პრეტენზიებს მთელის მთავრობაზე, მაგრამ უშედეგოდ. სწორედ ამიტომ დასჭირდა ბაგრატ III კლარჯი ხელმწიფეების ამოწყვეტა. ამავე დროს ნომინალურად „ქართველთ. კურაპალატის“, ხოლო შემდეგ „ქართველთა მეფის“ ტიტულის მქონე მთავრები მთელი „საკურაპალატოს“ თუ „სამე-

ქართველთა მეფობას ტაოს შტო დაიმკვიდრებს, კლარჯეთის შტო—არტანუჯელ-კლარჯელობას.

ქ. არტანუჯი არტანუჯელი-კლარჯი ხელმწიფეების რეზიდენცია», ქართველთა მეფეების—ბანა უნდა იყოს[202]. ბანაში მშენებლობას ეწევა ადარნასე ბაგრატიონი (პირველი „ქართველთა მეფე"). სუმბატი წერს: „ადარნასე, ძე დავით კურაპალატისა, დასუეს ქართველთა მეფედ, (ნაცვლად) მის მოკლულისა, და ამან ადარნასე, ძემან დავით მოკლულისამან, აღაშენა ბანა ქელითა კვრიკე ბანელისათა, რომელი იგი იქმნა პირველ ებისკოპოზ ბანელ"[203]. ხოლო ბაგრატ IV ბიზანტიიდან სამშობლოში რომ ბრუნდება, მემატიანე წერს: „და მოიწია ბაგრატ ტაოს და შემოვიდა თჳსა მამულსა ბანას"[204].

შესაბამისად მფლობელობისა ბაგრატიონთა მშენებლობაც მათ მიერ დამკვიდრებულ სამფლობელოებში მიმდინარეობს. ტაოს ბაგრატიონები აშენებენ ძირითადად ტაოში (ბანა, ოშკი, ხახული, პარხალი, ოთხთა ეკლესია), კლარჯი-არტანუჯელები კი, კლარჯეთში, სამცხეში, შავშეთში.

აქ ისმის საკითხი შესახებ იმისა, თუ რა მიმართებაში იყო, უფლებრივი თვალსაზრისით ეს ორი შტო ერთმანეთთან და რომელი მათგანი იყო უფროსი? როგორც ჩანს, ფორმალურად უფროსობა ტაოს შტოში იყო, მეფობაც მათ დაიმკვიდრეს. ფორმალურად კლარჯეთის სახლი ემორჩილებოდა ტაოს სახლს, მაგრამ ფაქტიურად, ის დამოუკიდებლობით სარგებლობდა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის საკითხებში[205].

ტაო-კლარჯეთის სამთავროს ორგანიზაცია მიწების შემომტკიცების პარალელურად და თანადროულად ეკლესია-მონასტრების მშენებლობაში და, რაც მთავარია, საეპისკოპოსო კათედრების დაარსებაში გამოიხატება.

ფოს" უზენაეს ხელისუფლებად ითვლებოდნენ, ამდენად იქნებ არ იყოს მთლად უსაფუძვლო ამ პოლიტიკური ერთეულისათვის „ქართველთა საკურაპალატოს" ან „ქართველთა სამეფოს" წოდება.

[202] პ. ი ო ს ე ლ ი ა ნ ი, გიორგი მერჩულე, გვ. 54.

[203] ს უ მ ბ ა ტ ი, გვ. 65.

[204] იქვე, გვ. 71.

[205] საქართველოს ისტორია, I, 1946, გვ 191.

აშოტ კურაპალატი დაემკვიდრა რა კლარჯეთში, შეიქმნა საჯდომად არტარუჯი, განაახლა-გაამაგრა და ააშენა ქარის ეკლესია[206].

აშოტ კურაპალატის დროსვე იწყება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დიდი საეკლესიო მშენებლობა. მის დროს შენდება ხანძთა[207]. აშენებენ ახალ ეკლესია-მონასტრებს, ანახლებენ ძველიდანკე არსებულს. აშოტის მემკვიდრეების დროს და მათი შეწევნით შენდება შატბერდი[208], ოპიზა. გუარამ მამფალი ოპიზის მეორედ მაშენებელია[209]. ოპიზა ერთ-ერთი იმ ძველ ცენტრთაგანი იყო, რომელიც გადაურჩა ძნელბედობის ხანას და ტაო-კლარჯეთის სამთავროს ორგანიზაციის დრომდე მოიტანა თავი. როდესაც ხანძთას აშენებდნენ, ოპიზელებმა გაუწიეს მშენებლებს დახმარება. „არამედ ოპიზელთა მამათა მოსცეს ყოველი რომელი იპოვა ჴელთა მათთა. და თანაშემწენ ექმნნეს ყოველთა საჭმრითა და ჯორცთა საღუაწითა. რამეთუ მას ჟამსა სხუა მონასტერი არა შჱნ იყო მათ ქუეყანათა თჳნიერ ოპიზისა“[210]. ბაგრატ კურაპალატის დროს შენდება ზარზმის ეკლესია[211].

სამთავროში ძველი საეპისკოპოსო ცენტრები არსებობდა და დასაწყისში, სანამ სამთავრო სახლი ერთი იყო, ახალი საეპისკოპოსო ცენტრების დაარსების საკითხი, ეტყობა, მწვავედ არ იდგა.

მაგრამ უკვე პირველივე ბაგრატიონების დროს არსდება იშხნის კათედრა. სახელდობრ, ბაგრატ კურაპალატის დროს ხდება VII ს. ნერსეს კათალიკოსის მიერ აშენებული და შემდეგ დაქცეული კათედრის აღდგენა. კათედრას აღადგენს საბა — შემდეგ იშხანის პირველი ეპისკოპოსი[212].

---

[206] სუმბატი, გვ. 62.

[207] გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება ნ. მარის გამოცემა, გვ. ია.

[208] იქვე, გვ. კ—კვ.

[209] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 260.

[210] გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. ია.

[211] ა. ქეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, გვ. 114.

[212] გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. ვ.

იშხანის კათედრის რეალური დამაარსებელი ბაგრატ კურაპალატია[213]. იშხანი, საეპისკოპოსო კათედრა ტაოში, დაარსებული აშოტ კურაპალატის შუათანა შვილის ბაგრატის მიერ, გადაიქცევა ტაოს ბაგრატიონთა ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენად. ისინი მას შემდეგ სულ აშენებენ და ამკობენ,

ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასალმა დაარსა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში რამდენიმე საეპისკოპოსო. „ვახტანგ... დასუა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს ეკლესიასა ახიზისასა; ერთი არტანს ერუშეთს: ერთი, ჯავახეთს წუდნას“[214]. ახიზის, არტანის და წუნდის ეკლესიები ამ დროს აღარ ჩანს, ეტყობა მოშლილია, მაგრამ ერუშეთის საეპისკოპოსო კათედრა შემორჩენილი, ბაგრატიონთა ხანაში მოქმედი ჩანს. გუარამ მამფალი რომ ჯავახეთის საეკლესიო კრებას იწვევს, ერუშნელი ეპისკოპოსი ესწრება მას—„მაშინ ერუშნელმან ეპისკოპოსმან მის ჟამისამან ჰრქუა ყოველთა[215]. ასევე ძველი ჩანს აწყურის კათედრაც. გრიგოლ ხანძთელის დროს აწყურის კათედრა არსებობს. „რამუთუ დიდი ეფრემ უწინარჱს მრავლით წლით არსენისსა იქმნა ეპისკოპოს აწყურისა საყდარსა სამცხეს“[216]. ასევე ძველი ჩანს კუმურდოს საყდარი ჯავახეთში. ვახუშტი წერს: „ამ წუნას ზეით, ხრამის თავს, მინდორზედ, სამკრით კერძით არს კუმურდოს ეკლესია, გუნბათიანი, ფრიად დიდშენი, შვენიერად ნაშენი, რომელი აღაშენეს კოსტანტინეს მოგზავნილთა ჟამსა (მირიანისასა). იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი სრულიად ჯავახეთისა, ხერთვის ზეითისა[217].

ძველია ანჩის საეპისკოპოსო კათედრაც. გიორგი მერჩულე წერს: „არამედ ვინაჲთგან აღაშჱნეს კლარჯეთისა დიდებულნი უდაბნონი. მღდელნი და დიაკონნი მათნი ანჩელთა ეპისკოპოსთაგან იკურთხევიან. და აგრეთვე ოდეს ეპისკოპოსთა იკურთხევიან. უკეთუ სწორად ყოველთა მათ უდაბნოთა წამება არა აქუნ და წიგნი ყოველთა ჴშმარიტი საწამებელი. კათალიკოსმან საეპისკოპოსოსა მის ჴელთა-დასხმა ეპისკოპოსად არა ინების. არცა სათნო არნ სამართლითა საბჭოთა: დაღაცათუ ფრიად ურიცხუნი ჟამნი ჰქმნიან საჴ-

---

213 გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. ღ.

214 ჯ უ ა ნ შ ე რ ი. ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 198.

215 გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. მე.

216 იქვე.

217 ვ ა ხ უ შ ტ ი, გეოგრაფია, გვ. 130, შდრ. ა. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, არეშის სტელა. სსსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. V, № 7, 1941, გვ. 751.

დარსა მას ანჩისასას უწინარეს-აღშენებისანი და ეპისკოპოსნიცა მრავალნი კეთილად სასწაულითა-მოქმედნი ყოფილ-არიან“ [218]. ასევე ძველია (ვახტანგ გორგასლის მემკვიდრის დროიდან) წყაროსთავის ეკლესია ჯავახეთში. „ამან აღაშენა ჯავახეთს ეკლესია წყაროსთავისა“[219]. არ ჩანს მხოლოდ როდიდანაა ის საეპისკოპოსო კათედრა. ვახუშტი მას საეპისკოპოსო კათედრად თვლის: „ამ. წყალზედ (ფოსოს წყალი) არს, ტბის მჭვრეტი, წყაროს-თავს, ეკლესია ფრიად დიდ-შვენიერი, გუნბათიანი, რომელი აღაშენა მირდატ გორგასლის ძემან. იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი მტკვრის აღმოსავლეთისა არტანითურთ, ვიდრე ყარსის მთადმდე და ხავეთამდე“[220].

ნიშანდობლივია, რომ მიუხედავად საკმაო რაოდენობა საეპისკოპოსოების არსებობისა (სამცხეში—აწყურის, ჯავახეთში—კუმურდოს, წყაროსთავის, ერუშეთის; ტაოში — იშხნის, კლარჯეთში — ანჩის) საგვარეულოს გაყოფისთანავე ორივე მხარე თავის პროვინციებში, ერთმანეთის საპირისპიროდ, საეპისკოპოსო კათედრებს აარსებს.

ადარნასე ქართველთა მეფემ IX ს. ბოლოსა და X ს. დასაწყისში ტაოში, ტაოს ბაგრატიონთა ძირითად სამფლობელოში, დააარსა ახალი საეპისკოპოსო, იშხანის გვერდით, ბანაში.

დაახლოებით იმ ხანებში, როდესაც ადარნასე (888—923) ბანას კათედრას აარსებს, ტაოს ბაგრატიონთა საპირისპიროდ, არტანუჯელი—კლარჯი მფლობელები შავშეთში აარსებენ ახალ საეპისკოპოსო კათედრას—ტბეთისას. „აშოტ ერისთავთა ერისმთავმან, ძემან, გურგენ კურატპალატისამან, რომელსაც ეწოდა კუხი, აღაშენა ტბეთი შავშეთს და განასრულა იგი ყოველითა განგებითა, და დასუა პირველად ეპისკოპოსად სანატრელი სტეფანე უწყებითა სულისა წმიდისათა“ [221]

ამგვარად, IX ს. დასასრულიდან უკვე სრულიად აშკარად არსებობს ორი სამთავრო, ტაოსი—ცენტრით ბანაში და კლარჯეთის — ცენტრით არტანუჯში. უფროსობა ტაოს შტოსა აქვს და ნომინალურად ტაოს სახლი ითვლება უფროსად, ფაქტიურად კლარჯეთის შტო სრული დამოუკიდებლობით სარგებლობს.

---

[218] გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. ე.

[219] ჯ უ ა ნ შ ე რ ი, ქცა, 1, გვ. 205.

[220] ვ ა ხ უ შ ტ ი. გეოგრაფია, გვ. 129—130.

[221] ს უ მ ბ ა ტ ი, გვ. 66.

ძნელია თქმა, თუ რეალურად რაში გამოიხატება ამ ორ სახლს შორის უფროს-უმცროსობა. ფორმალურად კი ასეთი ვითარებაა: უმაღლესი ბიზანტიური საკარისკაცო ტიტული — კურაპალატობა, ტაოს შტოში მკვიდრდება, ასევე ტაოს შტოში მკვიდრდება „ქართველთა მეფობაც“.

ორივე სამთავრო სახლი თავის სრულიად დამოუკიდებელი პოლიტიკას აწარმოებს [222]. ასეთი დაქსაქსვა სამთავრო სახლისა დიდად უშლის ხელს და აფერხებს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საბოლოო გაერთიანებას. იმ დროს, როდესაც აფხაზთა სამეფო ერთი, მეტნაკლებად კომპაქტური პოლიტიკური სხეულია, ასევე კახეთის სამთავრო, ამავე დროს ტაო-კლარჯეთის სამთავროს პოლიტიკური გაერთიანება შეყოვნებულია, რაც არის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ტაო-კლარჯეთის სამთავრო იძულებულია ჰეგემონობა აფხაზეთს დაუთმოს.

ტაო-კლარჯეთის სამთავრო უძლიერესი ქართულ პოლიტიკურ ერთეულთა შორის აშოტ ბაგრატიონის დროს იყო. შემდეგ ის თანდათან სუსტდება და მხოლოდ დავით დიდის დროს ახერხებს ისევ ინიციატივის ხელში ჩაგდებას. როგორც აღვნიშნეთ, გაყოფა-გათიშვის ტენდენცია ტაოს სახლშიც იჩენს თავს. ადარნასე, ქართველთა მეფის შვილებში „ქართველთა მეფობა“ ძმიდან ძმაზე გადადის. დავით II-ის (923—937) შემდეგ მეფეა მისი ძმა ბაგრატი (937—945). X ს. შუიდან „კურაპალატობა“ და „მეფობაც“ იყოფა და, როგორც ჩანს, ამ ორ ტიტულს ისევ ბაგრატ III აერთიანებს. მეფისა და კურაპალატის გარდა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებში დამოწმებულია მამფლის, ერისთავის, ერისთავთ-ერისთავის ტიტულები.

კურაპალატობას ბიზანტიის კარი აძლევს პირველივე მთავარს, აშოტ ბაგრატიონს. აშოტ ბაგრატიონის დამკვიდრება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, არაბებთან ბრძოლისა და უთანხმოების პირობებში, უაღრესად ხელსაყრელი გარემოება იყო ბიზანტიისათვის. ასევე ხელსაყრელი იყო აშოტ ბაგრატიონისათვის ბიზანტიის მფარველობა. ბიზანტია შეიწყალებს აშოტს და მას, როგორც შეწყალებულს, აძლევს კურაპალატის ტიტულს.

---

[222] ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, ბიზანტია—საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. თბილისის უნივერსიტეტის შრომები. ტ. 61, 1956, გვ. 114.

როგორც აღნიშნულია ქართულ ისტორიოგრაფიაში, აშოტის კურაპალატობა სამთავროს ბიზანტიაზე დამოკიდებულად არ ხდის. ეს ურთიერთობა ორივე მხარის ინტერესებიდან გამომდინარეობს. კურაპალატობა, როგორც აღნიშნულია, აშოტის შუათანა შვილის შტოში მკვიდრდება[223].

საკითხი შესახებ იმისა, თუ რომელი ბაგრატიონი მთავარი იყო კურაპალატი და რომელი არა, უფრო მარტივად წყდება შედარებით იმასთან, თუ რომელი მათგანი იყო მეფე და რომელი არა.

ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების „მეფობით“ მოხსენებაში ქართულ და ბიზანტიურ წყაროებში ერთი პრინციპი არ არის დაცული, უკეთ რომ ვთქვათ, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს არაა დაცული, ხოლო სინამდვილეში წყაროები გარკვეულ პრინციპს მაინც იცავენ.

გიორგი მერჩულე ხშირად ხმარობს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა მიმართ გამოთქმას „მეფე“. მაგ., როდესაც გრიგოლ ხანძთელმა აშოტ I კურაპალატის სიკვდილის ამბავი შეიტყო, „გლოით იტყოდა: „მეფეო ჩემო ძლიერო..“ ან საბა იშხნელი ეუბნება ბაგრატ კურაპალატს: „დიდებულო მეფეო შენ ქუეყანისა კელმწიფე ხარ“[224]. ან კიდევ—„ღმერთის მსახური მეფე აშოტ კურაპალატი“[225].

სუმბატ დავითის ძე აშოტ კურაპალატს მხოლოდ კელმწიფობით იხსენიებს (ან უფალი). ბაგრატიონების მიმართ ხმარობს სულ ბიზანტიურ ტიტულებს ან მამფალს. „მეფე“ მხოლოდ ადარნასეა და შემდეგ მისი მემკვიდრეები ატარებენ ამ ტიტულს. ამ საკითხში სუმბატი ძალიან ფრთხილია.

„მატიანე ქართლისა“ აშოტს კურაპალატს უწოდებს, ხოლო დავით დიდს—ტაოს მეფეს.

კ. პორფიროგენტი იბერიის (ე. ი. ტაო-კლარჯეთის) მთავარს კურაპალატს უწოდებს. როგორც ვხედავთ, წყაროების დიდი ნაწილი ადარნასე ქართველთა მეფემდე ბაგრატიონ მთავრებს „მეფობით“ არ იხსენიებს.

---

[223] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 108—109, ჰ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 56.

[224] გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. ღ.

[225] იქვე, გვ. იე.

„მეფედ" ბაგრატიონი მთავრები მხოლოდ ზოგიერთ ქაროულ წყაროებში იხსენიებიან.

ჩვენ ხელთ რომ გვქონდეს ამ მეფეთა ოფიციალური საბუთები, იქ აღბათ დაცული იქნებოდა მათი ტიტულატურა. პ. ინგოროყვა ძირითადად გიორგი მერჩულეს და აგრეთვე საკმაოდ საეჭვოდ გაშიფრულ ოპიზის წარწერაზე დაყრდნობით, თვლის რომ „მეფობა" („ქართველთა მეფობა") ბაგრატიონთა სახლში უკვე აშოტ I დიდის დროიდანვე იყო აღდგენილი[226]. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მხოლოდ „ხანძთელის ცხოვრებაში" აშოტის „მეფობით" მოხსენიება არ მიგვაჩნია ასეთი დასკვნისათვის მყარ საფუძვლად. აქ ჩვენ უფრო მეტ ანგარიშს ვუწევთ სუმბატის თხზულებას, რომელიც სპეციალურად ბაგრატიონთა ჩამომავლობის, მათი მფლობელობისა და ტიტულების საკითხისადმია მიძღვნილი. ამ თხზულებით კი „მეფობა" მხოლოდ 888 წლიდან ჩანს აღდგენილი. საინტერესო ფაქტია, რომ გურგენი (ბაგრატ III მამა) უკვე მეფეთა-მეფის ტიტულს ატარებს. როგორც სუმბატ დავითისძე მიუთითებს[227], გურგენის „მეფეთ-მეფობა" მისი შვილის ბაგრატის (ბაგრატ III) გამეფებითაა გამოწვეული.

ამავე ბაგრატიონ მთავრებში არსებობს „მამფალის" ტიტული.

„მამფალის" ტიტულს თავდაპირველად აშოტის უმცროსი ვაჟი გვარამი ატარებს, ხოლო შემდეგ ის მკვიდრდება არტანუჯელ-კლარჯელ ხელმწიფეთა შორის. შესაძლებელია „მამფალი", როგორც ადგილობრივი ტიტული, უპირისპირდება „კურაპალატს", როგორც ბიზანტიურს.

თუ წარმოვიდგენთ ტაო-კლარჯეთის სამთავროს ორგანიზაციას, ის ასეთ სახეს ატარებს: სამთავროს სათავეში დგას „კურაპალატი" ან „ქართველთა მეფე", ესაა „დიდი მთავარი" (ტაოს ბაგრატიონები). არტანუჯელ-კლარჯი ხელმწიფეები ამ „დიდი მთავრის" ქვეშევრდომებად ითვლებიან. ტაოს შტოში შექმნილი განშტოებაც „მეფის" ქვეშევრდომი უნდა იყოს. ესაა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფორმალური ვითარება. ამ „დიდი მთავრის", „მეფის", „კურაპალატის" ხელისუფლება, როგორც დანარჩენ ბაგრატიონ მთავრების სიუზერენისა, სრულიად ნომინალურია.

---

[226] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 56—58.

[227] სუმბატი, გვ. 68.

საერო ხელისუფლების შესაბამისია საეკლესიო იერარქიაც. ყოველ სამთავროში ცალკე საეპისკოპოსო კათედრებია და ისინი მცხეთის ტახტს უნდა ექვემდებარებოდნენ. IX—X სს. მანძილზე ქართველი ბაგრატიონები იურიდიულად ბიზანტიის ვასალები არიან.

* * *

ადრისდელი ფეოდალიზმის ხანის ქართულ ფეოდალურ სამთავროთა შორის ტაო-კლარჯეთის სამთავრო ერთერთი მდიდარი და ეკონომიურად დაწინაურებული მხარეა.

ტაო-კლარჯეთის სამთავრო რამოდენიმე პროვინციისაგან შედგებოდა: სამცხე, ჯავახეთი, არტაანი, კოლა, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, ბასიანი, სპერი, თორთომი.

ტაო-კლარჯეთის სამთავროს ეკონომიურ სიძლიერეს დიდად უწყობდა ხელს ამ სამთავროს მდიდარი და მრავალფეროვანი ბუნება. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შესაფერისი პირობები იყო მარცვლეული კულტურებისათვის, მებაღეობა-მევენახეობისათვის, სუბტროპიკული კულტურებისათვის, მეცხოველეობის, მეაბრეშუმეობისათვის, მეფუტკრეობისათვის, მეთევზეობა-მონადირეობისათვის.

ტაო-კლარჯეთის სამთავროში სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგი მიწათმოქმედება იყო.

პურეული კულტურის ფართო გავრცელებაზე იმდროინდელ წყაროებში პირდაპირი მითითება არ გვაქვს, მაგრამ როგორც ცნობილია, მესხეთი ფეოდალური საქართველოს პურეულის ერთერთი ძირითადი ბაზა იყო. ახასიათებს რა ხანძთას, და ჩამოთვლის მის ღირსებებს, გიორგი მერჩულე ამბობს: „ხოლო სათესავი ყანაჲ და სათიბელი ქვედანაჲ რაჲთ-ურთით არა არს. არცა იქმნების ღირ-ღლოვანთა მათ ფიცხელთა მწუერვალთა მათ ღადოთაჲსა“ [228]. ავტორი ხაზს უსვამს რომ კლდოვანი გარემოს გამო ხანძთაში სათესი ყანა და სათიბელი ქვეყანა არ არის. ე. ი. ჩვეულებრივ მას ასეთი ეგულება. პურეულის კულტურის გავრცელებას უკავშირდება აგრეთვე სამცხეში წისქვილების არსებობა [229].

---

[228] გ ი ო რ გ ი მ ე რ ჩ ულ ე, „ცხოვრება გიორგი ხანძთელისა“, ნ. მარის გამოცემა., გვ. იხ.

[229] იხ. ბ ა ს ი ლ ზ ა რ ზ მ ე ლ ი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება. კ. კეკელიძის გამოცემა. თბ. 1935, გვ. 159 ს. ბედუკაძე. წყლით საბრუნავი წისქვილები არაგვის ხეობაში. თბ., 1960, გვ. 019.

ფართოდაა გავრცელებული ტაო-კლარჯეთის სამთავროში მევენახეობა-მეღვინეობა. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან კარგად ჩანს ვენახების სიმრავლე. გრიგოლ ხანძთელმა „უბრძანა დიდსა ზენონს“—ძმაო შთავიდეთ ვენახად. რომელ არს გზასა თანა ოპიზისასა“. რამეთუ ჟამი იყო სთულისა, და შთავიდეს ორნივე ზოგად ვენაჯსა მას შჱნებულსა მისსა კეთილად-ნაყოფიერსა“[230]. ვენახები აქვს ანჩის მეურნეობას. „კუალად ორნი საშინელნი ვეშაპნი გამოჩნდეს ანჩისა ვენაჯსა და მევენაჯენი იქლტოდეს“[231].

მეღვინეობის არსებობაზე მიუთითებენ ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე დიდი რაოდენობით არსებული საწნახელებისა და მარნების ნაშთები[232].

განვითარებულია მებოსტნეობა. როგორც მონასტრების მეურნეობის აღწერილობიდან ჩანს, მონასტრებს ბაღ-ბოსტნები აქვთ[233].

ტაო-კლარჯეთის სამთავროში კარგი პირობებია მესაქონლეობის განვითარებისათვის; განსაკუთრებით აღსანიშნავია საზამთრო და საზაფხულო საძოვრების სიმრავლე და სიახლოვე. განვითარებული უნდა იყოს როგორც მსხვილფეხა, ასევე წვრილფეხა მესაქონლეობაც. როგორც ჩანს, გიორგი ჩორჩანელის, სამცხის დიდი მთავრის, მეურნეობაში მესაქონლეობას დიდი ადგილი ეკავა, რისი მაუწყებელიცაა ის ფაქტი, რომ გარდაცვლილმა გიორგი ჩორჩანელმა ანდერძით დატოვა „სიმრავლე საკედართა და მროწეულთა“[231].

სამხრეთ- დასავლეთ საქართველოს, კერძოდ ჯავახეთის საძოვ-

---

[230] გიორგი მერჩული, გვ. ოდ.

[231] იქვე, გვ. ე. (საინტერესოა ტერმინი „მევენაჯენი“, რაც სპეციალურად ვენახის დამმუშავებელთა არსებობაზე უნდა მიუთითებდეს).

[232] როგორც ნ. მარის დღიურიდან ჩანს, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე თითქმის ყველა ეკლესიასა და მონასტერთან არის მათი თანამედროვე მარნებისა და საწნახელების ნაშთები. (წყაროსთავში, ხანძთაში, შატბერდში, დაბაში, ჯმერკში და სხვ. იხ Н. Марр, Дневник поездки в Шавшетию Кларджетию. Тексты и разыскания ... стр. 123, 131, 153. 180, 181 და სხვ.).

[233] გრიგოლ ხანძთელი, უყვება რა აფხაზთა მეფე დემეტრეს კლარჯეთის უდაბნოთა შესახებ, ამბობს: „მცირედ ვენახნი ჴირით და ურვით დაუნერგვიან და აგრეცთვე ბტილები“ (გ. მერჩულე, გვ. კდ).

[234] ბასილ ზარზმელი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, გვ, 173.

რები მთელი საქართველოს მასშტაბით იყო ცნობილი და გამოყენებული[235].

ამ ხანებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ბევრი ხშირი და გაუვალი ტყეები იყო, რაც შესაძლებელს ქმნიდა ნადირობას. ნადირობას ფეოდალურ საქართველოში ორი დანიშნულება ჰქონდა: ერთი — გასართობი და სასპორტო (სამხედრო წვრთნა), მეორე — სამეურნეო. თუ გიორგი ჩორჩანელი გართობისა და სპორტის მიზნით ნადირობდა სამცხის ტყეებში, სათაკვის ტბაზე ნადირობას აუცილებლად სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თევზით მდიდარი მდინარეები ხელსაყრელ პირობებს ქმნიდნენ მეთევზეებისათვის.

სამთავროს მატერიალურ ნაშთებში წარმოდგენილია განვითარებული სარწყავი სისტემა[236].

გასათვალისწინებელია წყალსადენების ხშირი ქსელის არსებობა. წყაროებიდან წყალი გაყვანილია საცხოვრებელ ადგილებში და მონასტრებში[237].

სამთავროს ეკონომიურ დაწინაურებაზე მიუთითებს გზებისა და ხიდების ხშირი ქსელი.

მონასტრების მისასვლელებზე ყველგან ჩანდა ძველი გზების ნაშთები, მდინარეებზე—ქვის ძველი ხიდები და ხიდების ნანგრევები. ტაო-კლარჯეთის ცენტრები (როგორც საერო, ისე სასულიერო) ხანძთა, შატბერდი, ოპიზა, ანჭკორა, ოფისჭალა, გვერდა, ჯმერკი, დოლისყანა ფართო გზებით იყო დაკავშირებული ერთმანეთთან[238]. ძველი ქვის ხიდის ნაშთი ტაოშიცაა მდ. ხევეკზე, 30 კილომეტრზე პარხალიდან[239].

კეთილმოწყობილი გზები, ხიდები, ხელს უწყობდა სამთავროს ცალკეული რაიონების ერთმანეთთან დაახლოებას, რაც თავის მხრივ გამოწვეული იყო ცალკეულ რაიონებს შორის დაახლოების აუცილებლობით. საშინაო ვაჭრობასთან ერთად, განვითარებული

---

[235] იხ. წმ. ნინოს ცხოვრება, სადაც ლაპარაკია ჯავახეთში ქართლიდან მოსულ მწყემსებზე. ე. თაყაიშვილის გამ. გვ. 748.

[236] Н. Марр. Дневник поездки, გვ. 172—178.

[237] იქვე, გვ. 93.

[238] იქვე, გვ. 130—131, 137—138. 156—183.

[239] ე. თაყაიშვილი; Археологическая экспедиция в Южные провинции Грузии. Тбилиси, 1952, стр. 101.

იყო ფართო მასშტაბით საგარეო ვაჭრობაც. საგარეო ვაჭრობის ცენტრი ქ. არტუნჯი იყო. არტუნჯში იკრიბებოდა საქონელი როგორც სხვა ქართული სამეფო-სამთავროებიდან, ისე გარეშე ქვეყნებიდანაც [240].

საკმაოდ განვითარებულია საამშენებლო საქმე. წყაროებში აღწერილია, თუ როგორ მიმდინარეობდა ხანძთის, ზარზმის, იოვანჯ წმინდას და სხვა მონასტრების მშენებლობა.

საამშენებლო საქმის განვითარებაზე მიუთითებს დიდი რაოდენობით საამშენებლო დარგის სპეციალისტთა არსებობა. წყაროებში დადასტურებულია: ქვით-ხუროხნი, კირით-ხუროხნი, კალატოზნი და სხვა. „ხოლო გაბრიელ დიდებულმან აზნაურმან ფრიადითა კეთილითა წარმოგზავნა მამა გრიგოლ და მოსცნა კირით-ხუროხნი და ნივთი ყოველი ქვით-კირისა ეკლესიისა საშჳნებელად“[241]. ზარზმის ეკლესიის მშენებლობის დროს ხუროთმოძღვარი და კალატოზია მოხსენებული. ეკლესიის შენებისას „იყვნენ ხუროთმოძღვარ და ზედამდგომელ საქმისა მის გარბანელი და ორნი ძმანი“. აგრეთვე მიქელ წინამძღვარმა ზარზმის დიდი ეკლესიის შენების დროს „ჴელოვნებით განთქუმულსა კაცსა მოუწოდა მიქელ ქუეყნისაგან . ბერძენთაჲსა, ადგილისაგან ხუფათ წოდებულისა, ბრძანებითა უფთალთაჲთა, რომელსა თანაშეჳწედ აქუნდა გალატოზი სახელით შუარტჳლეი“ [242]. როგორც ვხედავთ, გალატოზნი, ხუროთმოძღვარნი და საამშენებლო საქმის სხვა ოსტატები მრავლად მოიპოვებიან სამთავროში. მარტო ერთი, ოშკის ტაძრის, მშენებლობაზე რამოდენიმე გალატოზი მუშაობდა [243].

საამშენებლო საქმესთან მჭიდროდაა დაკავშირებული ქვის მოჭრა. წყაროებში ქვის მოჭრის სპეციალისტების არსებობაცაა დადასტურებული. მაგალითად, ზარზმის ეკლესიის შენებისათვის ქვის შოვნა ჰირდა. „რამეთუ ქვანი მათ ადგილთანი ტყეთაგან დაფარულ,

---

[240] კ. პორფიროგენეტი, ს. ყაუხჩიშვილის თარგმანი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ (გეორგიკა, IV₂, თბილისი, 1952 გვ. 278—280).

[241] გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. იდ. საინტერესო ფაქტია, რომ გაბრიელ დაფანჩულს საამშენებლო საქმის თავისი ოსტატები ყავს.

[242] ბ. ზარზმელი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება. გვ. 179.

[243] ოშკის წარწერა, იხ. Е. Такайшвили. Археологическая экспедиция в южные провинции Грузии. გვ. 57.

იყვნეს, ვინაჲცა წყლისაგან რასმე ღონიერობდეს და უშუერსა რასმე ქვასა მუნით გამოიღებდეს“.

ტაო- კლარჯეთის სამთავროში საკმაო რაოდენობით ტრიალებს ფული. როგორც ცნობილია, საქართველო ფულის ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა. მაგრამ არაბთა მფლობელობის დამყარების შემდეგ (VIII ს. დასაწყისიდან) საქართველოში ადგილობრივი, ქართული ფული X საუკუნემდე არ მოჭრილა; ეს, რასაკვირველია, ფულადი მეურნეობის მოშლას არ ნიშნავს. VIII—X სს. მანძილზე აღმოსავლეთ საქართველოში უპირატესად არაბული მონეტა ტრიალებდა, დასავლეთ საქართველოში—ბიზანტიური. ეს უცხოური ფული, ამ დროს აქ, ადგილობრივი მონეტის როლში გამოდიოდა, რადგან ადგილობრივ დანიშნულებას ემსახურებოდა, ფართოდაა გავრცელებული საშინაო ბაზარსა და საშინაო საქმიანობაში მაგალითად, გლეხი სოფ. ძარღუადან მონასტერს წირავს 205 დრაჰკანს. ამ თანხით იწყებენ ახალი მონასტრის მშენებლობას[244].

ფული გამოყენებულია ოშკის ტაძრის მშენებლობაშიც, „ესე იყო გალატოზთა და მოქმედთა მიზდი და აზავერთა მექუიშეთა, რომელ წელიწადსა წარეგებს დრამა: 3 ათასი“ [245].

როგორც მოტანილი მაგალითებიდან ჩანს, აქ ეს ფული მშენებლობაზე მომუშავე მუშების გასტუმრებისათვისაა გამოყენებული.

ფული გამოყენებულია მიწის შესყიდვისათვისაც. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში დამკვიდრებულმა აშოტ ბაგრატიონმა „სოფლები ზოგი იყიდა საფასითა“ [246].

ფულადი მეურნეობის ფართო გავრცელებაზე მიუთითებს ხანძთის ახალი ეკლესიის შენების დროს საამშენებლო მასალის ყიდვა. „ხოლო ქვა და კირი ფრიად შორით მოაქუნდა ძნელთა მათ გზათა. კაცთა ზურგითა. და ყოველი სასწორით იწონებოდა. რამეთუ იყიდდეს მაშენებელნი იგი“ [247].

ტაო-კლარჯეთის სამთავროს ეკონომიურ სიძლიერეზე მიუთითებენ ის მრავალი ძეგლები, რომელთა მშენებლობა VIII—XI სს.

---

[244] ბ. ზარზმელი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება. 180.

[245] Е. Такайшвили, Археологическая экспедиция в южные провинции Грузии. стр. 57.

[246] სუმბატ დავითის ძე, ბაგრატიონთა ისტორია. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ნ, 27, გვ. 62.

[247] გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. გვ. ლგ.

მოდის. ვეხებით რა მშენებლობის საკითხს, წყაროთა სპეციფიურობის გამო, ძირითადად, მხოლოდ სამონასტრო მშენებლობაზე შეგვიძლია ლაპარაკი. ეს, რასაკვირველია, არ გამორიცხავს საერო ძეგლების მშენებლობას, რაზედაც მითითებებს, შედარებით უფრო მცირე რაოდენობით, ვიდრე სამონასტრო მშენებლობის შესახებ, მაგრამ მაინც ვპოვებთ წყაროებში. ამ მშენებლობის გრანდიოზულობის წარმოსადგენად ძეგლთა ჩამოთვლაც საკმარისია. სამცხეში IX ს. 60-იან წლებში აშენდა ზარზმის ეკლესია, X ს. დასაწყისში ზარზმის ე. წ. ახალი ეკლესია, VIII—IX სს. საფარა (ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია). ჯავახეთში IX ს. კუმურდო, წყაროსთავი, იოანეწმინდა. X საუკუნის დასაწყისში შავშეთში აშოტ ერისთავთერისთავმა ტბეთს ააშენა მონასტერი. ტაოში აშენდა ბანა (VII თუ X სს.), IX ს. იშხანი, ისი, ხახულის მცირე ეკლესია (დავით I კურაპალატის დროს) X ს. ოშკის მთავარი ტაძარი და ორი მცირე ეკლესია, ხახულის მთავარი ტაძარი (დავით დიდი კურაპალატის დროს) ოთხთა-ეკლესია, პარხალი, XI ს. დასაწყისში ეკეკი.

კლარჯეთში IX ს. ხანძთა, შატბერდი. არტანუჯის ციხის ხელახალი აშენება და გამაგრება აშოტ კურაპალატის დროს ხდება (IX ს.), სუმბატ I დოლისყანას აშენებს, ოპიზას—ჯერ აშოტი, ბოლო შემდეგ გუარამ მამფალი (IX ს.), X ს. აშოტ კუხი ხანძთაში ახალ ეკლესიას აშენებს და მრავალი სხვა.

სამთავროში მრავლადაა ტაძრები, სასახლეები, გზები, ხიდები, სარწყავი არხები. განვითარებულია მემინდვრეობა, მევენახეობა-მებაღეობა, მებოსტნეობა, მესაქონლეობა. ყოველივე ეს ქმნის დიდ დოვლათს.

სამთავროში განვითარებულია ხელოსნობა, განსაკუთრებით მრავლად გვხვდებიან საამშენებლო დარგის ხელოსნები, რაც დიდ საამშენებლო მუშაობას უნდა უკავშირდებოდეს.

ხელოსნები ყავდათ დიდ ფეოდალებს თავის კარზე, ალბათ თავის ყმათაგან. მაგალითად: გაბრიელ დაფანჩულმა გრიგოლ ხანძთელს ეკლესიის შენებაში დახმარება რომ გაუწია, გარდა საამშენებლო მასალისა „მოსცნა კირით-ხურონი“. ეს კირით-ხურონი, საამშენებლო საქმის სპეციალისტები, ეტყობა, გაბრიელ დაფანჩულის ყმები არიან და ეს დიდი ფეოდალი მათ იყენებს თავისი მოთხოვნილებისამებრ. გარდა ამისა, როდესაც დიდი მშენებლობა მიმდინარე-

ობს და ასეთი ხელოსნები ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნას, მაშინ ქირაობენ ხელოსნებს. მაგალითად. ოშკის ეკლესიის მშენებლობაზე მრავალი დაქირავებული ხელოსანი მუშაობდა. ოშკის წარწერაში ვკითხულობთ: „ესე იყო გალატოზთა და მოქმედთა მიზდი და აზავერთა მექუიშეთა, რომელ წელიწადსა წარეგების დრამა: ვ: ათასი. ღუნო ფასი (ე. თაყ. ფისოსი) ჯ: რკინაი ლიტრა: ნ: ხვარბალი, გრივი: ს: მ: ი: გალატოზი და სუროა და მჭედელი რომელი მარადის შვრებოდა: ი:“ [248].

ჩვენ ხელთ არსებული მასალები მეტყველებენ კულტურულ აღმავლობაზე ტაო-კლარჯეთის სამთავროში.

როგორც ცნობილია, ტაო-კლარჯეთის სამთავრო ადრინდელი ფეოდალიზმის ხანის ქართული კულტურის ერთ-ერთი მთავარი და უმძლავრესი კერა იყო. ტაო-კლარჯეთის სამთავროში მრავლადაა კულტურის და განათლების ცენტრები. შემორჩენილი წყაროების სპეციფიურობის გამო (და აგრეთვე ეპოქის ხასიათის გამოც) ჩვენ ვიცნობთ ეკლესია-მონასტრებთან არსებულ ასეთ ცენტრებს. როგორც ჩანს, ყველა დიდ მონასტერთან იყო სემინარია, სადაც ხდებოდა კულტურის მოღვაწეთა აღზრდა.

ე. თაყაიშვილი, იხილავს რა ტაო-კლარჯეთის სამონასტრო კომპლექსებს, სპეციალურად ჩერდება ვრცელ ნაგებობებზე, რომლებიც მანამდე სატრაპეზოდ ითვლებოდა, და აღნიშნავს, რომ ესენი წარმოადგენენ მონასტრებთან არსებულ სემინარიებს, სადაც ამზადებდნენ მომავალ საეკლესიო მოღვაწეებს. ასწავლიდნენ მათ კითხვას, წერას, კალიგრაფიას, საეკლესიო გალობას, საღვთომეტყველო საგნებს [249].

როგორც ე. თაყაიშვილის და ნ. მარის აღწერილობებიდან ჩანს, ასეთი სატრაპეზო-სემინარიები უნდა იყოს ტაო-კლარჯეთის თითქმის ყველა დიდ ეკლესიასა და მონასტერთან.

ტაო-კლარჯეთის კულტურულ ცენტრებშია შექმნილი ქართული საისტორიო და მხატვრული ლიტერატურის ისეთი მნიშვნელოვანი ძეგლები, როგორიცაა: ბასილი ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, სტეფანე მტბევარის „გობრონის მარტვილობა“ და სხვ.

---

[248] Е. Такайшвили, Археологическая экспедиция в южные провинции Грузии, стр. 57.

[249] იქვე. გვ. 55.

აღსანიშნავია ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის (დავით კურაპალატის ძმა) სამწერლობო მოღვაწეობა.

როგორც ცნობილია, ხახულის მონასტერი იმდროინდელ საქართველოში განათლებისა და კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კერა იყო საიდანაც მრავალი ცნობილი მოღვაწე გამოდიოდა მაგალითად, ხახულის სემინარიაში მიიღო თავდაპირველი განათლება ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ გიორგი მთაწმინდელმა და სხვებმა.

ტაო-კლარჯეთის კულტურულ ცენტრებშია გადაწერილი ქართული ოთხთავის უძველესი რედაქციები და სხვა ხელნაწერები. მაგ., ოშკის ბიბლია 978 წ.[250], „სამოთხე" 977 წ.[251], ოპიზის ოთხთავი 913 წ.[252]. შატბერდშია გადაწერილი 936 წ. ჯრუჭის სახარება, რომლის მინაწერი გვამცნობს: „ღირს ვიქმენ მე გრიგოლ დაწერად წმინდა ესე სახარება შატბედრს ქელითა გაბრიელ მღუდელთა ნარჩევისათა მეფისა ჩემისა სუმბატის სალოცველად"[253] და მრავალი სხვა.

ხელნაწერების გადაწერა, ბერძნულიდან თარგმნა, ორიგინალური თხზულებების შექმნა... ძალიან ინტენსიურად მიმდინარეობდა ტაო-კლარჯეთის სამთავროში.

* * *

ტაო-კლარჯეთის სამთავროს ისტორია აშოტის იქ დასახლების დროიდან იწყება.

აშოტ ბაგრატიონი საკუთრივ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შემომტკიცების შემდეგ იწყებს სამთავროს საზღვრების გაფართოებას შიდა ქართლის ხარჯზე. აშოტი აქტიურად ებმება იმ ბრძოლაში, რომელიც მიმდინარეობს ამიერ-კავკასიის მეფე-მთავართა შორის და რომელიც მიზნად ისახავს ამიერ-კავკასიაში პირველობის მოპოვებას. როგორც ცნობილია, ბრძოლის ერთ-ერთი ძირითადი უბანი შიდა ქართლია და სწორედ ამ შიდა ქართლს იპყრობს აშოტ ბაგრატიონი. „შემდგომად სიკუდილისა ადარნასესისა, განადიდა უფალმან მეფობა

---

[250] იხ. ა. შანიძის გამ., 1947.

[251] ა. ცაგარელი, Сведения о памятниках грузинской письменности I, СПБ, 1886.

[252] Н. Марр, Житие Григория Хандзтийского, Введение, стр. XXI Тексты и разыскания по арм. груз. филологии, кн. VII, 1911.

[253] ეს არის სუმბატ I მამფალი, არტანუჯელი ანთიპატოსი—პატრიკიოსი. იხ. ე. თაყაიშვილი, სუმბატ დავითის ძე, გვ. 46.

აშოტ კურაპალატისა, ხოლო ეუფლა ქართლს და საზღვართა მისთა“ [255]. შიდა ქართლისთვის ბრძოლაში აშოტ ბაგრატიონს კახეთის მოაფარი გრიგოლი ეცილება, მაგრამ აშოტი აფხაზთა მეფის დახმარებით სძლევს გრიგოლ კახეთის მთავარს. „მას ჟამსა გამოილაშქრა აშოტ კურაპალატმან და უშუელა თევდოს აფხაზთა მეფემან, ძემან მეორისა ლეონისამან, რომელი—იგი სიძე იყო აშოტ კურაპალატისა. მოვიდა გრიგოლ კახეთით, და გრიგოლ უშუელეს მთიულთა და წანართა და ამირამან ტფილელმან. და შეიბნეს ქსანსა ზედა აშოტ და გრიგოლ. გააქციეს გრიგოლ, მთავარი კახეთისა. და დაიპყრეს ქუეყანა, რომელი ჰქონდა ქართლისაგან, და დაიპყრა აშოტ კლარჯეთიოგან ვიდრე ქსნამდე“ [256].

აშოტის მონაპოვარი მისმა შვილებმა ვერ შეინარჩუნეს. არაბებმა მათ ქართლიც წაართვეს და ხარკიც დააკისრეს, „და შემდგომად აშოტის სიკუდილისა, მამისა, მათისა, რომელ გარეთ ქუეყანა ჰქონდა, წაუღეს სარკინოზთა, რამეთუ იყუნეს იგინი უსრულ ასაკითა.... და ვიდრე უსრულოლა იყუნეს იგინი ასაკითა იზრდებოდეს ციხესა შინა არტანუჯისასა, და იყურნეს ხარკის მიმცემელ სარკინოზთა ყოველნივე კეცხი შავშეთ-კლარჯეთ-ნიგალისანი“ [256].

როგორც ცნობილია, IX ს. უკვე ის ხანაა, როდესაც სახალიფოს ცენტრალურ ხელისუფლებას ბრძოლით უხდება თბილისის გამდგარი ამირების დამორჩილება. ადგილობრივი ქართველი მეფე-მთავრები, თავიანთი ინტერესების შესაბამისად, ამ ორი მებრძოლი მხარის გარშემო ჯგუფდებიან.

აშოტ ბაგრატიონის დროს ტაო-კლარჯეთის სამთავრო ქართლისათვის მებრძოლი ერთ-ერთი აქტიურ ძალაა, მაგრამ სამთავრო საჯლის დაყოფისა და დასუსტების შემდეგ, აშოტის მემკვიდრეები, ქართლისათვის ბრძოლაში, დამოუკიდებელ პოლიტიკას ვეღარ აწარმოებენ.

როგორც ცნობილია, ტაო-კლარჯეთის სამთავროს პარალელურად საქართველოში ამ დროს სხვა სამთავროებიც არსებობს: აფხაზთა სამეფო, კახეთის სამთავრო... აფხაზთა სამეფოცა და კახეთის სამთავროც ადრინდელი ფეოდალური ხანის პოლიტიკური ერთეულე-

---

[255] მატიანე, 252.

[256] მატიანე, 252—253.

[256] სუმბატი, 61.

ბია. მაგრამ, შედარებით ტაო-კლარჯეთის სამთავროსთან, ესენი ბევრად უფრო ცენტრალიზებულნი არიან. აფხაზთა მეფე ერთი უზენაესი ხელისუფალია, რომელსაც ქვეყანა საერისთაოებადა აქვს დაყოფილი, ეს ერისთავები მეფის მოხელეები არიან და მეტნაკლებად მას ექვემდებარებიან. ასევე, კახეთის მთავარსაც სამთავრო-საერისთაოებად აქვს დაყოფილი. კახეთის ერისთავებიც კახეთის მთავრის (შემდეგ მეფის) მოხელეები არიან. რასაკვირველია, ისევე როგორც ყველა ადრეფეოდალურ სამეფოში, აფხაზეთის და კახეთის სამეფოებშიც შინაგანი დეცენტრალიზაცია გამორიცხული არაა, განსაკუთრებით დეცენტრალისტური ტენდენციები, მაგრამ ძირითადად იქ ხელისუფლება ერთი პირის, მეფის, მთავრის, ხელშია გაერთიანებული.

რითია გამოწვეული ის გარემოება, რომ განვითარების ერთ საფეხურზე შექმნილი ეს ერთი ტიპის ქართული ადრეფეოდალური პოლიტიკური ერთეულები შინაგანი სტრუქტურით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან?

ეს შინაგანი სტრუქტურული განსხვავება ამ სამთავროთა ორგანიზაციის სხვადასხვა საშინაო და საგარეო პირობებითაა გაპირობებული. სახელდობრ:

აფხაზეთის სამთავროს ორგანიზაცია ბიზანტიის იმპერიასთან ბრძოლასა და მისგან დამოუკიდებლობის მოპოვების პირობებში მიმდინარეობდა. აფხაზთა მეფე აერთიანებს დასავლეთ საქართველოს ცალკეულ კუთხეებს, იმორჩილებს ადგილობრივ ფეოდალებს [257], და იპოვებს დამოუკიდებლობას ბიზანტიისაგან. ბიზანტიასთან და ადგილობრივ ფეოდალებთან ბრძოლაში ყალიბდება შედარებით ძლიერი, ერთპიროვნული, ხელისუფლება აფხაზთა მეფისა.

კახეთის სამთავროს ორგანიზაცია არაბების განდევნის პარალელურად მიმდინარეობს. წანარებისა და მათი მთავრის გარშემო ხდება კახეთის შინაგანი ძალების მობილიზაცია და დარაზმვა არაბების წინააღმდეგ. წანართა მთავრები არაბების განდევნასთან ერთად ახდენენ კახეთის ცალკეული კუთხეების შემომტკიცებას და სამთავროს ორგანიზაციას. ასეთ ვითარებაში კახეთშიც შედარებით ძლიერი, ერთპიროვნული, ხელისუფლება იქმნება კახთა მთავრებისა.

---

[257] აფხაზთა მეფის გაზრდილ ხელისუფლებას უნდა გამოეცხადა ლიპარიტ ბაღვაში არგვეთიდან თრიალეთში.

სხვა ვითარებაში მიმდინარეობს ტაო-კლარჯეთის სამთავროს ორგანიზაცია. აშოტ ბაგრატიონი არაბებთან კონფლიქტის შედეგად მკვიდრდება სამხრეთ საქართველოში. არაბები მას ებრძვიან. შავშეთ-კლარჯეთში მისი ადგილობრივი დასაყრდენი ძალა სუსტია. ის მოსული კაცია. მას მხარს უჭერს ბიზანტია[258] და ის ამალა, რომელიც თან მოჰყვა. მისი ამალა ალბათ არც თუ ისე დიდ სამხედრო რაზმს შეიძლება შეადგენდეს.

აშოტ ბაგრატიონი თავისი რაზმის დახმარებით ზოგ მიწებს იპყრობს, ზოგს ყიდულობს, ზოგს ოხერს გააშენებს, ყოველივე ამაში მას ბიზანტია უნდა უჭერდეს მხარს.

ასეთ ვითარებაში აშოტ ბაგრატიონი იძულებულია მეტი ანგარიში გაუწიოს ბიზანტიის იმპერიასაც და თავისი ამალის წევრებსაც. ის ალბათ იძულებულია თავისი ამალის წევრებს დიდი პრივილეგიები მისცეს. საფიქრებელია, რომ ისინიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მიწაზე სხდებიან და ადგილობრივ ფეოდალებად იქცევიან. ჩვენ ხელთ არსებული წყაროები ბევრს არაფერს ამბობენ, მაგრამ თვით აშოტის მკვლელობა აშკარად მეტყველებს იმ დიდ შინაგან წინააღმდეგობაზე, რომლის გადალახვაც უხდებოდა აშოტ ბაგრატიონს თავისი ხელისუფლების განმტკიცებისათვის. აშოტს სამი მცირეწლოვანი ვაჟი დარჩა. ამანაც გამოიწვია მთავრის ხელისუფლების დასუსტება. ძმები თითქოს ახერხებენ ურთიერთშორის საერთო ენის გამოძებნას. უფროსობას შუათანა ძმას, ბაგრატს უთმობენ, მაგრამ უფროსი და უმცროსი ძმა, მიუხედავად ამისა, არც თუ ისე უდებენ თავს გამორჩეულ ბაგრატს. ბაგრატი იძულებულია ანგარიში გაუწიოს ძმებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ შეიძლება წაართვან მას „დიდი მთავრობა". ამას ემატება ბიზანტიის პოლიტიკა, ბიზანტია ბაგრატს ანიჭებს კურაპალატობას, მაგრამ იგივე ბიზანტია უხვად ურიგებს საკარისკაცო ტიტულებს ბაგრატიონთა სახლის სხვა წარმომადგენლებს და ხელს უწყობს ძმების ჩამომავლობის ერთმანეთისადმი დაპირისპირებას.

ასე რომ, სახელმწიფოს მმართველობის ის პოლიტიკური ფორმა, რომელიც ტაო-კლარჯეთის სამთავროში შეიქმნა, სამთავრო სახ-

---

[258] ვ. კ ო პ ა ლ ი ა ნ ი, ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ 61, 1956, გვ. 109.

ლის თავისებური მდგომარეობითაა გაპირობებული. ეს პოლიტიკური ფორმა სახელმწიფოს მმართველობისა გარკვეულ დაღს ასვამს ტაო-კლარჯეთის სამთავროს მთელ ისტორიას.

ტაო-კლარჯეთის სამთავრო ამიერკავკასიის პოლიტიკურ ერთეულთა შორის უძლიერესი აშოტ კურაპალატის დროს იყო, როდესაც მთელი სამთავრო ერთ ხელისუფალს ემორჩილებოდა. მაშინაა აშოტი შიდა ქართლს რომ იპყრობს და საგრძნობლად აფართოებს თავისი სამფლობელოს ფარგლებს. აშოტის შემდეგ, როგორც ცნობილია, სამთავროს არაბები უტევენ. შემოერთებულ მხარეებს აშოტის მემკვიდრეები კარგავენ, ხოლო შემდეგ უკვე ისინი (აშოტის მემკვიდრეები) ცალცალკე მოქმედებენ და თავთავისთვის იღწვიან. აშოტის შემდეგ ტაო-კლარჯეთის სამთავრო საგარეო პოლიტიკის საკითხებში აღარ გამოდის როგორც მთლიანი ერთეული, ხოლო ამ სამთავროს ცალკეული წარჩომადგენლები (ბაგრატ კურაპალატი, გვარამ მამფალი) ვეღარ უწევენ ღირსეულ მეტოქეობას თავის მოწინააღმდეგეებს. ზოგად ქართულ პოლიტიკაში ტაო-კლარჯეთის სამთავრო ადგილს უთმობს, შედარებით უფრო ცენტრალიზებულ, აფხაზთა სამეფოს.

მდგომარეობა იცვლება X ს. II ნახევარში, დავით კურაპალატის დროს, როდესაც სუსტდება აფხაზთა სამეფო (დინასტიური ომები) და ისევ ტაო-კლარჯეთის სამეფო ძლიერდება.

დავით მეფის დროს ტაოს სამეფო დიდ სიძლიერეს აღწევს. მნიშვნელოვნად ფართოვდება სამეფოს საზღვრები[259], დავითი საკუთარ ქართულ ფულს ჭრის[260]. დავითის სახელმწიფო მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენს X ს. II ნახ. მახლობელ აღმოსავლეთში[261]. ერთიანობა არც ამ დროს არის აღდგენილი ტაო-კლარჯეთის სამეფოში. „X საუკუნის მეორე ნახევარში ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სამფლობელო ფაქტიურად სამად იყო გაყოფილი და თითოეულ მათგანს ბაგრატიონთა საგვარეულოს გარკვეული შტოს წარმომადგენელი მართავდა“[262]. მაგრამ, სავარაუდებელია,

---

[259] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 125—127. ვ. კოპალიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 110.

[260] Д. Капанадзе, Грузинская нумизматика, გვ. 55.

[261] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ.; ვ. კოპალიანი, დასახ. ნაშრ.

[262] ვ. კოპალიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 111.

რომ ასეთ ვითარებაშიც დავითის უზენაეს ხელისუფლებას, ფორმალურად მაინც, ცნობდნენ სხვა ბაგრატიონი მფლობელები.

დავითმა კარგად გამოიყენა თავისი სიძლიერე და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს გაერთიანების საქმეს.

თბილისის საამიროს

განვითარების თავისებური, სხვა, ქართული ფეოდალური სამთავროებისაგან განსხვავებული, გზა განვლო იმ ქართულმა პოლიტიკურმა ერთეულმა, რომელიც „თბილისის საამიროს“ სახელწოდებით არის ცნობილი.

თბილისის საამიროს, ამ ქართული ფეოდალური სამთავროს განვითარების გზა, მასში უმაღლესი მაჰმადიანური ხელისუფლებისა და მაჰმადიანური მოსახლეობის არსებობის პირობებში, საგრძნობლად განსხვავდებოდა დანარჩენი ქართული სამეფო-სამთავროების განვითარების გზისაგან.

პირველ რიგში უნდა აღვნიშნოთ, რომ თბილისში ამირას დანიშვნას მნიშვნელოვანი ცვლილებები მოყვა არაბთა მიერ დაპყრობილი ქართული ქვეყნის ცხოვრებაში. თვით ფაქტი თბილისში საკუთარი მოხელის დანიშვნისა უკვე არაბთა სიძლიერის მაუწყებელი იყო. აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან ქალაქებში არაბული სამხედრო ნაწილები, გარნიზონები ჩააყენეს. თბილისის ამირას კარზე, ადგილობრივი ფეოდალების წარმომადგენლის, ქართლის ერისმთავრის გარდა, მაჰმადიან მოხელეთა საკმაოდ დიდი შტატი იმყოფებოდა.

თბილისის ამირას კარზე, როგორც ჩანს, მრავალი მოხელე იმყოფებოდა, მათ შორის შურტა, რომელსაც ქალაქში წესრიგისა და საზოგადოებრივ უშიშროების პასუხისმგებლობა ეკისრა; მუჰთასიბი, რომლის მოვალეობას ქალაქის ბაზრის წესრიგი, ქუჩების კეთილმოწყობა, ვალების გადახდევინება და სხვა ფუნქციები შეადგენდა[263].

თბილისის საამიროს მრავალმხრივი მიწერ-მოწერა და საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა სახალიფოს ცენტრალურ ხელისუფლებასთან.

---

[263] მ. ლორთქიფანიძე, ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის. ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 145—150.

გარდა ამისა, ამირას კარზე რთული აპარატის არსებობა სპეციალურ საქმისმმართველობას მოითხოვდა, და საამისოდ ამირას კარზე სამდივანმწიგნობროც არსებობდა. ეს საკანცელარიო საქმე სპეციალური მოხელის, ამიდის, ფუნქციებში შედიოდა. მის მოვალეობას შეადგენდა სათანადო საბუთების შედგენა, მიწერ-მოწერა ხალიფასთან და სხვა [264].

ქართლში ამირას დანიშვნისა და სამხედრო გარნიზონების ჩაყენების შედეგად საქართველოს ქალაქებში, განსაკუთრებით თბილისში, მომრავლდა მაჰმადიანური მოსახლეობა. თბილისის მაჰმადიანურ მოსახლეობას, რომელიც ქალაქის გაბატონებულ არისტოკრატიას წარმოადგენდა ძირითადად, ამირას კარზე თავისი წარმომადგენელი ყავდა ქალაქის რეისის სახით [265]. თბილისში მაჰმადიანური სჯულისმეცნიერი, ყადიც იყო.

თბილისს არაბთა მფლობელობის პერიოდში არ დაუკარგავს დიდი სავაჭრო ქალაქის მნიშვნელობა და აქ იმდროინდელი მსოფლიოს მრავალი კუთხიდან იყრიდნენ თავს ვაჭრები. ქალაქში შემოსულ მრავალრიცხოვან საქონელს ბაჟი და სხვადასხვა სავაჭრო გადასახადი ედო. ქალაქის ბაჟისა და სავაჭრო გადასახადის საკითხი არაბთა მფლობელობის დროიდან ქალაქის მუშრიბს ევალებოდა [266].

თბილისის ამირას ამ მრავალრიცხოვანი სამოხელეო შტატის შენახვა საამიროს მოსახლეობას ეკისრა. ამ მოხელეთა სასარგებლოდ დაწესებული სარგოს გვიანდელი გამოძახილი უნდა იყოს X·I—X I I სს. ქართულ საბუთებში დამოწმებული საამირო, საშურტაო, სარაისო, საამიდო, საგუსტასიბო და სხვა გამოსაღებები.

თბილისში ამირას დანიშვნით მთლიანად შეიცვალა არაბთა მფლობელობის ხასიათი ქართლში. ქართლის ქალაქებში არაბული გარნიზონები გაჩნდა. ამირას კარზე სამოქალაქო და სამხედრო მოხელეთა მრავალრიცხოვანი შტატი ჩამოყალიბდა. აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას თავისი ძირითადი საარაბო გადასახადის, ხარაჯას და ჯიზიას გარდა, დაეკისრა სამხედრო ნაწილებისა და მოხელეების შენახვა და, როგორც აღვნიშნეთ, სწორედ ამ მოხელეთათ-

---

[264] მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრ., გვ. 150—152.

[265] იქვე, გვ 152—154.

[266] იქვე, გვ. 154—156.

ვის იყო გან კუთვნილი ის გადასახადები, რომელთა არსებობა შემდეგდროინდელი ქართული წყაროებით დასტურდება.

VIII ს. უკვე ძირითადმა საარაბო გადასახადმა ხარაჯამ და ჯიზიამაც იცვალა სახე. ხარაჯა ამიერიდან საბოლოოდ მიწაზე დაწესებული გადასახადია, ხოლო ჯიზია — სულადი.

ხარაჯამ, როგორც გადასახადმა, სახალიფოში მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა. თავდაპირველად ხარაჯაც და ჯიზიაც, ეს იყო საარაბო ხარკი, რომელსაც საქართველოს დაპყრობილი მოსახლეობა „დაცვის სიგელის“ ძალით უხდიდა არაბებს. როგორც ს. ჯანაშია აღნიშნავს: „ეს იყო ძალიან მაღალი, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი,—ოდენობის მხრივ, გადასახადი, რომელიც არ ითვალისწინებდა მიწის ნამდვილი შემოსავლის ზომასა და ხასიათს. ხარაჯის გადახდისათვის ვალდებული იყო ესა თუ ის თემი მთლიანად. ერთი რომელიმე ინდივიდუალური გადამხდელის გაღატაკების შემთხვევაში მისი გადასახადი ეწერებოდა მის მეზობლებს, ამიტომ თვით მიწისმჭირავის პიროვნება არაბებს არ აინტერესებდათ და ამიტომაც მიწის ცალკე ნაჭრების ყიდვა-გაყიდვა აკრძალული არ იყო. მთელი მიწა გაზომილ და კადასტრირებულ იყო და იგულისხმებოდა, რომ მტკიცედ განსაზღვრული რაოდენობა გადასახადისა არ შეიძლებოდა შეცვლილიყო მიწის მიმოქცევისა და მიწისმჭირავთა გამოცვლის გამო“ [267].

მნიშვნელოვანი საგადასახადო რეფორმა გატარდა სახალიფოში ხალიფა ომარ I დროს (634—644). ყველაზე მძიმე ომარის მიერ შემოღებულ საგადასახადო სისტემაში იყო ის, რომ მან „დაუმუშავებელ, მაგრამ დასამუშავებლად ვარგის მიწებზეც დააწესა შესაძლებელი გადასახადი იმ მიწების ტოლად, რომლებიც ფაქტიურად მუშავდებოდა“ [268]. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ საგადასახადო სისტემით, სპეციალური გადასახადები იყო გაწერილი მეურნეობის ცალკეულ დარგებზე, მაგალითად ვენახებზე, ბაღებზე და სხვა. როგორც ჩანს, ამ საგადასახადო სისტემით დაწესდა გადასახადი ქართლის მოსახლეობაზეც, რისი მაუწყებელიც უნდა იყოს „დაცვის სიგელის“ ჯარაჰი-

---

[267] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, არაბობა საქართველოში. შრ. II, გვ. 380.

[268] ე. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, არაბული გადასახადები. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბილისი, 1957. გვ. 88.

ძველ ვარიანტში წისქვილებსა და ვენახებზე გაწერილი საგანგებო გადასახადი"[269].

არაბთა სახალიფოში ცნობილი იყო ხარაჯას ორი ძირითადი სახე: ხარაჯა მისაჰა—გადასახადი მიწის ფართობის მიხედვით და ხარაჯა მუკასამა—გადასახადი მოსავლის რაოდენობის მიხედვით.

აბასიანთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, საგადასახადო სისტემაში შეტანილი ცვლილების შედეგად, გადასახადის ძირითად ფორმად ხარაჯა მუკასამა დაწესდა. თუმცა ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის (786—806) დროიდან, იმ ფინანსურ გართულებათა გამო, რომელთაც ამ დროს სახალიფო განიცდიდა, უპირატესობა ისევ ხარაჯა მისაჰას მიენიჭა.

თბილისის საამიროს მოსახლეობას, როგორც სახალიფოში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულის მცხოვრებლებს, ისეთივე გადასახადი ეკისრა, როგორც საერთოდ მთელ სახალიფოში იყო დაწესებული. ასე რომ აღმოსავლეთ საქართველოს (თბილისის საამირო) მცხოვრებნიც იხდიდნენ ხარაჯას, მისაჰას თუ მუკასამას, საერთო წესით.

თბილისის საამიროს მრ[illegible]ა აგრეთვე იხდიდა ჯიზიას, ურწმუნოებზე დაკისრებულ გადასახადს, რომელიც თავდაპირველად კომლობრივად იკრიფებოდა და საარაბო ხარჯის ხასიათს ატარებდა, ხოლო VIII საუკუნიდან უკვე მტკიცედ განსაზღვრულ სულად გადასახადს წარმოადგენდა.

სახალიფოში ჯიზიას, როგორც წესი, იხდიდნენ სრულწლოვანი მამაკაცები. თავდაპირველად ჯიზია 1 დინარს უდრიდა კომლის თავზე, ხოლო შემდეგ დაკანონდა სახალიფოში ჯიზიას სხვადასხვა ოდენობით გადახდა. მდიდრები იხდიდნენ 48 დირჰემს, საშუალო შეძლებულნი — 24 დირჰემს, და ღარიბები — 12 დირჰემს[270].

ჩვენ სამწუხაროდ არა გვაქვს ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ იყო საქართველოში განაწილებული ჯიზია, მაგრამ, საფიქრებელია, აქაც საერთო წესის თანახმად, მოსახლეობა ქონებრივი ცენზის მიხედვით იხდიდა ჯიზიას.

---

[269] მ. ლორთქიფანიძე, ჰაპიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი". მასალები. 29, 1951, გვ. 64.

[270] ე. სიხარულიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 93.

თავდაპირველად, როგორც ცნობილია, არაბები მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებში არ სახლდებოდნენ, არც დაპყრობილ ხალხთა მიწის მფლობელობის სისტემას ცვლიდნენ და მხოლოდ დამპყრობთათვის განკუთვნილი ხარაჯით კმაყოფილდებოდნენ. „იმთავითვე დიდი სისასტიკით დადგენილი იყო, რომ არც ერთ მუსლიმს არაბეთის გარეშე არ აქვს უფლება შეიძინოს უძრავი საკუთრება და ხელი მიჰყოს სოფლის მეურნეობას. ერთი მუჭა გამარჯვებული მეომრებისა იყდა ამა თუ იმ დაპყრობილ ქვეყანაში და იკვებებოდა დამარცხებული მიწის მუშების შრომის პროდუქტით“ [271]. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ხალიფა „ომარ I საერთოდ წინააღმდეგი იყო არაბების დაპყრობილი ქვეყნების მიწებზე დაჯდომის. რადგან შიშობდა, რომ ეს გამოიწვევდა მათს ასიმილირებას უცხო ხალხებში. მისი თვალსაზრისით, დაპყრობილი ქვეყნები არაბების „საშველი“ იყო და არაბებს მხოლოდ დამუშავებული მიწების გადასახადით უნდა ეცხოვრათ“ [272]. მაგრამ თანდათან ამ კანონმაც დაკარგა ძალა, დამპყრობელი არაბები იწყებენ დასახლებას დაპყრობილ ტერიტორიებზე. ამ მხრივ უაღრესად ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ადგილობრივი მამულების გაჩენის ტენდენციები VIII ს. დასასრულიდან იჩენენ თავს [273]. როგორც IX ს. არაბი ისტორიკოსი ბალაძორი გვაუწყებს, VIII ს. 20-იან წლებში დამსჯელი ექსპედიციით მოსული მასლამა, ჩანს, აქ დამკვიდრებას ფიქრობდა და შეკრა რა ზანი ხაზარანის მცხოვრებლებთან. თვითონ „თავისთვის მამული აიღო“ [274]. იმავე ბალაძორის ცნობით, მურვან იბნ მუჰამედმა აზერბაიჯანში დაამუშავებინა ყამირი მიწები, როგორც ისტორიკოსი ამბობს: „გააცოცხლა მიწები, გაამაგრა და აქცია თავის პირად მამულად“ [275].

თავდაპირველად ასეთი ფაქტები იშვიათად შემთხვევებს წარმოადგენდნენ ალბათ, მაგრამ თბილისის საამიროს შექმნის შემდეგ, არაბი სარდლებისა და მოხელეების მიერ აქ მსხვილი მამულების შექმნა, და საერთოდ არაბების მიერ საკუთარი მამულების გაჩენა. ჩვეულებ-

---

[271] ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში. გვ. 380.

[272] ვ. გაბაშვილი, არაბთა სახალიფო VII—VIII ს. ნარკვევები... გვ. 63.

[273] ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრ., იქვე

[274] ბალაძორი, Издание и перевод П. К. Жузе. გვ. 17.

[275] იქვე. გვ. 27.

რივ მოვლენად უნდა ქცეულიყო. სახალიფოს ცენტრალური ხელი-
სუფლება იძულებული იყო შერიგებოდა ამ ფაქტს, რადგან მის ხა-
ზინას უკვე აღარ შეეძლო საციხოვნო ჯარებისა და სარდლების შე-
ნახვა.

რიველ რიგში ადგილობრივ მამულებს გაიჩენდა თბილისის ამირა,
რომლისთვისაც ეს შემოსავლისა და სიძლიერის ერთ-ერთ მთავარ
წყაროდ იქცეოდა. ადგილობრივ მამულებს გაიჩენდნენ საქართვე-
ლოს ქალაქებში დასახლებული სამხედრო გარნიზონის წევრები.
არაბული სამხედრო გარნიზონები თბილისს გარდა იდგა დმანისში,
რუსთავში... საფიქრებელია, რომ შემდეგდროინდელი დმანისის მრა-
ვალრიცხოვანი მაჰმადიანური მოსახლეობის თავდაპირველი ბირთვი
სწორედ არაბთა მფლობელობის ხანაში უნდა შექმნილიყო.

თბილისის საამიროში იმთავითვე უნდა შექმნილიყო ამირას გა-
კარგულებაში მყოფი მიწების ფონდი. აგრეთვე მაჰმადიანური ეკლე-
სიის მიწები—ვაკუფი. მაჰმადიანური მოსახლეობის არსებობამ განა-
პირობა აქ მაჰმადიანური სამფლობელოების, კულტის მსახურებისა
და ყადის თანამდებობის არსებობა. თბილისის ყადი XII—XIII სს.
ქართულ წყაროებშია დადასტურებული, მაგრამ უეჭველია, რომ
XII—XIII სს. თბილისის ყადი აქ მაჰმადიანთა მფლობელობის
დროინდელი ინსტიტუტია.

ვაკუფის მიწების არსებობა თბილისის საამიროში თითქოს
საეჭვო არ უნდა იყოს. თბილისის ამირაც, საამირო კარის მოხელეე-
ბიც და მაჰმადიანური ეკლესიაც ამ მიწებზე მსხდომი ადგილობრივი
მოსახლეობის ექსპლოატაციას ეწეოდნენ.

ასე რომ დამპყრობელი არაბები ადგილობრივი მოსახლეობის
„ჯამის“ გარდა, საკუთარი მემამულეობის შექმნით, მათი შრომის
უშუალო ექსპლოატაციასაც ეწეოდნენ.

არაბთა მიერ საქართველოს დაპყრობილ მოსახლეობაზე დაკის-
რებული ხარაჯაც და ჯიზიაც ძირითადად ფულადი გადასახადი იყო.
დიდი ფულადი გადასახადი მძიმე ტვირთად დააწვა საქართველოს
მოსახლეობას. არაბთა მფლობელობის დამყარებით საქართველოში
არ გაუქმებულა ადგილობრივ არსებული მიწისმფლობელობა და
მასთან დაკავშირებული საგადასახადო სისტემა. ქართველი მწარმო-
ებელი თავის ვალდებულებას ქართველი მემამულის მიმართ ძველე-
ბურად ახორციელებს. საარაბო გადასახადი ამის ზევით ეკისრება
მას და საგრძნობლად ამძიმებს მწარმოებელი საზოგადოების მდგომა-
რეობას. „არაბული ორგანიზაციის ბატონობამ, წერს ვ. გაბაშვილი—

დააბრკოლა საწარმოო ძალების განვითარება. არაბულმა ხარკმა გამოჰფიტა დაპყრობილი ქვეყნების კულტურული მეურნეობა. ხარაჯას ოდენობის განუწყვეტელი ზრდის შედეგი იყო სოფლის მეურნეობის დაცემა, გლეხთა გაღატაკება"[276]. საფიქრებელია, რომ მძიმე საარაბო ხარკი ხელს უწყობდა და აჩქარებდა ადრეფეოდალური ხანის საქართველოში წვრილი კერძომესაკუთრული მეურნეობის გაჩანაგებასა და სასოფლო თემებში გაერთიანებული მწარმოებლების დაყმევებასა და გლეხობაში გადასვლის პროცესს. საარაბო ხარკი, როგორც წესი, თემის წევრებს ინდივიდუალურად კი არ ეკისრებოდათ, არამედ — მთლიანად თემებს. ხარაჯას „იხდიდნენ არა მიწის თითოეული ნაკვეთიდან ინდივიდუალურად, არამედ მიწის გარკვეული კომპლექსიდან. ამიტომ ხარაჯას გადახდისათვის ვალდებული იყო მთელი თემი. ასეთი წესიც თავის მხრივ ბევრ უხერხულობას ქმნიდა და ხელს უწყობდა უსამართლობას, ძალადობას და ძლიერის მიერ სუსტის დაჩაგვრას"[277]. ამავე დროს აღსანიშნავია, რომ კომლობრივად გაწერილი ჯიზიაც ერთნაირი სიმძიმით არ აწვებოდა ყოველ კომლს, რადგან კომლები საგრძნობლად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან ეკონომიური შეძლებით და, რასაკვირველია, „არაბულ ხარკს უნდა შეეტანა გაცილებით უფრო ღრმა რღვევა ცალკე ეკონომიკურ ჯგუფებში, ვიდრე ეს ხდებოდა წინათ. ქონებრივი უთანასწორობა იზრდება, ბევრად უფრო სწრაფად. ფულადი ურთიერთობის ზრდაც იმავე მიმართულებით მოქმედებს"[278]. ასე რომ არაბული ხარკი ყველაზე მძიმედ, ყველაზე სუსტებს აწვებოდა კისერზე, განსაკუთრებით სასოფლო თემებში გაერთიანებულ თემის შედარებით ღარიბ წევრებსა და წვრილ კერძო მიწისმფლობელს. ეკონომიურად დასუსტებული და გაჩანაგებული მეურნე, ბუნებრივია, შველას და დახმარებას შედარებით მდიდარ და ძლიერ მფლობელთან ეძებდა, ისეთ მფლობელთან, რომელიც უკეთ უძლებდა უცხოურ ხარკს. საფიქრებელია, რომ ამ გარემოებასაც უნდა შეეწყო ხელი ჩვენში კომენდაციის პროცესის დაჩქარებისათვის, რაც თავის მხრივ ფეოდალიზაციის პროცესის განვითარებას უკავშირდება.

---

[276] ვ. გაბაშვილი, არაბთა სახალიფო VII—VIII სს. ნარკვევები... გვ. 65.

[277] ე. სიხარულიძე, არაბული გადასახადები. ნარკვევები... გვ. 89.

[278] ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში, გვ, 383.

გარდა ძირითადი გადასახადისა საქართველოს მწარმოებელ მოსახლეობას არაბების მიმართ სხვა ვალდებულებებიც ეკისრა. არაბთა სახალიფოში გლეხებს ევალებოდათ მძიმე საბეგრო სამუშაოები. „მათს სხვადასხვა ნატურალურ ვალდებულებაში შედიოდა ქალაქების კედლების, სასახლეების, მეჩეთების მშენებლობა, გზების გაყვანა, სარწყავი არხების მოვლა, ხიდების შენება-შეკეთება და სხვა“ [279].

საფიქრებელია, რომ თბილისის ამირების მიერ აგებული და გამაგრებული ციხე სოღდებილი თბილისში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე (დაახლოებით დღევანდელი მეტეხის მიდამოებში)[280], ადგილობრივი მოსახლეობის ასეთი საბეგრო ვალდებულების ხარჯზე იყო აგებული ძირითადად.

არაბთა მფლობელობის ხანაში დიდი სამუშაოები ტარდებოდა გზების კეთილმოწყობის, ხიდების მშენებლობის ხაზით, რათა ხელი შეწყობოდა თბილისის ვაჭრობას მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ქალაქებთან, ამ სამუშაოებსაც ძირითადად ქართველი მწარმოებლები ასრულებდნენ.

ასეთი და სხვა მსგავსი სამუშაოები მძიმე ტვირთად აწვა მწარმოებელ საზოგადოებას. ყოველივე ამას ემატებოდა გადასახადის ამკრეფი მოხელეების უსამართლობა, საკუთარი მოგების მიზნით და სხვა. რომ საბეგრო სამუშაოები გავრცელებული იყო არაბთა მფლობელობის დროინდელ საქართველოში, ამას, XI ს. ქართულ საბუთში დადასტურებული არაბული სიტყვა „სუხრა“-ც მიუთითებს. როგორც ცნობილია, არაბული „სუხრა“ სპარსული „ბეგარის“ შესატყვისია და შრომით ვალდებულებას ნიშნავს[281]. ჩანს, ქართველ გლეხებს არაბების მიმართ „სუხრაობაც“ ეკისრათ.

არაბთა მფლობელობის დამყარების დროისათვის საქართველო ადრეფეოდალურ სახელმწიფოს წარმოადგენდა. არაბთა გაბატონებამ საგრძნობლად დაამუხრუჭა ქვეყნის შემდგომი განვითარება, მაგ-

---

[279] ვ. გაბაშვილი, სახალიფო VII—VIII სს. ნარკვევები..., გვ. 65

[280] მ. ლორთქიფანიძე. ძველი თბილისის ისტორიული გეოგრაფიიდან (სოღდებილი). მასალები..., 30, 1954, გვ. 159—164.

[281] ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII სს გვ. 169; მ. ლორთქიფანიძე, ადრეფეოდალური ხანის ისტორიის ზოგიერთი საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში. ისტორიის ინსტ. შრომები. IV, 1959, გვ. 195.

რამ აღმავალი ფეოდალური ურთიერთობის განვითარების გზით მიმავალი საქართველო, არაბებმა საბოლოოდ მაინც ვერ დაუმორჩილეს თავის სოციალურ-ეკონომიურ განვითარებას.

სახალიფოს ფეოდალიზაციის პროცესის შედეგია VIII—IX სს. სახალიფოს დაშლის დაწყება. ამავე პერიოდში ყალიბდება ქართლში დამოუკიდებელი მაჰმადიანური პოლიტიკური ერთეული თბილისის საამირო.

თბილისის საამიროს ტერიტორია მთელი მისი ისტორიული არსებობის მანძილზე საგრძნობლად იზღუდებოდა.

„თავდაპირველად თბილისის ამირას განკარგულებას ალბათ მთელი აღმოსავლეთი საქართველო (ე. ი. შიდა ანუ საკუთრივ ქართლი, ქვემო ქართლი ანუ ქართველთა საპიტიახშო, კახეთ-კუხეთი, ზემო ქართლი ანუ მტკვრის აუზის ზემოთა ნაწილი) ექვემდებარებოდა, მაგრამ თანდათანობით ეს ტერიტორია იზღუდება... უკვე VIII ს. ჩანს, კახეთი ეთიშება ქართლს (პოლიტიკურად გაგებულს). ალბათ იმავე ხანებში, ან, ყოველ შემთხვევაში, VIII—IX სს. მიჯნისათვის, მეტნაკლებად განზეა გამდგარი სამცხე-ჯავახეთი. ქართლის ჩრდილო მთიანეთიც, საფიქრებელია, ნაკლებად ათხოვებდა ყურს ტფილისის ამირას მბრძანებლობას. ყველაზე მტკიცედ არაბები ქვემო ქართლში იყვნენ ჩამდგარნი, შიდა ქართლიც მათ სხვა რაიონებთან შეღარებით უფრო დიდხანს შეინარჩუნეს“[282], IX საუკუნის დამდეგიდან თბილისის ამირას მხოლოდ ქვემო ქართლი ემორჩილებოდა[283]. XI საუკუნისათვის კი თბილისის ამირათა განკარგულებაში რჩებოდა ქ. თბილისი მის გარშემო ტერიტორიის ვიწრო ზოლით.

აღმოსავლეთ საქართველოში ფეხის მტკიცედ მოკიდება არაბებმა შესძლეს მხოლოდ VIII საუკუნის 30-იან წლებში (მურვან ყრუს ლაშქრობის დროიდან მოყოლებული). ამ დროიდანვე უნდა ვივარაუდოთ თბილისის საამიროს არსებობაც. ქართველი მემატიანეს სიტყვით: „დაიპყრეს ქალაქი ტფილისი აგარიანთა, შექმნეს საბალად საყოფელად თჳსად: მიიღებდეს ხარკსა ქუეყანასა ამისგან. რომელსა ჰქვიან ხარაჯა“ [284]. დამოწმებულ ქართულ წყაროს ცნობას სავსებით ადასტურებს არაბი ისტორიკოსი მასუდი, რომლის მიხედვით: „აფხაზები და ქართველები უხდიდნენ ხარკს სანაპირო

---

[282] ს. ჯანაშია, არაბობა საქართველოში. შრომები, II, გვ. 391.

[283] იქვე.

[284] მატიანე ქართლისაჲ, კ'ცა, გვ. 250.

ციხე თბილისის უფროსს, თბილისის დაპყრობისა და მისი მუსლიმებით დასახლების დროიდან ხალიფა მუთავაქილის დრომდე"[285]. თბილისის ციხის უფროსი, რა თქმა უნდა, ამირაა, რომელიც ქართლში მდგომი არაბული მეციხოვნე ჯარების „სარდალიც იყო, ქვეყნის მმართველიცა და უზენაესი მსაჯულიც"[286].

მართალია, არაბები თბილისში VIII საუკუნის დამდეგსაც იმყოფებიან (ამ დროისათვის თბილისში მოჭრილი არაბული ფულიც მოგვეპოვება), მაგრამ ქართლის პოლიტიკური ცენტრი მათ მტკიცედ უნდა დაეპყრათ მურვან ყრუს ლაშქრობის შემდეგ, როდესაც თბილისი საბოლოოდ იქცა არაბ ამირათა რეზიდენციად[287]. აქედან არაბები ცდილობენ თავიანთი ბატონობის გავრცელებას აღმოსავლეთ საქართველოს სხვა ნაწილებზე.

VIII ს. 30-იანი წლებიდან თბილისის საამირო არსებობს როგორც არაბული ადმინისტრაციული ერთეული. IX ს. დასაწყისიდან თბილისის ამირები იწყებენ ბრძოლას სახალიფოს ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ხანგრძლივი და ცვალებადი წარმატებით წარმოებული ბრძოლების შემდეგ IX ს. 80-იან წლებში თბილისის საამირო დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად ჩამოყალიბდა, ხოლო XI ს-დან ის თანდათან საქართველოს მეფეთა გავლენაში მოექცა. აღნიშნული პერიოდის მანძილზე საგრძნობლად შეიზღუდა თბილისის საამიროს ტერიტორია და XI საუკუნისათვის ის ქალაქ თბილისითა და მის გარშემო ტერიტორიის ვიწრო რკალით შემოიფარგლა [288].

---

[285] المسعدى, II,—٦٥ ٦٧; Text et traduction par C. Barbier de Meynard et pavet de Courtelle, Paris.

[286] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, ნ. 1, თბილისი, 1946, გვ. 141.

[287] ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ვახუშტი ბატონიშვილის ნაგვიანევი ცნობა, სადაც ნათქვამია: „მურვან ყრუს შემდგომად შემუსრეს ხაზართა თბილისი და აღაშენა ამირა აგარიანმა". ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., გვ. 52.

[288] თბილისის საამიროს შესახებ დაწვრილებით იხ. მ. ლორთქიფანიძე, თბილისის საამიროს ისტორიიდან. ისტორიის ინსტ. შრ., „მიმომხილველი", II, 1951, გვ. 185—201.

ქართული სამეფო-სამთავროების წარმოშობა-ჩამოყალიბების პროცესს თან ამ სამთავროთა შორის ბრძოლის პროცესი ერთვის.

სამთავროთა შორის ბრძოლის უშუალო მიზანია ურთიერთის მიწების მიტაცება, საქართველოს საბოლოო გაერთიანება. ეს მიწისათვის წარმოებული ბრძოლა დაძაბული და დაუნდობელია. მიწისათვის ბრძოლას შეეწირა აშოტ ბაგრატიონი, ამ ბრძოლაში ამოწყდა აშოტ ბაგრატიონის უმცროსი ძის გვარამ მამფალის შთამომავლობა. ამავე ბრძოლას შეეწირა ბაგრატ კურაპალატის ვაჟი დავითი, ხოლო ყველაზე „დიდმა“ ამ მთავართა შორის, ბაგრატ მეფემ, თავისი სახლისკაცები სულ ერთიანად გაჟლიტა და მათი ქვეყნები მიისაკუთრა“[289].

საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი ობიექტია „ბრძოლა ქართლსა ზედა“. ქართლსა ზედა იბრძვიან ქართველი მეფე-მთავრები, ხოლო IX ს. ბოლოდან ამ ბრძოლის უშუალო მონაწილეებად ხდებიან სომეხი მეფე-მთავრები. ეს საცილობელი „ქართლი“ საკუთრივ შიდა ქართლია.

სამეფო-სამთავროთა ჩამოყალიბების შემდეგ ყოველ პოლიტიკურ ერთეულს თავისი მეტნაკლებად სტაბილური საზღვრები აქვს[290]. კახეთის სამთავროს დასავლეთი საზღვარი არაგვია. აფხაზთა სამეფოს სამხრეთ აღმოსავლეთი საზღვარი ლიხის ქედზე გადის. ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სამფლობელოს აღმოსავლეთი საზღვარი ტაშისკარია. ქვემო ქართლი თბილისის ამირებს უპყრიათ. ამათ შუა ტერიტორია, საკუთრივ შიდა ქართლი, ესაა ამ დროის ე. წ. ქართლის საერისმთავრო. და ამ „ქართლისათვის“ წარმოებს დაძაბული და სისხლისმღვრელი ბრძოლა ქართველ და სომეხ მეფე-მთავრებს შორის მთელი IX და X საუკუნის მანძილზე.

ასეთ ინტერესს ქართლისადმი განსაზღვრავდა მისი მნიშვნელობა იმდროინდელი ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოსათვის „ქართლი ქვეყნის შუაგული იყო და თითოეული მთავრის მომავლისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ ეს ადგილი იმას შერჩენოდა“ [291].

---

289 საქართველოს ისტორია, 1 დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 130.

290 მეტნაკლებად ვამბობთ იმიტომ, რომ ბრძოლის პროცესში ეს საზღვრები მუდმივ ცვალებადობას განიცდიან.

291 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 98.

ქართლის მდებარეობა, როგორც ქვეყნის შუაგულისა, გარკვეული თვალსაზრისით აპირობებდა მისი, როგორც ეკონომიური და პოლიტიკური ცენტრის მნიშვნელობას მთლიანი საქართველოსათვის. მაგრამ ამავე დროს, მისი როგორც ცენტრის მნიშვნელობა, ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პროცესში, ძალიან თავისებურად იყო წარმოდგენილი. ქართლის გარშემო და მისი მეთაურობით კი არ ხდება საქართველოს გაერთიანება[292], არამედ ქართლი გაერთიანებისათვის მებრძოლი მსარეების საცილობელ ობიექტს წარმოადგენდა და ქართლ-აფხაზეთის გაერთიანებამ შექმნა კიდეც გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ბირთვი, რომლის გაფართოებაც ხდებოდა შემდეგ ქართული მიწა-წყლის კონსოლიდაცია. ქართლის ასეთი მნიშვნელობის ერთ-ერთი პირობა, მის ცენტრალურ მდგომარეობასთან ერთად, იყო მასზე გამავალი გზების მნიშვნელობა.

შიდა ქართლზე გადიოდა და აქ უკავშირდებოდა ერთმანეთს უდიდესი მნიშვნელობის სავაჭრო გზები. შიდა ქართლი გზებით იყო დაკავშირებული დასავლეთ საქართველოსთან (სურამის უღელტეხილი), ტაო-კლარჯეთის სამეფოსთან (მტკვრის ხეობით), ჩრდილოეთ კავკასიასთან (დარიალით), კახეთთან (გომბორით), სამხრეთით სომხეთთან და სხვა. სწორედ ეს ტერიტორია „არაგვიდან ტასის კარამდე" წარმოადგენდა ამ გზათა საყარს, რომელთა ნაწილს (მტკვრის ხეობას, დარიალის გზას...) ადგილობრივ (კავკასიურ) მნიშვნელობასთან ერთად, უძველესი დროიდანვე მსოფლიო სავაჭრო გზების მნიშვნელობა ჰქონდათ.

აღნიშნული გარემოება თავიდანვე უწყობდა ხელს ქართლის დაწინაურებას და მისი ეკონომიური მნიშვნელობის გაზრდას საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით. ამ გზასაყარის ხელში ჩაგდება იყო მებრძოლ მეფე-მთავართა ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი.

საერთოდ, როგორც ცნობილია, ძველი და შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიაში, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა ქვეყნების ისტორიაში, გზების საკითხი ერთ-ერთი მწვავე მნიშვნელობის შემოხვევნაა. გაერთიანების ხანის საქართველოს ისტორიაში ამ გზებისათვის ბრძოლას უაღრესად დიდი ადგილი უკავია. გზის მფლობელობა არა მხოლოდ ეკონომიური, არამედ პოლიტიკური ბატო-

---

[292] როგორც მაგალითად მოსკოვის მეთაურობითა და მოსკოვის გარშემო ხდება რუსეთის გაერთიანება.

ნობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იარაღია. ასეთ იარაღად იყენებდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში გარდამავალ გზებს ჯერ დასავლეთ საქართველოს, სოლო შემდეგ ერთიანი საქართველოს ძეგლები, როდესაც ამ გზებზე ქრისტიანულ ეკლესიებს აგებდნენ და ამ გზებით ქრისტიანობა, და ამდენად, ქართული გავლენა შეჰქონდათ კავკასიის მთიანეთის ხალხებში.

ხაზარეთიდან შავ ზღვაზე გარდამავალი გზის აფხაზთა ხელში ყოფნა იყო ხაზართა ხაკანის დახმარების ერთ-ერთი მთავარი საწინდარი, ლეონ აფხაზთა ერისთავისათვის, მის ბრძოლაში ბიზანტიის წინააღმდეგ[293]. ტაო-კლარჯეთის სამთავროს ხვედრითი წონისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ მრავალ სავაჭრო გზებს, რომელთა შესაყარზე ქ. არტანუჯი მდებარეობდა, ხოლო ამ სამთავრო საზღვის უმცროსი შტოს, სასელდობრ გვარად მამფალის სიძლიერისათვის — თრიალეთ-ტაშირ-აბოც-არტაანზე გამავალი გზების მფლობელობას. ასევე სამხრეთ-საქართველოს და შიდა ქართლის დამაკავშირებელი გზის მფლობელობა უნდა ყოფილიყო თრიალეთის ჩამოსახლებული ბაღვაშების სიძლიერის ერთ-ერთი საწინდარი, რის გამოც საშინელი სისხლისღვრა დატრიალდა IX ს. 70-იან წლებში.

ამგვარად, შიდა ქართლი იმდროინდელი ამიერკავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უმნიშვნელოვანესი გზების გზაჯვარედინზე მდებარეობდა და ამ გზაჯვარედინების ფლობა ამიერკავკასიაში გაძლიერების ერთ-ერთი გამაპირობებელი გარემოება იყო.

ამავე დროს ქართლი წარმოადგენდა იმდროინდელი საქართველოს ერთ-ერთ ყველაზე უფრო მჭიდროდ დასახლებულ და დაწინაურებულ ქვეყანას, როგორც ეკონომიურად, ისე კულტურულად[294]. მატერიალური კულტურის ძეგლების სიმრავლე ადრეფეოდალური ხანის შიდა ქართლში ამ დაწინაურების ერთ-ერთი მანიშნებელი გარემოებაა.

ქართული ქრისტიანობის ცენტრი, საიდანაც ქართული ქრისტიანული სარწმუნოება და ქართული კულტურის გავლენა ვრცელდებოდა საქართველოს დანარჩენ ნაწილებზე და რომლის გარშემო

---

293 Н. Бердзенишвили, В. Дондуа, Очерки... 519.

294 ნ. ბერძენიშვილი, ისტორიული გეოგრაფიისათვის, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული I, თბ., 1960, გვ. 12—13.

ხდებოდა კულტურული და საეკლესიო კონსოლიდაცია, შიდა ქართლში — მცხეთაში იმყოფებოდა.

შიდა ქართლისადმი განსაკუთრებული ინტერესი და ლტოლვა საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლ მეფე-მთავართა შორის, გარკვეული ისტორიული ტრადიციითაც უნდა იყოს გაპირობებული. როგორც ჩანს, შიდა ქართლი წარმოადგენს და ძველი ქართლის სამეფოს სეფე-სახლის უძველეს დომენს.

ქართლის მეფის თავდაპირველი ხელისუფლებაც ამ ქვეყნის მფლობელობის საფუძველზე უნდა იყოს აღმოცენებული[295]. აღნიშნული გარემოება აძლიერებდა ქართლის მფლობელობის მნიშვნელობას გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

ბრძოლა შიდა ქართლისათვის ქართველ მეფე-მთავრებს შორის განსაკუთრებით დაძაბული ხდება VIII ს. დასასრულიდან.

ქართული წყაროების ცნობების თანახმად, VIII ს. დასასრულს შიდა ქართლი კახეთის მთავარს გრიგოლსა აქვს დაპყრობილი[296]. შიდა ქართლის დაპყრობა შესაძლებლობას უქმნიდა კახეთის მთავარს თავისი კონტროლის ქვეშ მოექცია ამიერკავკასიის სავაჭრო გზის ის მონაკვეთები, რომელნიც ალაზნის, ივრისა და არაგვის ხეობებს მიყვებოდნენ. ამავე დროს აღმოსავლეთ საქართველოდან უსწნიდნენ მას გზას ჩრდილოეთისაკენ, სახელდობრ, მისი კონტროლის ქვეშ აყენებდნენ დარიალის ხეობას[297].

IX საუკუნის დასაწყისში საერთაშორისო ვითარება მახლობელ აღმოსავლეთში, და კერძოდ საქართველოში, საკმაოდ რთული და დაძაბული იყო.

თბილისის ამირების ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის იწვევს საპასუხო მოქმედებას სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლების მხრივ.

როგორც არაერთგზის აღნიშნულია, IX ს. მანძილზე ბაღდადის სახალიფო მრავალრიცხოვან დამსჯელ ექსპედიციებს გზავნის საქართველოში. ბრძოლა ცვალებადი, შედეგებით მიმდინარეობს და სა-

---

[295] ა. ბოგვერაძე, ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1961, გვ. 46.

[296] მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, 1, გვ. 252—253.

[297] Н. Бердзенишвили, В. Дондуа, Феодальные княжества в грузинских землях, Очерки... стр. 510—511.

ბოლოოდ თბილისის საამიროს დამოუკიდებელ ფეოდალურ სამთავროდ ჩამოყალიბებით სრულდება.

ამ ხნის მანძილზე მაჰმადიანური ძალა საქართველოში ორი მხრის — ხალიფებისა და ამირების სახითაა წარმოდგენილი და ქართველი მეფე-მთავრებიც, თავისი ინტერესების შესაბამისად, ამ ორი ძალის გარშემო ჯგუფდებიან.

თბილისის ამირასა და ქართლის ერისმთავრის (აშოტ ბაგრატიონი) ინტერესების დაპირისპირებამ მისცა ბიძგი აშოტ ბაგრატიონის ქართლიდან ლტოლვას. აღნიშნული გარემოება თავიდანვე ასვამს დაღს ურთიერთობის ხასიათს ტაო-კლარჯეთის სამთავროსა და თბილისის საამიროს შორის.

IX ს. დასაწყისში, შიდა ქართლისათვის ბრძოლაში, ერთმანეთს უპირისპირდებიან ტაო-კლარჯეთი და კახეთის სამთავრო.

როგორც უკვე აღნიშნულია, IX საუკუნის მანძილზე ბრძოლა შიდა ქართლისათვის, ქართველ, ხოლო შემდეგ ქართველ და სომეხ მეფე მთავრებს შორის, ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობს. ეს ძალები იყენებენ თავისი ინტერესებისათვის წინააღმდეგობას ხალიფასა და თბილისის ამირებს შორის და ამ ბრძოლიდანაც თავისი წილის მიღებას ცდილობენ.

X ს. დასაწყისიდან თანდათან აშკარა ხდება აფხაზთა სამეფოს უპირატესობა საქართველოს გაერთიანებისათვის, და ამდენად შიდა ქართლისათვის, ბრძოლაში. აფხაზთა სამეფოს რეალურ მეტოქეს ამ საქმეში შირაკის ბაგრატიონთა სამეფო გამოდის.

როგორც ცნობილია, სუმბატმა კონსტანტინე აფხაზთა მეფის დატყვევებაც კი შესძლო [298], მაგრამ საბოლოოდ კონსტანტინე მაინც გაანთავისუფლეს და ქართლი ისევ მის ხელში გადავიდა [299].

კონსტანტინე აფხაზთა მეფის მდგომარეობა შიდა ქართლში X ს. დასაწყისში სრულიად რეალური ჩანს. კონსტანტინეს მეფობის აღნიშვნით იწყებს საამშენებლო წარწერას 906 წ. ერედვის ეკლესიის მაშენებელი თეოდორე თაფლაისძე, „სახელითა ღმრთისაჲთა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისაჲთა მეოხებითა წმიდისა ღმრთის მშობელისაჲთა, შეწევნითა წმიდისა გიორგისითა ჴელმწიფობასა ღმრთივ

---

[298] იოანე დრასხანაკერტელი, ცნობები საქართველოს შესახებ. გვ. 32—34.

[299] მატიანე, გვ. 163.

დამყარებულისა კონსტანტინე მეფისასა“[300], ასე იწყებს თავის წარწერას ეკლესიის მაშენებელი.

ასევე, კონსტანტინეს მეფობით, ათარიღებს თავის საქმიანობას, ამავე ხანებში სამწევრისის ეკლესიის წარწერაში რუს გამომყვანი[301].

როგორც ცნობილია, X ს. პირველ ოცეულში მთელი აღმოსავლეთი ამიერკავკასია შეარყია საჯი ამირის აბულ კასიმის შემოსევამ. აბულ-კასიმის შემოსევას აფხაზთა სამეფო გადაურჩა, მაგრამ შიდა ქართლი კი დიდად დაზარალდა, შემოვიდა (აბულ-კასიმ) ქართლად, და მოაოჯრა ქართლი; და ვიდრე იგი შემოვიდოდა, მოარღვნეს ზღუდენი უფლის ციხისანი, რომელ არა დაიმჭირონ“[302]. როგორც ჩანს, კონსტანტინემ ვერ გაბედა ამირა საჯის დახვედრა ქართლში და მხოლოდ უფლისციხის ზღუდის მორღვევა ჩათვალა მიზანშეწონილად, რათა მტერი არ გამაგრებულიყო მასში. მაინც ყველაზე უვნებლად საჯთა ამ შემოსევიდან აფხაზეთის სამეფო გამოვიდა, რითაც კარგად ისარგებლა კონსტანტინემ. კახეთის ქორებისკოპოსმა მიიწვია კონსტანტინე ჰერეთში „მაშინ უკმო კუირიკე ქორეპისკოპოსმან კონსტანტი აფხაზთა მეფესა, ჩავიდეს ჰერეთად და მოადგეს ციხესა ვეჟინისასა. აფხაზთა მეფე მოადგა ზედათ-კერძო, და კვრიკე ქუემოთ. და ვითარ მისწურეს წაღებად, მაშინ ადარნასე პატრიკი მოვიდა, პარასკევის ჯუარსა მიუპყრა ზავის პირი, მოსცა აფხაზთა მეფესა არიში, გავაზნი, ხოლო კვრიკეს ორჭობი; ვითარ დაიზავნეს და შემოიქცეს. მოვიდა კოსტანტი, აფხაზთა მეფე, ილოცა ალავერდს წმინდის გიორგის წინაშე, და შემოსა ხატი მისი ოქროთა ხოლო ლაშქარი მისი უმრავლესი წარავლინა გზასა გარესა და ფრიად პატივსცა კუირიკე ქორებისკოპოსმან და წარვიდა ქუეყანად თუისად“[303].

აფხაზთა მეფის ჰერეთს ლაშქრობას, გამარჯვებას და ალავერდს ლოცვას ერედვის წარწერაც ადასტურებს: „... ჴელმწიფობასა ღმრთივ დამყარებულისა წმიდისა კონსტანტინე მეფისასა, რომელ-

---

[300] რ. მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი, ერედვის წარწერა, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, V_{10}, 1944.

[301] გ. ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, მასალები სამწევრისის ტაძრის შესწავლისათვის ქართული ხელოვნება, II, 1948, გვ. 21.

[302] მატიანე, გვ. 263.

[303] იქვე, გვ. 264.

მან ბრძანა და ჩავიდა ჰერეთს შიგან, ჰერთა მეფე გააქცია და მონით მშვიდობით იქცა ცისკრად ალავერდს ილოცა, მწუხრი ბრეძას გარდაჰკთა, მეორედ კულა ავიდა, ვეჯინისა ციხე დალეწა". როგორც ვხედავთ, ეს წარწერა ადასტურებს მატიანეს ცნობას და თავის მხრივ აზუსტებს ზოგ დეტალს. აქაც უაღრესად ნიშანდობლივია კონსტანტინე აფხაზთა მეფის მიერ ჰერეთში ლაშქრობა და გავაზის, ალაზანზე გამავალი სავაჭრო გზის დაკავება.

აქ გვსურს სპეციალურად შევჩერდეთ ერედვის ეკლესიის წარწერის თარიღზე.

წარწერა მთლიანად ასე იკითხება: „სახელითა ღმრთისაჲთა, მამისა და ძისა და სოლისა წმიდისაჲთა, მეოხებითა წმიდისა ღმრთის მშობელისაჲთა, შეწევნითა წმიდისა გიორგისითა, კელმწიფობასა ღმრთივ დამყარებოლოსა წმიდისა კოსტანტინე მეფისასა, რომელმან ბრძანა და ჩავიდა ჰერეთს შიგან, ჰერთა მეფე გააქცია და მონით მშვიდობით იქცა. ცისკრად ალავერდს ილოცა, მწუხრი ბრეძას გარდაჰკთა. მეორედ კულა ავიდა, ვეჯინისა ციხე დალეწა. ქართლს შინა ოფლობასა ტბელისა ივანესა, მთავარ. ებისკობასა სანატრელისა ყესა, ჯვრითა მისითა, გაზრახვითა ნიქოზელის სანატრელისა სტეფანე ებისკოსისაჲთა, ძალითა შეწევნითა მოყოასთაჲთა მე თეოდორე თაფლაჲსძემან დავდე საძირკველი წელნი იყნეს ხფი ჭრონიკ[304].

ამ წარწერის პირველი წამკითხველი და გამომცემელი ვ. თოფურია წელს ხფი ანგარიშობს 906 წლად (6510—6504=906 წ.)[305]. ამავე თარიღს მართებულად იზიარებს რ. მეფისაშვილიც. წარწერას კონსტანტინე აფხაზთა მეფეს უკავშირებს რ. მეფისაშვილი იმ ისტორიულ ამბებთან დაკავშირებით, რომელიც მასშია მოთხრობილი: სახელდობრ: კონსტანტინეს ჰერეთის ლაშქრობის ამბავი, ალავერდს ლოცვა, რომელიც მატიანეში პოულობს დადასტურებას. რასაკვირველია, ეჭვის შეტანა არ შეიძლება იმაში, რომ მატიანეში მოთხრობილი ამბავი კონსტანტინეს ჰერეთს ლაშქრობისა და ერედვის წარწერის კონსტანტინეს ჰერეთს ლაშქრობის შესახებ, ერთიდაიგივე

---

[304] რ. მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი, ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის სამშენებლო წარწერა, 1044.

[305] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, შიდა ქართლის წარწერები. საისტორიო მოამბე, II 1924.

ფაქტს მოგვითხრობენ. მაგრამ რამდენად შეიძლება მატიანეში მოთხრობილი ჰერეთს ლაშქრობა (და ამდენად ერედვის წარწერის ჰერეთს ლაშქრობაც) დავათარიღოთ 906 წლით. ამ ამბების 906 წლით დათარიღება ეჭვს იწვევს. ასეთ თარიღს თითქოს ეწინააღმდეგება ფაქტებისა და მოვლენების თანამიმდევრობა. „მატიანე ქართლისა“-ს მიხედვით კონსტანტინე აფხაზთა მეფე იპყრობს ქართლს, რის გამოც ბრძოლა აქვს სუმბატ სომეხთა მეფესთან. სუმბატ-კონსტანტინეს ბრძოლა ზავით მთავრდება. „მას ჟამსა გამოვიდა კონსტანტი, აფხაზთა მეფე, დაიპყრა ქართლი, და ემტერა სომეხთა მეფე სუმბატ ტიეზერაკლი; გამოილაშქრა სპითა დიდითა, მოადგა უფლის-ციხესა, მოიღეს პალანკურდანი, აღმოაგეს ზემო-კერძო და წარიღეს ციხე ჯერჯითა. ხოლო კეთილად იმზახნეს სუმბატ და კონსტანტი, და უკუმოსცა უფლის-ციხე და ყოველი ქართლი“ [306]. ამას მოსდევს ცნობა აბულკასიმის ლაშქრობის შესახებ, „ხოლო ამისა შემდგომად მოვიდა ამირა აგარიანი“ [307]. მოუთხრობს რა ავტორი საჯი ამირის მიერ საქართველოს მორბევას და სუმბატის ძელს აღბმას, დასძენს: „შემდგომად ამისა, ვითარ გარდაჴდეს წელნი რაოდენნიმე და მოეშენა ქუეყანა“ [308] და შემდეგ იწყება ჰერეთს ლაშქრობის თხრობა „მაშინ უკმო კუირიკე ქორეპისკოპოსმან კოსტანტი აფხაზთა მეფეს ჩავიდეს ჰერეთად...“ [309].

ასეთი თანამიმდევრობითა აქვს ეს ამბები მოთხრობილი X ს. სომეხ ისტორიკოსს და ამ ამბების თანამედროვეს იოანე კათალიკოსს [310]. XI ს. სომეხი ისტორიკოსის სტეფანოს ტარონელის, ასოლიკის, ცნობითაც სუმბატ-კონსტანტინეს ბრძოლასა და დაზავებას მოსდევს 907—915 წწ. ამირა საჯის ლაშქრობა სომხეთსა და საქართველოზე და 915 წ. სუმბატის ძელს აღბმა [311]. ე. ი. ქართლის მატიანეს ცნობათა თანამიმდევრობა (სუმბატ-კონსტანტინეს ომი, ზავი, საჯის ლაშქრობა) დადასტურებას პოულობს იოანე კათალიკოსთან და სტეფანოს ტარონელთან. ქართლის მატიანე საერთოდ

---

[306] მატიანე, გვ. 262.

[307] იქვე.

[308] იქვე, გვ. 264.

[309] იქვე.

[310] ი. აბულაძის გამოცემა, გვ. 32—39.

[311] Всеобщая история Степаноса Таронского. пер. Эмина, Москва, 1864, стр. 111—113.

შემოწმებული წყაროა. აკად. ივ. ჯავახიშვილიც აღნიშნავს, რომ შატიანე სანდო წყაროა და მისი ცნობები სხვა წყაროებთან შეჯერებისას დადასტურებას პოულობენ. ამდენად ჩვენ უფლება არა გვაქვს არ ვენდოთ ამ მემატიანეს, როდესაც ის კონსტანტინეს ჰერეთს გალაშქრებას საჯის შემოსევის შემდეგ სდებს და აზუსტებს „შემდგომად ამისა (ე. ი. ამირა საჯის შემოსევისა) ვითარ გარდაჴდეს წელნი რაოდენნიმე და მოეშენა ქუეყანა.

მაშინ უკმო კუირიკე ქორეპისკოპოსმან კოსტანტი აფხაზთა **მეფესა, ჩავიდეს ჰერეთად...**" „ხოლო შემდგომად ამისსა მცირედთა დღეთა მიიცვალა კონსტანტი აფხაზთა მეფე". თუ კონსტანტინეს გარდაცვალების თარიღად ვახუშტისეულ 921 წ. მივიღებთ (რაც, ვფიქრობთ, მართებულია), მაშინ კონსტანტინეს ჰერეთს ლაშქრობა 915—920 წ.-შუა უნდა მომხდარიყო. 915 წ. დამთავრდა ამირა საჯის ლაშქრობა, „გარდაჴდეს წელნი რაოდენნიმე" შემდგომ უკმო კუირიკემ კოსტანტის" და ლაშქრობის დამთავრების „შემდგომ მცირედთა დღეთა მიიცვალა კონსტანტი [312].

მაგრამ რა ვუყოთ ერედვის ეკლესიის წარწერის თარიღს 906 წ. ერედვის ეკლესიის არც წარწერაში შეიძლება ეჭვის შეტანა და არც თარიღში. მაგრამ აქ ერთი გარემოება იჩენს თავს. ერედვის ეკლესიის წარწერა, როგორც ჩანს, შესრულებულია ეკლესიის მშენებლობის დამთავრების შემდეგ. რ. მეფისაშვილი წერს: „წარწერა მოთავსებულია სამხრეთ ფასადის მრგვალ სვეტზე და მის მთელ ზედა ნაწილს გარშემო უვლის... სვეტს მორთული სვეტისთავი ამკობს. სვეტი დადგმულია ბაზისზე. შუა სიმაღლეზე სვეტს მოჩუქურთმებული სარტყელი უვლის: მთელი არე ამ სარტყელიდან სვეტის თავამდე დაფარულია წარწერით" [313]. რომ წარწერა შესრულებულია ეკლესიის მშენებლობის დამთავრების და მისი მოჩუქურთმების შემდეგ, ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ ამომჭრელმა ვერ დასტია წარწერა სვეტის ზედა მონაკვეთში და ის დაუმთავრებელი დასტოვა. „სტრიქონების ირიბმა მიმართულებამ — წერს რ. მეფისაშვილი — შეამცირა ბოლო სტრიქონის უკანსკნელი ასოებისათვის განკუთვნილი არე და ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ სიტყვა

---

[312] ასეთ დასკვნას უნდა უჭერდეს თითქოს მხარს ვახუშტის მიერ კონსტანტინეს ჰერეთს ლაშქრობის 917 წ. დათარიღება.

[313] რ. მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი, ერედვის წარწერა, გვ. 1044.

„ქრონიკონი“ შეწყვეტილია და არც წელიწადის აღმნიშვნელი ასოებია გამოკვეთილი... ამნაირად, უნდა ვიფიქროთ, რომ წარწერა თვით ოსტატს დაუმთავრებელი დარჩენია“ [314]. დაუმთავრებელი დარჩენია იმის გამო, რომ მოჩუქურთმების შემდეგ დარჩენილ არეზე ჭერ დატეულა. ე. ი. ვფიქრობთ, რომ წარწერა ეკლესიის მშენებლობის დამთავრების და მოჩუქურთმების შემდეგაა შესრულებული, წელი კი — საძირკველის დადებისაა აღნიშნული — „მე თეოდორე თაფლაძს-ძემან დავდე საძირკველი წელნი იყნეს ხფი ქრონიკ“.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ 906 წ. საძირკველის დადებასა და ეკლესიის მშენებლობის დამთავრებას და წარწერის შესრულებას შორის მოხდა საამშენებლო წარწერაში მოთხრობილი ამბავი კონსტანტინე აფხაზთა მეფის ჰერეთს ლაშქრობისა.

თუ ამ დასკვნას დავადგებით, შეიძლება ერედვის წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის აშენებაც 906—917 წლებით დავათარიღოთ.

კონსტანტინეს გარდაცვალების შემდეგ მის შვილებს, გიორგისა და ბაგრატს შორის ტახტისათვის ატეხილმა ბრძოლამ დროებით არია აფხაზთა სამეფოს საქმეები. „შემდგომად მცირედთა დღეთა გარდაიცვალა კოსტანტი, აფხაზთა მეფე, და იშლებოდა ქვეყანა. აფხაზეთისა ჟამ რაოდენმე. რამეთუ ესხნეს ძენი ორნი კოსტანტი მეფესა: ერთი უხუცესი და მეორე, რომელი უშვა მეორემან ცოლმან, უმრწემესი. უხუცესსა ერქუა გიორგი, უმრწემესსა ბაგრატ. და იყო მათ შორის ბრძოლა ფიცხელი, რომელი თუითოეულად პოვნა ცხორებასა მათსა“[315].

აფხაზეთის სამეფო სახლის არეულობით სარგებლობენ მისი მეტოქე ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონები და ერევიან ძმებს შორის ბრძოლაში „ხოლო ესე ბაგრატ (კონსტანტინეს შვილი) იყო სიძე გურგენ ერისთავთ-ერისთავისა; უშუელდა გურგენ ყოვლითა ძალითა მისითა, ვიდრე არა მიიცვალა ბაგრატ, არა იყო მშვიდობა (შორის მათსა). და შემდგომად სიკუდილისა მისისა მიიღო სრულობით მეფობა აფხაზთა გიორგი მეფემან“[316].

გიორგი მეფის წინაშე მწვავედ იდგა ქართლის საკითხი. როგორც აღნიშნული გვაქვს, ქართლი გიორგის მამამ, კონსტანტინემ,

---

[314] იქვე, გვ. 1ᲩᲛ46.

[315] მატიანე, გვ. 264—265.

[316] იქვე, გვ. 265.

დაიპყრო X ს. დასაწყისში. მაგრამ, როგორც ჩანს, აფხაზთა მეფეებმა ქართლი დაკარგეს, რადგან გიორგის ისევ უხდება ქართლისათვის ბრძოლა. აფხაზთა მეფეების მეტოქეები, ქართლისათვის ბრძოლაში, სომეხთა მეფეები და ქართველთა მეფეები იყვნენ. აფხაზთა სამეფოს ქართლი უნდა დაეკარგა ან აბულ-კასიმის შემოსევის, ან აფხაზთა სამეფო სახლში ტახტისათვის წარმოებული ბრძოლის დროს. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო ცნობა აქვს ვახუშტის: „ამანვე გიორგი მეფემან, შემდგომად მეფისა ადარნასე კურაპალატის სიკუდილისა დაიპყრა ქართლი“. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოება, რომ ვახუშტი გიორგი აფხაზთა მეფის მიერ ქართლის დაპყრობას ადარნასე ქართველთა მეფის გარდაცვალებას უკავშირებს. ვიცით, რომ აბულ-კასიმის შემოსევის დროს, სუმბატ სომეხთა მეფის და კონსტანტინე აფხაზთა მეფის საპირისპიროდ, ადარნასე ქართველთა მეფემ შემოსეული მტრის მხარე დაიჭირა. შესაძლებელია, ქართლი ადარნასე ქართველთა მეფემ საჯი ამირასაგან მიიღო მოკავშირეობისათვის, ან დაიპყრო იმ დროს, როდესაც აფხაზეთში ტახტისათვის ომი მიმდინარეობდა. ეს ძალიან ხელსაყრელი დრო იქნებოდა ქართველთა მეფისათვის.

აფხაზეთში წესრიგის დამყარებისთანავე, გიორგის წინაშე ქართლის საკითხი დადგა. რადგან ვახუშტი გიორგის მიერ ქართლის დაპყრობას ადარნასე ქართველთა მეფის სიკვდილს უკავშირებს, ამ ფაქტის თარიღად 923/4 წ. (ადარნასეს გარდაცვალებას ივ. ჯავახიშვილი 923 წ. ანგარიშობს) უნდა მივიღოთ. ქართლის ერისთავობა გიორგიმ თავის უფროს ვაჟს კონსტანტინეს მისცა. „ხოლო გიორგი, აფხაზთა მეფემან, მისცა ქართლი ძესა თუისსა უხუცესსა კოსტანტის“ [317].

მაგრამ ქართლის აზნაურებმა გადაიბირეს უფლისწული „და ვითარ დაყო სამი წელიწადი, იწყო მტერობად მამისა თჳსისა და ძებნად მეფობისა. და ვითარ გამოცხადნა საქმე მისი, შედგა იკი უფლისციხეს და შეუდგეს თანა ტბელნი და სხუანი მრავალი აზნაურნი“[318]. გამდგარ კონსტანტინესთან ბრძოლა გიორგი მეფეს ძალიან გაუჭირდა და ბოლოს ისევ ქართლის აზნაურებს შორის არსებული წინააღმდეგობა გამოიყენა „გიორგი მეფემან აბირნა აზნა-

[317] მატიანე, გვ, 266.

[318] იქვე, გვ. 267.

ურნი საზუერელნი“ [319]. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, საზუერელი აზნაურები მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან არიან — უფლისციხის პირდაპირ. „აშკარაა,—წერს ნ. ბერძენიშვილი,—„აზნაურნი საზუერელნი“ მტკვრის მარჯვენა მხრიდან არიან მომდგარნი და აქეთ ეპატიჟებიან კოსტანტინეს. უკანასკნელს სწამს, რომ თუ მტკვრის მარჯვენა ნაპირს გავა და „აზნაურნი საზუერელნი“ მოისურვებენ, ისინი შესძლებენ მის უვნებლად „აფხაზეთში“ გადაჯვანას“ [320].

გიორგი მეფე კახეთისთვისაც იბრძოდა. გიორგი მეფისა და კვირიკე კახეთის ჭორეპისკოპოსის ბრძოლაში გარდაბანელი აზნაურები გიორგი აფხაზთა მეფეს უჭერდნენ მხარს, ხოლო კახეთის აზნაურთა მეორე ჯგუფი „გოდერძი მგდეური, მამა ყანჩაელი, დაჩი კორინთელი, დაჩი და ივანე სხჳლოსელნი, სარ და გრიგოლ ძმანი ფხუნელნი, და მათ თანა ორმოცდაათი აზნაურნი სხუა“[321] კვრიკეს ემხრობოდნენ. კვრიკეს ემხრობოდნენ ქართლის აზნაურებიც. როგორც ცნობილია კახეთისათვის ბრძოლა უშედეგოდ დამთავრდა.

იმავე გიორგის დროს, კონსტანტინეს შემდეგ, ქართლის ერისთავად ლეონ უფლისწული გვევლინება, რომელიც ენერგიულად იბრძოდა კახეთის შემომტკიცებისათვის. „და ვითარ ამას შინა გარდაჴდა ზამთარი, კუალად გაგზავნა ლაშქარი თჳსი, და ძე მისი ლეონ უჩინა წინამძღუარად“[322]. ლეონი წარმატებით იბრძოდა კახეთში „და მოწუა კახეთი“, მაგრამ ამ დროს მას მამის გარდაცვალების ამბავი შეატყობინეს და მან მაშინვე ზავი შეკრა კვირიკესთან „და მასვე ლაშქრობასა შინა მოართუეს ამბავი: მიცვალება დიდისა. და ღმრთისმოყუარისა გიორგი მეფისა. მაშინ მოუწოდა ლეონ ჭორესპისკოპოსსა კუირიკეს; და შეკრბეს ბაზალეთს, ტბისა პირს», თჳთო ცხენოსანითა, და იუბნეს დღე ერთი, ვიდრემდის განუცხადა მიცვალება მამისა თჳსისა, და აჰკიდა სიყუარული, და უქადა ძისა მისისა სიძობა. და ვითარცა ესმა ესე კვრიკეს, გარდაჴდა ცხენისაგან,

---

[319] იქვე.

[320] ნ. ბერძენიშვილი, ერთი უძველესი საბაჟოს მდებარეობისათვის. მუზეუმის მოამბე, X, გვ. 19.

[321] მატიანე, გვ. 269.

[322] მატიანე, გვ. 269.

ეს თაყუანისცემითა მისცა მადლი და განიხარა ზავი და სიყუარულიი. და უფროს პირი მზახობისა"[323].

ნიშანდობლივია, რომ ლეონი როგორც კი მამის გარდაცვალების ამბავს გაიგებს, მაშინვე ზავითა და მეგობრობით ეკვრის კახეთის ქორეპისკოპოსს და დაუყოვნებლივ აფხაზეთს მიეჩქარება. „შეიქცა ლეონ, და ეუფლა მამულსა და სამეფოსა თუისსა, რამეთუ მაშინვე შთავიდა აფხაზეთად"[324]. ჩანს ლეონისათვის ხელისუფლების განმტკიცების პირველ ხანებში საჭირო იყო კავშირი კახეთის ქორეპისკოპოსთან. მაგრამ ლეონს კახეთის დაპყრობის და უშუალო შემოერთების გეგმა არ უარუყვია. როგორც კი განიმტკიცა მდგომარეობა, მან მაშინვე დაარღვია ზავი კახეთის ქორეპისკოპოსთან (ამავე ხანებისათვის მისი ასულიც, კახეთის ქორეპისკოპოსის რძალი, გარდაცვლილიყო) და „კუალად იწყო მტერობად კჳრიკესა და ძებნად კახეთისა, გაილაშქრა სპითა დიდითა, ჩადგა არაგვის პირსა, ასწყჳდა ხერკი, მუხრანი და ბაზალეთი". მაგრამ კახეთის დაპყრობა არ დასცალდა, „მასვე ლაშქრობასა დასნეულდა, შეიქცა გარე და მოკუდა"[325].

საინტერესოა ლეონ აფხაზთა მეფის მოხსენიება კუმურდოს წარწერაში. „შეწევნითა ღმრთისაჲთა იოვანე ებისკოპოსმან დადვა საძირკველი ამის ეკლესიისაჲ, კელითა ჩემ ცოდვილისა საკოჳრისათა, ლეონ მეფისა ზჳობასა, ადიდენ ღმერთმან, ქრონიკონსა რპდ (184), თუესა მაჲსსა, დღესა შაფათსა, ა მთოარისასა ერისთაობასა ზვიადსასა ესე ბალავარი მუნ დაიდვა ქრისტე, შეეწიე მონასა შენსა ამენ"[326]. კუმურდოს წარწერაში ლეონ მეფის მოხსენებასთან დაკავშირებით თ. ჟორდანია წერს: „ალბათ კუმურდოს აშენებაში ლეონს, როგორც ნათესავს გურგენ მეფის და დავით კუროპალატისას, მონაწილეობა მიუღია და ამის გამო მისი სახელი დაუწერიათ მისს კედელზე"[327].

ლეონ აფხაზთა მეფის მოხსენიება კუმურდოს წარწერაში შეპთხვევითი ამბავი არ უნდა იყოს. და არც ლეონის გურგენთან და დავით კურაპალატთან ნათესაობით შეიძლება აიხსნას. რომ ლეონი აქ იხსენიებოდეს როგორც ბაგრატიონების ნათესავი, მაშინ ალბათ

---

[323] იქვე, გვ. 269—270.
[324] იქვე, გვ. 270.
[325] იქვე,
[326] Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, XXV, 1898, გვ. 84. ვ. ცისკარიშვილი ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. გვ. 11.
[327] თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 1892. გვ. 92—93.

ჯერ ის ბაგრატიონები იქნებოდნენ წარწერაში მოხსენებულნი[328]. შესაძლებელია ლეონის ხსენება ამ წარწერაში დაკავშირებული იყოს მის რეალურ მფლობელობასთან ჯავახეთში. ჩვენ სხვა საბუთი ამ დროს ჯავახეთში აფხაზთა მეფეების ხელისუფლების არსებობისა თითქოს არ მოგვეპოვება; საამისო მყარ საბუთს არც ეს წარწერა გვაძლევს, მაგრამ მაინც ნიშანდობლივია, რომ წარწერა იხსენიებს მეფე ლეონს და ზვიად ერისთავს, როგორც ვარაუდობენ გვარად მარუშიანს, ლეონ აფხაზთა მეფის მოხელეს[329].

აფხაზთა მეფეები არც ლეონის გარდაცვალების შემდეგ ღალატობენ თავის ხაზს, რომელიც მიზნად ცალკეული ქართული კუთხეების შემომტკიცებას ისახავს. ქართლისათვის იბრძვის ლეონის მემკვიდრე დემეტრეც: „დაჯდა მეფედ დემეტრე, ძმა ლეონისი, ეუფლა ქართლს“ [330]. გიორგი მეფეს, რომელმაც კარგად იცოდა თუ რა მდგომარეობა იყო მის ქვეყანაში „გაეგზავნეს ორნი შვილნი საბერძნეთს, თეოდოსი და ბაგრატ, რათა მუნ იზრდებოდიან, ამისთჳს რათა შემდგომად სიკუდილისა მისისა, არა იყოს მათ შორის ბრძოლა და ჴდომა“ [331]. მაგრამ „უკმეს ვიეთმე კაცთა ამის ქუეყანისათა, რათა გამოვიდეს ძმასა თჳსსა ზედა[332]....

თეოდოსის მოკავშირეებად, მის ბრძოლაში დემეტრე აფხაზთა, მეფეს წინააღმდეგ, აფხაზთა ტახტის დასაპყრობად, გამოდიან, ქართლის აზნაურებს გარდა, დავით კურაპალატი და კახეთის ქორეპისკოპოსი. აფხაზეთის მეფის გაზრდილი ხელისუფლების ყველა ქართველ მთავარს ეშინია, რადგან მომავალში ყოველი მათგანის სამფლობელო შეიძლება გადაიქცეს აფხაზთა მეფის ექსპანსიის საგნად.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, როდესაც ასეთი დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობს შიდა ქართლისათვის ქართულ-სომხურ სამეფო-სამთავროებს შორის, ქართულ წყაროებში თითქოს არ ჩანს საკუთრივ ქართლის როლი და მისი მონაწილეობა ამ ბრძოლებში. და არც ის ჩანს გარკვევით, თუ ვინ არიან შიდა ქართლის ადგილობრივი ხელისუფალნი.

---

[328] ა. ბაქრაძე, ქართული ეპიგრაფიკა როგორც ისტორიული წყარო, გვ. 48.

[329] გ. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, გვ. 12. 13;

[330] მატიანე, გვ. 270.

[331]. იქვე.

[332]. იქვე.

შიდა ქართლის ადგილობრივ ხელისუფლებასთან დაკავშირებით დგება ტბელების საგვარეულოს მნიშვნელობის გარკვევის საკითხი ამ დროის ქართლის ისტორიაში.

X ს. 80-იან წლებში ქართლის აზნაურების ბრძოლას, ბაგრატ III ქართლში დამკვიდრების წინააღმდეგ, ხელმძღვანელობს ქავთარ ტბელი. ქართლის აზნაურებს „არა ენება გარდამოსვლა მისი (ბაგრატ I-II-ის), რამეთუ თითოეულად განაგებდეს საჭმეთა ქართლისათა[333]. და ამ აზნაურებმა „იწინამძღურეს ქავთარ ტბელი, მოეგებნეს ბრძოლად და დაუდგეს თავსა ზედა მოღრისასა“ [334].

ტბელების საგვარეულოს წარმომადგენელნი, აფხაზთა მეფის გიორგის შიდა ქართლში დამკვიდრების წინააღმდეგ მებრძოლი აზნაურების, წინამძოლებადაც ჩანან (X ს. 20-იანი წლები). აფხაზთა მეფის მიერ ქართლის ერისთავად დანიშნულ უფლისწულ კონსტანტინეს, რომელმაც „იწყო მტერობად მამისა თვისისა და ძებნად მეფობისა.. შეუდგეს თანა ტბელნი და სხუანი მრავალნი აზნაურნი“[335]. რომ ტბელებს ამ დროს სხვა აზნაურებზე მეტი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეთ ქართლში, ამას თითქოს გვაფიქრებინებს წყაროს დამოკიდებულება მათდამი. მემატიანე ამბობს: „ტბელნი და სხუანი აზნაურნი“. მას საჭიროდ მიაჩნია ტბელების გამოყოფა დანარჩენთაგან ასევე გამოჰყოფს ის ტბელებს აჯანყების დამარცხების შემდეგ. გიორგი მეფემ „აზნაურნი, რომელნი დგეს ციხესა შინა, მინდობით გამოიყვანნა, და ტბელნი განუტევნა მშვიდობით“ [336]. ორივე შემთხვევაში მემატიანე ტბელებს განსაკუთრებით მოიხსენიებს. საფიქრებელია, რომ მას ამის საფუძველს ტბელების „სხვა აზნაურთაგან“ განსხვავებული მდგომარეობა აძლევს.

ტბელების საგვარეულოს ადგილის გარკვევისათვის ამ ხანის შიდა ქართლის ისტორიაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებათ შიდა ქართლის ეპიგრაფიკულ ძეგლებს, სადაც მოხსენებული არიან ტბელების საგვარეულოს სხვადასხვა წარმომადგენლები[337]. ს. ერედ-

---

[333] მატიანე ქართლისა, გვ. 276.
[334] იქვე.
[335] იქვე, გვ. 267.
[336] იქვე. 268.
[337] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, შიდა ქართლის წარწერები. საისტორიო მოამბე II, 1924 წ.; რ. მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის საალმშენებლო წარწერა. სსსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. V, № 10; რ. მეფისაშვილი, ერედვის 906 წ. ხუროთმოძღვრული ძეგლი. ქართული ხელოვნება, IV, 1955; ნ. შოშიაშვილი, ვ. ცისკარიშვილი, სოფ. დოდოთის ცხრაკარას ეკლესიის წარწერა. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე. XIX—A და XXI—B. 1957, გვ. 91—98.

ვის ეკლესიის მაშენებელი 906 წ. საამშენებლო წარწერაში აღნიშნავს: „ქართლსა შინა უფლებასა ტბელისა ივანესა“, და ეს ისეთ კონტექსტშია მოყვანილი, რომ ივანე ტბელი შიდა ქართლის განმგებლად შეიძლება ვიგულვოთ. წარწერა ასეა შედგენილი: „სახელითა ღმრთისაითა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა. მეოხებითა წმიდისა ღმრთის მშობელისაითა, შეწევნითა წმიდისა გიორგისითა, ხელმწიფობასა ღმრთივ დამყარებოლოსა კონსტანტინე მეფისისა... ქართლს შინა ოფლებასა ტბელისა ივანესა, მთავარებისკოსობასა სანატრელსა ყესა, ჯვარითა მისითა, განზრახვითა ნიქოზელისა სანატრელისა სტეფანე ებისკოსისაითა, ძალითა შეწევნითა მოყოასთაითა“ [338]. როგორც ვხედავთ, ეკლესიის აღმშენებელი ჯერ მოიხსენიებს ღმერთს, მამას, ძესა და სული წმინდას, შემდეგ წმინდა გიორგის (ვისი სახელობისაცაა ეკლესია). შემდეგ გადადის საერო ხელისუფლებზე. პირველ რიგში მოიხსენიებს კონსტანტინე აფხაზთა მეფეს და შემდეგ ივანე ტბელს. კონტექსტის თანახმად, ივანე ტბელი, იგივე უფალი, არის კონსტანტინე მეფის შემდეგ პირველი პირი შიდა ქართლში.

იმავე საუკუნის 20-იანი წლებისათვის შიდა ქართლში მდგომარეობა იცვლება. კონსტანტინე აფხაზთა მეფის შემდეგ ტახტზე დამკვიდრებული გიორგი მეფე ქართლში ერისთავად ნიშნავს უფლისწულ კონსტანტინეს. ამიერიდან უკვე აშკარად ჩანს ტბელებისა და აფხაზთა მეფეების ინტერესების დაპირისპირება.

ქართლის აზნაურებმა აამხედრეს კონსტანტინე ბატონიშვილი და აჯანყების დროს მას „შეუდგეს თანა ტბელნი“.

აღნიშნულის საფუძველზე ტბელნი შეიძლება შიდა ქართლის ერისთავებად ვიგულვოთ, აქ აფხაზთა მეფეების მიერ საკუთარი ერისთავების დანიშვნამდე. ამასვე უნდა უჭერდეს მხარს დოდოთის ეკლესიის წარწერა, სადაც მოხსენიებულია „ივანე ტბელი ერისთაჲ“ [339]. ამ ივანე ერისთავის შვილი უნდა იყოს ამავე ეკლესიის მეო-

---

[338] რ. მეფისაშვილი, ერედვის წმ. გიორგის ეკლესიის საამშენებლო წარწერა, გვ. 1045.

[339] რ. მეფისაშვილი ერედვის **906** . ხუროთმოძღვრული ძეგლი გვ. 115; ნ. შოშიაშვილი, ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 91.

რე წაოწერის „ტბელის ძე ქავთარი“ [340]. ტბელები მოხსენიებულნი არიან აგრეთვე ს. ქვემო ტბეთის ბორცვისჯვრის წარწერებში [341].

დოდოთისა და ტბეთის ძეგლებს რ. მეფისაშვილი X—XI სს. მიჯნით ათარიღებს [342], თუმცა ისტორიული რეალიების გათვალისწინებით, ჩვენ უფრო მართებულად გვეჩვენება აღნიშნული ძეგლების წარწერების X ს. დათარიღება [343].

თუ ტბელების შესახებ არსებულ ცნობებს გავადევნებთ თვალს, აშკარა გახდება, რომ X ს. შიდა ქართლში ერთმანეთს უპირისპირდება აფხაზთა მეფეებისა და ადგილობრივი ერისთავების. ტბელების ხელისუფლება. X ს. დასაწყისში (ერედვის წარწერა) ქართლის „უფალი“ ივანე ტბელია. X ს. 20-იან წლებში აფხაზთა მეფის ერისთავს შიდა ქართლში, უფლისწულ კონსტანტინეს „შეუდგეს“ ტბელნი და სხვა აზნაურნი და აამხედრეს მამის წინააღმდეგ „ძებნად მეფობისა“. ქართლის აზნაურთა წყალობით გამეფებული კონსტანტინე ისე რიგად ვეღარ შეზღუდავდა ტბელების ხელისუფლებას. კონსტანტინეს დამარცხების შემდეგ, გიორგი აფხაზთა მეფე უფლისწულ ლეონს ნიშნავს ქართლის ერისთავად [344], ხოლო X ს. 70-იან წლებში ქართლის ერისთავად აფხაზთა მეფის მოხელე ივანე მარუშისძეა [345], და ამ ივანე მარუშისძის და მისი მეფის, ბაგრატის, ქართლში დამკვიდრების წინააღმდეგ იბრძვიან ისევ ტბელები.

ნიშანდობლივია, რომ ერედვის წარწერა კონსტანტინე აფხაზთა მეფის ზეობით იწყებს თხრობას, ხოლო ტბეთისა და დოდოთის წარწერებში მეფის სახელი არსად მოხსენებული არ არის. X ს. ტბელები ქართლში აფხაზთა მეფის ხელისუფლების დამკვიდრების წინააღმდეგ მებრძოლი დასის მეთაურები არიან. როგორც ჩანს, მეფესა და ადგილობრივ ფეოდალებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში, ჩვეულებრივ, ურჩი ფეოდალები თავის წარწერებში მეფეს არ ახსენებენ [346]. აქვე დგება ტბეთის წარწერაში მოხსენიებული ქავთარის ძის

---

[340] იქვე. გვ. 94.

[341] ვ. თოფურია, დასახ. ნაშრ., გვ. 132—134; რ. მეფისაშვილი დასახ. ნაშრ., გვ. 115.

[342] რ. მეფისაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 115.

[343] ნ. შოშიაშვილი, ვ. ცისკარიშვილი. ნაშრ., გვ, 94.

[344] მატიანე, გვ. 268.

[345] მატიანე გვ. 272; იხ. ვ. ცისკარიშვილი. ჯავახეთის ეპიგრაფიკა. გვ. 142.

[346] იხ. ა. ბაქრაძე, ქართული ეპიგრაფიკა, როგორც ისტორიული წყარო. გვ. 79.

სახელწოდების საკითხი. წარწერაშია „პატკნმ ძემან ქავთარისემან“. აკად. ვ. თოფურია ამ სიტყვას კითხულობს „პატკანმან“ (?) რ. მეფისაშვილი კი — „პეტრიკმან“ და თვლის, რომ აქ ეს არის არა ტიტული „პატრიკი“ — არამედ საკუთარი სახელი „პეტრიკი“ [347]. დასაშვებია მართლაც საკუთარი სახელის „პეტრიკის“ არსებობა, მაგრამ, ვფიქრობთ, არც ტბელების „პატრიკიოსობა“ შეიძლება იყოს გამორიცხული.

ამდროინდელი ტბელების პატრიკობასთან დაკავშირებით გვახსენდება ფეოდალური ქართლის პირველი ერისმთავრების პატრიკიოსობა. ხომ არ შეიძლება, რომ ამ ეპოქის შიდა ქართლის ერისთავების, ტბელების პატრიკიოსობა, რამენაირად ეხმაურებოდეს ძველი ერისმთავრების პატრიკიოსობას.

წყაროების სიმცირის გამო ძნელია გადაჭრით რაიმეს თქმა, მაგრამ მაინც ნიშანდობლივ გარემოებად უნდა მივიჩნიოთ X—XI საუკუნეების საქართველოს სხვადასხვა კუთხეების განმგებელთა შორის ბიზანტიური საკარისკაცო ტიტულების მომრავლება. მაგალითად, X ს. ჰერეთის პატრიკი ადარნასე [348]; კახეთის მეფე კვირიკე მაგისტროსი [349] (ალარას ვამბობთ ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებზე). ხომ არ არის ეს ბიზანტიის იმპერიის ერთ-ერთი დიპლომატიური სვლა, მიმართული გაძლიერებული აფხაზთა მეფეების წინააღმდეგ?

როგორადაც არ უნდა გადაწყდეს საკითხი ამ სიტყვის წაკითხვის შესახებ, ე. ი. იქნება ეს ტბელი ქავთარის-ძე პატრიკიოსი თუ არა, ტბელების ერისთავობა, როგორც ამ დროის შიდა ქართლის მფლობელებისა, გამორიცხული მაინც არ უნდა იყოს[350].

ტბელების სიძლიერეზე და მათი სახლის მნიშვნელობაზე ამ ხანაში მათ სახელთან და სამფლობელოსთან დაკავშირებული მატერიალური კულტურის ძეგლების სიმრავლე მეტყველებს. ტბელების სამფლობელოს „დაახლოებით მდ. დიდი და პატარა ლიახვის შუა

---

[347] რ. მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 115.

[348] მატიანე, გვ. 264.

[349] თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბერძნული წარწერები საქართველოში. თბ., 1951, გვ. 148—149.

[350] ტბეთის წარწერის „პატკნმ“ სიტყვის საკითხში გადაწყვეტილი აზრი არც ნ. შოშიაშვილსა და ვ. ცისკარიშვილს აქვთ. ისინი წერენ: „პატრიკი ივანე ტბელის ტიტულად უნდა მივიჩნიოთ. რაც საეჭვოდ ჩანს“, ხოლო იქვე სქოლიოში აღნიშნავენ: „თუმცა ეს გამორიცხულად არ მიგვაჩნია“, გვ. 98.

წელის ტერიტორია ეკუთვნოდა“ [351]. მათი გაძლიერებისათვის გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ტბელების სამფლობელოზე გარდამავალ გზას ჩრდილოეთ კავკასიისაკენ [352]. ეს ხეობა კარგად ყოფილა გამაგრებული ციხეებითა და გალავნებით [353]. ტბელების სახელთან დიდი საამშენებლო საქმიანობაა დაკავშირებული: ერედვის წმ. გიორგის ეკლესია, სოფ. ხეითის საბა-წმინდა, ერედვის ე. წ. ბერის საყდარი, ზემო ნიქოზის მცირე გუმბათიანი ტაძარი, დოდოთის ცხრაკარა, ივანე ტბელის აგებული, სოფ. ტბეთის დიდი ეკლესია და აგრეთვე სხვა, ნაკლებად მნიშვნელოვანი ძეგლები [354]. ეს ტბელები, როგორც შიდა ქართლის ერისთავები, ხელმძღვანელობენ შიდა ქართლის აზნაურთა ბრძოლას აფხაზთა მეფეების წინააღმდეგ. „რამეთუ თითოეულად განაგებდეს საქმეთა ქართლისათა“, და რაც მთავარია, „მათ კარგად იცოდნენ, რომ შიდა ქართლში გადმოსული მეფე მოიკითხავდა სამეფო ქვეყანას, რომელიც დიდი ხანია, დიდაზნაურებს დაჩემებული ჰქონდათ“ [355].

ამ ტბელების აღზევება შიდა ქართლის ერისთავებად IX ს. უკავშირდება. სწორედ IX ს. დასაწყისში გაუქმდა ქართლის ერისმთავრის ხელისუფლება და, შესაძლებელია, ამის შემდეგ იწყება შიდა ქართლის ძლიერი ფეოდალური სახლის, ტბელების, გაძლიერება და მათი გაერისთავება. უკვე 906 წ. წარწერაში ისინი „ქართლის უფალის“ სახელწოდებით იხსენებიან“ [356]. ხოლო X ს. დასასრულს, ბაგრატ III ქართლში გამეფების შემდეგ, მათი ერისთავობა საგულვებელი აღარაა [357].

ამ ეპოქის შიდა ქართლის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქ. უფლისციხე. უფლისციხე უნდა იყოს შიდა ქართლის პოლიტიკური ცენტრი [358].

---

[351] რ. მეფისაშვილი. დასახ. ნაშრომი, გვ. 102.

[352] ვახუშტი, გეოგრაფია, გვ. 78.

[353] რ. მეფისაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 102.

[354] იქვე, გვ. 101.

[355] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, გვ 138.

[356] რ. მეფისაშვილი, ერედვის წმ. გიორგის... გვ. 1045; ნ. შოშიაშვილი, ვ. ცისკარიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 93.

[357] იქვე, გვ. 94.

[358] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 32; Н. Бердзенишвили, В. Дондуа, Очерки... გვ. 511, და სხვა.

უფლისციხეს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შიდა ქართლისათვის.

შიდა ქართლისათვის მებრძოლი ბაგრატ კურაპალატი, მუჰამედ ხალიდის ძესთან კავშირში, IX ს. 40-იან წლებში, უფლისციხეს იკავებს; „ხოლო მოჰამედ და ბაგრატ წარიღეს უფლისციხე“[359], წერს ქართველი მემატიანე.

შიდა ქართლში მებრძოლი აფხაზთა მეფე კონსტანტინე და სომეხთა მეფე სუმბატ ბაგრატუნი (X ს. დასაწყისი) უფლისციხისთვის იბრძვიან. „მას ჟამსა გამოვიდა კოსტანტი, აფხაზთა მეფე, დაიპყრა ქართლი, და ემტერა სომეხთა მეფე სუმბატ ტიეზერაკალი; გამოილაშქრა სპითა დიდითა, და მოადგა უფლის ციხესა, და მოიღეს პალან-კურდანი, აღმოავეს ზემო-კერძო და წარიღეს ციხე ჴერხითა“[360]. ხოლო დაზავების შემდეგ, სუმბატმა „უკუმოსცა (კონსტანტინეს. — მ. ლ.) უფლისციხე და ყოველი ქართლი“[361].

ამირა აბულ-კასიმ აბუსაჯის-ძის ქართლში შემოსევის დროს „მოარღვნეს ზღუდენი უფლის ციხისანი, რომელ არა დაიმჭირონ“[362].

ჩანს, ქართლში განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გამაგრებას უფლისციხეში. უფლისციხეშივე გამაგრდა, გიორგი აფხაზთა მეფის წინააღმდეგ, ქართლში გამეფების მოსურნე, კონსტანტინე უფლისწული (X ს. 20-იანი წლები)[363].

X ს. 70იან წლებში ქართველ მეფემთავართა შორის ქართლისათვის წარმოებულ ბრძოლას ქართველი ისტორიკოსი უფლისციხისთვის წარმოებულ ბრძოლად თვლის[364], ხოლო ბაგრატ ბაგრატიონის (ბაგრატ III) ქართლში გამეფებისას, დავით კურაპალატის „აიღო მისგან (ქართლის ერისთავ იოანე მარუშისძისგან.—მ. ლ.), უფლისციხე და მიუბოძა ბაგრატს“[365].

უფლისციხეშივე იჯდა ბაგრატ III მიერ ქართლის განმგებლად დატოვებული დედოფალი გურანდუხტი[366].

---

[359] მატიანე, გვ. 255.
[360] იქვე, გვ. 262.
[361] იქვე.
[362] იქვე, გვ. 263.
[363] იქვე, გვ. 267.
[364] იქვე, 272.
[365] იქვე.
[366] იქვე, გვ. 275.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართლის აზნაურების ბრძოლას აფხაზთა ექსპანსიის წინააღმდეგ ტბელების (ყოფილი ერისთავების) საგვარეულოს წარმომადგენელნი უდგანან სათავეში. მათ უპირისპირდებიან აფხაზთა მეფეების მიერ ქართლში დანიშნული ერისთავები, რომელთა ერთ-ერთი წარმომადგენელი უნდა იყოს იოანე მარუშის ძე. სწორედ ამ იოანე მარუშის ძემ წამოაყენა საქართველოს გაერთიანების ის გეგმა, რომელიც ბაგრატის გამეფებას გულისხმობდა. იოანე მარუშის ძე უდგა მხარში დავით კუროპალატსა და ბაგრატ ბაგრატიონს ამ გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

იოანე მარუშის ძის და დავით კუროპალატის შეერთებულ ძალას თავი მოარიდეს ამ დროს ქართლისათვის მებრძოლმა კახელებმა. „ესევე ივანე მარუშის ძე ეძებდა ბაგრატს მეფედ“ — წერს მემატიანე, „და ვითარცა მოისმინა დავით კუროპალატმან სიტყუა ივანე მარუშის-ძისა, წარმოემართა ძალითა თჳსითა ყოვლითა, და მოვიდა ქართლად და რაჟამს ცნეს მოსვლა მისი კახთა, წარვიდეს ვითარცა მეოტნი და დაუტევეს ქართლი“[367].

ბაგრატის გამეფების წინააღმდეგაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ისევ ტბელები გამოდიან და ამ ბრძოლას სათავეში ისევ ტბელები უდგებიან. ქართლის აზნაურებმა „იწინამძღვრეს ქავთარ ტბელი“, მაგრამ, როგორც ცნობილია, მათი ეს ბრძოლა მარცხით დამთავრდა.

ეს ბაგრატი პირველია, რომელიც უკვე იწოდება მეფედ „აფხაზთა და ქართველთა“[368].

---

[367] მატიანე, გვ. 272

[368] იქვე, გვ. 278.

IV

კულტურა და იდეოლოგია

-ის მნიშვნელოვანი ძვრები და ცვლილებები რომელთაც ადგილი ჰქონდათ IX—X სს. საქართველოს სოციალურ, ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში გარკვეულ გავლენას ახდენდნენ კულტურის განვითარებაზე, საზოგადოებრივ აზროვნებაზე, იდეოლოგიაზე.

VIII—IX სს. წარმოადგენენ გარკვეულ მიჯნას ქართული კულტურის ისტორიაში. „ქრისტიანობის დროის ქართული ხელოვნების ისტორია — წერს აკად. გ. ჩუბინაშვილი, განაწილდება ორ დიდ ხანად: ეს არის ძველი ხანა მე-IV საუკუნიდან მე-IX საუკუნემდე და ახალი IX საუკუნიდან XIX საუკუნემდე„[1].

ე. ი. IX ს. წარმოადგენს გარდამავალ ეტაპს ქართული კულტურის ერთ-ერთი ძირითადი დარგის, ხელოვნების (ამ შემთხვევაში ხუროთმოძღვრების) განვითარებაში.

აღსანიშნავია ამ ხანის ქართული ხუროთმოძღვრების აშკარად გამოხატული ეროვნული ხასიათი. თუ ადრინდელი ხანის ქართული ხუროთმოძღვრება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ბიზანტიის, სირიის, ირანის ხელოვნებასთან, ეხლა IX—X საუკუნეებში უკვე დამოუკიდებელ სახეს იღებს და საქართველოს მოწინავე რაიონებში—აფხაზეთში, ტაო-კლარჯეთში, ზემო ქართლში — თავის საუკეთესო ნიმუშებში აღწევს არა მხოლოდ უმაღლეს სრულყოფას, არამედ აშკარად გამოხატულ დამოუკიდებლობას[2].

---

[1] გ. ჩუბინაშვილი, რამდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან. თბ., 1926. გვ. 20.

[2] Н. Бердзенишвили, В. Дондуа, Культура Грузии VII—IX вв. Очерк . . . გვ. 528.

აღნიშნული გარემოება, ხელოვნებაში აშკარად გამოხატული ეროვნული ხასიათის გამოვლინება, სრულიად კანონზომიერად უკავშირდება IX—X საუკუნეების საქართველოს საერთო კულტურულ განვითარებას და, კერძოდ, ეროვნული ელემენტის გაძლიერებას საზოგადოებრივი აზროვნების თუ იდეოლოგიის ყველა დარგში.

ახალი ეტაპია VIII—IX სს. ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში. „ეს ხანა,—წერს აკად. კ. კეკელიძე,—არის ეროვნული ხანა ჩვენი მწერლობისა“ [3].

ის ტეხილები და ძვრები, რომელთაც ადგილი ჰქონდა IX—X სს. საქართველოს სოციალურ და ეკონომიურ განვითარებაში, რაც ადრეფეოდალურიდან განვითარებული ფეოდალიზმის საფეხურზე გადასვლაში და ქართული ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს შექმნაში გამოიხატა, თავის გამოვლინებას პოულობს ხელოვნებასა და ლიტერატურაში.

აღსანიშნავია ამ ხანის ქართული ხელოვნების ცალკეული დარგების სწრაფი განვითარება, განსაკუთრებით მაღალ დონეზე ადის საამშენებლო ხელოვნება. როგორც აღვნიშნეთ, IX—X სს. საქართველოში ხუროთმოძღვრების განვითარების ახალი ეტაპია [4] ამ ხანას უკვე ორსართულიანი სახლები ახასიათებს. ხშირდება ამ დროის ქართულ წყაროებში სამშენებლო საქმის ხელოსანთა მოხსენიება [5].

საამშენებლო საქმის შემდგომ დაწინაურებას მოწმობს აგრეთვე აგურის გამოყენება ფართო სამეურნეო მნიშვნელობით.

უმჯობესდება თიხის ნაწარმის წარმოებაც. მოჭიქული კერამიკის წარმოება, რაც IX—XII სს. განვითარების მაღალ დონეს აღწევს, ამ ხანაშიც საკმაოდ განვითარებული სახითაა წარმოდგენილი.

ხელოსნობისა და ხელოვნების დარგების ხანგრძლივ ისტორიასა და განვითარების მაღალ დონეს მოწმობს ისეთი ფაქტი, როგორიცაა XI ს. ჩვენში სამი ოქრომჭედლური სკოლის არსებობა [6].

---

[3] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, თბ. 1960, გვ. 51.

[4] გ. ჩუბინაშვილი, ქართული ხელოვნება საშუალო საუკუნეებში, „არილი“, 1925, გვ. 107—108. Ш. Амиранашвили, История грузинского искусства. М., 1950, стр. 143, 146.

[5] ბასილ ზარზმელი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება. თბ., 1935, გვ. 167. 179.

[6] შ. ამირანაშვილი, ბექა ოპიზარი, გვ. 38—39.

IX ს. ქართულ ხელნაწერთა შემკობა იწყება[7]. ხოლო დაახლოებით X—XI სს. ჩვენში ეტრატის პარალელურად ქაღალდიც იხმარება, რაც დიდად უწყობს ხელს სამწერლობო საქმის შემდგომ გაფართოება-დაწინაურებას.

ხელსნობისა და ხელოვნების ნიმუშების მაღალი ტექნიკით ნაკეთობა და დიდი რაოდენობით არსებობა ცალკეულ დარგებში დასპეციალებაზე მიგვითითებს. ქართული ხელოვნების განვითარების ახალი, მაღალი საფეხური სრულიად აშკარად ვლინდება გაერთიანების ხანის არქიტექტურის, კედლის მხატვრობის, ხელნაწერთა მინიატურების, რელიეფური ქანდაკების, ოქრომჭედლობის და სხვა დარგების განვითარებაში[8].

IX—X საუკუნეების საქართველოს ისტორიული განვითარება ქვეყნის გაერთიანებისაკენაა მიმართული და ცხოვრების ყველა მხარეში გამაერთიანებელი ტენდენციები ვლინდება.

IX—X საუკუნეებში მტკიცდება ქართული ეროვნული თვითშეგნება. ვითარდება საკუთარი სარწმუნოების, კულტურის, ქართული ენის ღირსება-უპირატესობის შეგნება; ქართული მიწა-წყლის გაერთიანებასთან ერთად ფართოვდება „ქართლის“, „ქართველის“ ცნება და მუშავდება „საქართველოს“ ცნება. ყველა ეს და მსგავსი ფაქტორები, სხვა ხასიათის მოვლენებთან ერთად, საფუძველს ქმნიან IX—X საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიის განვითარებისათვის.

IX—X საუკუნეებში ქართულმა ისტორიოგრაფიამ განვითარების მაღალ საფეხურს მიაღწია—„მონოგრაფიული შესწავლიდანა ჩანს აგრეთვე,—წერს ივ. ჯავახიშვილი,—რომ ქართულ საისტორიო წერლობას მას შემდგომ, რაც VIII საუკუნეში წარმატება დაეტყო. აღარ შეჩერებულა და იოანე საბანისძისგან მოყოლებული თანდათან შეუფერხებლივ წინაურდება და უკვე X საუკუნეში ქართულად საღვთო-ცხოვრო დაწერილი საეკლესიო-საისტორიო თხზულებები მოიპოვებოდა“[9]. ამ ხანის ქართული საისტორიო მწერლობა ძირითადად წმინდანთა „მარტვილობებითა“ და „ცხოვრებებითაა“ წარმოდგენილი.

---

[7] რ. შმერლინგი, ქართულ ხელნაწერთა მორთულობა, გვ. 17.

[8] შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია. გვ. 151—224, თბ., 1961.

[9] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. თბ. 1945. გვ. 28.

ეს წმინდანთა ცხოვრება-წამებები თავისი შინაარსითა და ხასიათით სამ ძირითად ჯგუფად შეიძლება დაიყოს. ერთი ჯგუფი უკავშირდება ჩვენში ქრისტიანული სარწმუნოების შემოსვლა-დამკვიდრების ხანას, მეორე—მაჰმადიანობასთან ბრძოლის იდეას და მესამე — ამ ხანის დიდ საეკლესიო მოღვაწეთა ცხოვრების აღწერას.

პირველ ჯგუფს განეკუთვნება „ცხრა ძმა კოლაელთა მარტვილობა“ და „წმინდა ნინოს ცხოვრება“, მეორეს — „კონსტანტინეკახას მარტვილობა“, „გობრონის მატვილობა“, მესამეს — ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „ილარიონ ქართველის ცხოვრება“.

ცალკე დგას თავისი ხასიათით, სომხურ-ქართულ საეკლესიო პოლემიკასთან დაკავშირებით აღმოცენებული, არსენ კათალიკოსის „სომხური და ქართული ეკლესიების გაყოფის ისტორია“, ისეთი საერო-საისტორიო თხზულება, როგორიცაა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და იოანე ზოსიმეს „ქართული ენის ქება“.

ჯერ კიდევ ადრე, V—VI სს. მაზდეანობასთან ჰიდილში, ხოლო განსაკუთრებით არაბთა შემოსევების ხანიდან, ქრისტიანული რელიგია მაჰმადიანური მძლავრების წინააღმდეგ ამიერკავკასიის ქრისტიან ხალხთა გამაერთიანებელ-მებრძოლ იდეოლოგიად იქცა. ქართული ქრისტიანობა საისტორიო მწერლობაში მაჰმადიანობის წინააღმდეგ მებრძოლ რელიგიად იოანე საბანისძემ გამოაცხადა IX—X საუკუნეების ისტორიკოსები აგრძელებენ იოანე საბანისძის იდეურ ხაზს.

IX—X სს. ქართული ისტორიოგრაფია ფეოდალურ ურთიერთობათა აღმავალი განვითარების ეტაპის გამომხატველია და მასში ასახულია ამ ხანის იდეური მისწრაფებანი.

გაერთიანების ხანის ქართულმა ისტორიოგრაფიამ განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურს მიაღწია. ამ ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში შემუშავებულ იყო თეორიული მოძღვრება საისტორიო ნაწარმოების წერის მეთოდების შესახებ [10]. ამ ხანის საისტორიო ნაწარმოებებს ახასიათებთ ფორმების დახვეწილობა. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მათში წამოჭრილია რიგი თეორიული საკითხები. მაგალითად, მოცემულია მსჯელობა ზოგადად სასულიერო-საისტო-

[10] იქვე, გვ. 18.

რიო მწერლობის წარმოშობაზე [11]. ფეოდალურ საქართველოს გაერთიანებასა და ერთიანი ქართველი ხალხის საბოლოო ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, ისტორიოგრაფიაში წინა პლანზეა წამოწეული პატრიოტული სულისკვეთების ამსახველი მომენტები: ქართველი ხალხის ბრძოლა და პატრიოტების თავდადება საკუთარი ქვეყნისა და სარწმუნოებისათვის (კონსტანტინე-კახის, გობრონის მარტვილობა...)., ქართველ ქრისტიან მოღვაწეთა პატივისცემა-დაფასება (სერაპიონ ზარზმელი, გრიგოლ ხანძთელი, ილარიონ ქართველი), ქართული კულტურის დაფასება (ქართული ენის ქება...)... ამ ხანის ისტორიოგრაფია აყენებს ქართული ქრისტიანობის სიწმინდე-შეურყევლობისა და საკუთარი განმანათლებლის იდეას, და მრავალ ისეთ საკითხებს, რომელნიც ეპოქის ისტორიული განვითარების ამსახველი არიან.

ფეოდალური საქართველოს გაერთიანების და მთელი საქართველოს მასშტაბით ერთიანი, ძლიერი საერო ხელისუფლების ჩამოყალიბების პერიოდში, საქართველოში მწვავედ დგება საერო და სასულიერო ხელისუფლების ურთიერთობის საკითხი. როგორც თავის ადგილას აღვნიშნეთ, ქართული ეკლესია საქართველოს გაერთიანების მომხრე და ცენტრალური ხელისუფლების ერთ-ერთი ძირითადი დასაყრდენია მის ბრძოლაში ქვეყნის გასაერთიანებლად. მაგრამ მიუხედავად ამისა, ერთიანი საერო ხელისუფლების არ არსებობის პირობებში, ცალკეულ სამთავროებში ეკლესია, და განსაკუთრებით ეკლესიის შავი ფრთა, ცდილობს დაუპირისპირდეს საერო ხელისუფლებას და უპირატესობა მოიპოვოს მასზე.

აღსანიშნავია, რომ IX—X სს. ქართული ჰაგიორგაფიული მწერლობა ამ მიმართულებით გარკვეულ ტენდენციურობას ამჟღავნებს. ეს საკითხი მეტნაკლებად წამოჭრილია ბასილ ზარზმელის „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“-ში და გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“-ში.

საერო და სასულიერო ხელისუფლების დაპირისპირების საკითხს, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ ავტორის, გიორგი მერჩულეს აზროვნებაში საკმაოდ ვრცლად იხილავს პროფ. შ. ნუცუბიძე[12].

---

[11] კონსტანტინე-კახის მარტვილობა, ს. ყუბანეიშვილის გამ., გვ, 74.

[12] შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, 1, თბ., 1956.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შ. ნუცუბიძე წერს: „საერო და სასულიერო ძალა-უფლებათა შორის შეტაკება-დაპირისპირებას იცნობს საშუალო საუკუნეთა საქართველოც. გ. მერჩულე ამის შესახებაც საინტერესო ცნობებს გვაწვდის. საქმე ეხება მეფისადმი მიმართვას, რომელიც მოხსენებულია გ. ხანძთელთან დაკავშირებით და სადაც გამოსჭვივის საეკლესიო ძალაუფლების უპირატესობის იდეა საეროს მიმართ. აქ აღნიშნულია, რომ საერო მეფე დიდია, მაგრამ იგი მხოლოდ მიწიერი და მიწიერთა მფლობელია. ქრისტე კი,—ნათქვამია იმავე ძეგლში,—მფლობელია როგორც მიწისა, ისე ზეცისა და ქვესკნელისაც კი. ამ საერთო მითითებას უფრო კონკრეტულ-ისტორიული ვათარება ახასიათებს: მეფე, რომელიც მიმართვის ადრესატია, მფლობელია მხოლოდ ქართველთა ზედა, ქართული მოდგმისა, ხოლო უფალი — ყოველთა მოდგმათა. ამ კონკრეტულ ამბავს კვლავ მისდევს ზოგადფილოსოფიური დასაბუთება: მეფე მფლობელია დროთა შიგან მედინისა, ხოლო ქრისტე — უფალია მარადიულისა ზედა“[13]. როგორც შ. ნუცუბიძე დასძენს: „ეს ტიპიური არგუმენტაციაა, საეკლესიო დიქტატურის გამომხატველი“[14].

პროფ. შ. ნუცუბიძის აზრით: „ქართული იდეა ეკლესიის უპირატესობის შესახებ საერო, სამეფო უფლებაზე არაპირდაპირი ანარეკლია ბრძოლისა, რომელიც საქართველოს სინამდვილეში ჩაისახა და განვითარდა X საუკუნისათვის, როცა დიდაზნაურთა ერთი ტოტი — ბაგრატოვანნი — სამხრეთ საქართველოზე დამყარებულნი, აღორძინდებიან საქართველოს გასაერთიანებლად ერთმმართველობის დროშის ქვეშ. ეკლესიას არ შეეძლო ბატონობის ადვილად დათმობა და სამეფო ძალაუფლებას ბრძოლით შეხვდა“[15], და საბოლოოდ შ. ნუცუბიძე ასკვნის: „ამ ბრძოლის იდეოლოგიურ გამართლებას წარმოადგენდა ქართული ცეზარო-პაპიზმი“[16]. როგორც თვით შ. ნუცუბიძე აღნიშნავს, სამართლიანად, ე. წ. „ცეზარო-პაპიზმმა“ საქართველოში ვერ გაიმარჯვა. მაგრამ ჩვენი აზრით, აქ მხოლოდ ცეზარო-პაპიზმის გამარჯვების საკითხი არ დგას.

---

[13] იქვე, გვ. 356.
[14] იქვე, გვ. 357.
[15] იქვე.
[16] იქვე.

ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებობს აზრი, რომ ტაო-კლარჯეთის მხარე არაბთა შემოსევებისა და მფლობელობის შედეგად უკაცრიელ-ამოწყვეტილი იყო [17].

ასეთ თვალსაზრისს თავისი საფუძველი აქვს.

ქართველი ისტორიკოსები, რომელნიც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ამ პერიოდზე მოგვითხრობენ „განმანათლებელთა“ ღვაწლის უკეთ წარმოჩენის მიზნით, ძალიან მუქი ფერებით აღწერენ ამ მხარის მდგომარეობას.

სუმბატ დავითისძე, ბაგრატიონთა გვარის მემატიანე, წერს: „ხოლო კევი შავშეთისა უშენებელი იყო მაშინ გარეშე მცირედთა სოფელთასა, რამეთუ სპარსთა უფლებისასა აოჯრდა, ოდეს იგი ყრუმან ბაღდადელმან შემუსრნა ციხენი ყოველნი და მოვლო შავშეთიცა და ღადონი, და კუალად შემდგომად მისსა სრვამან სატლობოსამან მოაოჯრა შავშეთი, კლარჯეთი და მცირედღა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ“ [18]. სუმბატ დავითის-ძეს ასეთი შემზარავი სურათის დახატვა ამ მხარის „განმაახლებლის“, აშოტ ბაგრატიონის განდიდების მიზნისათვის ესაჭიროება.

ქართული სასულიერო მწერლობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ცხოვრების გამოცოცხლების მთელ დამსახურებას სამონასტრო კოლონიზაციას მიაწერს. გიორგი მერჩულე ხანძთის მშენებლობასთან დაკავშირებით წერს: „რამეთუ მას ჟამსა სხუა მონასტერი არა შჱნ იყო მათ ქუეყანათა თჳნიერ ოპიზისა. და არცა მსოფლიონი ერის-კაცნი ახლვიდეს ახლად შჱნებისა თჳს მათ ქუეყანათასა. რამეთუ კლარჯეთს და ტაოთა შინა და შავშეთს და ყოველთა მათ მახლობელთა ქუეყანათა მცირედნი იპოვებოდეს დაშენებული ტყეჰა შინა ადგილ-ადგილ [19].

ჩვენ, რასაკვირველია, არ უარვყოფთ იმ გარემოებას, რომ VIII ს. დასასრულისა და IX საუკუნის დასაწყისისათვის სამხრეთ-დასავ-

---

[17] გ. მ ე რ ჩ უ ლ ე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. ნ. მარის გამ., გვ. ია. სუმბატ დავითისძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ. ე. თაყაიშვილი, გამ. მასალების საქ. და კავკ. ისტ., ნ. 27, გვ. 61.

[18] ს უ მ ბ ა ტ დ ა ვ ი თ ი ს-ძ ე, ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა, მას. 27, გვ. 61.

[19] გ. მ ე რ ჩ უ ლ ე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. ნ. მარის გამ., გვ. ია.

ლეთი საქართველო საგრძნობლადაა დაზარალებული არაბთა შემოსევების შედეგად, მაგრამ აქვე აღვნიშნავთ, რომ ის უკაცრიელიც არაა (იხ. ზემოთ). „მცირედღა დარჩეს კაცნი ადგილ-ადგილ-ა-ვ-ბობს სუმბატ დავითის-ძე და იმ დაშთენილებმა „დაშთომილთა მათ მკვიდრთა შავშეთისა შეიწყნარეს იგი“[20] (აშოტ ბაგრატიონი). გიორგი მერჩულეც აღიარებს, რომ „კლარჯეთს და ტაოთა შინა და შავშეთს და ყოველთა მათ მახლობელთა ქუეყანათა მცირედნი იპოვებოდეს დაშენებული ტყეთა შინა ადგილ-ადგილ“[21]. ასე რომ მხარის კოლონიზაცია ცარიელ ადგილზე არ დაწყებულა. აგრეთვე, წინააღმდეგ მერჩულეს თხრობისა, ამ კოლონიზაციის პიონერები სასულიერო პირები არ არიან.

ძლიერ სამონასტრო მოძრაობასა და მშენებლობას წინ საერო კოლონიზაცია უსწრებდა.

როგორც ფიქრობენ, ქართლიდან ტაო-კლარჯეთში მოსახლეობის დენის ერთი ეტაპი დაახლოებით VIII ს. მეორე ნახევრიდან იწყება: იმ დროიდან, როდესაც აბასიანთა ხელისუფლების დამყარებასა და თბილისის საამიროს, როგორც პოლიტიკური ერთეულის შექმნას, არაბთა ხელისუფლების შედარებით დამძიმება მოყვა. უშუალოდ არაბთა უღელქვეშ მოქცეული ქართლის ცენტრალური რაიონებიდან მოსახლეობა გარბის მეტ-ნაკლებად და თავს აფარებს არაბებისაგან შედარებით უფრო მოშორებულ რაიონებში. წყაროებში ეს პროცესი, როგორც აღნიშნულიც გვაქვს, სრულად ასახული არ არის. მაგრამ თითო-ოროლა ფაქტის, გათვალისწინებით, სავარაუდებელია, სუმბატ დავითის-ძის თხზულებაში დადასტურებულია აშოტის გადასვლა ოჯახითა და დიდი ამალით ქართლიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. ქართული წყარო აშოტ ბაგრატიონის გადასვლას არაბთა გაძლიერებას უკავშირებს.

ის დიდი სამონასტრო კოლონიზაცია, რომელიც გაიშალა ტაო-კლარჯეთის სამთავროს ტერიტორიაზე საერო ხელისუფლების მხარდაჭერითა და მატერიალური შეწევნით ხორციელდება. ეკლესია-მონასტრების მშენებლობის ინიციატივა და ხელმძღვანელობა სასულიერო პირებისაა, ხოლო მატერიალური დახმარება-შეწევნა, როგორც წესი, საერო ხელისუფლებისაა.

---

[20] სუმბატ დავითის-ძე, გვ. 62.

[21] გ. მერჩული, გრიგოლ ხანძთელის ცხ-ბა, გვ. ია.

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების" თანახმად სასულიერო წოდება დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და დიდ ძალას წარმოადგენს ქვეყნის ცხოვრებაში. სასულიერო ხელისუფლება ცდილობს კიდეც უპირატესობის მოპოვებას საეროზე. ყოველ შემთხვევაში საერო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობის მისწრაფების ტენდენციას სასულიერო ხელისუფლება აშკარად ავლენს. მაგ., როგორც ცნობილია, ბაგრატ კურაპალატის წვევაზე საბა იშხანის ეპისკოპოსი არ გამოცხადდება, ბაგრატ მეორედ მიიწვევს საბას და ამასთან ერთად გაუგზავნის გრიგოლ ხანძთელის წერილსაც. საბა გამოცხადდება და უხსნის ბაგრატ კურაპალატს თავის საქციელს, მაგრამ ავტორი (მერჩულე) საინტერესო შენიშვნას აკეთებს: „ხოლო ნეტარი საბან დაემორჩილა მეორედ ბრძანებასა კურაპალატისასა და უფროჲს ხოლო წიგნსა მამისა"[22]—ასე რომ კურაპალატის მიერ საბას მეორედ მიწვევას მაინც ქონდა მნიშვნელობა. ის ფაქტი, რომ ბაგრატ კურაპალატი იწვევს საბა იშხანელს, უკვე იმის მოწმობაა, რომ ბაგრატი საამისოდ უფლება-მოსილად. გრძნობს თავს.

ამავე თვალსაზრისით საინტერესო ფაქტს წარმოადგენს ჯავახეთის საეკლესიო კრება. საეკლესიო კრებას გვარამ მამფალი იწვევს. მართალია, გვარამ მამფალი იძულებულია დაემორჩილოს საეკლესიო კრების აზრს, მაგრამ აქ საკითხს წყვეტს გრიგოლ ხანძთელის პირადი ავტორიტეტი და გავლენა. ეს რომ არა — ეჭვგარეშეა, გვარამ მამფალი თავისას გაიტანდა. ყოველ შემთხვევაში, აქ ბრძოლა მცხეთის ტახტის გამო გვარამ მამფალსა და სამცხის მთავარ მირიანს შორის წარმოებდა. ყოველ მათგანს თავისი კანდიდატი ყავს ქართლის კათალიკოსად და ისინი ერთმანეთის წინააღმდეგ ბრძოლაში გარკვეულ სასულიერო წრეებს ეყრდნობიან. ისეთი მაგალითების მოტანა, რომელნიც საერო ხელისუფლების სასულიერო საქმეებში ჩარევაზე მეტყველებენ, სხვებისაც შეიძლება (მაგ. ცქირისა და ანჩის ტახტის საკითხი). მართალია, ისეთი შემთხვევებიც არის, როდესაც სასულიერო ხელისუფლება საერო ხელისუფალთა პირად ცხოვრებაში ერევა (მაგ. გრიგოლ ხანძთელის ჩარევა ადარნასე და აშოტ ბაგრატიონების პირად ცხოვრებაში). მაგრამ აქ მორალის საკითხი დგას, და ასეთ საკითხში ეკლესია ყოველთვის ინარჩუნებს თავისი

[22] გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხ-ბა, გვ. ლ.

ზნეობრივი ზემოქმედების ძალას. გვარამ მამფალი, აშოტ კურაპალატი და სხვ. კი საეკლესიო მმართველობისა და უმაღლესი სასულიერო თანამდებობის პირთა დანიშვნის საკითხებში ერევიან.

სასულიერო ხელისუფლება ცდილობს მოიპოვოს უპირატესობა საერო ხელისუფლებაზე. განსაკუთრებით მწვავედ ეს ტაო-კლარჯეთში იგრძნობა, სადაც IX—X საუკუნეებში დიდი სამონასტრო მოძრაობაა და განსაკუთრებით ძლიერდება ეკლესიის შავი ფრთა. ამავე დროს აქ ისეთი დიდი ავტორიტეტები არიან, როგორიცაა მიქელ პარეხელი, საბა იშხნელი, სერაპიონ ზარზმელი და განსაკუთრებით გრიგოლ ხანძთელი. რაც აგრეთვე ასვამს დაღს დამოკიდებულებას საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ცნობებს ამ საკითხებზე ჩვენ სასულიერო მოღვაწეთა „ცხოვრებებში“ ვკრებთ. ამ „ცხოვრება“-თა ავტორები, საერო და სასულიერო ხელისუფალთა ურთიერთდაპირისპირების შემთხვევებში ცდილობენ უპირატესობა საეკლესიო-სამონასტრო მოღვაწეებს მიანიჭონ. მაგრამ საქმის ნამდვილი ვითარება მაინც იმავე წყაროებში იჩენს თავს.

IX—X საუკუნეები, ის ხანაა საქართველოს ისტორიაში, როდესაც ერთიანი სამოქალაქო ხელისუფლება მთელი საქართველოს მაშტაბით ჯერ არ არსებობს, ხოლო ერთიანი სასულიერო ხელისუფლება მთელი საქართველოს მასშტაბით არსებობს მცხეთის ტახტის სახით. საერო ხელისუფლებასა და სასულიერო ხელისუფლებას შორის ჰიდილია. იქ სადაც საერო-სამოქალაქო ხელისუფლება შედარებით უფრო ცენტრალიზებული და ძლიერია, მაგ., დასავლეთ საქართველოში, ნათლად იგრძნობა აფხაზთა მეფის უპირატესობა აფხაზთა კათალიკოსის წინაშე. ტაო-კლარჯეთში ქვეყნის პოლიტიკური დაქსაქსულობა და მთავართა სიმრავლე გავლენას ახდენს ადგილობრივ კელმწიფეთა ძალაზე და ხელსაყრელ პირობას ქმნის სასულიერო ხელისუფლების როლის წინ წამოწევისათვის. მაგრამ ეს ჰიდილი საერო და სასულიერო ხელისუფლებას შორის გამოდის ცალკეულ-სამთავროთა ფარგლებიდან და მთლიანი საქართველოს მასშტაბით ვითარდება. დგება ქართული ეკლესიის მიერ საქართველოს გაერთიანებისადმი თავისი დამოკიდებულების გამოვლინების საკითხი და, როგორც ცნობილია, ქართული ეკლესია, ამ გაერთიანების მომხრედ, სამეფო ხელისუფლების გაძლიერების მომხრედ გამოდის, და ქარ-

თველ მეფეთა ერთ-ერთი უძლიერესი დასაყრდენია საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში, რაც თავისთავად წყვეტს სამოქალაქო და სასულიერო ხელისუფლებას შორის ჰიდილის საკითხს სამოქალაქოს სასარგებლოდ, საქართველოს ისტორიის გარკვეულ მონაკვეთში.

ამგვარად, საქართველოს ცხოვრების ამსახველ საისტორიო ნაწარმოებებში, სხვა მხარეებთან ერთად, აშკარად ვლინდება ამ ხანის იდეურ-პოლიტიკური ბრძოლის, საერო და სასულიერო ხელისუფლების დაპირისპირების, მტკივნეული საკითხები და, მიუხედავად ავტორთა გარკვეული ტენდენციურობისა, მაინც ჩანს სამოქალაქო ხელისუფლების უპირატესობა.

გაერთიანების ეპოქის ქართული საისტორიო მწერლობა, მრავალ სხვა საკითხთან ერთად, ეპოქის აზროვნების და იდეოლოგიის თვალსაზრისით, აყენებს ერთ ისეთ საკითხს, რომელსაც ჩვენ ამჯერად გვერდს ვერ ავუვლით. ეს არის ე. წ. სომხურ-ქართული საეკლესიო ურთიერთობის საკითხი, რაც თავის მხრივ მჭიდროდ უკავშირდება და გამომდინარეობს ქართული ეროვნული თვითშეგნების ზრდიდან, რაც აგრეთვე, თავის მხრივ, ქვეყნის გაერთიანების ერთ-ერთი შედეგია.

ქართულ-სომხური ურთიერთობის საკითხი მჭიდროდ უკავშირდება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის პრობლემას. აღნიშნულ პრობლემას მრავალი მკვლევარი შეხებია (ნ. მარი, ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე. ს. ჯანაშია, პ. ინგოროყვა, ი. აბულაძე, კ. გრიგოლია, გ. მელიქიშვილი ..) ჩვენ ამჯერად ამ საკითხის კვლევას არ ვაპირებთ, აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს, თითქმის ყველასაგან აღიარებულ ფაქტს, სომხური მოსახლეობის ემიგრაციის შესახებ სამხრეთ საქართველოში სომხეთში მონოფიზიტობის საბოლოოდ განმტკიცების შემდეგ. აღნიშნულთან დაკავშირებით ი. აბულაძე შენიშნავს, რომ სომხეთში მონოფიზიტობის საბოლოო დამკვიდრების შემდეგ (826 წ.) ტაო „დევნილი დიოფიზიტების შემწყნარებელიც კი შეიქნა“[30].

სომეხი ქალკედონიტების მისწრაფება ქართველი ქალკედონიტებისადმი გასაგებია. შუა საუკუნეებში ხომ ეროვნულ თვითშეგნე-

---

[23] ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა (IX—X სს.), გვ. 062.

ბაზე მეტად სარწმუნოებრივი თვითშეგნებაა გამომუშავებული. ქალ. კედონიტ- სომხებისათვის ქალკედონიტი ქართველები უფრო ახლო იყვნენ, ვიდრე მონოფიზიტი სომხები.

ასეთ ვითარებაში სრულიად გასაგებია ის პატივისცემა და ურთიერთგაგება, რაც ამ დროს აქაურ სომხებსა და ქართველებს შორის არსებობდა და რაც პოვებს ასახვას „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში". გიორგი მერჩულესათვის უცხოა ნერსეს სომეხთა კათალიკოსისადმი სიძულვილი. ნერსეს გიორგი მერჩულე უდიდესი პატივისცემით იხსენიებს. მერჩულე წერს: „ნებითა ღმრთისაჲთა იქმნა საბა ეპისკოპოს იშხანსა ზედა ნეტარისა ნერსე კათალიკოზისა აღშენებულსა კათოლიკე ეკლესიასა და საყდარსა მისსა"[24]. და ამას მერჩულე ამბობს იმ დროს, როდესაც ქართულ-სომხური სარწმუნოებრივი შუღლი უკიდურეს გამწვავებამდე მიდის და მერჩულეს ეპოქის ისტორიოგრაფია ამ ურთიერთობას თავის ხარკს უხდის. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, აქ ურთიერთობის ნორმალურ მიმდინარეობას განსაზღვრავს კონფესიური ერთობა, ისევე როგორც ქართულ-სომხური შუღლიც კონფესიურ ნიადაგზეა აღმოცენებული.

IX—X საუკუნეების ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისათვის დამახასიათებელია საკუთარი სარწმუნოებისა და საეკლესიო მოღვაწეებისადმი დიდი ინტერესი და ქართული ქრისტიანობისადმი პატივისცემის გრძნობის განმტკიცება. ამ გარემოების გამო დგება განსაკუთრებით მწვავედ ქართულ-სომხური სარწმუნოებრივი შუღლის საკითხი სწორედ IX—X საუკუნეებში.

ქართულ-სომხურ პაექრობასთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი წერს: „პაექრობამ ორი უმთავრესი საკითხი წამოაყენა: ერთი იყო ქართულ-სომხური ეკლესიების განხეთქილების შესახებ, თუ როგორ მოხდა ეს ამბავი და ვინ იყო დამნაშავე და მტყუანი, — მეორე, საკითხი საქართველოში ქრისტიანობის პირველს ქადაგებას და გავრცელებას შეეხებოდა"[25]. საზოგადოების წინაშე დამდგარი საკითხების გაშუქებასა და გადაწყვეტას მოითხოვდა და, როგორც შენიშნავს ივ. ჯავახიშვილი, „სწორედ ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად

---

[24] გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. ლ.
[25] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 62.

იყო დაწერილი არსენი კათალიკოზის თხზულება „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“ და „წ[ა] ნინოს ცხოვრება“[26].

როგორც ცნობილია, V-I საუკუნის დასასრულსა და VII საუკუნის დასაწყისში, როდესაც სომხეთის კათალიკოს აბრაამსა და ქართლის კათალიკოს კირიონს შორის კამათი იყო სარწმუნოების საკითხზე, მაშინ დაისვა მწვავედ სომეხ-ქართველთა სარწმუნოებრივი ურთიერთობის საკითხი, რაც საკმაოდ გამწვავდა და გამოიწვია დვინის საეკლესიო კრების ცნობილი დადგენილება. ამის შემდეგ, როგორც ჩანს, ეს საკითხი არ ამოღებულა დღის წესრიგიდან, მაგრამ IX საუკუნეში ის განსაკუთრებით მწვავედ დაისვა სომხეთში ქალკედონიანთა და ანტიქალკედონიანთა შორის ბრძოლის გამძაფრებასთან დაკავშირებით. საქართველო, რომელიც ქალკედონიან სომეხთა ერთერთი უმნიშვნელოვანესი თავშესაფარი იყო, ამ ბრძოლას ყურადღების გარეშე ვერ ტოვებდა. ესეც იყო ასეთი შრომის შექმნის აუცილებლობის ერთერთი მიზეზი და, როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, „ამ უკანასკნელმა გარემოებამ, უეჭველია, აიძულა არსენ კათალიკოსი, რომელიც სამცხე-ტაოკლარჯეთიდან იყო, დაეწერა ისეთი თხზულება, სადაც დასახელებული თემა საკმაოდ გარკვეული იქნებოდა და რომელიც საჭირო სახელმძღვანელო შეიქმნებოდა ქართველებისა და სომეხ-ქალკედონისტებისათვის ანტიქალკედონისტებთან ბრძოლაში“[27].

როგორც სამართლიანად შენიშნავს ივ. ჯავახიშვილი, „არსენი კათალიკოზის თხზულებას მას შემდეგ, რაც „განყოფის“-დროინდელი მიწერ-მოწერა აღმოჩნდა, რასაკვირველია, განყოფის ისტორიის შესასწავლად მცირედი მნიშვნელობა-ღა აქვს“[28], მაგრამ არსენი კათალიკოზის თხზულებას ჩვენთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეპოქის საზოგადოებრივი აზროვნების, იმ ხანის ქართული ისტორიოგრაფიის მიზანდასახულების შესასწავლად.

როგორც არსენ კათალიკოსის თხზულებიდან ჩანს, ავტორის მიზანია პირველ რიგში დადასტურება იმ გარემოებისა, რომ მოხდა „განყოფა სომეხთა ქართლისაგან“: ე. ი. ავტორისათვის უდავოა, და

---

[26] იქვე. არსენის მოღვაწეობის დათარიღების საკითხში ვიზიარებთ კ. კეკელიძის აზრს, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1941, გვ. 125.

[27] კ. კეკელიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 125.

[28] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 93.

ის აუწყებს თავის თანამედროვე საზოგადოებას, რომ ქართველები იმთავითვე ქალკედონურ მრწამსს აღიარებდნენ. ასევე სომხებიც, მაგრამ შემდეგ სომხებმა უღალატეს გრიგოლ განმანათლებლის მიერ ქადაგებულ ბერძენთა (ქალკედონები) სკოლას, ხოლო ქართველები მტკიცედ დადგნენ თავის სჯულზე. მაგრამ ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ არსენის თხზულების თანახმად გრიგოლ პართელი მხოლოდ სომეხთა განმანათლებელია. თუ ჯერ კიდევ VII ს. გრიგოლ პართელი სომხებთან ერთად ქართველთა განმანათლებლადაც იყო აღიარებული ქართველების მიერ, ეხლა უკვე სომეხ-ქართველთა სარწმუნოებრივი შუღლი ისე შორსაა წასული, რომ გრიგოლი, როგორც ქართველთა განმანათლებელი, უარყოფილია, როგორც ჩანს, გრიგოლის განმანათლებლობა ბღალავდა ქართველთა გაღიზიანებულ სარწმუნოებრივ და ეროვნულ გრძნობას და ის უარყვეს. აღსანიშნავია, ისიც, რომ არსენის თხზულებაში არც ქართველთა სხვა განმანათლებელი არა დასახელებული. მაგრამ ეს არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ქართველებს საკუთარი განმანათლებელი არ ყავთ. როგორც ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, „არსენი კათალიკოზის დროს უკვე ეს ცნობა (გრიგოლ განმანათლებლის მიერ ქართველთა მოქცევა) უარყოფილი ყოფილა და საქართველოს საკუთარი განმანათლებული გამოსჩენია“ [29].

ქართველ მოღვაწეებს ნათლად აქვთ შეგნებული ის გარემოება, რომ სარწმუნოების საკითხი განყენებული საკითხი არაა და ის მჭიდროდ უკავშირდება საერთაშორისო მდგომარეობასა და პოლიტიკას. არსენი კათალიკოსი პირდაპირ უთითებს, რომ სომეხთა მიერ დიოფოზიტობის უკუგდება სპარსელთა მოთხოვნით იყო გამოწვეული და რომ სპარსელები ამას პოლიტიკურ მოსაზრებით სჩადიოდნენ.

შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ სომეხ-ქართველთა სარწმუნოებრივი განხეთქილება, რასაც VI ს. ეყრება საფუძველი, თანდათან ძლიერდება და სწორედ IX საუკუნეში იღებს განსაკუთრებით დაძაბულ ხასიათს. IX საუკუნეში უკვე შეუძლებელი იყო ქართველებს მოეთმინათ მათი ეროვნული თუ სარწმუნოებრივი გრძნობის შემბღალავი რაიმე ფაქტი. სწორედ ქართველთა პოლიტიკურ-ეროვნული კონსოლიდაციის, ქართულ-სომხური პოლიტი-

[29] დასახელებული ნაშრომი, გვ. 88.

კური ურთიერთობის გამწვავების პერიოდში უნდა დასმულიყო სომხურ-ქართული კონფესიური ურთიერთობის საკითხი მწვავედ და დასაბუთებულიყო ქართველთა უპირატესობა სომხების წინაშე.

ამავე რიგის ფაქტორებითაა გამოწვეული, მაგრამ უკვე სხვა მიმართულებითაა გადაწყვეტილი, ისეთი მოვლენა IX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორიცაა წმინდა ნინოს კულტის შექმნა.

როდესაც საბოლოოდ გადაწყდა სომხებთან კონფესიური კავშირის გაწყვეტა, დადგა საკითხი ქართველთა განმანათლებლის შესახებ. აუცილებელი იყო ქართველებს საკუთარი „განმანათლებელი“ ყოლოდათ. ამ აუცილებლობამ შექმნა კიდეც წმინდა ნინოს კულტის იდეა.

„წმინდა ნინოს ცხოვრების საკითხს, ქართულ ისტორიოგრაფიაში, მისი დაწერის თარიღის, შემადგენელი ნაწილების, თუ წყაროების გარკვევით თვალსაზრისით, მრავალი მკვლევარი შეხებია[30]. „ნინოს ცხოვრება“ რამოდენიმეჯერაა გამოცემული[31] და თარგმნილია რუსულად[32] და ინგლისურად[33].

---

[30] ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული, საისტორიო მწერლობა. 1945, გვ. 94—102. მისივე, ანდრია მოციქულისა და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში, „მოამბე“, 1900 წ. 15 გვ. 55—70, № 6, გვ. 18—35; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 1, 1911 წ. გვ. 211—213, 485—492: მისივე, „მოქცევაჲ ქართლისაჲ-ს“ შედგენილობა, წყაროები და ეროვნული ტენდენციები, „ლიტერატურული ძიებანი“ ნ. I, 1943, გვ. 17—37; ს. ჯანაშია, ფსევდო არსენი, სსრ კავშირის მეცნ. აკად. საქ. ფილიალის „მოამბე“, ტ. I, № 6, 1940, გვ. 475—482, ე. თაყაიშვილი, ახალი ვარიანტი ნინოს ცხოვრებისა ან მეორე ნაწილი ქართლის ცხოვრებისა, 1891, გვ. I—IX. ს. ყაუხჩიშვილი, „მიმომხილველი“ ტ. I, 1926. გვ. 54—68; ს. კაკაბაძე, საისტორიო ძიებანი, 1924, გვ. 154—182. და სხვა.

[31] ე. თაყაიშვილი, ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა. 1891 წ., ე. თაყაიშვილი, Описание рукописей общества распространения грамотности среди грузинского населения. т. II, вып. IV, стр. 708—813. მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, 1882, გვ. 119—155; ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომატია, I, თბ. 1946 წ. გვ. 216—231 და სხვ.

[32] ე. თაყაიშვილი, СМОМПК, XXVIII, გვ. 51—116, 1900.

[33] M. Wadrop and, J. O. Wardrop. Life of St Nino Oxford, 1900

„წმინდა ნინოს ცხოვრების“ დაწერის თარიღთან დაკავშირებით ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ ის შედგენილია არა უადრეს IX საუკუნისა, ხოლო X საუკუნეში ის უკვე გადაუკეთებიათ.

წმ. ნინოს ცხოვრებამ ჩვენამდე რამდენიმე სხვადასხვა საუკუნისა და სხვადასხვა ვარიანტის სახით მოაღწია. უძველესი ნუსხები შემონახულია შატბერდის (S — 1141) X ს., ჰელიშის (H—600). XIV საუკუნის კრებულებში.

„წმინდა ნინოს ცხოვრების“ შატბერდულ-ჰელიშური რედაქცია „თავისებურად გადაუმუშავებია XI საუკუნის სამოცდაათიანი წლების მოღვაწეს ლეონტი მროველს და მოუცია ახალი შევსებული და გამართული რედაქცია „ნინოს ცხოვრებისა“ [34]. „ნინოს ცხოვრების“ რედაქტირება გრძელდება, „XII საუკუნის მწერალს არსენ ბერს, სხვადასხვა ლიტერატურული წყაროების მოშველებით, ლეონტი მროველის „ნინოს ცხოვრება“ გადაუმეტაფრასტებია და მოუცია მისი ახალი, მესამე რედაქცია“ [35]. ხოლო ს. ყუბანეიშვილის მიერ გამოცემული „ნინოს ცხოვრება“, როგორც გამომცემელი აღნიშნავს „წარმოადგენს არსენ ბერის თხზულების პერიფრაზულ რედაქციას, ალაგ-ალაგ შემოკლებულს და რამდენიმე ახალი ცნობით შევსებულს. ავტორი მისი უცნობია: „ცხოვრების“ უძველესი ნუსხა შემონახულია XIII საუკუნიდან, ის დაცულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში“ [36].

X ს.-ში შატბერდული წ[ა] ნინოს ცხოვრების ავტორის თანახმად, საქართველოს თავისი საკუთარი მოციქული ჰყავდა, რომელსაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა გრიგოლ სომეხთა განმანათლებელთან. ქართველთა განმანათლებელი წარმოშობით კაპადუკელია. წარჩინებულ მშობელთა შვილი. განათლება მან იერუსალიმში მიიღო და ქრისტეს რჯულიც იერუსალიმით იქადაგა და, როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, შატბერდული წ[ა] ნინოს ცხოვრების თანახმად, „გრიგოლ განმანათლებელს და სომხებს საქართველოს გაქრისტიანებაში წილი არ უდევთ, ისევ იერუსალიმსა და კონსტანტინეპოლს თუ,

---

[34] ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბ. 1946, გვ. 216.

[35] იქვე.

[36] იქვე, 216.

თორემ სხვაფრივ ღვთისა და წ[illegible]ა ნინოს გარდა ამ მოქცევაში და საქმეში სხვას არავის მიუძღვის რაიმე ღვაწლი. ეს დედა-აზრი აქვს მთელს ნაწარმოებს" [37].

VII—VIII საუკუნეებში, მიუხედავად ქართულ-სომხური საეკლესიო განხეთქილებისა, საქართველოში ჩანს შესაძლებლად მიაჩნდათ გრიგოლ პართელის აღიარება ქართველთა განმანათლებლად. IX საუკუნეში უკვე დგება საკუთარი განმანათლებლის კულტისა და სომხებისაგან მთლიანი საეკლესიო გამიჯვნის საკითხი. თუმცა იმავე IX და, როგორც ჩანს, X საუკუნეში სომეხ ქალკედონიტებთან დამოკიდებულება ნორმალურ მდგომარეობაშია, X და შემდგომ საუკუნეებში კი ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩნდება აშკარა მიდრეკილება ყოველგვარი სომხური გავლენის ან სომხური პრიორიტეტის აღმოფხვრის შესახებ. თუმცა ლეონტი მროველის კონცეფციაში, როგორც ცნობილია, ძალიან აშკარად გამოსჭვივის, დღესაც ქართულ ისტორიოგრაფიაში საკამათო, საკითხი ძველ ხანაში [illegible]ტურულ-ისტორიულ სფეროში სომეხთა უპირატესობის აღიარებისა.

გარკვეული ხან[illegible] ქართულ საისტორიო წყაროებში სომხების ისტორიულ-კულტურულ უპირატესობის აღიარება, რის ახსნასაც თავისებურად ცდილობენ ქართველი ისტორიკოსები XVIII საუკუნიდან დაწყებული დღემდე, უაღრესად რთული და სპეციალური კვლევის საგანია. ეს საკითხი ჩვენი დღევანდელი თემის ფარგლებს მნიშვნელოვნად სცილდება. ჩვენ იძულებული ვართ შევეხოთ ამ საკითხის ერთ მხარეს, სახელდობრ ადრეფეოდალური ქართული ისტორიული აზროვნების განვითარებას ამ მიმართულებით და ამ ხანის ქართული საზოგადოების დამოკიდებულებას ამ საკითხისადმი. როგორც არაერთგზის აღნიშნულია, IX საუკუნეში აშკარად დგება სომეხთაგან გამიჯვნის აუცილებლობის მოთხოვნა, რაც კიდევ უფრო გამოკვეთილად X საუკუნეში ვლინდება.

უეჭველია ერთი გარემოება, რომ IX საუკუნემდე (ყოველ შემთხვევაში VIII საუკუნემდე მაინც) საქართველოში აღიარებული იყო ანტიკურ ხანაში სომეხთა დიდი ავტორიტეტი. ჩანს, სასახელოდ იყო მიჩნეული კულტურულ-სარწმუნოებრივი კავშირი სომ-

---

[37] ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა. გვ. 95—96.

ხებთან, რაც ნაგვიანევი ხანის წყაროებსაც შემორჩათ მეტნაკლებად. მაგრამ IX საუკუნიდან ვითარება იცვლება. ეს გარემოება უკავშირდება იმ საერთო ეროვნულ აღმავლობას, რომელსაც ამ დროის ქართულ სამყაროში აქვს ადგილი. პოლიტიკური ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისათვის და ამიერკავკასიაში ერთიანი ძლიერი ქართული სახელმწიფოს შექმნისათვის იწვევს დაპირისპირებას სომხურ სამეფო-სამთავროებთან, სადაც ამ დროს ახალშექმნილი ადრეფეოდალური პოლიტიკური ერთეულები უპირისპირდებიან ქართულ ადრეფეოდალურ პოლიტიკურ ერთეულებს.

ერთიანი ქართული ფეოდალური ხალხის და ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბება წინ სწევს ეროვნული სარწმუნოებისა და ეროვნული წმინდანების პატივისცემის იდეას და შეუძლებლად თვლის ამჟამინდელ პოლიტიკურ მეტოქეთა ღირსების ავტორიტეტის აღიარებას.

მთელი IX—X საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი ძირითადი დედააზრი ამ იდეის ქადაგებაა და „წმინდა ნინოს ცხოვრება“, ისევე როგორც არსენი დიდის „განყოფისათვის სომეხთა ქართველთაგან“ და სხვაც ამ იდეის დასაბუთება — განმტკიცების საქმეს ემსახურება. ამდენად, „წმინდა ნინოს ცხოვრების“ ის ვარიანტი, რომელმაც ჩვენამდე შატბერდულ კრებულში მოაღწია, განურჩევლად იმისა, თუ რომელ საუკუნეშია თვით „ცხოვრება“ დაწერილი, ამ ხანის საზოგადოებრივი აზროვნების ამსახველი თხზულებაა.

სწორედ იმ პერიოდში, როდესაც მწვავედ დაისვა ეროვნული სარწმუნოების საკითხი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიქცეოდათ საკუთარ წმინდანებს და მათი ცხოვრების აღწერას.

როგორც ცნობილია, ეს საკითხი თავდაპირველად იოანე საბანისძემ წამოაყენა ქართულ ისტორიოგრაფიაში. ხოლო IX—X საუკუნეებში საკუთარი მარტვილებისა თუ საეკლესიო მოღვაწეებისადმი ინტერესი და, აქედან გამომდინარე მათ ცხოვრებათა აღწერა, ინტენსიურად მატულობს.

X საუკუნის ცნობილი ქართველი მოღვაწე ჩივის წმინდა მამების ცხოვრების აღუწერლობას. მერჩულე წერს: „დიდთა მათ მეუდაბნოეთა კლარჯეთისა დიდებულთა უდაბნოთა შინა პირველად დამკვდრებულთა მათ წმიდათა მამათა ღირსად-ცხორებულთა,

სიმკვდ მოთმინებისაჲ და სიწმიდით შრომაჲ უფლისა სათნოჲ და სასწაულთა მათთა სიმრავლენი ქუეყანასა მას ქართლისასა აღუწერელობითა დაშჯირდეს მისთჳს, რომელ პირველ ვაჯსენე, რომელთაჲ ჯერ იყო დაწერაჲ, ვიდრე ნათესავთ ნათესავადმდე უკუნისამდე მოთხრობად ყოველთა, რაჲთამცა ერი დაბადებადი აქებდა უფალსა ჴსენებისა მათისა დღესასწაულსა.

არამედ აწ სასწაულნი მათნი ჟამთა სიმრავლისაგან მიეცნეს სიღრმესა დავიწყებისასა“ [38].

ამასვე ჩივიან XII საუკუნეში რაჟდენ პირველმოწამის ცხოვრების ავტორი [39] და კათალიკოსი ნიკოლოზ გულაბერის ძე (1156—1178) [40]. როგორც აღვნიშნეთ, ამ ხარვეზის შევსებას ცდილა ადრეფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფია, განსაკუთრებით VIII საუკუნიდან. ამავე მიზანს უნდა ემსახურებოდეს ინტერესისა და ყურადღების გამახვილება ასურელ მამათა მოღვაწეობისადმი.

ისტორიული წყაროს თვალსაზრისით, ასურელ მამათა „ცხოვრებებს“ თითქმის არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ, მაგრამ ეს „ცხოვრებანი“ გარკვეულ ინტერესს ბადებენ IX—X საუკუნეების ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და მისი მიმართულების გარკვევის თვალსაზრისით. ამ მხრივ ასურელ მამათა „ცხოვრებები“, გარკვეული მიმართულებით, იმავე პოზიციაზე დგანან და იმავე შეხედულებების დამცველ-პროპაგანდისტები არიან, რაც „წმინდა ნინოს ცხოვრების“ IX—X საუკუნეთა რედაქციაშია მოცემული.

ასეთ მოსაზრებას ვაყენებთ ჩვენ მიუხედავად იმისა, რომ ეს ცხოვრებანი აშკარად მიუთითებენ ქართული ეკლესიის, თუ საეკლესიო ტრადიციის, კავშირზე სირიულ სამყაროსთან, მაგრამ მთავარი, რაც იდეურად აკავშირებს ამ მამათა „ცხოვრებებს“ IX—X საუკუნეების ქართულ საისტორიო მწერლობასთან და საზოგადოებრივ აზროვნებასთან, ესაა: წმინდა ნინოს, ე. ი. საკუთარი განმანათლებლის კულტი და ქრისტიანობის იდეის პროპაგანდა საკუთარი წმინდანების მაგალითით. მამები თავისი სასწაულებით და პირადი

---

[38] გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ს. ყუბანეიშვილის გამ., გვ. 100.

[39] მ. საბანინი, საქართველოს სამოთხე, გვ. 171.

[40] იქვე, გვ. 104—105. გვ. 171.

მაგალითით ხელს უწყობენ ქრისტიანობის გავრცელება-განმტკიცებას. მაგალითად, იოანე ზედაზნელმა თავის მოწაფეთაგან „წარაეჯლინნა მათგანნი რომელნიმე კახეთით და რომელნიმე კუხეთით და სხუანი ზენა სოფლით, ხოლო ნეტარი დავით, გარესჯისა უდაბნოს, და სხუანი გარემო ქალაქსა ჩუენსა“ [41]. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში დამკვიდრებულ ბერებთან „მოვიდოდეს ქრისტჱს მორწმუნენი წმიდათა მათ ბერთასა და მათ მიერ განსწავლულნი და სულითა აღშენებულნი წარვიდიან სახიდ თჳსად და დიდთა კურნებათა იქმოდეს შეწევნითა ღმრთისაჲთა და განამტკიცებდეს მორწმუნეთა [42].

ამ ხანის ქართული ეკლესიის მიდრეკილების და მიმართულების საკითხის გარკვევისათვის გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება ცნობილი ქართული სასულიერო მოღვაწის ილარიონ ქართველის „ცხოვრებას“. ილარიონ ქართველი წარმოშობით კახეთიდანაა, წარჩინებულის ოჯახიდან. დაბადებულა ის 822 წ., ხოლო გარდაცვლილა 875 წ. თესალონიკეში [43]. იმ დიდი დამსახურებისათვის, რომელიც ილარიონს მიუძღოდა ბერძნული ეკლესიის წინაშე, იმპერატორ ბასილ I (867—886) ბრძანებით მისი ნეშტი კონსტანტინ[illegible] გად მოუსვენებიათ და დაუსაფლავებიათ 876 წ. იმპერატორის ბრძანებით ილარიონის მოწაფეთათვის აგებულ პრომანას მონასტერში [44].

ილარიონის ცხოვრება და მოღვაწეობა ძირითადად სამშობლოს გარეთ მიმდინარეობდა, თუმცა დაახლოებით 15 წელი მას მშობლიურ კახეთში გარეჯის უდაბნოშიაც დაუყვია. ილარიონ ქართველის „ცხოვრების“ რამდენიმე ვერსია არსებობს. როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, „ილარიონის „ცხოვრება“ პირველად დაუწერია ბერძნულად ე. წ. ენკომიის სახით, მის თანამედროვეს და შეიძლება, თვითმხილველს, პროტოასიკრიტსა და ფილოსოფოსს ბასილი მი-

---

[41] ცხოვრება და მოქალაქობა წმიდისა მამისა ჩუენისა იოანე ზედაზნელისა ს. ყუბანეიშვილის გამოცემა, 158.

[42] იქვე.

[43] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან (ილარიონ ქართველის ცხოვრება). ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1957

[44] ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. გვ. 170.

ნაზონს იმ მასალის მიხედვით, რომელიც მისთვის მიუწოდებიათ წმ. მამის მრწამფებს.

ბასილი მონაზონის შრომა, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია, საფუძვლად დაედო ქართულ „ცხოვრებას“, რომლის სამი რედაქციაა შენახული: ძველი (ათონის), მეტაფრასტული და სვინაქსარული.

ძველი, ათონური რედაქცია წარმოადგენს ნახევრად ორიგინალურ, ნახევრად ნათარგმნ ნაწარმოებს და დაწერილი უნდა იყოს ექვთიმე მთაწმინდელის მიერ 991 წ. [45].

ჩვენთვის საინტერესოა სწორედ ეს 991 წლით დათარიღებული „ცხოვრება“.

როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, ეს თხზულება ნახევრად ნათარგმნი და ნახევრად ორიგინალურია. ის ექვთიმე მთაწმინდელის კალამს განეკუთვნება. ექვთიმე მთაწმინდელის ლიტერატურული მოღვაწეობა XI საუკუნეს ეკუთვნის და ამდენად ის ჩვენი ამჟამინდელი ინტერესების სფეროს სცილდება. მაგრამ ამ თხზულებას, რომელიც IX ს. უცხოეთში მოღვაწე, ქართველი ბერის ცხოვრებას აგვიწერს, ჩვენთვის სხვა მხრივაც აქვს მნიშვნელობა; სახელდობრ, ილარიონ ქართველის ცხოვრება და მოღვაწეობა სრულიად აშკარად ამჟღავნებს ქართული ეკლესიის მიერ კავშირის თანდათან გაწყვეტას აღმოსავლურ, სომხურ-სირიულ ქრისტიანობასთან და კურსის დასავლეთისაკენ აღებას.

ჩვენ, რასაკვირველია, თავს ვერ ვიდებთ ქართული ეკლესიის ისტორიის ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე მსჯელობას, როგორიცაა ამ ეკლესიის აღმოსავლური თუ დასავლური მიმართულებების საკითხი და ამ მიმართულებათა ცვლილების მიზეზების გარკვევა. ამჯერად, ჩვენ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, თუ რა ასახვა პოვა ფეოდალური საქართველოს ისტორიის ამ ერთ-ერთმა მნიშვნელოვანმა საკითხმა IX—X საუკუნეების ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ქართული ეკლესიის, ეს თუ შეიძლება ასე ითქვას „შემობრუნება“ დასავლეთისაკენ სათანადო გამოხმაურებას პოულობს ქართულ ისტორიოგრაფიაში. ჯერ კიდევ გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებაშია“ ასახული ხანძთელი მამის მისწრაფება რომსა და ესპანეთისაკენ. ილარიონ ქართველის მოღვაწეობის გარკვეული პერიოდიც

---

[45] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან. 158.

დასავლეთთანაა დაკავშირებული. ილარიონ ქართველის მოღვაწეობა დაკავშირებულია იერუსალიმთან, ბითვნიასა, კონსტანტინეპოლსა, მაკედონიასა და რომთან. ბითვინიის ოლიმპში ილარიონმა საფუძველი ჩაუყარა ქართველთა სამონასტრო მშენებლობას.

„ცხოვრების“ ავტორის ტენდენცია და მისწრაფებაა აჩვენოს დასავლურ-ქრისტიანულ სამყაროსთან ურთიერთობის მნიშვნელობა და გასწიოს დასავლეთში, ქართველთა მონასტრებში, ქართველ ბერების მიზიდვის მიზნით პროპაგანდა.

ილარიონ ქართველის ცხოვრება აყენებს კიდევ ერთ, IX—X საუკუნეების ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს. სახელდობრ, ცნება „ქართლის“ პოლიტიკური მნიშვნელობისა და ამ ცნების ფართო მნიშვნელობით ხმარების საკითხს. „ესე წმიდაჲ მამაჲ ჩუენი ილარიონი—წერს ავტორი—იყო ნათესავი ქართველი, ქუეყანით კახეთით“[46]. ე. ი. ავტორისათვის აშკარაა ის გარემოება, რომ „ქართველი“ კრებითი სახელია, და რომ „ქვეყანით კახეთით“ წარმოშობილი, ალბათ ისევე, როგორც რომელიმე სხვა ქართული ქვეყანით წარმოშობილი პიროვნება „ქართველია“, ე. ი. უკვე გადალახულია „ქართლისა“ და „ქართველის“ ვიწრო ეთნოგრაფიული საზღვრები და „ქართლი“ ზოგადქართულ სახელწოდებადაა ქცეული. როგორც ცნობილია, ასეთი დაყენება საკითხისა ილარიონის „ცხოვრება“-ში განმარტოებით არ დგას. ქართულ ისტორიოგრაფიაში მას სხვა პარალელებიც მოეძებნება, რომელთა შესახებ სპეციალურად გვექნება მსჯელობა.

X საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში სრულიად კანონზომიერად თავსდება ამ ხანის საზოგადოებრივი აზროვნების გამომხატველი ისეთი შესანიშნავი ძეგლი, როგორიცაა იოანე ზოსიმეს „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“.

როგორც აღვნიშნეთ, VIII საუკუნიდან (იოანე საბანისძე) ქართულ ისტორიოგრაფიაში აშკარად იჩენს თავს ქართველ მოღვაწეთა, და ქართული სარწმუნოების ბერძნულთან გათანაბრების ტენდენციები. VIII საუკუნეში ქართული ფეოდალური ისტორიოგრაფიის ერთერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი იოანე საბანისძე აცხადებს: „არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაჲ ესე ღმრთისამიერი მო-

---

[46] ს. ყუბანეიშვილის გამ., გვ. 170.

პოვეს, არამედ ჩუნცა, შორიელთა ამათ მკუდრთა: იაჰა ესერა ქართლისაცა მკუდრთა აქუს სარწმუნოებაჲ და წოდებულ არს დედად წმიდათა, რომელთამე თჳთ აქა მკუდრთა და რომელთამე უცხოთა, და სხჳთ მოსრულთა ჩუენ შორის ჟამად-ჟამად, მოწამედ გამოჩინებითა [47].

X საუკუნისათვის ქართული ისტორიოგრაფია უფრო შორს მიდის და იოანე ზოსიმე ქართული ენის ქებას წერს. როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს: „მეათე საუკუნეში ქართული ენის შესახებ ქართველებმა შექმნეს ერთგვარი თეორია, რომლითაც ქართული ენა არამც თუ გათანასწორებულია ბერძნულთან იქამდის, რამდენისინი ორნი დანი არიან, ვითარცა მარიამ და მართა, და მეგობარნი", არამედ უპირატესობაც კი აქვს მას მინიჭებული შემდეგ სიტყვებში: „ყოველი საიდუმლოჲ ამას შინა დამარხულ არს"; არამც თუ უპირატესობა, საერთაშორისო საქრისტიანო ენადაც ვინ აღიარებულიის, ვინაიდან ქართველთა რწმენით, „დამარხულ არს ენა ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა უფლისა საწამებელად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითაო" [48].

იოანე-ზოსიმე მიზნად ისახავს შთააგონოს მკითხველს, რომ ქართული ენა, რომელიც დღეს ბერძნულთან შედარებით „მდაბალი და დაწუნებულია", სინამდვილეში „მძინარეა" და ის „შემკული და კურთხეულია". ქართული ენა ისეთივე თანასწორია ბერძნული ენისა, როგორი თანასწორიც იყო ნინო ელენესი, რომელთაგანაც ნინომ ქართველებს უქადაგა ქრისტეს სჯული, ხოლო ელენემ ბერძნებს. იოანე-ზოსიმე ქაროულ ენას სხვა ენებთან უპირატესობას ანიჭებს და აცხადებს, რომ მეორედ მოსვლისას ქრისტე ყველა ხალხს ქართულ ენაზე განიკითხავს და ამხილებს [49]. ამგვარ დაწუნებასთან დაკავშირებით კ. კეკელიძე სამართლიანად შენიშნავს: „როგორც ჩანს, იოანეს მაღლა ეჭირა დროშა ეროვნული თვითშეგნებისა და პატრიოტიზმისა. ის, მსგავსად იოანე საბანისძისა, თამამად უპირდაპირებს ერთიმეორეს ქართულსა და ბერძნულ კულტურას და პირველს უპირატესობას ანიჭებს მეორეს წინაშე" [50].

---

[47] იოანე საბანისძე, აბო თბილელის მარტვილობა. კ. კეკელიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა. თბ., 1935. გვ. 62.

[48] კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 162.

[49] იოანე-ზოსიმე, ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისა, ს. ყუბანეიშვილი, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. გვ, 416.

[50] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. გვ. 167.

იოანე-ზოსიმე X საუკუნის ქართული ისტორიოგრაფიის და, შეიძლება ითქვას, ქართული კულტურის ისტორიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია.

იოანე-ზოსიმეს ორიგინალურ თხზულებათაგან „ქართული ენის ქების“ გარდა, ჩვენ ყურადღებას იქცევს მისი კალენდარი. შრომის სათაურია „კრება თთუეთა წელიწადისათჳს“. ამ კალენდრის მნიშვნელობა უაღრესად დიდია პალესტინის სხვადასხვა მონასტერთა და წმინდა ადგილთა შესასწავლად, მაგრამ ჩვენ უპირატესობას ამჯერად იქცევს ის გარემოება, რომ იოანე-ზოსიმეს თავის კალენდარში ქართველი წმინდანები შეყავს. სახელდობრ: აბო თბილელი, მეფე არჩილი, შუშანიკი და სხვა[51].

როგორც ვხედავთ, ქართული ისტორიოგრაფია თავის ხაზს არ ღალატობს და იოანე-ზოსიმემ, რომელმაც ქება შეასხა ქართულ ენას, ქართველი წმინდანები სხვა ხალხების წმინდანების გვერდით, მსოფლიო საეკლესიო კალენდარში შეიყვანა.

ქართული ენის საკითხთან დაკავშირებით ს. ჯანაშია წერს: „VIII—X საუკუნეებში ქართული სალიტერატურო ენის მნიშვნელობა ძალიან გაიზარდა. უკვე IX საუკუნეში როგორც ქართლში, ისე ტაო-კლარჯეთში, კახეთში, ჰერეთსა და აფხაზეთის სამეფოში ქართული უნდა ყოფილიყო მწერლობის, სახელმწიფო მართვა-გამგეობის, სამოქალაქო ურთიერთობისა და ეკლესიის ერთადერთი ენა. ქრისტიანობის საშუალებით ქართული ენა გადავიდა ჩრდილო კავკასიაშიც, უპირველეს ყოვლისა, — ჩერქეზებსა და ალანებში. ქართულის ასეთმა გავრცელებამ და ქართული მწერლობის აყვავებამ იმდროინდელ ქართველ მოღვაწეებს ჩაუნერგა დიდი ღირებულებისა და დიდსების შეგნება. X საუკუნის მწერალმა იოანე-ზოსიმემ აღტაცებული შესძახა, რომ უძღვნა ქართულ ენას — „ქება და დიდება ქართულისა ენისა“. ამ პიძნში ავტორი ქართულ ენას განსაკუთრებულ როლს აკისრებს მსოფლიოს ენათა შორის“[52].

აღსანიშნავია ის ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება, რომ ჰაგიოგრაფიული მწერლობა ამ ხანის არა მხოლოდ საეკლესიო, არამედ სამოქალაქო და კულტურული ცხოვრების კუთხეშია ასახავს დიდ ძვრებს, რომელთაც ადგილი აქვთ საქართველოს სოციალურ, ეკონომიურ, პოლიტიკურ თუ კულტურულ ცხოვრებაში.

---

[51] კ. კეკელიძის დასახ. ნაშრ., გვ. 168.

[52] საქართველოს ისტორია, თბ., 1946, გვ. 148—149.

„ადრეფეოდალური ხანის დასასრულისათვის,—წერს ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს მოსახლეობის დაახლოება-შერწყმის მრავალსაუკუნოვანი პროცესი უკვე შორს იყო წასული. საქართველოს ფეოდალურ-პოლიტიკურ გაერთიანების პროცესს თან სდევდა ქვეყნის ფეოდალურ-კულტურული გაერთიანების პროცესი“ [53].

ქართული ისტორიოგრაფია, რომელიც ნაყოფია საქართველოს პოლიტიკური და კულტურული გაერთიანების პროცესისა, თავის მხრივ ასახავს ამ გაერთიანების ძირითად მხარეებს.

პოლიტიკური ერთიანობის მთელი ქართული სამყაროს მასშტაბით გავრცელების პროცესში, განსაკუთრებული როლი ენიჭება ცნება „ქართლის“ მნიშვნელობის გაფართოვების საკითხს.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ X საუკუნის ძეგლებშია პირველად დადასტურებული ცნება „ქართლის“ მთელი შემდეგდროინდელი საქართველოს მასშტაბით ხმარების ფაქტი.

ამ მხრივ უაღრესად საინტერესოა გიორგი მერჩულეს თხზულება, სადაც ცნება „ქართლი“ იხმარება ვიწრო და ფართო მნიშვნელობითაც და განმარტებულიც არის, თუ რატომაა დასავლეთი საქართველო ქართლი.

ზედმეტად მიგვაჩნია მოტანა იმ ადგილებისა თხზულებიდან, სადაც ქართლი ვიწროდ, აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელობით იხმარება. ქართლის ფართო (საქართველოს) მნიშვნელობით ხმარებისათვის სწორედ ამ პერიოდში შემოდის ტერმინი „ყოველი ქართლი“. ამ ტერმინს ვხვდებით მერჩულესთან [54], „მოქცევა ქართლისაჲ-ში“[55]. გიორგი მერჩულე „ქართლის“ დასავლეთ საქართველოს მიმართ ხმარებისას განმარტავს ასეთი ხმარების საფუძველს და აღნიშნავს „ქართლად ფრიადი ჭეუყანაჲ აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების, ხოლო კჳრიელეჲსონი ბერძნულად ითქმის, რომელ არს ქართლად „უფალო წყალობაჲ ყავ“, გინა თუ „უფალო შეგჳწყალენ“ [56].

---

[53] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო, გვ. 133.

[54] ს. ყუბანეიშვილის გამ., გვ. 131.

[55] Е. Такаишвили, Описание..., т. II$_4$.

[56] გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. ს. ყუბანეიშვილის გამ., გვ. 132.

ძეგლის გამომცემელმა, აკად. ნ. მარმა პირველმა მიაქცია ყურადღება მერჩულეს ამ ფორმულას და აღნიშნა, რომ ამ ამონაწერში არის „намек на то, что грузинский язык в Кларджетии был лишь церковным, а не разговорною речью всего населения, даже в половине X-го века, когда писал Георгий Мерчул"[57]. როგორც ცნობილია, ნ. მარის ამ დებულებას გამოეხმაურა აკად. ნ. ბერძენიშვილი[58], რომელმაც სამართლიანად უარყო ნ. მარის მიერ საკითხის ამგვარად დაყენების შესაძლებლობა და მერჩულეს ამ ფორმულაში მცხეთის ტახტის დასავლეთ საქართველოს მიმართ იერარქიული პრეტენზიების შედეგად შექმნილი ცნება ქართლის კულტურული მნიშვნელობის განმარტება დაინახა[59], „მცხეთა — წერს ნ. ბერძენიშვილი, ჯერ ენობრივად (ეთნიკურ ელემენტზე დაყრდნობით) შეიჭრა ლიხთიმერეთში, ხოლო შემდეგ, როგორც ჩანს, ეს საინტერესო ფორმულა წამოაყენა თავისი ორგანიზაციული გაბატონების დასასაფუძვლებლად. „ქართლია" იქ, სადაც მღვდელთმსახურება ქართულ ენაზეა (მხოლოდ კვირიელეჲსონი შეიძლება ბერძნულად). მირონის კურთხევა „ქართლს" განეწესა. მაშ ქართლს ნაკურთხი მირონი სავალდებულოა ყველა იმ ეკლესიისათვის, სადაც მღვდელთმსახურება ქართულ ენაზეა. ცხადია, მცხეთის საკათალიკოზოს მხრით ეს არის კანონიკური საფუძვლების დაცვით კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს წინააღმდეგ მიმართული ბრძოლა ლიხთ-იმერეთის ეკლესიაზე ორგანიზაციულად გაბატონების მიზნით" [60].

გიორგი მერჩულეს ამ ფორმულაზე შეაჩერა ყურადღება კ. კეკელიძემ ჯერ კიდევ 1923 წ. თავისი „ქართული ლიტერატურის ისტორიის"პირველ გამოცემაში, რაც გამეორებულია შემდეგ გამოცემებშიც. კ. კეკელიძე წერს: „ქართული ცხოვრების ზრდა-განვითარება მიისწრაფის იმისაკენ, რომ ეთნოგრაფიული და ლინგვისტური ტერმინი ქართი, ან უფრო სწორედ, ქართლი, გამხდარიყო ნაციონალურ-კულტურულ ტერმინად და ქცეულიყო საქართველოდ. საერთო ლი-

---

[57] ТРАГФ, VII, Введение, 14.

[58] ნ. ბერძენიშვილი, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში. ენიმკის მოამბე. X, თბ., 1941, გვ. 497.

[59] იქვე.

[60] იქვე, გვ. 298.

ტერატურული ენის შექმნამ ეს პროცესი დააჩქარა. უეჭველია, გა-კოლებით უფრო ადრე შემუშავდა ის შეხედულება, რომელიც მერე, მეათე საუკუნეში, გამოთქვა გიორგი მერჩულმა. ქართლად ფრიადი ჭვეყანა აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების, ესე იგი საქართველო არის ის ტერიტორია, რომელზედაც წირვა-ლოცვა, საზოგადოდ — ღვთისმსახურება, ქართულად სრულდებაო. ხოლო საეკლესიო-საღვთისმსახურო ენად ჩვენში ლიტერატურული ენა იყო ყოველთვის“.[61]

კ. კეკელიძე გიორგი მერჩულეს ამ დებულებას ისევ უბრუნდება საკუთრივ მერჩულეს თხზულების განხილვის დროს და წერს: „ცხოვრებაში („გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ იგულისხმება. — მ. ლ.) წარმოდგენილია ის მომენტი პოლიტიკური ცხოვრებისა, როდესაც საქართველოში იდეა ეროვნული ერთობისა და მთლიანობისა გაღვივებულა და შესდგომიან კიდევაც საქართველოს გაერთიანებისათვის ზრუნვას და საქმეს, რომელიც დაწყებულა ტაო-კლარჯეთიდან, აქაური მამფლებისა და კუროპალატების თაოსნობით. საქართველოში უკვე ფეხი მოუდგამს კულტურულ-ეროვნული ერთობის იდეას, უმთავრესად ეროვნული ეკლესიის სავანეში, რაც შემდეგს სიტყვაშია გამოხატული...“[62] და მოყვანილია მერჩულეს ფორმულა.

როგორც ვხედავთ, თითქოს სადავო არ უნდა იყოს საკითხი „ქართლის“ ცნების კულტურული მნიშვნელობით ხმარებისა მთელი შემდეგდროინდელი „საქართველოს“ მიმართ.

დგება საკითხი შესახებ იმისა, არის თუ არა იგივე ცნება პოლიტიკური მნიშვნელობით ნახმარი X საუკუნეში მთელი „საქართველო“-ს მასშტაბით.

ჩვენ ხელთ არსებულ X საუკუნეთა წყაროებში ამაზე თითქოს პირდაპირი მითითება არ უნდა ყოფილიყო, ასეთი რამ შეიძლებოდა შექმნილიყო მას შემდეგ, რაც პოლიტიკური „ქართლი“ მთელ „საქართველოდ“ იქცეოდა და რადგან ეს მოვლენა ფაქტად X ს. დასასრულს

---

[61] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია. I, გამ. 2, 1941 წ. გამ. გვ. 28.

[62] იქვე, გვ. 150.

იქცა, მხოლოდ ამის შემდეგდროინდელ მწერლობას შეეძლო მისი უკუფენა.

ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოტივი, საერთოდ მთელი ფეოდალური ხანის და განსაკუთრებით IX—X საუკუნის ქართულ ისტორიოგრაფიაში, ისეა ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ მათი გამიჯვნა ხანდახან შეუძლებელი ხდება.

კონსტანტინე-კახა, მიხეილ-გობრონი, რომელიც, აგიოგრაფიების სიტყვით და გადმოცემით, ქრისტიანობისათვის ბრძოლას ეწირებიან, საბოლოო ჯამში ქართველთა დამოუკიდებლობისთვის და ეროვნული თვითმყოფობისათვის იბრძვიან. ჰაგიოგრაფიული ლიტერატურა ამ სარწმუნოებრივ მომენტს უსვამს ხაზს, რომელიც, რასაკვირველია, ძალიან დიდ როლს თამაშობდა, მაგრამ ეს სარწმუნოებრივი მომენტი. საბოლოო ჯამში მაინც, ეროვნული თვითმყოფობისათვის ბრძოლის იდეას ექვემდებარება. წმინდა ნინოს კულტის შექმნა, სომეხთაგან იდეური გამიჯვნა, მათი უპირატესობის თუ ავტორიტეტის კატეგორიული უარყოფა. საკუთარ სარწმუნოებისა და ეროვნული (ქართველი) წმინდანების შექმნა-წინწამოწევის იდეები, ბერძნულ კულტურასთან გათანაბრება-კონკურენციის იდეა რაც ასე უხვადაა მოცემული ადრეფეოდალური ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში, სწორედ იმ ეროვნული თვითშეგნების გაძლიერება-განმტკიცების შედეგი შეიძლება იყოს, რაც ქვეყნის პოლიტიკურ თუ კულტურულ გაერთიანების საფუძველიც იყო და ამავე დროს შედეგიც.

ამ ხანის ქართული ისტორიოგრაფიის მიერ წამოყენებულ საკითხთა შორის ჩვენ გვსურს შევჩერდეთ კიდევ ერთ საკითხზე. ეს არის ქართველ ბაგრატიონთა ღვთიური წარმომავლობის და მათი ხელისუფლების ღვთისნებისმიერობის აღიარება. ქართულ ისტორიოგრაფიაში დებულება ბაგრატიონთა ღვთიური წარმომავლობის შესახებ წამოაყენა გიორგი მერჩულემ.

გრიგოლ ხანძთელისა და აშოტ კურაპალატის პირველი შეხვედრის დროს გრიგოლი აშოტს ეუბნება: „დავით წინაჲსწარმეტყუელისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ქელმწიფეო, მეფობა და სათნოებანიცა მისნი დაგიმკჳდრენ ქრისტემან ღმერთმან“[63]. იმავე მერჩულეს თანახმად აშოტის შვილმა ბაგრატმაც

---

[63] გ. ჭ ე რ ჩ უ ლ ე. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება. ს. ყუბანეიშვილის გამ., ბ3 110

„ნებითა ღმრთისაჲთა და ნებითა ძმათა თჳსთაჲთა და ბრძანებითა ბერძენთა მეფისაჲთა, მიიღო კურაპალატობა. ...რამეთუ მიეცა მას ფლობა კელმწიფებისა ზეგარდამო“ [64].

როგორც ცნობილია, ბაგრატიონთა ღვთიური წარმომავლობის იდეა ბერძნულმა ისტორიოგრაფიამაც შეითვისა, რამაც კონსტანტინე პორფიროგენეტის შრომაში პოვა ასახვა. J. Marquart-ი,[65] კ. კეკელიძე [66], პ. ინგოროყვა [67] სხვადასხვა აზრისა არიან საკითხზე, თუ სახელდობრ როდის უნდა შემუშავებულიყო ეს აზრი, IX ს. დასაწყისში, დასასრულს თუ X საუკუნეში. ჩვენ საკითხის ამ მხარეს არ ვეხებით. აღვნიშნავთ მხოლოდ იმ გარემოებას, რომ ბაგრატიონთა ხელისუფლების გაძლიერებისა და ერთიანი ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდში შეიქმნა იდეა ბაგრატიონთა ღვთიური წარმოშობისა და მათი ხელისუფლების ღვთიმიერობის შესახებ. ეს გარემოება აისახა ამ ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში, ხოლო XI ს. ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნის შემდეგ კი XI ს. ქართველმა ისტორიკოსმა, სუმბატ დავითის-ძემ უკვე ეს დებულება განავრცო და თეორიის სახით ჩამოაყალიბა. იმავე XI ს., როგორც ცნობილია, ბაგრატიონთა ქრისტესგან ჩამომავლობის გენეალოგიური შტოც შეიქმნა [68].

ამგვარად, IX—X საუკუნეების ქართული ისტორიოგრაფია ადრეფეოდალური ხანიდან განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში გარდამავალი ეტაპისა და ფეოდალური საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის პერიოდის ისტორიული აზროვნების ამსახველია.

როგორც სამართლიანად შენიშნავს ივ. ჯავახიშვილი, „ამ ხანაშივე (VIII—IX სს.—მ. ლ.) მომწიფდა და ჩამოყალიბდა ქართული ეროვნული თვითშემეცნებაც და ბევრი იმ აზრთაგანი, რომელიც შემდეგ საუკუნეებში, ჩვენ დრომდისაც კი, ჩვეულებრივ მიღებული და გაბატონებული იყო და არის, სწორედ იმ დროს იყო შემუშავებული და გამოქვეყნებული“ [69].

---

[64] იქვე, გვ. 117—118.

[65] J. Marquart, Osteuropäische und ostasiatische streifzüge, გვ. 403.

[66] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, გვ. 136.

[67] პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 76.

[68] კ. გრიგოლია, დასახ. ნაშრ., გვ. 86.

[69] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 167.

ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების პროცესში იქმნება (თუ აღსდგება?) „ქართველთა მეფის" ტიტული. უაღრესად ნიშანდობლივია, რომ „ქართველთა მეფობას" ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონები იჩემებენ IX საუკუნიდან, სწორედ იმ დროიდან, საიდანაც საქართველოს გაერთიანება სრულიად აშკარად დგას დღის წესრიგში. ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონები ამავე დროს ქართველთა კურაპალატებად იწოდებოდნენ. ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონები თავს ამ გაერთიანების (ქართველთა სამეფოს) უზენაეს ხელისუფლებად თვლიდნენ. „ქართველთა მეფის" წოდებულების მიღება ორ მიზანს ემსახურებოდა. ერთის მხრით ეს ნიშნავდა ბაგრატიონთა სახლის პოლიტიკური დამოუკიდებლობის დეკლარაციას, რაც ბიზანტიის კეისრის დიდმპყრობელური პრეტენზიების წინააღმდეგ იყო მიმართული, ხოლო მეორე მხრით ბაგრატიონთა სახლი ამ დეკლარაციით თავის ერთადერთ უფლებას აცხადებდა ქართლზე და ამდენადვე სხვა ქართველ. თუ არაქართველ მოქიშპეთა უფლებას ხსენებულ ქვეყანაზე უარყოფდა" [70]. ამავე დროს ქართველთა „მეფობითა" და „კურაპალატობით" ბაგრატიონები თავს ძველი მეფეებისა და შემდეგდროინდელი ერისთავების მემკვიდრეებად აცხადებდნენ. [71].

ქვეყნის გაძლიერება-გაერთინებას უკავშირდება IX ს. შუა წლებში ქართული ეკლესიის მიერ იერუსალიმის პატრიარქისაგან დამოუკიდებლობის მოპოვების ფაქტი, რასაც გიორგი მერჩულე „დიდი ეფრემის" მოღვაწეობას უკავშირებს [72].

ამგვარად, პოლიტიკური გაერთიანება, გაპირობებული ქვეყნის საშინაო და საგარეო განვითარებით, თავის შესაფერ ასახვას პოულობს საზოგადოებრივ აზროვნებასა და იდეოლოგიაში, რაც თავის მხრივ ვლინდება საისტორიო მწერლობასა, პოლიტიკურ ზედნაშენებში თუ სხვა რიგის მოვლენებში.

---

[70] საქართველოს ისტორია, დამხმარე სახელმძღვანელო გვ. 131.

[71] Н. Бердзенишвили, В. Дондуа, Очерки... გვ. 513.

[72] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, გვ. 117—118

ძირითადი დასკვნები

1. ფეოდალური საქართველოს გაერთიანება ხანგრძლივი და რთული ისტორიული პროცესის შედეგია, დაიწყო ეს პროცესი VIII ს. დასასრულს. IX—X სს. ვითარდებიან ის მოვლენები, რომელთაც საბოლოო ჯამში განაპირობეს ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბება.

X ს. 80-იან წლებში, ქართული ქვეყნის დიდი ნაწილის გაერთიანებით ერთი მეფის ხელთ, შეიქმნა სახელმწიფო „საქართველო". ძირითადი ბირთვი, რომლის გარშემო ხდება ქართული მიწების შემდგომი კონსოლიდაცია.

ქართული მიწების შემოკრება და საბოლოო გაერთიანება ერთიან ქვეყნად, ქვეყნის პოლიტიკური ცენტრალიზაცია, მმართველობის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, უკვე ქართული ფეოდალური მონარქიის ფარგლებში მიმდინარეობს.

2. საქართველოს გაერთიანება გაპირობებული იყო ქვეყნის ეკონომიური, სოციალურ-კლასობრივი, პოლიტიკური განვითარებით და აგრეთვე შექმნილი საგარეო პირობებით.

3. IX—X სს. მძლავრი ეკონომიური აღმავლობის ხანაა საქართველოს ისტორიაში.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პროგრესი, რაც ხელს უწყობს მიწის უკეთ დამუშავებას და ახალი ნაკვეთების ათვისებას, ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების შემოსვლა, ძველიდანვე არსებული კულტურების გაუმჯობესება, მოსახლეობის გამრავლება და სხვ. ქვეყნის ეკონომიურ შესაძლებლობათა გაზრდაზე მიუთითებს.

განვითარების ახალ საფეხურზე ადის მევენახეობა, მებაღეობა-მემინდვრეობა, ხელოსნობის ცალკეული დარგების განვითარება.

ამაგე ხანაში საგრძნობლად იზრდება ფულადი მიმოქცევა, ვაჭრობა-აღებ-მიცემა, იზრდება ქალაქების რიცხვი, ცხოველდება სავაჭრო-ეკონომიური კავშირები, როგორც საქართველოს ცალკეულ კუთხეებს შორის, ისე გარე სამყაროსთან.

4. პოლიტიკური დაქსაქსულობის დროისათვის დამახასიათებელი მმართველობის სისტემა (ცალკე სამეფო-სამთავროები) ამუხრუჭებდა საწარმოო ძალთა შემდგომ განვითარებას. სახელმწიფოს მმართველობის არსებული ფორმა წინააღმდეგობაში ვარდებოდა საწარმოო ძალთა განვითარებასთან, რაც ამზადებდა ნიადაგს ამ პოლიტიკური ფორმის ლიკვიდაციისათვის. XI—XII სს. მანძილზე საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში უკვე მიმდინარეობდა ის პროცესები, რომელთაც საბოლო ჯამში უნდა მიეყვანათ ქვეყანა პოლიტიკური დაქსაქსულობის ლიკვიდაციამდე და ერთიანი სახელმწიფოს შექმნამდე.

5. საქართველოს გაერთიანებას, ეკონომიურთან ერთად, თავისი კლასობრივი საფუძველი აქვს. დიდ გავლენას ახდენს გაერთიანების პროცესზე კლასობრივი ბრძოლა.

ფეოდალიზმის მთელ სიგრძეზე მწარმოებელი საზოგადოების მდგომარეობა ძირითადად ერთნაირია; გლეხი განიცდის ეკონომიურსა და გარეშეეკონომიურ იძულებას. მაგრამ აუცილებლად გასათვალისწინებელია ამ იძულების სიმძიმე და შედარებითი სიმსუბუქე ფეოდალიზმის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე.

ფეოდალიზმის ადრინდელ საფეხურებზე, სანამ მწარმოებელი საზოგადოება ჯერ კიდევ მთლიანად არაა ჩაბმული ფეოდალურ ურთიერთობაში, მანამ მწარმოებელთა მდგომარეობა შედარებით მსუბუქია. ფეოდალიზაციის პროცესის გაღრმავებასთან და ქვეყნის საბოლოო ფეოდალიზაციასთან ერთად თითქმის ქრება თავისუფალ მწარმოებელთა ფენაც და გლეხთა ექსპლოატაციაც სულ უფრო მძიმე ფორმებს იღებს.

საქართველოს მწარმოებელი საზოგადოება აქტიურად იბრძვის ამ მოვლენის წინააღმდეგ: ფეოდალური ექსპლოატაციის გამწვავება იწვევს დაძაბულ კლასობრივ ბრძოლას, მწარმოებელთა ბრძოლას მიწებისა და თავისუფლების შენარჩუნებისათვის.

ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია გლეხთა ექსპლოატირებული მასების მორჩილებაში ყოლა იყო. როგორც ჩანს, ქართულმა ცენტრალიზებულმა სახელმწიფომ, გარკვეულ ეტაპზე, ამ თავისი მისიის შესრულება შესძლო.

ასეთია ფეოდალური საქართველოს გაერთიანების კლასობრივი არსი.

6. გარკვეულ როლს საქართველოს გაერთიანების საქმეში ასრულებდა ეროვნული ერთიანობის შეგნებაც.

ეროვნული და კულტურული ძალების კონცენტრაცია შეპირობებულია ეკონომიური და პოლიტიკური აღმავლობით.

ერთიანი ქართველი ხალხის ჩამოყალიბების ხანგრძლივი პროცესი, რომლის საწყისები წინაკლასობრივი საზოგადოების რღვევისა და კლასობრივი საზოგადოების ჩასახვის საფეხურს უკავშირდება, თავის საბოლოო ფორმირებას სწორედ ადრეფეოდალურ ხანაში ამთავრებს.

7. ფეოდალური საქართველოს გაერთიანება თავის სათანადო ასახვასა და გამოვლინებას ჰპოვებს ქართული კულტურის განვითარებაში.

გაერთიანების ხანას უკავშირდება ლიტერატურასა და ხელოვნებაში ეროვნული მიმართულების გაძლიერება და ეროვნული მოტივების გაღრმავება ისტორიოგრაფიაში.

8. საქართველოს გაერთიანების საქმის სათავეში მთავარი — მეფე დგას. ქვეყნის ყველა პროგრესული ელემენტები სამეფო ხელისუფლების გარშემო ჯგუფდება.

საქართველოს მეფეებს მათს ბრძოლაში ქვეყნის გაერთიანებისათვის სხვადასხვა კლასები და სოციალური ფენები უჭერდნენ მხარს; მათ შორის ფეოდალური არისტოკრატიის წარმომადგენლებიც. მაგრამ, როგორც არაერთგზის აღვნიშნეთ, თუ დიდებულ აზნაურებს, ერთი მხრით, ესაჭიროებათ ძლიერი ცენტრალისტური ხელისუფლებების არსებობა, მეორე მხრივ — რადგან ასეთი ხელისუფლება ზღუდავს მათ პოლიტიკურ იმუნიტეტს, ისინი მის წინააღმდეგ გამოდიან.

საქართველოში ბრძოლა მეფის ცენტრალურ ხელისუფლებასა და ფეოდალურ არისტოკრატიას შორის, ქართული ფეოდალური მონარქიის ჩამოყალიბებიდანვე, ძალიან მწვავე და დაძაბულია. ფეო-

დალურ არისტოკრატიას მის ბრძოლაში ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ გარეშე ძალაც უჭერს მხარს.

9. ასევე თავისებურია ეკლესიის დამოკიდებულება საქართველოს გაერთიანების საქმისადმი. საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას საეკლესიო ერთობა უსწრებდა წინ. X ს. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ეკლესიები გაერთიანებულია. მართალია, დასავლეთ საქართველოს ეკლესიას თავისი მწყემსი ჰყავს, აფხაზთა კათალიკოსის სახით, მაგრამ, როგორც ცნობილია, X ს-თვის დასავლეთ საქართველოს ეკლესია უკვე გამოთიშულია კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსაგან და ის მცხეთის კათალიკოსის სამწყსოში შედის. ამიერიდან დასავლეთ საქართველოს ეკლესია მცხეთას ემორჩილება.

ეს „სრულიად ქართული“ ეკლესია მცხეთის კათალიკოსის სახით, ძირითადად ცენტრალური ხელისუფლების მომხრედ გამოდის მის ბრძოლაში ქვეყნის გაერთიანებისათვის.

ქართული ეკლესია ცენტრალური ხელისუფლების მომხრეა იმდენად, რამდენადაც ეს ხელისუფლება მას თავისი მდგომარეობის განმტკიცებისათვის ჭირდება. ხოლო ცენტრალური ხელისუფლება იყენებს ეკლესიის მხარდაჭერას თავისი მიზნებისათვის.

10. ცენტრალური ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი წვრილი და საშუალო აზნაურობაა. წვრილი და საშუალო აზნაურობა, რომელიც შეივიწროებას განიცდის ფეოდალური არისტოკრატიის მხრით, მფარველს ცენტრალურ ხელისუფლებაში პოულობს, ხოლო მეფე მისი სახით — ფართე დასაყრდენს მსხვილი ფეოდალების წინააღმდეგ ბრძოლაში.

11. საქართველოს გაერთიანებისა და ცენტრალური ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში გამაერთიანებელი ძალებია ერთ-ერთი ძლიერი დასაყრდენი საქართველოს მწარმოებელი საზოგადოება იყო.

ქვეყნის დაქსაქსულობა ხელსაყრელ პირობას წარმოადგენდა გარეშე ძალებისათვის ცალკეული ქართული ქვეყნების დაპყრობა-დარბევებისა თუ მათზე უცხოურ ხარკისა და გავლენის დაკისრებისათვის. უცხოელთა ეს ლაშქრობები და მათი ბატონობა კი ყველაზე მძიმედ მწარმოებელი საზოგადოების მდგომარეობაზე მოქმედებდა. აღნიშნული გარემოება განაპირობებდა მწარმოებელთა მხარდაჭერას მეფის ხელისუფლებისათვის, ისეთი ძლიერი ცენტრალური ხელისუფლებისათვის, რომელიც უკეთ შესძლებდა მთელი ძალების მობილიზაციას ქვეყნის დასაცავად.

12. საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე უმნიშვნელოვანესი ობიექტია „ბრძოლა ქართლსა ზედა". ეს საცილობელი „ქართლი" საკუთრივ შიდა ქართლია. „ქართლსა ზედა" იბრძვიან ქართველი მეფე-მთავრები, ხოლო IX საუკუნის ბოლოდან ამ ბრძოლის უშუალო მონაწილეებად ხდებიან სომეხი მეფე-მთავრებიც. სომხური პოლიტიკური ორგანიზმების ჩაბმა ამ ბრძოლაში აფართოვებს მის ფარგლებს და დღის წესრიგში აყენებს ამიერკავკასიის მასშტაბით ძლიერი სახელმწიფოს შექმნის საკითხს

მებრძოლი მხარეების განსაკუთრებულ ინტერესს შიდა ქართლისადმი განსაზღვრავდა მისი მნიშვნელობა იმდროინდელი ამიერკავკასიის და. კერძოდ, საქართველოსათვის.

13. საქართველო ფეოდალურ ურთიერთობათა აღმავალი განვითარების ეტაპზე გაერთიანდა. წარმმართველი ძალა და გადამწყვეტი მნიშვნელობა ამ ხანის საქართველოს ცხოვრებაში ფეოდალურ ეკონომიკასა ჰქონდა. გაერთიანებისათვის მებრძოლი ხელისუფლების მთავარი დასაყრდენი ძალაც ფეოდალური საზოგადოების ძირითადი კლასები იყვნენ.

14. აღნიშნული გარემოება თავისთავად უკავშირდება ფეოდალური საქართველოს ფეოდალურ საწყისებზე გაერთიანების დამაჩქარებელი მოვლენის, საგარეო საფრთხის, საკითხის, რაც აპირობებს ძირითადი საზოგადოებრივი ფენების დარაზმვას ერთი მთავარი მიზნისათვის, ძლიერი ცენტრალისტური ხელისუფლების შესაქმნელად. ამდენად აშკარადაა წარმოჩენილი საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის სახალხო განმათავისუფლებელი მოძრაობის ხასიათი (უცხოელ დამპყრობთაგან განთავისუფლების გაგებით) რაც, თავის მხრივ, ავლენს ამ პროცესის პროგრესულ მნიშვნელობას.

საკუთარ სახელთა საძიებელი

აბაზგია, (აბასგია), 126, 176—178, 183—186, 189, 190
აბასიანნი, 100, 121, 122, 142, 162, 202, 230, 265
აბო თბილელი, 45, 92, 93, 142, 179 180, 280, 281
აბოცი, 206, 239
აბრაამ (სომხეთის კათალიკოსი), 270
აბულალ (ჰერეთის ერისთავი), 166
აბულაძე ი., 75, 76, 199, 244, 268
აბულ კასიმ აბუსაჯის-ძე, 242, 244, 245, 247, 265
აგარა (სოფ.), 84
ადარნასე ბრმა, 170
ადარნასე ბაგრატიონი, ძმისწული ადარნასე ბრმისა, 58
ადარნასე დავითის-ძე, 197, 198
ადარნასე პატრიკი, ჰერეთის მთავარი, 162, 172, 174, 242, 254
ადარნასე ბაგრატიონი (აშოტ კურაპალატის მამა), 202, 222
ადარნასე II (ქართველთა მეფე), 206—208, 211—213, 247
ადარნასე (აშოტ კურაპალატის ვაჟი), 206, 266
ადონცი ნ., 80
ავსტრია, 130
აზერბაიჯანი, 100, 106, 231
ათინა (შავი ხღვის სანაპიროზე), 18
ალავერდი, 144, 242, 243
ალახანი, 147, 163, 168—171, 175, 196, 240
ალანეთი, 186, 196
ალანთა კარი, 199
ალფ-არსლანი, 167, 173
ამანელის-ძე, არგუთის ერისთავი, 187
ამბარი, 195
ამიერკავკასია, 11, 35, 79, 118, 122 138, 140, 159, 169, 173, 175, 177 222, 226, 229, 231, 237, 239, 240, 242, 260, 275, 292
ამირანაშვილი შ., 259, 260
ანაკოფია, 127, 186, 195
ანდრია მოციქული 185, 272
ანისი, 38
ანჭკორა, 217
ანჩა, 104, 105, 123, 210, 211, 216, 266
არაგვი, 121, 148, 156, 164, 169, 237, 249
არაბეთი, 44, 231
არაგვის ხეობა, 215, 238, 240
არგვეთი, 180, 187
არევმანელი, 153
არეში, 210
არიში, 162, 172, 196, 242, 243
არმენია, 140, 142, 159
არსენ კათალიკოსი, 210, 261, 270, 271, 275
არსენ ბერი, 273
არტაანი (არტანი), 150, 206, 207, 210, 211, 215, 239
არტანუჯი, 36, 122, 195, 200, 204, 205, 208, 209, 211, 218, 223, 239
არქეოპოლისი, იხ. ციხე-გოჯი
არშუშა პიტიახში, 92
არჩილ ერისთავი, 143
არჩილ (ერისმთავარი, მეფე), 22, 51, 53, 54, 57, 58, 60, 62, 113, 114, 124, 127, 144, 145, 170, 178, 281
აფენი, 176
აფსარი (შავი ხღვის სანაპიროზე), 180, 181
აფშილეთი, 127, 178, 195
აფხაზეთი, 5, 8, 9, 93, 107, 111, 112,

122, 127, 128, 138, 147, 176, 177, 179, 180—182, 185, 186, 188—193, 197, 237, 247, 248, 249, 258
აფხაზეთის საერისთავო, 187, 189
აფხაზეთის სამთავრო, 126, 133, 178, 179, 180, 182, 184—188, 195
აფხაზეთის სამეფო, 107, 124, 126, 128, 154, 165, 173, 176, 179, 180, 189, 190—200, 211, 223, 224, 226, 237, 241, 242, 247, 281
აღსართანი, კახთა მეფე, 149, 168, 169
აშოტ კურაპალატი, 45, 89—91, 94, 103, 104, 119, 120, 122, 123, 157, 200—214, 219, 222, 223, 225, 226, 237, 241, 264, 267, 285
აშოტ მარიელელი (მთავარი), 167
აშოტ ერისთავთ-ერისთავი, 203, 211, 220
აწყური, 210, 211
ახალქალაქი (ჯავახეთი), 36
ახალციხე, (სამცხე), 56
ახალციხე (ხევი), 145, 156
ახიზი (კლარჯეთი), 210
აჭარიანი, 25

ბაბეკი, 100, 106, 107
ბაგრატ I (ქართველთა მეფე), 206, 211
ბაგრატ II რეგვენი (ქართველთა მეფე), 206
ბაგრატ III, 7, 9—11, 19, 63, 88, 112, 147, 150, 165, 206, 207, 211, 214, 237, 251, 253, 255—257
ბაგრატ IV, 38, 39, 53, 148, 167—169, 173, 192, 208
ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი, 206, 222
ბაგრატ კურაპალატი, 45, 94, 160, 203, 206, 209, 210, 213, 225, 226, 237, 256, 266, 285
ბაგრატ, აფხაზთა მეფე, 189
ბაგრატ, ძე დემეტრე აფხაზთა მეფისა, 128
ბაგრატი II (არტანუჯელი), 207
ბაგრატ, ძე კოსტანტინე აფხაზთა მეფისა 246
ბაგრატ, ძე გიორგი აფხაზთა მეფისა, 250
ბაგრატიონი ვახუშტი, 8, 9, 92, 124, 140, 144, 145, 148, 151—154, 163, 164, 167, 170—173, 179, 186,—188, 210, 211, 236, 245, 247, 255
ბაბალეთი, 164, 248, 249
ბაიხო, 144
ბალაძორი, 122, 159, 231
ბანა, 208, 211, 220
ბარამიძე ა., 53—55

ბარამ არიშიანი, 173
ბარამ ვარდანის-ძე, 187
ბარდაველიძე ვ., 72
ბარდავი, 170, 175, 196
ბარნაველი თ., 152
ბასიანი, 215
ბასილი, ბიზანტიის იმპერატორი, 167
ბასილ ზარზმელი, 24, 33, 43, 45, 49, 65, 75, 77, 91, 92, 93, 95, 96, 101, 102, 203, 215, 216, 218, 219, 221, 259, 261, 262
ბასილ სოფენელი, 182—184
ბასილ მონაზონი, 277, 278
ბაქრაძე ა., 97, 196, 250, 253
ბაქრაძე დიმ., 9
ბაღდადი, 240
ბაღვაში ლიპარიტ, 58, 206, 224
ბახტრიონი, 163
ბაყათარ ოვსი, 187, 197, 198
ბაჭლაუნდელი ბეშქენ, 93
ბაჭლაუნდელი მირიან, სამცხის დიდი მთავარი, 65, 72, 94, 266
ბედია, 186, 187
ბედიანი, ოდიშის ერისთავი, 187
ბედუკაძე ს., 215
ბერის საყდარი, 255
ბერძენიშვილი ნ., 8, 9, 14, 15, 20, 22, 31, 34, 46, 51, 53, 54, 59, 62, 63, 70, 72, 74, 75, 90, 91, 98, 120, 125, 137, 144, 173, 177, 182, 189, 191, 193, 236, 239, 248, 282, 283

ბერძნიშვილი მამისა, 84, 86, 98, 114
ბექა ოპიზარი, 259
ბზიფი (მდ.), 195, 197
ბიზანტია, 17, 35, 36, 107, 111, 115, 122—124, 126—128, 132, 160, 167, 174, 176, 177, 179, 180, 182, 184—186, 189—198, 211—213, 215, 224, 225, 239, 254, 258, 287
ბითვინია, 279
ბოგვერაძე ა., 48, 71, 74, 98, 240
ბოდოჯი, 148, 149
ბორცვის ჯვარი (შიდა ქართლი), 253
ბოსფორი, 183—186
ბოპორმა, 145, 147, 162—164, 166, 169
ბრეჭა, 243
ბროსე მ., 140, 148
ბულა თურჭი, 154, 160, 175

გაბაშვილი ვ., 15, 53, 56, 57, 80, 100, 106, 116, 117, 231—234
გაბრიელ დონაური, 154
გაბრიელ მამასახლისი, 92
გაგიკი, კახთა მეფე, 168
გაგრა, 195
გაბრიელ დაფანჩული, 89, 90, 91, 203, 218, 220
გავაზნი (გავაზი), 162, 172, 175, 196, 242, 243
გარბანელი (ხუროთმოძღვარი), 218
გარბანი, 145, 156, 157
გარდაბანი, 144, 147, 153, 154, 155, 161, 248
გელათი, 195
გარეჯის უდაბნო, 277
გელცერი, 182, 183
გერმანია, 130
გვარამ მამფალი, 94, 127, 206, 209, 210, 214, 226, 237, 239, 266, 267
გევრდა, 217
გვრიტიშვილი დ., 156
გიორგი I, 166, 167
გიორგი II, 51, 169, 186
გიორგი III, 82
გიორგი, მეფე აფხაზთა, 155, 162, 164, 192, 198, 246—248, 250, 251—253, 256
გიორგი მთაწმინდელი, 222
გიორგი მერჩულე, 8, 24, 25, 29, 34, 44, 49, 66, 75, 77, 89—94, 104, 114, 119, 189, 200—203, 208—210, 213—219, 221, 260, 262—266, 269, 275, 276, 282—287
გიორგი ჩორჩანელი, 33, 34, 45, 49, 65, 66, 93, 96, 102, 103, 203, 216, 217
გიორგი (წმინდა), 243, 252, 255
გიში, 173
გობრონი (მიხეილ—გობრონი), 91, 95, 221, 261, 262, 285
გოდერძი, ერისთავთ ერისთავი, 168
გოდერძი მგდეური (ქაბი აზნაური), 164, 248
გომბორი, 238
გრეკოვი ბ., 70
გრიგოლია კ., 77, 268, 286
გრიგოლ განმანათლებელი, 271, 273, 274
გრიგოლ, კახეთის მთავარი, 95, 153, 157, 223, 240
გრიგოლ ხანძთელი, 24, 29, 34, 45, 66, 72, 90—92, 123, 201, 203, 209, 210, 211, 213—216, 218—221, 260, 262, 263—267, 269, 276, 278, 282, 284, 285
გრუა (ციხე), 166
გუარამ ერისმთავარი, 153
გუარამ კურაპალატი, 58
გუარანდუხტ დედოფალი, ბაგრატ III დედა, 165, 256
გულგულა, 170, 171
გურგენ, მეფეთ-მეფე, 9, 10, 165, 206, 214, 249
გურგენ ერისთავთა ერისთავი, 172, 174, 197, 198, 206, 207, 246
გურგენ კურაპალატი, 203
გურგენ ბერი, 173
გურია, 187

დაბა, 216
დავით II (ქართველთა მეფე), 206, 212
დავით აღმაშენებელი, 19, 20, 24, 38, 64, 169, 173
დავით გარეჯელი, 277
დავით კურაპალატი, ბაგრატის-ძე, 58, 106, 208, 220, 237
დავით კურაპალატი, ტაოს მეფე, 7—10, 19, 88, 112, 165, 206, 212, 213, 220, 222, 226, 227, 249, 250, 256, 257
დავით წინასწარმეტყველი, 94, 285
დავითის ისტორიკოსი, 92
დავით, კახეთის მთავარი, 166
დავითიანის უბანი, 144
დარიალის კარი, 139, 156
დარიალის ხეობა, 157, 159, 169, 196, 238, 240
დაღისტანი, 114
დაჩი (ვაჩე), ძე იოვანე ქობულის ძისა, 153, 154
დებორნიას-ძე, 77
დემეტრე აფხაზთა მეფე, 165, 216, 250
დვალეთი, 157
დვინი, 80, 270
დინარ დედოფალი, 172—174
დმანისი, 36, 115, 232
დოდოთი, 251—253, 255
დოთაღოღ შარვაშისძე, ცხუმის ერისთავი, 187
დოლისყანა, 217
დოლიძე ვ. 145
დონაური, 154, 155
დონდუა ვ., 14
დრანდა, 195
დუბაძე მ., 14
დურძუკეთი, 157

ეგრისი, 127, 138, 176—180, 186—189
ეგრის—აფხაზეთი, 126, 176, 179, 194
ევროპა, 17, 36, 37, 47, 129—131, 136
ეგვსტათე მცხეთელი, 72, 92
ეკეკი, 220
ენგელსი ფ., 61, 70, 129, 130

ეპიფანე კონსტანტინეპოლელი, 184, 185
ერედვი, 241—245, 251, 253, 255
ერემიანი ს., 44, 46, 47
ერუშეთი, 210, 211
ესპანეთი, 130, 278
ეფრემ მაწყვერელი (იგივე ეფრემ კათალიკოსი) 210, 287
ექვთიმე მთაწმინდელი, 278

ვარდანი (ისტორიკოსი), 38
ვაშნარი, 35
გარციხე, 195
ვაჩნაძიანი, 144
ვახტანგ გორგასალი, 52, 54, 114, 120, 127, 173, 205, 210, 211
ვაჩე ქობულის-ძე, იხ. დაჩი იოვანე ქობულის-ძე.
ვაჩე ხორნაბუჯის ერისთავი, 172
ვეინი (ვეჯინი), 150, 162, 168, 169, 172, 173, 242, 243
ვერონა, 145, 147

ზანავი, 65, 93
ზარზმა, 202, 209, 218, 220
ზედაზენი, 152
ზელენჩუკი, 196
ზენონი, 34, 49
ზვიად მარუშიანი (ერისთავი), 196, 249, 250

თამარ მეფე, 187
თამარის ისტორიკოსი (ავტორი თხზულებისა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი"), 92, 157
თაყაიშვილი ე., 24, 82, 104, 151, 157, 201, 205, 206, 217, 221, 222 264, 272
თბილისი, 15, 35, 38, 39, 64, 81, 82, 107, 115, 117—119, 123, 125, 160, 167, 168, 222, 228, 234—236
თბილისის საამირო, 107, 117—119. 121, 123, 126, 202, 227, 230—236, 241, 265

თელავი, 36, 148—150, 170, 171, 176
თეოდორე (ბერი), 66
თეოდორე თაფლაის-ძე 241, 243
თეოდოსი, აფხაზთა მეფე, 9, 165, 223, 250
თეოფანე ჯამთააღმწერელი, 126, 127, 178, 197
თესალონიკე, 277
თეძი. 77
თიანეთი, 147—150
თმოგვი, 36, 207
თომა სლაეი, 194
თორთომი, 215
თოფურია ე., 243, 251, 253, 254
თოღა, 152
თრიალეთი, 58, 149, 206, 239
თრუსოს ხეობა, 144
თურდოს ხევი, 171

იაზიდ იბნ უსეიდი, 122 139
იაკობ ცურტაველი, 91
იაკუბი, 33, 139, 143, 146, 158, 159, 160
იაკუბოვსკი ი., 80
იბერია, 126
იერუსალიმი, 273, 279, 287
ილარიონ ქართველი, 261, 262, 277—279
ილტო, 167
იმერეთი, 187, 188
ინგლისი, 130, 131
ინგოროყვა პ , 8, 45, 92, 114, 119, 177, 181, 182, 184, 185, 189, 190, 192, 201. 204, 207, 208, 213, 214, 268, 286
იოანე ზედაზნელი, 277
იოანე კათალიკოსი (დრასხანაკერტელი), 152, 199, 241, 244
ი ოანე (ივანე) მარუშისძე, 7, 9, 10, 19, 112, 253, 256, 257
იოანე ერისთავი, 170
იოანე-ზოსიმე, 261, 279, 280, 281
იოანე მინჩხი, 190
იოანე საბანისძე, 44, 92, 93, 179, 180, 181, 185, 260, 261, 275, 279, 280
იოვანე, (იოანე) წმინდა, 218, 220
იორი (მცირე ალაზანი), 145, 147, 148, 150, 169, 171, 240
ირანი, 28, 100, 177, 258
ისაკ თოლობელისძე, 149
ისანი, 168
ისი (ტაო), 220
ისტაჰრი, 32
იუსტინიანე კეისარი, 138, 189
იშხანი, 206, 209, 210, 211, 220, 269
იშხანიკი, ჰერეთის მეფე, 172. 173
იყალთო, 144

კავკასია, 110, 132, 195, 200, 203, 238, 239,255, 281
კავკასიონი, 171
კაკაბაძე ს., 52, 152, 156, 157, 279
კალინოვკა, 176
კალმახი, (ციხე), 207
კაპანაძე დ., 176, 195
კარლ მარტელი, 61
კაროლინგები, 61
კასრი, 144
კახაბერი, რაჭისა და თაკუერის ერისთავი, 187
კახეთი, 6, 7, 33, 51, 54, 62, 64, 101, 111, 112, 122, 124, 125, 137—148, 150—155, 157, 158, 160—164, 166—169, 171, 173, 174, 176, 178. 190. 193, 235, 238, 248, 277, 281
კახეთის სამთავრო, 101, 107, 112, 121, 126, 133, 137, 140, 144—147, 149—151, 153—157, 159, 161, 162, 164—171. 175—177, 211, 223, 224, 237, 241
კახეთ-ჰერეთი, 114, 144, 167, 173
კახეთ-ჰერეთის სამეფო, 137, 150, 166, 168—170
კეკელიძე კ., 43, 119, 181, 187, 192, 200, 209, 215, 259, 268, 270, 272, 277, 280, 281, 283, 284, 286

კვეტცრა, ციხე, 145, 147, 168
კვირიკე კახეთის ქორეპისკოპოსი (893—918), 10, 152, 154, 162, 172, 196, 242, 244, 245, 248, 249
კვირიკე, კახეთის ქორეპისკოპოსი (929—979), 163, 164, 166
კვირიკე, კახთა და რანთა მეფე, 148, 149, 166, 167, 170, 174, 254
კვირიკე, კახთა და რანთა მეფე, 148, 149, 166, 167, 170, 174, 254
კვირიკე ბანელი (ეპისკოპოსი), 208
კიევი, 106, 107
კირიონ კათალიკოსი, 270
კლარჯეთი, 24, 29, 58, 201, 202, 205—211, 215, 216, 223, 264, 265, 275
კლდეეთი, 195
კლდეკარი, 58
კლისურა, 57, 127
კოდორი, 126, 195, 197
კოლა, 215
კოლხეთი, 110, 185
კონსტანტინე იმპერატორი, 210
კონსტანტინე პორფიროგენეტი, 195, 213, 218, 286
კონსტანტინეპოლი, 180, 182—186, 191—193, 198, 273, 277, 279, 283
კოპალიანი ვ., 212, 225, 226
კოსტანტინე აფახხთა მთავარი, 179
კოსტანტინე აფხაზთა მეფე, 162, 172, 196, 199 200, 241—247, 252, 253, 256
კოსტანტინე, აფხაზთა მეფის გიორგისძე, ქართლის ერისთავი, 247, 248, 251—253, 256
კოსტანტინე—კაბა, 261, 262, 285
კორინთელი დაჩი, 164, 248
კულაკოვსკი ი., 182
კუმურდო, 196, 210, 211, 220, 249
კუხეთი, 144—147, 150, 153, 154, 161, 235, 277

ლაგოდეხი, 176
ლახეთი (ლახიკა), 114, 126, 176, 177, 181—186, 189, 191,
ლაკლაკი, 50
ლაკუასტის ხევი, 144
ლალის ყური, 163, 164,
ლევონდი, 137, 142
ლელიანი, 176
ლენინი ვ., 63
ლეონ I, აფხაზთა ერისთავი, 177, 180, 189
ლეონ II, აფხაზთა ერისთავი, მთავარი, მეფე, 57, 58, 127, 176, 179, 180, 186—188, 196, 223, 239
ლეონ III, აფხაზთა მეფე, 164, 165, 196, 248, 249, 250, 253
ლეონ ბრძენი (ბიზანტიის იმპ.), 182, 183
ლეონ ისავრიელი, 197
ლეონტი (ბიზანტიელი სარდალი), 138
ლეონტი მროველი, 8, 92, 171, 273, 274
ლეჭვინაძე ვ., 179
ლიახვი, 254
ლიპარიტ ბაღვაში, 167, 168
ლიხი, 177, 186, 187, 237
ლიხთიმერეთი, 187, 191, 283
ლომოური თ. 104, 144, 200, 236
ლორთქიფანიძე მ., 14, 18, 19, 27, 31, 39, 81, 124, 128, 129, 149, 151, 161, 227, 228, 230, 234, 236
ლოწობანი, 162, 163, 164

მათე ურჰაელი, 38
მაკედონია, 279
მალიქ-შაჰი, 169
მამა ყანჩაელი, 164, 248
მანანდიანი ა., 47
მანსური (ხალიფა), 122, 139, 141, 159
მარი ნ., 25, 34, 49, 66, 201, 209, 215, 216, 221, 264, 268, 283
მარიამ დედოფალი, 151
მარინე (აფშილთა მთავარი), 178
მარქსი კ., 37, 70, 78, 86, 129
მასლამა (არაბი სარდალი), 231

მასუდი, 235
მახარაძე (რაიონი), 195
მელიქიშვილი გ., 14, 269
მელიქსეთ-ბეგი ლ., 151, 152
მელქისედეკი (კათალიკოსი), 77
მეროვინგები, 61
მესხეთი, 29, 31. 114, 215
მესხია შ., 14, 15, 36
მეტეხარა, 77
მეფისაშვილი. რ., 242, 243, 245, 251—255
მირიან მეფე, 210
მირდატ (ვახტანგ გორგასალის ძე), 211
მისიმიანეთი, 178
მიქელ საბაწმინდელი, 190
მიქელ (ბუროთმოძღვარი), 218
მიქელ პარეხელი, 267
მოსკოვი, 238
მოქვი, 195
მოღრისი, 251
მტკვარი, 35, 171, 175, 197, 211, 235, 238, 248
მუთავაქილი (ხალიფა), 236
მურვან ყრუ (მურვან იბნ მუჰამედი), 117, 121, 123, 125, 127, 138, 143, 201, 179, 205, 231, 235, 236, 264
მუსა (ხალიფა), 142
მუხრანი, 82, 164, 249
მუჰამედ იბნ ათაბი (თბილისის ამირა) 160
მუჰამედ ხალიდის ძე (მუჰამედ იბნ ხალიდი), 154, 160, 256
მცხეთა, 19, 45, 75, 95, 111, 112, 148 190—193, 240, 267, 283

ნასრი (გვარამ მამფალის-ძე), 128, 187, 197, 198
ნაფსაი (შავი ზღვის სან.), 180, 181
ნახჭევანი, 162, 163, 164, 168
ნერსე (ქართლის ერისმთავარი), 93, 118, 129, 176, 196
ნერსე კათალიკოსი, 209, 269
ნიკოლოზ გულაბერის-ძე, კათალიკოსი 276
ნიკოლოზ მისტიკოსი (კონსტანტინეპოლის პატრიარქი), 198
ნიკორწმინდა, 45, 75, 77, 84
ნიკოფსია, 183—186, 189
ნინო (წმინდა), 34, 217, 261, 270, 272, —276, 285
ნინოწმინდა, 144
ნიქოზი (ზემო), 255
ნიკტორა, 145
ნუცუბიძე შ., 262, 263

ოვსეთის კარი, 157
ოთხთა ეკლესია, 208, 220
ოკრიბა, 187
ოლთისი, 36
ომაიანნი, 116
ომარ 1, ხალიფა, 229, 231
ოპიზა, 201, 209, 214, 216, 217, 222, 264
ორბელიანი სტეფანოზ, 105
ორპობი, 162, 172, 242
ოტათლოანი (სოფ.), 77
ოფისპალა, 217
ოშკი, 208, 218—222
ოძრხე (ოძრახე), 187

პავლე (მოციქული), 205
პალესტინა, 281
პანკისის ხეობა, 163, 168
პართეი, 182, 183
პარხალი, 208, 217, 220
პარპუანი, 157
პეტრე (ალანთა არქიეპისკოპოსი), 198
პეტრე (მოციქული), 205
პეტრუშევსკი ი., 28, 80
პიგულევსკაია ნ., 80

პოლემონის პონტო, 182, 183, 184
პომპეუსი, 148
პონტოს ზღვა, 180, 181
პროკოპი კესარიელი, 31, 32

ჭალეთი, 145
ჭამთააღმწერელი, 92
ჭორდანია თ., 45, 47, 76, 81, 84, 85, 88, 249

რამინი, 52
რაჟდენ პირველმოწამე, 276
რატიანი პ., 14
რაჭა-ლეჩხუმი, 187
რეხი (შიდა ქართლი), 160
რიხე (შავი ზღვის სან.), 181
რიონი, 181
რკინის ციხე (აფშილეთი), 127
რომი, 28, 278, 279
რუეთი, 82
რუისი, 73
რუისპირი, 144
რუსეთი, 36, 63, 70, 106, 107, 137, 238
რუსთავი, 115, 232
რჩეულიშვილი ლ., 196, 197

ხაკ (საჰაკ, ისჰაკ), 154, 160
საბა—სულხან ორბელიანი, 39, 151, 152
საბა იშხნელი (ეპისკოპოსი), 209, 213, 266, 267, 269
საბა-წმინდა (შიდა ქართლი), 255
საბერძნეთი, 28, 122, 123
საბინინი მ., 80, 272, 276
სათახვის ტბა, 103, 217
საგურამო, 144
სამების ხევი, 171
სამეგრელო, 29
სამოელ დონაური, 154
სამოელ კათალიკოსი, 92
სამოქალაქო, 195
სამცხე, 100, 105, 208, 210, 211, 215, 220, 235, 270
სამწევრისი, 242
სანარია, იხ. წანარეთი
სარიდანი (ვეფხისტყაოსანი), 55
საფარა, 220
საფრანგეთი, 130
საქარა, 195
საქართველო, 5—42, 48, 50, 55, 57, 58, 60, 62, 64, 68, 70, 75, 79, 80—83, 88, 90, 100, 101, 106—143, 148, 158, 160, 163, 165, 166, 167, 169, 170, 173, 175—179, 182—196, 200, 201, 203, 205, 209, 210, 212, 216, 217, 219, 222, 225, 227, 230, 232—241, 244, 245, 254, 255, 256, 558--275 277, 282—292
საკსონია, 106
საჩხერე, 195
საძმო, 103
საბალიფო, 17, 27, 36, 100, 106, 108, 114, 116—123, 126, 141—145, 161, 175, 195, 223, 227, 229, 236
სებასტუპოლი, 183, 186, 189
სერაპიონ ზარზმელი, 24, 35, 43, 45, 49, 65, 91, 92, 93, 96, 101, 102, 203, 215, 216, 218, 219, 221, 259, 261, 262, 267
სვანეთი, 187
სივნიეთი, 105
სიონი (იერის ხეობა), 145
სიონი (ყაზბეგის რაიონი), 145, 156, 157
სირია, 258
სიხარულიძე ე., 229, 230, 233
სობლისი, (ციხე), 195
სომხეთი, 38, 45, 46, 79, 80, 105, 106, 132, 136, 138, 157, 199, 200, 238, 244, 268, 270
სოსელია ო., 91, 92
სოღდებილი, 234
სპერი, 215
სტეფანე მტბევარი, 80, 81, 95, 221
სტეფანე (ნიკოზის ეპისკოფოსი), 243, 252
სტეფანე სანანოის-ძე, ჰყონდიდელი, 192
სტეფანე ვარჯანის-ძე (პანკისის ერისთავი), 173

სტეფანოზ II (ქართლის ერისმთავარი), 124
სტეფანოს ტარონელი, ასოლიკი, 244
სუმბატ ბაგრატუნი, ტიეზერაკალი, 199, 241, 244, 247, 256
სუმბატ I, მამფალი, 207, 222
სუმბატ დავითის ძე, 24, 72, 104, 123, 200—214, 219, 223, 264, 265, 286
სურამის უღელტეხილი, 238
სურგულაძე ი., 15—18, 43
სპარსეთი, 28, 29
სხალტბა, 82
სხუილოსელი დაჩი (კახი აზნ.), 164, 248
სხუილოსელი ივანე (კახი აზნ.), 164, 248
ტაბარი, 175
ტაო, 8, 9, 88, 201, 202, 205—215, 220, 264, 265, 268
ტაო-კლარჯეთი, 5, 6, 36, 45, 101—107, 121, 124, 174, 193, 202, 205, 213, 216, 217, 221, 222, 237, 258, 264, 265, 267, 270, 281, 284, 287
ტაო-კლარჯეთის სამთავრო, 101—103, 107, 112, 121, 123, 124, 126, 128, 133, 175, 176, 200, 202, 203, 204, 205, 207, 208, 209, 212, 214—216, 219—226, 238, 239, 265
ტარიელი (ვეფხისტყაოსანი), 55
ტარიკას-ძე, 76, 77
ტაშირი, 206, 239
ტაშისკარი (ტასისკარი), 121, 237, 238
ტბეთი (შიდა ქართლი), 253—255
ტბეთი, ქვემო (შიდა ქართლი), 253
ტბეთი (შავშეთი), 211, 220
ტბელი (საგვარეულო სახელი), 251—255, 257
ტბელი ივანე, 243, 252—255
ტბელი ქავთარ, 251, 253, 257
ტებერდა (მდ.), 199
ტრაპეზუნტი, 180—186
ტყე-ტბა, 171
ურბნისი, 73
უტოსხევი, 163
უფლის ციხე, 160, 165, 166, 200, 242, 244, 247, 248, 255, 256
უჯარმა, 35, 145, 147, 162, 169
ფადლა არევმანელი, 162
ფადლონი (განძის ამირა), 53, 149, 167, 169
ფავნელი, 85
ფარნავაზ, მეფე, 9
ფარსადანი (ვეფხისტყაოსანი), 55
ფასიდი (ფაზისი), 182—186, 195
ფრანკთა იმპერია, 106, 107,
ფსევდო არსენი, 272
ფშავლები (სოფ.), 176
ფხუენელი გრიგოლ (კახი აზნ.), 164, 248
ფხუენელი სარ (კახი აზნ.), 164, 248
ძალდია, (ხალდია), 181, 182, 184
ქართლი, 6—11, 24, 64, 95, 112, 114, 115, 118—122, 124—127, 137 138, 142, 143, 146, 147, 157, 158, 160, 161, 164—166, 168, 169, 171, 188, 190, 192, 196, 198, 200—205, 217, 222, 228, 229, 235—247, 250—260, 265, 266, 270, 275, 279, 280 - 284, 292
ქართლი, ქვემო, 121, 235, 237
ქართლი, შიდა, 5, 67, 121, 169, 196, 222, 223, 226, 235, 237—242, 250—256, 292
ქერსონი, 183—186
ქრისტე, 123, 273, 280, 286
ქრისტეფორე (ბერი), 66
ქრისტეფორე ეპისკოპოსი, 181, 182
ქსანი, 223
ქუთაისი (ქუთათისი), 35, 177, 180, 187, 194

ყ აბბეგი (სოფელი), 145, 147, 156
ყარსის მთა, 211
ყაუხჩიშვილი ს., 8, 126, 178, 182, 183, 195, 218, 272
ყაუხჩიშვილი თ., 174, 254
ყვარა, 150
ყუბანეიშვილი ს., 92, 262, 272, 273, 277, 279, 280, 282

შავი ხღვა, 177, 180, 194, 239
შავშეთი, 24, 200—202, 205, 207, 208, 211, 215, 220, 264, 265
შავშეთ-კლარჯეთი, 24, 100, 103, 122, 123, 204, 205, 225
შავშეთ-კლარჯეთ-ნიგალის ხევი, 223
შაკიხი, 170
შანიძე ა., 222
შატბერდი, 94, 95, 203, 206, 208, 216, 217, 222, 273
შიო-მღვიმე, 51, 76, 81—88
შირვანი, 132
შმერლინგი რ., 260
შოშიაშვილი ნ., 97, 251, 252—255
შტორა-შურტა (კახეთის ქორეპისკოპოსის ძმა), 162
შტორის ხევი, 163, 171
შუა აზია, 28
შუარტყლელი (გალატოზი), 218
შულავერი 58,
შულიას-ძე, 76, 77
შურის ციხე, 164
შუშანიკი, დედოფალი, 91, 96, 281

ჩერქეზეთი, 196
ჩიტაია გ., 25, 26, 27
ჩოლოყაშვილი, 163
ჩორჩანი, 65, 93
ჩუბინაშვილი გ., 144, 149, 242, 258 259

ცაგარელი ა., 222
ცანდრიფში, 195
ცისკარიშვილი ვ., 80, 97, 196, 249, 255
ციხე-გოჯი (არქეოპოლისი), 126, 127, 195
ციხე-დიდი, 77
ციხის ძირი (აჰპარა), 195
ცურაბერდი (ცური), 105
ცქირი, 104, 105, 123, 266
ცქიტიშვილი გ., 29
ცხვევრი, 76, 84—86
ცხენის წყალი, 186, 187
ცხრაკარა (თიანეთის), 148, 149
ცხრაკარა (შიდა ქართლი), 251, 255
ცხუმი (ცხომი), 186, 187, 195

ძარღუა (სოფ.), 101, 219

წანარეთი (სანარია), 139—141, 144 145, 157—159
წანარეთის ხევი, 157
წიბილი, წებელდა (ციხე), 195
წინა აზია, 23, 38
წირქუალის ციხე, 166
წირქუალელი, ერისთავი, 168, 173
წუნდა, წუნა, 210
წუქეთი, 144
წყაროსთავი (კახეთი), 163
წყაროსთავი (ჯავახეთი), 211, 216, 220

ჭანივი (ჭანეთი), 181
ჭელიში, 95, 273
ჭინჭომ ძე მოჰმადისი, იხ. ხუზაიმა იბნ ხალიდი
ჭიჭინაძე ზ., 170
ჭოროხი, 187
ჭყონდიდი, 192
ჭყონთი, 176

ხავეთი, 211
ხახარეთი, 238
ხიზანი, 231
ხალიდ იბნ იაზიდი (ქართული წყაროების ხალიდ იაზიდის ძე), 154, 160, 175

ბანის წყალი, 187
ბანძთა, 105, 201, 208, 215—219, 264
ბაბუა (არშის ძე), 186
ბახულილა, 167
ბახული, 208, 220, 222
ბეითი (შიდა ქართლი), 255
ბევეკი (მდ.), 217
ბერთვისი, 210
ბერკი, 164, 249
ბობი, 195
ბორანთა, 171
ბორნაბუჯი, 173
ბუხაიმა იბნ ბაზიმი (ქართული წყაროების ჰინჯომ ძე მოჰმადისი, ასიმი), 159
ბევი, 139, 156, 157

გაავახეთი, 34, 80, 196, 206, 210, 211, 215—217, 220, 235, 249, 250, 253, 266
გაგახიშვილი ი., 8, 10, 11, 21, 24—34, 38, 44, 49—52, 54, 56, 58, 59, 64, 66, 67, 70, 72—75, 79—81, 85, 89—91, 104—106, 128, 148, 150—152, 166, 178, 186, 188, 205, 206, 213, 226, 236, 237, 245, 247, 260, 268—270, 272, 273, 286, 287
გაგახიშვილი ალ., 210
განაშვილი მ., 9, 10, 11
განაშია ს., 12—14, 31, 34, 43, 44, 49, 51, 52, 56, 70, 74—76, 80, 91, 95, 97, 102, 113, 118, 119, 142, 155, 156, 176, 181, 182, 185, 189, 196, 198, 199, 229, 231, 233, 235, 236, 268, 269, 272, 281
გარაჰ იბნ აბდ ალ-ლაჰი, 229
გედი (შტორისა და მაქვლის ერისთავი), 172
გიქეთი, 183—186, 189
გმერიკი, 216, 217
გრუჯი, 222
გუანშერი (ერისთავი), 152, 170 172
გუანშერი (ისტორიკოსი), 51, 54, 57, 58, 114, 127, 144, 145, 157, 158, 178, 210, 211
გუარის-გვერდი, (კახეთი), 154, 160
გუარის ციხე (კახეთი), 167
გურზანი (არაბ. წყაროების ქართლი), 142, 159

ჭაბიბ იბნ მასლამა, 123, 137, 139, 141
ჭარუნ არ რაშიდი, 142, 159, 230
ჭერეთი (ერეთი), 6, 7, 64, 112, 132, 146—148, 150, 151, 163, 166—176, 196, 242, 246, 281
ჭერეთის სამთავრო (სამეფო), 112, 124, 126, 133, 146, 147, 150, 162, 166, 170—174
ჭოჭანესი (სივნიეთის ეპისკოპოსი), 105
ჭუსეინ იბნ კაჭტაბა, 139

Австрия, 130
Адонц Н., 80
Акопян С., 47, 71, 74
Амиранашвили Ш., 174, 959
Анчабадзе З., 179, 180

Баладзори, 122
Бердзенишвили Н., 109, 113, 114, 119, 120, 170, 177, 239, 240, 255, 258, 297

Гевонд Вардапет, 137, 142
Георгий Мерчул, 283
Греков Б., 70, 71, 74, 106
Григорий Хандзтийский, 222
Грузия, 117, 218, 219, 221

Джанашия С., 127, 143, 177, 179, 181
Дондуа В., 109, 113, 114, 119, 120, 170, 177, 239, 240, 255, 258, 287

Еремян С., 44

Жузе П., 122, 231
Жуковский П., 29

Заходер Б., 27

Какабадзе С., 27, 104
Капанадзе Д., 226
Караулов В., 92
Кларджетия 216, 283
Кулаковский Ю., 182, 199

Лорткипанидзе М., 127

Манандян Я., 35, 37
Марр Н., 216, 217, 222
Маркс К., 37, 129
Меликишвили Г., 110
Месхиа Ш. 15, 35, 36, 37, 38
Модебадзе К., 29.

Неусыхин, 71

Патканян К., 137
Петрушевский И., 28

Разумовская А., 71

Степанос Таронский, 544

Такаишвили Е., 218, 219, 221, 282

Чубинашвили Г., 144

Шавшетия, 216

Эмин М., 244
Энгельс Ф., 37, 129, 130

Barbier de Meynard, 236

Coeje, de, 122

Marquart J., 199, 286
Minorsky V., 156

Parthey, 182

Houtsma, M., 140

Wardrop M., 272
Wardrop J., 272

ს ა რ ჩ ე ვ ი

გვ.

წინასიტყვაობა 5

ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პრობლემა ქართულ ისტორიოგრაფიაში 7

I. ფეოდალური საქართველოს გაერთიანების წინამძღვრები IX—X სს. ეკონომიურ და სოციალურ განვითარებაში 22

სოფლის მეურნეობა 23

ქალაქები და მათი როლი საქართველოს გაერთიანებაში 34

მიწისმფლობელობის ფორმების საკითხისათვის 42

ძირითადი საზოგადოებრივი კლასები და კლასობრივი ბრძოლა IX—X სს. საქართველოში 68

II. საქართველოს გაერთიანება და ბრძოლა უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ 113

III. ბრძოლა საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისათვის 135

კახეთ-ჰერეთის სამთავრო 137

ეკრის-აფხაზეთის სამეფო 176

ტაო-კლარჯეთის სამთავრო 200

თბილისის საამირო 227

ბრძოლა ქართლისათვის 237

IV. კულტურა და იდეოლოგია 258

ძირითადი დასკვნები 288

საკუთარ სახელთა საძიებელი 293

Мария Давидовна Лордкипанидзе

ПОЛИТИЧЕСКОЕ ОБЪЕДИНЕНИЕ ФЕОДАЛЬНОЙ ГРУЗИИ (IX—X ВВ.)

(на грузинском языке)

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*

რედაქტორი მ. დუმბაძე
გამომცემლობის რედაქტორი დ. ბაქრაძე
ტექრედაქტორი ნ. ჯაფარიძე
კორექტორი ლ. გორდელაძე
მხატვარი გ. ნადირაძე

გადაეცა წარმოებას 19.3.1963; ანაწყობის ზომა 6×9,5; ხელმოწერილია
დასაბეჭდად 6.7.1963; ქაღალდის ზომა 60×84 1/16;
ქაღალდის ფურცელი 9.56; საბეჭდი ფურცელი 19,12; საავტორო
ფურცელი 15.67; სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 15,91;
შეკვეთა 389; უე 03723; ტირაჟი 1000
ფასი 1 მან. 20 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, გ. ტაბიძის ქ. № 3/5